

ლ. აზმაიფარაშვილი, ნ. არღოტელი, რ. ლოლუა, ლ. სანიკიძე, რ. ფარეულიძე

ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა

(საგრანტო პროექტი №31/45)

I ნაწილი

თბილისი

2016

## შესავალი

### დახვეწილი და დაზუსტებული მეთოდოლოგია

**0.0. ენა და მისი ცვლილება.** უნივერსალურია კანონი, რომ დროსა და სივრცეში არსებული ყველა ენა იცვლება და ვითარდება. შესასწავლი ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, ენათმეცნიერებაც, როგორც ენათა შემსწავლელი დისციპლინა, იყოფა ორ ძირითად სახეობად: ა) სინქრონიული (ენის შესწავლა თანადროულ ისტორიულ მონაკვეთში), ბ) დიაქრონიული (ენის კვლევა გარკვეული ისტორიულ პერიოდში ცვალებადობის გათვალისწინებით).

ჩვენ ამჟამად გვინტერესებს ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, ცვლილებები და განვითარება დროის გარკვეულ ქრონოლოგიურ დონეზე. სწორედ ისტორიულ-შედარებითი (resp. დიაქრონიული) ენათმეცნიერების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, ქრონოლოგიური ეტაპების მიხედვით, მონათესავე ენათა სათანადო ცვლილებების შესწავლა კულტურისა და აზროვნების ისტორიასთან მჭიდრო კავშირში. ლ. ქემფბელი ენის დინამიკურ ბუნებაზე და კომპარატივისტიკის როლზე ლაკონურად წერს: „ისტორიული ლინგვისტიკა სწავლობს ენობრივ ცვლილებას“ [ქემფბელი 2004 :1].

**0.1. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის სპეციფიკა.** თანამედროვე კომპარატივისტიკაში აღარავინ დაობს იმაზე, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია ფუძემდებელ არსებული ენობრივი მოდელების პოსტულირებისათვის. გენეზისურად საერთო წარმომავლობის ენათა ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემების რეკონსტრუქციის შედეგად მიღებულ დებულებებს, რომლებიც დამუშავებულია სწორედ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით, განუზომელი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ენათა (სათანადო კულტურათა) გენეზისის, ტიპოლოგიისა და ენობრივი უნივერსალების მოსაპოვებლად. მეტადრე ეს ითქმის უდამწერლობო ენათა შესახებ, რომელთა კვლევა, წერილობითი წყაროების უქონლობის პირობებში, უნდა დაეფუძნოს კომპარატივისტული მეთოდის დახმარებით ენობრივ ერთეულთა (დიალექტი, კილოკავი, თქმა, მეტყველება) მონაცემების სკრუპულოზურ ანალიზს.

ისმის კითხვა: რაში მდგომარეობს კომპარატივისტული მეთოდის ძირითადი ამოცანა?

ფერდინანდ დე სოსიური აცხადებს: „რეკონსტრუქცია შედარების გზით არის შესაძლებელი... შედარებას არა აქვს სხვა მიზანი, გარდა რეკონსტრუქციისა“ [სოსიური 1977 : 255]. ემილ ბენვენისტის მოსაზრებით კი: „...კომპარატივისტიკის მთავარ ამოცანად უნდა იქცეს სწორედ ქრონოლოგიის დადგენა“ [ბენვენისტი 1955 : 26]. დახლოებით ანალოგიურია თეორიული კურსის ავტორთა კოლექტივის დეფინიცია: „...დიაქრონიული ლინგვისტიკა დროში მიმდინარე ენობრივ გარდაქმნათა თეორია — უმთავრეს ამოცანად ისახავს ადრეულ ენობრივ მდგომარეობათა რეკონსტრუქციას ისტორიულად დამოწმებული ენობრივი სისტემების განვითარების გზების გამოვლენის მიზნით“ [გამყრელიძე და სხვ. 2008 : 525].

ზემოციტირებულ განმარტებებთან შედარებით უფრო მეტად სრულყოფილი და მისაღები ჩანს მიხეილ ქურდიანის შემდეგი თვალსაზრისი: „... შედარებას აქვს არაერთი მიზანი — პირველი: ენათა ნათესაობის დადგენა, ანუ მათ შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების გამოვლენა... მეორე: რეკონსტრუქცია, ანუ პრაფორმების (resp. არქეტიპების) დადგენა“ [ქურდიანი 2007 : 121]. რაც შეეხება ავტორის მიერ წამოყენებულ მესამე პირობას, იგი სრულად ემთხვევა ე. ბენვენისტის ზემომოყვანილ დებულებას, კერძოდ, მიზნად ისახავს რელატიური ქრონოლოგიის მეტად რთული ამოცანების გადაწყვეტას.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის სპეციფიკაზე მსჯელობისას არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ინდუქციური და დედუქციური მეთოდების რანჟირებაზე კომპარატივისტიკაში. ენათმეცნიერების ისტორია არაერთ მაგალითს იცნობს, როცა ამ საყოველთაოდ ცნობილ მეთოდთა არაადეკვატურმა გამოყენებამ მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანა [იხ. ქურდიანი 2007 : 155-164].

ჩვენი აზრით, თავდაპირველად უნდა გაირკვეს შესადარებელი ერთი ენობრივი მონაცემის არსი და შემდეგაა შეუდარდეს მეორე ენის სათანადო მონაცემს, რაც ინდუქციური მეთოდის გამოყენების აუცილებლობას და შემდგომ დადასტურებულ ფორმათა (ენობრივ ფაქტთა) დედუციურების საჭიროებას გვიკარნახებს. წინამდებარე ნაშრომის მიზანიც ესაა – საკვლევ ენათა იმანენტური ბუნების მაქსიმალურად გათვალისწინებით აღვადგინოთ ფუძემდებელი მოდელები ენობრივი იერარქიის (ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა) ყოველ საფეხურზე.

**0.2. შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი.** გარდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა, გამოიყენება შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდიც, რომელიც ახდენს ფუძემდებლის არქეტიპების რეკონსტრუქციას „ერთი ენის ფარგლებში გარკვეული სტრუქტურული სქემების უნიფიცირებისა და მათი სავარაუდო უძველეს სტრუქტურულ ტიპებზე დაყვანის მეშვეობით“ [გამყრელიძე და სხვ. 2008 : 563].

სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით განხორციელდა აბლაუტური მონაცვლეობებით შეპირობებული საერთო-ქართველური მოდელების პოსტულირება. არ არის გამორიცხული, რომ საკვლევ კავკასიურ ენებში თავჩენილი აპოფონიური ტრანსფორმაციები ანალოგიურად აიხსნას.

ვინაიდან შინაგანი რეკონსტრუქცია ეფუძნება კონკრეტულ ენაში არსებულ პარალელურ ფორმათა (resp. დიალექტური ვარიანტების) ჩვენებას, მისი მეშვეობით აღდგენილი არქეტიპები შედარებითი რეკონსტრუქციის გზით რეკონსტრუირებული ფორმების მაგივრობას ჩვეულებრივ ვერ გასწევს.

დიაქრონიულ კვლევა-ძიებას მეტ ცხოველყოფილობას ჰმატებს შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის გამოყენება. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მის გამოყენებას (თუ ეს შესაძლებელია) შედეგად ღიდი წარმატებები მოსდევს. ე. კურილოვიჩი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის „გამოყენება ყოველ კერძო შემთხვევაში ვერ ხერხდება, მაგრამ თუ მისი გამოყენება შესაძლებელია, მაშინ მიღებული დებულებები უფრო მეტ შემეცნებით ღირებულებას იძენს, ვიდრე სტატისტიკის, არეალური ლინგვისტიკის ან ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძველზე მიღებული დასკვნები...“ [კურილოვიჩი 1965 : 401-402].

შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდს ნაკლიც აქვს – იგი მეტად შეზღუდულია. მას შეუძლია ენობრივი არქეტიპები აღკვადგენინოს კონკრეტული ენიდან გაუსვლელად, მაგრამ მონათესავე ფუძეების ქრონოლოგიური საფეხურის რეკონსტრუქცია მისი შესაძლებლობების ფარგლებს სცილდება.

**0.3. გლოტოქრონოლოგიური მეთოდი.** ფუძეების ისტორიულად განხორციელებული დივერგენციის ქრონოლოგიზაციის დასადგენად გარკვეული კორექტირებით გამოიყენება გლოტოქრონოლოგიური (resp. ლექსიკოსტატისტიკური) მეთოდი. თანამედროვე კომპარატივისტიკას რელატიური ქრონოლოგიის დასამუშავებლად და ენათა დაშლის დასათარიღებლად სხვა ალტერნატიული მეთოდი არ მოეპოვება, გარდა მ. სვოდეშისა და რ. ლისის გლოტოქრონოლოგიური მეთოდისა [სვოდეში 1960 : 23-87]. მართალია, გამოიყენება, აგრეთვე, ქრონოლოგიზაციის შიდაენობრივი კრიტერიუმები, მაგრამ ჩვეულებრივ ასეთი ხერხები ენობრივ გარდაქმნათა უწინარესობა-შემდგომადობას მეტ-ნაკლებად გაგვირკვევს, მაგრამ ამგვარ ცვლილებათა დათარიღების შესაძლებლობებს მოკლებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკოსტატისტიკური მეთოდის გამოყენებით მიღებული დასკვნები, საყოველთაოდ ცნობილი ნაკლის გამო [ბოკარევი 1961 : 18; გიგინეიშვილი 1977 : 26; ალექსეევი 1986 : 137-138...], უნდა დაზუსტდეს ლითონთა სახელების, არეალური ლინგვისტიკის, არქეოლოგიური მონაცემების, ეთნოლოგიური რეალიებისა და ლინგვისტური პალეონტოლოგიის ჩვენებათა მაქსიმალური გათვალისწინებით.

თუ შეუძლებელი არ არის ოდენ არქეოლოგიური მონაცემებით („ოქროსა“ და „ვერცხლის“ სახელწოდებათა ისტორიული ინტერპრეტაციით) ენობრივი მოვლენის ახსნა [ალექსევი 1986 : 139], მაშინ, ბუნებრივია, ამ მეთოდის ზემოქმედებით მონაცემებით ვერიფიცირება პოზიტიურ შედეგს მოგვცემს [კლიმოვი 1990 : 119-121]. სპეციალურ ლიტერატურაში სწორედ მის პოზიტიურ მხარეზე მახვილდება ყურადღება: „მისი (გლოტოქრონოლოგიური მეთოდის – ნ.ა.) მეშვეობით შესაძლებელი გახდა ენის წინარეისტორიული (დამწერლობამდელი) პერიოდის დადგენა“ [გამყრელიძე და სხვ. 2008 :592].

0.4. **არქეტიპთა ვერიფიკაცია.** აღსანიშნავია, რომ კომპარატივისტული მეთოდის საფუძველზე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგების რეკონსტრუირებული მოდელების რეალურობის გადასამოწმებლად გამოიყენება ოთხი სახის კრიტერიუმი: 1) ტიპოლოგიური (ა. სინქრონიულ უნივერსალიათა კანონზომიერებანი; ბ. დიაქრონიულ უნივერსალიათა კანონზომიერებანი); 2) სისტემური (სიმეტრიულობა-ასიმეტრიულობის გათვალისწინებით); 3) ფორმობრივი (ენათა მასალობრივი მონაცემებით); 4) სემანტიკური (შინაარსის პლანში ამოსავალი სემანტემების ტრანსორმაციებით და რეინტერპრეტაციებით).

ტიპოლოგიური კრიტერიუმით ვერიფიკაცია ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ სისტემური და მასალობრივი ასპექტით საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდება. კერძოდ, სპეციალურ ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სინქრონიულ ტიპოლოგიაში დომინაციური მიმართებებისას ღვინდება აბრუპტიულთა სერიის მაქსიმალური მარკირებულობა [გამყრელიძე და სხვ. 2008 : 551]. მაღალი მარკირებულობით წინაენისმიერთა ლოკალურ რიგებში გამოირჩევიან წყვილბაგისმიერები, რომელთა შორისაც უკიდურესად რეცესიულია (მარკირებულობა) აბრუპტივი **ჰ**. მაღალი რეცესიულობა კი მისი გამოყენების დაბალ სიხშირულ კოეფიციენტზე მიგვანიშნებს, რაც არაიშვიათად იწვევს ა. მარტინესეული ცარიელი უჯრის არსებობას [მარტინე 1960 : 110-111].

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ბილაბიალურთა რიგში აბრუპტივი **ჰ** ისევე, როგორც ფარინგალთა რიგის მჟღერი წევრი **ფ**, მრავალი ენის ფონოლოგიურ სისტემაში არ დასტურდება. ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ის ფაქტი, რომ ამგვარ ენათა რიცხვს მიკუთვნებულია ჩრდილო-კავკასიური ენები, რაც სინამდვილეს არ შეეფერება [გამყრელიძე და სხვ. 2008 : 551].

აბრუპტივი **ჰ**, მართალია, ნახურ-დაღესტნურ ენათაგან ამჟამად არ გვხდება ენათა ზოგ ქვეჯგუფში (ხუნძურ-ანდიური), მაგრამ ხუნძურ-ანდიურ ენებში **ჰ** დაკარგული ჩანს წყვილბაგისმიერი არტიკულაციის შესუსტების შედეგად [უსლარი 1989 : 9; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 43, 56-58; შდრ. არდოტელი 2009 : 86-88].

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი პ-ს ჰიპოთეტურად აღადგენს [სომერფელი 1934; ბოკარევი 1961 : 61; 1969 :216; იმნაიშვილი 1977 : 279; კახაძე 1998 : 49; ჩუხუა 2006 : 26...], ხოლო მეორე ნაწილი მის ფუძემდებულობას საერთო-ნახურ და საერთო-დაღესტურ ქრონოლოგიურ ღონეებზე უგულებელყოფს [ტრუბეცკო 1987 : 248; გიგინეიშვილი 1977 : 67, 81; გუდავა 1979 : 54, 81; ნიკოლსი 2003 :245...].

**0.5. ფონემათშესატყვისობის ზოგადი წესები.** თანამედროვე კომპარატივისტიკაში გაზიარებულია საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მონათესავე ენათა ოჯახი წარმოქმნილია ფუძემდებლის დიალექტობრივი დიფერენციაციის საფუძველზე [მეიე 1938 : 50, მაჭავარიანი 1965 : 9]. ამის თაობაზე არნ. ჩიქობავა ხაზგასმით წერს: „... მონათესავე ენები წარმოშობით ერთი ენის კილოებია“ [ჩიქობავა 1945, 1983 : 249]. ანალოგიურად განიმარტება იგი თეორიული ენათმეცნიერების კურსში: „ფუძემდებლის ამგვარი დიფერენციაციის პროცესი ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში უნდა განვიხილოთ არსებითად როგორც ფუძემდებლის წიაღში მონათესავე დიალექტების თანდათანობითი დაშორება-დაცილება ანუ დივერგენცია“ [გამყრელიძე და სხვ. 2008 : 539].

რადიკალურად განსხვავებულ აზრს ადგა ნ. ტრუბეცკო, რომელმაც შედარებით ენათმეცნიერებაში კავკასიურ ენათა ურთიერთმიმართების საკითხების კვლევისას „ენათა კავშირის“ ცნება შემოიტანა, რაც ერთ ოჯახში გაერთიანებული ენების საერთო გენეზისურ წარმომავლობას არ გულისხმობს [ტრუბეცკო 1987 : 47-48]. ენათა კონვერგენციულ შერევებზე ამახვილებდნენ ყურადღებას სხვა ლინგვისტებიც [პოლივანოვი 1928; დე კურტენე 1963 : 112; წერეთელი 1968 : 3-18...]. მართალია, ინტეგრაციის პროცესში ხდება სხვადასხვა წარმომავლობის ენებს შორის მთელ რიგ ფონეტიკურ და მორფოსინტაქსურ მოვლენათა ურთიერთზემოქმედება, რაც თვალსაჩინოდ ცვლის ენის, როგორც დინამიკური სისტემის, იერსახეს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, დიფერენციაციული პროცესები რელიეფურად განსხვავდება ინტეგრაციული პროცესებისგან [ფენრიხი 1978 : 24-25], რის გამოც „ენათა კავშირის“ ცნება და, საერთოდ, კონვერგენციით დანათესავების იდეა სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული [შარაძენიძე 1958 : 454, ქურდიანი 2008 : 187-220].

შედარებით ლინგვისტიკაში ენათა გენეზისური ნათესაობის დასასაბუთებლად ფასეულია ძირეული ლექსიკის ეკვივალენტურ ერთეულებსა თუ გრამატიკულ ინვენტარში კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა დადგენა. სპონტანური ბგერათცვლილებით შეპირობებული ამოსავალი არქეტიპების რეკონსტრუქციისათვის ჩვეულებრივ შედარებას მიმართავენ: „რეკონსტრუქცია შესაძლებელია მხოლოდ

შედარების გზით...“ ანდა: „ბგერათშესატყვისობა შედარების კომპასია, შედარება ისტორიის ბერკეტი“ [ჩიქობავა 1983 : 279].

ვფიქრობთ, რაციონალურ მარცვალს შეიცავს აზრი იმის შესახებ, რომ ფონეტიკური ცვლილებანი ყველა ენაში უნივერსალური ხასიათისაა, ფონემათშესატყვისობა კი სათანადო ფონემათა კანონზომიერი სპონტანური ტრანსფორმაციით მიიღება. ამით ჩანს შეპირობებული სხვადასხვა მონათესავე ენებში ერთგვარი ფონემათშესატყვისობების არსებობა. კომპარატივისტიკიდან ცნობილია, რომ რეკონსტრუირებული ფორმა წარმოადგენს თეორიულ კონსტრუქტს და არა ფუძემდებელი მონაცემის ადეკვატურ ასახვას. ბუნებრივია, მკვლევარ-კომპარატივისტი ცდილობს ზუსტი არქეტიპების აღდგენას, მაგრამ ხშირად მარტოოდენ შეფარდებით ჭეშმარიტებას აღდგენს. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ აღდგენილი არქეტიპი პრაფორმას სავსებით დაემთხვეს.

ენათა გენეზისური ნათესაობის დასასაბუთებლად აუცილებელია არსებობდეს შემდეგი ფაქტორები:

ა) არსებულ მოსაზრებათა კვალდაკვალ, ჩვენი შეხედულებითაც, გენეზისურად მონათესავე ენათა შორის ბგერათშესატყვისობანი კანონზომიერი და რეგულარული უნდა იყოს როგორც ფონოლოგიურ იზოგლოსებში, ისე მორფოლოგიურ ინვენტარსა და ძირეულ ლექსიკურ მასალაში [ფოქოს-ფუქსი 1962 : 13; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 : 4].

ო. სემერენი წერს: „შესატყვისობანი ოდენ გრამატიკულ სტრუქტურაში, ენობრივ მასალაში შესატყვისობის გარეშე ... ჩანს, არასაკმარისია გენეტიკური კავშირების დასამტკიცებლად“ [ სემერენი 1980 : 21]. უფრო კატეგორიულია მ. ქურდიანი, რომელიც ემიჯნება თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანისეულ არსებითად მართებულ მოსაზრებას და თავის აზრს ასე აყალიბებს: „ენათა ნათესაობის დადგენის ერთადერთი გადამწყვეტი კრიტერიუმია მათ შორის კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა პონიერება. მორფოლოგიასა და ლექსიკურ იზოგლოსებს ენათა ნათესაობის დადგენის ან ამ ნათესაობის ხარისხის განსაზღვრისათვის არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნიათ“ [ ქურდიანი 2007 : 127].

ისმის კითხვა: კანონზომიერი და რეგულარული ფონემათშესატყვისობანი რელევანტურია თუ არა გრამატიკულ ინვენტარში?

ჩვენი აზრით, თუ მორფოლოგიურ სემენტთა – მორფემათა რეკონსტრუქცია მართებულად არის ჩატარებული და ასახავს ფუძემდებლის რეალურ სურათს, მაშინ ფუძისეულ სტრუქტურასა და ფლექსიურ-დერივაციულ ელემენტთა სისტემაში თავჩენილი შესატყვისობანი ისეთივე რელევანტური იქნება, როგორც ძირეულ ლექსიკაში დადასტურებული შესატყვისობანი. მეტიც, თუ მორფემებში დადასტურდება

ფუძეენისეული შესატყვისობანი და ისინი კანონზომიერებასა და რეგულარულობას არ იქნებიან მოკლებული, მაშინ მათ მეტი (მორფოლოგიური ფუნქციის სიჭარბით) მტკიცებულებითი ძალა ექნებათ ენათა გენეზისური ნათესაობის დასამტკიცებლად. ბუნებრივია, გრამატიკულ ინვენტარში ფონემათშესატყვისობათა დადგენა, მორფონოლოგიური კომბინატორული პროცესების მოქმედების გამო, უფრო გართულებულია, ვინემ ძირეულ ლექსიკურ ფონდში. მეტადრე ეს ითქმის სემანტიკურ (ფუნქციურ) რეკონსტრუქციაზე, რომელიც ხშირად მოუხელთებელია და გადააზრიანების ასხნა გამწვანებული.

იმის ნათელსაყოფად, რომ ფონემური შესატყვისობები ფორმანტებშიც რელევანტურია, შეიძლება მოვიხმოთ ზოგი მაგალითი: ხუნდ. **სა-ე-ბ** ~ ანდ. **-სა-ი**: ახვ. **-სა-ე** ~ დიდ. **-ს-ი**: ხვარ. **-ს-ა** „მატრიბუტივებელი ფორმანტი“; ხუნდ. **-ტა** (<\***-ტა**)~ანდ. **-ტა** : ახვ. **-ტა** ~ დიდ. **-ტიო** : ხვარ. **-ტიო** : ბეჟ. **-ტა** „-ზე“; ჩეჩ.-ინგ. **-რ** ~ ახვ. **-ი-რ-ი** ~ ლეზგ. **-რ**, **=რა** : რუთ. **-რი** „ნამყო დროის ნიშანი“.

ღირსსაცნობი ფაქტია, რომ მეორე მაგალითში კანონზომიერ შესატყვისობას გვიჩვენებს თანხმოვანიც (ხუნდ. **ტ** ~ ანდ. **ტ** ~ დიდ. **ტა**) და ხმოვანიც (ხუნდ.-ანდ. **ა** ~ დიდ. **ო**) [ლომთაძე 1962 : 297-298; გუდავა 1964 : 135].

ამის ნათელი ნიმუშები ქართველურ ენებშიც მოგვეპოვება: ქართ. **ს** : ზან. **შ**: **ას-ი** : **ოშ-ი**; **ნემს-ი** : **ლემშ-ი**. ანალოგიური შესატყვისობა თავს იჩენს ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტებსა და სიტყვაწარმოებაში:

ქართ. **-ის** : ზან. **-იშ**

ხარ-**ის** : ხოჯ-**იშ**

კაც-**ის** : კოჩ-**იშ**

ქართ. **ა** : ზან. **ო**

სა-გზ-**ალ-ი** : ო-რზ-**ოლ-ი**

და-წერ-**ა** : დო-ჭარ-**უ**

ბ) ფონემათშესატყვისობათა სიიდან გამოირიცხება უნებლიე ლექსიკური და გრამატიკული დამთხვევები, რომლებიც არცთუ იშვიათია ენათა შორის, მაგ.: ქართ. **ღარ-**, შდრ. ღრავიდ. \***თარ-** „ღარი“; ქართ. **დიდ-ი**, შდრ. ლიტ. **didis**; ძვ. ქართ. **და-სლბ-ა**, შდრ. რუს. **о-сѣан** „დასუსტლა“; გერ. **-s** (**des lager-s** “ბანაკის“), შდრ. დიდ. **-ს** (ჟეკუ-**ს** „კაცის“); ლათ. **tibi** (მიც.), შდრ. დიდ. **ღებე-რ** (მიც.) „შენ“ და მრ. სხვ.

გ) ფონემათშესატყვისობების ძიებისას მეტად მნიშვნელოვანია, რომ მკაცრად გაიმიჯნოს ძირეული ლექსიკური მასალა ნასესხები მასალისგან. ეს აუცილებელია იმდენად, რამდენადაც შესატყვისობანი შესაძლოა ფუძეენის დროინდელ ნასესხებ მასალაშიც იჩენდეს თავს [ტრუბეტკოი 1987 : 45]. მასთან, საშური



ნასესხობებში არქაიზმისა და ინოვაციის ჯეროვანი გამოყენა, რაც ბგერათიგივეობის დროს დიდ წინააღმდეგობებს აწყდებდა [ ფენრიხი, სარჯველაძე 1990 : 26].

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ნასესხობა შედარებით იოლი გამოსაცნობია, მას მეტწილად კანონზომიერი შესატყვისობანი არ მოეპოვება, ხოლო ძველი ნასესხობანი, მით უფრო ფუძეენის დროინდელი, ძალიან ძნელი გასარჩევია საკუთარი მასალისაგან. არქაული ნასესხობანი ძირეული ლექსიკის ანალოგიურ ფონემათშესატყვისობებს იყალიბებენ და, აქედან გამომდინარე, ძირეული მასალის ტოლფასოვანნი ხდებიან [ ჩიქობავა 1938 : 18; შარაძენიძე 1958 : 456-457; ალექსევი 1986 : 125...].

მართალია, დიდი ძალისხმევით საჭირო ამგვარი ნარევი მასალის გამოცალკეებისთვის, მაგრამ იგი მაინც შესაძლებელია [ლომთათიძე 200 : 126]. ამის ნათელი დასტურია აფხ. აწლა და ქართ. ძელ-ის მიხნევა ძირეულ ქართულ-აფხაზურ სახელად [ჭარაია 1912 : 45]. სინამდვილეში, როგორც გამოირკვა, ქართ. ძელი თავისებური ტრანსფორმაციით არის ნასესხები აფხაზურში [ლომთათიძე 200 : 128].

ყურადღებას იქცევ „ასის“ გამომხატველი ტერმინი, რომელიც ხუნძურ-ანდიურ ენებში კანონზომიერად (ხუნძ. ს ~ანდ. შ) არის წარმოდგენილი: ხუნძ. ნუს-გო ~ ანდ. ბეშონუ-გუ ... დილოურ ენებში წესით უნდა გვქონოდა ჟ-ს შემცველი ეკვივალენტური ფორმა, მაგრამ გვაქვს შ (დიდ. ბიშონ : ხვარ. ბეშონუ “id.”). ბგერათშესატყვისობის დარღვევისათვის სხვა საფუძველი არ ჩანს, გარდა იმისა, რომ საკ. დიდ. ბიშონ ანდიური ენათაგან ნასესხობად იქნეს ცნობილი [გუდავა 1980 : 212]. საინტერესოა აგრეთვე ა:ო ხომვანთშესატყვისობის დამადასტურებელი ზოგი ნასესხები სახელი: ხუნძ. აზარ-გო (<სპარს. ჰაზარ) ~ ანდ. თზირუ-გუ „1000“; ხუნძ. ჩარან ~ ანდ. ჩირონ „ფოლადი“ და მისთ.

დ) ღირსსაცნობი ფაქტია, რომ ფონემათშესატყვისობა, როგორც კანონზომიერი ფონემური ფარდობა, ფუძეენაში იღებს სათავეს და შემდგომი ევოლუციის საფუძველი ხდება. თავდაპირველად ფუძეენის დიფერენცირებად დიალექტებში (ზოგჯერ შეიძლება თქმებშიც!) ხელშესახებია ოდენ ბგერათიგივეობანი (resp. იდენტური ბგერათშესატყვისობანი), თუმცა მოგვიანებით ფუძეენის ენობრივი ერთეული დიალექტურ ვარიაციითა ფარგლებს სცილდება და ახალი ენობრივი მონაცემი ხდება. სავსებით ლოგიკურია, როცა ამა თუ იმ ენის მიკროვარიანტში – დიალექტში საფუძველი ეყრება ფონემათა კანონზომიერ დიფერენციაციას, შეპირობებულს კომბინაციური თუ სპონტანური ფონეტიკური ცვილებებით. საგულისხმოა, რომ ფონემათა კანონზომიერი მიმართება დაჩნდება ისეთ პერიფერიულ ლექსიკაშიც, როგორცაა სმბაპკითი (resp. ბგერწერითი) სახელები [გუდავა : 143-145; ბურჭულაძე 1989 : 9-10].

სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ ცალკეულ მონათესავე ენებსა და მათ დიალექტებში ხდება ერთგვაროვანი ფონეტიკური პროცესები, რის შედეგადაც ვიღებთ რეგულარული ხასიათის კანონზომიერ ბგერათშესატყვისობებს [არლოტელი 1999 : 14].

იშვიათად დასტურდება ისეთი ბგერათშესატყვისობა, რომელშიც ყველა ფონემა განსხვავებულ რეფლექსს იძლეოდეს და შესატყვისობის წევრი ფონემები მონათესავე ენებში ადეკვატური იყოს [ენობრივი ერთეულის იდენტიფიკაციისათვის იხ. მაჭავარიანი 1967 : 51-52]. ამ სახეობისაგან განსხვავებით, დასტურდება ბგერათიგივეობა, რომელიც ხშირად პაექრობის საგნად არის ქცეული.

ჩვენ აღწერთად ნაწარმოებ ტერმინს „**იდენტური ბგერათშესატყვისობანი**“ ვამჯობინეთ ტერმინი „**ფონემათიგივეობანი, ბგერათფარლობანი**“, რომელიც უფრო მარჯვეა და სრულად ასახავს ცნების ძირითად არსს. გარდა ამისა, თავიდან გვაცილებს უხერხულობას იმ თვალსაზრისით, რომ ორი იდენტური ფონემა (resp. ბგერა) არათუ სხვადასხვა შესადარებელ ენებში, ერთი ენის ფონემის ფარგლებშიც (მის ვარიანტებს შორისაც) კი შეუძლებელია. მასთან, ტერმინი „ბგერათშესატყვისობა“ (resp. „ფონემათშესატყვისობა“) ამოსავალი ფონემის რეფლექსაციასაც გულისხმობს (შესატყვისობაში განსხვავებული სიდიდეები მოიაზრება), ხოლო „ბგერათიგივეობა“ კი ნიშნავს შესადარებელ ოდენობათა კანონზომიერ ფარლობას, რომელშიც არქეტიპები წესისამებრ დაცულია.

აქედან გამომდინარე, ნახურ-დალესტურ ენებში დასტურდება როგორც საკუთრივ ბგერათშესატყვისობანი (resp. არაიდენტური ბგერათშესატყვისობანი), ისე ბგერათიგივეობანი (resp. იდენტური ბგერათშესატყვისობანი), რომლებიც შეპირობებულია სათანადო ფონემათა ორგვარი ტრანსფორმაციით: ა) საარტიკულაციო ადგილის გადაწვეით და ბ) რაგვარობის ცვლით. ე. ლომთაძის მოსაზრებით, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში ცვლილების ამ ორ სახეობას შორის ღომინანტობს მეორე [ლომთაძე 1962 : 309].

სიმპტომატურია ისიც, რომ კანონზომიერ რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა განხილვისას თავს იჩენს სტრუქტურულ-სემანტიკური გადახრები, რასაც მრავალგვარი კომბინაციური თუ შინაარსობრივი ცვლილება იწვევს. ეს კი, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად ართულებს სპონტანური ბგერათცვლილებებით მიღებულ სურათს.

ისმის მნიშვნელოვანი კითხვა: რა ტენდენციები იწვევენ (აკაგებენ) ფონემათა კანონზომიერ ცვლილებას?

გ. ჰონიგსვალდი პირდაპირ წერს: „...ბგერითი ცვლილებანი ნამდვილად რეგულარულია ყველა ენაში“ [ჰონიგსვალდი 1971 : 19-21]. ამასვე იმეორებს ლ. ქემფბელი: „In fact, the most important basic assumption in Historical Linguistics is that sound change is regular“ [ქემფბელი 2004 : 19].

მართალია, ფონემური ცვლილება ძირითადად რეგულარულია ყველა ენაში, თუმცა აბსოლუტური არ არის – იგი ყველა ბგერას ერთნაირად არ მოუდის, არამედ ფონოლოგიური სისტემის მხოლოდ ერთ ნაწილს მოიცავს. მასთან, ბგერათცვლილების ტენდენცია არის არა აუცილებლობა, არამედ შესაძლებლობა, რომელიც სათანადო ფონოლოგიურ პოზიციაში, ტრანსფორმაციისათვის ხელსაყრელ პირობებსა და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შეიძლება რეალიზებულ იქნეს. ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები (ფონემათა ვარიაციულობა, თაობათა ცვლა, მათი არაადეკვატური პერცეფცია, უცხო ენათა ზეგავლენა, იდიოლექტის მეტყველება...) გარკვეულწილად აპირობებენ და ხელს უწყობენ ბგერათა ნაირსახეობების ჩამოყალიბებას. თავად ბგერათცვლილებას, საფიქრებელია, იწვევდეს ფონემის არამდგრადი ბუნება, მის წიაღში იმთავითვე დაუნჯებული პოტენცია გარდაიქმნას სხვა, მასთან უფრო ახლომდგომ , ბგერად, რაც მისი ალოფონური ბუნებით აიხსნება. თავდაპირველად ეს, როგორც მიუთითებენ [ტრუბეცკო 1987 : 268], დაჩნდება ფონეტიკური ვარიანტის (resp. ალოფონის) სახით, შემდეგ კი ერთი ფონემის ალოფონიდან მეორე ფონემის ალოფონისაკენ თანდათანობით გადაწევის საფუძველზე (რაც ამ ენის მფლობელის სუბიექტურ ცნობიერებაში აირეკლება) ხდება სხვა ბგერად ქცევა. თანდათანობით გადახრის შედეგად, A ფონემის ალოფონი B ფონემის ალოფონს დაუახლოვდება. A:B ფონემათა ოპოზიციის თანდათანობითი ნეიტრალიზაციის საფუძველზე, როცა მეტყველების ცნობიერებისა და პერცეფციაში A-ს ალოფონი B-ს ალოფონად ტრანსფორმირდება, ბგერათცვლილებაც მაშინ მთავრდება [არლოტელი 2000 : 43].

გაგრძელებულია ბგერათშესატყვისობის ისეთი სახეობა, რომელშიც ერთმანეთის გვერდით გვხვდება კანონზომიერად ცვლილი და უცვლელი ფონემები, მაგ.: ხუნძ. წაე (<წან-) ~ბოთლ. წინაღი ~ბეჟ. ცან : დიდ. ჩანიდა (<\*ცანიდა) „თხა“.

ზემომოყვანილ მაგალითში წაე(ჩ) ბგერათმიმართება კანონზომიერად მიიჩნევა, ნ:ნ ფონემათფარდობაც კანონზომიერია.

მართლაც, თუკი ჩვენ შერეულ ფონემათშესატყვისობაში (ლათ. genus : გერ. kinnus) კანონზომიერად ცვლილი ფონემების მიმართებას (g:k) უცვლელ ფონემებთან ( n:n, s:s) ერთად კანონზომიერად მივიჩნევთ, მაშინ „ილენტური“ ფონემებიც (ბეჟ. ცან: პინ. ცან „თხა“) ლოგიკის ძალით შესატყვისად უნდა მივიჩნიოთ.

ისმის მნიშვნელოვანი კითხვა: ბგერათიგივეობისას როგორ უნდა გაიმიჯნოს ნასესხები მასალა ძირეულისგან?

შეიძლება ორი წესი ჩამოყალიბდეს:

1. თუ სიტყვაში კანონზომიერად ცვლილ ფონემათა გვერდით გვაქვს უცვლელი ფონემები, მაშინ „იდენტური“ ფონემებიც შესატყვისობად უნდა ჩაითვალოს, მაგ.: ქართ. კაც-ი ~ ზან. კოჩ-ი...

2. თუ აბსოლუტურად გაუდიფერენცირებელ მასალაში გვხვდება მხოლოდ ისეთი ფონემები, რომლებიც შესადარებელ ენათა ფონოლოგიურ სისტემებში სპონტანურ ფონეტიკურ ცვლილებებს საერთოდ არ განიცდიან, მაშინ ისინი შესატყვისობის ძალას იძენენ, მაგ.: ხუნდ. ქან (<\*ქჷან) ~ ჭამ. ქჷან<sup>5</sup> (<\*ქჷან) ~ ბეჟ. ქან<sup>5</sup> (<\*ქჷან) „კვარი“; ბავ. დე (ტინდ.) ~ ჰინ. დე „მე“ და სხვ.

ენათა მიხედვით, საყოველთაოდ დიფერენცირებულ ფონემებში თუ აღმოჩნდა ბგერათიგივეობა, მაშინ ნასესხობასთან გვექნება საქმე: ანდ. ბეშონუ-გუ ~ ხვარ. ბეშონუ „ასი“ და მისთ.

ამრიგად, შეიძლება არაიდენტური ბგერათშესატყვისობის ორი ქვეტიპი გამოიყოს [ჩიქობავა 1983 : 268-271]: 1) რელიქტური და 2) ბიფურკაციული.

1) რელიქტური ბგერათშესატყვისობის დროს ამოსავალი ვითარება შესადარებელი ენებიდან დაცულია ერთ-ერთ ან რამდენიმე მათგანში, მაგ.: ხუნდ. ჭჷჩ ~ ანდ. ინჩი: ჭამ. ეშ ~ დიდ. ჰენეშ: ჰინ. იში „ვაშლი“.

2) ბიფურკაციული ბგერათშესატყვისობისას შესადარებელ ენათაგან არქაულ ჩვენებას არც ერთი არ იძლევა. ამოსავალი ოდენობის დასადგენად საჭიროა დიფუზური ფონემის რეკონსტრუქცია, რაც ღამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს. კერძოდ, საერთო-ხუნძურ-ანდიური-დილოური ლატერალური სპირანტი \*ლ<sup>ʔ</sup> გაიხლიჩა და ლჰ თანხმოვანთკომპლექსი წარმოიქმნა. ისტორიული \*ლ<sup>ʔ</sup>-ს ევოლუციამ შედეგად ბოთლიხურში ჰ მოგვცა, ხვარშიულში კი ლ. ეს სქემატურად ასე გამოიხატება:

ლ (ხვარ.)

საერთო ამოსავალი

\*ლ<sup>ʔ</sup>

ლჰ (ხუნდ., ბავ.)

ჰ (ბოთლ.)

ბიფურკაციული შესატყვისობის კარგი მაგალითია ქ. ლომთათიძის მიერ აფხაზურის დიალექტებში დადგენილი ფონემათშესატყვისობა: აბჟ., ბზიფ., აშხ. ვ ძ, ძ სპირანტები: ტაპ. ძ, ც, წ აფრიკაები [ლომთათიძე 1976 : 179-180].

დ) ცალკეული კორესპონდენციების ანალიზისას ყურადღებას იქცევს სემანტიკური რეკონსტრუქციის პრობლემა, რომელიც ხშირად ჩამორჩება ფორმალურ რეკონსტრუქციას. ამოსავალ სემანტემათა „მოუხელთებლობა“ გამოწვეულია არა ოდენ სემანტიკური გადახრების (ტენილობის) გამო, არამედ მისი აბსტრაქტულობითა და სათანადო მეთოდოლოგიის უქონლობითაც. სემანტიკური გადახრისას ერთი ლექსიკური ერთეული მეორეს შეიძლება ნაწილობრივ განემსგავსოს ან სრულიად გადასხვაფერდეს და სავსებით სხვა მნიშვნელობა შეიძინოს. გადახრილი სემანტიკა, თუკი ამგვარი სემანტიკური გადაწვევის დასაბუთება ხერხდება, ისეთივე რელევანტურია, როგორც უცვლელი მნიშვნელობა, მაგ.: ხუნძ. ჩხუთ ~ანდ. კონჩხუ ~ლაკ. ყურშაალა „ხვლიკი“ ~წახ. ხოჩა „გველი“, ხუნძ. ტომ „სახურავი“ ~ ლაკ. ჭამუ „თარო“, ხუნძ. ზობ „ცა“ ~ანდ. ზუბუ „ღღე“ ~ დიდ. ას „ღრუბელი“ და მისთ.

ამ მხრივ საინტერესოა ქართველურ ენათა ჩვენება. ამჟამად მეგრულში „მუნის“ მნიშვნელობით ჭყონი დასტურდება, მაგრამ ქართ. მუნის კორელატი არ არის. შესაძლოა მუნის კანონზომიერი შესატყვისი წყანი შეკუმშული სახით შემონახული იყოს ტოპონიმში წყნ-ეთ-ი (< \*წყან-ეთ-ი) „მუნხანი ადგილი, სადაც ბევრი მუნა ხარობდა“ [ჩიქობავა 1938 : 128].

ვ) ცნობილია, რომ ფონემათშესატყვისობას გვიჩვენებენ გარკვეული ლოკალური რიგები. ნახურ-დაღესტნურ ენებში სპონტანურ ფონეტიკურ ცვლილებებს უპირატესად სიბილანტები, ველარები და ფარინგალური თანხმოვნები ემორჩილებიან. ამასთანავე, სისტემატური ცვლილებისას არ არის გამოსარიცხი კომბინატორული ფაქტორიც (გავიხსენოთ გრიმის კანონი). ბოლო დებულების საილუსტრაციოდ გამოდგება დიდლური ენები, რომელთა ფონოლოგიურ სისტემებში რეგულარული მონაცვლეობა პალატალიზაციით არის შეპირობებული [გუდავა 1979 : 43-48; არდოტელი 2009 : 159-161].

## საკითხის შესწავლის ისტორია ნახურ და დაღესტნურ ენებში

**1. საკითხის შესწავლის საერთო ისტორია.** ნახურ და დალესტნურ (resp. აღმოსავლურ-კავკასიურ) ენათა ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით დამუშავება, თუ არ ჩავთვლით ნ. ტრუბეცკოის ნაშრომებს, დიდხანს რჩებოდა მკვლევარ-კავკასიოლოგთა თვალთახედვის ფარგლებს გარეთ. შემდგომი კვლევა-ძიებისასაც ყურადღება ექცეოდა ცალკეულ ენათა აღწერითი გრამატიკების შედგენას, ზოგადი ხასიათის ნაშრომების შექმნასა და დალესტნურ ენათა ქვეჯგუფების შესახებ კონკრეტული საკითხების დამუშავებას. შედეგიც სათანადოა: ადრეულ ეტაპზე ა.მეიეს დროული შენიშვნისა და მოგვიანებით არნ. ჩიქობავას მოწოდების [მეიე 1920 : 263; ჩიქობავა 1942 : 284; 1965 : 396] მიუხედავად, დღემდე არ მოგვეპოვება არათუ მთლიანად ნახურ და დალესტნურ ენათა, არამედ ცალკე დალესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკაც. მართალია, ზოგი მკვლევარი [კლავროთი 1814; შიფნერი 1856; 1862; 1863; უსლარი 1888; 1889; 1890; 1892; 1896; ერკერტი 1895; ღირი 1903; 1905; 1906; 1907; 1908; 1912; 1928; ჟირკოვი 1924...] კავკასიურ ენათა გრამატიკებსა თუ განმაზოგადებელ ნაშრომებში ხანდახან მიმართავდა ლექსიკურ შედარებებს<sup>1</sup>, მაგრამ ამგვარი შეპირისპირებები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, შესატყვისობათა დადგენის სისტემურობასა და კანონზომიერებას მოკლებული იყო. ეს კი, ბუნებრივია, იწვევდა სამართლიან კრიტიკას: „...ამგვარი შედარებანი და განსჯანი არ შეიძლება იყოს მეცნიერულად ღირებული, სანამ არ დაემყარება კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკას, რომელიც აგებული იქნება ნებისმიერი ენობრივი ჯგუფის შედარებითი გრამატიკის პრინციპების მიხედვით“ [ტრუბეცკო 1987 : 223].

ნახურ და დალესტნურ ენათა კომპარატივისტულ კვლევას სათავე დაედო XX ს. დამდეგიდან. პირველ ნაშრომთაგან უნდა აღინიშნოს დალესტნურ ენათა შვიდი აღწერითი მონოგრაფიის ავტორის – ა. ღირის ლექსიკონი, რომელშიც შეპირისპირებულია 130-მდე სემანტიკურად თანხვედრილი სიტყვა ანდიურ-დილოურ ენებში [ღირი 1906 : 170-179]. შედარებულია, აგრეთვე, დაახლოებით 150 ლექსიკური ერთეული ათივე ლეზგიური ენისა [ღირი 1907 : 156-167]. ამის გარდა, საყურადღებოა ა. ღირის გამოკვლევა, რომელშიც იგი მსჯელობს არჩიბულის ადგილის შესახებ დალესტნურ ენათა შორის [ღირი 1908] და წახური ენის გრამატიკული მიმოხილვა, რომელშიც მოყვანილია წახური, რუთულური, აღულური და თაბასარანული ენის პრევერბთა შედარებითი ტაბულა [ღირი 1913 : 5]. საყურადღებოა, რომ ა. ღირი ნახურ და დალესტნურ ენებს ერთი ძირისად მიიჩნევს. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ა. ღირის ისტორიულ-შედარებითი შტუდიები ძირითადად შეპირისპირებით ხასიათს ატარებს და შემოიფარგლება ლექსიკურ და გრამატიკულ მსგავსებათა ფაქტის უბრალო კონსტატაციით. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ა. ღირის ნამოღვაწარის დაკნინებას. პირიქით, მისმა ნაშრომებმა და მასალებმა შეამზადეს საფუძველი საკვლევ ენათა შედარებითი კვლევა-ძიებისთვის. არნ. ჩიქობავა ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ნაშრომზე [ღირი 1928] მსჯელობისას აღნიშნავს: „...ად. ღირის ეს „შესავალი“ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სინამდვილეს წარმოგვიდგენს ისეთი ს ი ს რ უ ლ ი თ, როგორც მანამდე არც ერთ შრომაში არ ყოფილა მოცემული“ [ჩიქობავა 1965 : 278].

---

<sup>1</sup> მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ პ.უსლარის მოსაზრება ხუნდ. რაკ : ლაკ. დაკ : ჩეჩნ. დჟოგ... „გული“ ლექსემის საერთო წარმომავლობის შესახებ [უსლარი 1890 : 234].

თავდაპირველად მოკლედ განვიხილავთ იმ ნაშრომებს, რომლებიც ეხება ორივე (ნახურ და დაღესტნურ) ჯგუფს, ხოლო შემდეგ ცალ-ცალკე წარმოვადგენთ საკვლევ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ისტორიას.

ნახურ და დაღესტნურ ენათა კომპარატივისტიკის პიონერად სავსებით სამართლიანად ითვლება ნ. ტრუბეცკო, რომლის კალამსაც ეკუთვნის განმაზოგადებელი ნაშრომები არამარტო საკვლევ ენათა კონსონანტური სისტემებისა და მორფოლოგიური სტრუქტურების შესახებ, არამედ მთლიანად ჩრდილოკავკასიურ ენათა სათანადო სისტემებისა და სტრუქტურების შესახებაც [ტრუბეცკო 1922; 1924; 1926; 1926ა; 1929; 1930; 1987]. ნ. ტრუბეცკოს პირველი სტატია ეხება [ტრუბეცკო 1987 : 233 - 246] ჩრდილო-კავკასიურ ენათა ლატერალური აფრიკატებისა და სპირანტების არტიკულაცია-რეკონსტრუქციის საკითხებს. იგი ადგენს ლატერალთა კანონზომიერ შესატყვისობებს ჩრდილო-კავკასიურ ენათა შორის, თუმცა მხედველობიდან რჩება ყრუ აბრუპტიული არაინტენსიური ლატერალი ტ', რადგანაც იგი წინამორბედ მკვლევარ-კავკასიოლოგთა მასალებში, რომლებსაც ნ. ტრუბეცკო ემყარებოდა, არ იყო წარმოდგენილი. ავტორი გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას, რომ ჩრდილო-კავკასიურ ენებს უნდა ჰქონოდა ყრუ ველარული სპირანტები, რომლებიც პრეპალატალიზაციის გზით ხუნძურ-ანდიურ ენებში ლატერალებად იქცნენ. ამასთანავე, ყურადღებას ამახვილებს მათ ფიზიოლოგიურ ბუნებაზე. ნ. ტრუბეცკო საბოლოოდ ასკენის, რომ „...ყველა სიტყვაში, სადაც არჩიბულსა და ხუნძურ-ანდიურ ჯგუფში გვაქვს ყრუ ლატერალური სპირანტები (ღ, ლ, ლბ), უნდა ვივარაუდოთ ამოსავლად (ხ, ხ', ხა) [ტრუბეცკო 1987 : 243], რაც ძირითადად გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში. არანაკლებ ფასეულია ნ. ტრუბეცკოს მეორე გამოკვლევა, რომელიც ეხება ხუნძურ-ანდიურ ენათა სპირანტული რეკურსიის მქონე ინტენსიურ აფრიკატებსა და სპირანტებს [ტრუბეცკო 1987 : 247-270]. ამ ნაშრომში ცნობილია კომპარატივისტმა ბრწყინვალედ ახსნა და აღადგინა ინტენსიურთა და არაინტენსიურთა სისტემა აღნიშნულ ენებში, თუმცა თვალშისაცემია ზოგიერთი ნაკლიც. ტ. გუდავას შეფასებით: „მიუხედავად მისი ნაშრომის დიდი ღირსებისა, მასში აქა-იქ შეცდომებიცაა გაპარული, ზოგი დებულება კი სადავოა. შეცდომათა უმეტესობა აიხსნება იმ მასალის სიმცირითა და არასიზუსტით, რასაც მკვლევარი ემყარებოდა... არაფერს ვამბობთ იმაზე, ტრუბეცკოს არ შეეძლო ესარგებლა იმ ენებისა და დიალექტების მონაცემებით, რომელთა შესახებ მაშინ არაფერი, ან თითქმის არაფერი მოიპოვებოდა“ [გუდავა 1959 : 261-262].

ჩვენ სინტერესოდ გვეჩვენა ნ. ტრუბეცკოს მოსაზრებანი ნახურ და დაღესტნურ ენათა ფონოლოგიური სისტემების შესახებ მის ერთ-ერთ წერილში [ტრუბეცკო 1987 : 283-321]. ავტორი განიხილავს ამ ენათა კონსონანტურ სისტემებს, რომლებში შემავალი ჩქამიერი ფონემები აწარმოებენ, ერთი მხრივ, ლოკალურ რიგებს, ხოლო, მეორე მხრივ, საარტიკულაციო კლასებს. ყურადღებას იქცევს დასკვნითი ნაწილი, რომელშიც წამოყენებულია მართებული დებულება ინტენსიური თანხმონების პირველადობის შესახებ წინარეაღმოსავლურ-კავკასიურ ფუძეენაში, თუმცა ლაბიალიზაციისა და ფარინგალიზაციის კორელაციის არსებობის გაზიარება ჭირს (ამისი დასაბუთება სათანადო ადგილას იქნება მოცემული) [იხ. სტაროსტინი 1987 : 173].

ნ. ტრუბეცკო იკვლევდა არა მარტო ფონეტიკა-ფონოლოგიის, არამედ მორფოლოგიის საკითხებსაც, თუმცა ამ მხრივ მისი მოღვაწეობა მოკრძალებულად ითვლება [დაწვრ. იხ. ალექსეევი 2003 : 4-8]. კერძოდ, მას

მოპოვება 1928 წელს დაწერილი სტატია ნახურ-დაღესტნურ ენათა ზმნის სტრუქტურის შესახებ [ტრუბეცკოი 1987 : 324-337]. მიახლოებით ანალოგიური ნაშრომები მოეპოვება რ. ლაფონს [ლაფონი 1952; 1963], რომლებიც უპირატესად ნ. ტრუბეცკოის ზემოხსენებულ სტატიებსა და მათში წარმოდგენილ რეკონსტრუქციებს ემყარება.

წინა საუკუნის 30-იანი წლების კავკასიოლოგებიდან შეიძლება დავასახელოთ ე. დიუმეზილი, რომელსაც მოეპოვება რამდენიმე შრომა საკუთრივ ნახურ [დიუმეზილი 1933], ან ერთობლივად ნახურ-დაღესტნურ (და სხვა კავკასიურ) ენათა შესახებ [დიუმეზილი 1933ა; 1933ბ; 1934; 1938; 1947...]. გამოჩენილი ფრანგი ლინგვისტი, ნ. ტრუბეცკოის ანალოგიურად, გამოიჩინა გარეგნული მსგავსების საფუძველზე გრამატიკული ინვენტარისა და სემანტიკური ასპექტების ურთიერთმიმართების საკითხების კომპლექსური შესწავლით. ერთ-ერთ კრებულში „მსოფლიო ენები“ ე. დიუმეზილმა წარმოადგინა კავკასიურ ენათა ზოგადი დახასიათება [დიუმეზილი 1952].

30-იანი წლების მიწურულს დაისტამბა ცნობილი ისტორიკოსისა და ლინგვისტის ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური მონოგრაფია ქართველური და კავკასიური ენების შესახებ [ჯავახიშვილი 1937], რომელსაც მეცნიერმა 14 წლის მანძილზე დიდი ენერგია შეაღია. მასში განხილულია რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, სახელთა ძირები, ზმნები და მათი უღვლილებების თავისებურებანი, გრამატიკული კლას-კატეგორიის (ავტორის მიხედვით, „სქეს-კატეგორიის“) საკითხები მრავალრიცხოვან იბერიულ-კავკასიურ ენებში. მიზანდასახულობიდან გამომდინარე, მას სურდა ეჩვენებინა მსგავსება-განსხვავებანი როგორც სინქრონიული ვითარებისა დიაქრონიულთან შედარებით, ისე ერთი ენობრივი ჯგუფისა სხვა ენობრივ ჯგუფებთან მიმართებით. მონოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა ნახურ-დაღესტნურ ენათა ლექსიკური თუ გრამატიკული მასალის ეტიმოლოგიურსა და მორფოლოგიურ ანალიზს. ქ. ლომთათიძის შეფასებით: „...სრულიად განუზომელია ი. ჯავახიშვილის ის ღვაწლი, რაც მას მიუძღვის იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების როგორც საენათმეცნიერო დარგის ჩამოყალიბების საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ სათავე ამ დარგის ჩამოყალიბებასაც ი. ჯავახიშვილმა დაუდო და ზუსტად მოხაზა ის მეთოდოლოგიური წინამძღვრები, რაც ამ რთული სამეცნიერო უბნის კვლევა-ძიების გაშლას მოეთხოვება“ [ლომთათიძე 1968 : 263].

საკვლევე ენათა მასალა სპეციალური განხილვის საგნად უქცევია არნ. ჩიქობავას არაერთ წერილსა და მონოგრაფიაში [ჩიქობავა 1937 : 97-106; 1942: 221-247; 1942ა : 373-380; 1974 : 45-61; 1979...], რომელთა შესახებ ნაშრომში სათანადო საკითხთან დაკავშირებით იქნება მითითებული. საგანგებოდ აღსანიშნავია მისი ერთ-ერთი ნაშრომი, რომელიც სახელმძღვანელოდ არის დამტკიცებული და ვრცლად აშუქებს იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიას XX ს.-ის 60-იან წლებამდე [ჩიქობავა 1965]<sup>2</sup>.

დაღესტნურ ენათა ცნობილ მკვლევარს კ. ბოუდას, ცალკეული დაღესტნური ენებისადმი მიძღვნილი ნაშრომების [ბოუდა 1939; 1949; 1953] გარდა, მოეპოვება განზოგადებითი ხასიათის ნაშრომი კავკასიურ ენათა შესახებ, რომელშიც მოცემულია სამწერლო ენათა მეტყველების ნიმუშები და გრამატიკული მოვლენების მოკლე მიმოხილვა [ბოუდა 1960].

60-იანი წლების დამდეგს იყო ცდები ნახურ და დაღესტნურ ენათა შორის ბევრათმესატყვისობათა

<sup>2</sup> დასაწინაა, რომ ბოლოხანს გამოქვეყნებულ ნაშრომებში ი. ჯავახიშვილისა და არნ. ჩიქობავას სათანადო ნაშრომებზე მითითება არ გვხვდება [იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994; ნიკოლსი 2003...].



დადგენისა [ბოკარევი 1961; 1981] , მაგრამ მან დიდი შედეგი ვერ მოიტანა [გიგინეიშვილი 1977 : 82-83]. გაზვიადებული ჩანს მ. ალექსეევის გამონათქვამი, თითქოს ფონემათშესატყვისობანი სათანადო საილუსტრაციო მასალით ძირითადად დადგენილი იყოს [ალექსეევი 2003 : 10].

კლასოვანი და პიროვანი უღვლილების საკითხებს განიხილავს ნ. ანდლულაძე თავის ცნობილ მონოგრაფიაში, რომელშიც ნახურ-დალესტნური ენების თავისებურებათა ჩვენებას წამყვანი ადგილი უჭირავს [ანდლულაძე 1968]. ხსენებული ნაშრომი ძირითადი განხილვის ობიექტად აქცევს გრამატიკული კლასის კატეგორიას, რომელიც საკვლევ ენათა კარდინალურ საკითხს წარმოადგენს. ამავე საკითხს ეხება მ. გაჯიევისა და ა. მაჰომედოვის წერილი [გაჯიევი, მაჰომედოვი 1996 : 44-61]. დაახლოებით ანალოგიურია ა. მაჰომედოვის წერილიც [მაჰომედოვი 1992].

ნ. ტრუბეცკოისა და ჟ. დიუმეზილის მეთოდოლოგიურ წანამდგრებზე დამყარებით, ნ. ნაზაროვი იკვლევდა აღმოსავლურ-კავკასიურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხებს [ნაზაროვი 1974]. აღსანიშნავია აგრეთვე ა. აბდოკოვის ნაშრომი [აბდოკოვი 1976].

ეტიმოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ს. სტაროსტინისა და ს. ნიკოლაევის ლექსიკონი, რომელშიც წარმოდგენილი რეკონსტრუირებული არქეტიპები მეტწილად გაუგებარია, ხოლო შესადარებლად მოყვანილი მასალა-არაიშვიათად ტენდენციურად შერჩეული [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994]. დაახლოებით ანალოგიურია ზემოხსენებული ლექსიკონის ერთ-ერთი თანავტორის ამავე თემატიკაზე დაწერილი სტატია [სტაროსტინი 1995 : 42-64]. ს. სტაროსტინს აღმოსავლურ-კავკასიური ფუძემდებლის ძირითად ბრუნვათა რეკონსტრუქციის ცდაც მოეპოვება [სტაროსტინი 1991].

ნახურ-დალესტნურ ენათა ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგიის კუთხით მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომს წარმოადგენს მ. ალექსეევის მონოგრაფია [ალექსეევი 2003]. ავტორი ამ ნაშრომის შესავალში საგანგებოდ მსჯელობს და მხარს უჭერს რ. რასკისა და არნ. ჩიქობავას მოსაზრებებს გრამატიკული ინვენტარის უპირატესობაზე ენათა ნათესაობის დასამტკიცებლად. გარდა ამისა, მონოგრაფიაში გამოწველილვით არის განხილული ბრუნვის, რიცხვისა და კლასის კატეგორიები. თითოეული გრამატიკული კატეგორია, ენათა და დიალექტთა სათანადო მონაცემების მაქსიმალურად გათვალისწინებით, გაანალიზებულია სიღრმისეულად.

ბოლო დროის უცხოელ ავტორთაგან აღსანიშნავია ჯ. ნიკოლსის ნაშრომები [ნიკოლსი 1994 : 160-179; 2003 : 207-264]. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბოლო სტატია, რომელიც მიზნად ისახავს პროტონახურ-დალესტნურ ენათა რთული კონსონანტური სისტემის რეკონსტრუქციას ფუძემდებელში და თანხმოდანთშესატყვისობების დადგენის სერიოზულ ცდას წარმოადგენს. ჯ. ნიკოლსი, როგორც თავადვე აცხადებს, სახელმძღვანელოდ იყენებს ბ. გიგინეიშვილისა და ე. ბოკაროვის ცნობილ ნაშრომებს [გიგინეიშვილი 1977; ბოკარევი 1961; 1981], ხოლო საანალიზო მასალას იღებს, ავტორის აზრით, სანიმუშოდ ტრანსკრიბირებული ა. კიბრიკისა და ს. კოდასოვის დალესტნურ ენათა შეპირისპირებითი ლექსიკონებიდან [კიბრიკი, კოდასოვი 1988; 1990]. ნაშრომი შეიცავს: 1) შესავალს, 2) ძირითად სეგმენტურ შესატყვისობებს, 3) მორფოლოგიური წესს, 4) ნახურ-დალესტნური ნათესაობის ხეს. თითოეული თავი, თავის მხრივ, იყოფა ქვეთავებად, რასაც ნაშრომის ძირითად ნაწილში ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად შევეხებით.

საკვლევ საკითხთა ისტორიაზე მსჯელობისას არ შეიძლება არ აღინიშნოს მ. ქურდიანისა და მ. ჩუხუას

კაპიტალური მონოგრაფიები, რომლებიც ორგანულად უკავშირდებიან შესასწავლ თემას [ქურდიანი 2007; ჩუხუა 2008]. პირველი ნაშრომი საინტერესოა არა მარტო იბერიულ-კავკასიურ ენათა ცალკეულ ჯგუფებს შორის ფონემათშესატყვისობათა ახლებურად გადაწყვეტის ცდებით, არამედ სათანადო კომპარატივისტული მეთოდოლოგიის ახლებურად გააზრების კუთხითაც. რაც შეეხება მეორე ნაშრომს, იგი უშუალოდ ეხება ქართველურ და ნახურ ენათა შორის ფონემათშესატყვისობათა ჩვენებას, თუმცა არაიშვიათად დაღესტნურ ენებშიც არის დაძებნილი პარალელები.

**2. საკითხის ისტორია ნახურ ენებში.** ნახურ ენათა ლექსიკური მასალა მკვლევართათვის პირველად ცნობილი გახდა ი. გიულდენშტედტის შრომების მიხედვით, სადაც მოცემულია დაახლოებით სამასამდე გერმანული სიტყვის თარგმანი ჩეჩნურ-ინგუშურ-წოვათუშურ ენებზე. მასალა ჩაწერილია 1770-73 წლებში მისი მოგზაურობის დროს კავკასიაში (იხ. „გიულდენშტედტის მოგზაურობა“ გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ. ტ. II. 1964).

ნახური სპეციფიკური ფონემების გადმოსაცემად, რა თქმა უნდა, გუთური ანბანი საკმარისი არ იყო, რაც სიტყვათა დამახინჯების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. გარდა ამისა, ამ მასალაში მრავლადაა სემანტიკური ხასიათის შეცდომებიც – ბევრი სიტყვა არასწორად არის თარგმნილი.

მიუხედავად ამისა, ი. გიულდენშტედტის მიერ დაფიქსირებული ლექსიკური მასალა (და მცირეოდენი ფრაზები) მნიშვნელოვანი წყაროა ნახურ ენათა შესწავლისას. ამ მასალის საშუალებით, ხშირ შემთხვევაში, ხერხდება ორი საუკუნის წინანდელი ნახური ენობრივი მდგომარეობის შედარება დღევანდელ ვითარებასთან.

ი. გიულდენშტედტი მუშაობდა (და მოგზაურობდა) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით. კავკასიაში მას, სხვა საქმიანობასთან ერთად, დავალებული ჰქონდა ენობრივი მასალის შეგროვებაც „ეკატერინე მე-2-ის დიდი შედარებითი ლექსიკონისათვის“. აღნიშნული მასალა მართლაც დაიბეჭდა ამ ლექსიკონში. ასიოდე ახალი სიტყვის დამატებით (იხ. Паллас П. Сравнительные словари всех языков и наречий, собранные десницею всевысочайшей особы. т. I, 1787; т. II, 1789. СПб).

ჩეჩნური ლექსიკა მოცემული აქვს ი. კლაპროთსაც. მასალა მოპოვებულია 1807-58 წლებში. დაიბეჭდა ორ წიგნად. ჩეჩნური ლექსიკა დაბეჭდილია მე-2 წიგნში ( I. Klaproth, Kaukasische Sprachem. Anfang zur Reize in den Kaukaus und nach Georgien Halle und Berlin. 1814).

ორივე ამ ნაშრომში, რა თქმა უნდა, ნახურ ენათა მასალა დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან, ხშირ შემთხვევაში სიტყვათა ამოცნობა ჭირს.

პირველი გრამატიკა ნახურ ენათაგან წოვათუშურს მიეძღვნა, ავტორია წოვათუში იობ ცისკარიშვილი, რომელმაც 1848 წელს, მარი ბროსეს თხოვნით, გრეჩეს რუსული გრამატიკის მიხედვით შეადგინა წოვათუშურის გრამატიკა (მარი ბროსე ალვანში გაეცნო იობ ცისკარიშვილის), თარგმნა წოვათუშურად ახალი ალექსის რამდენიმე თავი და შეადგინა ლექსიკონი (8000 სიტყვიანი). ეს მასალა მ. ბროსემ პეტერბურგში გადასცა ანტ. შიფნერს ( ამჟამად ინახება პეტერბურგის საზოო მუზეუმის ფონდში), რომელმაც გადაწვიტა წოვათუშურის ახალი გრამატიკის შედგენა. ამის საშუალება მას, მართლაც, მიეცა, XIX საუკუნის 50-იან წლებში პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა იობ ცისკარიშვილის ძმა გიორგი, იგი ეხმარებოდა

ანტ. შიფნერს აღნიშნულ ტექსტებში გარკვევაში.

ა. შიფნერს მუშაობა გ. ცისკარიშვილთან გაგრძელდა ცხრა თვე, რის შემდეგაც, ავადმყოფობის გამო, გ. ცისკარიშვილი საქართველოში გამოემგზავრა. ამ მუშაობის შედეგად დაიბეჭდა ა. შიფნერის „მოკლე დახასიათება თუშური ენისა“ 1854 წელს, ხოლო 1856 წელს „ცდა თუშური ენის შესახებ ანუ ქისტური კილოს შესახებ თუშეთში (გერმანულ ენაზე).

ანტ. შიფნერი, როგორც თვითონ წერს, თავის პირველ ნაშრომში ცდილობდა ბაცბურის მთავარი დამახასიათებელი თავისებურებების გარკვევას. ამ ორი ნაშრომიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე, სადაც განხილულია ფონეტიკა -მორფოლოგია, ტექსტები, ლექსიკონი.

ნაშრომის ფონეტიკური ნაწილი დაწვრილებით განიხილავს ბაცბურის ბგერით შედგენილობას, ფონეტიკურ პროცესებს. ხმოვნებიდან ამოსავლად მიაჩნია ა, ო, ი (ო-ს საკითხი ამოსავალში ამჟამად მოხსნილია), თანხმოვნებიდან არ არის გამორჩენილი ერთადერთი ლატერალი, რომელიც ნახურ ენათაგან მხოლოდ ბაცბურისთვის არის დამახასიათებელი. განხილულია ბგერათა განაწილების საკითხი, ხმოვანთა კომპლექსები, ახსნილია ზოგი მათგანის მიღების გზები, ხმოვნის რედუქციის შემთხვევები და ამ პროცესისთვის საჭირო პირობები; განხილულია, აგრეთვე, თანხმოვანთა კომპლექსები, მათი განაწილება სიტყვებში პოზიციების მიხედვით, შენიშნულია სხვა სახის ფონეტიკური მოვლენები (ნაზალიზაცია და ა.შ.).

მორფოლოგიაში დახასიათებულია სიტყვის სტრუქტურა, ჩამოთვლილია სუფიქსები, საუბარია გრამატიკული კლასის საკითხებზე, მრავლობითი რიცხვის წარმოებაზე სახელებში, რიცხვის მაწარმოებელ ფორმანტა გენეზისზე; მოცემულია სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღლების ანალიზი, სიტყვის ფუძეთა სტრუქტურა, მორფონოლოგიური პროცესები სიტყვათა ბრუნებისა თუ უღლების შემთხვევაში და ა.შ. არ არის გამორჩენილი სიტნაქსური საკითხები. მოკლედ არის მოცემული სახელთა დაკავშირების საკითხები სახელებთან, სახელისა და ზმნის ურთიერთობის ფორმები, სადაც რიგი მნიშვნელოვანი დასკვნაა გამოტანილი.

არნ. ჩიქობავას შეფასებით, ა. შიფნერის ეს ნაშრომი წარმოადგენს პირველ მეცნიერულ აღწერით გრამატიკას იბერიულ-კავკასიურ ენათათვის. ასეთი გრამატიკა იმ პერიოდში ქართული სათვის არ არსებობდა.

მამასადაძე, ა. შიფნერის უდიდესი ღვაწლი მიუძღვის წოვათუშური ენის შესწავლის საქმეში. მანვე გადაამუშავა პ. უსლარის ჩეჩნური ენის გრამატიკაც (დაიბეჭდა 1888 წელს დანართის სახით წიგნში „პ. უსლარი, ჩეჩნური ენა“).

ა. შიფნერის ნაშრომი დაწვრილებით აქვს შესწავლილი ი. ჯოლბორდს (იხ. მისი „ა. შიფნერი და წოვა-თუშური ენის ფონეტიკის საკითხები, იკე, XX, 1978, გვ. 191-213, აგრეთვე, მისივე – საკანდიდატო დისერტაცია).

1852 წელს ლ. ტოლსტოიმ გამოაქვეყნა ორი ჩეჩნური ლექსი, რომელთაც, ჩანაწერის თვალსაზრისით შეცდომების გამო, რაიმე ღირებულება არა აქვთ.

ნახურ ენათაგან ჩეჩნური ენის მეცნიერულ შესწავლას პ. უსლარმა ჩაუყარა საფუძველი. 1862 წელს მან შეადგინა მონოგრაფია „ჩეჩნური ენა“ (დაიბეჭდა 1863 წელს ლითოგრაფიულად), 1888 წელს სტამბურად თბილისში).

პ. უსლარის მონოგრაფიის სტრუქტურა თითქმის იგივეა, რაც შიფნერი ნაშრომისა, ოღონდ საანალიზო

მასალა უფრო ვრცელია, ანალიზიც უფრო სულია. ამ მხრივ პ. უსლარის შრომები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

პ. უსლარის „ჩენურ ენაში“ ანბანი მოცემულია რუსული გრაფიკის საფუძველზე. ზოგი სპეციფიკური ბგერის გადმოსაცემად შეცვლილია რუსული ასოები დიაკრიტიკული ნიშნებით, დამატებულია რამდენიმე ლათინური და ქართული გრაფემა. აქვე მოცემულია ზოგი ფონეტიკური მოვლენის ასხნის ცდაც.

მორფოლოგიურ ნაწილში განხილულია ყველა მეტყველების ნაწილი, სახელთა ბრუნების საკითხები, ზმნათა უღლების პრინციპები, სახელური და ზმნური სიტყვაწარმოების საკითხები. მნიშვნელოვანია პ. უსლარის მსჯელობა გრამატიკული კლასის შესახებ ჩენურში. მისი დებულება, რომ სახელთა განაწილების პრინციპი გრამატიკული კლასების მიხედვით გამოცანას წარმოადგენსო, დღესაც აუხსნელი რჩება ნახური ენების მასალაზე.

სინტაქსი ცალკე არ არის გამოყოფილი, მაგრამ ნაშრომში არის მსჯელობა ზოგი სინტაქსური მოვლენის შესახებ (ატრიბუტული და პრედიკატიული სინტაგმის საკითხები, რთული ქვეწყობილი წინადადების გადმოცემის სპეციფიკა და სხვ.).

ენის გრამატიკულ ანალიზს მორფოლოგიაში მისდევს ტექსტები რუსული თარგმანით და ჩენურ-რუსული ლექსკონით. საინტერესოა, რომ სიტყვებს ლექსიკონში მორფოლოგიური კვალიფიკაცია ეძლევათ, მიუთითებულება გრამატიკული კლასის ნიშნები სახელებთან.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ უსლარის შრომების ნაკლზე, ეს არის მასალის დალაგების უსისტემობა, არათანმიმდევრობა, რაც ჩენური ენისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაზეც ითქმის.

პ. უსლარის მონოგრაფიაში მართებულად არის გადაჭრილი ბგერი გრამატიკული საკითხი, გარდა ამისა, ეს ნაშრომი სანამუშაო იმ მხრივაც, რომ საანალიზო მასალა დიდი სიზუსტით არის ჩაწერილი, რაც ამ ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა. ამგვარად, პ. უსლარის ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა და ნახურ ენათა მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის მას.

პ. უსლარის სახელს უკავშირდება ჩენური ენის პირველი საანბნო წიგნი (33 გვ.), რომლის ავტორად ქედი ლოსოვი ითვლება. სავარაუდოდ, ეს ნაშრომი პ. უსლარის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით უნდა იყოს შედგენილი.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი და XX საუკუნის I მეოთხედი გამოირჩევა განმანათლებლური ხასიათის ნაშრომებით. ამ პერიოდის ნაშრომებიდან შედარებით მნიშვნელოვანია ტ. ელდარხანოვის სახელმძღვანელო (სასკოლო) წიგნი ჩენურში. (1911. თბილისი). განმანათლებელთა (ელდარხანოვის გარდა, ს. გაისუმოვი, ა. თუჩაევი, შ. საუგაიევი...) საქმიანობა დამთავრდა 1938 წელს რუსული ანბანის მიღებით ჩენურ-ინგუშურისთვის.

1895 წელს ენაში დაიბეჭდა რ. ერკერტის ნაშრომი „კავკასიური ძირის ენები“. ამ ნაშრომის I ნაწილში 545 სიტყვა თარგმნილია 30 კავკასიურ ენა-კილოზე, მათ შორის არის ჩენური ენის მასალაც (არ არის ბაცბური და ინგუშური).

II ნაწილში წარმოდგენილია ფრაზები თავიანთი თარგმანებით იმავე ენებზე, მაგრამ ნახურ ენათაგან დამატებულია ინგუშურიც. ნაშრომის ამ ნაწილს ერთვის გრამატიკული შენიშვნებიც. ასე, მაგალითად, ჩენური

განასხვავებს სქესებს არსებით სახელებში, ზედსართავებში, ზმნებში, ამიტომ ეს ენა დაღესტურ ენათა ჯგუფში შედის აფხაზურთან ერთად. ან კიდევ: ჩეჩნური ენის სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ზოგი სუფიქსი იძებნება დიდოურ ენებში, საერთოს ვპოულობთ ბრუნვათა ნიშნებშიც და სხვ.

რ. ერკერტის ნაშრომის ნაკლია შესადარებელ ერთეულთა ისტორიის გაუთვალისწინებლობა და აქედან გამომდინარე მცდარი დასკვნები. გარდა ამისა, სიზუსტე ამ მასალასაც ალია, ბევრი სიტყვის ამოცნობა თითქმის შეუძლებელია.

1928 წელს დაიბეჭდა ა. ღირის ნაშრომი „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“ (ლაიფციგი), სადაც, სხვა კავკასიურ ენათა გვერდით, მოცემულია ნახურ ენათა მოკლე გრამატიკული მიმოხილვები. ავტორი ემყარება ა. შიფნერისა და პ. უსლარის ნაშრომებს, ინგუშურის მიმოხილვა ამ ნაშრომში რამდენიმე გვერდზეა წარმოდგენილი.

ძალიან მწირია ნახურ ენათა მასალა უ. დიუმევილის (1933) და ნ. ტრუბეცკოის ნაშრომებში, სადაც მოცემულია სიტყვის ფუძეთა შედარებითი ანალიზი ჩრდილო-კავკასიურ ენებში. მაგალითად, ნ. ტრუბეცკოის ნაშრომში „აღმოსავლურ კავკასიურ ენების თანხმობათა სისტემა“ (1931, ლაიფციგი) მოცემულია ჩეჩნურ და ბაცბურ ენათა თანხმობების სისტემა. ანალიზი ემყარება ა. შიფნერისა და პ. უსლარის ნაშრომებს. შესწავლილია თანხმობების სისტემა ანლაუტსა და ინლაუტში, იგი ასკვნის, რომ მაგარი თანხმობები გვხვდება ამ ენებში მხოლოდ ინლაუტში. მაგარი თანხმობები ნახურში დასტურდება აუსლაუტშიც.

ნახურ ენათა შესწავლილს საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ა. მაციევის ნაშრომებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. მაციევის ლექსიკოლოგიური საქმიანობა, მას ეკუთვნის არაერთი ლექსიკონი (იხ. ბიბლიოგრაფია), მათ შორის შემავჯამებულია „ჩეჩნურ-რუსული ლექსიკონი“ (1961, მოსკოვი) და „რუსულ-ჩეჩნური ლექსიკონი“ (1978, მოსკოვი). ეს ლექსიკონი ა. მაციევის გარდაცვალების გამო, დასრულა ა. კარასევა. აქვე ვიტყვი, რომ ა. მაციევს ეკუთვნის განმაზოგადებელი ნაშრომი ჩეჩნური ლექსიკონის შესახებ („ნარკვევები თანამედროვე ჩეჩნური ენის ლექსიკოლოგიიდან“, 1973, გროზნო, „ჩეჩნური ენის ჭებერლოური დიალექტი“, 1965, გროზნო და სხვ.).

მნიშვნელოვანია ნაშრომები, რომლებითაც ნახური ენათმეცნიერება გაამდიდრეს ინგუშმა ენათმეცნიერებმა ზაურბეგ და ლომლუყო მალსაგოვებმა. ზ. მალსაგოვს ეკუთვნის ინგუშური ენის პირველი მეცნიერული გრამატიკა, რომელიც ინგუშურ ენაზეა დაწერილი (1925, 1926 – რუსულად, ვლადიკავკაზი). განსაკუთრებით ფასეულია მეცნიერებისათვის დ. მალსაგოვის ნაშრომი „ჩეჩნურ-ინგუშური დიალექტოლოგია და ჩეჩნურ-ინგუშური სალიტერატურო ენის განვითარების გზები“ (1941, გროზნო). ეს არის პირველი ნაშრომი, რომელიც ნახურ ენათა დიალექტებს ეხება, ამ ნაშრომს თავისი მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს.

XX საუკუნის I მეოთხედში იყო ცდები, რომ ახიური დიალექტი ცალკე ენად გამოეცნადა ბინათ. ზ. მალსაგოვმა სათანადო ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე უარყო ასეთი ცდები, მან დაასაბუთა, რომ ახიური არის ჩეჩნური ენის ერთ-ერთი დიალექტი და იგი ცალკე ენას არ წარმოადგენს („ნარკვევები ახიურ ენაში“, 1998). ორივე ინგუშ მკვლევარს ცდა არ დაუკლია, რომ გაერთიანებულიყო ჩეჩნურ-ინგუშური სალიტერატურო ენები, მაგრამ მათ საქმიანობას რეალური შედეგი არ მოჰყვა.

ნახურ ენათა ფონეტიკას ეხება ალ. ტრომბეტის ნაშრომი („Elementi di Glottologia. Bologna,

1923), მნიშვნელოვანია ალფ. სომერფელტის ნაშრომები ასევე ფონეტიკაში. კერძოდ, სომერფელტის ნაშრომებიდან პირველი ეძღვნება ხმოვანთა პარადიმატულ ანალიზს ნახურ ენებში, სადაც ცალკეა განხილული ხმოვნები სამივე ენისა, მათი შესატყვისობები ენების მიხედვით, აღგენილია ვითარება ფუძენახურში, მსჯელობა არის თანხმოვანთა კლასიფიკაციაზე, მახვილზე.

მე-2 სტატიაში განხილულია თანხმოვანთა შესატყვისობები ნახურ ენებში (ანლაუტში, ინლაუტში), გამოტანილია მნიშვნელოვანი დასკვნები.

მე-3 სტატია ეძღვნება თანხმოვნებს ეძღვნება. აღგენილია თანხმოვანთა სისტემა ფუძენახურ ენაში (A. Sommerfelt, *Etudes comparatives sur le Caucasique du Nord-ect.*- Norsk Tidsskrift for Sporgvidenskap. VII. Oslo, 1934; IX, Oslo, 1938; XIV, Oslo, 1947).

სომერფელტი თავს ნაშრომებში საანალიზოდ იყენებს სალიტერატურო ჩეჩნურს და, აგრეთვე, პ. უსლარისა და ან. შიფნერის ნაშრომებს.

ჩეჩნური ენის შესწავლის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნ. იაკოვლევის ნაშრომს „ჩეჩნური სალიტერატურო ენის სინტაქსი“ (1940, მოსკოვი-ლენინგრადი) და „ჩეჩნური ენის მორფოლოგია“ (1960, გროზნო). ამ ნაშრომებს თანაავტორებიც ჰყავთ, მაგრამ მათზე მითითება სატიტულო გვერდზე არ არის. ეს არის ერთადერთი ნაშრომი, რომელიც ნახურ ენათა სინტაქსს ეძღვნება. მისივე მორფოლოგია ყველაზე უფრო სრულია არსებულ გამოკვლევებს შორის, თუმცა მასში ვხვდებით ვრცელ მსჯელობებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ითარგმნოს ესა თუ ის ჩეჩნური გრამატიკული ფორმა რუსულად, რაც ნაშრომის მოცულობას ხელოვნურად ზრდის.

XX საუკუნის 40-50-იანი წლები ნახურ ენათმეცნიერებაში ერთგვარი კრიზისული პერიოდაა, რაც დაკავშირებული იყო ჩეჩნებისა და ინგუშების შუა აზიაში დეპორტაციით, ჩეჩნეთ-ინგუშეთის გაუქმებით (1944, 23.02- 1957, 9.01). ამ პერიოდში დაბეჭდილ ნაშრომთაგან აღსანიშნავია ი. დეშერიევის მონოგრაფია „ბაცბური ენა“ (1953, მოსკოვი). ნაშრომი ეხება ბაცბური ენის გრამატიკის ყველა ძირითად საკითხს. საკითხები ძირითადად სწორად არის გადაჭრილი. საილუსტრაციო მასალა მდიდარი და მრავალფეროვანია. ზოგი ნაკლის მიუხედავად ნაშრომი შესრულებულია ენათმეცნიერების განვითარების მოთხოვნათა შესაფერისად იმ პერიოდში. იგი წარმოადგენს, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, მნიშვნელოვან შენამდენს ენათმეცნიერებაში (რ. გაგუა, კ. ჭრელაშვილი..).

განსაკუთრებულია ი. დეშერიევის წვლილი ნახურ ენათა შესწავლის საქმეში. მისი სტატიები, მონოგრაფიები ეხება ნახურ ენათა თითქმის ყველა საკვანძო საკითხს. ასეთია, მაგალითად, „ბაცბური ენის“ გარდა, „თანამედროვე ჩეჩნური სალიტერატურო ენა. ნაწილი I. ფონეტიკა“ (1960, გროზნო). ეს არის პირველი შედარებითი გრამატიკა ნახური ენებისა, იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთ-ერთი ჯგუფისა, სადაც ნახურ ენათა ჯგუფის ფონეტიკა და მორფოლოგია არის განხილული შედარებით ასპექტში. ასეთი გრამატიკა იმ პერიოდში იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სხვა ჯგუფებს არ ჰქონდათ (და ახლაც არ აქვთ!). ან ნაშრომში მოცემულია ნახურ ენათა ისტორიის ძირითადი პრობლემების ანალიზი, განხილულია ამ ენათა ყველა ღონე – ფონეტიკა-მორფოლოგია, ლექსიკა. გარდა ამისა, ნაშრომში მოცემულია ნახი ხალხის და მათი ენების გენეზისის საკითხები, პროტონახურის კავშირის საკითხები ხურიტულ-ურარტულ ენებთან...

ი. ლეშერიევი ითვლება ენათმეცნიერებაში ახალი მიმართულების - სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად (ა. თიმაევი).

ფასდაუდებელია დ. იმნაიშვილის ნაშრომები, რომლებიც ნახურ ენებს ეძღვნება. პირველივე მის ნაშრომებში განხილულია სახელთა ბრუნების საკითხები ინგუშურში (განხილულია სამივე ნახური ენის მასალა) (1941. თბილისი თეზისებია დაბეჭდილი). მას შემდეგ დ. იმნაიშვილმა ნახურ ენებში მუშაობა განაახლა 1960-იანი წლებიდან (ჩეჩნებისა და ინგუშების ლეპორტაციის გამო იგი დაღესტნურ ენებს იკვლევდა). დ. იმნაიშვილს ეკუთვნის სტატიები, რომლებიც ეძღვნება ნახურ ენათა ფონეტიკას, ლექსიკას, ლექსიკოლოგიას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ნახურ ენათმეცნიერებაში აქვს მის შემავაძებელ ნაშრომს „ნახურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ (1977. თბილისი). არ დარჩენილა ნახურ ენათა ფონეტიკის არც ერთი საკითხი, რომელიც განხილული არ იყოს აღნიშნულ ნაშრომში. დ. იმნაიშვილის ლეზულებები ნახურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიის, ლექსიკოლოგიის საკითხებზე გაზიარებულია, სპეციალისთა მიერ, მაგალითად, ხმოვანთა სისტემა თანამედროვე ჩეჩურ-ინგუშურში რთულია, ბაცბურში – შედარებით მარტივი. როგორც იგი არკვევს, ნახურ ფუძემენაში უნდა ყოფილიყო სულ 4 ხმოვანი ( ა, ა, ი, უ), სადაც გრძელი ხმოვნის საკითხი მაინც ეჭვის ქვეშაა. ფუძემენაში ასევე უნდა ყოფილიყო ყველა ის მარტივი ხმოვანი, რომელიც დღეს გვაქვს, ივარაუდება მაგარი ტანხმოვნებისა და ლატერალების არსებობაც. ლატერალი ბგერა დღეს მხოლოდ ბაცბურში დასტურდება. თანხმოვანთა კომპლექსების ანალიზით ირკვევა, რომ ფუძე-ნახურში არსებობდა ფარინგალური დეცესიური თანხმოვანთა კომპლექსები.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის ადღენის შემდეგ იწყება ახალი ეტაპი ნახურ ენათა შესწავლისა ადგილზე. იბეჭდება ი. არსახანოვის, ი. აღიროევის, ა. თიმაევის, კ. ჩოქაევის, ი. ოზლოევის, ვ. ოზლოევას, რ. დოლაქოვას (ახრეევას), ა. ქურქიევის, ა. მაგომედოვის, ი. ესნაჯიევის, რ. სალამოვის, ზ. ხამილოვის, ა. ხაგილოვისა და სხვათა სტატიები და მონოგრაფიები, რომლებიც ეძღვნება ნახურ ენათა ცალკეულ პრობლემურ საკითხებს.

ნახურ ენათმეცნიერებაში მნიშვნელოვანია, მაგალითად, ი. არსახანოვის „თანამედროვე ჩეჩნური ენა“ სტუდენტებისათვის (1965, პედინსტიტუტი), რომელიც ასეთი დანიშნულების პირველი წიგნია ჩეჩნური ენაზე. ი. არსახანოვს ეკუთვნის პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა ჩეჩნური ენის ახიური დიალექტისა (1959), რომელიც სანიმუშო ჩეჩნური ენის დიალექტოლოგიაში. უფრო გვიან ამავე მკვლევარმა გამოაქვეყნა „ჩეჩნური ენის დიალექტოლოგია“ (1969), სადაც ცალ-ცალკეა დახასიათებული ჩეჩნური ენის დიალექტები და ზოგი კილოკავიც. ნაშრომს ერთვის დიალექტოლოგიური ტექსტებიც.

ნახურ ენათმეცნიერებაში ფასეულია ი. აღიროევის შრომები, როგორცაა: „ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტი“ (1962) (საკანდიდატო დისერტაცია), „გემინირებული თანხმოვნები ჩეჩნურში (1964), „მონოგრაფიები „ნახური ენები და კულტურა“ (1978), „ჩეჩნური და ინგუშური ენების დარგობრივი ლექსიკის შედარებით-შეპირისპირებითი ლექსიკონი“ (1975) და სხვ. მასვე ეკუთვნის რამდენიმე წიგნი ნახურ ენათა ლექსიკის ცალკეული დარგებისა, სადაც დარგების მიხედვით თავმოყრილი ლექსიკის ანალიზიც არის მოცემული. მთლიანობაში ნახური ლექსიკის ანალიზი მოცემულია ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში „ნახური ენები და კულტურა“. 2005 წელს ი. აღიროევა გამოსცა, აგრეთვე, „ჩეჩნურ-რუსული ლექსიკონი“

(მოსკოვი).

მრავალმხრივია ა. თიმაევის ენათმეცნიერული ინტერესების სფერო – ფონემატიკა, მორფოლოგია, ლექსიკა, დიალექტოლოგია... ასე, მაგალითად, მან პირველმა მონოგრაფიულად გამოიკვლია ჩეჩნური ენის ბარის კილოს შატოური კილოკავი (დაიბეჭდა გვიან, 2009 წელს), სადაც ითუმყალური კილოკავის მასალაც მოექცა კვლევის არეალში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევა, რომელიც გრამატიკული კლასის პრობლემას ეხება ნახურ ენებში (გრამატიკული კლასის კატეგორია ნახურ ენებში, 1983, როსტოვი), რომელიც ერთ-ერთი მონოგრაფიული გამოკვლევაა, რომელიც გრამატიკული კლასებისადმი მიძღვნილი. ა. თიმაევის „თანამედროვე ჩეჩნური ენა“ (1971, 2007), რომელიც ფონეტიკა-მორფოლოგიას ეხება, ამჟამად ერთადერთი სახელმძღვანელოა უმაღლესი სასწავლებლებისთვის ჩეჩნურ ენაზე. 2011 წელს დაიბეჭდა მისივე „ჩეჩნური ენა. ფონეტიკა“, რომელიც მანამდე არსებული გამოკვლევების ერთგვარ შემაჯამებელ გამოკვლევას წარმოადგენს.

დამხმარე სიტყვები და ნაწილაკები ნახურ ენებში განხილულია ფ. ოზლოევის ნაშრომში „დამხმარე სიტყვათა (მეტყველების ნაწილთა) ისტორიული დახასიათება ნახურ ენებში (1976). ამ ნაშრომში მოცემულია დამხმარე სიტყვათა და ნაწილაკთა კლასიფიკაცია, დადგენილია ზოგი მათანის წარმოშობა-განვითარების გზები. ნაშრომში საილუსტრაციო მასალა უხვადაა მოხმობილი, რაც ავტორისეულ მსჯელობას, მოსაზრებებს დამაჯერებელს ხდის.

ჩეჩნური ენის მორფოლოგიას ეხება კ. ჩოქაევის ნაშრომები, როგორცაა: 1) ჩეჩნური ენის მორფოლოგია. ნაწილი I. 1968; 2) ჩეჩნური ენის მორფოლოგია. ნაწილი II. 1970. ამ ნაშრომთაგან პირველში განხილულია სიტყვაწარმოება მეტყველების ნაწილების მიხედვით, მე-2 ნაწილში კი დახასიათებულია აფიქსაცია. კ. ჩოქაევის, გარდა აღნიშნულისა, გამოკვლევები აქვს ნახურ ენათა ონომასტიკაშიც.

ნახოლოგიაში მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს არს. მაგომედოვს: გრამატიკული კლასის კატეგორია და პირის კატეგორია ჩეჩნურ ზმნაში“ (1975). ამ ნაშრომში პირის კატეგორია განხილულია ქისტური დიალექტის მონაცემების საფუძველზე. მასვე ეკუთვნის მონოგრაფია „ჩეჩნური-ინგუშური ენის (sic!) ხმოვანთა სისტემა“ (1974).

ნახურ ენათა ნაცვალსახელები შედარებით ასპექტში განხილული აქვს ა. ქურქევის, მნიშვნელოვანია მისი დასკვნები ზოგი ნაცვალსახელის სტურქტურისა და ისტორიის შესახებ. მასვე ეკუთვნის მონოგრაფია, რომელიც ინგუშური ენის ლექსიკის ანალიზს ეძღვნება და ინგუშურ-რუსული ლექსიკონი (2005).

„ჩეჩნური ენის ფონეტიკა“ (1992, გროზნო) წარმოადგენს მონოგრაფიას ჩეჩნურ ენაზე, რომლის ავტორია რ. სალამოვა. ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული ჩეჩნური ენის ბგერითი სისტემა და ფონეტიკური პროცესები, გემინირებული თანხმოვნები, თანხმოვანთა კომპლექსები. ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სკოლის სტუდენტებისათვის.

2010 წელს გამოქვეყნდა ა. ხალიდოვის ნაშრომი „ჩეჩნური ენა: მორფოლოგია, სიტყვათწარმოება“, სადაც განხილულია აღნიშნულ ენაში გავლენილი ყველა მორფემის ფუნქციური დატვირთვები. გამოტანილია დასკვნა, რომ ჩეჩნური ენა მდიდარია სიტყვაწარმოებითი აფიქსებით, რაც ეწინააღმდეგება შეხელულებას, თითქოს მორფემების მხრივ ნახური ენები სიმწირით გამოირჩეოდნენ.

ნახურ ენათა ფონეტიკის საკითხებს ეძღვნება თ. გონიაშვილის სტატიები, ზოგი ფონეტიკური პროცესი



აღწერილია მის სტატიაში „ლექსიკური შეხვედრები ჩეხურისა ქართველურ ენებთან“ (1940).

ნახური ენების კონსონანტური სისტემა შესწავლილი აქვს კ. ჭრელაშვილს მონოგრაფიაში „ნახური ენების თანხმოანთა სისტემის პარადიგმატული და დისტრიბუციული ანალიზი“ (1975; 2006). ამ ნაშრომში ცალკეა მოცემული სამივე ნახური ენის ჯერ მარადიგმატული, შემდეგ კი სინტაგმატური ანალიზი. ავტორის დასკვნით, თანხმოანთა რაოდენობა სამივე ენაში განსხვავებულია (ჩეხურში – 48, ინგუშურში – 39, ბატურში – 41). ინტენსივები (მაგრები) თანხმოვნებს წარმოადგენენ, სონანტი ჩეხურში არის 9, 6-6 – ინგუშურსა და წოვათუშურში და ა.შ.

დისტრიბუციული ანალიზის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ ნახურ ენებში ინტენსივები სიტყვის თავში არ დასტურდება, აუსლაუტში აბრუპტივები მხოლოდ წოვათუშურშია, ყ სპირანტილული რიგისა ჩანს და ა.შ.

2002 წელს დაიბეჭდა კ. ჭრელაშვილის მონოგრაფია „წოვათუშური ენა“, სადაც თავმოყრილია ავტორის მრავალწლიანი მუშაობის შედეგები. ნაშრომს ერთვის მისი ზოგი ადრინდელი წერილი და მცირე ლექსიკონი.

ნახურ ენათა ცალკეული პრობლემურ საკითხებს ეძღვნება რ. გაგუას, რ. ლოლაქავას, ლ. სანიკიძის, ა. ჭინჭარაულის, ვ. გირევეის და სხვათა ნაშრომები. ინგლისურენოვანია ჯ. ნიკოლსის, ლ. პოლისკის, ვ. ბერლეს ნაშრომები.

2011 წელს დაიბეჭდა მ. მიქელაძის „წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგია“, სადაც გამოყენებულია არსებული სპეციალური ლიტერატურა და ახალი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე გამოტანილია ახალი დასკვნები, ნაშრომში საინტერესოდ არის ახილი ორენოვნების განვითარების გზები და საფეხურები წოვათუშურში.

ზმნური ფუძეების სტრუქტურა, ზმნური სიტყვაწარმოება და კატეგორიები ჩეხურში მონოგრაფიულად განხილულია რ. ფარეულიძის ნაშრომში „ჩეხური ზმნა“ (2008). მასვე ეკუთვნის სახელმძღვანელო ჩეხურ ენაში სტუდენტებისათვის (ჩეხური ენა. გრამატიკული მიმოხილვა. ჩეხურ-ქართული ლექსიკონი. 2011).

2008 წელს დაიბეჭდა მ. ჩუხუას ფუნდამენტური ნაშრომი „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა. I“. ამ ნაშრომში მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მოცემულია ბევრათშესატყვისობები ქართველურ და ნახურ ენათა ჯგუფებს შორის. როგორც ცნობილია, ბევრათშესატყვისობების დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენათა გენეალოგიური ნათესაობის დამტკიცებისთვის. ეს არის პირველი მონოგრაფია, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ორი ჯგუფის ბევრათშესატყვისობებს ეძღვნება.

2009 წელს დაიბეჭდა იმავე ავტორის „ინგუშური ენა“, რომელიც ეძღვნება ადრინდელი ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის ძირითად საკითხებს. ნაშრომში საკითხები ახლებურად არის დასმული და გადაწყვეტილი.

2011 წელს დაიბეჭდა ა. ვაგაპოვის „ჩეხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (თბილისი), რომელიც სოლიდურ ნაშრომს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ძნელია ასეთი ხასიათის ნაშრომის დადებითად ან უარყოფითად შეფასება, მის ავ-კარგს დრო გამოკვეთს. მთავარია, რომ ამ მიმართულებით ნაბიჯი გადაიდგა და იგი წარმატებით გრძელდება.

ლექსიკონებიდან ჯერჯერობით მხოლოდ ორენოვანი ლექსიკონებია დაბეჭდილი, დღემდე არ არის

შედგენილი განმარტებითი ლექსიკონები.

**3. საკითხის ისტორია დაღესტნურ ენებში.** ა. დირისა და ნ. ტრუბეცკოის გარდა, XX ს.-ის 10-20-იან წლებში შედარებით დაღესტნოლოგიაში მნიშვნელოვანი არაფერი შექმნილა, თუ არ ჩავთვლით ნ. მარის ერთ-ერთ წერილს [მარი 1917 : 326], რომელშიც ზოგი სახელის ეტიმოლოგიური ანალიზი და ბევრთშესატყვისობების დადგენის ცდა (ხუნძ. ლ: ლაკ. შ; ხუნძ. ლბ: ლაკ. შბ) არის წარმოდგენილი. ეს, როგორც ჩანს, შეპირობებული იყო პრაქტიკული მიზანდასახულობით, ჩრდილო-კავკასიური ენებისთვის შეექმნათ დამწერლობები, სასკოლო სახელმძღვანელოები, ნორმატიული გრამატიკები და ლექსიკონები, რომლის განხორციელებაშიც ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ როგორც მოსკოველი (ნ. იაკოვლევი, ლ. ჟირკოვი...), ისე ადგილობრივი ენათმეცნიერები (მ. საიდოვი, ს. ომაროვი, გ. შახნაზაროვი, ს. აბულაევი, ა. ალკადარსკი, მ. ჰაჯიევი, კ. ჰაჯიბეკოვი, ა. ისაევი, გ. მურყელინსკი, თ. შალბუზოვი, შ. ჯაფაროვი...).

30-40-იან წლებში იწყება კავკასიოლოგიური მუშაობის გამოცოცხლება და ფაქტობრივად იქმნება კიდევ ქართული კავკასიოლოგიური სკოლა, რაც გამოიხატა 1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიურ ენათა კათედრის დაარსებით, ხოლო 1936 წელს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში კავკასიურ ენათა განყოფილების დაფუძნებით. ამ პერიოდის ნაშრომთაგან აღსანიშნავია არნ. ჩიქობავას [1936; 1937 : 97-105; 1940 : 321-327; 1942 : 373-378; 1942ა : 31-50], ლ. ჟირკოვის [1935 : 155-167], რ. შაუმიანის [1936 : 219-226; 1938 : 163-194], ს. ბიზოვსკაიას [1936; 1940], ი. მეგრელიძის [1936 : 231-250], ა. ბოკარევის [1940 : 48-63], ვ. ფანჯვიძის [1937 : 123-137; 1940 : 137-150], ვ. თოფურიას [1940 : 169-181] და სხვათა ნაშრომები.

დაღესტნურ ენათა ისტორიულ-შედარებითი საკითხების კვლევა-ძიება აღმავლობის გზას დაადგა და ფართოდ გაიშალა მუშაობა წინა საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს თბილისელ ლინგვისტთა ერთობლივი ნაშრომით [გუდავა, იმნაიშვილი, ლომთაძე, მაჰომედბეკოვა, ცერცვაძე 1952]. ამ ნაშრომიდან მოყოლებული კერძო სტატიებსა თუ ავტორეფერატებში განხილულია დაღესტნურ ენათა ფონეტიკისა და გრამატიკის ცალკეული საკითხები [ჩიქობავა 1954; 1960; 1974; ცერცვაძე 1948; 1952; 1953; 1953ა; 1954; 1958; 1959; 1959ა; 1960; 1961; 1972; 1974; 1980; ტ. გუდავა 1953; 1954; 1955; 1956; 1958; 1959; 1959ა; 1967; 1968; 1970; 1974; 1974ა; 1980; მაჰომედბეკოვა 1955; 1962; 1978; 1989; ლომთაძე 1955; 1956; 1956ა; 1956ბ; 1960; 1962; 1966; 1974; 1978; 1978ა; 1979; 1980; 1982; 1985; 1986; 1987; 1987ა; იმნაიშვილი 1955; 1956; საიდოვი 1949; ბოკარევი 1952; 1954; 1958; შ. მიქაილოვი 1948 : 41-72; 1957; ყ. მიქაილოვი 1964 : 32-45; 1988 : 141-145 ; კლიმოვი, თალიბოვი 1964; კიკვიძე 1958; მურყელინსკი 1957; 1977; 1980; 1987; რ. მიქაილოვა, ყ. მიქაილოვი 1992 : 30-40; ე. მიქაილოვი 1974; სულეიმანოვი 1957; 1960; 1962; 1964; შარაფუტდინოვა და ლევიანა 1961; ჯაფარიძე 1957; 1957ა; 1964; 1966; 1967; კახაძე 1953; 1959; 1998; კიკნაძე 1963; ფენრიხი 1971; 1975; 1976; 1979; 1995; გიგინეიშვილი 1967; 1968; 1970; 1971; ჰამზათოვი 1972; 1973; 1973ა; 1975; 1982; ბურჭულაძე 1981; 1982; 1983; 1986; 1988; 1989; 1992; გოგოლაშვილი 1980; ისაყოვი 1981; 1981ა; 1986; კიკილაშვილი 1986; ი. გუდავა 1986; სტაროსტინი 1996; ზ. აბულაევი 1981; ა. აბულაევი 1981; ხალილოვი 1981; 1992; ვ. თოფურია 1964; გ. თოფურია 1967; 1987; 1973; 1976; 1977; ნიკოლაევი 1978; საი-

ლოვა 1981; 1983; 1985; 1992; ალექსეევი 1984 ; 84-94; 1991 : 92-102; სისარულიძე 1987; ათაევი 1992; მაპო-მელოვი 1992; ხალილოვი, რამაზანოვი 1992; რაჯაბოვი 1997; ბარნოვი 1998; და სხვ.].

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა კონსონანტიზმის საკვანძო საკითხები გაანალიზებულია ტ. გუდავას სამ კაპიტალურ მონოგრაფიაში [გუდავა 1959; 1964; 1979], რომლებიც საეტაპო მნიშვნელობისაა და ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ამ ენათა შესწავლაში. საყურადღებოა ლეხტიურ ენათა ფონეტიკის პირველი შემავჯამებელი ნაშრომი ბ. თალიბოვისა, რომელიც მარტოოდენ კონსონანტურ სისტემას განიხილავს [თალიბოვი 1980]. ამ ნაშრომის ზოგი ნაკლის (ფონემათშესატყვისობათა არაადეკვატური ახსნა და სათანადო ფორმულების უზუსტობა) მიუხედავად, ფასეულია იმით, რომ შეიცავს ბევრ ეტიმოლოგიურ შეპირისპირებას, ითვალისწინებს ათივე ლეხტიური (მათ შორის, კრიწული და ბულუხური) ენის მასალას.

არსებობს ისეთი მრავალმხრივ საყურადღებო მონოგრაფიებიც, რომლებშიც, ჩვენთვის საინტერესო პრობლემათიკის გარდა, ნაკვლეგია მთლიანად დაღესტნურ ენათა ფონემატური სისტემა [ბოკარევი 1961; 1981; გიგინეიშვილი 1977]. ბ. გიგინეიშვილის ნაშრომი სამართლიანად ითვლება საეტაპოდ, ვინაიდან დიდ პერსპექტივებს შლის , კონკრეტულად, დაღესტნურ, ზოგადად კი, იბერიულ-კავკასიურ ენათა მომავალი კვლევა-ძიებისათვის. სამეცნიერო მიმოქცევაშია მთლიანად დაღესტნურ ენათა მონაცემების მომცველი მონოგრაფიები და სტატიები, რომლებიც ამ ენათა ერთ კონკრეტულ გრამატიკულ კატეგორიას ეძღვნება [გინეკენი 1938; ე. ბოკარევი 1948; 1960; ჰაიდაყოვი 1980; ზ. აბულაევი 1986; ალექსეევი 1992; 1995; ბურჯულაძე 1998; 2002; 2003; გაფრინდაშვილი 1964; გიგინეიშვილი 1968; 1970; 1971; 1976; გუდავა 1953; 1954; 1980; თოფურია 1962; 1973; 1977; 1987; 1995; ...]. ე. ბოკარევის ერთ-ერთი ნაშრომი დილოურ ენებს განიხილავს აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით [ბოკარევი 1959]. დაღესტნურ ენათა ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი წარმოდგენილია ორ შედარებით ლექსიკონში [დუშინი<sup>3</sup> 1971; ხაიდაყოვი 1973], ხოლო ამავე ენათა ზმნისა და სახელის თესაურუსის ტიპის შეპირისპირებით ლექსიკონებში თავმოყრილია ოცდარი დაღესტნური ენის მონაცემები [კიბრიკი, კოძასოვი 1988; 1990], რომლებიც სანიშნოდ არის მიჩნეული [ნიკოლსი 2003 : 209]. ახლახან გამოქვეყნდა ანალოგიური ტიპის ლექსიკონი, რომელიც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალასაც მოიცავს [ქომრი, ხალილოვი 2009]. ეს ლექსიკონი ორგანული გაგრძელება და შედარებით შევსებული ვარიანტია 2003 წელს დაბეჭდილი გ. კლიმოვისა და მ. ხალილოვის ანალოგიური ლექსიკონისა [კლიმოვი, ხალილოვი 2003]. სამი დილოური ენის აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი მოცემულია დ. იმნაიშვილის ვრცელ და საინტერესო მონოგრაფიაში, რომელიც გამოირჩევა სათანადო ანალიზის დონითაც და საკვლევ ენობრივ ერთეულთა მასალის სიუხვითა თუ სიზუსტითაც [იმნაიშვილი 1963]. ბევრ საინტერესო ჩვენებას იძლევა ს. ჰაიდაყოვის ზმნის სისტემისა და სახელთა საკლასიფიკაციო პრინციპებისათვის მიძღვნილი მონოგრაფიები [ჰაიდაყოვი 1975; 1980]. ყურადღებას იქცევს გ. თოფურიას მრავალი ასპექტით საინტერესო მონოგრაფია, რომელიც ბრუნების რთულ საკითხებზე მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობის შედეგს წარმოადგენს [თოფურია 1995]. აღნიშვნის ღირსია ჰ. ფენრიხის სტატიები სონანტებისა და ფარინგალიზებული ხმოვნების შესახებ [ფენრიხი 1971 : 149-160; 1979 : 453-455].

<sup>3</sup> დუშინი 1971 – დაღესტნურ ენათა შედარებით-ისტორიული ლექსიკა. მ., „ნაუკა“, 295 გვ. (რუს. ენაზე).

უნდა აღინიშნოს, რომ კომპარატივისტიკის მიერ კონსონანტური სისტემის კვლევას იმთავითვე მეტი ყურადღება ეთმობოდა, ვინემ ხმოვანთა სისტემის დამუშავებას, რაც მისი სირთულით ჩანს გამოწვეული. ამ მხრივ გამონაკლისია ე. ლომთაძის მრავალმხრივ საინტერესო მონოგრაფიები [ლომთაძე 1984; 1994], რომლებშიც ვრცლად და ამომწურავად არის გაანალიზებული დილოური ენების ხმოვანთა სისტემის რთული საკითხები, არაიშვიათად გავლებულია პარალელები სხვა დაღესტნურ ენებთან და, დიდძალი საილუსტრაციო მასალის მონობით, წარმოდგენილია ხანგრძლივი კვლევის ფასეული შედეგები [იხ. რეცენზია. ბურჭულაძე 2000 : 236-246]. ერთი მხრივ, ლაკურ-დარგულის ისტორიულ-შედარებით ფონეტიკას, ხოლო, მეორე მხრივ, ამავე ენათა ხმოვანთსისტემის შედარებით ანალიზს ეხება ა. აკიევის მონოგრაფიები [აკიევი 1977; 1982], რომლის შესახებაც სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია გარკვეული შენიშვნები [იხ. ალექსევი 2003 : 17]. ყურადღებას იქცევს ი. ტესტელეცის წერილიც [ტესტელეცი 1993]. ბოლო ხანს გამოქვეყნდა ისტორიულ-შედარებითი [ალექსევი 1988] და შეპირისპირებითი [ათაევი 1996ა] ხასიათის ნაშრომები, რომელთა ავტორები სხვადასხვა კუთხით ეხებიან საკვლევ ენათა განსახილველ თემატიკას. ამ უკანასკნელს მოეპოვება აგრეთვე ხუნძური ენის შესწავლის ისტორია [ათაევი 1997]. ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ისტორიულ-შედარებით ფონეტიკას ეძღვნება ნ. არლოტელის მონოგრაფია [არლოტელი 2009]. ამავე ავტორის ერთ-ერთ მონოგრაფიაში ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით განხილულია დილოურ ენათა ნაზმნარი სახელები [არლოტელი 2009ა]. ახლახან გამოქვეყნდა ი. აბულაევის საყურადღებო მონოგრაფია, რომელიც ლაკური ენის მორფოლოგიური სტრუქტურის ისტორიულ ანალიზს გვთავაზობს [აბულაევი 2010]. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამგვარმა ნაშრომებმა დიდწილად განაპირობეს დაღესტნური კომპარატივისტიკის განვითარება.

არ შეიძლება ცალკე არ შევჩერდეთ მკვლევართა ერთ პლეადაზე, რომლებმაც დიდი დრო და ენერგია შეაღწიეს ლაკურ-დარგულ ენათა ქვეჯგუფის მეცნიერულ შესწავლას. ამ მკვლევართაგან თავისი მეცნიერული მოღვაწეობით ავანგარდში დგანან: შ. გაფრინდაშვილი [გაფრინდაშვილი 1948; 1953ა; 1954; 1955; 1964...], გ. მურყელინსკი [მურყელინსკი 1957; 1971...], ა. მაჰომეტოვი [მაჰომეტოვი 1953; 1954; 1972; 1976; 1982... ], ს. ჰაიდაყოვი [ჰაიდაყოვი 1966; 1977; 1981...], მ.-ს. მუსაევი [მუსაევი 1966; 1980; 1989...], ზ. აბულაევი [აბულაევი 1962; 191971; 1986... ], ბ. გიგინეიშვილი [გიგინეიშვილი 1963; 1963ა...], ნ. ჯიდალაევი [ჯიდალაევი 1972...] ... ცალკე აღნიშვნის ღირსია გ. ბურჭულაძისა და ი. აბულაევის ნაყოფიერებით გამორჩეული მოღვაწეობა ლაკური ენის შესწავლის საქმეში [ბურჭულაძე 1965; 1974; 1977; 1978; 1979; 1981გ; 1983ა; 1983ზ...; აბულაევი 1974; 1980; 1987; 1990...]. უნდა ითქვას, რომ გ. ბურჭულაძის ლაკური ენის ოთხწიგნეული [1986; 1987; 1993; 2002] დიდ პერსპექტივებს შლის დაღესტნურ ენათა შესწავლის საქმეში.

გარდა ჩამოთვლილი ნაშრომებისა, დაღესტნურ ენათა გრამატიკის კონკრეტული საკითხები სპეციალური შესწავლის საგნად არის ქცეული ძველი და ახალი თაობის არაერთი მკვლევარ-კავკასიოლოგის მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში, რომლებიც ცალკე წიგნების სახით არის დასტამბული [ქირკოვი 1924; 1926; 1941; 1955; შაუმიანი 1941; ა. ბოკარევი 1949; ბოუდა 1949; ლევი 1953; აბულაევი 1954; მიქაილოვი 1958; 1959; ჰაიდაყოვი 1961; 1966; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962; გუდავა 1962; 1971; ლომთაძე 1963; 1996; 1998; 2000; 2003; მაჰომეტოვი 1963; 1965; ცერცვაძე 1965; მაღიევა 1965; 1965ა; 1980; გაფრინდაშვილი 1966;

მურყელინსკი 1971; ჰასანოვა 1971; მაჰომედბეკოვა 1967; 1971; ჯეირანიშვილი 1971; 1984; კაზიევი 1969; საიდოვა 1973; აბდულაევი 1974; კახაძე 1979; შარაშიძე 1981; ბარნოვი 1983; მაჰომედხანოვი 1989; აბდულაევი 1993; ხალილოვი 1995; ალექსეევი, ათაევი 1997; მალაევა 2007; არდოტელი 2007; ბარამიძე 2009...]. თითოეული ეს ნაშრომი ძვირფას მასალას გვაწვდის და მყარ საფუძველს ქმნის საკვლევ ენათა ისტორიულ-შედარებითი გარდასახვების კვლევა-ძიებისათვის.

საერთო-ლუზიური კონსონანტიზმის რეკონსტრუქციის განსხვავებული ცდა მოცემულია ა. სტაროსტინის ადრულ გამოკვლევაში [სტაროსტინი 1975ა]. მასვე ეკუთვნის საერთო-ლუზიური ვოკალიზმის რეკონსტრუქცია [სტაროსტინი 1975ბ], თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საერთოლუზიური ვოკალიზმის აღდგენის პირველი ცდა განხორციელდა ა. ბოკარევის მიერ [ბოკარევი 1965].

სხვა ანგარიშგასწვევ გამოკვლევათა რიგში უნდა დავასახელოთ: ა) ილ. ცერცვაძის წერილი, რომელშიც დადგენილია ხუნძურ-ანდიურ ენებში დადასტურებული ტ' ლატერალის ნულოვანი რეფლექსაცია უდიურში [ცერცვაძე 1964]; ბ) აღ. მაჰომეტოვის გამოკვლევა, რომელშიც მიმოხილულია ალულურში დადასტურებული ფარინგალიზებული თანხმოვნების შესატყვისობანი სხვა ლუზიურ ენებში [მაჰომეტოვი 1966]; გ) ბ. თალიბოვის ნაშრომი, რომელშიც დადგენილია ხინალულური კ, ყ, ზ და წ თანხმოვნების კორესპონდენციები სხვა ლუზიურ ენებში [თალიბოვი 1960]; დ) ყ. მიქაილოვის გამოკვლევები, რომლებშიც წარმოდგენილია ხუნძურ ენაში დადასტურებული აბრუპტიული აფრიკატებისა და ყრუ სპირანტების შესატყვისობანი არჩიულ ენაში [მიქაილოვი 1968; 1972]. აღსანიშნავია, აგრეთვე, ლუზიურისა და კრიწული ენების ფონოლოგიურ სისტემათა შედარებითი ანალიზი [საადიევი 1969]. ინტერესს აღძრავს, აგრეთვე, გამოკვლევები, რომლებიც მიემდგნა ლაბიალიზებულ თანხმოვნებსა და მათ ცვლილებას ლუზიურ ენებში [ჯეირანიშვილი 1966; 1974; თალიბოვი 1972; გულმაგომელოვი 1974], თანხმოვანთა რელექციას [თალიბოვი 1976], მჟღერი თანხმოვნების გადასვლას ყრუ თანხმოვნებში [თალიბოვი 1977] და ა. შ.

ლუზიურ ენათა ისტორიული მორფოლოგია და, განსაკუთრებით, ისტორიული სინტაქსი შედარებით ნაკლებად შესწავლილი უბნებია, თუმცა მოგვეპოვება ნაშრომი, რომელშიც ლუზიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები განიხილება [ალექსეევი 1985]. სხვა ნაშრომთაგან აღსანიშნავია: გამოკვლევები, რომლებშიც ცალკეულ ბრუნვათა ჩამოყალიბებისა და ბრუნების სისტემის ინვენტარის რეკონსტრუქციის საკითხები განიხილება [ბოკარევი 1960; ფანჩვიძე 1940; ხანმაჰომელოვი 1958ა; 1958ბ; 1958გ; თოფურია 1967]; მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლების რეკონსტრუქციის საკითხები [თოფურია 1973; იბრაჰიმოვი 1974]; პირის ნაცვალსახელთა სისტემის რეკონსტრუქციის საკითხები [მაჰომეტოვი 1963; თოფურია 1969; გულიგა 1979]; კითხვით ნაცვალსახელთა [ჯეირანიშვილი 1955]; პრობიტივის წარმოება [თოფურია 1972]; „ყოფნის“ აღმნიშვნელი ზმნის ისტორია [თოფურია 1979]. მრავალრიცხოვანია ნაშრომები, რომლებიც მიზნად ისახავს გრამატიკული კლას-კატეგორიის გაქვავებულ აფიქსთა გამოვლენას სახელებსა [შაუმიანი 1936; ჯეირანიშვილი 1956; გაჯიევი 1958; მაჰომეტოვი 1962; მეილანოვა 1962; 1964; თალიბოვი 1969; ალიპულატოვი 1974] და ზმნაში [ჯეირანიშვილი 1956; თალიბოვი 1958; 1960; 1969]; აღსანიშნავია, აგრეთვე, ვ. ხიდროვის ნაშრომები, რომლებშიც ლუზიურ ენათა ზმნის ისტორიულ მორფოლოგიასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი განიხილება [ხიდროვი 1974; 1976]. ამის

გარდა, გვაქვს შემაჯამებელი გამოკვლევა, რომელიც ნახურ-დაღესტნურ ენათა სახელის მორფოლოგიას განიხილავს ისტორიულ-შედარებით ასპექტში [ალექსეევი 2003]. მონოგრაფიაში ღიდი ყურადღება ლეზგიურ ენებსაც ეთმობა.

ისტორიულ-შედარებითი ხასიათის გამოკვლევათა რიგში აუცილებელია აღინიშნოს ის ნაშრომებიც, რომლებშიც განიხილება ამა თუ იმ ლეზგიური ენისა ან მთლიანად ლეზგიური ქვეჯგუფის ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის საკითხი. ასეთთაგან აღსანიშნავია ბ. გიგინეიშვილის მიერ შემოთავაზებული ლეზგიური ენების კლასიფიკაცია [გიგინეიშვილი 1977] და მეტწილად გლოტოქრონოლოგიურ მონაცემებზე დაფუძნებული კლასიფიკაციის განსხვავებული ცდები [ალექსეევი 1984; გიპერტი, შულცე და სხვ. 2008]. ამის გარდა, საყურადღებოა გამოკვლევები, რომლებიც მიეძღვნა ხინალუღური ენის სტატუსს [თალიბოვი 1960; ალექსეევი 1984], უდიურს, წახურს, რუთულურს [ჯეირანიშვილი 1966] და არჩიბულს [კახაძე 1973].

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოყენებული იქნება ერთ-ერთი ძველდამწერლობიანი ლეზგიური ენის — ალბანურის მონაცემები. ალბანელი ხალხის, კავკასიის ალბანურისა და დამწერლობის შესახებ ცნობები შემონახულია სომხურ ისტორიულ წყაროებში, კერძოდ, მოსე ხორენელის, კორიუნის, მოსე კალანკატუელის, აგრეთვე, ხეთუმის საისტორიო თხზულებებში.

თავდაპირველად კავკასიის ალბანური ენის ანბანს მატენადარანის ეჩმიაძინის ფონდში არსებულ ხელნაწერებს შორის მიაკვლია ილ. აბულაძემ [აბულაძე 1938], რაც სამართლიანად ითვლება უდიდეს აღმოჩენად [შანიძე 1938 : 5].

აკ. შანიძემ, ილ. აბულაძის შემოსწავლულ აღმოჩენაზე დაყრდნობით, გამოთქვა მოსაზრება, რომ კავკასიის ალბანური ენის ანბანი ავთენტურია და განეკუთვნება ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფს. მისი საფუძვლიანი შეხედულებით, იგი ახლო ღვას უდიური ენის ბერათოსისტემასთან და, აქედან გამომდინარე, უნდა იყოს ძველი უდიური [შანიძე 1938: 65; 1960: 188-89], რაც შემდგომმა კვლევა-ძიებამ ფაქტობრივად დაადასტურა.

ილ. აბულაძის აღმოჩენიდან მოყოლებული კავკასიის ალბანურ ენასა და მის დამწერლობას სხვადასხვა კუთხით იკვლევდა და იკვლევს არაერთი მკვლევარი [შანიძე 1938; 1959; 1960; დიუმეზილი 1940-1941; ქურდიანი 1956;<sup>1</sup> დიაკონოვი 1961; ჰევსენი 1964; აბრამიანი 1964; კლიმოვი 1967; 1970; 1972; ლუკასიანი 1971; მურავიოვი 1981; შულცე 1982; იარალიევი 1995; ქურდიანი 1993; ჰაჯიევი 1998; ალექსიძე 2001; 2003; ლოლუა 2009; 2010; 2011; არდოტელი 2013...].

ყველა ნახურ-დაღესტნური ენის მოკლე მიმოხილვას შეიცავს 1967 წელს მეოთხე ტომად გამოქვეყნებული კრებული „იბერიულ-კავკასიური ენები“ (სკსრხე), რომელშიც ასახვა ჰპოვა ფონოლოგიური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურის მოკლე სინქრონიულმა აღწერამ [სკსრხე 1967]. ანალოგიური ხასიათისაა XX ს.-ის მიწურულს დაბეჭდილი კრებულებიც: „მსოფლიოს ენები: კავკასიური ენები“ [მეკე 1999], „დაღესტნის ენები“ [ლე 2000]...

თეორიულ გამოკვლევათა სიუხვესთან ერთად უკვე ამჟამად თვალშისაცემია ლექსიკონების სიმრავლეც,

---

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ არმენოლოგმა ა. ქურდიანმა ამერიკაში 1956 წ. მიაკვლია XVI ს.-ის სომხურ ხელნაწერს, რომელიც, რ. ლოლუას აზრით, ეჩმიაძინის ხელნაწერის ასლია [ლოლუა 2009: 117; შდრ. შანიძე 1959: 204-206].

რაც ბოლო პერიოდის დაღესტნოლოგიის დიდი დამსახურებაა. სამწერლო ენათა სხვადასხვა სახის ლექსიკონების [ყირკოვი 1936; გაჯიევი 1950; მიქაილოვი, საილოვი 1951; მურყელინსკი 1953; ჰაიდაყოვი 1962; თალიბოვი, ჰაჯიევი 1966; საილოვი 1967; ისაევი 1988; მიქაილოვი 1991; მაჰომედხანოვი 1992; 1993; ისაყოვი, ხაიბულაევი 1992; ჯიდალაევი 1994; ხანმაჰომედოვი, შალბუზოვი 2001; სულეიმანოვი 2003; ალიხანოვი 2003; ჯამალოვი 2007; საილოვა 2008] გარდა, ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს უმწერლობო ენათა ორენოვანი თარგმნითი ლექსიკონებიც [გუკასიანი 1974; მეილანოვა 1984; ხალილოვი 1995; 1999; მაჰომედოვა 1999; მაჰომედოვა, ხალილოვა 2001; ისაყოვი, ხალილოვი 2001; 2005; საილოვა 2006; 2010; მაჰომედოვა, აბდულაევა 2007; იბრაჰიმოვი, ნურმაჰომედოვი 2010...]. ზემოაღნიშნული ზოგი ნაკლის მიუხედავად, ცალკე აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე, ს. ნიკოლაევისა და ს. სტაროსტინის „ჩრდილოკავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ [1994], რომელშიც ხშირად გავლებულია პარალელი ქართველურ ენათა მონაცემებთანაც. ის მწივი სალექსიკონო მასალა, რომელიც ცალკეულ ენათა შესახებ არსებობს [სტარჩევსკი 1891; ერკერტი 1895; დირი 1909; ა. ბოკარევი 1938; ე. ბოკარევი 1961; ჯაფარიძე 1966], ანდა ამ ენათა აღწერით გრამატიკებს ერთვის [ბოკარევი 1949; გუდავა 1962; მადიევა 1965; მაჰომედბეკოვა 1967; 1971; საილოვა 1973; ვან დენ ბერგი 1995; ლომთაძე 1998; ხალილოვა 2009...], ფასეულია სიძველის თვალსაზრისით, თუმცა ერთგვარ ვერიფიციერებას მაინც საჭიროებს (განსაკუთრებით პირველი ეტაპის მკვლევართა მასალა).

აღსანიშნავია, რომ წინა საუკუნის 80-იან წლებში სერიულად ქვეყნდებოდა თემატური კრებულები: „დაღესტნურ ენათა დარგობრივი ლექსიკა“ [1984; 1988], „დაღესტნურ ენათა დარგობრივი ლექსიკის პრობლემები“ [1985; 1986; 1989], რომლებშიც დაბეჭდილი დარგობრივი სალექსიკონო მასალა ფასდაუდებელია კომპარატივისტული კვლევისათვის. ენობრივი მასალის დოკუმენტაციის სტატუსი აქვს მოპოვებული წინამორბედ მკვლევართა ჩანაწერებს [ბეჟანოვი 1888; 1902; გენკო 1929; ბოკარევი 1938; მაჰომედოვი 1964; ლომთაძე 2003]. ისტორიული ლექსიკოლოგიისა კუთხით უდავოდ მნიშვნელოვანია ნ. ჯიდალაევისა და მ. ხალილოვის გამოკვლევები [ჯიდალაევი 1990; ხალილოვი 1981; 2004]. ჩვენს ყურადღებას იქცევს მ.-ს. მუსაევის წიგნი დარგოვული ლექსიკის შესახებ [მუსაევი 1978].

ლუზიურ ენათა ქვეჯგუფში ვაწყვებით შემაჯამებელი ხასიათის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომს [ზაგიროვი 1987]. ამასთანავე, გვხვდება გამოკვლევები, რომლებშიც წარმოჩენილია ლუზიური (და არა მარტო) ლექსიკური იზოგლოსები [შაუმანი 1935; ჯეირანიშვილი 1958; კლიმოვი 1970; 1971; თოფურია 1976; ვინოგრადოვა, კლიმოვი 1979]. ამის გარდა, უნდა აღინიშნოს ნაშრომებიც, რომლებშიც განიხილება ცალკეულ ენათა ლექსიკა ეტიმოლოგიური კვლევის თვალსაზრისით: კრიწული [საადიევი 1959], რუთულური [გაჯიევი 1966], თაბასარანული [ზაგიროვი 1978; ალექსეევი, ზაგიროვი 1991] და უდიური [შულცე 2001].

და მაინც, ერთ-ერთ საშურ და სამომავლოდ პრიორიტეტულ საქმედ უნდა იქცეს ცალკეულ ენათა თარგმნითი თუ სხვა სახის (დარგობრივი, დიალექტური, ფრაზეოლოგიური...) ლექსიკონების შედგენა, რაც, ეჭვს გარეშეა, დიდად შეუწყობს ხელს საკვლევ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის დამუშავებას.

წინამდებარე გამოკვლევაში გამოყენებული საანალიზო ენობრივი მასალის ნაწილი მოპოვებულია თავად ავტორების მიერ ადგილობრივ, საკვლევ ენებზე მუშაობის პერიოდში, 1985-2012 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ მოწყობილი მივლინებების

დროს, ნაშრომი ემყარება აგრეთვე როგორც ცალკეულ ნაშრომებს დართულ ტექსტებს, ისე ზემომოყვანილი წერილებიდან, მონოგრაფიებიდან და ლექსიკონებიდან ამოკრებილ საანალიზო მასალას.

## I თავი

### ფონეტიკური პროცესები: ვოკალური სისტემა

#### 1. ფონეტიკური პროცესები ნახურ ენათა ვოკალურ სისტემაში

**1.1. ზოგადი.** ცნებები ხმოვანი, თანხმოვანი, ნახევარხმოვანი დამკვიდრებული იყო ძველი საბერძნეთის ტრადიციულ სასკოლო გრამატიკებში, რომელთა გავლენითაც ისინი დამკვიდრდნენ ენათმეცნიერებაში. ყველა ეს ტერმინი პირობითია. ტერმინი „ხმოვანი“ მიუთითებს ხმის დომინანტობაზე ხმოვნის წარმოქმნისას, მაგრამ ხმოვანი შეიძლება ჩურჩულითაც წარმოითქვას. ხმა ჭარბობს სონორთა წარმოთქმის დროსაც, მაგრამ ისინი თანხმოვნები არიან. ამ ბგერათა წარმოებისას ხმა ჩქამნარევი, დანარჩენი მჟღერი თანხმოვნები იწარმოებიან ხმანარევი ჩქამით, ყრუები კი – მხოლოდ ჩქამით.

ე. წ. ნახევარხმოვნებს გარდამავალი საფეხური უკავიათ ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის, ისინი სრულ ხმოვნებთან მეზობლობაში დიფთონგებს ქმნიან და თანხმოვნებს წარმოადგენენ. ე. წ. ნახევარხმოვნებს ნახურ ენებში, ისევე როგორც ქართულში, შუაენისმიერი სპირანტი *ღ* და ბილაბიალური ასევე სპირანტი *ჟ*.

ხმოვანთა კლასიფიკაციისას გასათვალისწინებელია რიგი და აწეულობა. იმის მიხედვით, თუ ენის ზურგის რომელი ნაწილი აიწევა სასის მიმართულებით ხმოვნის არტიკულაციისას, განსხვავებულია ხმოვანთა სამი რიგი: წინა, შუა, უკანა.

იმის მიხედვით, თუ რამდენად აიწევა ენის ზურგის ესა თუ ის ნაწილი ხმოვნის წარმოთქმის დროს, განსხვავებულია აწეულობის სამი საფეხური: დაბალი, საშუალო, მაღალი.

#### 1. 2. ხმოვანთა სისტემა

ჩვენურში ხმოვანთა კლასიფიკაცია ხდება რამდენიმე დიფერენციალური ნიშნის მიხედვით:

- მოკლე (მარტივი, სადა, ჩვეულებრივი) და გრძელი ხმოვნები;
- ვიწრო და ფართო ხმოვნები;
- ნაზალური და არანაზალური ხმოვნები;



- ლაბიალური და არალაბიალური ხმოვნები.

ხმოვანთა ნაზალიზაცია ჩვენურში მხოლოდ აუსლაუტში ხდება, წოვათუშურში – ინლაუტშიც.

შედგენილობის მიხედვით ხმოვანი შეიძლება იყოს მარტივი, სადა ხმოვანი – მონოფთონგი და რთული ხმოვანი, დიფთონგი (დიფთონგი შედგება ორი სეგმენტისაგან). რთული ხმოვანია, აგრეთვე, ტრიფთონგიც, რომელიც ჩვენურში ასევე გარჩეულია.

მარტივი ხმოვნებია:

მოკლე (ჩვეულებრივი) ხმოვნები: ა, ე, ი, ო, უ;

გრძელი ხმოვნები: ა, ე, ი, ო, უ.

მონოფთონგებს ჩვენურში წარმოადგენენ, აგრეთვე, პალატალური ხმოვნებიც, როგორცაა:

მოკლე: ა, ო, უ;

გრძელი: ა, ო, უ.

ყველა პალატალური ხმოვანი მეორეულია. პალატალური ხმოვნები ენაში მოქმედი რეგრესული-დისტანციური ასიმილაციის შედეგს წარმოადგენენ.

წარმოების თვალსაზრისით ხმოვანთა დახასიათება შეიძლება რიგისა და აწეულობის მიხედვით. წარმოების ადგილის მიხედვით ჩვენურში ხმოვნები იყოფიან სამ ჯგუფად: წინა რიგი, შუა რიგი, უკანა რიგი.

წინა რიგისა: ი, ე;

შუა რიგისა: ა;

უკანა რიგისა: ო, უ.

ენის ზურგის ამა თუ იმ ნაწილის აწეულობის მიხედვითაც სამი ჯგუფი გამოიყოფა: დაბალი აწეულობის, საშუალო აწეულობისა და მაღალი აწეულობისა:

დაბალი აწეულობისაა ა

საშუალო აწეულობისაა ე, ო

მაღალი აწეულობისა ი, უ

ამავე პრინციპის საფუძველზე ანალოგიურად განაწილებიან გრძელი ხმოვნებიც.

გარდა ჩამოთვლილისა, მონოფთონგებს (სადასაც და გრძელსაც) აქვთ ნაზალური ვარიანტებიც. როგორც ზემოთ ითქვა, ნაზალური ხმოვნები მიღებულია ხმოვნის მომდევნო ნ ბგერის დასუსტების შედეგად.

ზემოთ ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენურში (და ინგუშურშიც) გვაქვს პირველადი და მეორეული, ფონეტიკური პროცესების შედეგად გაჩენილი, მონოფთონგები (ხმოვნები), რომლებიც სქემის

სახით შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

ო, ო    უ, უ    უ, უ

პ, პ; ე, ე    ო, ო    ო, ო

ფე, ფე                            უო, უო

ა, ა

სქემიდან ჩანს, რომ მეორეული მონოფთონგებიდან ძალიან აწეულობისაა უ, უ მონოფთონგები, საშუალო კი - ო, ო. ოთხეულს ეს მონოფთონგი შუა რიგისაა. საშუალო აწეულობისაა პ, პ, მაგრამ ესენი წინა რიგს განეკუთვნებიან.

### 1. 3. ფონეტიკური პროცესები ჩენური ენის სმოვნებში

მარტივ სმოვანთა გართულება სმოვნებში ფონეტიკურ პროცესებს უკავშირდება. ამ პროცესებს განეკუთვნება ასიმილაცია, რომლის სახეობები ჩენურში ფართოდ არის წარმოდგენილი:

- სმოვანთა პალატალიზაცია;
- სმოვანთა ლაბიალიზაცია;
- სმოვანთა პალატალიზაცია-დავიწროებით;
- სმოვანთა შერწყმა;
- სმოვანთა ნაზალიზაცია;
- სმოვანთა რედუქცია.

ასიმილაცია სმოვნებში, ჩვეულებრივ, რეგრესულ-დისტანციურია. ასიმილაციის იგივე სახეობები დასტურდება ინგუშურშიც.

ფონეტიკური მოვლენებიდან წოვათუშურში გვაქვს:

სმოვანთა გადსმა;

სმოვანთა შერწყმა;

სმოვანთა რედუქცია;

სმოვანთა დავიწროება აუსლაუტში.

ფონეტიკური მოვლენები წოვათუშურში განხილულია ცალკე.

ხმოვანთა ასიმილაციის არაერთი საკითხი ჩეჩნურში გარკვეული აქვს პ. უსლარს და პ. უსლარის ნაშრომის ანალიზის საფუძველზე – ა. შიფნერს [უსლარი 1888]. ა. შიფნერის ნაშრომი, რომელიც ჩეჩნურ ენას ეძღვნება, დამატების სახით ერთვის პ. უსლარის მონოგრაფიას.

ხმოვანთა შესატყვისობებისა და ხმოვანთა ცვლის ზოგი საკითხი ნახურ ენებში განხილულია ალფ. სომერფელტის შრომებში [სომერფელტი 1933; 1934]. შენიშნულია, რომ ალფ. სომერფელტის ნაშრომები გამოირჩევიან ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებით [იმნაიშვილი 1962; 1977].

ფონეტიკური პროცესები ნახურ ენათა, მათ შორის ჩეჩნური ენის, ხმოვნებში განხილული აქვთ დ. იმნაიშვილს [იმნაიშვილი 1977], რ. გაგუას [გაგუა 1956], ი. ლეშერიევს [ლეშერიევი 1960; 1963], ი. არსახანოვს [არსახანოვი 1981], ა. მაგომელოვს [მაგომელოვი 1974], რ. სალამოვას [სალამოვა 1992], მ. ჩუხუას [ჩუხუა 2007; 2009], ა. თიმაევის [თიმაევი 2011] და სხვ.

როგორც მკვლევართა ზოგი ნაშრომი გვიჩვენებს, ხმოვანთა რთული სისტემა თანამედროვე ნახურ ენებში, განსაკუთრებით ჩეჩნურში, ნახურ ფუძე-ენაში მარტივი იყო, კერძოდ, იგი შედგებოდა მხოლოდ სამი ხმოვნისაგან. ეს ხმოვნებია: ა, ი, უ (ი. ლეშერიევი, დ. იმნაიშვილი, რ. გაგუა, თ. ლეშერიევა, ი. არსახანოვი, ა. მაგომელოვი, რ. სალამოვა, ა. თიმაევი და სხვ.).

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ასიმილაცია, რომელიც ფართოდ არის წარმოდგენილი ჩეჩნურში და რომელმაც ძლიერ შეცვალა ხმოვანთა ოდინდელი მარტივი სისტემა, განპირობებულია ყუმუხური ენის გავლენით (ყუმუხური ენა განეკუთვნება თურქულ ენათა ჯგუფს).

განვიხილოთ ის ფონეტიკური პროცესები, რომლებიც ყველაზე მეტად უკავშირდებიან ასიმილაციას, ასიმილაციის სახეობებს.

#### **1. 4. ასიმილაცია**

ჩეჩნურში ასიმილაცია ძირითადად რეგრესულ-დისტანციურია. პროგრესულ-დისტანციური ასიმილაცია ჩეჩნურში შედარებით იშვიათი მოვლენაა, თუმცა აღნიშნული ენის დიალექტებში იგი არც თუ იშვიათად შეინიშნება.

რეგრესულ-დისტანციური ასიმილაცია რამდენიმე სახისაა, კერძოდ:

პალატალიზაცია;

ლაბიალიზაცია;

ხმოვანთა დავიწროება;

პალატალიზაცია-დავიწროებით.

რეგრესულ-დისტანციურ ასმილაციას სიტყვის ფუძეში იწვევს მეორე მარცვლის ხმოვანი – ცვლის რა წინა მარცვლის ხმოვანს, ხშირად იგი თვითონაც იცვლება.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

### 1. 5. ხმოვანთა პალატალიზაცია

როგორც ითქვა, მომდევნო მარცვლის ე ან ი ხმოვნები იმსგავსებენ წინა მარცვლის ა, ო, უ ხმოვნებს, ხდება ამ ხმოვანთა პალატალიზაცია (დარბილება) პალატალური (რბილი) ე, ი ხმოვნების გავლენით.

მამასადამე, პალატალიზებული ხმოვნები ჩეხურში ფონეტიკური პროცესის შედეგს წარმოადგენენ.

აღნიშნული პროცესი წინა ხმოვნის დამსგავსებით (ასიმილაციით) არ მთავრდება – ამ პროცესის შემდეგ მასიმილირებული ხმოვანი თვითონ განიცდის ცვლილებას – სუსტდება და გადადის ა-ში.

ჩამოთვლილი პროცესები თავს იჩენენ:

ა > ე (ჰ)

აღნიშნული პროცესი თავს იჩენს:

სახელთა ბრუნებაში:

სახ. სთაგ “კაცი, ადამიანი”; კანთ “ბიჭი”; ლახა “თავი”...

ნათ. სთეგ-ან<sup>ნ</sup> (<სთაგ-ინ<sup>ნ</sup> < სთაგ-ინ); კენტ-ან<sup>ნ</sup> (<კანთ-ინ<sup>ნ</sup> < კანთ-ინ); ლეხქ-ან<sup>ნ</sup> (<ლახქ-ინ<sup>ნ</sup> < ლახქ-ინ)...

გარდაუვალი ზმნების აწმყოს ფორმათა -ე სუფიქსის მეშვეობით წარმოებისას:

ინფინიტივი: ლათ-ან<sup>ნ</sup> “დაჭიდება”, ლაყ-ან<sup>ნ</sup> “დაშრება”, სათთ-ან<sup>ნ</sup> “გაღუნვა”, შარშ-ან<sup>ნ</sup> “სრიალი”, ლათთ-ან<sup>ნ</sup> “დგომა”...

აწმყო: ლეთ-ა (<ლათ-ე), ლეყ-ა (<ლაყ-ე), სეთთ-ა (<სათთ-ე), შერშ-ა (<შარშ-ე), ლთთ-ა (<ლათთ-ე)...

გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათაგან ნამყო დროთა ფორმების -ი სუფიქსის მეშვეობით წარმოებისას:

ინფინიტივი: ლათ-ან<sup>ნ</sup> “დაჭიდება”, საც-ან<sup>ნ</sup> “გაჩერება”, მალა-ან<sup>ნ</sup> “დაღევა”...

ნამყო უახლესი: ლეთ-ი (< ლათ-ი), სეც-ი (< საც-ი), მელ-ი (< მალ-ი)...

ნამყო განსაზღვრული: ლეთ-ი-რა (< ლათ-ი-რა), მელ-ი-რა (< მალ-ი-რა)...

**ა > ე**

პროცესი მოქმედებს:

სახელთა ბრუნებაში:

სახ. ბად “იხვი”; ნახ “ხაღხი”...

ნათ. ბჷდ-ან (< ბჷდ-ი<sup>ნ</sup>); ნჷნ-ან (< ნჷნ-ი<sup>ნ</sup>)...

გარდაუვალ ზმნათაგან აწმყოს ფორმების -ა სუფიქსის მეშვეობით წარმოებისას:

ინფინიტივი: დჷჷ-ან<sup>ნ</sup> “ძოვა”, დჷნ-ან<sup>ნ</sup> “ცხოვრება”...

აწმყო: დჷჷ-ა (< დჷჷ-ე); დჷნ-ა (< დჷნ-ე)...

გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათაგან ნამყო დროთა ფორმების წარმოებისას:

ინფინიტივი: დჷშ-ან “პარსვა”; ლჷც-ან “დაჭერა”; ჯლ-ან “თქმა”...

ნამყო უანლესი: დჷშ-ი (< დჷშ-ი); ლჷც-ი (< ლჷც-ი); ჯლ-ი (< ჯლ-ი)...

ნამყო განსაზღვრული: დჷშ-ი-რა (< დჷშ-ი-რა); ლჷც-ი-რა (< ლჷც-ი-რა); ჯლ-ი-რა (< ჯლ-ი-რა)...

**ჟო > ო**

პროცესი თავს იჩენს დახურულ მარცვალში:

გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათაგან ნამყო დროთა ფორმების წარმოებისას, მაგალითად:

ინფინიტივი: დჷოთთ-ან “დასხმა”; ხჷოთთ-ან “გადაბმა”...

ნამყო უანლესი: დჷოთთ-ი (< დჷოთთ-ი); ხჷოთთ-ი (< ხჷოთთ-ი)...

ნამყო განსაზღვრული: დჷოთთ-ი-რა (< დჷოთთ-ი-რა); ხჷოთთ-ი-რა (< ხჷოთთ-ი-რა)...

სახელთა ბრუნებისას:

სახ. ქჷოროთა “თავი”

ნათ. ქჷრთ-ან (< ქჷოროთ-ინ | ენ)...

**ჟო > ო**

პროცესი შეინიშნება სახელთა ბრუნებისას, ამ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად ივარაუდება - ენ. მაგალითად:

სახ. ლტომ “ლომი”; სტომ “ხილი”

ნათ. ლტმ-ან (< ლტომ-ენ); სტმ-ან (< სტომ-ენ)...

### ტრ > ტ

პროცესი შეინიშნება ზმნათაგან ნამყო დროთა წარმოებისას, თუ მარცვალ არის ღია და მეორე მარცვალში წარმოდგენილია ი ხმოვანი (ი ხმოვანი ნამყო უახლესის მაწარმოებელია, რომელიც ნამყო განუსაზღვრელში ხშირად იკარგება).

ინფინიტივი: თტრხ-ან “დარტყმა”

ნამყო უახლესი: თტხ-ი (< თტრხ-ი)

ნამყო განსაზღვრული: თტხ-ი-რა (< თტრხ-ი-რა)

ნამყო განუსაზღვრელში ნამყო უახლესის მაწარმოებელი ი სუფიქსი დაკარგულია: თრხ-ნა (< თტრხ-ი-ნა)...

### ტრ > რ

თუ ნამყო უახლესის მაწარმოებელი ი ხმოვანი ნამყო განუსაზღვრელი დროის წარმოებისას (II სერიის დროები ნამყო უახლესისაგან იწარმოებიან) ჩავარდა და მარცვალ ღიახურა, მაშინ შეინიშნება ტრ > რ პროცესი. შდრ.:

ინფინიტივი: თტრხ-ან “დარტყმა”

ნამყო უახლესი: თტხ-ი

ნამყო განსაზღვრული: თტხ-ი-რა

ნამყო განუსაზღვრელი: თრხ-ნა (< თტხ-ი-ნა)

ანალოგიურ შემთხვევაში აღსანიშნავია, აგრეთვე, შემდეგი გარემოება: თუ დახურულ მარცვალში წარმოდგენილი ლიფთონგი სახელის წარმოქმნისას ღია მარცვალში აღმოჩნდება და ნამყო უახლესის -ი სუფიქსიც სახეზეა, მაშინ ტრ ლიფთონგი იძლევა ტ-ს (ტრ > ტ). შდრ.:

ჭყტორ “კანი”, “ფენა” > ჭყჭრიგ “ნაჭუჭი”, “ჩენჩო”...

### უ > უ

აღნიშნული პროცესი თავს იჩენს შემდეგ პირობებში:

სახელთა ბრუნებისას:

სახ. თურ “ხმალი”; უნ “ეპიდემია, ჭირი”...

ნათ. თურ-ან (< თურ-ინ); უნ-ან (< უნ-ინ)...

ზმნებისაგან ნამყო დროთა ფორმების წარმოებისას:

ინფინიტივი: ულ-ან “ყმუილი, ღმუილი”

ნამყო უახლესი: ულ-ი

ნამყო განსაზღვრელი: ულ-ი-რა

ნამყო განუსაზღვრელი: ულ-ნა (< ულ-ი-ნა)...

## ჟ > ჟ

პროცესი შეინიშნება:

გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათაგან ნამყო დროის ფორმათა წარმოებისას:

ინფინიტივი: ხჟლ-ან “შეწოვა”; “შესრუტვა”; ღჟხ-ან “ჩაცმა” ...

ნამყო უახლესი: ხჟლ-ი (< ხჟლ-ი); ღჟხ-ი (< ღჟხ-ი)...

ზემოთ ნათქვამი რომ შევაჯამოთ, ხმოვანთა პალატალიზაცია შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

- ა > ე (ჰა, ‘, ’ ბგერებთან მეზობლობაში ა იძლევა ა-ს)

სახ. სთაგ “კაცი, ადამიანი”

ნათ. სთეგ-ან (< სთაგ-ინ | -ენ)...

- ა > ე (ჰ)

სახ. ბად “იხვი”

ნათ. ბედ-ან (< ბად-ინ | -ენ)

- ჟო : ბ

ინფ. ხჟოთ-ან<sup>6</sup> “გადაბმა”

ნამყო უახლესი ხოთ-ი...

- ჟო > ბ

სახ. ლჟომ “ლომი”

ნათ. ლომ-ან (< ლეომ-ან)...

- ჟრ > ჟ

ინფინიტივი თჟონ-ან<sup>6</sup>

ნამყო უახლესი თჟნ-ი...

- ჟრ > რ

ინფინიტივი თჟონ-ან<sup>6</sup> “დარტყმა”

ნამყო განუსაზღვრელი თონ-ნა...

- უ > უ

სახ. თურ “ხმალი”

ნათ. თურ-ან (< თურ-ინ|-ენ)...

- უ > უ

ინფინიტივი ხუდ-ან<sup>6</sup> “შეწოვა”

ნამყო უახლესი ხუდ-ი...

## 1. 6. ხმოვანთა ლაბიალიზაცია

წინა ხმოვნის ლაბიალიზაციას იწვევენ მომღვენო მარცვლის ლაბიალური უ, უ ხმოვნები. მაშასადამე, პირველი მარცვლის ა, ე, ი ხმოვნები (ან მათი გრძელი ვარიანტები) მეორე (მომღვენო) მარცვლის უ, უ ხმოვნების გავლენით ასე იცვლებიან:

- ა > ო
- ა > ო
- ა > ო
- ე > ო (დახურულ მარცვალში)
- ე > ო (ღია მარცვალში)
- ი > უ
- ი > უ

მოციფვანოთ სათანადო მაგალითები:

ა > ო

პროცესი შეინიშნება შემდეგ შემთხვევებში:



- სახელთა ბრუნებაში:

სახ. ნაჟ “მუხა”

ნათ. ნოჟ-ან (< ნაჟ-უნ)...

- ზმნათაგან აწმყოსა და მისგან ნაწარმოები ფორმების წარმოებისას:

ინფინიტივი: საც-ან<sup>6</sup> “გაჩერება”; მალ-ან<sup>6</sup> “დალევა”...

აწმყო: სოც-უ (< საც-უ); მოლ-უ (< მალ-უ)..

აწმყოს მიმღეობა: სოც-უ-ნ<sup>6</sup> (< საც-უ-ნ); მოლ-უ-ნ (< მალ-უ-ნ)

აწმყოს აბსოლუტივი: სოც-უ-შ (< საც-უ-შ); მოლ-უ-შ (< მალ-უ-შ)

ასევე ზმნებისაგან: დად-ა “გაქცევა”, ლათთ-ა “ადგომა”...

სახელთაგან აბსტრაქტულ ფორმათა წარმოებისას:

ვაშა “ძმა” – ვოშა-ლლა (< ვაშ-აღლა < ვაშ-ულლა) “ძმობა”...

სთაგ “კაცი, ადამიანი” – სთოგ-აღლა (< სთაგ-ულლა) “კაცობა, ადამიანობა”

წენა (< წანი) “სუფთა” – წონ-აღლა (< წან-ულლა) “სისუფთავე”...

დავას არ იწვევს საკითხი, რომ მოცემულ შემთხვევაში სუფიქსისეული ხმოვანი, ცვლის რა ფუძისეულ ხმოვანს, თვითონაც იცვლება და ა ხმოვანს იძლევა.

ზოგ არსებით სახელში ლაბიალიზაციის პროცესი ადრევე მომხდარა. მაგალითად, სახელებში: **ქომარ** “მაყვალე” უნდა მომდინარეობდეს **ქამურ** ფორმისაგან, **მოსქალ** “ინდაური” – **მასქელ**-ისაგან, ვოთა (< ვათუ) “დოლი”...

ამრიგად, ანალოგიურ სიტყვებში პირველი მარცვლის ო ხმოვანი მეორეულია, იგი ხმოვანთა ლაბიალიზაციის შედეგს წარმოადგენს. გარდა ამისა, მეორეულია მეორე მარცვლის ხმოვანი ა-ც, რომელიც, ლაბიალიზაციის დასრულების შემდეგ, უ ხმოვნისაგან არის მიღებული უ ხმოვნის დასუსტების შედეგად.

ზოგ სახელში ლაბიალიზაციის პროცესი უკვე ჩამოყალიბებულია, დასრულებულია. შდრ.:

ღრზა (< ღაზ-უ) “საზღვარი”, მრჟ-ან (< მაჟ-უნ) “ყვითელი”, გრმამ (< გამუმ) “კამეჩი), ჰარზა (< ჰაზუ) “ჩიტი”...

ზმნათაგან აწმყოს (და მისგან ნაწარმოებ) ფორმათა წარმოებისას:

ინფინიტივი: ძაჩ-ან<sup>ნ</sup> “მიღწევა, მოღწევა”; ჰხ-ან “ხვან”...

აწმყო: ძრჩ-უ (< ძაჩ-უ); რხ-უ (< ჰხ-უ)...

აღნიშნული პროცესი თავს იჩენს, აგრეთვე:

აბსტრაქტულ სახელთა წარმოებისას:

რჟ-აღლა (< რჟ-უღლა) “აღსასრული”;

ნრნ-აღლა (< ნრნ-უღლა) “დიასახლისობა”;

ჰრმ-აღლა (< ჰრმ-უღლა) “მასპინძლობა”...

**ა > რ**

მოვიყვანოთ მაგალითები.

არსებით სახელთა ბრუნებისას, როცა დახურული მარცვალი იხსნება:

სახ. ქაჩ “საყელო”; ყამ “ერი, ხალხი”; ჩამ “გემო”...

ნათ. ქრჩ-ან (< ქაჩ-უნ); ყრმ-ან (< ყამ-უნ); ჩრმ-ან (< ჩამ-უნ)...

**ჭე > რ**

პროცესი შეინიშნება დახურულ მარცვალში, ღია მარცვალში გრელი ხმოვანი ჩნდება:

ინფინიტივი: დეღელ-ან<sup>ნ</sup> “გაღება”

აწმყო: დრღელ-უ (< დეღელ-უ)

აწმყოს მიმღობა: დრღელ-უნ

აწმყოს აბსოლუტივი: დრღელ-უ-შ...

**ღჟ > რ**

პროცესი შეინიშნება აწმყოს (და აწმყოსაგან ნაწარმოებ ფორმათა) წარმოებისას:

ინფინიტივი: დღჟმ-ან<sup>ნ</sup> “სწავლა”

აწმყო: დრმ-უ (< დდმ-უ)

აბსოლუტივი: დრმ-უ-მ (< დდმ-უ-მ)...

## ი > უ

შეინიშნება აწმყოს (და აწმყოსაგან ნაწარმოებ ფორმათა) წარმოებისას:

ინფინიტივი: დიგ-ა<sup>6</sup> “წაყვანა”

აწმყო: დუგ-უ (< დიგ-უ)

აბსოლუტივი: დუგ-უ-მ (< დიგ-უ-მ)

ზოგი რიცხვითი სახელისაგან ჯერობითი რიცხვითი სახელების წარმოებისას:

ისს “ცხრა” - უსს-ა-ზხა “ცხრაჯერ”; ითთ “ათი” - უთთ-ა-ზხა “ათჯერ”...

ზოგ ზედსართავ სახელთაგან აბსტრაქტული სახელების წარმოებისას:

ირა “ბასრი” - ურ-ა-ლლა “სიბასრე”...

ზოგი არსებითი სახელისაგან მრ. რიცხვის წარმოებისას:

იშალ “ჭაობი” - უშალ-შ...

## ი > უ

აღნიშნული პროცესი დასტურდება აწმყოსა და აწმყოს წრის სხვა ფორმათა წარმოებისას:

ინფინიტივი: დრც-ა<sup>6</sup> “თხრობა”; ლრჩ-ან “ბანაობა”...

აწმყო: დუტ-უ (< დრც-უ); ლუჩ-უ (< ლრჩ-უ)

აწმყოს მიმდებარე: დუტ-უ-<sup>6</sup> (< დრც-უ-ნ); ლუჩ-უ-<sup>6</sup> (< ლრჩ-უ-ნ)

აწმყოს აბსოლუტივი: დუტ-უ-მ (< დრც-უ-მ); ლუჩ-უ-მ (< ლრჩ-უ-მ)...

ასევე: ბრც-ა<sup>6</sup> “გაცვლა”...

ასეთია ხმოვანთა ლაბიალიზაციის შემთხვევები ჩეჩნურში.

## 1. 7. ხმოვანთა დავიწროება

ფონეტიკურ პროცესებს ხმოვნებში, პალატალიზაციისა და ლაბიალიზაციის გარდა, განეკუთვნება, აგრეთვე, ხმოვანთა დავიწროება.

გარჩეულია ხმოვანთა დავიწროების შემდეგი შემთხვევები:

ჭო : უ > უ : უ

ჭრ : უ > ჭ : უ

დე : ი > ი : ი

დე : ი > ძ : ი

ამ ხმოვნებიდან დიფთონგები პირველ მარცვალშია, მარტივი ხმოვნები ი და უ – მეორეში.

მოვიყვანოთ მაგალითები.

ინფინიტივი: ღუთთ-ან “ღასხმა” – აწმყო: ღუთთ-უ (< ღუთთ-უ)

ინფინიტივი: თჭრხ-ან “ღარტყმა” – აწმყო: თჭრხ-უ (< თჭრხ-უ)

ინფინიტივი: დესთ-ან “გასივება” – აწმყო: დესთ-ი (< დესთ-ი)

ინფინიტივი: დემშ-ან “სწავლა” – აწმყო: დემშ-ი (< დემშ-ი)...

შდრ., აგრეთვე:

ინფინიტივი: ღჭრხ-ან “(ღა)ხევა”, “(ღა)გრევა”...

აწმყო: ღჭრხ-უ (< ღჭრხ-უ)

აწმყოს აბსოლუტივი: ღჭრხ-უ-შ (< ღჭრხ-უ-შ)...

მამასადამე, დიფთონგი დახურულ მარცვალში ვიწროვდება და პალატალდება, ე. ი. საქმე გვაქვს ხმოვნის პალატალიზაციასთან დავიწროებით.

## 1. 8. კონტაქტური ასიმილაცია

კონტაქტური ასიმილაციის მაგალითები დიფთონგებშია წარმოდგენილი. შდრ:

ყოქს-ა<sup>6</sup> (< ყაქს-ან) “ღავა” (ღავობს, ეღავება)

ლოქთ-ა<sup>6</sup> (< ლაქთ-ან) “ღაჭიღება”

ღოქნ-ა (< ღაქნ-ა<sup>6</sup> < ღაქნ-ან) “თბილი” და ა.შ.

ანალოგიური ვითარება გვაქვს კაუზატიური ფორმების წარმოების დროსაც.

## 1. 9. დიფთონგები

დიფთონგი მეორეული ბგერაა. იგი წარმოიქმნება ე. წ. ნახევარხმოვნების დ-სა და ჯ-ს შერწყმით სრულ ხმოვნებთან. დიფთონგის ერთ-ერთი სეგმენტი ჯ ბგერა ჩვენურში წარმოადგენს ბილაბიალურ სპირანტს (მისგან განსხვავდება კბილბაგისმიერი სპირანტი ვ). დიფთონგი ერთ მარცვალს ქმნის.

დიფთონგი შეიძლება იყოს აღმავალი ან დაღმავალი. თუ ე ან უ სრული ხმოვნის წინ ღვანან, დიფთონგი აღმავალია, თუ მოსდევს – დაღმავალი.

აღმავალ დიფთონგს ჩვენურში გრძელი კორელატი აქვს, დაღმავალს გრძელი კორელატი არ გააჩნია. გარდა ამისა, გრძელი დიფთონგი მხოლოდ ღია მარცვალში დასტურდება.

მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები.

აღმავალი დიფთონგებია:

ა: ამ დიფთონგის წინა ნაწილი, ჩვეულებრივ, II ან III გრამატიკული კლასის ნიშანს წარმოადგენს, ე. ი. იგი წარმოშობილია მორფემათა ზღვარზე: ა-ან-ა<sup>ნ</sup> “წასვლა”; შდრ., ზუდ ა-ან-ა “ქალი წავიდა” (II გრამ. კლასი); გოჭრ ა-ან-ა “ცხენი წავიდა” (III გრამ. კლასი).

აე: ქაერჩ-ა<sup>ნ</sup> “გორვა”, ბაერდ “კლდე” ...

აე: ზაეზაგ “ყვავილი”, ღაეშ-ა<sup>ნ</sup> “სწავლა” ...

აი: აიშა “და”, აის “თრთვილი, ნამი” ...

აო: სო “მე”, ღო “გული”, ბო “მგელი” ...

აო: შო “მეტი”, ღო “მეტი”, ნო “მეტი”, სას. მალს “მზე”, ერგ მალს “მზე” ...

დაღმავალი დიფთონგების ნიმუშებია:

აა: თაა “მაფი”, საა “ირემი”, ღაა “ბალიში” ...

აე: ღაე “თოხმეტი” ...

აი: აი “გეჯა” ...

აო: ღაო “ფიცი”, ბაო “მუშტი”, უაო “ფიცრები” (მრ. რ., შდრ., მხ. რ. უ < უნ) ...

აუ: აუ “ჩებიჩი” ...

აე: ღაე “ითანაშა” (შდრ., ინფ. ღაე-ა “თამაში”), სე “გაჩერდენ” (მრ. რ.) ...

აი: საი “მეტი”, ღაი “გაცნობა” ...

აო: აა “ტოროლა”, აა “ლატრიალა” ...

იუ, უუ დიფთონგების შემცველი ლექსემების დასადგენად, როგორც ჩანს, დამატებითი მასალის მოპოვება საჭირო ჩვენური ენის დიალექტებიდან, სხვა ნახური ენებიდან.

## 1. 10. ხმოვანთა სისტემა ინგუშურ ენაში

ზემოთ ითქვა, რომ ნახური ენათაგან ვოკალური სისტემა ყველაზე უფრო რთულია ჩვენურში, ჩვენურთან

შედარებით ინგუშური ხმოვანთა სისტემითა და ფონეტიკური პროცესების სიმრავლით არ გამოირჩევა, მაგრამ ბაცბურთან შედარებით ინგუშური ენის ხმოვანთა სისტემა უფრო მრავალფეროვანია.

მარტივი, სადა ხმოვნებიდან ინგუშურში გარჩეულია: ა, ე, ი, ო, უ, გ. გ-ს გამოკლებით ყველა ამ ხმოვანს აქვს გრძელი ვარიანტი, რომლებიც, ასევე, ფონემებს წარმოადგენენ: ა, ე, ი, (ო, უ). ო, უ ხმოვნები თანამედროვე ინგუშურში თითქმის გაუჩინარებულია.

აქვს მოკლე ხმოვანი ა-ც, რომელიც უპირატესად სიტყვის ბოლოშია წარმოდგენილი.

ინგუშურ ენაში არსებული ხმოვნები წარმოების ადგილის მიხედვით არ განირჩევიან ჩეჩნურისაგან. არც მათი დისტრიბუციაა აღნიშნულ ენებში დიდად განსხვავებული. აღვნიშნავთ ზოგ თავისებურებას.

გ ხმოვანი, რომელიც ჩეჩნურში არ დასტურდება, ინგუშურში გვხვდება სიტყვის თავში (გზ “ის”, გლა “სირბილი”, ხელა “ყოფნა”...). ჩეჩნურში მას შეესატყვისება ი ან დე.

გრძელი ა ხმოვანი ზოგ შემთხვევაში პოზიციურად არის მიღებული: სახელის აუსლაუტისეული ა ხმოვანი ერწყმის მრავლობითის -ამ ფორმანტის ხმოვანს, რის შედეგადაც მიღებულია გრძელი ხმოვანი. შდრ., ქიცა “ანდაზა” – (მრ. რ.) ქიცა-ამ > ქიცამ (ჩუხუა 2009). ა ხმოვანფუმიან არს. სახელებს ჩეჩნურში პირდაპირ ერთვის მრავლობითის ფორმანტი -შ.

იგივე ხმოვანი სახელთა მიც. ბრუნვაშიც ჩნდება. შდრ., გოჭრ-ა “ცხენს” (< გოჭრ-ა-ნა < გოჭრ-ან-ნა)...

უმლაუტიანი ხმოვნებიდან გარჩეულია ა, (ო, უ). ბოლო ორი ხმოვანი ინგუშურში მცირერიცხოვან სიტყვებშია შემორჩენილი. ჩეჩნურთან შედარება გვიჩვენებს, რომ მათი ადგილი ინგუშურში სადა ხმოვნებს უკავიათ. ასე, მაგალითად:

ჩეჩნური: ო, უ, ო (ოფა “ზაზუნა”, დუტყა “თხელი”, ბრდა “ბინდი”...)

ინგუშური: ე, ი, ოა (ეფა, დიტყა, ბოადა)...

დიფთონგებიდან თავისებურია დე, გე, შდრ., ინგ. ხდე “ხე”, ხედლა “ყოფნა”... შდრ., ჩეჩნური ხდენ, ხილა<sup>6</sup>...

ინგუშურში, როგორც ჩეჩნურში, ხმოვანთა კომპლექსები არ დასტურდება. ნასესხებ სიტყვებში მათი არსებობის შემთხვევაში ხდება მათი გათიშვა ' (ჰამზა) ბგერით.

## 1. 11. ფონეტიკური პროცესები ინგუშური ენის ხმოვნებში

ხმოვანთა სისტემა ინგუშურში, ჩეჩნურთან შედარებით, საკმაოდ მარტივია. შეუდარებლად უფრო მარტივია ფონეტიკური პროცესები ხმოვნებში.

გარჩეულია შემდეგი მონოფთონგი ხმოვნები:

ა, ა, ა, ი, უ, გ

მონოფთონგია, აგრეთვე, უძლავიანი ა, რომელიც დასურულ მარცვალში დასტურდება. მისი გრძელი კორელატი (ა) მხოლოდ ღია მარცვალში იჩენს თავს. შდრ.: ა-ლა “ამბობს” და აშქ “რკინა”...

ი და უ ხმოვნებს გრძელი კორელატები არ გააჩნიათ. მაგალითად: ირა “ბასრი”, ურს “დანა”...

გ მკვეთრად რედუცირებული ხმოვანია. საოპოზიციო წყვილებს ქმნის ა, ა, ა ხმოვნებთან. შდრ.: დლა “ამოსვლა, ამოზრდა”, დლა “მიცემა”, დლა “დაბანა”...

ინგუშურში არ დასტურდება ე და ო სადა, მარტივი ხმოვნები, მათ ადგილს იკავებენ დე და უო.

წარმოების ადგილისა და აწეულობის მიხედვით ინგუშური ხმოვანი მონოფთონგების დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

დაბალი აწეულობის უკანა რიგის ხმოვნები: ა, ა, ა;

საშუალო აწეულობის წინა რიგის: ა; შუა რიგისა გ;

მაღალი აწეულობის წინა რიგის: ი; უკანა რიგისა უ;

შედარებისათვის: ა, ა, ა ხმოვნები ჩეჩნურში, მართალია, დაბალი აწეულობისაა, მაგრამ შუა რიგს განეკუთვნებიან. ინგუშური ხმოვნების დახასიათება მოცემულია რ. ახრიევას შრომის მიხედვით [ახრიევა და სხვ. 1972].

ნახალურება მკვეთრად გამოხატული არ არის: სა<sup>ნ</sup> “ჩემი”, კა<sup>ნ</sup> “შენი”... ხმოვნის ნახალურება უფრო მკაფიოდ არის გამოხატული სიტყვის შუაში. შდრ.: ჰა<sup>ნ</sup>ქ “ლანძილი” მან<sup>ნ</sup>გი “საწოლი”, კან<sup>ნ</sup>ქ “ბიჭი”...

## 1. 10. დიფთონგები

ინგუშურში გარჩეულია შემდეგი დიფთონგები:

დე, უო, ოან, იე, ოე, ეე, ოუ, უუ, უე

ამ დიფთონგთაგან აღმავალი პირველი ორი, დანარჩენი დიფთონგები დაღმავლები არიან.

აღსანიშნავია, რომ გრძელი დიფთონგები დასტურდება ღია მარცვალში, დასურულში – სადა, მარტივი.

თან (დაღმავალი დიფთონგი), როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, მხოლოდ ინგუშური ენისთვის არის დამახასიათებელი [ახრიევა და სხვ. 1972], თუმცა იგი ჩეჩნური ენასათვისაც არ არის უცხო. ჩეჩნურში იგი პოზიციურად არის მიღებული, ზოგადად, ორივე ენაში იგი მეორეულია ისევე, როგორც ყველა დიფთონგი.

ფონეტიკური პროცესებიდან ხმოვნებში ასიმეტრია სუსტად არის წარმოდგენილი. ასე, მაგალითად, აუსლაუტის ა ემსგავსება ვ-ს და დაბალიდება მორფემათა ზღვარზე: ვედლე-ვ “გაქცეულა (თურმე)” ფორმა

მიღებულია ველა-ვ-ისაგან, ეს კი – ველა ვა-საგან “გაქცეული არის”...

ინგუშურში ფართოდ მოქმედებს აუსლაუტში ხმოვნის მოკვეცის პროცესი: სიტყვის ბოლოში ხმოვანი იკვეცება, მაგალითად, ზოგი ზმნისაგან აწმყოს წარმოებისას: ლელ (< ლელ-ა) “დაღის”, ოლ (< ოლ-ა) “ამბობს” და მისთ. შეინიშნება ხმოვანთა დაგრძელების შემთხვევები. ასე, მაგალითად, არს. სახელთა ბრუნებისას მიცემით ბრუნვაში იკარგება ფორმანტიკული თანხმოვანი ნ, რის შედეგადაც ხდება ნ-ს წინა და მომდევნო ხმოვნების შერწყმა-დაგრძელება. იგივე მოვლენა შეინიშნება ნამყოს მიმდებარისა და აბსოლუტივის წარმოების დროსაც. შდრ.:

სახ. ვორდა “ურემი” – ნათ. ვორდ (< ვორდა-ნა);

სახ. ქისა “ქისა” – ნათ. ქის (< ქისა-ნა) და მისთანანი.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ფონეტიკური პროცესები ინგუშურ ენის ხმოვნებში მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა.

### 1. 11. ხმოვანთა სისტემა და ფონეტიკური პროცესები წოვა-თუშურ ენაში

წოვა-თუშურ ენაში გარჩეულია შემდეგი ხმოვნები:

სადა: ა, ე, ი, ო, უ;

გრძელი: ა, ე, ი, ო, უ;

მოკლე: ა, ე, ი, ო, უ;

სადა და გრძელ ხმოვნებს აქვთ ნაზალური კორელატებიც. ასე რომ წოვა-თუშურში გამოიყოფა ოცდახუთი ხმოვანი.

სადა ხმოვნების გარდა ყველა ხმოვანი მეორეულია, მიღებულია ფონეტიკური პროცესების შედეგად.

ორ და მეტმარცვლიანი სიტყვების აუსლაუტში ხმოვნები ან მოკლდება, ან იკარგება. მაგალითად, ხმოვნები ე, ი, ო, უ, ჩვეულებრივ, მოკლდებიან, თუმცა მათი დაკარგვაც არ არის გამორიცხული, ხოლო ა ხმოვანი იკარგება.

თუ სიტყვის ბოლოში ხმოვანს გრამატიკული ფუნქცია აქვს, იგი ცვლილებას არ განიცდის. ასეთია, მაგალითად, მრ. რიცხვის მაწარმოებელი ი არსებით სახელებში, სხვადასხვა ფუნქციის მქონე ა ხმოვანი და ზოგი სხვაც. მაშასადამე, მოკლე ხმოვნის პოზიცია წოვურში ფიქსირებულია, მისი ადგილი სიტყვის ბოლოშია.

ხმოვანთა დამოკლება ჩვეულებრივია ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში. ნათქვამი არ ეხება თანხმოვანფუძიან არსებით სახელებს. სახ. ბრუნვის -ი ნიშანი სესხებისას წოვა-თუშურში არ გადადის.



გარდა ამისა, სიტყვის ბოლოში მოკლე ხმოვანი აღდება, თუ იგი დაკარგავს ბოლოკიდურ პოზიციას. ეს მაშინ ხდება, თუ სიტყვას დაერთო სუფისი ან ნაწილაკი. ეს წესი არ მოქმედებს სახელობითის ი ფორმანტზე, იგი უკვალოდ იკარგება.

შდრ.: ლელუ “დაღის” და ლელ-ე-რ “დაღილა”; ვალ “მოღის” და ვალ-ო-რ “მოღილა”...

სიტყვის ბოლოში ხმოვანი შენარჩუნებულია იმ შემთხვევაშიც, თუ მისი მომდევნო ბგერის გამომხატველი ჰა სუფიქსი ჩავარდნილია. შდრ., სოგოჰა > სოგო “ჩემკენტან, ჩემთან” [გაგუა 1956, 470].

## 1. 12. ლიფთონგები

როგორც ცნობილია, წოვა-თუშურში ი და უ ხმოვნების დამოკლება იწვევს ლიფთონგების წარმოშობას. შდრ., სახ. ქანიზ “ყურძენი”, ერგ. ქანზ-ე-ვ; ჭანიკ “ნიკაპი”, ერგ. ჭანკ-ე-ვ...

ე. ი. მეორე მარცვლის ი და უ ხმოვნები ფუძეზე ხმოვნის დართვის შემთხვევაში დამოკლებიან და გადადიან წინა მარცვალში, სადაც სრულ ხმოვანთან ლიფთონგს ქმნიან. ეს არის ლიფთონგის წარმოშობის ერთადერთი წყარო წოვა-თუშურში.

შდრ., აგრეთვე, მაგალითები: ჰაწუკ “ჩიტი”, ერგ. ჰადწკ-ე-ვ... ამ შემთხვევაში უ > ა-ში. შდრ., აგრეთვე, ლადწი “სტკივა” და ლაწირ “სტკილა”. ე. ი. ხდება ხმოვნის განხლეჩა, რომლის ერთი ნაწილი ფუძეში გადაადგილდება, მეორე ნაწილი თავის ადგილზე რჩება. ანალოგიური მაგალითების გამრავლება მრავლად შეიძლება.

აღსანიშნავია ის ცვლილებები, რომლებიც ლიფთონგში ხდება – ფუძისეული ად ლიფთონგი, ასიმილაციის შედეგად, იძლევა ედ-ს. მაგალითად, ქართული *მანღლი* – წოვური *მანღლი* / *მენღლი*...

შეინიშნება ლიფთონგთა ტრანსფორმაციის სხვა შემთხვევებიც: ად ლიფთონგი ე-შიც გადადის. შდრ., ქალიქა “ქალაქი”, ერგ. ქალიქ-ე-ვ (< ქალიქადვ)... ერთმარცვლიან სახელებში აღნიშნული პროცესი არ ხდება: ჩა “დათვი”, ნათ. ჩან, ერგ. ჩადვ... მაშასადამე, ე (ქალიქ-ე-ვ) მიღებულია ფუძისეული ა და სუფიქსისეული ც (< ი<sup>6</sup> < ინ) ხმოვნების შერწყმის შედეგად. აქ საყურადღებოა მეორე საბრუნებელი ფუძის წარმოება, ე ხმოვანი მეორეულია, ლიფთონგის შემადგენელი კომპონენტების შერწყმის შედეგი.

გარდა ამისა, ედ ლიფთონგი ზოგ შემთხვევაში გვაძლევს ი (გრძელი ი) ხმოვანს. მაგალითად: ლივნი “ამბობს” მიღებულია ასე: ლივნი < ლევი < ლევი და მისთ.

ოდ > უდ პროცესი გვაქვს სახელთა ბრუნებაში, მაგ.: სახ. ბაყრ “კვიცი”, ნათ. ბაყუდ<sup>6</sup>...

### 1. 13. ნაზალური ხმოვნები

ნაზალურია ხმოვანი, რომელიც მიღებულია ხმოვნის მოძღვენონ ბგერის დასუსტებით. ასეთ შემთხვევაში ნ ბგერა იკარგება, მაგრამ კვალს ტოვებს წინა ხმოვნის ნაზალიზაციაში. შდრ., ქართულიდან ნასესხები ნ-ზე დაბლოებული ლექსემები წოვურში, მაგალითად: საბა<sup>ნ</sup> “საბანი”, საპო<sup>ნ</sup> “საპონი” წვე<sup>ნ</sup> “წვენი”...

აღსანიშნავია, რომ ნაზალურობა მოიშლება მაშინვე, თუ იგი დაკარგავს ბოლოკიდურ პოზიციას. შდრ., სახ. ხე<sup>ნ</sup> “ხე”, ნათ. ხენ-ე<sup>ნ</sup>.

მაშასადამე, წოვურში ნაზალური ხმოვნები, ისევე როგორც ჩეჩნურ-ინგუშურში, დიფთონგები მიღებულია გარკვეული ფონეტიკური პროცესების შედეგად. დიფთონგებისა და ნაზალური ხმოვნების წარმოქმნილი პირობების შეცვლისთანავე ისპობა შედეგად – აღდება სადა, მარტივი ხმოვნები.

## 2. ფონეტიკური პროცესები დალესტნურ ენათა ვოკალურ სისტემაში

### 1. ფონეტიკური პროცესები

#### ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ვოკალურ სისტემაში

**1.1. ზოგადი დასასიათება.** ხუნძური ენა კონსონანტიზმის უაღრესი სირთულის პირობებში ვოკალური სისტემის უჩვეულო სიმარტივეს ამჟღავნებს. ანდიურ ენებს მეტწილად ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემების სირთულე თანაბრად ახასიათებს. რაც შეეხება დილოურ ენებს, კონსონანტიზმი, გამარტივების გამო, დიდად სხვაობს ვოკალიზმისაგან, რომლის სირთულე უკიდურეს ზღვარს აღწევს ბეჟიტური ენა 30 ხმოვან-ფონემას ითვლის. მიუხედავად ამგვარი სიჭრელისა, ამოსავალი მარტივი ვოკალური სისტემა გართულებულია ნაზალიზებული, პალატალიზებული (resp. უმლაუტიანი) და გრძელი სახესხვაობებით, რომელთა მეორეულობა ეჭვს არ იწვევს, ხოლო ზოგი მარტივი ხმოვნის ფუძეენისეულობაც სათუთა [ჩიქობავა 1979 : 49].

ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენების ვოკალიზმის პარადიგმატული ანალიზის<sup>4</sup> ხმოვანთა ყოველგვარი (კვალიტატიური, კვანტიტატიური) ოპოზიცია შეიძლება დასასიათდეს ექვსი ნიშნის მიხედვით: 1) **ლოკალური რიგი**; 2) **ენის აწეულობა**; 3) **ბაგისმიერი-არაბაგისმიერი**<sup>5</sup>; 4) **გრძელი-არაგრძელი**; 5) **ნაზალიზებული-არანაზალიზებული**; 6) **პალატალიზებული-არაპალატალიზებული**.

**1.2. ხუნძური ენის ხმოვანთა სისტემა.** ხმოვანთა სისტემის სიმარტივით გამოირჩევა ხუნძური ენა, რომელშიც მხოლოდ ხუთი სადა ხმოვანი დასტურდება: **ა, ე, ი, ო, უ**. ამ ორალურ ხმოვანთა გვერდით, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, შეიმჩნევა შეზღუდული დისტრიბუციის მაგარშემართვიანი, ფარინგალიზებული, ლარინგალიზებული, პალატალიზებული, ნაზალიზებული ნაირსახეობანი, მაგრამ მათ ფონეტიკური სტატუსი არ აქვთ [უსლარი 1989 : 7; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 22-23; მიქაილოვი 1958 : 146-147; მადიევა 1967 : 256; ჯაფარიძე 1967 : 113...]. ჰილურის ერთ-ერთ თქმაში გამოყოფენ ნაზალიზებულ ა<sup>5</sup>-ს [მიქაილოვი 1958 : 146], მაგრამ იგი სინამდვილეში ალოფონის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს. ზაქათალურ დიალექტში დასტურებენ თერთმეტ ხმოვანს [საიდოვა 1981 : 130-133]. დამატებით გამოყოფენ გრძელ (**ა, ე, ი, ო, უ**), ე. წ. ირაციონალურ **გ** და ჰუნზიბურ დიალექტში თავჩენილი ა(-**ა**) ტიპის ხმოვნებს, რომლებიც აგრეთვე ძირითადი ხმოვნების ალოფონებს ეტოლებიან. მასთან, **გ < ი** და **ა < ა**, მაგ.: წალგ < წალი `სუფთა`, ბინა|ბინა `ბინა`... გარდა ამისა, ანატოლიის ხუნძთა მეტყველებაში შენიშნულია ნაზალიზებული **ი**<sup>5</sup> და პალატალიზებულ **რ, ჟ** ხმოვანთა არსებობა [შარაშიძე 1981 : 17-18]. თურქეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ხუნძური ენის ფონოლოგიურ სისტემაში შეიმჩნეული პალატალიზებული ბგერები, ჩანს, სათანადო ხმოვანთა (**ო, უ**) ალოფონებია, რომლებიც თურქული ენის ანალოგიური ხმოვნების ზეგავლენით ჩანს წარმოქმნილი.

ხუნძურში მარტივ ხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალია და ვოკალური სისტემა ტაბულის სახით ასე

<sup>4</sup>. პარადიგმატული და სინტაგმატური ანალიზი ენის აღწერითი თვალსაზრისით კვლევისას გამოიყენება, თუმცა ფასდაუდებელ სამსახურს უწევს დიაქრონიულ კვლევასაც. აქ მოკლედ განვიხილავთ ხმოვანთა სისტემებს პარადიგმატული ასპექტით.

<sup>5</sup>. ნიშანი „ბაგისმიერობა-არაბაგისმიერობა“ გათვალისწინებულია მაშინ, როდესაც **ა** და მისი კორელატები უკანა რიგშია წარმოდგენილი.

გამოიხატება:

ლოკალური რიგი	წინა	უკანა	
		არაბაგისმიერი	ბაგისმიერი
ენის აწეულობა			
მაღალი	ი		უ
საშუალო	ე		ო
დაბალი		ა	

**1.3. ანდიური ენის ხმოვანთა სისტემა.** ანდიურ ენაში გაირჩევა ხუთი მარტივი ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ. გარდა ამისა, ზოგ თქმაში დასტურდება გრძელი სახეობები, რომლებიც შეიცავენ სადა ხმოვანთა საარტიკულაციო თვისებებს დაყოვნების მიმატებით: ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>. თქმათა მიხედვით, არათანაბრად არის გავრცელებული ნაზალიზებული კორელატებიც: ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>. გრძელი და ნაზალიზებული ხმოვნები უპირატესად რიკანის თქმაში გვხვდება [ცერცვაძე 1965 : 10-15].

ამრიგად, ხმოვანთა კლასიფიკაციის ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

ლოკალური რიგი	წინა			შუა			უკანა		
	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.
ენის აწეულობა									
მაღალი	ი	ი <sup>ნ</sup>					უ	უ <sup>ნ</sup>	
საშუალო	ე	ე <sup>ნ</sup>					ო	ო <sup>ნ</sup>	
დაბალი				ა	ა <sup>ნ</sup>				

**შენიშვნა:** წინა და შუა რიგის ხმოვნები ბაგისმიერობის უქონლობით უპი რისპილებიან უკანა რიგის ხმოვნებს. მასთან, შუა რიგისა და მიჩნეული ხმოვნები და მათი კორელატები, ხუნძურის ანალოგიურად, შესაძლოა უკანა რიგისა იყოს, რასაც ექსპერიმენტული კვლევა სჭირდება [იხ. ჯაფარიძე 1967 : 119; დე 2000 : 276].

**1.4. ბოთლისური ენის ხმოვანთა სისტემა.** ბოთლისურს მოეპოვება ხუთი სადა ორალური (ა, ე, ი, ო, უ) და ხუთი ნაზალიზებული (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) ხმოვანი, რომელთა დაპირისპირება ფონოლოგიურად რელევანტურია.

მასთან, ა შედარებით უკანა წარმოებისა [გუდავა 1962 : 11]. ნაზალიზებულ ხმოვანთაგან ო<sup>ნ</sup> სპორადულად გვხვდება. ხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალია, თუმცა ნაზალიზებული ხმოვნები აბსოლუტურ ბოლოში წესისამებრ არ შეიმჩნევა [გუდავა 1967 : 293]. ხ. აზავეი დამატებით ხუთ ხმოვანს (ა, ე, ი, ო, უ) გამოყოფს, თუმცა მათ კვალიფიკაციას არ იძლევა [დუ 2000 : 347-348]. სქემატურად:

ლოკალური რიგი	წინა		უკანა			
			არალაბიალური		ლაბიალური	
ენის აწეულობა	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.
მაღალი	ი	ი <sup>ნ</sup>			უ	უ <sup>ნ</sup>
საშუალო	ე	ე <sup>ნ</sup>			ო	ო <sup>ნ</sup>
დაბალი			ა	ა <sup>ნ</sup>		

**1.5. ლოლბერიული ენის ხმოვანთა სისტემა.** ლოლბერიულ ენაში დასტურდება ხუთი სადა ორალური ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ), რომელთაც მოეპოვებათ შესაბამისი ნაზალიზებული კორელატები: ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>. ო<sup>ნ</sup> და უ<sup>ნ</sup> ხმოვანთა გამოყენების ხვედრითი წილი მცირეა, ხოლო გრძელი სახეობები ფონოლოგიურად ირელევანტურია [გუდავა 1967 : 307; საილოვა 1973 : 9; შდრ. დუ 2000 : 378-379]. ხმოვანთა განაწილება თავისუფალია, თუმცა ამა თუ იმ ხმოვნის ფუნქციური დატვირთვა განსხვავებული.

საბოლოოდ ხმოვანთა ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

ლოკალური რიგი	წინა		შუა		უკანა	
	ენის აწეულობა	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.
მაღალი	ი	ი <sup>ნ</sup>			უ	უ <sup>ნ</sup>
საშუალო	ე	ე <sup>ნ</sup>			ო	ო <sup>ნ</sup>
დაბალი			ა	ა <sup>ნ</sup>		

**1.6. ჭამალური ენის ხმოვანთა სისტემა.** გვხვდება როგორც სადა ორალური (ა, ე, ი, ო, უ), ისე ნაზალიზებული (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) და გრძელი (ა, ე, ი, ო, უ) ხმოვნები. გარდა ამისა, გამოიყოფა გრძელი ნაზალიზებული სახეობები: ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup> [ბოკარევი 1949 : 15; მაჰომედბეკოვა 1967 : 383-385; მაჰომედოვა 1999 : 412].

ხმოვანთა სისტემა ტაბულის სახით ასე წარმოგვიდგება:

ლოკალური რიგი	წინა				შუა				უკანა				
	არანაზალიზ.		ნაზალიზ.		არანაზალიზ.		ნაზალიზ.		არანაზალიზ.		ნაზალიზ.		
	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	
ენის აწეულობა													
მაღალი	ი	ი	ი <sup>ნ</sup>	ი <sup>ნ</sup>					უ	უ	უ <sup>ნ</sup>	უ <sup>ნ</sup>	
საშუალო	ე	ე	ე <sup>ნ</sup>						ო	ო	ო <sup>ნ</sup>		
დაბალი					ა	ა	ა <sup>ნ</sup>	ა <sup>ნ</sup>					

**1.7. ტინდიური ენის ხმოვანთა სისტემა.** ხმოვანთა სისტემა ტინდიურში რთულია: მარტივი ორალური ხმოვნების (ა, ე, ი, ო, უ) გარდა, გაირჩევა გრძელი (ა, ე, ი, ო, უ), ნაზალიზებული (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) და გრძელი ნაზალიზებული (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) კორელატები. გავრცელებულია გრძელი ხმოვნების ფაკულტატიური გამოყენება. ა<sup>ნ</sup> და ო<sup>ნ</sup> ხმოვნები სპორადულად გვხვდება [გუდავა 1953 : 329-333; 1967 : 368; დე 2000 : 423]. სქემატურად:

ლოკალური რიგი	წინა		შუა		უკანა	
	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.

ენის აწეულობა	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი
მაღალი	ი	ი <sup>ნ</sup>	ი <sup>ნ</sup>	ი <sup>ნ</sup>					უ	უ <sup>ნ</sup>	უ <sup>ნ</sup>	უ <sup>ნ</sup>
საშუალო	ე	ე <sup>ნ</sup>	ე <sup>ნ</sup>	ე <sup>ნ</sup>					ო	ო <sup>ნ</sup>	ო <sup>ნ</sup>	ო <sup>ნ</sup>
დაბალი					ა	ა <sup>ნ</sup>	ა <sup>ნ</sup>	ა <sup>ნ</sup>				

**შენიშვნა:** ტ. გუდავა ტინლიურ ა-ს უფრო წინა წარმოებისად მიიჩნევს [გუდავა 1953 : 330; შდრ. ლე 2000 : 424]. ამ მოსაზრების ექსპერიმენტულად დადასტურებამდე ჩვენ მას შუა რიგში ვათავსებთ.

**1.8. ბაგვალური ენის ხმოვანთა სისტემა.** ბაგვალურში გამოიყოფა მარტივი არაგრძელი (ა, ე, ი, ო, უ), მარტივი გრძელი (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) და ნაზალიზებული არაგრძელი (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) და ნაზალიზებული გრძელი (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) ხმოვნები. გრძელი და გრძელი ნაზალიზებული ხმოვნების ფონემურობის საკითხი სარკვევია.

ხმოვანთა განაწილება თავისუფალია, თუმცა აუსლაუტში ი და უ იკვეცება [გუდავა 1967 : 351-352; 1971 : 7]. ყოველივე ზემოთქმული, სქემის სახით, ასე გამოიყურება:

ლოკალური რიგი	წინა		შუა		უკანა	
	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.
ენის აწეულობა						
მაღალი	ი	ე <sup>ნ</sup>			უ	უ <sup>ნ</sup>
საშუალო	ე	ე <sup>ნ</sup>			ო	ო <sup>ნ</sup>
დაბალი			ა	ა <sup>ნ</sup>		

**1.9. კარატაული ენის ხმოვანთა სისტემა.** კარატაული ენის ვოკალური სისტემა შეიცავს ხუთ სადა ხმოვანსა (ა, ე, ი, ო, უ) და მათ ნაზალიზებულ კორელატებს: ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>. პალატალიზებულ თანხმოვანთა მოძღვრულ ფაკულტატურად გვხვდება ჯ, რომელიც ფონოლოგიურ ღირებულებას მოკლებულია [მაჰომედბეკოვა 1967 : 322;

1971 : 12-13].

ამგვარად, კარატული ენის სმოვან-ფონემათა კლასიფიკაციის ცხრილი ასე წარმოგვიდგება:

ლოკალური რიგი	წინა		შუა		უკანა	
	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.
ენის აწეულობა						
მაღალი	ი	ი <sup>ნ</sup>			უ	უ <sup>ნ</sup>
საშუალო	ე	ე <sup>ნ</sup>			ო	ო <sup>ნ</sup>
დაბალი			ა	ა <sup>ნ</sup>		

**1.10. ახვასური ენის სმოვანთა სისტემა.** ახვასურ ენაში გამოიყოფა მარტივი ორალური (ა, ე, ი, ო, უ), გრძელი (ჰ, ზ, თ, ჟ) და ნაზალიზებული (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) სმოვნები. ჩამოთვლილ სმოვანთა გარდა, ადასტურებენ იშვიათი სმარების გრძელ ნაზალიზებულ კორელატებს, რომელთა ფონემურობის დასაბუთებას ვერსად ვხვდებით [მაჰომედბეკოვა 1967 : 336; 1971 : 11-12]. ჩნდება ეჭვი, რომ ხშირად გრძელი ნაზალიზებული სმოვნები ალო-ფონთა ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს. ეგევე ითქმის ზოგი დილოური ენის სმოვანთა მიმართაც.

ახვასური ენის ვოკალური სისტემის ტაბულა ასე გამოისახება:

ლოკალური რიგი	წინა				შუა				უკანა				
	არანაზალიზ.		ნაზალიზ.		არანაზალიზ.		ნაზალიზ.		არანაზალიზ.		ნაზალიზ.		
	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	
ენის აწეულობა													



მაღალი	ი	ი <sup>6</sup>	ი <sup>6</sup>	ი <sup>6</sup>					უ	უ <sup>6</sup>	უ <sup>6</sup>	უ <sup>6</sup>
საშუალო	ე	ე <sup>6</sup>	ე <sup>6</sup>	ე <sup>6</sup>					ო	ო <sup>6</sup>	ო <sup>6</sup>	ო <sup>6</sup>
დაბალი					ა	ა <sup>6</sup>	ა <sup>6</sup>	ა <sup>6</sup>				

მაშასადამე, ანდიურ ენათა სინამდვილეში ხმოვანთა რიცხვი მერყეობს ათიდან ოცამდე. ჭამალურში, ტანდიურსა და ახვახურში ხმოვანთა სისტემა საგრძნობლად გართულებულია, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში არსებული კვალიფიკაცია ასახავს თუ არა სინამდვილეს, ამას დამატებითი კვლევა-ძიება სჭირდება.

**1.11. დილოური ენის ხმოვანთა სისტემა.** დილოურ ენაში დასტურდება ხუთი სადა ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ. ამ ხმოვანთა გვერდით მოგვეპოვება მათი გრძელი ვარიანტები, რომლებიც სათანადო მარტივი ხმოვნების საარტიკულაციო თვისებებს შეიცავენ დაყოვნების მიმატებით: (ა, ე, ი, ო, უ). ქიდიროულსა და შაფიხურ თქმებში თავს იჩენს პალატალიზებული ა (ა<sup>6</sup>), რომელიც შეიძლება ფონემად ჩათვალოს, რაც შეეხება საჰაერო დიალექტსა და ზოგი სხვა აულის (ხეთონი, შაური...) მეტყველებაში დადასტურებულ ვიწრო სახეობებს, ისინი კონტრასტული დისტრიბუციის დამოკიდებულებაში არ იმყოფებიან ძირითად ხმოვნებთან და ფაქტობრივად ალოფონის დონეზე ღვანან [იმნაიშვილი 1963 : 14; ლომთაძე 1994 : 14-15; შდრ. მეგრულიძე 1936 : 234].

დილოური ენის ხმოვანთა კლასიფიკაცია სქემატურად ასე გამოიხატება:

ლოკალური რიგი	წინა		შუა		უკანა			
	არაგრძელი	გრძელი	პალატალიზებული		არალაბიალური		ლაბიალური	
			არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი
ენის აწეულობა								
მაღალი	ი	ი <sup>6</sup>					უ	ა <sup>6</sup>
საშუალო	ე	ე <sup>6</sup>					ო	ო <sup>6</sup>
დაბალი			ა	ა <sup>6</sup>	ა	ა <sup>6</sup>		

**1.12. ჰინუხური ენის ხმოვანთა სისტემა.** ჰინუხური ენა იმეორებს საკუთრივ დილოური ენის ხმოვნურ შედგენილობას პალატალიზებული ა (ა<sup>6</sup>) ხმოვნის გამოკლებით და ლაბიოველარიზებული (resp. უმლაუტიანი) უ

(წ)<sup>6</sup> ხმოვნის მიმატებით [ლომთაძე 1963 : 11; შდრ. ბოკარევი 1959 : 112].

ჰინუსური ენის ვოკალური სისტემა ტაბულის სახით ასე წარმოგვიდგება:

ლოკალური რიგი	წინა		შუა		უკანა				
	არაგრძელი	გრძელი	ველარიზებული		არალაბიალური		ლაბიალური		
			არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	
ენის აწეულობა									
მაღალი	ი	ი̃	ჟ	ჟ̃			უ	უ̃	
საშუალო	ე	ე̃					ო	ო̃	
დაბალი					ა	ა̃			

**1.13. ხვარშიული ენის ხმოვანთა სისტემა.** ხვარშიულ ენას მარტივი (ა, ე, ი, ო, უ) და გრძელი (ა̃, ე̃, ი̃, ო̃, უ̃) ხმოვნების გარდა, მოეპოვება ნახალიზებული სახეობები: ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>. ინსოცვარულ დიალექტში დამატებით დასტურდება ე.წ. ირაციონალური გ ხმოვანი, რომელსაც საოპოზიციო ერთეულად გრძელი და ნახალიზებული კორელატები აქვს<sup>7</sup> [ბოკარევი 1959 : 146; იმნაიშვილი 1963 : 15; ლომთაძე 1994 : 13-14].

ხვარშიული ენის ვოკალური სისტემის ტაბულა შემდეგი სახისა იქნება:

ლოკალური რიგი	წინა			შუა			უკანა							
	არაგრძელი	გრძელი	ნახალიზ.	არაგრძელი	გრძელი	ნახალიზ.	არალაბიალური			ლაბიალური				
							არაგრძელი	გრძელი	ნახალიზ.	არაგრძელი	გრძელი	ნახალიზ.		
ენის აწეულობა														
მაღალი	ი	ი̃	ი <sup>ნ</sup>	ე	ე̃	ე <sup>ნ</sup>				უ	უ̃	უ <sup>ნ</sup>		
საშუალო	ე	ე̃	ე <sup>ნ</sup>							ო	ო̃	ო <sup>ნ</sup>		
დაბალი							ა	ა̃	ა <sup>ნ</sup>					

<sup>6</sup> უს ჩვეულებრივ უწოდებენ „ლაბიალიზებულს“ და გამოხატავენ ი<sup>0</sup> [ლომთაძე 1963, 11] და ი̃ [ბოკარევი 1959, 112] გრაფემებით.

<sup>7</sup> ე. ბოკარევი გამოყოფს ხმოვანთა ფარინგალიზებულ სერიას [ბოკარევი 1959 : 112], თუმცა ამ სერიაში გაერთიანებული ხმოვნები ფონემებს არ ქმნიან [ლომთაძე 1994 : 17; რაჭაბოვი 1997 : 105].

**1.14. ბეჟიტური ენის ხმოვანთა სისტემა.** ბეჟიტური ენა განარჩევს ექვს სადა ხმოვანს (ა, ე, ი, ო, უ, ჯ) და მათგან დაყოფებით განსხვავებულ გრძელ სახეობებს: ა, ე, ი, ო, უ, ჯ. დასტურდება აგრეთვე ორალურ სახეობებს დაპირისპირებული, ნაზალიზებული ფონემური ერთეულებიც: ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>, ჯ<sup>ნ</sup>. საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში დამატებით გვხვდება პალატალიზებული (resp. უმლაუტიანი) ხმოვნები: ა, ო, უ. მათ, თავის მხრივ, გააჩნიათ პალატალიზებულ-ნაზალიზებული სახეობები ა<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup> [ხალილოვი 1995 : 388].<sup>8</sup> ჰუნზიბურ დიალექტს, რომელიც, საკვლევ ენათაგან განსხვავებით, ვოკალიზმის ყველაზე მეტი სირთულით გამოირჩევა, საკ. ბეჟიტური დიალექტისაგან განსხვავებით, მოუპოვება ე. წ. ირაციონალური გ (გ, გ<sup>ნ</sup>), ო-სკენ გადახრილი ფართო, არალაბიალური ა (ა<sup>ნ</sup>) და არალაბიალიზებული, სუსტი, ვიწრო ა(-ა). მათ აქვთ გრძელი და ნაზალიზებული კორელატები [ბოკარევი 1959 : 16, 68; ჰამზათოვი 1972 : 155-160; 1975 : 9; ლომთაძე 1994 : 11-13; ვან ღენ ბერგი 1995 : 21-22; ღე 2000 : 333, 392-393; ისაკოვი, ხალილოვი 2001 : 259].

ბეჟიტური ენის ორივე დიალექტის მონაცემთა მიხედვით, ხმოვანთა კრებსითი ცხრილი ოცდაათ ხმოვან-ფონემას ითვლის და სქემატურად ასეთ სახეს იღებს:

ლოკალური რიგი	წინა			შუა						უკანა						
				არაბაგისმიერი			ბაგისმიერი			არაბაგისმიერი			ბაგისმიერი			
ენის აწეულობა	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	არაბაგისმიერი	გრძელი	ნაზალიზ.	პალატალიზ.	პალატალიზ.-ნაზალიზ.	პალატალიზ.	პალატალიზ.-ნაზალიზ.	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	არაბაგისმიერი	გრძელი	ნაზალიზ.
მაღალი	ი	ი	ი <sup>ნ</sup>	ე	ე	ე <sup>ნ</sup>			ა	ა <sup>ნ</sup>				ო	ო	ო <sup>ნ</sup>
საშუალო	ე	ე	ე <sup>ნ</sup>	ა	ა	ა <sup>ნ</sup>			ა	ა <sup>ნ</sup>	ა	ა	ა <sup>ნ</sup>	ა	ა	ა <sup>ნ</sup>

<sup>8</sup> პალატალიზებულ-ნაზალიზებულთა გვერდით, კანონზომიერებიდან გამომდინარე, უნდა გვექონდეს გრძელი ნაზალიზებული (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>...) ხმოვნები, რომლებიც ენაში რეალურად არსებობენ, თუმცა მათი ფონოლოგიური ღირებულება დამატებით ძიებას მოითხოვს.

დაბალი						ვ	ვ <sup>6</sup>				ა	ა	ა <sup>6</sup>			
--------	--	--	--	--	--	---	----------------	--	--	--	---	---	----------------	--	--	--

ამრიგად, ყველა ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენაში დასტურდება ხუთი სადა ხმოვანი, რომლებიც ასე დასასი-ათდება: 1: ა) წინა რიგის პალატალური **ი, ე;** ბ) შუა რიგის ველარული **ა; გ;** უკანა რიგის **ო, უ;** 2: ა) დაბალი აწეულობის (ღია) **ა; ბ;** საშუალო აწეულობის (resp. ღიაობის) **ე, ი; გ)** მაღალი აწეულობის ვიწრო ველარული, **ი, უ;** 3: ა) არალაბიალური **ა, ე, ი; ბ)** ლაბიალური **ო, უ.**<sup>9</sup>

გარდა ჩამოთვლილი საკვლევ ენათათვის ნიშანდობლივი ხმოვნებისა, ჰუნზიბურ და ინხოყვარულ დიალექტებში გვხვდება შუა რიგის, მაღალი აწეულობის ნეიტრალური **გ.** ჰუნზიბურშივე თავს იჩენს **ა**-სკენ გადახრილი **ბ**<sup>10</sup> და ვიწრო **ვ.** სამივე ხმოვანი (**გ, ბ, ვ**) ისევე, როგორც ისტორიულად დადასტურებულ ენებში ხელშესახებად თავჩენილ რთულ ხმოვანთა სერიები (გრძელი, ნაზალიზებული, უმლაუტიანი, პალატალიზებული-ნაზალიზებული და ა. შ.), უცილოდ მეორეული წარმომავლობის ფონემებია, მიღებული კოარტიკულაციისას კომბინაციური ფონეტიკური პროცესების შედეგად (ამის შესახებ ფონეტიკურ პროცესებში გვექნება მსჯელობა). ხმოვანთა კომბინატორიკის საკითხებს, არაადეკვატურობისა და უადგილობის გამო, აქ ვერ განვიხილავთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ხმოვანთა დისტრიბუცია ძირეულ მორფემებში მეტწილად თავისუფალია, მაგრამ ამა თუ იმ პოზიციის სიხშირე ხელშესახება. ხმოვანთა თავყრა არაბუნებრივია და ჰიატუსის დასაძლევად სხვადასხვა საშუალება (უპირატესად, **ჲ, ჳ** ჩართვა) გამოიყენება. ყოველი თავკიდური ხმოვანი მაგარშემართვიანია.

**2. მარტივ ხმოვანთა შედარებითი ანალიზი: 2.1. \*ა ხმოვნის ტრანსფორმაცია.** დაღესტნური ფუძეების ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ქრონოლოგიურ ღონეზე აუცილებელი გარდუვალობით რეკონსტრუირდება ამოსავალი **ა,** რაზედაც მიგვანიშნებს ცნობილი კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობის ორგვარი ფორმულა: ა) ხუნძ. **ა** ~ ანდ. **ო** : ბოთლ. **ა** : ახვ. **ა...** ~ საკ. დიდ. : ჰინ. : სვარ. **ო** : ბეჟ. **ა** ; 2) ხუნძ. **ა** ~ ანდ. **ო** : ბოთლ. **ა** : ახვ. **ა...** ~ საკ. დიდ. **ი** : ჰინ. **ე** : სვარ. **ა** : ბეჟ. **ო** [ლომთაძე 1956 : 81-82; ცერცვაძე, 1958 : 253; არდოტელი 2009 : 44-53; შდრ. ბოკარევი 1959 : 252].

შესატყვისობის შემომოყვანილი ორივე ფორმულა ცხადყოფს, რომ ფუძეებისეული **ა** ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა სინამდვილეში ერთგვარად ტრანსფორმირებულა ველარიზაციის საფუძველზე ანდიურ ენაში, ქართველურ ენათა ანალოგიურად, **ო**-დ გარდაქმნილა, მაგ.: ხუნძ. ნაწა (< ნაწაი) ~ ანდ. ნოწაი „ტილი“, ხუნძ. უას (< უასა) ~ ანდ. უოშო „ვაჟი“, ხუნძ. ბაკ (< ბაკა) ~ ანდ. მოკო „ადგილი“, ხუნძ. ჰარ-იზე ~ ანდ. ხოდ-უ „თხოვნა“, ხუნძ. ცა ~ ანდ. სოლ „კბილი“, ხუნძ. ჩან ~ ანდ. ჩონ „ნადირი“, ხუნძ. ლაბ-გო ~ ანდ. ლობ-გუ „სამი“ და ა. შ.

**ა > ო** სპონტანურ ფონეტიკურ პროცესს ადასტურებენ ხუნძურშიც, რაც შეპირობებულია რეგრესული ასიმილაციით [ცერცვაძე 1958 : 255]. საილუსტრაციო მაგალითები: ჰობრ < ჰაბრ (ნათ. ჰაბილ) „წისქვილი“,

<sup>9</sup> **ი** და **უ** ხმოვნების უმარცვლო ალოფონებზე თანხმოვანთა სისტემაში გვექნება მსჯელობა. **ა** ხშირად შეიძლება იყოს უკანა რიგისაც.

<sup>10</sup> სინამდვილეში **ო**-სკენ გადახრილია **ა,** რადგან **ბ** მოკლებულია ლაბიალურობას [იხ. ჰამზათოვი 1972 : 154; ბოკარევი 1959 : 234; ლომთაძე 1994 : 11].

ხონრ < ხანრ (ნათ. ხანილ) „კვერცხი“, ზომტრლ < შამტრლ (სახ.შამტრ) „ნაჯახი“...

ა-ს სპონტანური ფონეტიკური რეალიზაცია შეპირობებული ჩანს აწეულობის ხარისხის სიახლოვით და რიგის მიახლოებითი ერთგვარობით.

შესატყვისობის მეორე ფორმულის მიხედვით, სხვაობას დილოური ენები გვიჩვენებენ, რომლებშიც ამოსავალი ა დაცულია ხვარშიული ენის საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში, სხვა ენებში მისი რეფლექსაცია განსხვავებულია: საკ. დიდ. ი (< ე < ა), ჰინ. ე (< ა), ინხ. დიალ. ო (< ა), ბეჟ. ო (< ა < ა). საილუსტრაციო მაგალითები:

1. ხუნდ. ბაწ (<\*ბაწა) ~ ანდ. ბოწო : ბოთლ.: ლოდ.: ჭამ. ბაწა : ახვ. ბაჭა ~ საკ. დიდ. ბოწი : ჰინ. ბოწე : ხვარ. ბოწა (ინხ. ბოწო) : ბეჟ. ბაწო (ჰუნზ. ბოწა) „მგელი“.

2. ხუნდ. აწ- (<\*აწა)<sup>11</sup> ~ ანდ. ჰოწო- : ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: ტინდ.: კარ. ჰაწა- : ჭამ. აწა- : ახვ. აჭა ~ საკ. დიდ. ოწი- : ჰინ. ოწე- : ხვარ. უწა- (ინხ. ოწო) : ბეჟ. აწო- (ჰუნზ. ოწა-) „ათი“.

3. ხუნდ. სანი, შანი, სონო,<sup>12</sup> სინი (დიალ. ვარ.) ~ ანდ. სონ : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: კარ. სანი : ჭამ. სან : ახვ. შანი ~ საკ. დიდ. ზინ : ჰინ. ზენუ : ხვარ. ზან (ინხ. ზონ) : ბეჟ. სინო (<\*სონი) „კოწახური“.

4. ხუნდ. რაკ (<\*რაკა)<sup>13</sup> ~ ანდ. როკო : ბოთლ.: ლოდ... რაკა ~ საკ. დიდ. როკუ (<\*როკო)<sup>14</sup> ჰინ. როკ(ა) : ხვარ. ლოკა (ინხ. ლოკო) : ბეჟ. რაკო (ჰუნზ. როკო <\*როკო <\*როკა)<sup>15</sup> „გული“.

5. ხუნდ. ბატა ~ ანდ. ბოტა : ბოთლ.: ლოდ... ბატა ~ საკ. დიდ.: ჰინ. ბილ<sup>16</sup> : ხვარ. ბილ' (<\*ბალ') : ბეჟ. ბალ'ა (<\*ბოლ'ა) „მაჭიკი“, „ნაწლავი“...

არცთუ იშვიათად ეს შესატყვისობა დარღვეულია ერთი რიგის მაგალითებში, რომლებიც ანდ. ო-ს შესატყვისად ხუნდურში ე/ო ხმოვნებს გვიჩვენებენ. გარკვეულია, რომ ამგვარ შემთხვევებში ისტორიული ა მეტწილად დაცულია „ირიბ ბრუნვებსა“ და მრ. რიცხვში [ცერცვაძე 1965 : 30]. ა>ე/ო ბგერათცვლილების მიზეზი ხშირად დაჩრდილულია და სპონტანური ფონეტიკური პროცესის სახით არის წარმოდგენილი, მაგ.:

1. ხუნდ. ქექე (<\*ქაქა, შდრ. ნათ. ქოქ-ოლ <\*ქაქ-ოლ) ~ ანდ. ქოქა<sup>17</sup> : ბოთლ.: კარ.: ახვ. ქაქა : ლოდ.: ბაგვ.: ქაქა : ჭამ. ჩაჩა ~ საკ. დიდ. ქიქი : ხვარ. ქაქა (ინხ. ქოქო) „ძუძუ“.

2. ხუნდ. ცერ <\*ცარ (შდრ. ზაქ. შან „id.“ ნათ. ცარ-ა-ლ) ~ ანდ. სორ : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ. სარი : ჭამ. სა : ბაგვ. სარ : კარ. სარე : ახვ. შარი ~ საკ. დიდ. ზირუ : ჰინ. ზერუ : ხვარ. ზარუ (ინხ. ზორ) : ბეჟ. სორა (ჰუნზ. სა) „მელა“.

3. ხუნდ. ჭეტ <\*ჭატ (ნათ. ჭოტ-ოლ <ჭატ-ო-ლ) ~ ანდ. ჭონნი : ბოთლ.: ბაგვ. ჭანტ : ლოდ.: ახვ. ჭანტი :

<sup>11</sup> შდრ. გულაგა 1980, 209.

<sup>12</sup> ხუნდ. ა > ო პროცესი რეალიზებულია ინტერკონსონანტურ პოზიციაში, თუმცა უმასვილო ხმოვანს მოედის, შემდეგ კი აუსლაუტში ასიმილაციით მასვილიანი ო > ო [შდრ. გულაგა 1980: 202]. რაც შეეხება სინი ფორმას, იგი აუსლაუტის მასვილიანი ხმოვნით გამოწვეული ასიმილაციის შედეგია: სან > სინი.

<sup>13</sup> ა ხმოვნის მოკვეციის შემდეგ ბოლოიკური უ სონანტი დაკარგულია.

<sup>14</sup> იხ. იმნაიშვილი 1956 : 245.

<sup>15</sup> ასიმილაციით არის მიღებული [შდრ. ლომთაძე 1994 : 247].

<sup>16</sup> ჰინუსურში საკ. დილოური სგან ჩანს შეთვისებული.

<sup>17</sup> რედუპლიცირებული ანდ. ქოქა სიტყვის აუსლაუტში გაუგებარია, რატომ არ მოხდა ა>ო? სავარაუდოა, უმასვილო ა > ო, ხოლო მასვილიანი ა შენარჩუნდა.

ტინდ. ჭანდი ~ საკ. დიდ. ჭიქი : ჰინ. ჭიქი (<\*ჭექი) : ხვარ. ჭიქი<\*ჭაქი (ინხ. ჭიქე<\*ჭოქე) : ბეჟ.: წიქე (<\*წოქე)<sup>18</sup> „რწყილი“.

4. ხუნძ. ჰობო<sup>19</sup> (<\*ჰაბო, შდრ. ჰაბი-ჰან „მეწისქვილე“) ~ ანდ. იხობ : ბოთლ.: ჭამ. ხუბაუ : ლოდ.: ტინდ.: ახვ. ხუბა ~ საკ. დიდ. აღურ (<\*აღურ, შდრ. ასახ. აჰურ „id.“): ჰინ. ლემერ .: ხვარ. ლობოლ (ინხ. ლაბალ): ბეჟ. ჰაბო~ (ჰუნზ. ჰობურ)<sup>20</sup> `წისქვილი“.

ამ რიგის ბგერათშესატყვისობის დარღვევები ხანდახან ანდიურ ენათა სათანადო ლექსიკურ ერთეულებშიც დასტურდება, მაგ.: ხუნძ. ცო (<\*ცა, შდრ. ცა-და-ვ „ერთად“) ~ ანდ. ცებ (<\*ცაბ), სები (<\*საბი): ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: კარ. ცებ (<\*ცაბ): ახვ. ჩებე (<\*ჩაბე) ~ საკ. დიდ. სის : ჰინ. ჰეს : ხვარ. ჰას (ინხ. ჰოს): ჰეჟ. ჰონს (ჰუნზ. ჰანს) „ერთი“; ხუნძ. ნისო < ნისა (შდრ. მრ. ნისა-ბი) ~ ანდ. ისო : ბოთლ.: ჭამ. ი<sup>ნ</sup>სა : ლოდ.: ტინდ. ინსა : ბაგვ. მესა : ახვ. იმა ~ საკ. დიდ. იხუ : ჰინ. იჟუ : ბეჟ. ო<sup>ნ</sup>ზო < \*ნოზო (ჰუნზ. ჰუჟ)<sup>21</sup> „მოუხდელი ყველი“; ხუნძ. წარ ~ ანდ. წერ (<\*წარი): ბოთლ.: ჭამ.: კარ.: ახვ. წერი (<\*წარი): ბაგვ. წერ (<\*წარი)<sup>22</sup> ~ საკ. დიდ. ცი : ჰინ. ცე : ხვარ. ცა<sup>ნ</sup> (ინხ. ცო): ბეჟ. ცა<sup>ნ</sup> (ხაშ. ცარო, ჰუნზ. ცორუ)<sup>23</sup> „სახელი“...

თუ შევედარებთ ფონემათშესატყვისობის ფორმულებს პოზიციურად შეპირობებული ბგერათცვლილებების გაუთვალისწინებლად, აღმოჩნდება, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში ორივე შესატყვისობა ერთგვაროვანია: ანდ. ო: ხუნძ., ბოთლ., ლოდ... ა. რაც შეეხება დიდურ ენებს, ამ ენათა სინამდვილეში მეორე შესატყვისობა მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველისაგან.

ფუძემდებელი ა-ს გენეზისის გარკვევისას მნიშვნელოვანია დიდურ ენათა ჩვენება, რომელთაგან არქიფონემა შემონახულია ხვარშიულ და ბეჟიტურ ენათა დიალექტებში. ამის გათვალისწინებით, სწორედ ამ ენათა სინამდვილეშია საძიებელი ამოსავალი ა-ს ცვლილების თავისებურება.

ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა ამ ორი შესატყვისობის გაერთმინებელიანება და ერთ საერთო არქეტიპზე დაყვანა?

სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: ერთნი ვარაუდობენ, რომ პირველი რიგის (ა:ო) შესატყვისობაში საერთო ამოსავალი ო ხმოვანია, ხოლო მეორე რიგის შესატყვისობაში კი ირაციონალური (ჰუნზიბური ჰ ტიპის) ხმოვანი [ბოკარევი 1959 : 253, 256; დეშელ 1971 : 26; ნიკოლაევი 1978...];<sup>24</sup> სხვანი ფიქრობენ, რომ ორივე ზემოვანნილოელი შესატყვისობა წარმოქმნილია თავდაპირველად ა

<sup>18</sup> წინა მარცვლილული ხმოვნის ტრანსფორმაცია უკანამავალი ხმოვნის ასიმილაციით ჩანს გამოწვეული [შდრ. ლომთაძე 1998 : 226; 1956 : 87]. საკ. ხვარშიული სათავის რეკონსტრუირებული ფორმა (\*ჭაქი) უნდა იყოს შეთვისებული ქართული ენის მთის დიალექტებში (შდრ. ხევს. ჭაბი) იმ დროს, როცა ა > ი ჯერ კიდევ არ იყო რეალიზებული [არდოტილი 1997 : 102].

<sup>19</sup> ჰობო მიღებული უნდა იყოს ასიმილაციით [ცერცვაძე 1958, 255]. ტინდიური ენის აქნადურ კილოვარში აუსლაუტის ო > უ, მაგრამ წინამავალი ა არ იცვალა [გუდავა 1953 : 366]. შენიშნულია, რომ ხუნძურში ბაგისმიერ ხმოვანთა მეზობლად ა > ო [ბოკარევი 1981 : 35].

<sup>20</sup> უცნაურობას ამჟღავნებენ ბეჟიტურში თავჩენილი ფორმები, რომლებიც ა:ო შესატყვისობის წვევებს ეტოლებიან [ლომთაძე 1994 : 253].

<sup>21</sup> ეს მაგალითი გამოჩენილია იმით, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში აუსლაუტის ხმოვანი გვიჩვენებს კანონზომიერ შესატყვისობას, ხოლო დიდურში ისტორიული ინტერკონსონანტური ხმოვანი. უნდა ვიფიქროთ, რომ საწყის სავეხურზე კანონზომიერი მიმართება ორივე ხმოვანს ასასათებლად ა-ს გადასვლა ე:ი ხმოვნებში კომბინაციური ფონეტიკური პროცესების ჩარევით ჩანს შეპირობებული.

<sup>22</sup> ილ. ცერცვაძე ა > ო გარდაქმნას ი-ს რელექციით ხსნის [1959 : 221], რაც, ჩანს, მასიმილირებულ გავლენასაც გულისხმობს.

<sup>23</sup> ბეჟიტური ენა თავისებურებას ავლენს [ლომთაძე 1994, 256], ხოლო საკ. დიდურში ი < ე, შესატყვისობის ფორმულიდან გამოდინარე, მართებული არ უნდა იყოს [შდრ. იმნაიშვილი 1963 : 41].

<sup>24</sup> ს. ნიკოლაევის მოსაზრებას ვეცნობით მ. ალექსეევის ნაშრომის მიხედვით [ალექსეევი 1988 : 11].

ხმოენისაგან [ლომთაძე 1955 : 26-27; 1994 : 257; ბურჭულაძე 2000 : 243]. ხუნძურ-ანდიურ ენათა მასალაზე დაყრდნობით, არსებითად ამავე აზრს ადგას ილ. ცერცვაძე [1958 : 253; 1965 : 31], თუმცა იგი უპასუხოდ ტოვებს ისეთ გამონაკლის მაგალითებს, როგორცაა „ცეცხლი“, „ყვავი“, „ვარსკვლავი“..., რომლებიც ბგერათიგივეობით (ა:ა) ხასიათდებიან [ცერცვაძე 1965 : 32].

როგორც უკვე ვთქვით, სავსებით გასაზიარებელია ა:ო შესატყვისობის გენეზისი: \*ა>ო, ამოსავალი ა და-ცულია ხუნძურ-ანდიურსა (საკ. ანდიურის გამოკლებით) და ბეჟიტური ენის საკ. ბეჟიტურ დიალექტში. ამ რიგის პროცესი ყველა პოზიციის რეალიზდება: ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში. იგი გამსჭვალავს როგორც ძირეულ ლექსიკურ ფონდს, ისე გრამატიკულ ინვენტარს და მახვილის მქონელობა-უქონელობით არ ჩანს შეპირობებული. მასთან, ა:ო ცვლილებას მეტი ხვედრითი წონა აქვს და სხვა დაღესტნურ (ლაკურ-დარგუულ, ლეზგიურ) ენათა ჩვენებაც ა-ს პირველადობას უჭერს მხარს. ზოგიერთ ენაში ისტორიული ა სახეცვლილია, მაგრამ ხერხდება მისი რეკონსტრუირება. კერძოდ, არაიშვიათად ა > ო პროცესი დარღვევა შეპირობებულია კომბინაციურად, მაგ.: .: ხუნძ. ჟას ~ ანდ. ჟომო : ლოდ. ჟამა... ~ საკ. დიდ.: ჰინ. უჟი (<\*ოჟი) : ხვარ. უჟა (<\*ოჟა):<sup>25</sup> ბეჟ. ოჟო (<\*აჟე, შდრ. ტლად. ოჟე) „ვაჟი“; ხუნძ. იჭ- (<\*იჭი- <\*იჭჟი- <\*აჭჟი-) ~ ანდ. ჰოჭო-: ბოთლ.: ლოდ. ჰაჭა-: ბაგვ.: ტინდ.: კარ. ჰაჭა-: ახვ. ობჭა- (<\*აბჭა- „შდრ. რატლ. აბჭა“) ~ საკ. დიდ.: ჰინ. ოჭი-: ხვარ. უჭი- (<\*ოჭი-<sup>26</sup> შდრ. ინხ. ოჭე): ბეჟ. აჭე- (ჰუნზ. უჭი- <\*ოჭჟე-) „ცხრა“; ხუნძ. მატო ~ ანდ. მოტო : ბოთლ.: კარ. მატო : ჰამ. მატო : ახვ. მიტოე (<\*მატოე) ~ საკ. დიდ.: ჰინ. მოლ'უ : ხვარ. მულ'უ (<\*მოლ'უ, შდრ. ინხ. მოლ'უ) : ბეჟ.: მალ'ო (ჰუნზ. მილ'უ <\*მილ'ო) „ძილი“, „სიზმარი“<sup>27</sup> და სხვ. მისთ.

ე. ლომთაძე კითხვას სვამს: „ჩვენთვის ჯერჯერობით გაურკვეველია მიზეზი იმისა, თუ რატომ არ გადავიდა ა:ო შესატყვისობის ბეჟ. ა კომპონენტიც ო-ში... ისევე, როგორც ა:პ შესატყვისობის ამოსავალი \*ა გადავიდა ბეჟიტურში?“ [ლომთაძე 1978 : 262].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ა:ო შესატყვისობის გენეზისის გარკვევა შინაგანი რეკონსტრუქციის გზითაც შეიძლება, ვინაიდან დიდოურ ენებში შემონახულია ამოსავალი ა. იგულისხმება, რომ საერთო-დიდოურში ხუნძ. ~ ბოთლ.: ლოდ... ა ~ ანდ. ო შესატყვისობის ეკვივალენტად ა გვქონდა, რომელიც, ფუძეენის შიგანი დიფერენციაციის შედეგად, ყველგან გადავიდა ო-ში, გარდა საკ. ბეჟ. დიალექტისა. ა>ო სპონტანური ცვლილება უნდა დაწყებულიყო დიდოურ ენათათვის ამოსავალ დიალექტთა ერთიანობის ხანაში ა-ს დავიწროებისა და, შესაბამისად, უკან გადაწევის ტენდენციის მოქმედებით, რომელსაც დასაბამი უნდა დასდებოდა ენობრივი ქმედების ქვეცნობიერ სფეროში [სოსიური 1977 : 392, 379-399]. ეს პროცესი საბოლოოდ ო-ს რეალიზაციით დამთავრებულია.

მამასადაძე, არსებითად სწორად ინტერპრეტირებული შესატყვისობა (შესაბამისად, ა>ო პროცესი) დიდოური ფუძეენის დიფერენციაციის დროინდელი მოვლენაა და არა ხუნძურ-ანდიურისაგან დიდოური ქვეცნობის ენათა გამოყოფასთან დაკავშირებული ფაქტი [შდრ. ლომთაძე 1994 : 257].<sup>28</sup>

<sup>25</sup> იხ. ჩიქობავა 1987 : 9; ლომთაძე 1998 : 249.

<sup>26</sup> ტ. გულავას მიაჩნია, რომ ბეჟ. და ჰუნზ. \*იჭჟე > უჭჟე-, რისი გაზიარებაც ჭირს. ხვარ. -ში ო > უ გავრცელებული პროცესია [ლომთაძე 1998 : 86], ხოლო ჰუნზ. -ში უჭი- წარმოქმნილი ჩანს ასე: \*ოჭჟე > \*უჭი- > უჭი-.

<sup>27</sup> ამავე წარმომავლობის ლექსემები იძებნება ნახურ ენებში [ბურჭულაძე 1988 : 350-355].

<sup>28</sup> უნდა გავიზიაროთ ავტორის დებულება იმის შესახებ, რომ ბეჟ. დიალექტის ზოგ მაგალითში („ნავახი“, „ოთხი“) ა > ო [ლომთაძე 1994 : 244-246]. ხუნძ. ჰამ-ტი ~ ანდ. აჟი-დი : ბაგვ. აჟი-თ : ახვ. აჟი-თე („ნავახი“) სახელში იგივე ფუძეა, რაც ბეჟ. ოჭ (შდრ. საკ. ხვარ. ოჭჟე, ჩეჩნ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზემოხსენებული ორი შესატყვისობის ურთიერთმიმართების პრობლემა. ერთი და იმავე წინარეფონემიდან იღენტურ ფონოლოგიურ გარემოცვაში ორი განსხვავებული შესატყვისობის ჩამოყალიბების თვალსაზრისის წამოყენება მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. ერთი შესატყვისობიდან, ტრანსფორმაციის გზით, მეორე შესატყვისობის წარმოქმნა ახსნადი უნდა იყოს [შდრ. ლომთაძე 1994 : 257].<sup>29</sup>

ისეთ ვითარებაში, როცა ორივე სახის შესატყვისობისათვის ხუნძურ-ანდიურ ენათა (და არა მარტო მათი) მონაცემები უფრო მეტად ა-ს პოსტულირებას უჭერს მხარს, დიდოურ ენათა დიფერენცირებული შესატყვისობის გენეზისის გასარკვევად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორი გარემოება: ა) ფონოლოგიური პოზიცია და ბ) პროლოდის (რესპ. მახვილის) თავისებურება.

მართალია, პირველი (ა:ო) შესატყვისობა პოზიციურად თავისუფალია, მაგრამ იგი მეტწილად ანლაუტსა (ისტორიულ ინლაუტსა) და ინლაუტში გვხვდება, ხოლო მეორე რიგის შესატყვისობისათვის უფრო ბუნებრივია აუსლაუტი, თუმცა იგი სპორადულად ინლაუტშიც შეინიშნება. ამ კუთხით ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ ორივე შესატყვისობის შემცველი ფუძეები მეორე შესატყვისობას ჩვეულებრივ აუსლაუტში გვიჩვენებენ, მაგ.: ხუნძ. ბაწ (<\*ბაწა) ~ ანდ. ბოწო (<\*ბაწა): ახვ. ბაჭა ~ საკ. დიდ. ბოწი : ჰინ. ბოწე : ხვარ. ბოწა : ინხ. ბოწო : ბეჟ. ბაწო : ჰუნხ. ბაწჷ „მგელი“...<sup>30</sup>

საფიქრებელია, რომ ამოსავალი ა-ს სხვადასხვაგვარი რეფლექსაციისათვის ეს არ უნდა ყოფილიყო უმთავრესი მიზეზი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრონოლოგიურად ამ რეფლექსთა ურთიერთდაცილება ინტენსიური მახვილით არის გამოწვეული. კერძოდ, ამოსავალმა მახვილიანმა ა-მ მოგვცა ა:ო შესატყვისობა, ხოლო უმახვილო ა ხმოვანმა კი ი:ე:ა/ო:ო/შ.

ზემომოყვანილი მოსაზრება ე. ლომთაძეს გამოთქმული აქვს ბეჟ. ო : ჰუნხ. შ ხმოვანთა შესატყვისობის წარმოშობაზე მსჯელობისას [ლომთაძე 1978 : 260]. ეს მართებული დებულება შეიძლება განვავრცოთ მთლიანად დიდოურ ენებზე და დავასკვნათ: საკ. დიდ. ი : ჰინ. ე : ხვარ. ა/ო : ბეჟ. ო/შ ჩამოყალიბებული ჩანს უმახვილო პოზიციაში, რომელშიც ა ხმოვანს ცვლილების მეტი შესაძლებლობა მოეპოვებოდა.

ისმის კითხვა: როგორ აიხსნება ა-ს ტრანსფორმაცია ერთმარცვლიან მარტივ ფუძეებში, რომლებშიც ანალოგიური შესატყვისობა დასტურდება?

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ამჟამინდელი ერთმარცვლიანი სიტყვები ისტორიულად ორი მარცვლის შემცველი უნდა ყოფილიყო [ცერცვაძე 1959 : 219-221; ლომთაძე 1978 : 259], მაგ.: ხუნძ. წა (<\*წარი, შდრ. ახვ. ჭარი.) ~ საკ. დიდ. წი (<\*წირი) „ცეცხლი“; ხუნძ. წარ (<\*წარი, შდრ. კარ., ახვ. წაერი „id.“) ~ საკ. დიდ. ცი (<\*ცირი, შდრ. ბეჟ. ცარო „id.“) „სახელი“ და ა. შ.

უმახვილო პოზიციაში წარმოქმნილი მეორე რიგის შესატყვისობაში სპონტანური ფონეტიკური ცვლილე-

დღე „id.“ სახელში [დუმეზილი 1933 : 19; ბურჭულაძე 1986 : 20]. ბეჟიტურში ამავე მნიშვნელობით დასტურდება ყაყა (ხუნძ.შ, შ: ბეჟ. ყ. ყ), რომელშიც უნდა იყოს \*ა დაცული. რაც შეეხება „ოთხს“, მასში ჩვეულებრივ ადაღენენ ო/უ ხმოვნებს [გუჯავა 1980 : 106; აკიევი 1982 : 110], რაც ნაკლებსარწმუნოა.

<sup>29</sup> ე. ლომთაძის შეხედულებით, ა:ო შესატყვისობისაგან ი:ე:ა/ო:ო/შ შესატყვისობა ტრანსფორმაციის საფუძველზე წარმოიქმნა [ლომთაძე 1994 : 257]. ჩვენი აზრით, ჰუნხ. \*ა > შ პროცესი \*ა > ო პროცესის თანადროული ჩანს, ოღონდ მახვილით (და, შესაძლოა, პოზიციითაც) განსხვავებული. საგულისხმოა, რომ \*ა > შ პროცესი ადილურ ენებში პოზიციურად აიხსნება: \*ა გ > შ გ [შენგელია 1983 : 658].

<sup>30</sup> ასევეა ზოგ სხვა სახელშიც: „გული“, „ათი“ და მისთ.



ბანი ცალკეულ დილოურ ენას დამოუკიდებლად უნდა განეცადა. ისტორიული \*ა, დავიწროების საფუძველზე, ასე უნდა შეცვლილიყო: საკ. დიდ. ა>ე>ი,<sup>31</sup> ჰინ. ა>ე, ხვარ. \*ა (საკ. ხვარ.), ა>ო (ინხ.), ბეჟ. \*ა>ო (საკ. ბეჟ.), \*ა>ჰ (ჰუნზ.) [შდრ. ლომთაძე 1956 : 82].

**2. 2. უცვლელი \*ა -ს საკითხისათვის.** შემოგანხილულ შესატყვისობათა გარდა, გამოიყოფა ერთი რიგის სახელები, რომელთა ფუძისეული თუ აფიქსისეული ა ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში არ იცვლება. ბგერათი-გიგეობით წარმოდგენილი ამ რიგის მაგალითები და მათი მიმართება შემონახვენებ შესატყვისობასთან სპეციალურ ლიტერატურაში აუხსენილია [ცერცვაძე 1958 : 253; ლომთაძე 1978 : 256...],<sup>32</sup> თუ მხედველობაში არ მივიღებთ ა-ს ორი (წინა და უკანა რიგის) სახეობის დაშვების შესაძლებლობას [ბოკარევი 1961 : 79-80; 1981 : 35; ნიკოლაევი 1978]. ამგვარ სახელებს განეკუთვნება:

1. ხუნძ. წაჰა ~ ანდ. წაა : ბოთლ.: ჭამ.: კარ. წაჰა ~ : ტინდ. ცაარა : ბავგ. წაჰარა : ახვ. წაარი ~ საკ. დიდ.: ჰინ. ცა : ხვარ. ცა (საკ. ხვარ.), ცა<sup>ნ</sup> (ინხ.) : ბეჟ. ცა<sup>ნ</sup> (საკ. ბეჟ.), ცა (ჰუნზ.) „ვარსკვლავი“.

2. ხუნძ. ლედო <\*ლჷადი (შდრ. ნათ. ლად-ი-ლ) ~ ანდ. ლანნი (<\*ლჷანდი) : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ. ლანდი (<\*ლჷანდი) : ჭამ. ლან (<\*ლჷან) : ბავგ. ლანდჷ (<\*ლჷანდჷ) : კარ. ლანდე (<\*ლჷანდე) : ახვ. ლან(ღ)დი (<\*ლჷან(ღ)დი) ~ საკ. დიდ. ლ'ჷადი : ჰინ. ლჷადე : ხვარ. ლადა <\*ლჷადე (საკ. ხვარ.), ლ'ანდე <\*ლ'ჷანდე (ინხ.) : ბეჟ. ლ'დე <\*ლჷადე (საკ. ბეჟ.), ლ'დე < ლჷანდე (ჰუნზ.) „ყვავი“.

3. ხუნძ. რაჟი ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ტინდ. რაჟი ~ საკ. დიდ.: ხვარ. რაჟი : ბეჟ. ნაჟი (საკ. ბეჟ.), ნიჟი <\*ნაჟი (ჰუნზ.) „ნიორი“.

4. ანდ.: ბოთლ.: ახვ. ტუქა : ლოდ.: ტინდ. ტუქა : კარ. ტუქჷა ~ საკ. დიდ.: ჰინ.: ხვარ. ტექა : ჰუნზ. ტიგა „ვაცო“.

5. ხუნძ. რატა „ცხოველის წინა ფეხი“ ~ ანდ.: კარ.: ახვ. რეტა : ბოთლ. რეცა : ლოდ. ლელა : ჭამ. ~ელა ~ საკ. დიდ. რეტა : ხვარ. ლეტა (საკ. ხვარ.), ლიტა (ინხ.), ბეჟ. ~იტა („სახელო“) „ხელი“, „ხელის მტევანი“.

6. ხუნძ. ბატო-უ-ლ' ~ ანდ. ბატო-უ : ბოთლ.: ლოდ. ბატო-უ : კარ. ბატი „შუაში“ ~ საკ. დიდ.: ჰინ. როლ'ო : ხვარ. ლოლ'ა : ბეჟ. როლ'ი „ნახევარი“, „შუა“...

ამ მაგალითებიდან ზოგი ნასესხობა ჩანს („ნიორი“)<sup>1</sup>, ზოგიც ხმაბადებითი სახელი („ყვავი“),<sup>33</sup> რომლებშიც ა, ბუნებრივია, კანონზომიერი შესატყვისობიდან გადახრას გვიჩვენებს.<sup>34</sup> ძალიან ხშირად ა:ა ბგერათიგიგეობას შ

<sup>31</sup> ამ პროცესის ყოველი საფეხური გამჭვირვალედ დაჩნდება „ორის“ აღმნიშვნელ სახელში, რაც საკვებით სამართლიანად, ფარინგალიზებულ თანხმოვანთა ზეგავლენას მიეწერება [იმნაიშვილი 1963 : 31]. მიუხედავად ამისა, ეს პროცესი ყველა დილოურ ენასა და ყოველ ფონოლოგიურ პოზიციაში არ უნდა ყოფილიყო ე. წ. ფარინგალიზებულ თანხმოვანთა მეზობლობით გამოწვეული, რაც სპეციალურ ლიტერატურაში სწორად არის აღნიშნული [ბურჭულაძე 2000 : 245].

<sup>32</sup> მართალია, აბსოლუტური ბგერათიგიგეობის დროს ნასესხობათა გამორიცხვა შეუძლებელია [ბურჭულაძე 2000 : 241], მაგრამ შერეულ (იდეტურ და არაიდეტურ) ბგერათშესატყვისობათა პირობებში და თანაც მრავალ მაგალითში ხელშესახებად თავჩენილი ბგერათმიმართების უგულებელყოფა პრობლემისათვის გვერდის ავლას ნიშნავს [ცერცვაძე 1965 : 32].

1. ნასესხობები ა > ო ცვლილებას არ განიცდიან [ცერცვაძე 1958 : 253].

<sup>33</sup> „ყვავის“ აღმნიშვნელ ლექსემაში ამოსავალი შეიძლება ე იყოს [იხ. ცერცვაძე 1980 : 230].

<sup>34</sup> საყურადღებო ფაქტია, რომ სპარსულიდან შეთვისებული ჰაზარ „1000“ ანდიურში კანონზომიერი შესატყვისობით (ოზირუ) გვიდასტურდება [გუდავა 1980 : 213], რაც ნასესხობის ფუძენაში არსებობით უნდა აიხსნას.

– ჩ პოზიციაში ვხვდებით, მაგრამ ფონოლოგიური გარემოცვით ეს ვერ აიხსნება, რადგანაც ანდ. ჰეკა (< \*ჰეკჰა, შდრ. ბაგვ., კარ. ჰეკჰა „კაცი“) დილოურ ენებში წესისდა მიხედვით (ა:ი:ა/ო:ო/ა) იცვლება. ვფიქრობთ, თითოეულ მაგალითს ცალ-ცალკე გამოწვლილვითი ანალიზი სჭირდება, რათა საკითხს მეტი ნათელი მოეფინოს.

საკვლევ ენებში დასტურდება ერთი წყება მაგალითებისა, რომლებშიც , მართალია, ამოსავალი \*ა ანდიურში დაცულია, მაგრამ დილოურ ენებში ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის, მაგ.:

1. ხუნდ. წა ~ ანდ. წა: ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ. წად : კარ. წად (ტუქ. წე) : ახვ. ჭარი ~ საკ. დიდ. წი:ჰინ.ჭე : ხვარ. წა (საკ. ხვარ.), წო (ინხ.) : ბეჟ. წო (საკ.ბეჟ.), წჰ (ჰუნხ.) „ცეცხლი“.

2. ხუნდ. ჭაზო (ანწ.ჭაზე, ჰიდ.-ანდალ.ჭ ასუ) ~ ანდ.: ტინდ.: კარ.: ბოთლ.: ანზი : ახვ. ანჟი ~ საკ. დიდ. ისი: ჰინ. იშე (< \*ისე) : ხვარ. ე<sup>ნ</sup>სა : ბეჟ. ო<sup>ნ</sup>ხ (ჰუნხ. ე<sup>ნ</sup>ხ)<sup>35</sup> „თოვლი“.

3. ხუნდ. გაზა ~ ანდ. გაზა : ლოდ. გზა : ჭამ. გოზა (< გაზა) ~ საკ. დიდ. ბიზო (< \*ბისო) : ჰინ. ბეზო : ბეჟ. ბოზა (ჰუნხ. ბოზო) „წერაქვი“...

ზემოწარმოვლილი მაგალითები მიგვანიშნებენ იმაზე, რომ ამოსავალი უცვლელი \*ა და ტრანსფორმირებული \*ა (> ო) შესაძლოა ერთი არქიფონემიდან მომდინარეობენ, რასაც დამატებითი მონაცემების მოყვანა სჭირდება.

კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება ორი თვალსაზრისის წამოყენება: 1) ა:ა ბგერათიგივეობა ჟ წყვილბაგისმიერი სონანტის მომდევნოდ მახვილიან პოზიციაში უნდა იყოს რეალიზებული. ჟ სონანტისა და ო ბაგისმიერი ხმოვნის კოარტიკულაციიდან გამომდინარე, ო>ა არ განხორციელდებოდა. სავარაუდოა, სადაც ჟ-C პოზიციაში ა>ო ფაქტია, იქ მახვილის გადაწევისა და, ხშირ შემთხვევაში, ჟ ლაბიალური ელემენტის დაკარგვასთან უნდა გვექონდეს საქმე; 2) თავდაპირველად უნდა არსებულიყო ორი სახის ამოსავალი ა, რომელთაგან პირველი \*ა (პირობითი აღნიშვნით ა<sub>1</sub>) უკანა წარმოებისა იყო და შედეგად მოგვცა ა:ო შესატყვისობა. ა:ა ბგერათიგივეობაში შემონახული ა, რომლის პროტოტიპი ა<sub>2</sub> შუა (resp წინა) რიგის ხმოვანი უნდა ყოფილიყო [სოსიური 1977 : 408; ტრუბეცკოი 1960 : 108-116; ბოკარევი 1981 : 34, 36].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ა-ს არაერთგვაროვანი რეფლექსაცია სხვა ნახურ-დადესტურ ენებშიც იჩინეს თავს [აკიევი 1982 : 13-15; იმნაიშვილი 1977 : 47-50, 170]. ამანაც შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ისტორიულად უნდა გვექონოდა ორი, ერთმანეთისაგან ლოკალური რიგით განსხვავებული, ა ხმოვანი, რომელთა ევოლუციის შედეგად ორი სახის შესატყვისობა ჩამოყალიბდა (ეს საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს, რასაც დაწვრილებით ხმოვანთა შესატყვისობების განხილვისას შეგვეხებით).

**2. 3.\*ი ხმოვნის ტრანსფორმაცია.** ამოსავალი \*ი ძირითადად დაცულია ხუნძურ-ანდიურ ენებში, თუმცა არცთუ იშვიათად წარმოდგენილია ზუსტი დისტრიბუციის გარეშე და ხშირად მონაცვლეობს იმავე რიგის ე ხმოვანთან (ანდ., ჭამ., ტინდ., ბაგვ., კარ...). ტინდიურში აუსლაუტის ი>ე [გუდავა 1953 : 370]. ანალოგიური პროცესი აუსლაუტის უმახვილო პოზიციაში შემჩნეულია კარატაულში [მაჰომედბეკოვა 1971 : 28-29]. მიუთითებენ აგ-

<sup>35</sup> ტ. გუდავა ხუნდ. ჭაზო („თოვლი“) და ჭანსი („ნამქერი“) სახელთა კონტამინაციით მიღებულად მიიჩნევს ანდ. ანზი ფორმას [გუდავა 1979 : 84], თუმცა ჭანსი ლექსემას დილოურ ენებში თავისი კანონზომიერი შესატყვისი მოპოვება: საკ. დიდ. იზ-ლო : ბეჟ. ა<sup>ნ</sup>ზო „თოვლის ზვაგი“, „ჭირხლი“. ამდენად მათი კონტამინაციის შესაძლებლობაც გამოირიცხება, რაც ხუნძურის შესაბამის მაგალითში (ჭაზო) ნ-ს რედუქციას გვაგვარულებინებს (შდრ. ბეჟ. ო<sup>ნ</sup>ხ < \*ნოხ).

რეთვე ი:ა მონაცვლეობაზე (ხუნდ. მალ: ლოდ. მილი „კუდი“...) [საიდოვა 1973 : 30-31]. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში შეინიშნება ი>ე ანდ. და ჭამ. ენებშიც, მაგ.: ჭამ. სეპი<sup>6</sup> (<\*სეინ <\*სინი, შდრ. ჰიჰ. სინი) „დათვი“; ანდ. ლზენ (<\*ლზინ, შდრ. ხუნდ. ლზინ, დიდ. ლზი, ჩეჩ. ხი... ) „წყალი“ და მისთ.

დიდოურ ენათაგან ისტორიულ ი-ს ბეჟ. ენა და ხვარ. ენის ინხ. დიალექტი ინახავენ, ხოლო საკ. დიდოურსა და ჰინუხურ ენებში წარმოდგენილია მასთან არტიკულაციური ნიშან-თვისებებით ახლომდგომი ე. სხენებულ ენათა შორის, ამ შესატყვისობის მიხედვით, გარდამავალ საფეხურს ქმნის საკ. ხვარ. დიალექტი: ი/ე [ლომთაძე 1994 : 258].

შესატყვისობის ფორმულა, რომლის საფუძველზედაც ხდება ი ხმოვნის რეკონსტრუქცია, ასე გამოიყურება: ს.-ხუნდ. ი ~ ს.-ანდ. ი ~ ს.-დიდ. ი. ანდიურ ენებსა და ხვარშიულ ენაში თვალშისაცემია ი/ე მონაცვლეობა, რაც ი-ს არამდგრად თვისებაზე მიგვანიშნებს. მოვიყვანთ სამიოდე მაგალითს:

ხუნდ. ციმ ~ ანდ. სიმ : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: ახვ. სიმ : ჭამ.: ბავ. სიმ ~ საკ. დიდ. სემი : ჰინ. სემე : ხვარ. სემი (ინხ. სიმე) : ბეჟ. სიმო (ჰუნხ. სიმ) „ნაღველა“ > `“ბრაზი“.

ხუნდ. მებუ (<\*მბუ, შდრ. ჭადაქ. მბურ) ~ ანდ.: ტინდ. ჰიმუ : ჭამ.: ახვ. ჰიმი ~ საკ. დიდ.: ჰინ. ცემუ : ხვარ. ციმუ (ინხ.ცემუ): ბეჟ.ცემო (<\*ციმო)<sup>36</sup> „საღისი“.

ხუნდ. მიტი- ~ ანდ. ბე-ტი: ბოთლ.: ლოდ.: ბავ.: ტინდ.: კარ.: ახვ. ბიტი-<sup>37</sup> ~ საკ. დიდ. ბილ'-: ჰინ. ბელ'- (<ბილ'-): ხვარ. ბალ' (ინხ. ბალ'): ბეჟ. ბელ'- (ჰუნხ. ბელ'-) „რა“...

ე. ლომთაძის კონცეფციის მიხედვით, პირველი რიგის ი:ე შესატყვისობა ე:ი შებრუნებული შესატყვისობის ორგანული ნაწილი და მისი თანამოზიარება. მკვლევარი ასკვნის: „ასე, რომ შესატყვისობანი ე:ი და ი:ე დიდოური ჯგუფის ენა-კილოებში ერთი პროცესის შედეგია: ი'ს ე'ში გადასვლის სხვადასხვა მასალაში ... იმ მასალაში, სადაც პირველი ჯგუფის ენა-კილოებს ი აქვთ შემონახული, მეორე ჯგუფის ენა-კილოებს ი ე'თი აქვთ შეცვლილი და, პირიქით: სადაც მეორე ჯგუფის ენა-კილოებს აქვთ შემონახული, იქ, პირველი ჯგუფის ენა-კილოებს ი ე'თი აქვთ შეცვლილი (როგორც ჩანს, ი'ს ე'ში გადასვლა ამ ენა-კილოთა მთლიან მასალაში არ მომხდარა!)“ [ლომთაძე 1994 : 285-286].

ე. ბოკარევი ამოსავალ ოდენობად წინა წარმოების ერთ-ერთ (ი resp. ე) ხმოვანს ვარაუდობს, თუმცა, ხუნდურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სათანადო მონაცემების სიჭრელიდან გამომდინარე, ამ შესატყვისობის გენეზისის საკითხს ღიად ტოვებს [ბოკარევი 1959 : 254-255].

დ. იმნაიშვილი ორივე (ი:ე, ე:ი) შესატყვისობათა საერთო ამოსავლად ე ხმოვანს ადადგენს [იმნაიშვილი 1963 : 41].

მაშასადამე, წინამორბედ მკვლევართა ნააზრევს თუ დავემყარებთ, უნდა დავუშვათ, რომ “ბატკნის” გამომხატველი ლექსემა ლ'ილე (ბეჟ.), ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ლ'ელი (საკ. დიდ.) ერთი საერთო ქრონოლოგიური დონის არქეტიპის დაშლისა და შემდგომი ტრანსფორმაციის შედეგად არის მიღებული.

სათანადო ლექსიკურ-გრამატიკული მასალის დეტალური ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ზემონახსენები მოსაზრებები ურთიერთგამომრიცხავი და, აქედან გამომდინარე, რეალურ საფუძველს მოკლებულია.

<sup>36</sup> იხ. ლომთაძე 1994 : 287.

<sup>37</sup> ე > ი აუხლაუტის ი-სთან ასიმილაციით [შდრ. გულაგა 1980 : 209].

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით საკითხავია: იდენტურ ფონოლოგიურ გარემოცვაში ამოსავალი *ი* გარკვეულ მასალაში როგორც ამას ე. ლომთაძე ფიქრობს რატომ გადავიდა ერთი წყების ენებში *ე* ხმოვანში, ანდა პირიქით? *ი > ე* პროცესი რატომ არ მოხდა საკვლევ ენათა მთელ მასალაში?

**ჩვენ ვგარაუდობთ, რომ *ი:ე* შესატყვისობისათვის საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირდება წინა წარმოების, მაღალი აწეულობის *ი*, ხოლო *ე:ი* შესატყვისობისათვის ამავე რიგის, საშუალო აწეულობის *ე*.**

შევეცდებით სათანადოდ დავასაბუთოთ შემოწამოყენებული დებულებანი.

ჯერ კიდევ 1931 წელს ნ. ტრუბეცკოი ჩაჩნური კონსონანტიზმის სისტემაზე მსჯელობისას აღნიშნავდა, რომ „ემფატიკურ-პალატალიზებულ თანხმოვანთა შემდეგ (ხან წინაც) ხმოვნები მოდიფიცირდება: ...უკანა ხმოვნები პალატალიზდება (მაგალითად, *ი > ე* უ >  $\Theta$ )“ [ტრუბეცკოი 1987 : 291]. ანალოგიური პროცესები საკვლევ ენებში, შემოდასახელებულთა გარდა, სხვა თანხმოვნებთანაც ხელშესახებია, განსაკუთრებით ბოლოკიდურ პოზიციაში [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 22; მიქაილოვი 1958 : 126; გუდავა 1953 : 358; მაჰომედბეკოვა 1971 : 28; იმნაიშვილი 1963 : 30-32 და სხვ.].

ლოგიკური ვიფიქროთ, რომ **ჟ, ც** და ფარინგალიზებულ თანხმოვანთა მეზობლად ხმოვანთა დავიწროება (*ა > ე > ი*) ხდებოდა, ვიდრე მათი გაფართოება (*ი > ე > ა*) [შდრ. ლომთაძე 1994 : 189, 255]. მართალია, ხმოვანთა ფორმაცვალების ეს პოზიციური პროცესი ნაკლებ ეხება იმ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც ისტორიულად აპირობებდნენ *ი:ე* ხმოვანთა შესატყვისობის ჩამოყალიბებას, მაგრამ მის დარღვევაში უცილოდ უდევთ გარკვეული წილი. *ი* ხმოვანი ხშირად რყევას განიცდის, რაც მისი გაფართოებით გამოიხატება.

*ე*. ლომთაძის მართებული შეხედულებით, *ი:ე* შესატყვისობის (შესაბამისად, *ი > ე* პროცესის) გენეზისის გარკვევისათვის ფასეულია ერგატივისა და „ირიბ ბრუნვათა“ ჩვენება [ლომთაძე 1994 : 264].

არსებული *ი:ე* შესატყვისობაში ხვარშიული ხანდახან *ი-ს* ნაცვლად **გ** და **უ** ხმოვნებს გვიჩვენებს, რომელთა *ი* ხმოვნისაგან წარმომავლობა (*ი > გ > უ*) დამაჯერებლად დასაბუთა ე. ლომთაძემ [ლომთაძე 1985 : 180-181]. მასთან, *ი-ს* პირველადობას სხვა დალესტურ ენათა შესაბამისი მასალაც ადასტურებს [ბოკარევი 1981 : 36; ლომთაძე 1994 : 266-276].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, *ი:ე* შესატყვისობის შემომოყვანილ მაგალითებში, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, *ი* ხმოვანია ამოსავალი.

**2.4. \*ე ხმოვნის ტრანსფორმაცია.** ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში ამოსავალი \**ე* დიდ რყევას განიცდის. იგი დავიწროებით ხშირად *ი* ხმოვნად ტრანსფორმირდება. *ი:ე* ურთიერთმონაცვლეობა უკვე ცნობილია წინა პარაგრაფიდან, მაგრამ დასტურდება ერთი წყების მაგალითები, რომლებშიც ისტორიული *ე* ხუნძურში (ხან ანდიურ ენებშიც) **ა, ო, უ** სახესხვაობებით გვევლინება („სავარცხელი“, „ოთხი“, „გველი“ ...). შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამგვარი ვარიაციები მეტწილად კომბინაციური ფონეტიკური პროცესების საფუძველზე არის წარმოქმნილი, რაზედაც სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად მახვილდება ყურადღება [ლომთაძე 1994 : 280-285].

დილოურ ენებში *ე* ხმოვნის რეფლექსაცია, როგორც ცნობილია, შედარებით ნათლად არის წარმოდგენილი: საკ. დიდ.: ჰინ. *ი* : ხვარ. *ე/ი* : ბეჟ. *ე* [ლომთაძე 1955 : 27]. რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი:

1. ხუნდ. იხა ~ ბოთლ.: ლოდ. ინხაი: ახვ. ი<sup>ნ</sup>ხუ „ნაკადი“, „რუ“ ~ საკ. დიდ. იჰ>უ: ჰინ. იხუ : ხვარ. ი<sup>ნ</sup>ხუ (ინხ. ე<sup>ნ</sup>ხუ): ბეჟ. ე<sup>ნ</sup>ხუ (ჰუნზ. ე<sup>ნ</sup>ხუ)<sup>38</sup> „მდინარე“.

2. ხუნდ. ბეჩე (<\*ბაჩე) ~ საკ. დიდ.: ჰინ. მეში : ხვარ. მიში (ინხ. მიში) : ბეჟ. ბიში (ჰუნზ. ბიში) „ხბო“.

3. 4. ხუნდ. ბოროზ (<\*ბოროქა <\*ბეროქა) ~ ანდ. ბერჩა: ბოთლ.: ლოდ.: კარ. ბერქა : ტინ.: ბაგვ. ბექა (<\*ბერქა) : ჭამ. ბეჩა : ახვ. ბექა ~ საკ. დიდ. ბიქორი: ჰინ. ბუქორე (<\*ბიქორე) : ხვარ. ბეჩოლა (ინხ. ბექოლ) : ბეჟ. ბექელა (ჰუნზ. ბეგალა) „გველი“...

თავისებურებას ამჟღავნებენ I და II პირის ნაცვალსახელები, რომლებშიც ხუნდურ-ანდიურ-დილოურ ენათა ერთიანობის ხანისათვის ბ.ათაევი ე-ს აღადგენს [ათაევი 1992 : 30]. უცნაურობა აქ ის არის, რომ ზემოხსენებული ნაცვალსახელები დილოურ ენებში ი:ე:ა/ო:ო/ჰ შესატყვისობას მისდევენ. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ ორი შესატყვისობის არქექტიპები ერთმანეთთან ახლოს უნდა მდგარიყვნენ, მაგ.:

ხუნდ. ლუნ ~ ანდ. დენ/დინ : ბოთლ.: ლოდ.: კარ.: დენ : ჭამ. დ<sup>ნ</sup> : ტინდ.: ბაგვ. დე : ახვ. დენე ~ საკ. დიდ. დი : ჰინ. დე : ხვარ. და (ინხ. დო) : ბეჟ. დო (ჰუნზ. დჰ) „მე“.

ხუნდ. მუნ ~ ანდ. მენ/მინ<sup>39</sup> : ბოთლ.: ლოდ. მინ (<\*მინი <\*მენი) : ტინდ.: ბაგვ. მე : ჭამ. მი<sup>ნ</sup> : კარ. მენ : ახვ. მენე ~ საკ. დიდ. მი : ჰინ. მე : ხვარ. მა (ინხ. მო) : ბეჟ. მი <\*მო (ჰუნზ. მჰ) „მენ“.<sup>40</sup>

არქექტიპები ძველ ფორმათა სიუხვით გამორჩეულ ახვ. ენაში უნდა იყოს დაცული [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 209; ათაევი 1992 : 30..., შდრ. ბოკარევი 1959 : 255-256].

I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნებაში საინტერესო მოვლენა შეიმჩნევა: ერგატივში საკ. დიდ. დი („მე“) ფორმას სხვა ახლომონათესავე ენებში დე („id.“) ექნება ეკვივალენტად, თუმცა მი („მენ“) ნაცვალსახელი საკ. ხვარშიულშიც მი („id.“) ფორმას გვიჩვენებს [იმნაიშვილი 1963 : 94]. საკ. დიდ. ენას ნათ. ბრუნვაში ე-ს შემცველი ფორმა აქვს (დეჲ „ჩემი“), რაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს ე-ს პირველადობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ე. ლომთაძე ცდილობს ამ შესატყვისობაში საერთო ამოსავლად ი აღადგინოს, მაგრამ ხშირად გადაულახავ წინააღმდეგობებს აწყდება. დავიმოწმებთ მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელიც ხმოვანთა კანონზომიერი შესატყვისობის თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევს: ხუნდ. ჭეჩ ~ ანდ. ინჩი : ბოთლ. ინჩა : ლოდ. იჩუ : ჭამ. ეშ : ტინ. ეჩი : ბაგვ. ჭეჩ : კარ.: ახვ. ჭეჩე ~ საკ. დიდ. ჰენეშ : ჰინ. იში : ხვარ. ჰიდო<sup>ნ</sup>შ (ინხ. ე<sup>ნ</sup>შ, ი<sup>ნ</sup>შ) : ბეჟ. ე<sup>ნ</sup>შ „ვაშლი“.

დამოწმებულ მაგალითში ხუნდ.-ანდ. ჩ, ნ : დიდ. შ, ნ კანონზომიერად შეესატყვისებიან ერთმანეთს [ტრუბეცკოი 1987 : 256; ლომთაძე 1962 : 289; გუდავა 1979 : 117]. რაც შეეხება ხმოვანთა შეფარდებას, ენათა მიხედვით ე-ს სიხშირის კოეფიციენტი სჭარბობს (ი-5, ე-8), თუმცა ოდენ გამოყენების სიხშირე ვერ იქცევა გადამწყვეტ არგუმენტად, თუ არ მოხდა ი-ს შემცველ ფორმებში ე-ს რეკონსტრუირება.

თეორიულად ნავარაუდევია ი-ს პირველადობის დასაბუთებისას ე. ლომთაძე პარალელს სხვა დაღესტნურ ენებთანაც ავლებს<sup>41</sup> და ი>ე პროცესის ასახსნელად მჟღერ ფარინგალურ სპირანტ შ-ს უშვებს,<sup>42</sup> მაგ.: თაბ. ვერ <

<sup>38</sup> ამ სახელის შესახებ ვრცლად იხ. ბურჭულაძე 1991 : 21-26.

<sup>39</sup> ამოსავალი ანდ. ენებში უფრო გავრცელებული ფორმა (მენ) ჩანს [ცერცვაძე 1965 : 198].

<sup>40</sup> თვალშისაკეცი მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს ჩანს, მათ ამოსავალ ოდენობად ერთი (ე) ფონემა აქვთ.

<sup>41</sup> საანალიზო ლექსემას პარალელები ეძებნება არამარტო იბერიულ-კავკასიურ ენებში [მარი 1915 : 825; ჩიქობავა 1938 : 121; გონიაშვილი 1940 : 88; გუდავა 1954 : 705; კლიმოვი 1964 : 82; ბოკარევი 1961 : 72...], არამედ გარკვეულ ფონეტიკურ სიახლოვეს ავლენს საერთო-ინდოევროპულ

ჭინჭ < \*ჩინჭ : ალულ. ჰერ < \*ჰინ : რუთ. ჟერ < \*ჰინ : წახ. ჟერ < \*ჰინ : კრიწ. : ბუდ. ~ერ < შინ : არჩ. ანშ < \*ჰანშ < \*ჰინშ < \*ჰინჩ... ამგვარი მაგალითები არცთუ იშვიათად გვხვდება [ლომთაძე 1994 : 281; შდრ. ბურჭულაძე 2000 : 245].

ცნობილია, რომ ჰ სპირანტი და მისი დაკარგვის საფუძველზე წარმოქმნილი ფარინგალიზებული თანხმოვნები იწვევენ ხმოვანთა დავიწროებას და არა გაფართოებას [ბოკარევი 1959 : 258; იმნაიშვილი 1963 : 30-32]. მასთან, ჰ-ს რეკონსტრუქციას არათუ საერთო-დაღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე, არამედ მის ალღენას საერთო-დიდლოურშიც კი სირთულეები ხვდება [გულავა 1979 : 201; გიგინეიშვილი 1977 : 142-145]. ამიტომ მოსაზრება ჰ სპირანტის მეშვეობით ი-ს გაფართოების შესახებ საფუძველს მოკლებულია.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უმახვილო (ზოგ ენაში მახვილიანიც) ბოლოკიდური ე, ი დავიწროების ნიადაგზე ი, უ ხმოვნებით იცვლება [გულავა 1953 : 330; მიქაილოვი 1958 : 126-128; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 30-31; მაკომეღბეკოვა 1971, : 30...]. ეს ფონეტიკური პროცესი ფართოდაა გავრცელებული ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტშიც [ლომთაძე 1956 : 381].

იმის ნათელსაყოფად, რომ ბეჟიტურსა და ხვარშიულ ენებში ე-ს სახით დაცულმა არქიფონემამ დანარჩენ დიდლოურ ენებში ტრანსფორმაციის შედეგად ი მოგვცა, მოვიყვანთ რამდენიმე არგუმენტს:

1. საკ. დიდლოურსა და ჰინუსურ ენებში, რომლებშიც ე-ს შესატყვისად ი დასტურდება, ხელშესახებია ტენდენცია ხმოვანთა დავიწროებისა, რის საფუძველზეც ე>ი [იმნაიშვილი 1963 : 169; ბურჭულაძე 1998 : 105, 108], მაგ.: ქეც-ირ-ა < ქეც-ერ-ა „დაწვენა“, ბ-ა-წ-ირ-ა < ბ-ა-წ-ერ-ა<sup>43</sup> „შეჭმევა“ და სხვ.

2. ანდიურ (ლოდ., ტინდ., კარ.) და დიდლოურ (საკ. დიდ., ჰინ.) ენებში ი:ე შესატყვისობაში ი<ე, რასაც დიდლოურ ენათა მიმართ ე. ლომთაძეც ადასტურებს [ლომთაძე 1994 : 210-211, 234]: ე>ი: ქეთო (ხუნდ.) > გილე (ტინდ.) „კატა“, ტინდ. წეხინა (აქნ.-ანდ.) > წიხინ<sup>ლ</sup>ა (საკ. ტინდ.) „ძებნა“ [გულავა 1953 : 364]; ყურე (ჰინ.) > ყური (საკ. დიდ.) „სკამი“, ბერუს (ჰინ.) > ბირუს (საკ. დიდ.) „ხის კავი“, კერუ (ჰინ.) > კიცუ (საკ. დიდ.) „კბილი“, Øეტე-ა (ჰინ.) > Øიტე-ა (საკ. დიდ.) „წასვლა“ და მრ. სხვ.

3. ე. ლომთაძე ი-ს პირველადობის სამტკიცებლად იშველიებს ხვარშიული და ჰინუსური ენების სახელთა ბრუნებას, რომელშიც ე-ნიანი და ი-ნიანი საბრუნებელი სახელის ბოლოკიდური ე ი-ს სახით გვხვდება, ი ერგატივიში უცვლელადაა დაცული, სხვა ბრუნებებში ე წარმოჩნდება.

როგორც ცნობილია, დიდლოურ ენებში სახელთა ბრუნებისას ერგატივის ნიშნად საკ. დიდლოურში -ა გამოიყენება, ჰინუსურსა და ხვარშიულში – ი. ფუძის ბოლოკიდურ ხმოვნებთან შეხვედრისას ერგატივის ზემომოყვანილ ფორმანტებს ფონეტიკური ცვლილება მოუდის: ე+ი>ი>ი, ი+ი>ი>ი. ამის შემდეგ ბრუნვის „შერეული“ ნიშანი შესაძლებელია ირიბ ბრუნვებსაც გადაჰყვეს [იმნაიშვილი 1963 : 134; ბოკარევი 1959 : 268-271].

ე<ი პროცესის დასასაბუთებლად არ გამოგვადგება ის ფაქტი, რომ თითქოს ხვარშიულსა და ჰინუსურში ფუძის აუსლაუტური ხმოვანი ცვლილებას განიცდის, შდრ.:

<sup>41</sup> ზამლე („id.“) ფუძესთან [გამყრელიძე, ივანოვი 1984 : 641].

<sup>42</sup> სხვათა შორის, ი-ს პირველადობას ე. ბოკარევიც ვარაუდობს [ბოკარევი 1981 : 36].

<sup>43</sup> ერთი რიგის ზმნებთან (როხი-რ-ხო < \*როხი-ერ-ხო „აგღებს“, ხეცი-რ-ხო < \*ხეცი-ერ-ხო „აშეხებინებს“...) ი ფუძისეულია [ზვიადური 1990 : 219].

საკ. ხვარშიული	ინსოყვარული	ჰინუსური
სახ. ყუნი „ორი“	ყ'უნენე „ორი“	ლ'ელი „ბატკანი“
ერგ. ყუნ-რ < ყუნე+ი	ყ'უნან-რ<ყ'უნანე+ი	ლ'ელი-~<ლ'ელი+ი
ნათ. ყუნე-ს	ყ'უნანი-ს<ყ'უნანე-ი-ს	ლ'ელე-ს
მიც. ყუნე-ლ	ყ'უნანი-ლ<ყ'უნანე-ი-ლ	ლ'ელე-ზ

საკუთრივ დილოურშიც დასტურდება ი ხმოვანით დასრულებული სახელები, რომლებიც „ირიბ ბრუნვებში“ ე-თი არიან წარმოდგენილი. ეს იმის მაუწყებელია, რომ აქ ოდესღაც ე უნდა გვექონოდა: სახ. ბიქორი „გველი“ – ერგ. ბიქორ-L, მიც. ბიქორ-ე-რ, ნათ. ბიქორ-ე-ს. ე>ი პროცესი ზოგ დილოურ ტოპონიმშიც დაჩნდება, მაგ.: ცებარო>ციბორი, ქიდერო>ქიდრო „აულთა სახელებია“.

ამრიგად, ირკვევა, რომ თავისუფალი დისტრიბუციის მქონე, ფართოდ გავრცელებული ე, რომელსაც საკვლევ ენათა ფონოლოგიურ სისტემაში საკმაოდ მყარი ადგილი უჭირავს, ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო ხუნძურ-ანდიურ-დილოური ფუძეენისთვისაც [არლოტელი 1996 : 8].

**2.5. ლაბიალური ხმოვნების (ო, უ) გენეზისი.** ა) საშუალო აწეულობის ლაბიალურ ო ხმოვანს მეორეულად მიიჩნევენ როგორც, ზოგადად, იბერიულ-კავკასიურ ენებში, ისე, კონკრეტულად, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებშიც [ჩიქობავა 1979 : 49; ბოკარევი 1961 : 79; იმნაიშვილი 1963 : 41; იბრაჰიმოვი 1971 : 27; აკიევი 1982 : 19...].

ო-ს პოვნირება ამჟამად ხელშესახებია – იგი დასტურდება თავკიდურადაც, შუაშიც და ბოლოკიდურადაც. მასთან, ძალიან ხშირად შეიმჩნევა ძირეულ მორფემებში, რაც მის მყარ პოზიციაზე მეტყველებს. მიუხედავად ამისა, ეს ხმოვანი მეტწილად მეორეულია და არსებობს მისი წარმოშობის რამდენიმე გზა: 1) ასიმილაცია: ხუნძ. ხონო (<\*ხანო) „კვერცხი“; ჭამ. ქობ (<\*ქიბ) „რკინა“...; 2) დიფთონგთა მონოფთონგიზაცია: ა) ო (აჟ) < ჟ: ხუნძ. ბაყ (<\*ბაყო, შდრ. ყო <\*ყა „დღე“) „მზე“; ბოთლ. ჟიყო (<\*ჟიყაჟ) „მკვდარი“; ბავ. წაორა (<\*წაჟარა, შდრ. ხუნძ. წაჟ „id.“) „ვარსკვლავი“; ბ) ო<ჟე : ანდ. {ჟ}ოხაულა < ჟეხაულა „გრძელი“...; გ) ჟ-ს საკომპენსაციო რედუქცია: საკ. დიდ. ოს (საპ.) <\*ისჟ (შდრ. ისჟ-ა „ხარები“) „ხარი“, ჰინ. გორა <\*გერჟა „დადება“<sup>44</sup> და სხვა; 4) ო<ა კანონზომიერი შესატყვისობის (ა:ო) შედეგად: ხუნძ. რაკ <\*რაჟა (შდრ. ანდ. როჟო) ~ საკ. დიდ. როკუ (<\*როკჟი) „გული“... [გუდავა 1956 : 217; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 36; ლომთაძე 1963 : 54; იმნაიშვილი 1963 : 26-27; ცერცვაძე 1965 : 24; მაჰომედბეკოვა 1971 : 19-20; არლოტელი 1997 : 48-49 და სხვ.].

ე. ლომთაძეს შესაძლებლად ესახება დილოურ ფუძეენაში ო-ს რეკონსტრუქცია, რის საილუსტრაციოდაც მოყვანილია სამი მაგალითი: „ნაჯახი“, „ოთხი“, „ცხვარი“. ბოლო მაგალითი ამთავითვე გამოსარიცხია, რადგან

<sup>44</sup> ამ ზმნის შესახებ ვრცლად იხ. ბურჭულაძე 1986<sup>o</sup> : 433-435.

მას, ბეჟიტური (ხორ, ხოი „id.“) ენის გარდა, სხვა ენებში შესაბამისი ეკვივალენტები არ მოეპოვება.<sup>45</sup> რაც შეეხება „ნაჯანსა“ და „ოთხს“, ეს სახელები დიდ ენებში მართლაც ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი, თუმცა ხუნძურ-ანდიურ ენებთან შედარება ცხადს ხდის ა ხმოვნის პირველადობას [ლომთაძე 1994 : 244-245]. დილოურ ენებში ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებენ: „ოცი“, „სავსი“, „სავარცხელი“, „ასი“<sup>46</sup> და მისთ.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ხშირად თავისთავად მეორეული ო ამოსავალი ხდება უ-სთვის, ვინაიდან დავიწროების საერთო ტენდენციით არის შეპირობებული. თავის მხრივ, ო ა-სგან ანდა ჟა (ჟა > ო) კომპლექსისგან ჩანს მიღებული [შდრ. გუდავა 1980 : 210], მაგ., ხუნძ. ყო-გო (<\*ყა-გო) ~ ანდ. ყენ-ლე <\*ყან-ლე (შდრ. ლეზგ. ყად : თაბ. ყაბ : ბაცბ. ტ-ყა „id.“...) ~ საკ. დიდ. ვუ (<\*ვო <\*ვა) : ბეჟ. ვონა (<\*ვა-ნა) „ოცი“; ხუნძ. ჰორტო (<\*ჰარტო <\*ჰარტოჟა/ე) ~ ტინდ. ჰალ'უ (<\*ჰალ'ო <\*ჰალ'ჟა, შდრ. მრ. ჰალ'ჟა-ბო) ~ საკ. დიდ. ჰილ'უ (<\*ჰილ'ო < ჰილ'ჟა) „სავარცხელი“ და სხვ. მისთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საერთო-დილოურში ო-ს თეორიულად არსებობის ვარაუდი საფუძველს მოკლებული არ იქნება მხოლოდ მაშინ, თუკი ცნობილი ა:ო შესატყვისობის ბეჟიტურის რაღაც მასალაში ფუძეენისეული ა გადავიდა ო-ში, შემდეგ კი ეს ო საკ. დილოურში, ჰინუხურსა და ხვარშიულში უ-ს სახით დაგვიდასტურდა („მზე“, „ოცი“, „გაშრობა“...). რაც შეეხება ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენას, მასში ო ხმოვანი არ უნდა გვექნოდა.

ბ) მაღალი აწეულობის ლაბიალური უ ხმოვნის ფუძეენაში არსებობის შესახებ მკვლევართა შორის ერთიანი აზრი არ არის: ერთნი ფიქრობენ, რომ იგი შემდეგ არის გაჩენილი სხვადასხვა კომბინაციური ფონეტიკური პროცესების შედეგად [იმნაიშვილი 1963 : 41; ლომთაძე 1994 : 287], მეორენი ვარაუდობენ, რომ უ ამოსავალი ხმოვანია და მას საერთო-დაღესტურ ფუძეენაში ადაღენენ [ბოკარევი 1959 : 253-254; იბრაჰიმოვი 1971 : 28; აკიევი 1982 : 110-111].

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ე. ლომთაძის ინტერპრეტაციას, რომელიც უ-ს საერთო-დილოურში მეორეულ ფონემად მიიჩნევს და დამაჯერებლად ამტკიცებს მის წარმოქმნას სხვადასხვა კომბინაციური ფონეტიკური ცვლილებების გზით [ლომთაძე 1994 : 65-80, 287].

ე. ბოკარევის მიერ საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითების ანალიზი უ ხმოვნის მეორეულობაზე მიგვანიშნებს. საპაქრო მაგალითებიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ საკ. დიდ. ბუჟ (<\*ბოჟ <\*ბეჟუჟ) „მზე“ [იხ. იმნაიშვილი 1963 : 41] და ნოცუ (<\*ნაცუ <\*ნაცო, შდრ. ბეჟ. დანჩო <\*ნაცო) „ნერწყვი“ სახელებზე, სხვა მაგალითებიც ეჭვქვეშა აყენებს ამ მოსაზრების სისწორეს, კერძოდ: საკ. დიდ. უყყ'ჟენ-ნ (საჰ.) <\*ოყყ'ჟენ-ნ (შდრ. ბეჟ. ოყყ'ნა „id.“) „ოთხი“,<sup>47</sup> საკ. დიდ. ვუ <\*ვო (შდრ. ბეჟ. ვონა „id.“) „ოცი“. ორივე რიცხვით სახელში, გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, ამოსავალია ო [ლომთაძე 1966 : 323; გუდავა 1980 : 206, 210]. ო ხმოვნის პროტოტიპი ა დაცული ჩანს ზოგ ნახურ-დაღესტურ ენაში (ლეზგ. ყად, ბაცბ. ტ-ყა „ოცი“). საკ. დიდ. უჟი <\*ოჟი (შდრ. ბეჟ. ოჟე) <\*ჟაჟი (შდრ. ხუნძ. ჟას <\*ჟასა, შდრ. აზვ. ჟაშა) „ვაჟიშვილი“; საკ. დიდ.

<sup>45</sup> ბეჟ. ხოი („ცხვარი“) სახელის დაკავშირება -ლო, -ყ'ო („დღელი“) კომპონენტთან (შდრ. საკ. დიდ. ბეტი-ლე „ცხვარი“) სარწმუნო არ ჩანს.

<sup>46</sup> დიდ. ენებში „ასის“ აღნიშვნელი სახელი ტ. გუდავას ნასესხობად მიიჩნია [გუდავა 1980 : 212; შდრ. ლომთაძე 1996 : 23], მაგრამ მასში დასტურდება ხმოვანთა (ე:ი) შესატყვისობა.

<sup>47</sup> „ოთხის“ შესახებ იხ. [ლომთაძე 1994 : 245; შდრ. აკიევი 1982 : 110].



ბუცი < \*ბიცუი (შდრ. ხუნძ. ბოწა < \*ბაწა, ანდ. ბორწი < \*ბარწიუი, შდრ. არჩ. ბაცა) „მთვარე“.

სხვა მაგალითებიც ანალოგიურად აიხსნება, რაც უგულებელყოფს აზრს ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში უ ხმოვნის ძირისეულობის შესახებ.

ამრიგად, ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენების ამოსავალ ხმოვანთა სისტემა ძირითადად სამ ერთეულს ითვლის: ა, ე, ი. ლაბიალური ხმოვნები (ო, უ), როგორც დავინახეთ, მეორეული წარმომავლობის ფონემები უნდა იყვნენ. უ ხმოვანი, ჩანს, ყ-ს ალოფონი იყო და მისი რეკონსტრუქცია ფუძეენაში ამ მხრივაც ნაკლებსავარაუდოა.

## 2.6. ფონეტიკური პროცესები მეორეულ ხმოვნებსა და დიფთონგებში

**2. 6. 1. ნაზალიზაცია და ლენაზალიზაცია.** ნაზალიზაცია განიმარტება, როგორც ხმოვნისათვის ნაზალური ტემპრის მინიჭება, მომდევნო ნ და მ<sup>48</sup> ცხვირისმიერ სონორთა დასუსტება [ახვლედიანი 1999 : 73; ჩიქობავა 1979 : 48].<sup>49</sup> ნაზალიზებული ხმოვნები ნიშანდობლივია ყველა ანდიური ენისათვის, რომლებშიც ნაზალიზაციის პროცესი “დემონსტრაციულ ხასიათს ატარებს” [გუდავა 1953 : 142]. ნაზალიზებული ხმოვნები გვხვდება ხვარშიულსა და ბეჟიტურ ენებშიც. ხუნძურში, საკ. დილოურსა და ჰინუსურ ენებში ანალოგიურ ხმოვნებს ფონემის სტატუსი არ მოეპოვებათ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 23; იმნაიშვილი 1963 : 15-16; ლომთაძე 1963 : 11; შდრ. მიქაილოვი 1958 : 141-147; ებელინგი 1966 : 59; კიკნაძე 1969 : 199]. გარდა ამისა, ბეჟიტურ ენაში ადასტურებენ პალატალიზებულ-ნაზალიზებულ ხმოვნებს [ხალილოვი 1995 : 388; არდოტელი 1999<sup>ბ</sup> : 12-14], ხოლო ანდიურ ენათა ერთ წყებაში (ჭამ., ტინდ., ბავგ., ახვ.) – გრძელ ნაზალიზებულ ხმოვნებს [გუდავა 1953 : 329-333; 1971 : 7; მაჰომედბეგოვა 1967 : 322; 1967<sup>ბ</sup> : 11]. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი ნაზალიზებულ ხმოვანთაპრადლესტურ ენაში არსებობის შესახებ [ბოკარევი 1981 : 36; შდრ. სულეიმანოვი 1962 : 141].<sup>50</sup>

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა მკვლევრები ნაზალიზებულ ხმოვნებს ჩვეულებრივ მეორეულ ხმოვნებად მიიჩნევენ [გუდავა 1953 : 332; 1964 : 38-44; მაჰომედბეგოვა 1955 : 259; 1967 : 11; ლომთაძე 1956 : 371; 1994 : 313; სულეიმანოვი 1962 : 141; 1971 : 22; იმნაიშვილი 1963 : 15; ცერცვაძე 1965 : 13; ჩიქობავა 1979 : 49; ბურჭულაძე 2000 : 244...].

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მოსაზრებას ნაზალიზებულ ხმოვანთა მეორეულობის შესახებ, რაც ცხადი ხდება ამ რიგის ხმოვნების ბერათშესატყვისობათა უქონლობითა და მეტად გამჭვირვალე პოზიციური ფონეტიკური პროცესებით, რამაც ისტორიულად შეაპირობა ნაზალიზებული ხმოვნების ჩამოყალიბება. რამდენადაც ნაზალიზაციის პროცესები საკმაოდ დეტალურად არის განხილული ზემოხსენებულ სპეციალურ ლიტერატურაში, ამიტომ

<sup>48</sup> ზოგი მკვლევარი წინამავალ ნ-საც მიიჩნევს ნაზალიზაციის წყაროდ [ლომთაძე 1994 : 313], რასაც კორექტირება სჭირდება, მართალია, „წინამავალი“ ხმოვანი იწვევს ნაზალიზაციას, მაგრამ მხოლოდ ტრანსპოზიციის შემდეგ, მაგ.: ხვარ. ე<sup>ნ</sup>ზე < \*ენზე < \*ნეზე (შდრ. ხუნძ. ნისუ „იდ“) „ყველი“. მეტად საინტერესო მოვლენაზე მიუთითებს ტ. გუდავა ბოთლიზურ ენაში, როცა ნაზალიზაციის მიზეზი გაუჩინარებულა, კლასის პრეფიქსული ექსპონენტები და ნაზალიზებული ხმოვნის მომდევნო თანხმოვანი კი – ნაზალურ თანხმოვნებად სახეცვლილი, მაგ.: III კლ. მ-ამა! (< \*ბ-ა<sup>ნ</sup>-ბა!), IV კლ. ნ-ამა! (< \*რ-ა<sup>ნ</sup>-ბა!) „წადი!“ [გუდავა 1953 : 142].

<sup>49</sup> ნაზალიზაცია დამატებითი არტიკულაციის საფუძველზე ხმოვანთა პოზიციური (ნაწილობრივი რედუქცია) ცვლილებაა. ჩვენ მას განვიხილავთ იმდენად, რამდენადაც ზოგი მკვლევრის ინტერპრეტაციით იგი ფუძეენის კუთვნილებაა.

<sup>50</sup> სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ე. ბოკარევი დილოურ ენებში ნაზალიზებულ ხმოვნებს მეორეულად მიიჩნევს [ბოკარევი 1959 : 252].

დაწვრილებით მასზე აღარ შევჩერდებით. შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმე მაგალითის ილუსტრაციით, რომლებიც ეკვმიუტანლად ამტკიცებენ ნაზალიზებული ხმოვნების მეორეულობას:

ხუნძ. წაუმ | < წაუნ ~ ანდ. წაუმ<sup>6</sup> < \*წაუნი (შდრ. კარ. წაუნდი „არწივები“): ახვ. წაუმ<sup>6</sup> ~ (ცეპ.) (< \*წაუნი < \*წაუნი), წა უმი (ტლან.) (< \*წაუმი < \*წაუნი) ~ საკ. დიდ. ცე < ცე~: ჰინ. ცო~ : ხვარ. ცე (< ცე<sup>6</sup> < \*ცენ, შდრ. ინხ. ცე<sup>6</sup> < \*ცენ „id.“): ბეჟ. ცუჰა (< \*ცუჰა < \*ცუნა, შდრ. ხაშ. ცუჰო < \*ცუნო) „არწივი“.

ხუნძ. წაან<sup>51</sup> ~ ანდ. წაონ<sup>6</sup> (რიკვ.) (< წაონ, შდრ. ლად. წაონ): ბოთლ.: ბაგვ.: კარ. წაანი (< \*წაანი, შდრ. ახვ. წაანი) ~ საკ. დიდ. ცი~ო : ჰინ. ჩი~ო : ხვარ. ცი~ო (< \*ცი<sup>6</sup>ო < \*ცინო): ბეჟ. ცა<sup>6</sup> (< \*ცან) „მარილი“.

ხუნძ. ლაიმ | < ლაინ ~ ანდ. ლაენ : ლოდ. ლაენი : ჭამ. ლაენ<sup>6</sup> (< \*ლაენ) : ბაგვ. ლაენ<sup>6</sup> (< \*ლაენ) ~ საკ. დიდ. ლი : ჰინ. ლე : ხვარ. ლან<sup>6</sup> (< \*ლან) : ბეჟ. ლი (< \*ლი<sup>6</sup> < \*ლინ, შდრ. ჰუნზ. ლენ<sup>6</sup> < \*ლენ) „წყალი“...

ყურადღებას იქცევს ის, რომ ხუნძურში ბოლოკიდური ნაზალური ხმოვნები **ნ** (ძირითადად), **მ** (იშვიათად) მეტწილად შემონახულია, ხოლო ინტერვოკალური და ანლაუტის მეტათეზირებული **ნ** კი უკვალოდ არის დაკარგული. ანდიურ ენებში სხვაგვარი **ნ**, ანლაუტის გარდა, ეკედლება რა წინამავალ ხმოვანს, მის ნაზალიზაციას იწვევს. ნაზალიზაციის ტენდენციას ემორჩილება ინლაუტის (**ვ-ც**), ინტერვოკალური (**ვ-ვ**) და აუსლაუტის (**ვ-#**) **ნ**, რასაც ჭამ., ტინდ. და ბაგვ. ენები მეტი სიძლიერით ამჟღავნებენ [მაჰმედბეკოვა 1955 : 292; გუდავა 1964 : 43].<sup>52</sup> ანალოგიური ვითარება დასტურდება ხვარ. და ბეჟ. ენებში იმ განსხვავებით, რომ ამ ენებში (განსაკუთრებით, საკ. ბეჟ. დიალექტში) **ნ** ხშირად მთლიანად რედუცირებულია.

რაც შეეხება საკ. დიდურსა და ჰინურს ენებს, მათ (ისევე, როგორც ხუნძურს) ღენაზალიზაციის საფეხური გავლილი აქვთ და ეს პროცესი ძირითადად დასრულებულია. ნაზალიზებულ ხმოვანთა შემცველი სახელების შედარება ახლომონათესავე ენებთან ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა,<sup>53</sup> სახელდობრ: ხუნძ. ოც ~ ახვ. უჩა ~ საკ. დიდ. ოს (საჰ.) : ჰინ. უშ : ხვარ. ეჩ „ხარი“; ხუნძ. ჭაზო ~ ანდ. ანზი : ჭამ. აჩ ~ საკ. დიდ. ისი : ჰინ. იშე . ხვარ. იჩა „თოვლი“...

ბეჟიტური ენის ხაზარხუტულ თქმაში ხელშესახებად მჟღავნდება ნაზალიზებულ ხმოვანთა მოშლის ტენდენცია, რაც ნაზალიზებულხმოვიან და მარტივხმოვიან ფორმათა თანაარსებობით გამოიხატება. ხაზარხუტულ თქმაში გავრცელებულია ისეთი ფორმებიც, რომლებშიც ნაზალიზაცია მთლიანად მოშლილია, მაგ.: საკ. ბეჟ. ცაგა – ხაშ. ცაგა „სამაჯური“, მაგრამ: საკ. ბეჟ. სი<sup>6</sup> – ხაშ. სი „დათვი“...

შენიშნულია, რომ ერთი რიგის მაგალითებში საკ. დიდური **ნ**-ს სრულად ინახავს [იმნაიშვილი 1963 : 16], რაც ინტერვოკალური პოზიციით ჩანს შეპირობებული. ამგვარ შემთხვევებში ხანდახან ნაზალიზებულხმოვიანი ენები არღვევენ კანონზომიერებას, მაგ.: საკ. დიდ. ჰენემ : ჰინ. ციმი : ხვარ. ციმ<sup>6</sup> „ვაშლი“, მაგრამ: საკ. დიდ. ჰენი : ჰინ. ჰენე : ხვარ. ჰენი : ბეჟ. ჰინო „გზა“ და მისთ.

<sup>51</sup> ტ. გუდავა არქეტიპალ \*წან ფორმას ვარაუდობს [1979 : 158] და მას ქართველურ ენათა ძამ-|ჯომ- ფუძეებთან აკავშირებს [1954 : 705]. ე. მიქაილოვი არქეტიპალ აღადგენს \*ძამ ოდენობას და მას ქართველურ ენათა მონაცემს \_ ძმ-არ- ფუძეს უკავშირებს [1988 : 143-144].

<sup>52</sup> ეს საკითხები სპეციალურ ლიტერატურაში ვრცლად არის განხილული [გუდავა 1959 : 102-106; ცერცვაძე 1965 : 12-15...].

<sup>53</sup> არ შეეფერება სინამდვილეს, თითქოს ხვარშიულში **მ** სონანტი ნაზალიზდებოდეს [ბოკარევი 1959 : 257]. სინამდვილეში ნაზალიზებულია მომღვენო ხმოვნები: ძონ<sup>6</sup>ცუ „ნერწყვი“, ძულ<sup>6</sup>ლ<sup>6</sup>უ „ნაცარი“ [ლომთაძე 1998 : 41; ისაყოვი, ხალილოვი 1986 : 43].

თავისთავად ის ფაქტიც, რომ ნაზალიზებული ხმოვნის მომდევნოდ ნაზალური თანხმოვანი არ გვხვდება,<sup>54</sup> ნაზალიზებულ ხმოვანთა მეორეულ წარმომავლობაზე მეტყველებს.

**2.6.2. პალატალიზაცია.** დილოურ ენათაგან უმლაუტიანი (resp. პალატალიზებული) ხმოვნები დასტურდება საკ. დიდ. ენის ზოგ თქმაში (ქიდ., შაფ.) და ბეჟიტური ენის საკ. ბეჟიტურ დიალექტში.<sup>55</sup> მასთან, საკ. დილოურში პალატალიზებულია ოდენ ვ(ვ),<sup>56</sup> ხოლო ბეჟიტურში – ვ (ვ, ვ<sup>ნ</sup>), ო (ო, ო<sup>ნ</sup>), უ (უ, უ<sup>ნ</sup>). სხვა ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა სინამდვილისთვის პალატალიზებული ხმოვნები ამჟამად უცნობია და არც ისტორიულად არის საგულვებელი.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უმლაუტი (resp. მეტათონია) წარმოადგენს კოარტიკულაციის საფუძველზე წარმოქმნილ ნაწილობრივ (რეგრესულ ან პროგრესულ)<sup>57</sup> ასიმილაციას, რომელიც უკანა წარმოების ფონემების წინ გადმოწევაში (პალატალური უმლაუტი), ან წინა წარმოების ფონემების უკან გადაწევაში (ველარული უმლაუტი) გამოიხატება [შანიძე 1925 : 171-227; ახვლედიანი 1999 : 200-202].

იბერიულ-კავკასიურ ენებში დასტურდება როგორც წინა მიმართულების (resp. პალატალური) უმლაუტი, რომელიც დომინანტობს, ისე უკანა მიმართულების (resp. ველარული) უმლაუტი [შანიძე 1925 : 171-227; თოფურია 1928 : 337-346; ჟღენტი 1949 : 113-116; ქალდანი 1968 : 7-13; 1969 : 89-94; მაჭავარიანი 1970 : 94-105; ჭუმბურიძე 1960 : 151-165; ჯეირანიშვილი 1984 : 84-86; შენგელია 1999 : 12-10...].

დილოური ენის სათანადო ენობრივი მასალის ანალიზი ცხადს ხდის, რომ ჰ-ს პალატალიზაციას იწვევს წინამავალი მარცვლის უშუალოდ მოსახლერე ი და ე, ე.ი. მაუმლაუტებელ ხმოვნებად მხოლოდ და მხოლოდ წინამავალი და მიმყოლ ხმოვანს შერწყმული ი და ე გვევლინება. ეს მკაფიოდ ჩანს ერგატივისა და აწმყო-ზოგადი დროის ფორმებში, რომელთა წარმოებისას ხდება ხმოვანთა შერწყმა [იმნაიშვილი 1963 : 23]. ერგატივისა და აწმყო-ზოგადის ნიშნად დაჩნდება ჰ მაშინ, როცა ფუძისეული ხმოვანი არის ი ან ე, სხვა შემთხვევაში უმლაუტი ნულის ტოლია, მაგ.: სახ. ბოწი „მგელი“ – ერგ. ბოწ-ჰ (<\*ბოწი-ა); სახ. ცეკი „თიკანი“ – ერგ. ცეკ-ჰ (<\*ცეკი-ა); სახ. იდრის (საკ. სახელი) – ერგ. იდრის-ჰ (<\*იდრისე-ა), || ფუძ. იდრისე- (შდრ. ნათ. იდრისე-ს).

აწმყო-ზოგადის ფორმებს აწარმოებს ა ხმოვანი, რომელიც ინფიქსად ჩაერთვის ზმნურ ფუძეს [იმნაიშვილი 1963 : 176]. თუ ზმნას ფუძისეულ ხმოვნად მოუდის ი ან ე, რომლებიც ფორმანტის წინ ექცევიან და ერწყმიან მის მიმყოლ ა ინფიქსს, შედეგად ვიღებთ ამ უკანასკნელის პალატალიზაციას, მაგ.: ბჰკი <\*ბი-ა-კი (შდრ. აწმყ.-კონკრ. ბიკი-ხ) „დადის საერთოდ“, თჰლ' < თე-ა-ლ' (შდრ. აწმყ.-კონკრ. თელ'-ხო) „აძლევს საერთოდ“ და მრ, სხვ.

I პირის ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმაში ანალოგიურ პროცესს აქვს ადგილი: მიც. ღწრ <\*ღი-არ (შდრ. სახ. ღი) „მე“.

<sup>54</sup> იხ. [ცერცვაძე 1965 : 13].

<sup>55</sup> ჰინუსურ ენაში შეიმჩნევა ლაბიოველარიზებული უ (<ი..ჟ).

<sup>56</sup> ი. მეგრელიძე მხოლოდ ერთი მაგალითის (კურდა) დამოწმებით ცალკე გამოყოფს ო და უ ხმოვნებსაც [მეგრელიძე 1936 : 234], რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

<sup>57</sup> ჩვეულებრივ უმლაუტი განიმარტება როგორც ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია [ახვლედიანი 1999 : 200]. დილოური ენა თავისებურებას ავლენს იმ მხრივ, რომ უმლაუტის საფუძველს ქმნიან წინამავალი ხმოვნები, ე.ი. გვაქვს პროგრესული ასიმილაცია.

საყურადღებო ფაქტია, რომ ქიდროული და შაფისური კილოკავების ზოგ აულში გაბატონებული, ჰ-ს შემცველი ფორმები ასახურ კილოკავში ჰ-ს გვიჩვენებს, ხოლო შაიტლურ კილოკავსა და საჰაღურ დიალექტში — ჟ-ს. დიალექტებისა და კილოკავების ეს საგულისხმო ჩვენება გვაფიქრებინებს, რომ ჰ-ს პალატალიზაციის პროცესის სხვადასხვა საფეხური ერთიანი ჯაჭვის სახით (ჰ>ჰ>ჟ) არის წარმოდგენილი, რომელშიც ჰ გარდამავალი რგოლია [შდრ. მაჭავარიანი 1970 : 96]. ჰ-ს ასიმილაცია სრული და პროგრესული ხასიათისაა: ჰ > ჟ პროცესის შუა საფეხურად უმლაუტიანი ჰ-ს დაშვება დილოურში დღეს არსებული ფაქტის ერთგვარი კონსტატაციაა, რადგანაც ენაში რეალურად არსებული ფორმების ურთიერთმიმართებას ემყარება.

დავიმოწმებთ ყველა დიალექტისა თუ თქმის მონაცემს ა-ს უმლაუტიზაციის საილუსტრაციოდ:

1. ქიდროულ-ასახური დიალექტი		2. საჰაღური დიალექტი
ა) ასახ. კილოკ.	ბ) ქიდ. კილოკ.	
ქიდბ-ჰ	ქიდბ-ჰ	ქიდბ-ჟ „გოგო“ (ერგ.)
ღწრ	ღწრ	ღწრ (შაიტლ.) „მე“ (მიც.)
ბჰკი	ბჰკი	ბჟკი „დაღის საერთოდ“
ცახიდ-ჰ?	ცახიდ-ჰ?	ცახიდ-ჟ? „დაწერე?“ ...

ირკვევა, რომ უმლაუტი ქრონოლოგიურად დილოური ენის კილოკავებად დიფერენციაციის შემდეგდროინდელია.

ისმის კითხვა: როგორია რელატიური ქრონოლოგიის საკითხი გრძელ და მოკლე უმლაუტიან ხმოვანთა შორის?

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ პალატალიზებული ხმოვანი დილოურ ენაში ოდენ მორფემათა შესაყარზე დასტურდება. მორფემათა მიჯნაზე, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში სვანურის მიმართ არის აღნიშნული [შარაძენიძე 1979 : 66], ხმოვანთა შერწყმით მიღებული სიგრძის გამორიცხვა უმლაუტის ისტორიიდან მართლაც გაუმართლებელია, თუმცა ლებულება, რომ „...გრძელი ხმოვანი ფონემების არსებობა წინ უსწრებდა უმლაუტიან ხმოვანთა წარმოქმნას“ [შარაძენიძე 1979 : 66], დილოური ენის მონაცემებით არ მართლდება.

თუ დავუშვებთ, რომ თავდაპირველად ა-მ წინამავალ მეუმლაუტე ხმოვნებთან (ი, ე) შერწყმით მოგვცა გრძელი სახესხვაობა, მაშინ რამ შეაპირობა მისი პალატალიზაცია?

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, პალატალიზაციის პროცესი წინ უსწრებდა სიგრძეს, ან მისი თანამდევნი იყო, ე.ი. შერწყმისა და პალატალიზაციის პროცესი ერთდროულად მიმდინარეობდა. უფრო მეტად საგულვებელი პირველი მოსაზრება ჩანს, რომელიც გულისხმობს: ჯერ საუმლაუტო პოზიციაში (ი/ე+ა) მოხდა ა-ს პალატალიზაცია, ხოლო შემდეგ მეუმლაუტე ხმოვანი შეერწყა პალატალიზებულ ჰ-ს და გამოიწვია მისი დაგრძელება. ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო გრძელი უმლაუტიანი ჰ-ს ტრანსფორმაცია ჟ ხმოვნად, რაც ამგვარად წარმოიდგინება: \*ღი-არ > \*ღი-წრ > ღწ-რ > ღწრ „მე“ (მიც.).

რატომ არ მოხდა ასახურ კილოკავში პალატალიზაცია? ჩანს, ასახური არ ამჟღავნებდა უმლაუტიზაციის ტენდენციას, ხოლო შაფიხური კილოკავის ზოგი აულის მეტყველებაში სპორადულად გამოვლენილი ჰ სიგრძის დაკარგვით არის მიღებული [იმნაიშვილი 1963 : 23].

ბეჟიტური დიალექტი პალატალიზაციის თავისებურებებით (როგორც დისტრიბუციით, ისე ასიმილაციის მიმართულებითაც) თვალსაჩინოდ განსხვავდება საკ. დილოური ენისაგან. კერძოდ, საკვლევ დიალექტში, სვანური ენის დარად, უმლაუტიზაციას განიცდის უპირატესად ძირეული ლექსიკის ფუძისეული ხმოვანი, თუმცა ფუძის პალატალიზებული ხმოვნის გავლენით შესაძლებელია უმლაუტმა თავი იჩინოს მორფემათა ზღვარზედაც. გარდა ამისა, საკ. დილოური ენისაგან განსხვავებით, რომელშიც უმლაუტი ოდენ ჰ(ჰ) ხმოვანს მოუდის, ბეჟიტურში უმლაუტს ემორჩილება ლაბიალური ო და უ ხმოვნებიც. მართალია, ჰ(ჰ, ჰ) ხმოვნის ხვედრი წონის სიჭარბეს მისი გამოყენების სიხშირე მიგვანიშნებს, თუმცა ლაბიალურ ხმოვანთა დისტრიბუცია ნათელყოფს მათ მყარ საფუძველს – ისინი ძირ-ფუძეთა საკმაოდ დიდ ნაწილს მოიცავენ და თითქმის ყოველგვარ პოზიციაში დასტურდებიან.

ბეჟიტურ ენაში მარტივი ა, ო და უ ხმოვანთა პალატალიზაცია გამოწვეულია პალატალური ხმოვნების (ი, ე) ან პალატალიზებულ-იოტიზებული სონანტის (ღ) მარცვლოვანი ალოფონის ზეგავლენით-კოარტიკულაციით. მეუმლაუტე ხმოვნები, რომლებიც ხშირად მოკვეცილი ან სინკოპირებულია, ჩვეულებრივ მოსდევნენ საუმლაუტე ხმოვნებს და იწვევენ რეგრესულ ასიმილაციას. ამის გათვალისწინებით, ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე წარმოქმნილი ფორმულები ასეთ სახეს მიიღებენ: ა+ი/ე/ღ > ჰ, ო+ი/ე/ღ > ო, უ+ი/ე/ღ > უ. საილუსტრაციო მაგალითები: ბზღინ „კასრის ხუფი“, ალახ „ყამირი“, კორიდა „ბეჭელი“, აწე „ნახვრეტი“, აწლე „ტოტი“, ბაყე „ბელი“, ღანე „შუნი“, „შველი“, ჰაჟი „მომლოცველი“, ჰაღლი „თეთრი“, ჰაღლი „საქმე“, რაჰა „კლიტი“, ქაღა „პატარა თუნგი“, ოჟო „ვაჟი“, ქაღაღა „ლამურა“ და მრ.სხვ.

არცთუ იშვიათად დასტურდება ისეთი ფორმები, რომლებშიც მეუმლაუტე ხმოვნები, განსაკუთრებით კი ე, დაცულია, ხოლო პალატალიზაციის პროცესი რეალიზებულია, მაგ.: ბოჰი „სიცხე“, ღაღე 1. „ყვავი“; 2. „მკერდის ძვალი“, აღღ „ადრე“, „წინათ“, ჰაღე „ნელა“, ორკენ „ჭელილი“, ღ'აღე „მათრახი“, ტოჰი „ჟანგი“ და მრ.სხვ.

უმლაუტის პალატალური ბუნება მკაფიოდ მჟღავნდება შეთვისებულ მასალაშიც, მაგ.: ჰაღლი (< ხუნდ. ჰაღლი) „საქმე“, აგარღი (< ხუნდ. აგარღი) „ნათესაობა“, აღაღი (< აღამი) „ადამიანი“, კოჰი (< ქართ. კოჰი) „კოჭი“, ნაჰი<sup>58</sup> „ნეკა თითი“, ნაჰთ (< ქართ. < არაბ.) „ნავთი“, ნაჰ (< ქართ. < ბერძ.) „ნავი“, რაჰ (< ქართ.) „ჯაჭვი“, ტაჰე (< ქართ.) „ტახი“, უშთელ (< რუს. УЧИТЕЛЬ) „მასწავლებელი“, ღოჰი (< რუს. ЛЕГЧИК) „მფრინავი“, მოშოჰი (< ქართ. < რუს.) „ტომარა“ და მისთ.

ამჟამად მეუმლაუტე ხმოვანი ხშირად მოკვეცილი ან სავსებით სინკოპირებულია, რაც თავდაპირველი ვითარების მაუწყებელია. მოგვიანებით კი, ჩანს, უმლაუტიზაციის პროცესმა კავშირი გაწყვიტა კომბინაციურ ფონეტიკურ პროცესთან და სპონტანური ნიშან-თვისებები უფრო მეტად შეიძინა. სინქრონიულ დონეზე იგი საკომპენსაციო რელექციის გარეშეც ახდენს პალატალიზაციას, თუმცა უმლაუტი საკვლევ ენაში მოკლებულია შინა-

<sup>58</sup> ამ ლექსემის შესახებ დაწვრილებით იხ. [ბურჭულაძე 1989, 198-203].

განი ფლექსიის ფუნქციას (შდრ. სვან. მალაზ „მიყვარს“ – მალაზ „სიყვარული“, გერ. ich wurde „გავხდი“ – ich würde „გავხლდ“...).

ამ კუთხით ინტერესს აღძრავს ის ფორმები, რომლებშიც მეუძლავთე ნმოვნები არ შეიმჩნევა, თუ საგანგებოდ არ მოვახდენთ მათ რეკონსტრუქციას, მაგ.: მწ  $\leftarrow$  \*მწო  $\leftarrow$  \*მარო (შდრ. ტლად. მარუ, სვარშ. მანი „id.“) „ცხვირი“, „გორა“, ხრ  $\leftarrow$  \*ხრო (შდრ. ტლად. ხორო „id.“) „სკა“, ხრხრ  $\leftarrow$  \*ხრხე (შდრ. ჰუნხ. ხოხე „id.“) „ხე“.

რიგ შემთხვევაში მაუძლავთებელი ნმოვნის რეკონსტრუქცია შეუძლებელია, მაგრამ პალატალიზაციის პროცესი რეალიზებულია, მაგ.: ყამ (შდრ. საკ. ლიდ. ყიმ, სვარშ. ყემ, ყიმ, ჰინ. ყიმუ „id.“) „თავი“, ცვლ<sup>1</sup> „სოფელი“, ბტკვ „კასრი“, ღან „დანა“, ოლვან „ჭაბუკი“, შუშა „ბოთლი“, აურღ „იორღ“, შპკვ „კეპიანი ქული“ და სხვ.

სახელთა ერთ წყებაში უძლავთის გამომწვევი მიზეზის ახსნა ქართულიდან ამოსვლით ხერხდება. ამგვარ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ესა თუ ის სახელი ქართულიდან ან ქართულის გზით არის შესული და სახელობითი ბრუნვის ნიშანი, რომელმაც უძლავთი შეაპირობა, რედუცირებულია, მაგ.: ნაჟთ (<ნავთი); არწყან (<არაყან), ნაჟ < ნავი, ადამ (<ადამი) „ადამიანი“, ადთ „ადათი“, ართ (<აროტი < რუს. ОТЪТ) „ანგარიში“...

რიგ შემთხვევაში, პალატალიზაციის ნიშნის მიხედვით, შეიმჩნევა თავისებური სინჰარმონიზმის მოვლენა, რომელიც, მართალია, სისტემურად არ არის გატარებული, მაგრამ ბევრ შემთხვევაში იგი მნიშვნელოვანწილად ჩამოკავს ამ მორფონოლოგიურ მოვლენას. ამ ტიპის მაგალითებში ფუძის პალატალიზებული ნმოვანი პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე იმსგავსებს აფიქსისეულ ნმოვნებს. მეტწილად ეს ეხება ზედსართავის, ინფინიტივისა და ზმნის დროულ ფორმათა სუფიქსებს, მაგ.: ოლვან „ახალგაზრდა“ – ოლვან-ჰ „ახალგაზრდი“, მპწრულ-აჟ „ხენი“, ბტტრ „ბლაგვი“ – ბტტრ-კ-ჟ „დაბლაგვება“, ჟრჟ „ჩირქი“ – ჟრჟ-ჟ „დაჩირქება“, ბლბტკრ < ბლბტკრ-დრ „შეიჭმუნენ“ და სხვ. მისთ.

ინტერესს იწვევს ის ფაქტიც, რომ კაუზატიურ ფორმებში გამოვლენილი ი-ს შემდეგ ინფინიტივის ა აღარ განიცდის პალატალიზაციას, რაც ერთხელ კიდევ ეჭვმიუტანელს ხდის მტკიცებას, რომ პალატალიზაციის გამოწვევა ანალოგიურ შემთხვევაში შეუძლია ოდენ უკანამავალ პალატალურ ნმოვანს, მაგ.: დრტტაჰ „პატარა“ – დრტტაჰ-კ-ჟ „დაპატარავება“ – დრტტაჰ-კ-ილლ-ალ „დაპატარავებინება“.

ბეჟიტური დიალექტისათვის ნიშანდობლივია აგრეთვე ნაზალიზებული-უძლავთიანი ნმოვან-ფონემები, რომლებიც ინარჩუნებენ შესაბამისი პალატალიზებული კორელატის საარტიკულაციო თვისებებს ცხვირისმიერობის მიმატებით. ამ ნმოვნებს ფონემური ღირებულება აქვთ და ამოსავალ ოდენობად გულისხმობენ ნაზალურ ნმოვნებს, რომელთა ნაწილობრივი რედუქციით არიან წარმოქმნილი, მაგ.: რწყრნა (< \*რწყრნა < \*რწყრნა < \*ბოყრნა) „ოთხი“, ცწდ (< \*ცწდ < \*ნად)<sup>59</sup> „ტვინი“, პწ (< \*პწ < \*ნაც) „კარი“, დწრ (< \*დწრ < \*ნა-ჩო, შდრ. საკ. ლიდ. ნოცუ „id.“) „ფურთხი“, დწშშო (< \*დწშშო < \*ნაშშო, შდრ. საკ. ლიდ. ნიშიჟ „წვრილი“) „მოკლე“, „დაბალი“ და სხვ.

ყურადღებას იპყრობს გრძელი უძლავთიანი სახეობები, რომელთა უძლავთიზაციის პროცესს გვიან უნდა

<sup>59</sup> იხ. [ბურჭულაძე 1995 : 154].

ჰქონდა ადგილი, ვინაიდან ფონემებად ჯერაც არ არიან ბოლომდე ჩამოყალიბებული და ფონოლოგიური პოზიცი-  
 ისდა მიხედვით რყევას განიცდიან. ხმოვანთა ეს სახესხვაობებიც ამა თუ იმ ხმოვნის საკომპენსაციო რელექციით  
 არიან მიღებული, მაგ.: ბოლბოკო (<ბოლბოკო>) „შეიჭმუნენ“, დოშ (<დოშო>) „მსუქანი“... ხშირად ამ-  
 გვარი ხმოვანთსიგრძე შეპირობებული ჩანს ექსპრესიულობით, რაც ხმაბადვით ლექსიკაში მჟღავნდება, მაგ.: ბუპ  
 „ხარის ყვირილი“, გუშ-გუშ „ქათმების გასარეკი ხმიანობა“, კოპო-დ-ლო „ჭიხვინი“ და მისთ.

სპორადულად გვხვდება გრძელი ნახალიზებულ-პალატალიზებული ხმოვნებიც, რომელთა გენეზისი დაახ-  
 ლოებით შემოგანხილულ რთულ ხმოვანთა ანალოგიურია, მაგ.: მწ (<მწო < მანო < მარო>) „ცხვირი“, „გორა“,  
 ხწ (<ხწო < ხრო>) „სკა“.

შემოწამოვლენილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბეჟიტურში თავჩენილი პალატალიზაციის მოვლენა რელი-  
 ეფურად განსხვავდება საკუთრივ დილოურისაგან – პირველში გაცილებით ძველ მოვლენასთან გვაქვს საქმე, მე-  
 ორეში – შედარებით ახალთან. მასთან, ამ ენათა პალატალიზაციის პროცესს არც ერთმანეთთან უნდა ჰქონდა რა-  
 იმე კავშირი და არც სხვა ენებთან – პალატალური უძლუტე შინაგანი განვითარების შედეგია და ინტერფერენ-  
 ციული პროცესები გამოსარიცხია. ბეჟიტურში რომ უფრო ადრე უჩენია თავი პალატალიზაციის ტენდენციას,  
 ამას ეჭვმიუტანელს ხდის მისი დადასტურება ყველა საუძლუტე ხმოვანთან ძირეული თუ ნასესხები ლექსიკის  
 მთელ სისტემაში. მიუხედავად ამისა, იგი ბეჟიტური ენის საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის ბაზაზე არის წარმო-  
 ქმნილი და არათუ დილოური ფუძეების, არამედ ბეჟიტური ენის დიალექტთა ერთიანობის დონემდეც კი ვერ დაიყ-  
 ვანება.

**2.6.3. გრძელი ხმოვნები.** ხმოვანთა გრძელი კორელატები გამოიყოფა ანდიურ ენათა ერთ წყებასა (ანდ., ჭამ.,  
 ტინდ., ბავ., ახვ.) და დილოურ ენებში. გრძელი ხმოვნები წარმოქმნილია ორი ნებისმიერი ხმოვნის შერწყმით,  
 რაც ჰიატუსის ერთგვარ დაძლევადა შეიძლება მივიჩნიოთ. საკვლევ ენათა ფონოტაქტიკის მიხედვით, ორი ხმოვ-  
 ნის მიჯრით არსებობა, რომელიც მიიღება ინტერვოკალური თანხმოვნის სინკოპირებით, არ არის  
 დამახასიათებელი. სწორედ ამიტომ ერთმანეთის მიმყოლ ხმოვანთა სუპერაცია ხდება მათი შერწყმითა და ხმოვ-  
 ნის დაგრძელებით, რაც შემოსხნებულ ენებში ფართოდ არის გავრცელებული. სახელდობრ, ანდიური ენის  
 თქმებში ეს პროცესი არათანაბრად არის ფენომოკიდებული. იგი უფრო ხელშესახებია რიკანის თქმაში [ცერცვა-  
 ძე 1965 : 11-12], მაგ.: ლ'ი < \*ლ'ი < \*ლ'იბი (შდრ. დად. ლ'იბი „id.“) „გადახტა“, ჟი < \*ჟი < \*ჟიპი (შდრ.  
 ანდ. იპი „id.“) „გააკეთა“ და სხვ.

ანალოგიურ ვითარებას ვკოვებთ ტინდიურში (ლ'ურ < \*ლ'ურ < \*ლ'ურ „ხო“...), ჭამალურსა (ბირა  
 < \*ბირა < \*ბირა „იცის“...) და ახვასურ (ჰლან. ტორ < \*ტორ < ტობორ, შდრ. წეგ. ტობორ „ტბა“) ენებში [გუ-  
 დავა 1953 : 331; 1971 : 21; მაჰომედბეკოვა 1955 : 292-293; 1967 : 22].

ხშირად შესაძლებელი ხდება ხმოვანთა შერწყმისა და, შესაბამისად, მათი დაგრძელებისათვის თვალის მი-  
 დევნება. ხმოვანზე დასრულებული ფუძეები -V, -CV, -VCV მოდელის ოდენხმოვნის ან გახმოვნებული აფიქ-  
 სების დართვისას შედეგად გრძელ ხმოვანს გვაძლევენ: ა+ა>ა, ი+ი>ი..., ე+ა>ა, ა+ე>ე, ა+ი>ე > |ე,  
 ო+ა>ა, ო+ე>ე, ო+ი>ე > |ე, ე+ი>ე, ე+ა>ე.

ამგვარ შემთხვევაში საკითხავია, მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი გრძელი ხმოვანი ფუძეს უნდა განე-

კუთვნოს თუ აფიქსს. დ. იმნაიშვილი ამ ხმოვანს ჩვეულებრივ აფიქსისეულად მიიჩნევს [1963 : 23, 53], ხოლო ტ. გუდავა, როგორც ჩანს, ფუძეს მიაკუთვნებს [გუდავა 1971 : 22, 140], მაგ.: საკ. ლიდ. ბოწ-ი „მგელი“ – ერგ. ბოწ-ჲ (<\*ბოწი+ა), ოკო „ლურსმანი“ – ერგ. ოკ-ჲ (<\*ოკო+ა)...; ჭამ. ვჟე-ბ-ო (<\*ვჟა+იბო) „დაწერა რა“, კჟე-ბ-ო (<\*კჟა+იბო) „მოკლა რა“...

ჩვენი დაკვირვებით, დილოურ ენებში გრძელი ხმოვნების წარმომავლობა ძირითადად კომბინაციური ცვლილების გზას გულისხმობს,<sup>60</sup> თუმცა ამ კუთხით ბეჟიტური ენა მეტ სირთულეს ავლენს. ბეჟ. ენაში გამჭვირვალე გენეზისის ლექსემებთან (დრ-ს <დრჟ-ს „აკეთებს“, ნიყ < ნიყადო „მწარე“...) ერთად თავს იჩენს ძნელად ასახსნელი ფორმებიც, მაგ.: სრ<sup>6</sup> (შდრ. საკ. ლიდ. შეტურ „id.“) „ირგვლივ“, ნა? (შდრ. ჰინ. ნუ? „id.“) „სად?“ და მისთ.

ირკვევა, რომ გრძელი ხმოვნებიც ფუძეენისეული არ უნდა იყოს. ხმოვანთა გრძელი კორელატები ცალკეულ ენებში შინაგანი განვითარებით, დამოუკიდებლად არის წარმოქმნილი. ამის უტყუარ არგუმენტად ივარგებდა თუნდაც მათი განაწილება – ისინი მეტწილად მორფემათა შესაყარზე დაჩნდებიან და ამა თუ იმ ენის სხვადასხვა გრამატიკულ ფორმებში არიან დადასტურებული.

საკ. ლიდ. ენაში I პირის ნაცვალსახელი მიც. ბრ.-ში გრძელ ხმოვანს გვიჩვენებს, რომელიც ი-სა და ა-ს შე-რწყმის შედეგია: დწრ, ღწრ, ღწრ (დიალ. ვარ.) <\*ღიარ (შდრ. სახ., მოთხ. დი, აგრეთვე საკ. დიალ. დირ) „მე“ (მიც.).

კითხვით ნაცვალსახელთა აუსლაუტში ხშირად შეიმჩნევა ხმოვნის სიგრძე, რაც კითხვით ნაწილს უნდა მიეწეროს, მაგ.: სახ. შები „ვინ“ – ერგ. ლწუ <\*ლწუ+ა...

საკ. დილოურში აწმყო ზოგადის ფუძისეული ხმოვნის სიგრძე გამოწვეულია -ა- ინფიქსისა და ფუძისეული ხმოვნის შერწყმით [იმნაიშვილი 1956 : 243-246].

ჰინუხურ ენაში, საკ. დილოურის ანალოგიურად, გრძელი ხმოვნები წესისამებრ ორი ხმოვნის შერწყმის შედეგს წარმოადგენს, მაგ.: ბჟეჟღ (<\*ბჟე-ჟიჟ <\*ბჟეჟიჟიჟ) „ლიდი“, ნესჴ (<\*ნესი+ა, შდრ. საკ. ლიდ. ნეში-რუ) „ლამით“, გჴჴ (<\*გაჴ-ა) „დალევა“ და მრ. სხვ.

ე. წ. ირაციონალური გ-სა და ა-ს გენეზისი, ე. ლომთაძის გასაზიარებელი მოსაზრებით, ი და ა ხმოვანთა ნაწილობრივ რედუქციას გულისხმობს, რაც ინტენსიური დინამიკური მახვილის ზემოქმედებას მიეწერება [ლომთაძე 1984 : 112-116; 1994 : 37, 61], მაგ.: ი>გ: ჰუნზ. რ-გხალუ (<\*რ-იხალუ, შდრ. ხაშ., ტლად. რ-იხალო) „გრძელი“, ჰუნზ. მგსა-რ (<\*ნისა-რ, შდრ. ხაშ., ტლად. ნისო-რო) „თქვა“; ა>ჴ : ჰუნზ. ბჴლუ (<\*ბადო, შდრ. ბეჟ. ჰოლო) „ეს“ (II, III კლ.), ჟჴდჴ (<\*ჟადა, შდრ. ბეჟ. ჟოლო <\*ჟადა) „დე“, „წვიმა“...

ანალოგიურად უნდა აიხსნას ამოსავალი ი-ს წარმომავლობა ხვარ. ენის ინხ. დიალექტში, რომელშიც მას ამგვარი ტრანსფორმაცია უნდა განეცად: ი>გ>უ [ლომთაძე 1985 : 181], მაგ.: თულ'ა < თულ'ა < თითლა „მიცემა“, ქუბუ < ქგუბუ < ქიბუ (შდრ. ჰინ. ქებუ „id.“) „ტყვია“ და მისთ.

მამასადამე, ანდიურ-დილოურ ენებში დადასტურებული რთული ვოკალური სისტემა მეორეულია. მარტი-

<sup>60</sup> არ არის გამოსარიცხი აგრეთვე ექსპრესიულობის საფუძველზე ხმოვნის დაგრძელება, რასაც თან სდევს სიტყვის ექსპრესიულობის გაძლიერება, მაგრამ ამგვარი შემთხვევები მეტად მცირეა, მაგ.: ლიდ. ჰა<sup>6</sup>, შეჟ რჴჴ, შეჟ რჴს ლი?! „ოხ, რა ვქნა, რა მეშველება მე?!“ [იმნაიშვილი 1963 : 290] (იხ. 3.3).



ვი სუთეულის (ა, ე, ი, ო, უ) გარდა,<sup>61</sup> ყველა რთული ხმოვანფონემა გვიანდელი წარმომავლობისაა, რაც არსებული მონაცემების საფუძველზე საკმაოდ დამაჯერებლად მტკიცდება. ხმოვნურ სისტემაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აშკარად მეორეული წარმომავლობის ფონემებიდანაც კი ზოგი შედარებით ადრეული წარმონაქმნია და ძირეულ ლექსიკაში მყარად ფენმოკიდებული, ზოგი მათგანი კი ამჟამადაც რყევას განიცდის და ხანდახან საეჭვოდაც გამოიყურება მათი ფონემურობა.

**2. 6. 4. დიფთონგიზაცია.** ხუნძურ-ანლიურ-დილოურ ენათა ხმოვნების კომბინატორიკიდან გამომდინარე, ერთმანეთის მიჯრით, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, ორი ხმოვნის არსებობა ნიშანდობლივი არ არის, რაც შედეგად ერთ-ერთი ხმოვნის (წესისამებრ, ვიწრო ხმოვნების) დასუსტების გზით (არტიკულაციის უმოკლესი გზის წესის რეალიზაციით) ვიღებთ დიფთონგებს. დიფთონგთა მქონეობა, მეტ-ნაკლები სხვაობით, დამახასიათებელია ამ ენათა ფონეტიკური სტრუქტურისათვის. ხელშესახებად დასტურდება როგორც აღმავალი (აა, აე, აი...; აჟ, აჟე, აჟი...), ისე დამავალი (აა, აე, აი...; აჟ, აჟე, აჟი...) დიფთონგები, რომლებიც მეტწილად ერთგვაროვან ცვლილებებს განიცდიან.

ჩვენი დაკვირვებით, უნდა გამოიყოს დიფთონგთა ორი ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთისაგან ქრონოლოგიური თვალსაზრისით განსხვავდებიან: ა) ისტორიული და ბ) პოზიციური.

ა) ისტორიული დიფთონგიზაცია ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო კლასის ექსპონენტებისა და მათი მეზობელი ხმოვნებისათვის, რომელთა კოარტიკულაციის საფუძველზე წარმოიქმნებოდა, როგორც აღმავალი (I კლ. აჟ+გ-, II კლ. ა+გ-), ისე დამავალი (I კლ. -გ+აჟ, II კლ. -გ+ა) ტიპის დიფთონგები. ამ რიგის დიფთონგთა გამარტივებით ხუნძურის სამხრულ დიალექტებში ზოგჯერ კლასის ექსპონენტთა მოშლაც მომხდარა [მიქაილოვი 1958 : 141; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 36], მაგ.: I კლ. ჰიტინა-აჟ > ჰიტინა, II კლ. ჰიტინა-აა > ჰიტინა „პატარა“; I კლ. მაჭარულ-აჟ > მაჭარულა, II კლ. მაჭარულ-აა > მაჭარულა „ხუნძი“ (ხედმიწ. „მთიელი“) და სხვ. მისთ.

ანალოგიური პროცესი ისტორიულად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო დილოურ ენათა არა ოდენ ბოლოკიდურად, არამედ თავკიდურადაც, მაგ.: ხუნძ. \*აჟ-ცაი (I კლ.), \*აა-ცაი (II კლ.) ~ საკ. დიდ. ე-სიჟ (I, II კლ.) < \*აჟე-სიჟ (I კლ.), \*აე-სიე (II კლ.) „ძმა“ (I კლ.), „და“ (II კლ.); ხუნძ. \*აჟ-სა (I კლ.), აა-სა (II კლ.) ~ საკ. დიდ. უ-ჟი < \*ო-ჟი < \*აჟ-ჟი „ვაჟიშვილი“ (I კლ.), \*აა-ჟი „ქალიშვილი“ (II კლ.) და ა. შ.

დამავალ დიფთონგებში, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 36-37], ჰიდურსა და ყარახულში რეგრესული ასიმილაციის შემდეგ ჩანს მომხდარი მონოფთონგიზაცია, მაგ.: ბერცინაა > ბერცინეა > ბერცინე<sup>62</sup> „ლამაზი“, ყოროლაა > ყოროლეა > ყოროლე „ქერივი“...

საპირისპირო პროცესი შენიშნულია საკ. დილოურ ენაში, ამიტომ მისი დიაქრონიული ინტერპრეტაცია არ ემთხვევა ზემოწარმოვლილს [იმნაიშვილი 1963: 30], მაგ.: ვა~ > ვა > ვე „კურდღელი“, ღაა > ღა > ლე „რძე“...

ჭამ. ენაში ა+ი>აი>ჲ, მაგ.: ხუმტ. ვაჟ-ი > ვაჟა > თლონდ. ვაჲ „დაწერა“, ხუმტ. წაა-ი > წაა >

<sup>61</sup> მარტივი ხმოვნებიდანაც, როგორც გაირკვა, ო და უ მეორეული წარმომავლობისა უნდა იყოს.

<sup>62</sup> ამგვარი პროცესები ქართველურ ენათა სათანადო პროცესების ანალოგიურია [კახაძე 1953 : 184-196; თოფურია 1979 : 173-183].

თლონდ. წაჲ „ღალია“. სხვა რიგის მაგალითებშიც ანალოგიური პროცესი უნდა ვივარაუდოთ: ვა-ილ > ვაღლ > ვჲლ „მოსვლამღ“ [შდრ. გუდავა 1971 : 22].

ზემომოყვანილი პროცესი სპორადულად ანდიური ენის ზოგი თქმის (ღალ., მუნ.) აღმავალ დიფთონგსაც ახასიათებს: ეჲში < დაში (შდრ. ხუნდ. დას „id.“) „ქალიშვილი“, ეჲცჲი < დაცჲი (შდრ. ხუნდ. დაცა „id.“) „ღა“ და სხვ.

ხუნძურ ენაში უმახვილო მეორეული ო (<-აჲ) და ე (<-აჲ) ხმოვნები შეიძლება უფრო დავიწროვდნენ: ო>უ, ე>ი [მიქაილოვი 1958 : 141].

ხუნძურ სახელთა აუსლაუტისთვის დამახასიათებელი აჲ>ოჲ>ო, იჲ>უჲ>უ ისტორიული პროცესები ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო ანდიურ ენათათვისაც [გუდავა 1962 : 21; ცერცვაძე 1965 : 24], მაგ.: ბოთლ. ჟჲშთო (<\*ჲშთ-აჲ) „გამვებული“, კეღლ’ო (<კეღლ’-აჲ) „მეორე“ და მისთ.

დილოურ ენებს ჲ ცოცხალი კლას-ნიშნის შემცველი დიფთონგები, მართალია, ამჟამად არ მოეპოვება, თუმცა ისტორიულად მათი არსებობის დაშვება საფუძველს მოკლებული არ არის [ლომთაძე 1993 : 196]. ოღინ-ღელი კლასის ექსპონენტები რელიქტურად არის შემონახული ამ ენებში [ზვიადაური 1990 : 18], მაგ.: საკ. დიდ. ცეჲ’ი-ჲ „მჟავე“, ავი-ჲ (ავი-ჲ) „ღეღალი“, ობი-ჲ „მამა“...; ჰინ. როჲუ <\*როჲი-ჲ (შდრ. საკ. დიდ. როჲი-ჲ „id.“) „ცივი“ და სხვ.

ანდიური ენის სიტყვათა ანლაუტში დიფთონგთა ცვლა შემდეგი კანონზომიერებით არის წარმოდგენილი [ცერცვაძე 1965 : 24]: ჲი>{ჲ}უ : ჲილიღო > {ჲ}ულიღუ (შდრ. ბილიღუ „id.“) „ღომას“; ჲე>ო : ჲეთა > {ჲ}ოთა (შდრ. ბეთა „id.“) „ღატოვა“...

ანალოგიურ სურათს ვხედავთ ახვაზურ ენაში [მაპომეღბეკოვა 1967 : 18], რომელშიც კლასის ნიშნების ზეგავლენით მიმყოფი ხმოვნების ასიმილაცია ხდება, მაგ.: I კლ. ჲუ-კარი „იყო“ – II კლ. დი-კჲარი, III კლ. ბი-კჲარი; I კლ. ჲო-ყ’ურულა „მოსვლა“ – II კლ. დე-ყ’ურულ’ა, III კლ. ბე-ყ’ურულ’ა და მრ. სხვ.

ბ) პოზიციური დიფთონგიზაცია განიხილება, როგორც კომბინაციური ფონეტიკური პროცესის შედეგად ორი ხმოვნის ერთმანეთის მიჯრით მოხვედრისას ერთ-ერთი მათგანის ნაწილობრივი რელუქცია. ეს პროცესი ხელშესახებად არის გამოვლენილი ფუძისეული ლაბიალიზებული კომპლექსის მეორე კომპონენტისა (ჲ) და მომდევნო ხმოვნის ურთიერთმოქმედების შედეგად. ამგვარ ვითარებაში ჲ ჩვეულებრივ მომდევნო ხმოვანთან ქმნის დიფთონგს [იმნაიშვილი 1963 : 15], რაც დამარცვლისასაც მკაფიოდ იგრძნობა [არლოტელი 1996 : 296].<sup>63</sup>

პოზიციური დიფთონგიზაცია და მონოფთონგიზაცია (ღელიფთონგიზაცია), რომლებიც ხშირად სხვა ფონეტიკურ პროცესებთან არიან გადაჯაჭვულნი, სისტემური სახით იჩენენ თავს ზოგ საკვლევ ენაში, მაგ.: ჲა>ჲე>ო: კარ. წაჲ (<წაჲად) > წაჲედ (ანჩ.) > წაოღ (ტოქ.) „ვარსკვლავი“; ჲა>ო: ახვ. იჩო (<იჩაჲ) „ცხენი“, ქოტა (<ქაჲატა<ქაჲარტა) „ჩაქუჩი“; ეღ>ჲ: ჭამ. წაჲერი (ჰიპ.) > წაჲედ (ჰიდ.) > წაჲ (ჭამ.) „სახელი“; ჲი>უ: ანდ. ბიკულუ<ბიკჲიღუ „ყოფნა“; ბოთლ. ბეხჲუ > ბეხჲი; ჭამ. ბაკუ<sup>6</sup> < ბაკჲი<sup>6</sup> „კერავდა“...; საკ. დიდ. ჲეკუ <\*ჲეკჲი „კაცი“, აღ’ურ <\*აღ’ჲირ „წისქვილი“...

<sup>63</sup> ხუნძურისთვის აუსლაუტში ც+ჲ არაბუნებრივი კომპლექსია, თუმცა ისტორიულად მის არსებობაზე მიუთითებენ [გუდავა 1970 : 187]. უნდა დავძინოთ, რომ ამჟამად ც+ჲ აუსლაუტში, ბავკალურის გარდა, არსად დასტურდება, თუმცა ადრეულ საფეხურზე მისი არსებობა საკვებით დასაშვებია ისტორიულად დადასტურებულ ენებში.

დიფთონგთა პოზიციურად წარმოქმნის ერთი გზა არის ინტერვოკალური თანხმოვნის რედუქცია, მაგ.: მუნ. ლ'უ~ (<\*ლ'უი <ლ'უდი, შდრ. ანდ. ლ'უდი „id.“) “შეშა”; ბეჟ. ქუქო (<\*ქუ-ო <\*ქუ-ო-ო <ქუ-რ-ო, შდრ. ჰუნზ. ქურო „id.“) „ხევი“ და მრ. სხვ.

დიფთონგთა გარდა, პროდუქტიულია ტრიფთონგთა წარმოქმნა, რაც ინტერვოკალურ პოზიციასში ე. წ. ნა-ხეკარხმოვნების ჩართვით მიიღება [ლომთაძე 1993 : 193-197], მაგ.: ხუნძ. ქიჭე? > ქე? „საით?“, ჟანიჭე > ჟანე „შიგნით“, კუდიდაბ > კუდაბ „დიდი“...; ბეჟ. ქოროჭა „ძროხები“, ქუქო „ხევი“ და მრ. სხვ.

ამრიგად, ხდება დიფთონგთა წარმოქმნაც და მათი მოშლაც, რაც შეპირობებული ჩანს სხვადასხვაგვარი ფონეტიკური პროცესების ურთიერთზემოქმედებით.

### 3. ფონეტიკური პროცესები ლაკურ-დარგულ ენათა ვოკალურ სისტემაში

**1. დარგული ენის ვოკალიზმი.** სინქრონიული თვალსაზრისით, დარგულ სალიტერატურო ენაში გამოიყოფა ხუთი სადა ხმოვანი: ა, ე, ი, უ; არ მოგვეპოვება ო და, ჩვეულებრივ, დარგული განიხილება ხოლმე შედარებით სუსტად განვითარებული ვოკალიზმის მქონე ენად. ნახურ ენათაგან განსხვავებით, დარგულ ენაში ხმოვანთა სისტემა უფრო მარტივია [აბდულაევი 1954 : 38].

ფონემა ა ფართოდაა წარმოდგენილი ძირეულ ლექსიკაში და დასტურდება ნებისმიერ პოზიციასში, მაგ.: ათა „მამა“, ყაბ „ბალახი“, ფაალა „მატყელი“, ცაბ „ცა“, ხამხა „ტანი“, ქვაჩაე „ძუქნა“.

დარგული ენის ასუშურ დიალექტში უმახვილო ბოლოკიდური ა სახელებს ეკვეცებათ ხოლმე, მაგ.: ბურსა „ჩარდახი“, შდრ. ასუშ. ბურს; გალგა „ხე“, შდრ. ასუშ. გალგ; ღუბურა „მთა“, შდრ. ასუშ. ღუბურ; ვუბზარა „გლეხი“ შდრ. ასუშ. ვუბზარ [აბდულაევი 1954 : 40].

ფონემა ე რამდენადმე არასტაბილურობით ხასიათდება. დიალექტებში იგი ხშირად ი ხმოვნად ვიწროვდება:

კუბარ. ე	ურახ. ი
შე „სოფელი“	ში
ღეხა „ჯოხი“	ღირხა
ცაბე „ასკილი“	ზანზი
ცაე „მარილი“	ძი
უპე „გული“	ურკი

ე დავიწროებას განიცდის (ე>ი) თვითონ კუბარურშიც:

ხადაყ. ე	კუბარ. ი
მეჰ „რკინა“	მიხ
ბეკ „თავი“	ბიკ
ბეწ „ძგელი“	ბიწ
ღეჩ „სასმელი“	ღიჩ
ნეგ „რძე“	ნიგ
ბელჰვანა „დაკვლა“	ბილხვი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ შ. გაფრინდაშვილის ექსპერიმენტული გამოკვლევის თანახმად, ე ხმოვნის წარმო-  
თქმის სპექტრი სოფ. ქებას-მულეზის მკვიდრთა მეტყველებაში უახლოვდება ი ხმოვნის სპექტრს სუსტი კომ-  
პაქტურობის ნიშნით, ხოლო ხაიდაყელის წარმოთქმაში იგი ი ხმოვანთან შედარებით ბევრად უფრო ფართოა  
[გაფრინდაშვილი 1966 : 30-32].

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ რუსულიდან ნასესხებ სიტყვებშიც კი ე ხმოვანს კუბაჩურში ენაცვლება  
ხოლმე ი [მაჰომეტოვი 1963 : 39-40]. საილუსტრაციო მაგალითები:

რუსული	კუბაჩური
печать	ფითაჩ
тетрадь	თითრად
печь	ფიჩ
конфета	ქიმფით
семечки	სიმიშქა...

ფონემა ი ფართოდაა გავრცელებული დარგულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. წარმოდგენილია  
ძირეულ ლექსიკაში, მაგალითად: მიგ „ყინული“, ლიქა „ძვალი“, ვინჯე „თხილი“, დიგ „ხორცი“, მიწ „ნამგა-  
ლი“ და სხვ. ეს ფონემა კუბაჩურში შესატყვისად იძლევა ხოლმე ე ხმოვანს: შდრ.:

ურახული	კუბაჩური
ჰიმი „ნაღველი“	თიმე
მურჰი „ოქრო“	მუთა
ვარჰი „ნაბადი“	ვათე
რუძი „და“	დუსე
რურსი „ქალიშვილი“	ურცჰე
ძი „მარილი“	ცჰე და სხვ.

ი გვხვდება ნებისმიერ პოზიციაში, თუმცა ახუმურში ბოლოკიდური ი ჩვეულებრივ იკვეცება ხოლმე.  
შდრ., მაგალითად:

ურახული	ახუმური
ვუნწური „მხარი“	ვუნწარ
მივირი „მკერდი“	მივირ
ურცული „შეშა“	ურცულ და სხვ.

ფონემა უ დასტურდება ძირეულ ლექსიკაში. წარმოდგენილია ნებისმიერ პოზიციაში: ურჩი „ცხენები“,  
მურღა „მხედარი“, უნზა „კარი“, ჰუნი „გზა“, ურჰურ „აღვირი“, რურსი „ქალიშვილი“, თაუქუ, „ჩოჩორი“ და

სხვ.

სიტყვაწარმოებისა და სიტყვაგვარების დროს უმახვილო პოზიციაში უ ხმოვანი რელუცირდება, მაგალითად:

წუღვრან „ბალხარელი“ \*წუღვურ-ან, შდრ. წუღვურ „სოფელი წუღახარი“.

ბუღვრან „ბალხარელი“ \*ბუღვერ-ან, შდრ. ბუღვურ „სოფელი ბალხარი“.

უ-ს რელექციას აქ იწვევს -ან დერივატის მახვილიანი ხმოვანი ა.

წუღახარულ დიალექტში უ ასეთ პოზიციაშიც შემონახულია ხოლმე: წუღვურან, ბუღვურან და ა. შ.

უ ხმოვანი რელექციას განიცდის სიტყვაგვარების დროსაც, მაგალითად:

ხუნრი „ცოლები“ (მრ. რ.) ხუნულ „ცოლი“ (მხ. რ.) და სხვ.

ხმოვანი თ დარგუულს არ მოეძევა. ამის გამო ნასესხებ სიტყვებშიც ამ ხმოვანს ენაცვლება ხოლმე უ, შდრ.:

რუსული	კუბაჩური
закон	ზაქუნ
насос	ნასუს
кило	ქილუ და ა. შ.

თ ხმოვნის არარსებობა დარგუულში შენიშნა ჯერ კიდევ პ. უსლარმა. ამავე ფაქტს ადასტურებენ დარგუული ენის სხვა სპეციალისტებიც [უსლარი 1892 : 7; აბულაევი 1954 : 35; მაჰომეტოვი 1963 : 37; გაფრინდაშვილი 1966 : 36; აკიევი 1982 : 19...].

**2. სინჰარმონიზმი.** დარგუული ენა ვერ იგუებს ფუძეში თანხმოვანთა შეყრას, თუმცა ეს დასაშვები ხდება იმ შემთხვევაში, თუ თანხმოვანთკომპლექსის ერთ-ერთი კომპონენტი წინამავალი სონორია, მაგალითად: ბურთ „არაჟანი“, ნირლ „წვნიანი“, მურჭ „ჯოხი“, უნც „ხარი“, ჩინტ „მეჭეჭი“, ანვ „ბალი“, კანტ „წვეთი“ და სხვა. ფუძის აუსლაუტში თანხმოვანთა შეყრის თავიდან აცილება ხდება ხოლმე ბოლოკიდური ხმოვანი ელემენტის დართვით: დერნა „ჯოხი“ (შდრ. ლაკ. თარხ "id.")

ხმოვანი ელემენტის ჩართვით ხდება თანხმოვანთა შეყრის აცილება ნასესხებ სიტყვათა თავკიდურშიც [მაჰომეტოვი 1963 : 58]. მაგალითები კუბაჩურიდან:

რუსული	კუბაჩური
стакан	ისთიქან
спичка	ისფიშქა
школа	უშქულა
мундштук	მაშთუქ
стол	უსთულ
план	ფალან
книжка	ქინიშქა
грамм	გარამ
трактор	თარაქთურ

3. გრძელ ხმოვანთა საკითხისათვის. პ. უსლარი დარგუული ენის ურახულ დიალექტზე მუშაობისას მიუთითებდა, რომ ამ დიალექტში არსებობს გრძელი ხმოვნები [უსლარი 1892 : 7]. შემდგომ პერიოდში დარგუული გრძელი ხმოვნების საკითხს შეისწავლიდნენ შ. გაფრინდაშვილი, ა. მაჰომეტოვი, ს. აბლუაევი, ა.აკიევი...

შ. გაფრინდაშვილი ხმოვანთა სიგრძეს პოზიციურად შეპირობებულად მიიჩნევს და ფონემებად მათ არ თვლის [გაფრინდაშვილი 1966: 11]. ა. მაჰომეტოვი კი ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ კუბაურში ხმოვანთა სიგრძეს ფუნქციური დატვირთვა აქვს და სინქრონიული თვალსაზრისით დამოუკიდებელ ფონემებად მიიჩნევს მათ. ს. აბლუაევის აზრითაც, დარგუულის იმ დიალექტებში, სადაც გრძელი ხმოვნები მოიგვეპოვება, ისინი ფონემებს წარმოადგენენ.

ა. აკიევი აღნიშნავს, რომ დარგუული ენის ასუშურ დიალექტში, რომელიც სალიტერატურო ენას უდევს საფუძვლად, გრძელი ხმოვნები არ მოიპოვება და მათი წარმოქმნის ტენდენცია არ შეინიშნება იმ ფონეტიკურ პირობებშიც კი, რომლებშიც გრძელ ხმოვანთა მქონე სხვა დიალექტები არიან [აკიევი 1982 : 30].

შ. გაფრინდაშვილის მიერ ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ მოვლენა მეორეულია იმ დიალექტებში, რომლებშიც ხმოვანთა სიგრძემ ესა თუ ის განვითარება მიიღო. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ისტორიულად გრძელი ხმოვნები არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი არც დარგუულისათვის და არც ლაკურიისათვის [გაფრინდაშვილი 1966 : 30].

ჯერ კიდევ 1892 წელს პ. უსლარი აღნიშნავდა, რომ ორი ერთნაირი ხმოვნის შერწყმით დარგუულში გრძელი ხმოვანი წარმოიქმნებაო, მაგალითად: ადა + აგული ადაგული „უმაბოდ“ [უსლარი 1892 : 7].

შ. გაფრინდაშვილისა და ა. მაჰომეტოვის გამოკვლევებით დადგენილ იქნა გრძელ ხმოვანთა ჩამოყალიბების გზები დარგუულის დიალექტებში [გაფრინდაშვილი 1966 : 175-189; მაჰომეტოვი 1966 : 37-39]. კერძოდ, გამოვლენილია შემდეგი შემთხვევები:

ა) ერთნაირ ხმოვანთა შერწყმა: ა + ა ა, ი + ი ი, უ + უ უ, ე + ე ე (წუღასარულ დიალექტში);

ბ) სხვადასხვა ხმოვანთა შერწყმა: ი + ა ა, ე + უ უ, ე + ა ა, უდ უ + ა ა, უდ უ + ე ე, დ იდ ი + ა ა (კუბაურში);

გ) ხმოვანთა შერწყმა რ, ჰ თანხმოვნებთან და ბგერათკომპლექსში რჰ-ს ჩავარდნის შედეგად (კუბაური-სათვის დამახასიათებელი მოვლენა).

მაგალითები:

- ა + ა ა: აბა-აქავალ (კუბარ.) „უდელოდ“ აბაქვალ;
- ი + ი ი: ჩი-ვიგუ (წუღას.) „ღაინასა“ ჩიგუ;
- უ + უ უ: ბაკუ-უკად (კუბარ.) „ამბობს, რომ იცის“ ბაკუკად;
- ე + ე ე: ჰანნეცე (წუღას.) „ახლა“ ჰანნე;
- ი + ა ა: ჩი-ახიდ (კუბარ.) „ჩაცმა“ ჩახიდ;
- ე + უ უ: ჰელე-უვიდ (კუბარ.) „დაღვენება“ ჰელუვიდ;

ე + ა ზ: ჩეჰაბზიდ (კუბაჩი) ჩე-აბზიდ „აძვრომა“ ჩაბზიდ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ დარგუელის დიალექტებში ხმოვანთა სიგრძემ უკვე ფუნქციური დატვირთვა შეიძინა. კერძოდ, ზმნურ ფორმებში, სადაც სახეზეა ხმოვანთა შერწყმის პროცესი I გრამატიკული კლასის ექსპონენტის დაკარგვის შედეგად, მხოლოდ ხმოვნის სიგრძელა აჩვენებს მის ფუნქციას: ჩიგუ ცა ადიმ (ხაიდაყ.) „დაინახა ერთი კაცი“ \*ჩი-ვ-იგუ ცა ადიმ [აკიევი 1982 : 57].

დარგუელის დიალექტებში ხმოვანთა სიგრძემ ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციის შესრულებაც იკისრა. ასეთ შემთხვევაში იგი ხორციელდება **ნნ** და **ლლ** კომპლექსთა გამარტივებით. ეს კომპლექსები, თავის მხრივ, მიიღება ფუძისეული თანხმოვნის შერწყმით ბრუნვის ფორმანტის თანხმოვანთან: ნ<sup>ნ</sup>უნულ „ცოლი“ + ლა (ნათ. ბრუნვის ფორმანტი) ნ<sup>ნ</sup>უნულ-ლა ნ<sup>ნ</sup>უნუა ნ<sup>ნ</sup>უნა „ცოლის“; ტალ „ბოძი“ + ლა (ნათ. ბრ. ფორმანტი) ტალ-ლა – ტაა ტა „ბოძის“ და სხვ. [აკიევი 1982 : 57].

ა. მაჰომეტოვი კუბაჩურში ადასტურებს გრძელ ხმოვნებს დისტინქციური ფუნქციით, მაგალითად: ბაყიდ „გაგონება“ – ბაყიდ „გაკეთება“, ჩალ „სალი“ – ჩალ „ლაძარი“, სალ (ერგ. ბრ.) „ერთმა“ – სალ „სხვა“, ბისიდ „გაყიდვა“ – ბისიდ „დაბანვა“, ბუყიდ „წაღება“ – ბუყიდ „ამოთხრა“ [მაჰომეტოვი 1963 : 37-39].

შ. გაფრინდაშვილისა და ა. მაჰომეტოვის გამოკვლევებიდან ჩანს, რომ დარგუელის ფონეტიკური სისტემისათვის ისტორიულად გრძელი ხმოვნები არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. როგორც ირკვევა, გრძელ ხმოვანთა ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა ზოგი კომბინატორული პროცესი, თანაც ბევრად რთული, ვიდრე ორი ხმოვნის ან ხმოვნისა და თანხმოვნის მარტივი შერწყმა.

**4. ხმოვანთა ფარინგალიზაცია.** პ. უსლარი ეხებოდა რა ფარინგალიზაციის მოვლენას დარგუელ ენაში, მას განიხილავდა ერთადერთი **ჟ** ხმოვნის მაგალითზე. ფარინგალიზებულ **ჟ**-ს იგი ახასიათებდა როგორც რაღაც შუალედურს, გარდამავალს **ა** და **ე** ხმოვნებს შორის და მიიჩნევდა ინგლისური **æ**-ს ანალოგიურ ბევრად სიტყვებში and „და“ და fat „ქონი“, „ქონიანი“ [უსლარი 1992 : 6].

პ. უსლარის ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ა. მაჰომეტოვი აღნიშნავს, რომ ფარინგალიზაციის დაყვანა მხოლოდ **ჟ** ხმოვანზე უზუსტობა იქნებოდა, რამდენადაც მრავლობითის წარმოების დროს **ჟ** ხმოვანი იკვეცება, თუმცა ფარინგალიზაციის ტონი მაინც ნარჩუნდება: დილა „ყორე“, მრ. რ. დილ<sup>ნე</sup>. მკვლევარი წერს: „ფარინგალიზაციის მიზეზი მარტოოდენ **ჟ** ხმოვანი რომ ყოფილიყო, მაშინ მრავლობითის დილ<sup>ნე</sup> ფორმაშიც არ უნდა შენახულიყო ფარინგალიზებული ბგერისათვის დამახასიათებელი ტონი. მრავლობითის ფორმაში ეს ტონი იმიტომ ნარჩუნდება, რომ აქ გვაქვს ფარინგალური თანხმოვანი **ღ**, რომლის გავლენასაც განიცდის თანმხლები ხმოვანი“ [მაჰომეტოვი 1963 : 47-48].

აღსანიშნავია, რომ ახუშურსა და ურახულ დიალექტებში ხმოვანთა ფარინგალიზაციის პროცესი ძლიერ შესუსტებულია და, როგორც წესი, მისი გავლენა ოდენ **ა** ხმოვანზე ვრცელდება.

როცა ფარინგალიზაცია შესუსტებულია იგი უმლაუტის ტონალობას იძენს. შ. გაფრინდაშვილის თქმით: „ურახული ტიპის დიალექტებსა და თქმებში ფარინგალიზებული ხმოვნები აკუსტიკურად უმლაუტი ზებულ ხმოვანთა შთაბეჭდილებას ტოვებენ“ [გაფრინდაშვილი 1966 : 196].

ხმოვანთა ფარინგალიზაციის ტენდენცია ძლიერად ვლინდება წუდახარულში (**ა** **ჟ** **უ** **ჟ**), ურკარახულსა და კუბაჩურში (**ა** **ჟ** **უ** **ჟ**, **ი** **ფ**). ფარინგალიზაციას ექვემდებარება რო-

გორც მოკლე, ისე გრძელი ხმოვნები.

ა. აკიევის აზრით, თუ მხედველობაში მივიღებთ ფუნქციურ დატვირთვას იმ ხმოვნებისა, რომლებმაც ფარინგალიზაციის პროცესი განიცადეს, ეს გარკვეულ საფუძველს იძლევა, რომ მათ დამოუკიდებელ ხმოვანთა რიგში ადგილი მიეკუთვნოთ [აკიევი 1982 : 63; 1977 : 5, 6, 26].

შ. გაფრინდაშვილის მიერ ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ფარინგალიზებული თანხმოვნის გავლენას ფუძეში უპირველესად განიცდიან უახლესი ფუძისეული ხმოვნები. ფარინგალიზებული თანხმოვნები გავლენას ვერ ახდენენ სიტყვაწარმოებით მორფემებსა და სხვა მორფოლოგიურ ელემენტებზე, თუკი ისინი თავად არ შეიცავენ ფარინგალიზებულ ტონს, ანდა თუ მათ არ გააჩნიათ უშუალო კონტაქტი ძირის ან ფუძის ფარინგალურ თანხმოვანთან [გაფრინდაშვილი 1966 : 194].

ა) **ფარინგალიზებული ჟ.** ღარგუული ენის დიალექტებსა და თქმებში ხმოვანი ა ფარინგალიზაციას განიცდის ფარინგალურ თანხმოვნებთან (**ხ, ჰ, ვ, ჯ, ყ**) მეზობლობაში, მაგალითად: ნაბ „საფლავი“, აჰ „ჰარგი“, თაჰუ „სიცივე“, აჰალ „სტუმარი“ და სხვ. კუბაურში: ვაბ „კისერი“ ნაჰ „ხელი“, სირჰვა „ბებერა“, დიჰა „ჭრილობა“, ყაყიდ „მორწყვა“, ყაყა „კურკა“, ახუშური: ვარ „მსხალი“, ვაბჰა „სეტყვა“, ვანტა „კეფა“, ვაბჰა „ცხვირი“, ვაბჰა „კუჭი“, ვაბა „ყვავი“, ვაბშუ „მარწუხი“, ყაშ „ფეხი“, ყალ „ძროხა“, მაყ „ფესვი“ და სხვა.

**ღ, ხ, ხა** თანხმოვანთა მეზობლობაში: ღაშა „მარწუხი“, დღა „ყორე“, ღარ „ციგა“, დღან „მარგალიტი“, წაბლ „სიბნელე“ (კუბარ.).

ა ხმოვანს დიალექტებში ფარინგალურ ტონს გარკვეულწილად სძენს **ც** თანხმოვანიც. მაგალითად: ბაყი ბყად ბად „სახე“ (ახუშ.), ბალი (წუღახ.) „ბალი“ ბაჭლი (ურახ.), მაყნა (წუღახ., კუბარ.) „მნიშვნელობა“ მაყნა (ურახ.), მაყ „კიკინი“, საყ „ზომა“ საჰა და სხვ. [გაფრინდაშვილი 1966 : 120; მაჰომეტოვი 1966 : 49-50].

ბ) **ფარინგალიზებული ი.** ხმოვანი ი შედარებით ნაკლებად ექვემდებარება ფარინგალიზაციას. მცირე რაოდენობით დასტურდება ამ პროცესის ამსახველი ლექსიკური მასალა, თუმცა უფრო სხვაგვარადაა ამ მხრივ ვითარება კუბაურში: ჰინა „ნაჭრილობევი“ შვანდლა „ბალიში“, ჰიტა „ბაყაყი“, ჰიკა „ქერქი“, დღან „მარგალიტი“, ჰაბაზიდი „ჩხუბი“, დინდი „შებმა“, ღარხაილა „ვახშამი“ და სხვ.

**ვ, ვა, ყ** თანხმოვნებთან მეზობლობაში: დიჰა „ჭრილობა“, ციჰდინ „სიხარული“, ბაჰიდ „ლაჭრა“, ვინა „ყვავი“, ვაბთა „აკიცი“, ვაბქე „ცინგლი“, ბაყიდ „კეთება“ და სხვ.

გ) **ფარინგალიზებული უ.** ხმოვანი უ ფარინგალიზდება ლარინგალური **ქ-ს** მეზობლობაში. შ. გაფრინდაშვილის ცნობით, ზმნის ძირში ლარინგალური **ქ-ს** არსებობა არაიშვიათად იწვევს მეზობელ ხმოვანთა ფარინგალიზაციას მთელს უღვლილებაში [გაფრინდაშვილი 1966 : 196]:

ბელჰუდრა „შეხსნა“ (I პირი)

ბელჰუდრი „შეხსნა“ (II პირი)

ბელჰუდ სად „შეხსნა“ (III პირი)

**ჭ** და **ჭ** ფარინგალურ თანხმოვნებთან **უ** ხმოვანი ყოველთვის ფარინგალიზებულია, მაგ.: კუბარ. ჰუბე „ჭრილობები“, ჰუბნწ „სიყრუე“, ღუჰუ „ნაშიერი“, ღუჰე „თოვლი“ და სხვ.

დ) **ფარინგალიზებული ე.** ღარგუულ ენაში ე-ს ფარინგალიზაცია, შეიძლება ითქვას, უიშვიათესი მოვლე-



ნა. კუბაჩურშიც კი, რომელიც ხმოვანთა ძლიერ განვითარებული ფარინგალიზაციით ხასიათდება, ე ხმოვნის ფარინგალიზაციის მხოლოდ სამად სამ შემთხვევას ადასტურებენ: დარხაე „საღამო“, თაბავე „შეხვედა“ და ლუჭვე „თოვლი“.

**5. გრძელი ფარინგალიზებული ხმოვნები.** ასეთი ხმოვნები არც თუ იხე ხშირია სიტყვებში. ისინი დამახასიათებელია უფრო კუბაჩურისათვის:

ჟ: ხაღლ „ბეგრი“, ღვან „კურდღელი“, ბუყან „ლაშაზი“, ხაჟ „ზღუდე“, ვაგან „ყივილი“, ბაყუნ „წავიდნენ“, ჰაჟსიდა „გაბრაზებული“, ღან „სართული“, სანაჟულ „მოვიდა“ და სხვა.

ფარინგალიზებულ გრძელ ფ-ს ადასტურებენ მხოლოდ ორ სიტყვაში: ჰაგხიდა „ჩხუბი“ და ვიბუგან „სოფ. ხარბუგის მცხოვრები“.

ჟ ხმოვანიც ძალზე იშვიათია: ლუფაჟე „ყურები“, ბუშუზიბ „სქელი“, ბუჟან „საწვავი“ [აკიევი 1982 : 72].

**6. ხმოვანთა შესატყვისობანი დარგუული ენის დიალექტებს შორის.** დარგუული ენის ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია აისახება მის დიალექტებს შორის ხმოვანთა შესატყვისობებში. ხმოვანთა შესატყვისობები მეტნაკლებად დაწვრილებითაა აღწერილი ს. აბდულაევის, შ. გაფრინდაშვილის, ა. მაჰმეტოვის, ა. აკიევის შრომებში. დაკვირვების საგანი უპირატესად გახდა შესატყვისობები ი და უ ხმოვნებსა და აგრეთვე ა და უ ხმოვნებს შორის. საილუსტრაციო მაგალითები:

ი || უ:

ზემო ხადაყ. ნითბი

წუდახ. ნუთბი „წარბები“

ქვემო ხადაყ. ნირღბი

ურახ. ნურღბი „ცრემლები“

ხადაყ. ირიგ

წუდახ. ურიგ „მარშან“

ა და უ ხმოვნებს შორის შესატყვისობა აბლაუტის სახით იჩენს თავს არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ახუმურ დიალექტში [აბდულაევი 1954 : 37-39; გაფრინდაშვილი 1966 : 173-175]:

ვალი „სახლი“

ვულ-რი „სახლები“

ბად „მთვარე“

ბუძ-რი „მთვარეები“ და სხვა.

სინქრონიული თვალსაზრისით, ეს მოვლენა არ წარმოადგენს ბგერათშესატყვისობის მაგალითს. როგორც აღნიშნავენ, იგი ისტორიულად კანონზომიერი ფონეტიკური პროცესის ნიადაგზე წარმოიშვა და ამჟამად გარდაიქმნა ფონეტიკურ მონაცვლეობად, რომელმაც დარგუული ენის ზმნურ ფორმებში ასპექტის გამოხატვისას ნაწილობრივ ფუნქციური დატვირთვაც შეიძინა [აკიევი 1977 : 88]:

ა || უ:

ბაჩაიდა (სრული) || ბუჩაიდა (უსრული) „პოვნა“; ბაღლიდა (სრული) || ბუღლიდა (უსრული) „ჭრა“;

ა || ი

ბაყიდა (სრული) || ბიყიდა (უსრული) „გაგონება“; ჩიბაყიდა (სრული) || ჩიბიყიდა (უსრული) „წველა“;

ი || უ:

ბიბჭიდა (სრული) || ბუბჭიდა (უსრული); ბიბხიდა (სრული) || ბუბხიდა (უსრული) „დანაწევრება“;

ჟ || უ:

ბეჭი (სრული) || ბუჭი (უსრული) „გაგდება“ და სხვ.

დარღუეული ენის დიალექტებს შორის ამჟამად დადგენილია ბგერათშესატყვისობათა შემდეგი სახეები:

1. ასუშ., კუბარ., წუდახარ., მეკეგ. ე ~ ურახ. ი:
- 2.

ბეწ	ბიწ „მგელი“
ბეკ	ბიკ „თავი“
ზე	ზი „მარილი“
შე	ში „სოფელი“
ავლე	ავლი „მაღლა“...

ე ~ ი ხმოვანთა შესატყვისობანი დასტურდება ხაიდაყურსა და კუბარურს შორისაც:

ხაიდაყ.	ნეგ	კუბარ.	ნიგ „რძე“
„	მეჭ	„	მის „რკინა“
„	ბაკეს	„	ბაკის „მოსვლა“
„	ვაკილე	„	ვაკილი „მოსვლა“ და სხვ.

2. კუბარ. ა ~ ურახ. უ:

კუბარ.	ცაბ	ურახ.	ძუბრი „ცა“
„	დვც	„	ღურაც    ღურად „კავი“
„	მვ	„	მურა „თივა“

(დვც, მვ სიტყვებში ა ხმოვნის სიგრძე გამოწვეულია რ თანხმოვნის ჩავარდნით)...

3. კუბარ. ი ურახ. ა:  
ჩიბტუ გათა „კატა“  
ჰილა ჭალა „უკან“  
ჰინტა ჭატა „ბაყაყი“...
4. კუბარ. ა ურახ. ი:  
ბაჰნა დიჰანა „საიდუმლო“  
ჩნლ ჩირალ „ლამპარი“...
5. კუბარ. უ ურახ. ა:  
ჰუნწა ჰუნწა „სიყრუე“  
მუჭურ მაჭურ „გიჟი“...
6. ხაიდაყ. ი ურახ. უ:  
ირჭამალ ურჭიმალ „ცხრა“  
რირსი რურსი „ქალიშვილი“

ღაჴნა რუჴნა „მონუცი ქალი“  
 ირიც ურიც „მარშან“...

იგივე შესატყვისობა არსებობს ხაიდაყურს და წუღახარულს, ყაიღაგურსა და ურახულს შორის და აგრეთვე ურახულსა და მეკეგურს შორის: იკვის – უკეს „ლაპარაკი“, ბირის – ბურეს „ყოფნა“, ვირას – ვურეს „შეძლება“ და სხვ.

**7. რედუქცია და კვეცა დარგუულში.** დარგუულის დიალექტებისათვის დამახასიათებელია ხმოვანთა მიღრეკილება ამოვარდნისა და დაკარგვისადმი უმახვილო პოზიციაში. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია არაერთი ფაქტი. ეს ვითარება განსაკუთრებით ახასიათებს ახუშურ დიალექტს, მაგ., ურქურ „ურემი“, შდრ. ურახ. ურქურა; ვუწარ „მხარი“, შდრ. ურახ. ვუწარი; მივირ „მკერდი“, შდრ. ურახ. მივირი და სხვ. [აბღულაევი 1954 : 40].

დარგუულში სახელებს ეკვეცებათ ბოლოკიდური ხმოვანი, როცა მათ დაერთვით მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ფორმანტები:

ვალი „სახლი“, მაგრამ ვულ-რი „სახლები“  
 ვაჴნარი „ლოქი“, მაგრამ ვაჴნურ-თი „ლოქები“...  
 ხმოვანთა ამოვარდნას ადგილი აქვს ბრუნვის ფორმათა წარმოების დროსაც:  
 სახ. წიკური „საცოლუ“, მაგრამ ერგ. წიკურ-ლი  
 სახ. ურქურა „ურემი“, მაგრამ ერგ. ურქურ-ლი და ა. შ.

-ი -მი, -ნი მრავლობითის ფორმანტთან სამმარცვლიან არსებით სახელებში იკვეცება არა მარტო ბოლოკიდური ხმოვნები, არამედ ხდება რედუქცია ფუძეშიც: უწალა „ნაფოტი“, მაგრამ მრ. უწლი „ნაფოტები“; ბუტარი „ნაჭერი“, მაგრამ ბუტრუმი „ნაჭრები“; ჰურება „ჯარი“, მაგრამ ჰურბუნი „ჯარები“ და ა. შ. მრავლობითის წარმოების დროს ფუძისეული ხმოვნები ყველა შემთხვევაში არ იკვეცებიან და არც ყველა დიალექტში ხდება ასეთი რამ; თუ, მაგალითად, ერთი რომელიმე დიალექტის სიტყვათა გარკვეულ წყებაში კვეცა ხდება, სხვა დიალექტში ხმოვნები მდგრადობით გამოირჩევიან. მაგალითები:

ახუშ		შდრ. მუგის დიალექტში:
მხ. რ.	–	მრ. რ. მრ. რ.
ტულექა „ბეჭელი“		ტულექმი ტულქმი
ქულესა „სამაჯური“		ქულესმი ქულსმი
ღირინ „თუმანი“		ღირინში ღირნში
ბურუმ „ლოგინი“		ბურუმში ბურშმი...

ფუძის კუმშვა ხდება სიტყვაწარმოების დროსაც. კერძოდ, ფუძისეული უ ვარდება -ან დერივატით ნაწარმოებ სიტყვებში [აკიევი 1982 : 96]: ბულვრ-ან „ბაღხარელი“ ტოპონ. ბულვურ „სოფ. ბაღხარი“, წულვრ-ან „წულახარელი“ ტოპონ. წულვურ „წულახარი“ და სხვ.

**7. მახვილი. პ. უსლარის მონოგრაფიაში "**

**" არც ერთი სიტყვა მახვილით აღნიშ-**

ნული არ არის, თუმცა სხვა ენათა კვლევის დროს (აფხაზური, ჩეჩნური, ხუნძური...) პ. უსლარს მახვილი მხედველობიდან არ გამოჩნდება. ეს გამოწვეულია მახვილის სისუსტით დარგულ ენაში. მახვილის სისუსტეზე მიუთითებენ ს. აბდულაევი, ა. მაჰომეტოვი, ა. აკიევი...

მიუხედავად თავისი სისუსტისა, მახვილი სიტყვაში მაინც შეიგრძნობა. ახუშურ-ურახულ დიალექტებში იგი სიტყვებს ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის: ურში „ვაჟიშვილი“, რურსი „ქალიშვილი“, ვარჰი „ნაბადი“, ბუცეს „ჭერა“, ღუვეს „გასვლა“, ანკი „ხორბალი“, ჭანკი „ნაჭერი“, ავსე „მალაღი“, წყსე „ლონიერი“ და ა. შ. თუ სიტყვის შიგნით გვაქვს გრძელი ხმოვნები ან დიფთონგები, მაშინ მახვილი, როგორც წესი, მათზე ინაცვლებს.

იგივე პოზიციური ხასიათი აქვს მახვილს წუდახარულში, მაგრამ ახუშურ და ურახულ დიალექტებთან შედარებით იგი უფრო მეტი ინტენსიურობით გამოიჩნევა: ანჭი „ხორბალი“, მაცა „ცხვარი“, ურჩი „ცხენი“, ავლე „მალაღი“, ავლე „კარგად“, ბელჭვიზ „წერა“, ვაჭვიზ „მოსვლა“. თუ სიტყვაში დიფთონგი წარმოიქმნება ან მას მიერთვის გრძელხმოვნიანი სუფიქსი, მაშინ მახვილი ასეთ მარცვლებზე ეცემა: ვაკად „მოსული“, ბახად „გამგები“, დალად „სიმღერა“, ლუკაჟან „ის, ვინც წერს“, წუღუურ „წუდახარი“ და წუღურან „წუდახარული“ და ა. შ. მახვილი ნარჩუნდება ბოლოდან მეორე მარცვალზე როგორც სახელთა ბრუნების, ისე ზმნის უღვლილების დროს: ქათა „კატა“ – ნათ. ქათალა, ვაცა „თავი“ – ნათ. ვაცალა; ახუშურში: ნუ ლავყული სანრა ნუ ლავყული „მე მივდივარ“, ჰუ ლავყული „შენ მიდიხარ“ და ა. შ.

კუბაჩურშიც მახვილი ეცემა ბოლოდან მეორე მარცვალზე: თაფე „ფესხაცემელი“, მაცა „ცხვარი“, დჰრა „ნაჯახი“, ტბაკ „ტაბაგი“, კულგან „ქამარი“, ვანნე || ვანალა „სიარული“, ქაბილჭნე „კითხვა“ და ა. შ. თუ სიტყვაში წარმოდგენილია გრძელი ხმოვნები, მაშინ მარცვალთა რაოდენობის მიუხედავად, მახვილი ამ გრძელხმოვნიან მარცვალზე ეცემა: მუჭალ „ლოქი“, ბჰყად „მე გავაკეთე“, ბჰყად „მან გააკეთა“... სახელებსა და ზმნებში, რომელთაც გრძელი ხმოვნები არ მოეძევათ, მახვილი მეორე მარცვლიდან ინაცვლებს დიფთონგზე: იღ უბკად „იგი კვება“, ბანიდ „შევისწავლე“ – შდრ. ბანიდ „შეისწავლა მან“, მუწუდ „წვიერი“ და ა. შ.

დარგული მახვილის დამახასიათებელ თავისებურებად მიიჩნევა ის, რომ იგი აკუსტიკურად სუსტადაა გამოხატული, თითქმის შეუმჩნეველია; ახუშურ და ურახულ დიალექტებში კი, როგორც აღნიშნავენ სპეციალურ ლიტერატურაში, ზოგჯერ ძნელდება კიდეც დადგენა თუ რომელ მარცვალზე დაისმის მახვილი. ს. აბდულაევის თქმით, ურახულ დიალექტში მახვილის ადგილის განსაზღვრა გაძნელებულია იმ ვითარების გამოც, რომ ამ დიალექტში უხვადაა გრძელი ხმოვნები. რაც შეეხება ახუშურ დიალექტს, სხვადასხვა სოფლების თქმებში განსხვავებულია მახვილის მოქმედებაც [აბდულაევი 1954 :61]. სხვაგვარი ვითარება შეინიშნება მეკევისა და წუდახარის ჯგუფის დიალექტებში. მეკევის ჯგუფში მახვილი უფრო მკაფიოდ არის გამოხატული, ვიდრე ახუშურ-ურახული ჯგუფის დიალექტებში, თუმცა მას ამ ჯგუფშიც არ მოეპოვება არც სიტყვაწარმოებითი, არც სიტყვაგვარების ფუნქციები. ამ დიალექტებში მახვილი თითქმის ყოველთვის დაისმის სიტყვის დასაწყისიდან მეორე მარცვალზე.

წუდახარულ დიალექტში მახვილი მკაფიოდ არის გამოხატული და აქ იგი გარკვეულ როლსაც კი ასრულებს სიტყვაწარმოებისა და სიტყვაგვარების დროს. წუდახარული ტიპის დიალექტებში ყოველთვის პირველ

მარცვალზე არ დაისმის, როგორც ეს ხდება ახუმურ-ურახულ ჯგუფში და არც მეორეზე სიტყვის დასაწყისიდან, როგორც მეკეგური ჯგუფის დიალექტებში, არამედ იგი დაისმის ხოლმე მარცვლებზე; მახვილმა შეიძლება გადინაცვლოს ერთი მარცვლიდან მეორეზე. შესაბამისად სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობისა.

წარმოვადგენთ ცნობილ მაგალითებს [ახლელავე 1954 : 62], მახვილის ადგილის მიხედვით, დიალექტებში არსებული განსხვავებებისა:

<b>ახუმ.</b>		<b>მულის თქმა</b>
თავრა	„ჩანთა“	თავრან
ბაკურ	„იცოდა“	ბაკურ
ჭრჩი	„ცხენი“	ურჩი
ჭრში	„ვაჟიშვილი“	ურში
რერსი	„ქალიშვილი“	რერსი
ვარპი	„ნაბადი“	ვარპი
ჭნრა	„მეზობელი“	უნრა
თაბთარ	„წიგნი“	თაბთარ და სხვა.

<b>ურახ.</b>		<b>ქვემო მულებკის თქმა</b>
ბილკუნ	„დაწერა“	ბილკუნ
ბაკურ	„შეიტყო“	ბაკურ
ბურიბ	„თქვა“	ბურიბდა სხვა

ახუმურ-ურახული ჯგუფისა და მეკეგური ჯგუფის დიალექტებში მახვილს მუდმივი ადგილი აქვს: ახუმურ-ურახულში პირველ მარცვალზე, ხოლო მეკეგურში – მეორეზე, უმნიშვნელო გადახრებით.

წუღახარული ჯგუფის დიალექტებში მახვილის გადანაცვლება იწვევს ხოლმე სიტყვის მნიშვნელობის ცვლასაც, რასაც სხვა დიალექტებში ვერ ვხედავთ. მაგალითები:

საბუჯუნ	„წინ წაიწია“	– საბუჯუნ	„გამოიქცა“
ვანჭიბ	„მოვიდა“	– ვანჭიბ	„მოსული“
ჩებბათიხ	„აგება“	– ჩებბათიხ	„ზედ დატოვება“
ბაკრი	„ჩირქეროვა“	– ბაკრი	„ამოსვლა“
ღასნი	„წებო“	– ღასნი	„დაწებება“

აღსანიშნავია, რომ დარგულ ენაში მახვილი ყველა სიტყვაში არ გვხვდება. დამხმარე სიტყვებში მახვილი არ დაისმის. უმახვილო სიტყვებთან ერთად დარგულ ენაში ხშირად შეიძლება შეგვხვდეს ორმახვილიანი რთული სიტყვებიც, მაგალითად: თამანბიუბ „დასრულება“ ერთმახვილიანია, ხოლო ამავე სიტყვის უარყოფით და კითხვით ფორმებში ორი მახვილია: თამანბიუბიუბ „არ დამთავრა“, თამანბარბუ? „დამთავრა?“

ეს თითქმის ყველა დიალექტისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, მათ შორის წუღახარული სიტყვისაც.

როგორც უკვე აღინიშნა, წუღახარულში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მახვილი ყოველთვის პირველ მარცხალზე ეცემა. არც სიტყვაწარმოების და არც სიტყვათცვლილების დროს იგი ადგილს არ იცვლის:

ღუღემ „მამა“, ღუღემლა „მამის“, ღუღემლემ „მამობა“, ღუღემუნი „მამები“.

ჰული „მალა“, ჰუსი „მაღალი“, ჰვდემ „სიმაღლე“.

ვაკიბ „მოვიდა“, ვაკიბსი „მოსული“, ვაკილი „მოვიდა-რა“, ვაკნი „მოსვლა“.

შეიძლება ითქვას, რომ ახუშურ დიალექტში მახვილი ასრულებს ფრაზაში სიტყვის გამომცალკეების ფუნქციასაც. იგი ლოგიკური მახვილის დანიშნულებითაც გვხვდება.

ზმნის უარყოფით და აკრძალვით ფორმებში მახვილი ყოველთვის ეცემა უარყოფის ან კითხვის გამომხატველ ფორმანტებზე [აბდულაევი 1954 : 64].

**2. ლაკური ენის ვოკალიზმი.** სალიტერატურო ლაკურ ენას ახასიათებს სადა ხმოვნები: ა, ე, ი, უ. ამათ გარდა დასტურდება, აგრეთვე, ფარინგალიზებული ჯ, ჟ და გრძელი ზ, ჟ ხმოვნები. დარგუელთან შედარებით, არსებითი სხვაობა ლაკურის ვოკალიზმს არ შეემჩნევა.

ხმოვანი ა დასტურდება სიტყვათა ნებისმიერ პოზიციაში. იგი გვხვდება როგორც ძირეულ, ისე ნასესხებ ლექსიკაში: ფაალ „მატყლი“, ბუთა „მამა“, საბ „ცა“, ხანხა „სხეული“, ქავაჩი „დალი“, ილტა „გამხდარი“, „მჭლე“, ნაკ „რძე“, ბაკ „თავი“, ბარწ „მგელი“, მახ „რკინა“.

ლაკურ ენაში ა ხმოვანი, ე, ი ხმოვნების მსგავსად, იწვევს ხოლმე უკანაენისმიერ თანხმოვანთა პალატალიზაციის, როდესაც ეს თანხმოვნები წინ უსწრებენ მას, მაგ.: ლიჩა „ძვალი“, შდრ. ნათ. ლიქურალ (ლისტანციური პალატალიზაცია); ჩარა „კეტი“, შდრ. დარგ. (ურახ.) ქარი, მაჭ „გადასახალი“, შდრ. დარგ. მაკი და სხვა [აკიევი 1982 : 14].

ა, ი, უ ხმოვნები ლაკურში ძირითადია. მათ საფუძველზე ხდება წარმოქმნა სხვადასხვა კომბინირებული ვარიანტებისა იმისდა მიხედვით, თუ რა პოზიცია უჭირავთ მათ სიტყვაში. მნიშვნელობა ენიჭება მახვილსაც. მაგალითად, სიტყვაში ჰარაჯალუ „წისქვილი“ პირველი მარცვლის ა მეორე მარცვლის იმავე ხმოვნისაგან განირჩევა რედუცირებადობის ხარისხით: პირველ მარცვალში ა ხმოვნის არტიკულაცია სუსტია და იგი საერთოდ შეიძლება ამოვარდეს. ზოგჯერ რედუქცია იმდენად ძლიერია, რომ ხმოვნები უმახვილო პოზიციაში საერთოდ ქრება. ეს ხდება ხოლმე სიტყვის ანლაუტში: ვრას ვარას „სახნისი“, კლი კილ „უნაგირი“, ვრუჭ ვურუჭ „ქვანაშირი“ და სხვა [მურყელინსკი 1971 : 11].

ხმოვანი ი განეკუთვნება საერთოდ აღესტნურ დონეს. ლაკურ ენაში ამ ხმოვნის პოზიცია მყარია: მიკ „ყინული“, ჩითუ „კატა“, ლიჩა „ძვალი“, დიკ „ხორცი“, ილტა „სიმჭლევე“, მირხ „ნამგალი“ და სხვა.

ხმოვანი უ დასტურდება საერთო ლაკურ-დარგუელ ლექსიკურ ფონდში. ლაკურ ენაში იგი მყარადაა წარმოდგენილი: ღუჩრი „ცხენები“, ბურთიძე „მხედარი“, ნუზ „კარი“, ხუღლუ „გზა“, ხური „ავირი“, უვ-წუს „სქელი“, ღუმ „ქალიშვილი“, თუქუ „ვირი“.

ა, ი ხმოვანთა მსგავსად უ მახვილი პოზიციაში ძლიერ რედუქციას განიცდის და ვარდება ხოლმე: ჭულა „ძელი“ ჭლა, მუნა „აგერ“ მნა. უ ფონემა არაიშვიათად შემონახულია ხოლმე ბრუნვის ფორმებში, იმ დროს როცა ნომინატივში იგი დაკარგულია: ბურენა „საფლავის ქვა“ ბურენ-თუ-ლ (ნათ. ბრ.), მურლუ

„კლდე“ მურულ-ლ-უ-ლ || მურულ-დ-უ-ლ და სხვა.

ო ფონემა ლაკურში. მას ჩვეულებრივ ენაცვლება ხოლმე უ ხმოვანი ისეთ ნასესხებ სიტყვებშიც, რომლებშიც ო ხმოვანი იყო წარმოდგენილი. მაგალითად:

თურქ.		ლაკ.
ოჯაგ	„კერა“	უჟალ
ორდექ	„იხვი“	ურდაქ
ბოლაზ	„ყურე“	ბულაზ
დოსთ	„მეგობარი“	დუს
მოჰრ	„ბეჭედი“	მუჰრე
ქომექ	„დახმარება“	ქუმაგ

რუს.		ლაკ.
законзакон		ზაკუნ
насоснасос		ნასუს
килокило		ქილუ

**1. დიალექტური სხვაობანი ლაკური ენის ვოკალიზმში.** ლაკური ენის ბალხარულ დიალექტში გვხვდება ე, ო ფონემები, რომლებიც შეესატყვისებიან სხვა დიალექტთა ა, უ ხმოვნებს განსაზღვრულ ფონეტიკურ პირობებში. ე გვევლინება ხოლმე სადა ა-ს მონაცვლედ და ზოგჯერ იგი ი ხმოვნის შესატყვისადაც დასტურდება. ეგევე ე ბალხარულ დიალექტში ჩნდება სხვა დიალექტთა ყ თანხმოვნის მონაცვლედ, მაგ, ბალხ. ბენ „მორთვა“, შდრ.ლიტ. ბაყინ; ლენ „დახურვა“, შდრ. ლიტ. ლაყინ... ო ხმოვანიც არც თუ იშვიათად უ და ყ ბგერათა მონაცვლედ გვევლინება ბალხარულ დიალექტში. წარმოვადგენთ შესატყვისობათა ზოგიერთ დამახასიათებელ ნიმუშს ბალხარულსა და ლემუქურ დიალექტებს შორს:

ბალხარული		ლემუქური
ენი	„დე“	ყინი
მოელჩინ	„ოთხჯერ“	მუყილჩინ
ლოან	„დამალვა“	ლუყან
ბუთოლა	„ზანდუკი“	ბუთოყა
ონჩა	„ხბო“	ყუნჩა და ა. შ.

[ხაიდაყოვი 1966; მურყელინსკი 1971 : 17].

ვიხლიურ დიალექტში გვხვდება უმლაუტირებული ჟ სადა უ-ს მონაცვლედ. დასტურდება აგრეთვე შესატყვისობანი: ი || ა, ა || ვ, უ || ჟ, ი || ე.

ლემუქური დიალექტის ი ხმოვანს ბალხარულში ე შეესატყვისება:

<b>ბალხარ.</b>	<b>ლუბუქ.</b>	
რერშუნაკ	რირშუნაკ	„მაწონი“
ლექუ	გიქუ	იქ“
ლეჩა	გიჩა	„იქიდნ“
ლერა	ღირა	„ნდომა“

ლუბუქურ ა ხმოვანს ბალხარულში ჯ შეესატყვისება:

<b>ბალხარ.</b>	<b>ლუბუქ.</b>	
ბათნ`უნ	ბათს`უნ	„გაქრობა“
ბარჩაღღაღ	ბარჩაღღაღ	„მადლობა“
ბალიჯ	ბალუღ	„თევზი“

ლუბუქურ ყ თანხმოვანს ბალხარულში შეესატყვისება ა (მაგარშემართვიანი ცა):

<b>ბალხარ.</b>	<b>ლუბუქ.</b>	
აფა	ყაფა	„ქული“
არცი	ყარცი	„ტალახი“
აჟა	ყაჟა	„ნაცარქათამა“

ლუბუქური უ ბალხარულში იძლევა ო და ი ხმოვნებს:

<b>ბალხარ.</b>	<b>ლუბუქ.</b>	
მოცან	ბოცან	„თიბვა“
ს`ოლა	ს`ულა	„ფიწალი“
ბონბოტი	ბუნბუტი	„კოური“
ჩინტლუ	ჩუნტლუ	„მეჭეჭი“

**2.2. გრძელი ხმოვნების საკითხისათვის.** ჯერ კიდევ პ. უსლარი მიუთითებდა ლაკურ ენაში გრძელი ხმოვნების არსებობის შესახებ [უსლარი 1890 : 4]. დაწვრილებითი ანალიზი ლაკურის გრძელი ხმოვნებისა პ. უსლარს არ მოუცია. სათანადო გამოქვეყნება და ანალიზი გრძელი ხმოვნების ისტორიისა ლაკურ ენასა და მის დიალექტებში წარმოადგინეს პ. მურყელინსკიმ [მურყელინსკი 1971], ს. საიდაყომა [ჰაიდაყოვი 1966 : 19, 38, 118]. გრძელ ხმოვანთა ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ძირითადი ფონეტიკური პროცესების ინტერპრეტაცია წარმოდგენილია ა. აკიევის სტატიაში [აკიევი 1974]. დაწვრილებითა აღწერილი და გაანალიზებული, ისტორიული თვალსაზრისით, იგივე მოვლენები გ. ბურჭულაძის სტატიაში [ბურჭულაძე 1976 : 125-134]. გრძელი ხმოვნების შესახებ ცოტაოდენი მსჯელობა წარმოდგენილია ლ. ჟირკოვის მონოგრაფიაშიც, თუმცა, პ. უსლართან შედარებით, აქ ახალი არაფერია ნათქვამი [ჟირკოვი 1955].

ა. აკიევი ლაკურ ენაში აღწერთი თვალსაზრისით ხმოვანთა სიგრძეს ახასიათებს შემდეგი ნიშნების მიხედვით [აკიევი 1982]:

- 1) ხმოვნის სიგრძე, როგორც დიალექტის სპეციფიკური თავისებურება.
- 2) ხმოვანთა სიგრძე, რომელიც მიღებულია კომბინატორული ცვლილების შედეგად.



3) ხმოვანთა სიგრძე, რომელიც გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს.

4) ხმოვანთა სიგრძე, რომელიც ასრულებს ფონემურ (ბგერათგანმასხვავებელ ფუნქციას).

ვიცხიურ დიალექტში სიტყვის წარმოქმნისას იქმნება გარკვეული შთაბეჭდილება, თითქოს მასში ჭარბად არის წარმოდგენილი ფორმები, რომელთა შემადგენლობაშიც მონაწილეობას იღებენ გრძელ ხმოვნები. ეს შთაბეჭდილება, ა. აკიევის აზრით, სავსებით ბუნებრივია და გარკვეული საფუძველი მოიპოვება მისი ინტერპრეტაციისათვის.

ლაკური ენის ვიცხიურ დიალექტში მეშველი ზმნა ან „კეთება“ და მისი ფონეტიკური ვარიანტები წარმოდგენილი გრძელ ხმოვნებს: ან, ბ-ან, დ-ან. როგორც ირკვევა, ხმოვანთა სიგრძე განპირობებულია გრამატიკული კლასის ვ ნიშნის გაუჩინარებით და ხმოვანთა შერწყმით. ასეთი ხმოვნებია უ და ა: უ-ვ-ან (ბ-უ-ვ-ან, დ-უ-ვ-ან) „კეთება“ უან ან (ბ-უან ბ-ან, დ-უან დ-ან) [აკიევი 1982].

ლაკური ენის ვიცხიურ დიალექტში ამ ზმნასთან შეწყობილ ყოველ დრო-კილოთა ფორმაში ხმოვნის სიგრძე შენარჩუნებულია როგორც დახურულ, ისე ღია მარცვლებში, ხოლო ლუმუქურ დიალექტში დახურული მარცვლი ხმოვნის სიგრძის განვითარებას აფერხებს. ეს მოვლენა არსებით გავლენას ახდენს ვიცხიური და ლუმუქური დიალექტების დიფერენციაციაზე ხმოვანთა სიგრძის თვალსაზრისით.

ლუმუქურ დიალექტში ხმოვნის სიგრძე მოცემულ ზმნაში თავს იჩენს ხოლმე მხოლოდ ღია მარცვლის პირობებში:

უ-ვ-ა „გააკეთე“ \*უა-ან „გააკეთე“ (I კლ.), დ-უ-ვ-ა „გააკეთე“ \*დ-უ-ა და (II და IV კლ.)... მაგრამ დახურული მარცვლის პირობებში ხმოვნის სიგრძე ისევე იჩქმალება:

უ-ვ-ა-ვ „გააკეთა“ \*უავ ავ [ავ] „გააკეთა“, დ-უ-ვ-ა-ვ „გააკეთა“ \*დ-უავ დ-ავ „გააკეთა“... მარცვლის ღიაობის პირობებში ხმოვნის სიგრძე ისევე თავს იჩენს:

უ-ვ-ან-ვ-უ „კეთება“ უანვუ ანუ „კეთება“, დ-უ-ვ-ან-ვ-უ „კეთება“ \*დ-ანვუ დანუ „კეთება“, „მუშაობა“ ან უ-ვ-ან-რა „გააკეთე“ (ბ-უ-ვ-ან-რა, დ-უ-ვ-ან-რა) და ა. შ.

ვიცხიური დიალექტი იმითაც ხასიათდება, რომ ბევრ შემთხვევაში ლექსემათა სტრუქტურიდან ვარდება I და III კლასთა ინფიქსური ელემენტი ვ, რომელიც პირობებს ქმნის წინამავალი ხმოვნის კომპენსაციური სიგრძისათვის: უწუსა (უ-ვ-წუსა) „სავსე“, უჩუს ( უ-ვ-ჩუსა) „მძღარი“, უსსა ( უ-ვ-სსა) „დადლილი“. ამავე ფორმებს II კლასში მოეპოვებათ: დ-უ-რ-წუსა, დ-უ-რ-ჩუსა, დ-უ-რ-სსა [უსლარი 1990 : 14-15].

ფონეტიკური პირობები ხმოვანთა სიგრძის წარმოქმნისათვის არ არის, მაგრამ, მით უფრო, ლუმუქური დიალექტის შესაბამის ფორმათაგან განსხვავებით, სახელთა და ზმნათა მნიშვნელოვან ნაწილში ხმოვნები ვიცხიურში წარმოითქმის. გრძელად მეტი ინტენსიურობით, თუმცა ხმოვნის სიგრძეს ამ შემთხვევაში არ გააჩნია ფუნქციონალური დატვირთვა.

ვიცხიური		ლუმუქური
ლუქანდა	„შეკვამ“	ლუქანდა
დაჭინდა	„შეკვრავ“	დაჭინდა
ლასუნდა	„ავიღებ“	ლასუნდა

სმოვანთა ღია და ინტენსიური წარმოქმნა დასტურდება მეტყველების სხვა ნაწილებშიც:

<b>ვიცხიური</b>		<b>ლუმუქური</b>
ჩანფლსა	„ჭუჭყიანი“	ჩანფლსა
დარქუსა	„მრუდე“	დარქუსა
ჰანდასა	„ქოსა“	ჰანტასა
ქურსა	„მხნე“	გურსა და სხვა.

ლაკური ენის დიალექტებში დასტურდება აგრეთვე შემთხვევები, როცა ფუძისეული სმოვნის ამოვარდნა იწვევს სმოვნის დაგრძელებას აუსლაუტში: კამა (ლუმუქ.) „ჰეშვი“ კნა (ბართხის დიალ.). წუმუ (ლუმუქ.) „კუჭი“ წმუ (ბართხ.) და სხვა [ხაიდაყოვი 1966 : 38].

კომბინატორულ ცვლილებათა შედეგად სმოვანთა დაგრძელება ვლინდება სხვადასხვა შემთხვევებში. მაგალითები:

ვ || ბ ბერის ამოვარდნისას: ლუ „ქვეშ“ ( ლუ-ვ), კუ „მური“ (ნათ. ბრ. კუ-ვ-რ-ა-ლ || კურალ), ლანჯან „დაკიდება“, შდრ. ლანჯსა „დაკიდებული“ და სხვა.

კლასის ექსპონენტები, ამრიგად, ამოვარდნისას იწვევენ წინამავალი სმოვნის დაგრძელებას: ეს პროცესი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება ზმნურ ფორმებში:

- I კლ. უკკუნნი „მოვიდა“ უკუნნი
- III კლ. ბუკკუნნი || ბუბკუნდი ბუკუნნი || ბუკუნდი
- II და IV კლ. ლურკუნნი || ლურკუნდი ლუკუნნი ლუკუნდი.

ანალოგიური ვითარებაა ზელსართავებსა და არსებით სახელებში: ხაუსა „შესანიშნავი“ ხუე „ამბატება“, ხუ „ყლუპი“ ხაუვა „სმა“; ჩუ „კაცი“, შდრ. მრ. რ. ჩუვარკ, აგრეთვე ნათ. ბრ. ფორმა ჩუ-ვ-ნ-ალ; ნუმა „ვერძი“ ნუ-ვ-მა (ლუმუქ.); ნუტა „ჩრჩილი“ ნუვცა (ლუმუქ.); საუთ „შემოღომა“ სუვთ (ლუმუქ.); ლუს „მეგობარი“ ლუვს და სხვა.

სმოვნის სიგრძეს იწვევს აგრეთვე რ ბერის ამოვარდნა: ღრ „შუაგული“ ღან, მან „უკან“ მარვ (შდრ. ბარკ „ზურგი“), ყანა „თაღამი“ დიალ. ყარჰან...

ღ ბერის ამოვარდნის შედეგად: მუსნ „ოქრო“ მუსიდ \*მუსირ \*მუსიდ; ჭარა „თმა“ \*ჭარად \*ჭარარ ნათ. ბრ. ჭარარ-ა-ლ; ჰუნთი „ხვალ“ ჰუნთიდ;

ნ ბერის ამოვარდნით მიიღება: ნუწი ნუნწი „ლოლაბი“.

სმოვანთა შერწყმით მიიღება:

ბაკნ „ზღაპარი“ მაჰალა მაჰაა მაჰნ (ლ ბგერა ვარდება და ერთმანეთს ერწყმის სმოვნები ა + ა

ბ).

ჭარავ „გვერდით“, -„თან“ ჭარაუ \*ჭარა ჭაა ჭან. ეს ზმნისართი მეტად პროლექტიულია ლოკატივის მაწარმოებელთა შორის: ჰათლუჭან „სახლთან“, ვიჭან „შენთან“, ნიხაჭან „მდინარესთან“ და ა. შ.

მიმართულებითის -ნ ნიშნის ღართვით მარცვალი იხურება და სმოვნის სიგრძე ქრება: ჰათლუჭან, მაგარამ დაშორებითის -თუ ნიშნის, ანდა მიმართულების გამომხატველი -ნად მორფემის მირთვით მარცვალი ისევ ღია ხდება და სმოვნის სიგრძე აღდგება: ჰათლუჭან -თუ „სახლიდან“ ან ჰათლუჭან-ნად „სახლისკენ“.



ქანაქნუევ ქანაქინვ ქანაქინმ ქანაქიმ „ის ვინც ჭამს“;  
 -მნ: ქანაქი + ბუენუ || ბუნუ „გააკეთა რა“ + ბური „არიან“ ქანაქნუბური ქანაქნუბუი ქანაქნუბრ ქანაქინბრ ქანაქინმბრ ქანაგიმბრ „ისინი ვინც ჭამენ“.  
 -მურ: ქანაქი + ბუენუ || ბუნუ „გააკეთა რა“ + ბურ „არის“ ქანაქინუბურ ქანაქინმურ ქანაქიმურ „ის (ქალი) ვინც ჭამს“ [აკიევი 1982 : 46].

მსგავს ვითარებას ვხედავთ მორფემაში -ქსა:  
 ვათათა „სახლი“ + უვექუსა „ნათქვამი“ ვათათაუკქუსა || ვათათავქსა ვათათავქსა „როგორც სახლი“, ე. ი. „სახლის სიმაღლის“,  
 ვნავი „ქათამი“ + უვექუსა „ნათქვამი“ ვნავი + უვექუსა || უვექუსა ანაკრუქსა ვნავქსა || ვნავქუსა „როგორც ქათამი“;  
 ბარზუ „არწივი“ + უვექუსა „ნათქვამი“ ბარზუ + უვექუსა ბარზუქუსა ბარზუქსა „როგორც არწივი“.

ნაცვალსახელში ცუ („ვინ“): ცუ + უვექუსა ცუქუსა ცუქსა „როგორც ვინ?“  
 გრძელი ხმოვნის შემცველი მორფემა -ვ- || -ვ- ვლინდება ზმნურ სტრუქტურაშიც. მისი მეშვეობით იწარმოება დიურატიული ასპექტი: ანვან || ანვან „სიარული“, ათავან || ათავან „ყოფნა“, ლუქვან || ლუქვან „ჭამა“, ჰავან „მგზავრობა“, ჴვან „კეთება“ და ა. შ. ეს დიურატიული (განგრძობითი) ფორმა დაერთვის ზმნის აბსოლუტივის ფორმას:

- ჰაი „მიდიოდა რა“ + ვან ჰვან (დიურატივი)
- ლუქად „ჭამდა რა“ + ვან ლუქვან (დიურატივი)
- აჩად „მიდიოდა რა“ + ვან აჩვან (დიურატივი)
- ათაად „ჩხვლულდა რა“ + ვან ათავან (დიურატივი)
- ლასაი „იღებდა რა“ + ვან ლასვან (დიურატივი) და ა. შ.

ლაკური გრძელი ხმოვნების აღწერისას პ. უსლარმა შენიშნა, რომ „ასეთი განსხვავებები მეტად თვალსაჩინოა და არც თუ იშვიათად ხმოვნის სიგრძე გრამატიკულ ფორმებს განარჩევს“ [უსლარი 1990 : 8].

ა. აკიევის დაკვირვებით, ხმოვნის სიგრძესა და სიმოკლეს შეუძლიათ არა მხოლოდ გაარჩიონ გრამატიკული ფორმები, არამედ შექმნან მნიშვნელობის განმასხვავებელი (სემანტიკური) წყვილები, მაგალითად:

- მავ „სიტყვა“ მავ „უკან“
- ჭა „ქოხი“ ჭვ „თხოვნა“, „ვეღრება“
- თა „იგი“ თვ „როდის“

ა ხმოვნის სიგრძე და სიმოკლე ლაკურში ქმნის მნიშვნელობა განმასხვავებელ წყვილთა საკმაოდ დიდ რაოდენობას: ჴუმა „კიდე“ – ჴუმნ „მოთქმა“, ბატულ (ნათ. ბრ.) „მებაჟისა“ – ბატულ „განცალკევება“, მაჩა „ნათესავი“ – მაჩან „თაფლუჭი“, ძალა „შემდეგ“ – ძალვ „ყველაზე“, ძა „თვალი“ – ძან „თუ“ (ნაწილაკი), ჩარუ „ქვა“ – ჩარუ „საიდან“ და მრავალი სხვა.

ი ხმოვნის სიგრძე და სიმოკლე უფრო ნაკლებ ასეთ წყვილს ქმნის:

კი	„ზამთარი“	კი	„ზევით“
ში	„შვრია“	ში	„აქ“
კირი	„ცხელი“	კირი	„ზევით მყოფი“
ქიზ (ლაგან)	„ჩაფიქრება“	ქიზ	„ყლორტი“

უ ხმოვნის სიგრძე-სიმოკლე განარჩევს შემდეგ წყვილებს:

ჭუ	„ხმა“	ჭუ	„ხსენი“
ჩუ	„ცხენი“	ჩუ	„სად“
ლუ	„წიგნი“	ლუ	„ქვევით“

ასეთივე წყვილებია: კუ „მძიმე“ – კუ „ჭვარტლი“, ტუტუ „თქვი“ – ტუტუ „საულვაშე“, ვუ „მინდორი“ – ვუ „მინდორზე“, ღური „იგი (ქალი) არის“ – ღური „გაკეთეს“, ყურუ „რქა“ – ყურუ „საკუჭნაოში“, ბუჭუ „ჩამოდი“ – ბუჭუ „მკითხავი“ და სხვ.

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები გვიჩვენებენ, გრძელ ხმოვნების მონაწილეობა მნიშვნელობათა განმასხვავებლის როლში და ფორმათა წარმოებაში იმაზე მინიშნებენ, რომ თანამედროვე ლაკური ენაში მათ დამოუკიდებელ ფონემათა სტატუსი შეუძენიათ. ლაკური ენის გრძელ ხმოვანთა ფონემური ხასიათი ამ ენის განვითარების ამჟამინდელი მდგომარეობის მხრივ შეუძლებელია ეჭვქვეშ იყოს დაყენებული როგორც ფონეტიკური, ისე ფონოლოგიური თვალსაზრისით.

**2. 3. ხმოვანთა ფარინგალიზაცია.** ფარინგალიზაციის საკითხს ლაკურსა და დარგულ ენებში, მათი წარმოშობისა და განვითარების პრობლემას არაერთი სპეციალისტი შეხება (პ. უსლარი, ნ. ტრუბეცკოი, გ. დეეტერსი, კ. ბოულა, ა. მაჰომეტოვი, შ. გაფრინდაშვილი...). ფარინგალიზაცია არის ფონეტიკური პროცესი, რომელიც მიმდინარეობს არა არტიკულაციის ადგილის ჩვეულებრივი გადასაცვლებით, არამედ ხანის აწევის შედეგად რეზონატორის შემოკლებით [ტრუბეცკოი 1931 : 10]. ფარინგალიზაციის დროს ძირითად როლს ასრულებს თანხმოვნის სპეციფიკური შეფერილობა, რომელიც გვერდით მყოფ ხმოვნებზეც გადადის.

ხმოვანი ა ლაკური ენის ყველა დიალექტში განიცდის ფარინგალიზაციას ფარინგალურ თანხმოვნებთან მეზობლობაში. ა ხმოვანი ყოველთვის იღებს ფარინგალიზაციის დამახასიათებელ ტონს ფარინგალურ გლოტალურ ჟ და ჰ თანხმოვნებთან მეზობლობაში: ჟანთ „მაგისი“, ჟარალ „ჯარი“, ჟარჩა „კოჭლი“, ჟარში „მიწა“ „ნიშანი“, ჟად „საყვედური“ და ა.შ.

ასეთივე ვითარებაა ფარინგალურ ვ, ვზ, ყ თანხმოვნებთან:

ვაბნ „სიცილი“, ბუვაბნ „შეძლება“, ვამპლა (ბან) „გადარცვა“, დარვუ „სიცივე“, ვარვუ „კაჭკაჭი“... მაყ „წყურვილი“, ლაყა „მუცელი“, პაყ „სკლომა“...

ფარინგალური დ, ხ, ხა თანხმოვნების მონაწილეობა ა ხმოვნის ფარინგალიზაციაში თვალსაჩინოდ ჩანს შემდეგი მაგალითებით:

დარდინ „ზელა“, ლავლა „ლორლი“, დარუ „ხრაშუნი“, რახ „ექვსი“, დახთა „დღისით“, ხან „სისველე“, ხაჟლი „კლდე“, მახაი „ობი“ და სხვა.

ყოველთვის არა, მაგრამ ა ხმოვნის ფარინგალიზაციას ახდენს ლარინგალური უ აბრეპტივიც: ბაყლი „ბალი“, ჭაყლა „სასახლე“, დაყვი „ომი“.

ფარინგალიზებული ი უფრო იშვიათად გვხვდება ვიდრე ა: იყი „ჩასხმა“. ლარინგალურ ც თანხმოვანთან ფარინგალიზებული ი შეინიშნება მხოლოდ არაბულიდან ნასესხებ ორ სიტყვაში: ნიფმჰთ „მადლი“, აგრეთვე მამაკაცის საკუთარ სახელში: ნიფმჰა.

ჭ და ჭ თანხმოვანებთან: ჰიდა „ნანგრევი“, ჰიშვი „ტრფობა“, თირიჰინ „გახსნა“, ჰინჩა „სარტყელი“, ლუჰი „შავი“, ქუჰინ „ლეჭვა“ და სხვა.

უკანაენისმიერ ფარინგალურებთან ლაკური ხმოვანი ი ფარინგალიზდება შემდეგ ლექსემებში: ნიხ „მდინარე“, ფირხ „ბრწყინვა“, ფი „ბრწყინვალე“, ლიხა „ფრენა“, ლილხი „ფრინველი“, ლიხავე „განგაში“...

არც თუ იშვიათად ხმოვანი ი ფარინგალიზდება ვ, ვჰ, ყ თანხმოვნებთან მეზობლობაში: ნივა „შვრია“, ავაინ „გაყინვა“, ლავინ „მოძებნა“, ვაჰვი „ლოქი“, ვარავი „სპილენძის სურა“, მაგრამ ყველაზე ხშირად ხმოვან ი-ს ფარინგალიზაცია მოუდის ყ თანხმოვანთან მეზობლობაში: ყარყი „ტალახი“, ყუნუყი „მარწყვი“, ლიყან „ლანგრევა“, ყუყინ „გაიაფება“, ჩიყა „კობი“, ჭიყ „სიმყარა“.

უ ხმოვანი ფარინგალიზდება ც ლარინგალურ აბრუპტივთან მეზობლობაში: დუც „სწავლება“, „მოდვრება“, ლუცლუ „მვირფასი თვალი“, ლუცმან „ლუყმანი“ (საკუთარი სახელი).

ჭ და ჭ ფარინგალურ თანხმოვნებთან ხმოვანი უ ყოველთვის ფარინგალიზებულია: ჰუ-სა „ცუდი“, ჰუ „სისხლი“, ჰურჭ „ბავშვი“, ჰურჭი „ჭრელი“, მუჰალუ „სარტყელი“, ბურჰალუ „ურდული“, ბურჰალ „ზურგი“, ლუჰიყ „შავი“ და მრავალი სხვა.

ვ, ვჰ, ყ თანხმოვნებთან:

ვურთ „მსხალი“, ვურუ „ცერცვი“, ბუვუ „შეძლება“, სურუ „იდაყვი“, ვარვუ „ჩიხიკვი“, ვუკსა „ყრუ“ ვაულან „ჭირვეულობა“, ვუჰნი „ბიძგი“, ყულუ „ყლუპი“, ბუყ „ქვა“, ბუყან „გადაყლაპვა“, ყუყა „ხროვა“, ყუტ „ნაკუწი“ და მრავალი სხვა.

ლ, ხ, ხა თანხმოვნებთან:

ლუპ „ჩხართვი“, ლუჟუ (დან) „გატეხვა“, და „მწუნარება“, ვაღლუ „ჭკა“, თუნღავსა „მინაზებული“, თურღლუ (ბულღან) „ბუზღუნი“, ბურხ „კურდელი“, ბუხთულსა „მალაღი“, დუხლუ „სიგრილე“, ხუკა „ხუთი“, ხუთ „ჩრდილი“, ხუნჭა „მწყერი“, ხუტა „ნონი“, ხუთუ „ნაწლავი“ და სხვ.

ფარინგალიზებულ ხმოვანთაგან ლაკურს არ მოეპოვება ე. იგი გვხვდება მხოლოდ დარგუული ენის კუბაჩურ დიალექტში.

ლაკური ენის ფონოლოგიური სისტემისათვის დამახასიათებელია აგრეთვე გრძელი ფარინგალიზებული ა ხმოვანი: ვა „გაბზარვა“, ვაჰუნარი „ლოქი“, ყუყაღა „სირცხვილი“, ჰაღლუ „ჭალა“, ჰაღლიხ „ნელა“, ბაყ „ბლავილი“, ჰაღლიმსა „წყნარი“ და სხვ.

ა. აკიევის მიერ გამოვლენილია ლაკური ენის ფარინგალიზებული ხმოვნები მნიშვნელობათა განმასხვავებლის ფუნქციით:

არ	„დაბლობი“	შღრ. ფარინგალიზებული:	არ	„დამპალი“
კალა	„გამოვარდნილი“		კაღა	„თეთრი“
კულა	„გასაღები“		კულა	„თხელი“

ნა	„მე“	ნა	„ტვინი“
ნაკ	„რძე“	ნაკ	„ლურჯი“
აჭა(ან)	„გამოსუფთავება“	აჭა	„ჯარიმა“
ავ	„ნადირი“	ავ	„დამბალი“

[აკიევი 1982 : 84].

უკანაენისმიერ **ღ, ზ, ხ** და ფარინგალურ **ჯ, ჳ, ყ** თანხმოვნებთან მეზობლობაში ფარინგალიზებულ ხმოვნებს ფონემატური მნიშვნელობით ფართო გავრცელება აქვთ:

ლახ	„მტვერი“	ლახ	„შორის“
ხაან	„ჩვენება“	ხაან	„სისველე“
ალუ	„ბოროტება“	ალუ	„მსუქანი“
ჰან	„ცვილი“	ჰან	„სიცილი“
მაყ	„ცრემლი“	მაყ	„წყურვილი“ და სხვა.
<b>ჰ</b> (გრძელი ხმოვანი ჩვეულებრივი)		<b>ჰ̄</b> (ფარინგალიზებული)	
ბჰ	„გააკეთე“	ბჰ̄	„წივა“
ლჰ	„დამალვა“	ლჰ̄	„გაზრდა“
უნა	„მყოფი“	უნჰ̄	„უქმე“ და სხვა.

ფარინგალიზებული უ ხშირად გვხვდება **ხ, ხა, ჳ, ჳა, ყ** თანხმოვნებთან მეზობლობაში:

კურხ	„ღერო“	კურხ	„ღილა“
ჰუნ	„ღილი“	ჰუნ	„ეზომი“
ჰუ	„მინდორი“	ჰუ	„ეზო“
ბუჰან	„დაჭრა“	ბუჰან	„შეიძლება“
ჰუმ	„საღვთი“	ჰუმ	„შეწვა“
ჰუჰუ	„ღეღალი კურდღელი“	ჰუჰუ	„ყრუ“
ყუყინ	„ჭრა“	ყუყინ	„დამცირება“
ბუყან	„დამალვა“	ბუყან	„გადაყლაპვა“
ყუყა	„გაჭერი“	ყუყა	„ხროვა“
ყუტ	„კაკუნი“	ყუტ	„ნაკუწი“ და სხვა.
<b>ჰ̄</b> (გრძელი ჩვეულებრივი)		<b>ჰ̄</b> (გრძელი ფარინგალიზებული)	
ხიჰ̄	„ყლუპი“	ხიჰ̄	„ხუთი“
ჰ̄უ	„ქუხილი“	ჰ̄უ	„ტკივილი“
ყჰ̄ყუ	„დაჭრილი“	ყჰ̄ყუ	„დამცირებული“

ლაკური ენის ფარინგალიზებულ ხმოვანთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ ენის ფონოლოგიურ სტრუქტურაში ამჟამად ფუნქციონირებს შემდეგი ფარინგალიზებული ხმოვანი ფონემები: ა, ა̄, ი, უ, უ̄. იგივე ხმოვნები მოი-

პოეზია დარგული ენის კუბაზურ დიალექტშიც, რომელსაც ლაკურიდან განსხვავებით დამატებით აქვს კიდევი და ო.

**2. 4. მახვილის საკითხისათვის ლაკურში.** პ. უსლარის მონოგრაფიაში მახვილის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „მახვილი სიტყვებში ყოველთვის მკაფიო არ არის და ხშირად იცვლება იმისდა მიხედვით თუ როგორ არის მომართული მეტყველებათ“ [უსლარი 1990 : 4].

მახვილის გარკვეული ადგილის შესახებ ლაკურ მეტყველებაში ცნობებს გვაძლევს ლ. ჟირკოვიც. იგი წერს: „ლაკურ ენაში მახვილი შეიძლება სუსტად მივიჩნიოთ, მაგრამ ყველა ფორმაში მას სავსებით განსაზღვრული ადგილი უჭირავს და წარმოთქმისას ლაკებს შეუძლიათ იგი გამოკვეთონ და გააძლიერონ“ [ჟირკოვი 1955 : 15].

ლაკურ ლექსმათა სტრუქტურულ თავისებურებებთან დაკავშირებით მახვილის საკითხს ეხება ს. საიდაყოვიც, თუმცა მის ნაშრომში ლაკური მახვილის საკითხების ყოველმხრივი გაშუქება არ არის წარმოდგენილი [საიდაყოვი 1961 : 157-158]. მახვილის დაწვრილებითი აღწერა-დახასიათება პირველად წარმოადგინა თავის ნაშრომში პ. მურყელინსკიმ [მურყელინსკი 1971, გვ. 53-56]. შედარებითი ანალიზი ლაკურ-დარგული მახვილისა მოგვცა ა. აკიევი [აკიევი 1982 : 97-103].

პ. უსლარს ლაკურ სიტყვებში მახვილი არც აღუნიშნავს მისი სისუსტის გამო, თუმცა მის მიერ აღწერილ ყველა დანარჩენ ენაში მახვილს სათანადო ყურადღება ექცევა.

ლაკური მახვილის ამჟამინდელი მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება დავახასიათოთ მისი შემდეგი თავისებურებების მიხედვით:

ა) მახვილი, როგორც წესი, ეცემა მარცვალზე, რომლის შემადგენლობაშიც ფუნქციონირებს გრძელი ხმოვანი, სიტყვაში მისი პოზიციისაგან დამოუკიდებლად.

ბ) მახვილი მოუდის აგრეთვე მარცვალს, რომელიც დიფთონგის შემცველია.

თუ სახელი ან ზმნა გრძელ ხმოვანს არ შეიცავს, მაშინ ლაკურ სახელთა დიდი ნაწილი ნომინატივის ფორმაში, აგრეთვე ზმნური ფორმები ამჟამად მახვილთან მიმართებით ნეიტრალურად წარმოგვიდგებიან: ბაკუ „ბორცი“, ჩარუ „ქვა“, ლაყა „მუცელი“; ქულუ „კუჭი“, ბადაქუ „ფაშვი“, ჭიმუჭალი „პეპელა“, სირსილუ „უღლაში“, ყაყარი „ხორხი“, ჩინა „დაწერე“, ჰაჭლაჭი „დალიეთ“, ჩინლაჩი „დაწერეთ“ და სხვა. თუმცა იგი მაინც გამოხატულია, ძლიერ სუსტად, ბოლოდან მეორე მარცვალზე ორ და სამმარცვლიან სიტყვებში.

იგივე სახელები ავლენენ შედარებით ინტენსიურ მახვილს ზოგიერთი ბრუნვის ფორმაში (მაგ., მხოლ. და მრავლ. რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში): ბაკულ || ბაკურდელ, ჩარულ || ჩართალ, ლაყმულ || ლაყრდელ, ბადაქულ || ბადაქურთალ, ყაყართულ || ყაყართალ.

მახვილის გადანაცვლება მარცვლის მეორე ბოლოდან წინამავალზე ან მომდევნოზე უშუალოდ არის დაკავშირებული ამ ენაში გრძელი ხმოვნების ფორმირებასთან. იქ, სადაც ხმოვნის სიგრძე არ ვლინდება დახურული მარცვლის გამო, ეს გარემოება აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. შესაძლოა ეს ხელს უწყობდეს იმ საკითხის გამორკვევას, თუ რატომ ხდება მახვილი აქ დინამიკური. ასე, მაგალითად, უარყოფით ზმნაში ბაკარ „არ არის“ მახვილი გადანაცვლებულია ბოლოდან პირველ მარცვალზე, თუმცა ხმოვნის სიგრძე გამოხატუ-



ლი არ არის. ამავე დროს იგი წარმოადგენს მარცვალს ხმოვნის პოტენციალური სიგრძით, როგორც აღინიშნა, ლაკური ენის სახელთა უმეტესობა ნომინატივის ფორმაში მახვილთან მიმართებით ნეიტრალურად წარმოგვიდგება. თუმცა ნაკლებად, მაგრამ დასტურდება სახელებიც ინტენსიური მახვილით, რომელიც ეცემა ასევე ბოლოდან მეორე მარცვალზე: ბარზუ „არწივი“, ბრნი „ირემი“, ბარზუ „ჯიხვი“, დანუ გამყიდველი“ და სხვა. მაგრამ მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ასეთ სიტყვათა დიდ ნაწილში მახვილი გადაიწვეს ხოლმე ბოლოდან პირველ მარცვალზე: ბარზუ („არწივი“), მაგრამ ბარზული || ბარზულთ „არწივები“. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისტორიულად ფორმანტი შეიცავდა ხმოვან კომპონენტსაც \*-ულთ (შდრ. დარგ.-ულთი: ლადრა „ჭიქა“. ლა-დრა-ულთი ლადარულთი, ჩაღირა „ბაწარი“: ჩაღირა-ულთი ჩაღირულთი და სხვა), რომელიც წინამავალ ხმოვანთან შერწყმით ხელს უწყობდა მისი სიგრძის ფორმირებას: \*ბარზუ + ულთ \*ბარზულთ (დახურული მარცვალი), ხოლო ნათ. ბრ. ფორმებში ბარზულ და ბარზულთრალ \*ბარზუ + ულთ-რა-ლ; შდრ. აგრეთვე: ხაი „მტრედი“, მრ. რ. ხაირუ, მაგრამ ხაირულთ || ხაირულთ \*ხაირულთ \*ხაირუ + ულთ. ნათქვამი ეხება მრავლობითი რიცხვის სხვა ფორმანტებსაც, რომლებიც მახვილის გადანაცვლებას უწყობენ ხელს: ზუნთუ „მთა“, ნათ. ბრ. ზუნთულ, მაგრამ მრ. რ. ზუნთურდუ „მთები“ \*ზუნთურდუ \*ზუნთუ + ურდუ, ხოლო ნათ. ბრ. ზუნთურდულ \*ზუნთურდულ \*ზუნთუ-ურდულ (ურუ + დუ -ურდუ რდუ, შდრ. დარგ. -ურთი) [იხ. აკიევი 1982 : 98].

მსგავსი ვითარებაა ფორმებში ჩავაოთუ „საიდან?“ \*ჩა-აოთუ ჩაოთუ, ჩა+ბურუ „არის“ ჩარუ „საიდან ხართ?“ და უჩად „ამბობდა რა“ + ბურუ „არის“ \*უჩაურუ უჩარუ ჩარუ „ვამბობთ“, თუმცა არსებობს მესამე ფორმაც, რომელშიც ორივე ხმოვანი უკიდურესად რედუცირებულია და ნომინატივში ნეიტრალური ჩანს მახვილთან მიმართებით. ეს არის ჩარუ „ქვა“. ნათესაობით ბრუნვაში, აგრეთვე მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში ეს სიტყვა ინტენსიურ მახვილს იძენს: ჩარული: ჩართუ || ჩართალ.

მახვილის ინტენსიური მდგომარეობა წარმოადგენილი აგრეთვე ორ და სამმარცვლიან ზმნებში, თუ, რა თქმა უნდა, მათ შემადგენლობაში არ არის დიფთონგური წარმონაქმნი ან გრძელი ხმოვანი: ლასუნ „აღება“, ლქან „ჭამა“, თიირიჰინ „გახსნა“ და სხვა. მაგრამ თიირიჰავან (დიურატ. ფორმა) „გახსნა“ ანდა თანალ ლასან „იგი იღებს“, თანილ ლქან „იგი ჭამს“, თანალ თიირიჰან „იგი ხსნის“, ნა ლასავ || ლასავ „მე ავიღე“, თანალ ლარსრე? „მან აიღო?“ და სხვა.

როგორც წესი, დიდი ნაწილი საერთო ლაკურ-დარგულური ენობრივი ერთობის ლექსემების წარმოადგენდა ერთ- და ორმარცვლიან ფუძეებს, რომელთა შემადგენლობაშიც ფუნქციონირებდნენ გრამატიკულ კლასთა ექსპონენტები. ეს კლასოვანი მარცვალი მახვილიანი აღმოჩნდებოდა ხოლმე: ათან || ბ-ა-თან || დ-ა-თან „დაპობა“ და სხვა. თუმცა დრო-კილოთა ზმნური ფორმების წარმოებისას ფუძეები ფართოვდებოდნენ და მახვილი თავის პოზიციას ინარჩუნებდა ანდა ანალოგიის მიხედვით გადაინაცვლებდა ხოლმე ბოლოდან მეორე მარცვალზე: ა-ვ-თაუნნი || ბ-ა-ვ-თაუნნი და ა. შ.

-სა სუფიქსის მეშვეობით ზედსართავთა წარმოებისას ხდება მახვილის გადაინაცვლება, რაც განაპირობებს მხოვნის სიგრძის ფორმირებას: ვაკვი („ყვითელი“) + ხ-უს „გამხდარი“ \*ვაკვიუს ვაკვისა ვაკვისა „ყვითელი“.

სხენებული მდგომარეობა ვრცელდება ზმნურ ფორმებზეც, რომელთა შემადგენლობაშიც ამჟამად მოქმედ-

ბენ გრამატიკულ კლასთა ექსპონენტები: -უ-რ-ჟ-ვ-ზუნუ || ბუ-რ-ჟ-ვ-(-ა)-ზუნუ || დ-ჟ-რ-ჟ-რ-ზუნუ „შეკერა-რა“ და სხვა.

გარკვეულ პირობებში მასველი გადაღის სიტყვაწარმოებით სუფიქსებზე:

შალმაჯ „ტყუილი“	შალმაჯ-ჩრ	„მატყუარა“
ვათაა „სახლი“	ვათლუ-ჭან	„სახლთან“
თა „იგი“	თან-აჰ	„მასთან“
ვინსაა „კარგი“	ვინ-მან	„ის ვინც კარგია“

მასველი მუდამ დაისმის ხოლმე შემდეგ სიტყვაწარმოებით სუფიქსებზე:

- ჩი: ვაღაღ „კალა“ – ვაღაღ-ჩრ „მკალავი“, მაშა „ვაჭრობა“ – მაშა-ჩრ „ვაჭარი“;
- ქარ: აყლუ „ჭკუა“ – აყლუ-ქარ „ჭკვიანი“, სანათ „ხელობა“ – სანათ-ქარ „ხელოსანი“;
- უ: ჩიჩინ „წერა“, ჩიჩ-ჟ „მწერალი“, ჰაჭან „სმა“, ჰაჭ-ჟ „მსმელი“, „ლოთი“;
- ალა: უჩინ „თქმა“, უჩა-ლს „თქმულება“.
- შავუ: ვინშავუ „გამოჯანმრთელება“, არხ-შავუ „მოცილება“;
- მა: არხსა „შორი“, არხ-მან „ის, ვინც შორს არის“, ლაქსა „ახლო“, ლან-მა „ის, ვინც ახლოს არის“;
- ალუ: მავ „უკან“, მავ-ალუ „უკანა ნაწილი“;

მასველიანია აგრეთვე სიტყვაგვარების გამომხატველი შემდეგი სუფიქსები:

- ხ ზუნ: თანან ზუნ „მას“, ღუშინხ ზუნ „ქალიშვილს“;
- ვუნ: ვათლუ-ვუნ „ოთანში“, თანა-ვუნ „მასში“;
- შალ: ურჭაშალ „ბავშვთან“;
- დინ: თანადინ „მასზე“;
- ჭან: თანა-ჭან მასთან“;
- წუნ: თანა-წუნ „მასთან ერთად“;

მასველი ეცემა ბრუნვის სუფიქსებზე, რომლებიც ქმნიან ღია მარცვალს. მაგალითად:

- ჭა: თანა-ჭან „მასთან“, ჭირა-ჭან „კედელთან“;
- შა: თანა-შან „მისგან“;
- ვა: ვათლუ-ვან „სახლიდან“;

მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი -ივ სუფიქსიც ასევე მასველიანია: შარაში „წყარო“, შარაშიარ „წყარობი“, ვვატი „ქორწილი“, ვვატრვ „ქორწილები“;

ასეთივე ვითარებაა თხრობითი კილოს გამომხატველ -არა ფორმანტშიც:

უჭან „მოსვლა“	უჩარა „მოვლივარ“
ლასუნ „აღება“	ლასარა „ვიღებ“
აჩვინ „წასვლა“	აჩვარა „მივლივარ“ და სხვა.

ბრძანებითი კილოს -ა, -ი, -უ ფორმანტებში: ჩიჩინ „წერა“, ჩიჩნ-ს „დაწერე“, ლასუნ „ალება“, ლას-ნ „აი-ლე“, შანან „ძილი“, შანან-შ-უ „დაიძინე“ და სხვა.

მიმღებობათა და ზედსართავთა ბოლოკიდურ ღია მარცვალზე: ჩიჩლარ „ურჭე“, მწერალი ბიჭი“, შანანში ღუმ „მინარე ქალიშვილი“, ლავ ხუელუ „გრძელი გზა“, კანლ ჩალარ „თეთრი ქაღალდი“ და სხვა.

განმეორებითი მოქმედების გამომხატველ ზმნურ ფორმებში:

ჩიჩინ „დაწერა“, ჩიჩავან „წერა“, უჭან „მოსვლა“, უჭავან (განმეორ. ფორმა);

ზმნისართთა ბოლოკიდურ მარცვალზე: ქუნს (ქუნ-მს, ქუნ-ნს): თა ქუნს „როგორც ის“, ჰანთა ქუნმს „როგორც ღლე“, შარსა ქუნნა „როგორც ქალი“...

აბსოლუტივის -ნა ფორმანტზე, რომელიც გამოხატავს მოქმედების განგრძობითობას, მაგალითად, ქვანადან „ჭამდა-რა“, ზანადან „მიმოდიოდა-რა“, ლევჩუნს ლავკუნნი „სირბილით წავიდა“..

ყველა დიფთონგზე: ქვანად „ჭამა-ჭამით“, ჩარდ „ქვაზე“, ჰუზუდ „ბანაობით“, ხუესა „კარგი“, დზულსა „საწყალი“, ავლრდა „ცუდი“, ჰარზუ „მეწისქვილე“...

მახვილი ეცემა აგრეთვე ღია ან დახურულ მარცვალზე, რომელიც შეიცავს გემინირებულ (ინტენსიურ) ან ლაბიალიზებულ თანხმოვანს, მაგალითად, შაიკვან „ჯდომა“, ნაჟრი „აღვირი“, შვპტი „ტალა“, ქვანა „ძუკნა ძაღლი“, შადლმავ „ტყუილი“, ხარლან „ტარება“, ხუელუ „გზა“, ხალცი „ნაკაწრი“, თანდა „ლაქა“, კვარა „ქურა“ და სხვ.

**3. ხმოვანთა შესატყვისობანი დარგუულსა და ლაკურს შორის.** ლაკურ-დარგუულ ენებში ხმოვანთა შესატყვისობებს ვრცლად ეხება ა. აკიევის ნაშრომი [აკიევი 1982 : 91-94]. დადგენილია შემდეგი სახის კორესპონდენციები:

1. დარგ.	ე    ი	– ლაკ.	ა:
„	მეზ    მეძ	– „	მაზ „ენა“
„	ლერნა    ღირნა	– „	თარნ „ჯოხი“
„	ნეგ    ნიგ	– „	ნან „რბილობი“
„	ნერლ    ნირლ	– „	ნაყ „ცრემლი“
„	ბეკ    ბიკ	– „	ბაკ „თავი“
„	ბეწ    ბიწ	– „	ბარწ „მგელი“ და სხვა მრავალი
2. დარგ.	ა	– ლაკ.	ი:
„	ვაძა    ვაზა	– „	ნიწ „თაფლი“
„	კანტ	– „	ჭინტ „წვეთი“
„	კაზ	– „	კიზ „აბრეშუმი“
„	გათა	– „	ჩითუ „კატა“
„	ჩატა	– „	ჩიტუ „მერცხალი“
„	ბათეს	– „	ბითან „დატოვება“

<b>3. დარგ.</b>	<b>ა</b>	<b>- ლაკ.</b>	<b>უ:</b>
„	შალი	- „	ჩულ „გვერდი“
„	ხარ	- „	ხუ „კალთა“
„	ჭალა	- „	კუნუ „წილი“
„	ვაშეს	- „	ბუნ ბუ „მოსვლა“ და სხვ.
<b>4. დარგ.</b>	<b>უ</b>	<b>- ლაკ.</b>	<b>ა:</b>
„	ქელესა	- „	ქანიშ „სამაჯური“
„	ლუღეშ	- „	თათბა „მამა“
„	ხუნულ	- „	შარ „ცოლი“, „ქალი“
„	ზუბ	- „	საბ „ცა“ და სხვა.
<b>5. დარგ.</b>	<b>ი</b>	<b>- ლაკ.</b>	<b>უ:</b>
„	ჩინა	- „	ჩუნ „საით“
„	კიპა	- „	კუპა „ქერის ალაო“
„	გიღვარი	- „	ქუნუქ „კვერცხი“
„	ჩინტ	- „	ჩუნტ „მეჭეჭი“
„	ქიპა	- „	ქუ „ვერძი“
„	ჩინწ	- „	ჩუნ „ჩინახვი“
„	ჭი	- „	ჭულე „მაფი“
„	ბიწეს	- „	ბუნინ „ავსება“
„	ბიკეს	- „	ბუვჭინ „არჩევა“
„	ძი    ზი	- „	წუ „მარილი“
„	თექუ    თიქუ	- „	თაიქი „ჩოჩორი“ და სხვა.
<b>6. დარგ.</b>	<b>უ</b>	<b>- ლაკ.</b>	<b>ი:</b>
„	ლულეკ    ლულიკ	- „	თაილიკ „ღვიძლი“
„	მუწურ	- „	ჭირი „წვერი“
„	შულერქ	- „	შირა „ჭია (მუცლის)“
„	კუნულ	- „	კიჭალა „კოვზი“
„	ლიშეს	- „	ლიშინ „ლაღება“ ...

ლაკურ-დარგული ერთობის დონეზე ფარინგალიზებულ ხმოვანთა სისტემის წარმოქმნის შემდეგ გაჩნდა შესაბამისი ბგერათშესატყვილობაც:

<b>7. დარგ.</b>	<b>ა</b>	<b>- ლაკ.</b>	<b>ჟ:</b>
„	ყაპა	- „	ყაჟა „ქული“
„	ყამა	- „	ყაჟა „ნაცარქათამა“

	„ შან	– „ შარ „ბელურა“...
8.	დარგ. ჟ	– ლაკ. ა:
	„ ლაჟი	– „ ლაჟინ „ლოყა“
	„ ჰჰბ	– „ ჰჰვ „საფლავი“
	„ ვა	– „ ვა „ფიცი“
	„ ფარ-ფარ	– „ ფარ-ფარ და სხვა მავალი.
9.	დარგ. ჟ	– ლაკ. ი:
	„ ყაჟა	– „ ვაიჩი „ნამცხვარი“
	„ ვანტა	– „ ვინვა „კეფა“
	„ ჭანკი	– „ ჭინჭუ „ქსოვილის ნაჭერი“
	„ ზავ-ზავ	– „ ზივ-ზივ „ბზული“ და სხვა ძირეული და ნა- სესხები სიტყვები.

დარგულის ხმოვანთა შესატყვისობები, ლაკურ ენასთან შედარებით, ზუსტად ასახვენ ამ ენის ძლიერ და ღრმა დიალექტურ დიფერენციაციას.

#### 4. ფონეტიკური პროცესები ლეზგიური ენების ვოკალურ სისტემაში


**4. 1. ზოგადი.** სხვა ენათაგან განსხვავებით, რომელთა ვოკალური სისტემები ე. წ. სამკუთხედს ჰქმნიან, ლეზგიურ ენებში ხმოვნები შეიძლება „მართლკუთხედში“ მოთავსდეს. თავისებურებას იჩენს მხოლოდ არჩიბული და წახური ენები, რომელთა ხმოვნებიც „სამკუთხა“ სისტემისაა. განსხვავება არჩიბული და წახური ენების ვოკალურ სისტემათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ „ირაციონალური“ წახურში არის მაღალი აწეულობის ბგერა, რაც, სავარაუდოდ, „ოთხკუთხა“ სისტემის ნაშთი უნდა იყოს, ხოლო არჩიბულში – საშუალო აწეულობის („ნეიტრალური“ – საშუალო აწეულობისა და შუა რიგის). შესაძლებელია, რომ არჩიბულში საერთოდ აღესრული მდომარეობა იყოს შემონახული, თუმცა არჩიბულშიც შეინიშნება გარკვეული ფონეტიკური პროცესები, რომელიც აღძრავს ეჭვს, რომ მისთვისაც სხვა ლეზგიური ენებისათვის დამახასიათებელი სისტემა უნდა ყოფილიყო ამოსავალი (კიბრიკი და სხვ. 1977: I-220), ხოლო მისი ტრანსფორმაცია, ასეთ შემთხვევაში, ხუნძური ენის გავლენას უნდა მივაწეროთ.

ჩვეულებრივ „სამკუთხა“ სისტემათაგან განსხვავებით რვა ლეზგიურ ენაში დადასტურებული „ოთხკუთხა“ ხმოვანთა სისტემა შემდეგ თავისებურებებს ავლენს: ა ბგერა, რომელიც „სამკუთხა“ სისტემის მქონე ენებში შუა რიგის ბგერაა, ლეზგიურ ენებში უკანა რიგის ხმოვანს წარმოადგენს. წინა რიგის ხმოვნები (ე,

ი) ლეზგიურ ენებში უფრო წინ იწარმოება, ხოლო უკანა რიგის ხმოვნები – შედარებით უკან. ლეზგიურ ენებში სხვა ხმოვნებზე პერიფერიულია, რაც აძლიერებს მათ პალატალურ, ლაბიალურს ან სხვაგვარ არტიკულაციას, რომელიც ახდენს ზეგავლენას როგორც წინამავალ, ასევე მომდევნო თანხმოვნებზე. ამის გამო, ლეზგიური ენებში გავრცელებულია თანხმოვანთა რეგრესული პალატალიზაცია წინა რიგის ხმოვნებთან და რეგრესული ველარიზაცია უკანა რიგის ხმოვნებთან. შესაძლებელია პროგრესული პალატალიზაცია (თაბასარანული, ხინალულური), ჩვეულებრივია პროგრესული ლაბიალიზაცია.

„მართლაც“ ხმოვანთა სისტემის მქონე ლეზგიურ ენებს არ მოეპოვება შუა რიგის ხმოვნები. ამის საპირისპიროდ, არჩიულში შეინიშნება ტენდენცია ხმოვანთა ნეიტრალიზაციისკენ.

შდრ. არჩიულისა და ლეზგიური ენების ხმოვანთა განლაგების სქემას:



**შენიშვნა:** ფრჩხილებში ჩასმულია ფონეტიკური ღირებულების არმქონე ან დიალექტებში დადასტურებული ბგერები.

ლეზგიური ენები კონსონანტიზმის სირთულის პირობებში ვოკალიზმის სიმარტივეს ამჟღავნებენ – ხმოვნების რიცხვი ათს არ აღემატება: ლეზგიურში, თაბასარანულსა და ალულურში ხუთ-ხუთი ფონემა დასტურდება (ა, უ, ე, ი, ჟ), არჩიულში, რუთულურსა და წახურში – ექვს-ექვსი (ა, ე, ი, ო, უ, გ – არჩიულსა და წახურში<sup>64</sup>; ა, უ, გ, ე, ი, ჟ – რუთულურში), კრიწულში, ხინალულურსა და უდიურში – ცხრა-ცხრა (ა, ო, უ, გ<sup>65</sup>, ა, ე, ი, ო<sup>66</sup>, ჟ), ხოლო ბუღუხურში – ათი (ა, ო, უ, გ, ჳ, ა, ე, ი, ო, ჟ). კავკასიის აღმანათლებელი ხელნაწერ და ეპიგრაფიკულ ძეგლებში ათი ხმოვანი დასტურდება (ა, ე, ი, ო, უ, ა<sup>67</sup>, ე<sup>68</sup>, ი<sup>69</sup>, ო<sup>70</sup>, უ<sup>71</sup>), თუმცა ფარინგალიზებული ხმოვნების ფონემურობის საკითხი გარკვევას მოითხოვს.

**4. 1. 1. მარტივი ხმოვნები:**

ლეზგიურ ენებში წარმოდგენილია ექვსი მარტივი ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ, გ); ამათგან, ა შეიძლება რეალიზებული იყოს როგორც შუა ან უკანა რიგის ხმოვანი და როგორც დაბალი ან საშუალო აწეულობის ბგერა. გ-ც ორგვარი გვხვდება – მაღალი და საშუალო აწეულობის, ამასთან, ბუღუხურში ორივე დასტურდება და ორივეს მოეპოვება ფონემის სტატუსი. ა, უ, ე და ი ხმოვნები ყველა ლეზგიურ ენაში დასტურდება, ხოლო ო და გ –

<sup>64</sup> საკ. წახურში. წახური ენის დიალექტებში პალატალიზებული ხმოვნებიცაა წარმოდგენილი (ჳ, ო, ჟ ან ა და ჟ).

<sup>65</sup> ვართამნულში გ-ს არ მოეპოვება დისტინქციური ფუნქცია.

<sup>66</sup> ო კრიწულში გვხვდება იშვიათად.

ზოგიერთ მათგანში.

ა – მახვილის ქვეშ არ განიცდის ცვლილებებს, ხოლო უმახვილო პოზიციებში შეიძლება მოგვეცეს **გ**. ლაბიალიზებული თანხმონის დელაბიალიზაციის შედეგად მომდევნო ა ხშირად გვაძლევს **უ**-ს ან **ო**-ს, მაგ., ლეზგ. **სჟას**, რუთ. **სუს**, წახ. **სოს** „პატარძალი“;

უ – თითქმის არ განიცდის ცვლილებებს. როგორც აღინიშნა, ხშირადაა მიღებული თანხმონთანა დელაბიალიზაციის შედეგად.

ე – თანხმონთანა დელაბიალიზაციის შედეგად ხშირად გადადის **უ**-ს ან **ო**-ში. გავრცელებულია ე ბგერის მონაცვლეობა ი და ა ბგერებთან.

ი – მახვილიან მარცვალში არ განიცდის ცვლილებებს. ლაბიალიზებული თანხმონის დელაბიალიზაციის შედეგად ი ხშირად გვაძლევს **უ**-ს ან **ო**-ს.

ო – ეს ბგერა დასტურდება არჩიბულ, წახურ, კრიწულ, ბულუხურ, ხინალულურ, უდიურ ენებსა და რუთულურ ენის ბორჩულ დიალექტში. **ო** კავკასიის ალბანურშიც მოგვეპოვებოდა. ლეზგიურ ენებში **ო** ბგერა მეორეული ჩანს და, როგორც წესი, თანხმონთანა დელაბიალიზაციის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი ( $C^WV > C^o$ ). **ო** ბგერა განსაკუთრებით ხშირად გვხვდება იმ ენებში, რომლებშიც ლაბიალიზებული თანხმონები (ან კომპლექსები) გამარტივდა (ბულუხური, უდიური, კავკასიის ალბანური). არჩიბულ ენაში **ო** ბგერა ხშირად ა-საგან არის მიღებული **ჟ**-ს გავლენით, მაგ., **ყადყის** (II კლ.), **ყაყის** (IV კლ.), **ყოჭყის** (< **ყაჭყის**) „მოცდა“...

გ – ეს ბგერა წარმოდგენილია რუთულურ, წახურ, კრიწულ, ბულუხურ, ხინალულურსა და უდიურ ენებში, ხოლო ლეზგიურ ენაში იგი ძირითადად, სამურული დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ის, შედარებით იშვიათად, ყუბის დიალექტებშიც დასტურდება. კიურულში ეს ბგერა მხოლოდ ყურახის დიალექტსა და გილიარის კილოკავში გვხვდება. **გ** ბგერის ჩამოყალიბება ლეზგიურ ენებში, ერთი მხრივ, ხმონთანა რედუქციას უკავშირდება, ხოლო, მეორე მხრივ, იგი **ი** ბგერის პოზიციურ კორელატად წარმოგვიდგება. ეს ბგერა ხშირად აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სიტყვებშიც გვხვდება.

ამას გარდა, ლეზგიურ ენებში დასტურდება **პალატალიზებული (უმლაუტიანი), გრძელი და ნახალიზებული** ხმონები.

4. 1. 2. **პალატალიზებული ხმონები** წარმოდგენილია: ლეზგიურში (**ჟ**; დიალექტებში – **ჰ**), თაბასარანულში (**ჟ**), ალულურში (**ჟ**; დიალექტებში – **ჰ**), რუთულურში (**ჰ, ჟ**), წახურში (**ჰ, ო, ჟ** – საბუნჩის კილოკავში; **ჰ, ჟ** – გილმეწურ კილოკავში), კრიწულში (**ჰ, ო, ჟ** – ო კრიწულში დასტურდება იშვიათად და ისიც – ნასესხებ სიტყვებში), ბულუხურში, ხინალულურსა და უდიურში (**ჰ, ო, ჟ**).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა რამდენიმე თვალსაზრისი პალატალიზებული ხმონების შესახებ. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, პალატალიზებული ხმონები ფუძე-ენისეულია (**ჰ, ჟ** – ბოკარევი 1965: 45; **ჰ, ჰ** – სტაროსტინი 1975), ხოლო სხვა მკვლევრები მათ აზერბაიჯანულიდან ნასესხებად ან (// და) ფონეტიკური ცვლილებების შედეგად წარმოქმნილად მიიჩნევენ.

აზერბაიჯანული ენის გავლენა, საფიქრებელია, გადამწყვეტი იყო უმლაუტიანი ხმონების წარმოქმნისას უდიურში, კრიწულში, ბულუხურში, ხინალულურსა და წახური ენის საბუნჩის კილოკავში, რომლებშიც პალატალიზებულ ხმონთანა სამწევრა სისტემა დასტურდება, თუმცა, ამას გარდა, შეინიშნება პალატალიზებული

ხმოვნების მიღების კიდევ რამდენიმე გზა. პალატალიზებული ხმოვნები ხშირად მიღებულია ფარინგალიზებული არტიკულაციის შესუსტების შედეგად. ლეზგიურ ენებში ფარინგალიზაციას, როგორც წესი, ახასიათებს პალატალური ტემბრი. პალატალიზებული ხმოვნებიც ხშირად ფარინგალიზებული კოარტიკულაციით გამოიჩევიან; ასე, მაგალითად, ლეზგიური ენის კიურულ და ყუბის დიალექტებში  $\text{ვ}$  ბგერას ახასიათებს ძლიერი ფარინგალიზებულობა. ამას გარდა, ასეთი ტიპის ბგერები ალულურსა და რუთულურში გვხვდება.

თაბასარანულ ენაში, როგორც აღნიშნავს ალ. მაჰომეტოვი,  $\text{ჟ}$  მიღებულია  $\text{უ}$ -საგან მომდევნო თანხმოვნის დელაბიალიზაციის შედეგად (მაჰომეტოვი 1965: 29). ანალოგიური მოვლენა დასტურდება რუთულურ, ბულუხურ და კრიწულ ენებში.

კრიწულ, ბულუხურ, რუთულურ და წახურ ენებში  $\text{ვ}$  გვეკვლინება  $\text{ე}$ -ს რეფლექსად, მაგ., რუთულურში:  $\text{ჰებ} > \text{ჰებ}$  „ფრჩხილი“,  $\text{ზერ} > \text{ზარ}$  „ძროხა“,  $\text{ნისე} > \text{ნისა}$  „ყველი“; კრიწულსა და ბულუხურში  $\text{ქალ}$  „ბატკანი“, შდრ. რუთ.  $\text{გელ} // \text{გელეფ}$ , წახ.  $\text{გეჟ}$  „id“; ყალ „მარილი“, შდრ. რუთ.  $\text{ყელ}$ , წახ.  $\text{ყეჟ}$  „id“...

**4. 1. 3. გრძელი ხმოვნები** ლეზგიურ ენებში წარმოდგენილია არჩიბულში, ხინალულურში ( $\text{ა}$ ,  $\text{ჟ}$ ,  $\text{ბ}$ ,  $\text{რ}$ ,  $\text{ჟ}$ ), წახურში ( $\text{ა}$ ,  $\text{ჟ}$ ,  $\text{ბ}$ ,  $\text{რ}$ ,  $\text{ჟ}$ ), რუთულურში ( $\text{ა}$ ,  $\text{ჟ}$ ,  $\text{ბ}$ ), კრიწულსა ( $\text{ა}$ ,  $\text{ბ}$ ) და ლეზგიური ენის იარკიულ დიალექტში ( $\text{ა}$ ,  $\text{ჟ}$ ). გრძელი ხმოვნები მეორეულია არამართო დიაქრონიულ დონეზე, არამედ საეჭვოა გრძელი ხმოვნების ფონემურობა სინქრონულ დონეზეც კი. ასე, მაგალითად, არჩიბულ ენაში სიგრძე ხშირად ექსპრესიულობის ნიშანია – ის ხაზს უსვამს რაოდენობრივ ან ხირისხიბრივ შეფასებას ზედსართავებსა და ზმნისართებში, მაგ.,  $\text{მჟში}$  „კარგი“,  $\text{ცნჟუთ}$  „გემრიელი“,  $\text{ტინნა}$  „ცოტა“...

ხმოვანთა სიგრძეს მორფოლოგიური ფუნქცია მოეპოვება წახურში. გრძელი ხმოვნები უპირისპირდება მარტივს და ასრულებს რაიმე სიტყვაწარმოებით ფუნქციას, მაგ.,  $\text{აჟალ}$  „ქვემოთ“ –  $\text{აჟალ}$  (ტოპონიმი),  $\text{ღალა}$  „მაღლა“ –  $\text{ღალა}$  (ტოპ.)...

რუთულურშიც ხმოვანთა სიგრძე მორფოლოგიური ფუნქციის მატარებელია. ის ძირითადად სამ გრამატიკულ ფაქტს უკავშირდება: თანდებულის ბრინვათა სერიებში ფორმათა ცვლილებას; ადგილის ზმნისართებში, მაგ.,  $\text{ა}$  „ქვემოთ“,  $\text{ჟალ}$  „ქვემოდან“,  $\text{ჟ}$  „ზემოთ“,  $\text{ჟალ}$  „ზემოდან“,  $\text{მიდა}$  „აქედან“,  $\text{თინა}$  „იქიდან“ და სხვ.; ზმნურ პრევერბთა შემადგენლობაში, რომლებიც ორიენტირიდან დაშორების სემანტიკის გამომხატველია, მაგ.,  $\text{გინირი}$  „ქვეშ ამოღება“ –  $\text{გუტირი}$  „ქვეშიდან გამოღება“,  $\text{ლისირი}$  „ზედ დაღება“ –  $\text{ლუტირი}$  „აღება (ზედაპირიდან)“...

**4. 1. 4. ნაზალიზებული ხმოვნები** დასტურდება ხინალულურ ენასა (დუშერიევი 1959: 11) და ლეზგიურ ენაში. ნაზალიზაცია აღინიშნება არჩიბულ ენაშიც (კიბრიკი და სხვ. 1977: I-219). ნაზალიზებული ხმოვნების მეორეულობა მკვლევართა შორის ეჭვს არ იწვევს.

ნაზალიზაციას იწვევს  $\text{ნ}$  ბგერის შესუსტება (არჩიბულში ზოგჯერ  $\text{მ}$  ბგერის). ასე, მაგალითად, ლეზგიურში  $\text{ნ}$  ბგერა შემონახულია მხოლოდ სიტყვის ანლაუტსა და ინტერვოკალურ პოზიციაში, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში იგი სუსტდება, იკარგება, თუმცა არა უკვალოდ. ნაზალური თანხმოვნის დაკარგვა ლეზგიურში წინამავალი ხმოვნის ნალიზაციას იწვევს, ანუ ხმოვანთა ნაზალიზაცია ერთგვარ საკომპენსაციო მოვლენას წარმოადგენს. ნაზალიზაცია ლეზგიურში რეგულარული პროცესია, იგი როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ ლექსიკაშიც დასტურდება, მაგ.:



ინსან “ადამიანი” (< ინსან); ვსან “კარგი” (< ვსან); ყურუნ “გახმოზა” (< ყურუნ); ვინტ “ჭანჭიკი” (< ვინტ)...

ასეთივე პროცესი ხინალულურსა და არჩიბულშიც დასტურდება.

ამას გარდა, ხინალულურსა და არჩიბულში ნაზალიზაციის გამომწვევი 6 თანხმოვანი, როდესაც მას მოსდევს ან ველარული ხშული, ანდა უვეულარული თანხმოვანი, არ იკარგება, თუმცა სუსტდება, მაგ.:

ხინ. ანქ „ფეხი“, ინკ „ძვალი“, ენგ „ყველი“, ტგნგ „წვეთი“, გნყ „მზე“ ...

არჩ. ცანხ „ჩხუბი“, თუნგ „თითისტარი“ ...

#### 4. 1. 5. ფარინგალიზაცია:

ფარინგალიზაციის პროცესი ამა თუ იმ ფორმით დასტურდება ყველა ლეზგიურ ენაში კრიწული ენის გარდა. ფარინგალიზაციის პროცესი ლეზგიურ ენებში მკვლევართა მიერ ხშირად განხილული იყო როგორც ხმოვნის სეგმენტური თვისება: ასე, მაგალითად, ევგ. ჯეირანიშვილი რუთულურის, წახურისა და უდიურის ფარინგალიზებული ბგერების საკითხს მიუძღვნა სპეციალური წერილი, რომელშიც რენტგენოგრაფიულ მონაცემთა საფუძველზე მიიჩნია, რომ ამ ენებში ფარინგალიზაცია ხმოვნის თვისებაა და არა თანხმოვნისა (ჯეირანიშვილი 1959: 339-359). უდიურში ფარინგალიზებული ხმოვნების არსებობას აღნიშნავდნენ ვლ. ფანჩიძე და ვ. გუკასიანი, წახურში – ბ. თალიბოვი, თაბასარანულში – ალ. მაჰმეტოვი და სხვ. რუთულურში, წახურს<sup>67</sup> და უდიურში ვარაუდობდნენ ექვსი ფარინგალიზებული ხმოვნის არსებობას (ა<sup>6</sup>,ო<sup>6</sup>, უ<sup>6</sup>, ე<sup>6</sup>, ი<sup>6</sup>, გ<sup>6</sup>)<sup>68</sup>, არჩიბულში – ხუთი (ა<sup>6</sup>,ო<sup>6</sup>, უ<sup>6</sup>, ე<sup>6</sup>, ი<sup>6</sup>), თაბასარანულში – ორი (ა<sup>6</sup>, უ<sup>6</sup>). ამას გარდა, ფარინგალიზებული ხმოვნების აღმნიშვნელი ნიშნები დასტურდება კავკასიის ალბანურ ანბანში (ა<sup>6</sup>,ო<sup>6</sup>, უ<sup>6</sup>, ე<sup>6</sup>, ი<sup>6</sup>).

აღსანიშნავია, რომ ფარინგალიზაციის მიზეზთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა. ზოგიერთი ლინგვისტი-კავკასიოლოგი ფარინგალიზაციას განიხილავს როგორც ხმოვნის სეგმენტურ თვისებას (ევგ. ჯეირანიშვილი, ვლ. ფანჩიძე, ე. ბოკარევი, ბ. გიგინეიშვილი, ბ. თალიბოვი, ვ. გუკასიანი და სხვ.). ნ. ტრუბეცკოის მოსაზრებით კი, ფარინგალიზაციის მიზეზია ე. წ. ემფატიკურად დარბილებული თანხმოვნები (ტრუბეცკოი 1931: 11-12). ამას სხვა მკვლევარებიც იზიარებენ (ჟ. დიუმეზილი, ალ. მაჰმეტოვი, შ. გაფრინდაშვილი, დ. იმნაიშვილი, ელ. ლომთაძე და სხვ.).

სრულიად სხვა მოსაზრება გ. დეეტერსმა გამოთქვა. მისი აზრით, ფარინგალიზაცია ისეთი პროცესია, რომელიც ახასიათებს არა ცალკეულ ფონემას (თანხმოვანსა თუ ხმოვანს), არამედ იგი, ინტონაციის მსგავსად, ვრცელდება მარცვალსა ან მთელს სიტყვაზე (დეეტერსი 1963: 33). ამ მოსაზრებას დაეთანხმა არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1979: 62) და სხვა ზოგიერთი მკვლევარი. აღსანიშნავია, რომ ალ. მაჰმეტოვი აღუღურსა და თაბასარანულ ენებში ფარინგალიზებულ თანხმოვნებს იმოწმებს, თუმცა თაბასარანულ ენაში იგი ფარინგალიზებულ ხმოვნებზეც მიგვითითებს. მკვლევრის აზრით, ფარინგალიზაცია თაბასარანულში ჩვეულებრივ უვეულარულ თანხმოვნებს ახასიათებს, ხოლო ხმოვანთაგან – ასევე უკანა რიგის ხმოვნებს (ა, უ).

<sup>67</sup> ბ. თალიბოვი წახურში მხოლოდ ოთხ გლოტალიზებულს (resp. ფარინგალიზებულს) იმოწმებს (ა<sup>6</sup>,ო<sup>6</sup>, უ<sup>6</sup>, ი<sup>6</sup> – თალიბოვი 1955: 29), ხოლო ევგ. ჯეირანიშვილი – ექვს (ა<sup>6</sup>,ო<sup>6</sup>, უ<sup>6</sup>, ე<sup>6</sup>, ი<sup>6</sup>, გ<sup>6</sup> – ჯეირანიშვილი 1959: 339-359).

<sup>68</sup> რუთულური ენის ბორჩულ დიალექტსა და უდიური ენის ვართაშნულ დიალექტში – ხუთი (ა<sup>6</sup>,ო<sup>6</sup>, უ<sup>6</sup>, ე<sup>6</sup>, ი<sup>6</sup>).

აქედან გამომდინარე, თაბასარანულში, აღ. მაჰომეტოვის აზრით, ხშირად ფარინგალიზებული მარცვალი დასტურდება (მაჰომეტოვი 1965: 49-51).

საყურადღებოდ გვესახება ს. კოდასოვის მოსაზრება. მკვლევრის აზრით, ფარინგალიზაცია ენათა მიხედვით სხვადასხვაგვარად არის გამოხატული. ლეზგიურ ენათაგან, როგორც ს. კოდასოვს მიაჩნია, არჩიულში, წახურსა და უდიურში ფარინგალიზაცია პროსოდის თვისებას წარმოადგენს, რეთულურში – ფარინგალიზებული თანხმოვნები გვაქვს, აღულურსა და თაბასარანულში კილო-თქმათა მიხედვით ფარინგალიზაციას შეიძლება ჰქონდეს როგორც სუპრასეგმენტური, ისე სეგმენტური გამოხატულება (ამასთან, მკვლევრის აზრით, თაბასარანულში ფარინგალიზებულ თანხმოვნებთან ერთად დასტურდება ფარინგალიზებული ხმოვნებიც), ხოლო ლეზგიურში, როგორც მკვლევარს მიაჩნია, ფარინგალიზაციის მიზეზია ჰ ხმოვანი, რომლის გვერდითაც ხდება უკუღარულ თანხმოვანთა ფარინგალიზაცია (კიბრიკი, კოდასოვი 1990: 335-347).

ფარინგალიზებული ხმოვნები საერთოლეზგიური წინარე-ენის ფონოლოგიური სისტემისათვის იყო ნავარაუდები. ე. ბოკარევის აზრით, საერთოლეზგიურში ორი ფარინგალიზებული აღდება (ა°, უ° – ბოკარევი 1960; ბოკარევი 1981: 85), ხოლო ს. სტაროსტინის მოსაზრებით, – ხუთი: ა°, ჰ°, ე°, ი°, ო° (სტაროსტინი 1975).

ის, რომ ფარინგალიზაცია დამანასიათებელი იყო უკვე საერთოლეზგიური მდგომარეობისათვის, ეჭვს არ იწვევს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მაგალითი, რომელიც მოყვანილია ფუძე-ენაში ფარინგალიზებული ხმოვნების დასადასტურებლად, შეიცავს უკუღარულ თანხმოვანს. ეს გარემოება ეჭვქვეშ აყენებს ფარინგალიზაციის პროცესის კვალიფიკაციას საერთოლეზგიურში როგორც ხმოვანთა სეგმენტური თვისების.

პირველადი ფარინგალიზაციის გარდა, რომელიც საერთოლეზგიური ფუძე-ენიდან მომდინარეობს, ლეზგიურ ენებში შეინიშნება მეორადი ფარინგალიზაციის პროცესი: ზოგიერთ შემთხვევაში ფარინგალიზაცია გვევლინება ერთგვარ საკომპენსაციო პროცესად, რომელიც გამოწვეულია უკუღარულ თანხმოვანთა დაკარგვითა ან სხვა კონსონანტებში გადასვლით. შევეცდებით, დავასაბუთოთ ეს მოსაზრება მაგალითებით უდიური ენიდან:

უდ. ა°მ – არჩ. ჯუნ: ლეზგ. ჯუნ: თაბ. ლუნ: აღ. ლუნ: რუთ. ლუნ: ხუნბ. ლეჟ: ანდ. ლაჟუ: აზვ. ლენჩა: ლაკ. ჯან „მხარი“; შდრ. აგრეთვე: წახ. ლულზე „ბარი“;

უდ. ე°მ (ე°შ°) – აღ. ჰან: ხუნბ. ჰერ: აზვ. ჰერე: დიდ. შირუ: ლაკ. ჰიურ: დარგ. შინც „ვაშლი“;

უდ. მი°ლ // მე°ლ – არჩ. ნოჟონ: ლეზგ. ყიფ: თაბ. ყულ: აღ. ცულ: რუთ. ყულ: წახ. ყოუ: კრიწ. ყალ: ბუდ. ყგლ: ხვარშ. აყჟე „თაგვი“;

უდ. (ვართ.) ნანე – ლეზ. ნაყ: აღ. ნაყჟ: რუთ. ნაყა: კრიწ. ნჰყ: ბუდ. ნაყა „გუშინ“;

უდ. პან: კავკ.-ალბ. პან – არჩ. ყჟე-: ლეზგ. ყჟე-: თაბ. ყჟ-: აღ. ჟა-: რუთ. ყჟე-: კრიწ. ყჟა-: ბუდ. ყა-: დიდ. ყა- „ორი“;

უდ. ჟენ-[ნ] (ჟენ-[ნ°]), კავკ.-ალბ. ჟენ-[ნ] – ლეზგ. ჟჟან: თაბ. ლჟან: აღ. ლჟან „ქვა“; შდრ. აგრეთვე: არჩ. ჯჟან: ხუნბ. ყონო „ქვის ფილა“...

ლეზგიურ ენათაგან ასეთივე მოვლენა დადასტურებულია აღულურ ენაში (მაჰომეტოვი 1970: 30).

4. 2. ლეზგიური ენის ვოკალიზმი. ლეზგიურ ენას ვოკალიზმის მარტივი სისტემა ახსიათებს.

ლიტერატურულ ლეზგიურში სულ ხუთი ხმოვანი ფონემაა: **ა, ე, ი, უ, ჟ**. ამას გარდა, ლეზგიურში ხშირად გვხვდება წინა რიგის **ჰ** ბგერა<sup>69</sup>, რომელიც ძირითადად ფარინგალიზებული ან პალატალიზებული თანხმოვნების შემდეგ დასტურდება. ლეზგიური ენის ფონოლოგიურ სისტემას ასევე მოეპოვება ორი გრძელი ხმოვანი (**ჰ, ჰ**), რომელიც ზოგჯერ არც პოზიციურად შეპირობებული ჩანს და არც რაიმე კომბინატორული ფონეტიკური პროცესების შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი (მაგ., თანხმოვანთა რელექციის შედეგად ან სხვა).

**ო** და **გ** ბგერები ლიტერატურულ ლეზგიურში ფონემის სტატუსით არიან აღჭურვილნი – ეს ბგერები მხოლოდ რუსულიდან ნასესხებ ან რუსულის მეშვეობით სიტყვებში დასტურდება, თუმცა ცოცხალ მეტყველებასა და დიალექტებში **ო**-ს ხშირად **უ** ცვლის (ზოგჯერ – სხვა ხმოვანიც), ხოლო **გ**-ს (**ხ**) – **ი**, მაგ., **რიმონტ** (ორთ. рeмонт – რუსულიდან ნასესხები სიტყვების დაწერილობა ლეზგიურში ისეთივეა, როგორც რუსულში) // **რიმონტ** „რემონტი“; **ლესტურ** „ლოქტორი“, „ექიმი“; **თრაქთურ** „ტრაქტორი“; **გილუ** „ჰილოგრამი“ (< **კილო**) **ვერხონი** „უმაღლესი“...

აწეულობა	წინა რიგის		უკანა რიგის	
	არალაბიალიზებ.	ლაბიალიზებული	არალაბიალიზებ.	ლაბიალიზებული
მაღალი	<b>ი</b>	<b>ჟ</b>	<b>(გ)</b>	<b>უ</b>
საშუალო	<b>ე</b>		<b>ა (ჰ)</b>	<b>(ო)</b>
დაბალი	<b>(ჰ) (ჰ)</b>		<b>(ჰ)</b>	

**შენიშვნა:** ფრჩხილებში ჩასმულია ფონეტიკური ღირებულების არმქონე ან დიალექტებში დადასტურებული ბგერები.

**ა** – ქართულია და სხვა ენათაგან განსხვავებით, რომლებშიც **ა** ბგერა შუა რიგისა და დაბალი აწეულობის ხმოვანია, ლეზგიურში **ა**, როგორც წესი, რეალიზებულია როგორც უკანა რიგისა და საშუალო აწეულობის ბგერა. ეს განსხვავება უფრო საგრძნობი ხდება CVC სტრუქტურის ერთმარცვლიან სიტყვებში, მაგ., **ცალ** „კედელი“, **სალ** „ბოსტანი“, **ჭალ** „ენა“, „მეტყველება“, **რახ** „ნემსი“... ლაბიალიზებული თანხმოვნების შემდეგ **ა** აკუსტიკურად **ო** ბგერას უახლოვდება, მაგ., **კახალ** „სახლი“, „ოთახი“, **ხახალ** „რუ“, **ყახან** „ქვა“, **ტახალ** „ჯიხვი“...

ლეზგიური ენის დიალექტებში უკანა რიგისა და დაბალი აწეულობის **ჰ** ბგერაც დასტურდება. ის ხშირად ყურახის დიალექტში გვხვდება და იწვევს წინამავალი ან მომდევნო უვეულარული თანხმოვნების ფარინგალიზაციას, მაგ.: **ხალიდ** (საკ. სახელი); **ლალ** „მაფი“; **ბალკა** „ცხენი“...

**უ** – უკანა რიგის, მაღალი აწეულობის ხმოვანია. მისი წარმოქმნა ქართული **უ**-ს მსგავსია. **უ** ბგერა ლეზგიურში ყველანაირ პოზიციამში გვხვდება, მაგ., **ურთახ** „საერთო“, **ულამ** „ფონი“, **ზულ** „შემოდგომა“, **ჭულ** „ქამარი“, **ყალუ** „მღვრიე“...

<sup>69</sup> ეს ბგერა ლეზგიურ ანბანში **ჟ** ნიშნით გადმოიცემა, რომელიც აგრეთვე **ია** დიფთონგს აღნიშნავს.

**ჰ** – დაბალი აწეულობისა და წინა რიგის ხმოვანი, რომელიც **ჰ** უსლართან ზღვიურ დიალექტში და კილოკავში დასტურდება, თუმცა მისი აკუსტიკური თვისებები განსხვავდება. კიურულ დიალექტებში და, განსაკუთრებით – იარკიულ კილოში, ეს ხმოვანი გამოირჩევა ფარინგალიზებულიობით, სამურულ დიალექტებში იგი არაფარინგალიზებულია, ხოლო ყუბის დიალექტებში – ორივე ვარიანტი დასტურდება. ამას გარდა, იარკიულ დიალექტში დასტურდება (ეს ბგერა არ არის დამახასიათებელი მთლიანად იარკიული დიალექტისათვის, არამედ მხოლოდ ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში დასტურდება) დაბალი აწეულობისა და წინა რიგის პალატალიზებული ხმოვანი, რომელიც, **ჰ** ბგერასთან შედარებით, უფრო უკან იწარმოება და ლიბიალიზებულიობით გამოირჩევა, ანუ იგი **ჰ**-სა და **რ**-ს საშუალო ბგერაა. ეს ბგერა პოზიციურად შეპირობებულია – იგი, როგორც წესი, შერბილებული **ლ** თანხმონის წინ გვხვდება, მაგ.: ფა<sup>ლ</sup> „შუბლი“; გ<sup>რ</sup>ა<sup>ლ</sup> „აღულება“...

**ე** – წინა რიგის, სუშუალო აწეულობის ბგერა. მისი არტიკულაცია თითქმის ისეთივეა, როგორც ქართული ე-სი. ე ბგერა ლეზვიურში პოზიციურად არ არის შეზღუდული, მაგ., ექე „დიდი“, ევერ „თუ“, ყელ „მარილი“, წელ „თხა“, რევ „გზა“, ქელლე „თავის ქალა“, გულლე „ტყვია“...

**ი** – წინა რიგის, მაღალი აწეულობის ხმოვანია. მისი ჟღერადობა ქართული ი-ს ჟღერადობისაგან თითქმის არ განსხვავდება. ი ბგერა ლეზვიურში შეიძლება ყველანაირ პოზიციასში შეგვხვდეს, მაგ., ივი „სისხლი“, ირი „მსხვილი“, ინსან „ადამიანი“, ყიბ „ბაყაყი“, წივინ „ნახშირი“, ჩიმი „თბილი“, კევი „მყარი“... უმახვილი პოზიციასში ხშირია ი-ს რელექცია, მაგ., ქ(ი)თაბ „წივინ“, ვ(ი)სან „კარგი“...

**ჟ** – უკანა რიგის, მაღალი აწეულობის ხმოვანია. ენის მღვობარების მიხედვით ეს ბგერა ი-ს უახლოვდება, თუმცა მისგან განსხვავებით, ლაბიალიზებულ ბგერად გვევლინება. ჟ ბგერა ლეზვიურში ყველანაირ პოზიციასში გვხვდება, მაგ., ჟჰჟ „ხველა“, შუთრჟ „ყავი სფერი“, ქჟლჟ „წვრილი“, წურნჟ „გოჭი“...

ამას გარდა, ლეზვიური ენის დიალექტებში სხვა ხმოვნებიც დასტურდება:

**ჰ** – უკანა რიგისა და დაბალი აწეულობის გრძელი ხმოვანი, რომელიც ლიტერატურულ ლეზვიურსა და დიალექტებში, როგორც წესი, პოზიციურად შეპირობებული ჩანს. იარკიულ დიალექტში აქვს ფონემური ღირებულება.


**ჰ** – დაბალი აწეულობისა და წინა რიგის გრძელი ხმოვანი, რომელსაც იარკიულ დიალექტში, მისი მოკლე ვარიანტისაგან განსხვავებით, ლიტინქციური ფუნქციაც მოეპოვება.

**გ** – შუა რიგის მაღალი აწეულობის ხმოვანია, ე. წ. ირაციონალური. ძირითადად, სამურული დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ის, შედარებით იშვიათად, ყუბის დიალექტებშიც დასტურდება. კიურულში ეს ბგერა მხოლოდ ყურახის დიალექტსა და გილიარის კილოკავში გვხვდება.

**ო** – როგორც აღინიშნა, **ო** ბგერა ლეზვიურში მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში გვხვდება, თუმცა გილიარის კილოკავში იგი საკუთარ ლექსიკაშიც დასტურდება. ჩვეულებრივი **ო**-საგან განსხვავებით გილიარის კილოკავში დადსტურებული **ო** უფრო მაღალი აწეულობის ბგერაა. ეს ბგერა ლაბიალიზაციის შედეგად არ უნდა იყოს წარმოქმნილი, იგი ისეთ სიტყვებში დასტურდება, რომლებშიც ლაბიალიზაციის კვალი არ ჩანს, მაგ.: სუმოგ (ხალიჩის სახეობა); სოიმათ (ქალის საკ. სახელი); ოლზურ „ათასი“... **ო** ბგერა რამდენიმე სიტყვაში ყუბის დიალექტებშიც დასტურდება, თუმცა იქ ის ლაბიალიზაციის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი, მაგ.: ნოლ

„ცრემლი“; ნოყ (// ნუყ) „ნიადაგი“; წოლ „ნაწნავი“. ამას გარდა, ქიმილის კილოკავში სულ რამდენიმე სიტყვაში ბგერას იმოწმებს შ. საადიევი. ის ე ბგერისაგან არის მიღებული წინამავალი ლაბიალიზებული თანხმოვნის დელაბიალიზაციის შედეგად, მაგ.: ჳრჳ „ლოყა“ (< ლეზ. ჳრჳეჳ); ჳრჳნ „სირბილი“ (< ლეზ. ჳვერუნ).

სქემატურად ლეზგიური ენის ვოკალიზმი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



ამას გარდა, თითოეულ ბგერას შეიძლება მოეპოვებოდეს როგორც ნაზალიზებული, ასევე გრძელი ალოფონები.

### 3. 2. 1. საერთოლეზგიური ვოკალიზმის ტრანსფორმაცია ლეზგიურში

პროცესი	კომენტარი
*ა > ა	<p>*ა ლეზგიურში უცვლელადაა შემონახული, მათ შორის, ლაბიალიზებული და ლაბიალური თანხმოვნების გვერდით. *ა ბგერა არ იცვლება ლაბიალიზებულ თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად. ლეზგიურში გავრცელებულია *ა ბგერის პალატალიზაცია ფარინგალური არტიკულაციის მოშლის შედეგად. ასეთ შემთხვევაში, *ა გვადღევს ე-ს. იარკიულ დიალექტში იგივე ლექსემებში ფარინგალიზაცია შენარჩუნებულია და *ა ბგერაც არ განიცდის ცვლილებას.</p>
*{ <sup>ლ</sup> }ა > ე	
*ე > ე	<p>*ე ბგერა ლეზგიურში უცვლელადაა შემონახული ყველა პოზიციაში, მათ შორის ლაბიალიზებული და ლაბიალური თანხმოვნების შემდეგ.</p>
*ი > ი, უ	<p>*ი ლეზგიურში, როგორც წესი, უცვლელადაა შემონახული, თუმცა ზოგჯერ იგი უ რეფლექსებითაც არის წარმოდგენილი.</p>
*უ > უ (გ)	<p>*უ ბგერა ლეზგიურში, როგორც წესი, არ განიცდის ცვლილებას, თუმცა სამურულ და ყუბის დიალექტებში უ-ს გარდა გ რეფლექსიც დასტურდება. ფარინგალიზაციის მოშლის შედეგად ვითარდება *უ ბგერის პალატალიზაცია (*უ &gt;</p>
*{ <sup>ლ</sup> }უ > უ	

ჟ).

#### 4. 2. 2. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

##### 4. 2. 2. 1. ხმოვანთა ლაბიალიზაცია

ხმოვანთა ლაბიალიზაციას ლეზგიურში, როგორც წესი, განიცდის მხოლოდ ი ხმოვანი. მისი ლაბიალიზაციის, როგორც ჩანს, თანხმოვანთა დელაბიალიზაციას უკავშირდება, ხოლო ზოგჯერ ჟ-ს ან სხვა ლაბიალური თანხმოვნების გვერდით ვითარდება, აქ, როგორც წესი, დასტურდება რეგრესული ლაბიალიზაცია, მაგ.:

სუჟ (< \*სიჟ) „მთა“, შდრ. თაბ. სიჟ: აღ., რუთ. სუჟ: წახ. სუჟა // სჟა „id“;

გუმ (< \*გიმ) „კვამლი“, შდრ. ლეზგ.: თაბ., აღ. ქუმ: რუთ. ზუმ: წახ. ქუმა: კრიწ. ჭირმი: ბუდ. ზიმ: ხინ. ზიმი „id“: არჩ. გუნ „მტვერი“;

მუგ (< \*მიგ<sup>ჰ</sup>) „ბუდე“, შდრ. თაბ. მუგ // მუყ: აღ. მუგ<sup>ჰ</sup>: რუთ. მგყ „სოფელი“: წახ. აქჰა: ბუდ.. მუქა „id“...

ა და ე ბგერების პოზიცია ლეზგიურში მყარია. ეს ხმოვნები არ განიცდიან ლაბიალიზაციას არც ლაბიალიზებული თანხმოვნების (ან კომპლექსების) გვერდით (ლეზგიურში ლაბიალიზებული თანხმოვნები შემონახულია, ხოლო მათი დელაბიალიზაცია – იშვიათია), არც ლაბიალური თანხმოვნების გვერდით და არც თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად:

სჰას „პატარძალი“, შდრ. თაბ. შჰუმი: აღ. სუს: რუთ. სუს: წახ. სოს: კრიწ. სგს: ბუდ. სუზ: ხინ. წგ-ნას „id“;

ჟაქ „ლორი“, შდრ. აღ. ჟაკ: წახ. ჟოქ: ბუდ. ჟაქ: არჩ. ბოტბ: უდ. ბოყ „id“...

ვეყ (იარკ. ვჰყ) „ბალახი“, შდრ. თაბ. უკ: აღ. ჰუყ: რუთ. უყ: წახ. ოკ: უდ. ო „id“

ყჰედ „ორი“, შდრ. თაბ. ყაჰბ: აღ. ჰჰედ: რუთ. ყჰად: წახ. ყოდ: კრიწ. ყჰად: ბუდ. ყად: უდ. ჰა<sup>°</sup> (< \*ყ<sup>°</sup>ჰა): ხინ. კუ: არჩ. ყჰე- „id“...

ა და ე ბგერების ლაბიალიზაცია დასტურდება ქიმილის კილოკავში, მაგ., ქიმ. მორფ „წვიმა“, სოს „რძალი“, ცხოჟ „ცა“, შდრ. ლიტ. ლეზგ. მარფ, სჰას, ცაჟ და ა. შ.

##### 4. 2. 2. 2. ხმოვანთა დელაბიალიზაცია

ლეზგიური ენის სამურულ და ყუბის დიალექტებში დასტურდება უ ბგერის დელაბიალიზაცია. კიურულ დიალექტებში ასეთ დროს უ ბგერა შენარჩუნებულია. როგორც ჩანს, უ შემონახულია ძირითად უკანა წარმოების თანხმოვნებთან, ლაბიალურებთან და ლაბიალიზებულებთან, ხოლო წინა წარმოების თანხმოვნებთან უ კარგავს ლაბიალიზებულობას და გვაძლევს გ-ს, მაგ.:

ახტ., ყუბ. ზენ (< \*ზუნ) „მე“, შდრ. ლეზგ (კიურ.). ზუნ: თაბ. უზუ // იზუ: აღ. ზუნ: წახ. ზგ: არჩ. ზონ:

უდ. ზუ „id“;

ახტ. წგლ (< \*წუღ) „ათი“, შდრ. ლეზგ. (კიურ., ყუბ.) წუღ: თაბ. დიწურ: აღ. იწუღ: წახ. დიწგლ „id“...

#### 4. 2. 2. 3. ხმოვანთა პალატალიზაცია

პალატალიზაციას ლეზგიურშია და უ ხმოვანი განიცდის და ეს, როგორც წესი, ფარინგალიზაციას უკავშირდება. ფარინგალიზებულ სიტყვებსა და ფარინგალური არტიკულაციის მოშლის შედეგად ა ბგერა ე ხმოვანში გადადის, ხოლო უ ბგერა – უ ბგერაში, მაგ.:

ყელ (< \*ყალ) „მარილი“, შდრ. ლეზგ. ყელ: თაბ. ყილ: აღ. ყალ: რუთ. ყალ: წახ. ყეუ: კრიწ., ბუღ. ყელ: ხინ. ყა: უდ. ელ (< \*ყელ) „id“;

რელჟ (< \*რალჟ) „წისქვილი“, შდრ. თაბ. რალჟინ: აღ. ჰრჟ: რუთ. რიხ: წახ. დოხჟა: ხინ. ზოხ: არჩ. ლუხათ „id“;

ყურ (< \*ყურ) „კურდღელი“, შდრ. თაბ. ლურ: აღ. ჰურ: რუთ. ღირ: წახ. ყიდე: კრიწ., ბუღ. ყურ: ხინ. კიზ: უდ. ღურ „id“;

რუჯ (< \*რუჯ) „ნაცარი“, შდრ. თაბ. რუჯ // რუყ: აღ. რუჯ: რუთ. რიჯ (იხრ. რაჯ): წახ. დიჯ: კრიწ. რაჯ: ბუღ. რუჯ: ხინ. ზაქ: არჩ. დიყ: უდ. იჯ „id“;

მუღ (< \*მუღ) „ხიდი“, შდრ. აღ. მუჟ: დიღ „id“...

#### 4. 2. 2. 4. ხმოვანთა ჰარმონია

ლეზგიურ ენებს და, მათ შორის – ლეზგიურ ენასაც ახასიათებს ხმოვანთა ჰარმონია, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სიტყვაში, როგორც წესი, ერთად იყრის თავს ან მხოლოდ წინა რიგის ხმოვნები, ანა – მხოლოდ უკანა რიგის ხმოვნები. ამ წესს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეუტანია ორ და მეტმარცვლიან სიტყვათა ფუძეებში, ამასთან, ჩანს როგორც პროგრესული, ისე რეგრესული ასიმილაციების კვალი, ხოლო სინქრონულ დონეზე ეს წესი სიტყვაწარმოებისას და სიტყვაცვლილების დროსაც ვლინდება, მაგ.:

მრავლობითი რიცხვის წარმოებისას: ყულ “ფიცარი” > ყულ-არ; თამ “ტყე” > თამ-არ; ყელ “მარილი” > ყელ-ერ; ყილ “თავი” > ყილ-ერ; ვეყ “ზალახი” > ვეყ-ერ...

ბრუნებისას: ლამ “ვირი” > ლამრა (ერგ.); ჭუთ “რწყილი” > ჭუთრა (ერგ.); ლუღ “მუშტი” > ლუთუ (ერგ.); ლუღ “თევზი” > ლუთრე (ერგ.); სიღ “ჭვავი” > სიღინი (ერგ.); ჩიგ “ნამი” > ჩიგედი (ერგ.)...

ზმნის უარყოფითი ფორმების წარმოებისას: გუნ “მიცემა” > თაგუნ “მიუცემლობა”; ფინ “წასვლა” > თეფინ “არწასვლა”; ტუნ “ჭამა” > თუტუნ “უჭმელობა”...

სიტყვაწარმოებისას: დაწ “სისქე” > დაწაქ “მსუქანი”; ნერ “ცხვირი” > ნერეჭ “ცხვირმოუხოცავი”; ყაზ “მწვანელი” > ყაცუ “მწვანე”; ვილ “თვალი” > ვილი “ცისფერი”; წიყჟელ “თორმეტი” < წუღ “ათი” + ყჟელ “ორი”; წემჟუღ “თვრამეტი” < წუღ “ათი” + მჟუღ “რვა”...

#### 4. 2. 2. 5. ხმოვანთა რედუქცია

ხმოვანთა რედუქცია ლეზგიურში ხდება როგორც მახვილის წინა, ისე მახვილის მომდევნო პოზიციაში.

ხმოვანი რელექციის შედეგად ხშირად მხოლოდ სუსტდება, ხოლო ზოგჯერ – მთლიანად ამოიღება. მოხვილის წინა პოზიციაში რელექციის შედეგად შეიძლება წარმოიქმნას ლეზგიურ ენათათვის არაღამახასიათებელი თანხმოვანთა კომპლექსები სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში, მაგ.:

**ქარ** “საქმე” > **ქრ-არ** “საქმეები”; **ქარჩ** “რქა” > **ქრჩ-არ** “რქები”...

#### 4. 2. 2. 6. ხმოვანთა ნაზალიზაცია

ხმოვანთა ნაზალიზაცია ერთ-ერთი კანონზომიერი ფონეტიკური პროცესია ლეზგიურ ენაში, რომლის შედეგად ყველა ხმოვნის ნაზალიზებული ვარიანტი წარმოიქმნება. ნაზალიზაციას იწვევს **ნ** ბგერის შესუსტება. ლეზგიურში **ნ** ბგერა შემონახულია მხოლოდ სიტყვის ანლაუტსა და ინტერვოკალურ პოზიციაში, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში იგი სუსტდება, იკარგება, თუმცა არა უკვალოდ. ნაზალური თანხმოვნის დაკარგვა ლეზგიურში წინამავალი ხმოვნის ნალიზაციას იწვევს, ანუ ხმოვანთა ნაზალიზაცია ერთგვარ საკომპენსაციო მოვლენას წარმოადგენს. ნაზალიზაცია რეგულარული პროცესია, იგი როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ ლექსიკაშიც დასტურდება, მაგ.:

**ინსან** “ადამიანი” (< **ინსან**); **ვსან** “კარგი” (< **ვსან**); **ყურუნ** “გახმოზა” (< **ყურუნ**); **ვინტ** “ჭანჭიკი” (< **ვინტ**)...

იარკიულ დიალექტში ხმოვანთა ნაზალიზაცია არ ემორჩილება მკაცრად განსაზღვრულ წესს: ბოლოკიდური **ნ** ზოგჯერ უკვალოდ ქრება, მაგ.:

**რამაზა** (< **რამაზან**) “რამაზანი” (საკ. სახელი); **ყაა** (**ყაან**) “-მღე”, “ამღენი”...

ყურახულ დიალექტში **ნ** შეიძლება დაიკარგოს უკვალოდ როგორც აუსლაუტში, ისე ინლაუტში, მაგ.:

**კაადა** (< **კანადა**) “მსურს”, “მიყვარს”; **ჩაა** (< **ჩანა**) “საყვარელი” (ზეღს.)...

#### 4. 2. 3. ხმოვანთა მონაცვლეობა ლეზგიური ენის დიალექტებსა და კილოკავებს შორის

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურული ლეზგიური კიურულს ეფუძნება, სახელდობრ – მის გუნეის დიალექტს, მათ შორის ხმოვანთა მონაცვლეობის გარკვეული მაგალითები მაინც აღინიშნება:

	კიურული	ლიტ. ლეზგიური
ვ – ე	<b>ყაღ</b> „მარილი“ <b>ჩაიღაღ</b> „მიწაზე“	<b>ყელ</b> <b>ჩაილეღ</b>
ვ – ა	<b>იშთაღ</b> „მადა“ <b>რაწქაწანა</b> „გაგ ზავნა“	<b>იშთაღ</b> <b>რაწქაანა</b>
ა – ე	<b>თქაან</b> „ღახლი“ <b>მირას</b> „ნათესავი“	<b>თუქავენ</b> <b>მირეს</b>
ა – ი	<b>აფანა</b> „კიტრი“ <b>ლაშან</b> „ნი შანი“	<b>აფნი</b> <b>ლიშან</b>
ი – ე	<b>გიტე</b> (რძის ჭურჭელი)	<b>გეტი</b>



	მიდით „ცხელარი“	მედით
ჟ – ე	კჟზრი „თევზი“	კეზრი
	ეჟუჟჟნა „გა(მო)ვიდა“	ეჟუჟჟნა
ჟ – უ	ჟჟრთ „ნაგავსაყრელი“	ჟურთ
	გჟჟჟუნალდი „ძალად“	გუჟჟუნალდი
უ – ა	უხვარ „ძილი“	ახვარ
	ბურუთ „ღენთი“	ბარუთ
უ – ი	ულრუ „ქურდი“	ულრი
	ლუჟ // ლიჟ „მტრედი“	ლიჟ

ამას გარდა, კიურულში დიალექტთა და კილოკავთა მიხედვით სხვა ხმოვანთა მონაცვლეობაც დასტურდება. ი ბგერა ყურახის დიალექტში ხშირად შეესატყვისება გიუნეის დიალექტის ჟ-ს, მაგ., მიხც „საწყობი“ – მჟხც; ფირყი „ბრმა“ – ბჟრყჟ... ყურახულში ასევე დასტურდება სამურული და ყუბის დიალექტებისათვის დამახასიათებელი გ ბგერა, რომელსაც კიურულის სხვა დიალექტებსა და კილოკავებში უ-ს ან ი-ს შეესატყვისება.

სამურულსა და ლიტერატურულ ლეზგიურს (და კიურულს) შორის ხმოვანთა მონაცვლეობის შემდეგი მაგალითები აღინიშნება:

	სამურული	ლიტ. ლეზგიური (= კიურული)
გ – უ	ხთუგლ „შვილიშვილი“	ხთუელ
	ცაგრე „მუჟვე“	ცაურე
გ – ა	ბადემჟან „ბაღრიჯანი“	ბადემჟან
	ელენ „რწმენა“	ალენ
გ – ჟ	ჩეხენაგარ „ბანაობა“	ჩჟხჟუნაგარ
	ყეჟჟ „ჩრჩილი“, „ილია“	ყჟჟჟ
გ – ე	წეჟჟჟ „ცხრამეტი“	წეჟჟჟ
	თეხელ „უჯრა“	თეხილ
ვ – ა	ვაჟჟში „ველური“	ვაჟჟში
	აშ // აშ „ფლავი“	აშ
ა – ვ	ელჟჟუნ „გადასვლა“, „გადაბიჯება“	ელჟჟუნ
	სეჟჟ „საცერი“	საჟჟ
ე – ა	ჟური „ღელაბერი“	ჟური
	ჟარიჟ „კაზი“	ჟერი
ა – ე	ეჟჟალ „სარეველა“	ეჟჟელ
	კიშნიშარ „ჟინძი“	კაშნიშარ

ი – ა	გილტამ „სამფეხა“	გალტამ
ა – ი	ნანჩირი // ნანჩურ „ველური ცხოველი“, „ფრინველი“	ნიჩირი
	პუმადერ „პომიდორი“	პომიდორ
ჟ – ე	მჟჟაერ „ქორწილი“	მევერ
	მჟრთერ „კოწახური“	მერთერ
უ – ი	ყუმ „თაგვი“	ყიფ
	შუკუდარ „ასკილი“	ჟიკიძარ
ი – უ	ჭით „რწყილი“	ჭუთ
	მირება „მურაბა“	მურაბა
ი – ჟ	მიღ „ხიღი“	მჟღ
	მიჟიდ „რვა“	მჟჟჟიდ
	ჩიხერ „მსხალი“	ჩჟხერ

ამათგან კიურულ დიალექტსა და ლიტერატურულ ლეზგიურში სამურული გ-ს შესატყვისად ყველაზე ხშირად უ გვევლინება, ხოლო ა, ე და ჟ რეფლექსები შედარებით იშვიათია. ძალზე მცირეა ა – ვ და ა – ე მონაცვლეობათა მაგალითების რიცხვი.

ზოგიერთი „სამურული“ რეფლექსი კიურულის ყურახის დიალექტსა და გელზენის კილოკავისათვის არის დამახასიათებელი:

ი – უ: ჩირი „მოკლე“ – ქურუ; წირნიღ „გოჭი“ – წურნჟღ...

ჟ – უ: ვაჟნი „მეზობელი“ – ვაჟნი...

ა – ე: ტაატ „ბუზი“ – ტაეტ...

ე – ვ ლემ „ვირი“ – ლამ...

სამურულ დიალექტში დადასტურებულია გარდა, ლოყუზფარულ დიალექტში შეინიშნება ხმოვანთა მონაცვლეობის შემდეგი მაგალითები ლიტერატურულ ლეზგიურსა და კიურულ დიალექტებთან:

ა – უ (იშვიათად): აცაყუნ „ჯღომა“ – აცაყუნ; ჟატარ „ტყიპები“ – შუტარ; ასანზავა „უსვამს“ – ასუნზავა...

ე – ი (ინლაუტში): ვენელ „მალღა“ – ვინელ; წედი „ახალი“ – წიდი; ტემილ „ცოტა“ – ტიმილ...

ანტის დიალექტში დასტურდება ჟ – უ: გჟღაცაქქუნ „განვევა“ – გალჩუქქუნ...

ამას გარდა, ანტის დიალექტსა და კიურულ დიალექტებს შორის შეინიშნება დიფთონგთა შესატყვისობანი:

ფუ – დი: ფუს „წელიწადი“ – დის...

ფუ – მანფუსულ „მთიელი“ – მანსულ; ფურუ „წითელი“ – მარუ...

ფიის კილოკავში დადასტურებულია ვ ბგერა სხვა ლეზგიურ დიალექტებსა თუ კილოკავებში ხშირად შეესატყვისება ე, ა ან (იშვიათად) ჟ: ვაღ „თევზი“, „ვარსკვლავი“ – ლედ; ცაღ „მომეცი!“ – ცე, გიცე; რაჟანა „გაგზავნა“ – რაჟანა; პთირ „სულები“ – ათირ; ქელანზ „კვალზე“ – გჟღჟიზ...

ასევე აღსანიშნავია რამდენიმე მონაცვლეობა, რომელშიც მხოლოდ საკუთრივ სოფ. ფიის თქმის რეფლექსები განიჩნება, ხოლო სოფ. მასს თქმაში დასტურდება სხვა ლეზგიურ დიალექტთათვის დამახასიათებელი ვითარება:

ფიი. უ – ლეზგ. ი: **სულ** „ჭვავი“ – **სილ**; **ქულიგ** „უყურე!“ – **ქილიგ...**

ფიი. ი – ლეზგ. ე, ა (ვ): **ლიმ** „ვირი“ – **ლემ**, **ლამ**; **კიქ** „მამალი“ – **ქუქ**, **კექ**; **კილზავა** „სწავლა“ – **კელზავა**, **კალზავა...**

ფიის კილოკავს ახასიათებს **ჟ – ე** მონაცვლეობაში „კიურული“ რეფლექსი **ჟ: რუღუ ვუნ** „მორიდება“ – **რეღუ ვუნ...** ამას გარდა, საკ. ფიის თქმაში „სამურულ“ **გ-ს** კიურულ დიალექტთა მსგავსად ხშირად უ შეესატყვისება. ასეთ შემთხვევაში, მასს თქმაში, როგორც წესი, **გ** შემონახულია, მაგ.:

**თაუმ** (სამ.) „არა“, **თაუმ** (მაზ.), **თაუმ** (ფიი.)...

ყუბის დიალექტებში დასტურდება ხმოვანთა მონაცვლეობის ისეთი შემთხვევები ლიტერატურულ ლეზგიურთან, რომლის რეფლექსები საერთოა, ერთი მხრივ, კიურულთან (**უ – ა; ვ – ე; ვ – ა; უ – ი; ი – ე; უ – ჟ**), ხოლო, მეორე მხრივ – სამურულთან (**გ – უ; გ – ა; ა – ი; ი – ჟ**). ამას გარდა, ხმოვანთა მონაცვლეობის ისეთი შემთხვევები მოგვეპოვება, რომელიც არ დასტურდება სხვა დიალექტებსა და ლიტერატურულ ლეზგიურს შორის:

	ყუბის	ლიტ. ლეზგიური
ა – უ	<b>სარ</b> „სამარე“ <b>ქაპალვალ</b> „სიზარმაცე“	<b>სურ</b> <b>ქაპულვა</b>
ჟ – ი	<b>ჟრუღ</b> „შვიდი“ <b>სერჟ</b> „სიგრილე“ <b>ჟმჟინ</b> „დახლი“	<b>ირიდ</b> <b>სერინ</b> <b>იმინუნ</b>

**ჟ – ი** მონაცვლეობა, როგორც წესი, დასტურდება ანლაუტსა და ინლაუტში.


**4. 3. თაბასარანული ენის ვოკალიზმი.** თაბასარანულში, ლეზგიურის მსგავსად, დასტურდება ხუთი ხმოვანი ფონემა: **ა, ე, ი, უ, ჟ**. თაბასარანული ენისათვის არ არის დამახასიათებელი ნაზალიზებული ხმოვნები, არ მოეპოვება გრძელი ხმოვნები როგორც ფონემები, დასტურდება პოზიციურად შეპირობებული მოკლე (რედუცირებული) ხმოვნები. თაბასარანულში უკანა რიგის ფარინგალიზებული ხმოვნებიც გვხვდება (**ჟ, უ**), თუმცა არც მათ მოეპოვებათ ფონემის სტატუსი.

თაბასარანულს **ო** ბგერაც არ მოეპოვება. ნასესხებ სიტყვებშიც **ო** ბგერას, როგორც წესი, ცვლის **უ** ხმოვანი.

აწეულობა	წინა რიგის		უკანა რიგის
	მარტივი	პალატალიზ.	

მაღალი	ი	უ	უ
საშუალო	ე		
დაბალი			ა

სხვაგვარად თაბასარანული ენის ვოკალიზში შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



ოთხივე მარტივი ხმოვანი (ა, უ, ე, ი) პოზიციურად არ არის შეზღუდული და, შესაბამისად, ყველა პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს. ა ბგერის გარდა, რომელიც, როგორც აღინიშნა, თაბასარანულში უკანა რიგის ბგერაა, დანარჩენი სამი ხმოვნის წარმოთქმა არ განსხვავდება შესაბამისი ქართული ბგერების ჟღერადობისაგან.

**უ** – უკანა რიგის, მაღალი აწეულობის ხმოვანია. **უ** ბგერა დასტურდება როგორც აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სიტყვებში (მაგ., **უღქე** „ქვეყანა“, **ქუღქეთ** „ოჯახი“, **გუზგი** „სარკე“...), ასევე საკუთარ ლექსიკაშიც. ზოგიერთ შემთხვევაში შეგვიძლია თვალი მივადევნოთ **უ** ბგერის წარმოქმნის პროცესს თაბასარანულში:

ი + ლაბიალი ზებული თანხმოვანი ხშირად გვაძლევს **უ**-სა და არალაბიალიზებულ თანხმოვანს, მაგ., ხან. **იუკ** (სიგრძის საზომია = 1/2 მ.), შდრ. დიუბეკ. თქმაში **იკი**, ხივ. თქმაში **იუკ**, დარგ. **დიკ**...  
 დიუბეკის თქმაში აღინიშნება შემთხვევები, როდესაც უ გვაძლევს **უ** ბგერას **ი**-ს წინ, მაგ.:

**რუი** „ნაწლავი“, შდრ. ხან. **რურ**;

**კუი** „რწყილი“, შდრ. ხან. **კურ**, ხივ. **კუდ**;

**უ** შეიძლება ასიმილაციის შედეგად წარმოიქმნას ე ბგერის გავლენით:

დიუბ. **დეუჟ** „დაჯდომა“, **ჰერეუჟ** „დარწმუნება“... (ინფინიტივის ფორმათა თემატური ხმოვანია **უ**. **დეუჟ** ტიპის ინფინიტიურ ფორმებში **უ** ბგერა წინამავალი ე ბგერის გავლენით წარმოიქმნება).

**გრძელი ხმოვნები** თაბასარანულში, როგორც წესი, წარმოქმნილია ან თანხმოვანთა რედუქციის შედეგად ინტერვოკალურ პოზიციაში, ანდა მორფემათა გასაყარზე, მაგ.:

**ჰუეჰჰ** „მოშორება“, „ღაშორება“ (< **ჰუეჰჰ** < **ჰურეჰჰ**), შდრ. ხან. **ჰურეჰჰ**, ხივ. **ჰულეჰჰ**;

**ჰაჰჰ** „გადახდა [ფულის]“ (< **ჰაჰჰ** < **ჰარაჰჰ**), შდრ. ხან. **ჰარაჰჰ**, ხივ. **ჰადან**...

მორფემათა გასაყარზე, როდესაც ერთმანეთს ხვდება ორი განსხვავებული ხმოვანი, ხშირად ვითარდება რეგრესული ასიმილაცია, რომლის შედეგად ჩვენ ვიღებთ გრძელ ხმოვანს, მაგ.:

დიუბ. **იპურღაზ** „ვაკეთებ“ (< **იპურღი-აზ**), **ბილკუნღაზ** (ბილკუნღი-აზ), შდრ. ხივ. **აპურაზ** „ვაკეთებ“ (აპური-აზ), **ბიკურაზ** „ვწერ“ (ბიკური-აზ)...

გრძელი ხმოვნები შეიძლება ნასესხებ სიტყვაშიც შეგვხვდეს, მაგ., ვიღდათ „ქვეყანა“...

მოკლე (რედუცირებული) ხმოვნები თაბასარანულში უმახვილო ხმოვნების შესუსტების შედეგად წარმოიქმნება. რედუცირებულ ხმოვნებს ლექსემაში არა მოეპოვებათ მყარი პოზიცია, მათი გაჩენა-დაკარგვა მახვილის მოძრაობასთან არის დაკავშირებული, მაგ.:

ჩრდ. ხალ „სახლი“, „ოთახი“ – ხ<sup>ლ</sup>არ (მრ. რ.), ხ<sup>ლ</sup>უ (ერგ.), ხ<sup>ლ</sup>ან (ნათ.), ხ<sup>ლ</sup>ზ (მიც.)...

**ფარინგალიზებული ხმოვნები:** თაბასარანულ ენაში აღ. მაჰომეტოვი ფარინგალიზებულ ხმოვნებზე მიგვითითებს. მკვლევრის აზრით, ფარინგალიზაცია ჩვეულებრივ მოუღის უკანა წარმოების თანხმოვნებს (ფარინგალურებს და უკანაენისმიერებს), ხოლო ხმოვანთაგან, ასევე უკანა რიგის ხმოვნებს (ა, უ). შესაბამისად, თაბასარანულში, როგორც ა. მაჰომეტოვს მიაჩნია, ხშირად ფარინგალიზებული მარცვალის გვხვდება (მაჰომეტოვი 1965: 49-51). ფარინგალიზაციას თაბასარანულში დისტინქციური ფუნქციაც მოეპოვება, მაგ.:

ხაჟ „ჯიქანი“ – ხაჟ „ჩახუთება“...

#### 4. 3. 1. საერთოლუზიური ვოკალიზმის ტრანსფორმაცია თაბასარანულში

პროცესი	კომენტარი
*ა > ა	*ა თაბასარანულში მეტწილად უცვლელადაა შემონახული. *ა ბგერა არ
*{w}ა > wა, ა, უ	განიცდის ცვლილებას ლაბიალიზებული თანხმოვნების შემდეგაც, ხოლო მათი დელაბიალიზაციის შედეგად იგი ზოგჯერ უ ბგერაში გადადის, ზოგჯერ კი wა გვადლევს ა-ს. გავრცელებულია *ა ბგერის პალატალიზაცია. ასეთ შემთხვევაში, იგი შეიძლება მოგვცეს ვ, ე, და ი. ფარინგალიზებული თანხმოვნების გვერდით *ა გადადის ვ-ში. იშვიათად სხვა რეფლექსები დასტურდება.
*ე > ი	*ე ბგერა თაბასარანულში ი რეფლექსს გვადლევს. იშვიათად სხვა რეფლექსებიც დასტურდება (ე, ა, ვ). ლაბიალიზებული თანხმოვნების დელაბიალიზაციის შედეგად *ე სხვაგვარ რეფლექსებს გვადლევს (რ, უ, ჟ).
*ი > ი	*ი თაბასარანულში, როგორც წესი, უცვლელადაა შემონახული, თუმცა ზოგჯერ ე ბგერითაც არის წარმოდგენილი. ლაბიალიზებული თანხმოვნების დელაბიალიზაციისას *wi, როგორც წესი, გვადლევს უ-ს, თუმცა სხვა რეფლექსებიც დასტურდება (ი, ჟ).
*უ > უ	*უ ბგერა თაბასარანულში არ განიცდის ცვლილებას.

#### 4. 3. 2. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

**4. 3. 2. 1. ხმოვანთა ჰარმონია**

ლუზიური ენის მსგავსად თაბასარანულსაც ახასიათებს ხმოვანთა ჰარმონია, რომელიც სხვადასხვა ასიმილაციურ პროცესებს სათავეს უდებს როგორც ფუძეში, ისე აფიქსებში. თაბასარანულში დასტურდება როგორც პროგრესული, ისე რეგრესული, როგორც ნაწილობრივი, ისე სრული, როგორც დისტანციური, ისე კონტაქტური ასიმილაცია. აღსანიშნავია, რომ ხმოვანთა ჰარმონია უფრო მეტად სამხრულ კილოს ახასიათებს, ვიდრე ჩრდილოურს. რეგრესული ასიმილაციის მაგალითად გამოდგება სამხრულ კილოში დადასტურებული ი ბგერის ასიმილაცია წინამავალი უ-ს გავლენით. შედეგად, ჩვენ ვიღებთ უ ბგერას, მაგ.:

**ჩრდ. კილო**

**სამხ. კილო**

იზუ „მე“	უზუ
იჭუ „შენ“	უჭუ
ინ~უ „ჩვენ“ (incl.)	უნ~უ
ირუ „ჩვენ“ (excl.)	ურუ
ირ <sup>o</sup> უ „ჩვენ“	ურ <sup>o</sup> უ
იჯურ „ჰარგი“	უჯურ
იჩ <sup>o</sup> ურ „ლამაზი“	უჩ <sup>o</sup> ურ
შიბბუჭუ „სამი“	შუბბუბ
ირ <sup>o</sup> „თვითონ“	ურ <sup>o</sup>
რიჯ <sup>o</sup> „კული“	რუჯ <sup>o</sup>

ბოლო ორ მაგალითში ი > უ პროცესი განვითარდა დენტოლალბიალი ზებული თანხმოვნის გავლენით.

ხმოვანთა ჰარმონიის შედეგად განვითარებული პროგრესული ასიმილაციის მაგალითად გამოდგება ა > ე პროცესი, რომელიც უ ან ე ხმოვნების გავლენით ხდება მრავლობითი რიცხვის წარმოებისას -არ სუფიქსში, მაგ.:

- ჭლ „პური“ – ჭლ-ერ (< ჭლ-არ);
- აჭრთ „ნაბადი“ – აჭრთ-ერ;
- გჭღებ „ზაქი“ – გჭღებ-ერ;
- ღჭტჭუ „ყელი“ – ღჭტ-ერ;
- ჩჭრქაჭუ „წიწილა“ – ჩჭრქა-ერ;
- ჯჭჭუ „ძირი“ – ჯჭჭუ-ერ;
- ჯემ „ზეთი“ – ჯემ-ერ;
- შ<sup>o</sup>ეც „ლათვი“ – შ<sup>o</sup>ეც-ერ;
- ქემელ „ქამარი“ – ქემელ-ერ...

მდრ. ულ-არ „თვალები“, ულლ-არ „ფანჯრები“ და მისთ.

პროგრესული ასიმილაციის შედეგია ასევე უ > უ პროცესი ე ბგერის გავლენით:

ლიუბ. ლეცუს „ღაჯლომა“, ჰერგუს „ღარწმუნება“ (ინფინიტივის ფორმათა თემატური სმოვანია უ); იზუ ლენწუხე (< ლენწუ-აზა) „მე ვზივარ“...

ამას გარდა, ლიუბეკის თქმაში აღინიშნება შემთხვევები, როდესაც უ გვაძლევს უ ბგერას **ღ**-ს წინ, მაგ.:

**რუღ** „ნაწლავი“, შდრ. ხან. **რურ**;

**ჭუღ** „რწყილი“, შდრ. ხან. **ჭურ**, ხევ. **ჭუღ**;

უ შეიძლება ასიმილაციის შედეგად წარმოიქმნას ე ბგერის გავლენით:

ლიუბ. ლეცუს „ღაჯლომა“, ჰერგუს „ღარწმუნება“...

#### 4. 3. 2. 2. სმოვანთა რელექცია

სმოვანთა რელექცია თაბასარანულში ხდება მახვილის წინა პოზიციაში. სმოვანი რელექციის შედეგად ხშირად მხოლოდ სუსტდება, ხოლო ზოგჯერ – მთლიანად ამოიღება. სმოვნის შესუსტების შედეგად წარმოიქმნება მოკლე (რელუცირებული) სმოვნები. სმოვნის შესუსტება მახვილის მოძრაობასთან არის დაკავშირებული. სმოვნის შესუსტება, როგორც წესი, ხდება აფიქსის ღართვისას და მასზე მახვილის გადატანისას, მაგ.:

ჩრდ. **ხალ** „სახლი“, „ოთახი“ – **ხ<sup>ლ</sup>არ** (მრ. რ.), **ხ<sup>ლ</sup>უ** (ერგ.), **ხ<sup>ლ</sup>ან** (ნათ.), **ხ<sup>ლ</sup>ან** (მიც.)...

სმოვანთა სრული ან ნაწილობრივი რელექცია შეიძლება მოხდეს ერთ ლექსემაში და ერთნაირ ფონეტიკურ პირობებში, მაგ.:

**ჭიქა** „წიწილა“ – **ჭქაარ** (მრ. რ.), **ჭქელი** (ერგ.)...

სმოვნის სრული ამოღება ხდება ძირითადად ორ და მეტმარცვლიან სიტყვებში, თუმცა, იშვიათად, ერთმარცვლიან სიტყვებშიც დასტურდება, მაგ., ხანაღის თქმაში:

**ჯუღან** „ლოცვა“ – **ჯუღანარ** (მრ. რიცხვი), **ჯუღანი** (ერგ.);

**წიმიცა** „ჭიანჭველა“ – **წიმიცარ** (მრ. რ.), **წიმიცარუ** (ერგ.);

**გელეგ** „ზაქი“ – **გელეგარ** (მრ. რ.), **გელეგი** (ერგ.);

**ჭ<sup>ო</sup>უმჭ<sup>ო</sup>** „შტო“, „განაყარი“ – **ჭ<sup>ო</sup>უმჭ<sup>ო</sup>არ** (მრ. რ.), **ჭ<sup>ო</sup>უმჭ<sup>ო</sup>ი** (ერგ.);

**ჯურბან** (კაცის საკ. სახელი) – **ჯურბნუ** (ერგ.);

**ჭიქა** „წიწილა“ – **ჭქაარ** (მრ. რ.), **ჭქელი** (ერგ.);

შდრ. აგრეთვე, ხივის თქმაში:

**ქარქ** „თათი“ – **ქრქაარ** (მრ. რ.), **ქრქუ** (ერგ.)...

#### 4. 3. 2. 3. სმოვანთა კვეცა

თაბასარანულში სმოვანთა კვეცა ხდება მახვილის წინა პოზიციაში აფიქსების ღართვისას, მაგ.:

ხან. **კარი** „ხბო“ – **კარარ** (მრ. რიცხვი), **კარლი** (ერგ.);

ხან. **კანი** „საწვიმარი“ – **კან<sup>ღ</sup>არ** (მრ. რ.), **კანლი** (ერგ.)...

ლიუბეკის თქმაში ხშირად გვხვდება ორ ან მეტმარცვლიანი სიტყვები ბოლოგილური სმოვნით, რომლებშიც მახვილი პირველ მარცვალს მოუღის. როგორც წესი, თაბასარანული ენის სხვა თქმებში

ბოლოკიდური ხმოვანი ამოღებული, მაგ.:

**ღიუბეკის თქმა**

**ხანაღის თქმა**

ძაძა „ეკალი“, „ასკილი“	ძაძ
კანტა „ტუჩი“	კანტ
ფიზი „წელიწადი“	ფის
რიფი „მზე“	რიფ
მუჭო <sup>ო</sup> უ „კუთხე“	მუჭო <sup>ო</sup>
უჟ <sup>ო</sup> უ „პირი“	უშ <sup>ო</sup>
ჭ <sup>ო</sup> ურღუ „კოშკი“	ჭ <sup>ო</sup> ურღ
წიმიცთ „ჭიანჭველა“	წიმიწ
ძიმიძი „თუთა“	ძიმიძ
ხუთოუ „მსხალი“	ხურ (ხივ. ხუთ)
სიფი „საცერი“	ხივ. სეფ
ბიტი „გველი“	ხივ. ბეტ
ლიკი „ფილთვები“	ხივ. ლეკ
მიღბი „ენა“	ხივ. მეღბ

**4. 3. 2. 4. ხმოვანთა ასიმილაცია**

თაბასარანულ ენაში ისეთი სახის ასიმილაცია, რომელიც ხმოვანთა ჰარმონიის ტენდენციით ვერ აიხსნება. ასეთ შემთხვევაში, ასიმილაცია, როგორც წესი, ხდება **დ-ს** გავლენით. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ **ა > ე** პროცესი, რომელიც შეინიშნება ღიუბეკის თქმაში, მაგ.:

ღიუბ. **სეფა** (< **საფა** < **სარფა** < **სარაფა** < **საღაფა**), შდრ. სამხ. **საღაფა** „მოწყალე“;

ღიუბ. **ბეღაღა** – ხივ., ხან. **ბაღაღა** „ბაირალი“;

ღიუბ. **ღეფ** – ხან. **ღაფ**, ხივ. **თაფ** „კვიცი“;

ღიუბ. **ფერჩუს** – ხან. **ფაჩჩუს** „სსურება“, „განიალება“...

ასეთივე პროცესი ზოგჯერ სამხრულ კილოშიც დასტურდება, მაგ.:

ხივ. **ფეკ<sup>ჴ</sup>** – ხან. **ფაკ** „ნაჯახი“;

ამას გარდა, სამხრულ კილოში **ა > ი** პროცესიც შეინიშნება. ეს პროცესიც, სავარაუდოდ, **დ-ს** გავლენით ვითარდება, მაგ.:

ხივ. **ფიქი** – ხან. **ფაქი** „ხორცი“;

ხივ. **ფიც (ფეც)** – ხან. **ფაც** „ხარი“...

ღიუბეკის თქმაში აღინიშნება შემთხვევები, როდესაც **უ** გვაძლევს **უ** ბგერას **დ-ს** წინ, მაგ.:

**რუფი** „ნაწლავი“, შდრ. ხან. **რურ**;

**ჭუფი** „რწყილი“, შდრ. ხან. **ჭურ**, ხივ. **ჭუღ**...



მორფემათა გასაყარზე, როდესაც ერთმანეთს სვლება ორი განსხვავებული სმოვანი, ხშირად ვითარდება რეგრესული ასიმილაცია, რომლის შედეგად ჩვენ ვიღებთ გრძელ სმოვანს, მაგ.:

ღიუბ. იპურდწა „ვაკეთებ“ (< იპური-აწა), ბილკუნდწა (ბილკუნდი-აწა), შდრ. ხივ. აპურაწა „ვაკეთებ“ (აპური-აწა), ბიკურაწა „ვიწერ“ (ბიკური-აწა)...

#### 4. 3. 2. 5. სმოვანთა დისიმილაცია

თაბასარანულში სმოვანთა ჰარმონიის საწინააღმდეგო მოვლენაც აღინიშნება. ზოგიერთ ზმნურ ფორმაში აღინიშნება **ჟ – ი** და **ჟ – უ** მონაცვლეობა. ამასთან, თუ ღიუბეკის თქმაში უძლავუტიანი **ჟ** დასტურდება, ხივის თქმაში – **უ**, ხოლო ხანაღის თქმაში ორივე ვარიანტი გვექნება, მაგ.:

ღიუბ. ჟაჟს (ობ. მხ. რიცხვში), ჟტჟს (ობ. მრ. რიცხვში);

ხან. ჟაჟს || იაჟს (ობ. მხ. რიცხვში), ჟტჟს || იტჟს (ობ. მრ. რიცხვში);

ხივ. იაჟს „ჭამა“;

ღიუბ. გჟჟჟს (ობ. ნივთთა კლ.), გჟრთჟს (ობ. ადამ. კლ.);

ხან. ქაჟჟჟს || ქაიფჟს (ნივთ. კლ.), ქაჟთჟს || ქაითჟს (ადამ. კლ.);

ხივ. ქაიფჟს, ქაითჟს „ჩაღება“, „ჩაგღება“...

ლოგიკური იქნებოდა, რომ **ი > ჟ** და **უ > ჟ** პროცესი გვევარაუდა სმოვანთა ჰარმონიის ტენდენციის შესაბამისად, თუმცა ა. ღირის ჩანაწერებში ხანაღის თქმაში ამ ტიპის მაგალითებში მხოლოდ **ჟ** ბგერა დასტურდება, რაც, ამ შემთხვევაში, დისიმილაციის პროცესს გვევარაუდინებს, შდრ. ა. ღირის ჩანაწერთა მიხედვით: **ჟაჟს** „ჭამა“, **იაჟს** „ჭამა“ (ობ. მრ. რიცხვში); **ჟლდჟჟჟს** „წაქცევენება“, შდრ. თანამედროვე ხანაღურში: ილდიფჟს; შდრ. აგრეთვე: **ჰჟტერ** (ა. ღირი) „წურბელა“ – **ჰიტრი** (ხან.); **ხაშხაშინ ჟრ** (ა. ღირი) – **ხაშხაშინ ირ** (ხან.); **ჟლკ** (ა. ღირი) „ნაცოხნი“ – **ილკ** (ხან.)...

#### 4. 3. 2. 6. სმოვანთა მონაცვლეობა

თაბასარანულ ენაში დასტურდება სმოვანთა მონაცვლეობა როგორც კილოთა შორის, ისე ერთი კილოს თქმებს შორის. სმოვანთა მონაცვლეობა თაბასარანულში, როგორც წესი, გამოწვეულია სპონტანური ფონეტიკური პროცესებით, თუმცა ჩრდილოურსა და სამხრულ კილოებს შორის შეინიშნება **ი – ე** სმოვანთა მონაცვლეობა, რომელიც ფონეტიკური პროცესებით ვერ აიხსნება. ჩრდილოურ კილოში **ი** დასტურდება, ხოლო ე – სამხრულში, მაგ.:

ჩრდ. კილო (ღიუბეკის თქმა)

სამხ. კილო (ხივის თქმა)

წიჰ „თხა“

წეჰ

ლიქ „ფეხი“

ლექ

ყილ „მარილი“

ყელ

ცილ „ჩასუნთქვა“	ცელ
სიფი „საცერი“	სეფ
ბიტი „ბეელი“	ბეტ
ლიკი „ფილთვები“	ლეკ
იმი „ბიბა“	ემი
მილბი „ენა“	მელბ
ბირჯუს „ლაკეცვა“, „მოლუნვა“	ბერჯუს

**4. 3. 2. 7. ლიფთონგიზაცია**

თაბასარანული ენა ვერ იგუებს ჰიატუსს. ხმოვანთა ერთად თავმოყრის ასაცილებლად თაბასარანული სხვადასხვა ხერხს მიმართავს (ხმოვნის კვეცა, რელექცია, ასიმილაცია) და მათ შორის – ლიფთონგიზაციას, ანუ დ ბგერის ჩასმას ორი ხმოვნის შუა, მაგ.:

**მხ. რიცხვი**

**მრ. რიცხვი**

მიჯრი „წვერი“	მიჯრი-დ-არ
ჭარჟი „ჭინჭარი“	ჭარჟი-დ-არ
ჩი „ძმა“	ჩი-დ-არ
არმი „ადამიანი“	არმი-დ-არ
ჯ <sup>ო</sup> ული „ატამი“	ჯ <sup>ო</sup> ული-დ-არ
შურჟა „სუპი“	შურჟ <sup>ი</sup> -დ-არ
ჯარჯა „ყვავი“	ჯარჯა-დ-არ

**4. 4. ალუღური ენის ვოკალიზმი.** ალუღურ ენაში იგივე ხმოვანი ფონები დასტურდება, რაც ლეზგიურსა და თაბასარანულში. ალუღური ენის ვოკალური სისტემა შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

აწეულობა	წინა რიგის		უკანა რიგის
	მარტივი	პალატალიზ.	
მაღალი	ი	ჟ	უ
საშუალო	ე		
დაბალი	(ვ)		ა

ო ბგერა, ლეზგიურისა და თაბასარანულის მსგავსად, არც ალუღურში დასტურდება. ალუღურს ასევე არ მოეპოვება ნაზალიზებული ხმოვნები, გრძელი ხმოვნები საერთოდ არ არის დამახასიათებელი ალუღური ენისათვის, თუ ცალკეულ იშვიათ შემთხვევებს არ ჩავთვლით, სადაც ხმოვნის სიგრძე თანხმოვნის დაკარგვით

არის გამოწვეული და ერთგვარ საკომპენსაციო მოვლენად წარმოგვიდგება, მაგ., **საღაღი < საღაღი** „კომური საკენ“. ალუღურში თაბასარანულის მსგავსად დასტურდება ფარინგალიზებული უკანა რიგის ხმოვნები, თუმცა მათ ფონემის სტატუსი არ მოეპოვებათ.

ალუღურში თაბასარანულის მსგავსად მოკლე (რედუცირებული) ხმოვნებიც დასტურდება, რომელიც უმახვილო ხმოვნების რედუქციის შედეგად წარმოიქმნება, მაგ.:

**ხედ** „წყალი“ – **ხთარ** (მრ. რიცხვი), **ხთი** (ერგ., მხ. რ.), **ხთინ** (ნათ.), **ხთის** (მიც.)...

ამრიგად, ალუღური ენის ვოკალიზში შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



ოთხივე მარტივი ხმოვანი (**ა, უ, ე, ი**) პოზიციურად არ არის შეზღუდული და, შესაბამისად, ყველა პოზიციასში შეიძლება შეგვხვდეს. **ა** ბგერის გარდა, რომელიც, როგორც აღინიშნა, ალუღურში უკანა რიგის ბგერაა, დანარჩენი სამი ხმოვნის წარმოთქმა არ განსხვავდება შესაბამისი ქართული ბგერების ჟღერადობისაგან.

**უ** – უკანა რიგის, მაღალი აწეულობის პალატალიზებული ხმოვანია. არტიკულაციის მიხედვით, თუ ამ ბგერას ლაბიალურობას მოვაშორებთ, იგი არაფრით განსხვავდება **ი** ბგერის არტიკულაციისგან. თაბასარანული ენის მსგავსად შეგვიძლია მივადევნოთ თვალი **უ** ბგერის წარმოქმნას **ი** ბგერისაგან ლაბიალიზებული თანხმოვნების წინ, მაგ.:

**უთა** „თაფლი“ (საკ. ალუღური კილოკავი), შდრ. ქერენული კილოკავის **ითა** „id“; შდრ. აგრეთვე, თაბ. **დიჰა** „id“...

**4. 4. 0. 1. ფარინგალიზებული ხმოვნები** ალუღურში პოზიციურია. ისინი, როგორც წესი, ფარინგალიზებული უუღლარული თანხმოვნების შემდეგ დასტურდება. ფარინგალიზებული თანხმოვნის გავლენით მომდევნო ან წინამავალი **ა** ან **უ** ხმოვანი იძენს ფარინგალიზებულობას და ხშირად გადადის სხვა ხმოვანში (**ა > ა > ე; უ > უ > ო**).

**ა**-ს (ან ზოგჯერ **უ**-ს) **ე** ბგერაში გადასვლისას ზოგჯერ ხდება არამართო ხმოვნის, არამედ ფარინგალიზებული თანხმოვნის ლეფარინგალიზაცია (ხმოვნის ცვლილება და ფარინგალიზაციის შემდგომი დაკარგვა ერთმანეთს უკავშირდება):

**აული რიგა**

**აული ქურალი**

**ვარდ** „ხის ლურსმანი“

**ვერთ**

**ვარწ** „მაშა“

**ვარწ**

**ვარლ** „მარილი“

**ველ**

ვაჭალ „ყვავი“	ვაჭეთა
მარჯა „ძირი“	მერჯა
მაჯა „უანგი“	მერჯა
მაჯაჯა „ჭია“	მილეჯა
ვაჭაჭა „ყვითელი“	ვაჭაჭა

ფარინგალიზებული თანხმოვანი შეიძლება დაიკარგოს, თუმცა დატოვოს კვალი მომდევნო ან წინამავალ ხმოვანში, მაგ.:

ბას „წასვლა“, შდრ. თაბასარანული: ღაზ (სამხ. კილო), აჭღაზ (ჩრდლ. კილო) „id“; შდრ. აგრეთვე დარგუული: ბანა (ხაიდაკ.), ბუყანა (ურკარახ.), ბუყას (ურახ.) „id“...

#### 4. 4. 1. საერთოლუზიური ვოკალიზმის ტრანსფორმაცია ალულურში

პროცესი	კომენტარი
*ა > ა *{w}ა > wa, ა, უ	*ა ალულურში მეტწილად უცვლელადაა შემონახული. *ა ბგერა ზოგჯერ განიცდის ცვლილებას ლაბიალიზებული თანხმოვნების დელაბიალიზაციის შედეგად და უ ბგერაში გადადის, ზოგჯერ კი wa გვაძლევს ა-ს. გავრცელებულია *ა ბგერის პალატალიზაცია. ასეთ შემთხვევაში, იგი შეიძლება მოგვცეს ვ, ე, და ი. ფარინგალიზებული თანხმოვნების გვერდით *ა გადადის ვ-ში. იშვიათად სხვა რეფლექსები დასტურდება.
*ე > ე *{w}ე > უ	*ე ბგერა ალულურში ხშირად უცვლელადაა შემონახული. იშვიათად სხვა რეფლექსებიც დასტურდება (ი, ა, ვ). ლაბიალიზებული თანხმოვნების დელაბიალიზაციის შედეგად *ე სხვაგვარ რეფლექსებს გვაძლევს მეტწილად უ-ს, თუმცა სხვა რეფლექსებიც დასტურდება (უ, ი).
*ი > ი *{w}ი > უ	*ი ალულურში, როგორც წესი, უცვლელადაა შემონახული, თუმცა ზოგჯერ სხვა რეფლექსებითაც არის წარმოდგენილი (ე, უ, ვ). ლაბიალიზებული თანხმოვნების დელაბიალიზაციისას *wi, როგორც წესი, გვაძლევს უ-ს, უ-სა ან ი-ს, თუმცა ზოგჯერ ე რეფლექსებიც დასტურდება.
*უ > უ	*უ ბგერა ალულურში, როგორც წესი, არ განიცდის ცვლილებას. დასტურდება *უ ბგერის პალატალიზაცია (*უ > ი). ზოგჯერ კი *უ ა რეფლექსებითაც არის წარმოდგენილი.

#### 4. 4. 2. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

##### 4. 4. 2. 1. ხმოვანთა ლაბიალიზაცია

ხმოვანთა ლაბიალიზაციის პროცესი თანხმოვანთა დელაბიალიზაციის პროცესთან არის ხშირად დაკავშირებული.

**ითაჲ** „თაფლი“ (ქერენული კილოკავი) – **ჴთა** (საკ. ალუღური კილოკავი), შდრ. აგრეთვე, თაბ. **დიჭა** „id“;

**ყჲაყჲ** „მუხლი“ (ქერენული კილოკავი) – **ჴმ** (საკ. ალუღური კილოკავი);

**იმჲ** „ადგილი“ (აულ. ბურმალი) – **ჴმ** (აულ. ქურალი)...

##### 4. 4. 2. 2. ხმოვანთა ჰარმონია

ლუზიური და თაბასარანული ენების მსგავსად ალუღურსაც ახასიათებს ხმოვანთა ჰარმონია, რომელიც სხვადასხვა ასიმილაციურ პროცესებს სათავეს უდებს როგორც ფუძეში, ისე აფიქსებში. თაბასარანულში დასტურდება როგორც პროგრესული, ისე რეგრესული, ასიმილაცია. ხმოვანთა ჰარმონიის შედეგად სიტყვაში ერთად იყრის თავს ან მხოლოდ წინა რიგის ხმოვნები, ანა – მხოლოდ უკანა რიგის ხმოვნები.

ხმოვანთა ჰარმონიის შედეგად განვითარებული პროგრესული ასიმილაციის მაგალითად ალუღურ ენაში გამოდგება **ა > ე** პროცესი, რომელიც **ჴ** ბგერის გავლენით ვითარდება მრავლობითი რიცხვის წარმოებისას –**არ** სუფიქსში ან –**ას** მასდარის მაწარმოებელში, მაგ.:

**ჴტეს** „თიბვა“ (< **ჴტას**);

**ჴყჲეს** „ჯღომა“ (**ჴყჲას**);

**ჴთა** „თაფლი“ – **ჴთა-ერ** (მრ. რიცხვი) (< **ჴთარ**);

**რჴგ** „კული“ – **რჴგ-ერ** (მრ. რიცხვი) (< **რჴგარ**);

**ჴკ** „ბალახი“ – **ჴკ-ერ** (მრ. რიცხვი) (< **ჴკარ**);

რეგრესული ასიმილაციის მაგალითად ალუღურ ენაში შეიძლება მივიჩნიოთ **ჴ > ჴ** პროცესი, რომელიც **ე** ბგერის გავლენით ვითარდება, ან საპირისპირო **ი > ჴ** პროცესი, მაგ.:

**რჴნ~-ეს** „ხარშვა“, „ადუღება“ (< **რჴნ~-ეს** < **რჴნ~-ას** – **ა > ე** **ნ~**-ს გავლენით);

**მჴ-ჴარ** „ესენი“ (< **მი-ჴარ**), შდრ. **მი** „ეს“ (აულ. უსუჴი)...

##### 4. 4. 2. 3. ხმოვანთა რელექცია

ხმოვანთა რელექცია ალუღურში არ არის ისეთი გავრცელებული პროცესი როგორც ლუზიურსა და თაბასარანულში. ხმოვანთა რელექცია ალუღურ ენაში მხოლოდ ზოგიერთი აფიქსის ღართვისას ხდება. ხმოვანი რელექციის შედეგად, როგორც წესი, მხოლოდ სუსტდება, ხოლო ზოგჯერ – მთლიანად ამოიღება.

ხმოვნის შესუსტების შედეგად წარმოიქმნება მოკლე (რელუცირებული) ხმოვნები. რელუცირებულ ხმოვანს არა აქვს მყარი პოზიცია, მოკლე ხმოვნის წარმოქმნა მახვილის მოძრაობასთან არის დაკავშირებული. ხმოვნის შესუსტება ალულოურში ხდება აფიქსის დართვისას და მასზე მახვილის გადატანისას, მაგ.:

**ხედ** „წყალი“ – **ხთარ** (მრ. რიცხვი), **ხთი** (ერგ., მხ. რ.), **ხთინ** (ნათ.), **ხთის** (მიც.)...

ხმოვნის სრული ამოღება დასტურდება ზმნის უარყოფითი ფორმების წარმოებისას, მაგ.:

**წართქმითი ფორმა**

**უარყოფითი ფორმა**

ჯარუჭას „დაწყება“

ჯარლუჭას

ჯარნას „მიღწევა“

ჯარნას

ჯარინას „ასროლა“

ჯარინას

ქირიკას „დამარხვა“

ქირიკას

ქირაღურქას „ცოტათი მოღუნვა“

ქირაღურქას

ჰარნას „შეხვედრა“

ჰარნას


ჰარადის „გაცემა“

ჰარადის

**4. 5. რუთულური ენის ვოკალიზმი.** რუთულურ ენაში დასტურდება ექვსი ხმოვანი ფონემა (ა, უ, ზ, ე, ი, უ). პ ბგერა ე-ს ვარიანტად წარმოგვიდგება. ისინი ზოგჯერ პოზიციურად არიან განაწილებულნი, ზოგჯერ კი – თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. ო ბგერა რუთულურში პოზიციურია – იგი დასტურდება ნასესხებ სიტყვებში, ხოლო საკუთარ ლექსიკაში ო გვხვდება ლაბიალიზებული თანხმოვნებისა და ჟ-ს გვერდით. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში შეინიშნება ო-ს ფონოლოგიზაცია. ზ ბგერა აუსლაუტში ხშირად რეალიზებულია როგორც საშუალო აწეულობის ბგერა.

აწეულობა	წინა რიგის		უკანა რიგის	
	არალაბიალიზებ.	ლაბიალიზებული	არალაბიალიზებ.	ლაბიალიზებული
მაღალი	ი	უ	ზ	უ
საშუალო	ე		ა	(ო)
დაბალი	(ვ)			

სქემატურად რუთულური ენის ვოკალიზმი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



(ვ)

რუთულურში რამდენიმე სიტყვაში გრძელი ხმოვნებიც დასტურდება (პ, უ, ზ, ე): ვაჟ „ოცი“, ვაჟა „დრო“, უბა „იქ, ზემოთ“, სეს „ხმა“... როგორც წესი, ხმოვანთა სიგრძეს რუთულურში აქვს მორფოლოგიური ფუნქცია. ის ძირითადად სამ გრამატიკულ ფაქტს უკავშირდება: თანდებუიან ბრინვათა სერიებში ფორმათა ცვლილებას; ადგილის ზმნისარტებში, მაგ., პ „ქვემოთ“, პლა „ქვემოდან“, უ „ზემოთ“, ულა „ზემოდან“, მიდნ „აქედან“, თინნ „იქიდან“ და სხვ.; ზმნურ პრევერბთა შემადგენლობაში, რომლებიც ორიენტირიდან დაშორების სემანტიკის გამომხატველია, მაგ., გინირი „ქვეშ ამოღება“ – გეტირი „ქვეშიდან გამოღება“, ლინირი „ზედ დაღება“ – ლეტირი „აღება (ზედაპირიდან)“...

ამას გარდა, ხმოვანთა სიგრძე შეიძლება ფონეტიკური პროცესების შედეგად იყოს მიღებული:

როგორც თანხმოვნის დაკარგვით გამოწვეული საკომპენსაციო მოვლენა, მაგ., პუ (< აჟუ) „შხამი“...

ინტერვოკალური თანხმოვნის დაკარგვით გამოწვეული, მაგ., შეერ (< შეჰერ) „ქალაქი“...

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, რუთულურს ფარინგალიზებული ხმოვნები მოეპოვება. ასე, მაგალითად, ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, რუთულურში ექვსი ფარინგალიზებული ხმოვანი გვექნება: ა<sup>წ</sup>, ე<sup>წ</sup>, ი<sup>წ</sup>, ო<sup>წ</sup>, უ<sup>წ</sup>, ჯ<sup>წ</sup> (ჯეირანიშვილი 1959: 339-359). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღნიშნული, რუთულურში მოგვეპოვება უველარული და ლარინგალური ფარინგალიზებული თანხმოვნები. დადასტურებულია მხოლოდ ორი სიტყვა, რომლებშიც ფარინგალიზაცია ამ თანხმოვნებს არ უკავშირდება (კიბრიკი, კოძასოვი 1990: 343).

#### 4. 5. 1. საერთოლუზიური ვოკალიზმის ტრანსფორმაცია რუთულურში

პროცესი	კომენტარი
*ა > ა	როგორც წესი, *ა რუთულურში უცვლელადაა შემონახულია, მათ შორის ფარინგალიზებულ სიტყვებში. *C <sup>წ</sup> ა (ა ბგერა ლაბიალიზებული თანხმოვნის შემდეგ) თანხმოვნთა დელაბიალიზაციის შედეგად გვაძლევს C <sup>წ</sup> უ-ს, თუმცა ზოგჯერ *ა დელაბიალიზებული თანხმოვნის შემდეგ უცვლელადაა დაცული. დასტურდება *ა ხმოვნის პალატალიზაციაც (*ა > ე; იშვიათად – *ა > ი). იშვიათად გვხვდება *ა ბგერის სხვა რეფლექსებიც.
*ე > ე, ი, ვ	*ე ბგერა რუთულურში სამი ძირითადი რეფლექსითაა წარმოდგენილი (ე, ი, ვ). დელაბიალიზებული თანხმოვნების შემდეგ *ე ასევე სამ ძირითად რეფლექსს გვაძლევს (უ, გ, ვ).
*ი > ი, გ, ე, ო	*ი ფონემა რუთულურში სხვადასხვა რეფლექსებს გვაძლევს (ი, გ, ე, ო). დელაბიალიზებული თანხმოვნების შემდეგ დასტურდება ყველა აღნიშნული რეფლექსი + უ. იშვიათად, შეიძლება სხვა რეფლექსებიც შეგვხვდეს.

**\*უ > უ, გ** \*უ ბგერა რუთულურში ორი ძირითადი რეფლექსითაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, უ შემონახულია ძირითადად უკანა წარმოების და ლაბიალურ თანხმოვნებთან ხოლო წინა წარმოების თანხმოვნებთან გ დასტურდება. ე-სა და შიშინა თანხმოვნების შემდეგ \*უ განიცდის პალატალიზაციას (\*უ > ი). იშვიათად სხვა რეფლექსებიც გვხვდება. \*უ-ს პალატალიზაცია რუთულურ ენაში ფარინგალიზებული თანხმოვნების გვერდითაც ხდება. ასეთ შემთხვევაში \*უ სხვადასხვა რეფლექსებს გვაძლევს: ი, ვ, რ, ჟ. ამასთან, ზოგჯერ უ და გ შემონახულია.

#### 4. 5. 2. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

##### 4. 5. 2. 1. ხმოვანთა ლაბიალიზაცია

ხმოვანთა ლაბიალიზაცია რუთულურ ენაში თანხმოვანთა დელაბიალიზაციას უკავშირდება. თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად ხდება მომდევნო ხმოვნის ლაბიალიზაცია. \*ა ბგერა ლაბიალიზაციის შედეგად რუთულურში გვაძლევს უ-ს, მაგ.: **დურ** (< \*დ<sup>ა</sup>არ) „სახელი“, შდრ. ლეზგ. **ტ<sup>ა</sup>არ**: თაბ. ჩურ: აღ. თურ: წახ. დო: ბუდ. თურ: არჩ. წო: ხინ. წუ: უდ. წი „id“...

**სუს** (< \*ს<sup>ა</sup>ას) „პატარძალი“, შდრ. ლეზგ. **ს<sup>ა</sup>ას**: თაბ. შიუშა: აღ. **სუს**: წახ. **სოს**: კრიწ. **სეს**: ბუდ. **სუზ**: ხინ. **წგ-ნას** „id“...

\*ე ბგერა თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად ან ჟ-ს მოშლისას ასევე გვაძლევს უ-ს, მაგ.:

**უყ** (< \*ჟყ) „ბალახი“, შდრ. ლეზგ. **ვეყ** (იარკ. ვჰყ): თაბ. უკ: აღ. ზუყ: წახ. **ოკ**: უდ. **ო** „id“...

რუთულურში აღინიშნება ი ბგერის ლაბიალიზაციაც ლაბიალური თანხმოვნების გვერდით. აქ, როგორც წესი, დასტურდება რეგრესული ლაბიალიზაცია, მაგ.:

**სუჟ** (< \*სიჟ) „მთა“, შდრ. ლეზგ. **სუჟ**: თაბ. **სიჟ**: აღ. **სუჟ**: წახ. **სუჟა** // **სგჟა** „id“;

**ხუმ** (< \*ხიმ) „კვამლი“, შდრ. ლეზგ. **გუმ**: თაბ., აღ. **ქუმ**: წახ. **ქუმა**: კრიწ. **ფირმი**: ბუდ. **ხიმ**: ხინ. **ხიმი** „id“: არჩ. **გუნ** „მტვერი“...

##### 4. 5. 2. 2. ხმოვანთა დელაბიალიზაცია

რუთულურში დასტურდება უ ბგერის დელაბიალიზაცია. როგორც ჩანს, უ შემონახულია ძირითად უკანა წარმოების თანხმოვნებთან, ლაბიალურებთან და ლაბიალიზებულიებთან, ხოლო წინა წარმოების თანხმოვნებთან უ კარგავს ლაბიალიზებულობას და გვაძლევს გ-ს, მაგ.:

**ზგ** (< \*ზუ) „მე“, შდრ. ლეზგ. **ზუნ**: თაბ. **უზუ** // **იზუ**: აღ. **ზუნ**: არჩ. **ზონ**: უდ. **ზუ** „id“;

**დიწგდ** (< \*დიწუდ) „ათი“, შდრ. ლეზგ. **წუდ** (ახტ. **წგდ**): თაბ. **დიწურ**: აღ. **იწუდ** „id“...

##### 4. 5. 2. 3. ხმოვანთა პალატალიზაცია

რუთულურში გარკვეული თანხმოვნების გვერდით (წინაველარული, შიშინა) ხდება ა ბგერის პალატალიზაცია. ამის შედეგად ა, როგორც წესი, გვაძლევს საშუალო აწეულობის წინა რიგის ხმოვანს (ა > ე),



თუმცა ი რეფლექსიც დასტურდება, მაგ.:

**ხედ** (< \*ხად) „წყალი“, შდრ. ლეზგ. **ად**: თაბ. **შიდ**: აღ. **ხედ**: წახ. **ხან**: კრიწ. **ხად**: ხინ. **ხუ**: არჩ. **ლან**: ულ. ხე „id“ ...

პალატალიზაცია რეთულურში შეიძლება ფარინგალიზაციასაც უკავშირდებოდეს, მაგ.:

**რიხ** (< \*რახ) „წისქვილი“, შდრ. ლეზგ. **რედ**ᄃ: თაბ. **რღინ**: აღ. **ჰრჰ**: წახ. **დოხ**ᄃ: ხინ. **ზოხ**: არჩ. **ლუხათ** „id“ ...

ფარინგალურებთან ან ფარინგალური არტიკულაციის მოშლის შედეგად უ ბგერა რეგულარულად განიცდის პალატალიზაციას და ი, ვ, ზ, უ ბგერებში გადადის, მაგ.:


**რივ** (იხრ. **რვ**) (< \*რუვ) „ნაცარი“, შდრ. ლეზგ. **რუვ**: თაბ. **რუვ** // **რუყ**: აღ. **რუვ**: წახ. **დივ**: კრიწ. **რვ**: ბულ. **რუვ**: ხინ. **ზვ**: არჩ. **დიყ**: ულ. ივ „id“;

**ღირ** (< \*ღარ) „კურდღელი“, შდრ. ლეზგ. **ყურ**: თაბ. **ღურ**: აღ. **ჰურ**: წახ. **ყიდე**: კრიწ., ბულ. **ყურ**: ხინ. **კიზ**: ულ. ღუ „id“ ...

**4. 6. წახური ენის ვოკალიზმი.** წახურ ენაში 11 ხმოვანი დასტურდება, ესენია: ხუთი მარტივი ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ), მათი გრძელი კორელატები (ჰ, ზ, ო, ო, უ) და ე. წ. ირაციონალური (გ). ფონემებად წახურში მხოლოდ მარტივი ხმოვნები და ე. წ. ირაციონალური გვევლინება. ამას გარდა, გილმეწურ კილოკავსა (ჰ, უ) და საბუნჩის კილოკავში (ჰ, ო, უ) მოგვეპოვება პალატალიზებული (უმლაუტიანი) ხმოვნები.

	წინა რიგის		შუა რიგის		უკანა რიგის	
	მარტივი	გრძელი	მარტივი	გრძელი	მარტივი	გრძელი
ვიწრო	ი	(ი)	ე		უ	(უ)
საშუალო	ე	(ე)			ო	(ო)
ღია			ა	(ა)		

სხვა ლეზგიური ენებისაგან განსხვავებით, რომელთა ვოკალური სისტემები „მართლკუთხედს“ ჰქმნიან, წახური ხმოვნები შეიძლება ე. წ. სამკუთხედში მოთავსდეს. ლეზგიურ ენათაგან „სამკუთხა“ სისტემა არჩიბულშიც დასტურდება. განსხვავება არჩიბული და წახური ენების ვოკალურ სისტემათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ „ირაციონალური“ წახურში არის მაღალი აწეულობის ბგერა, რაც, სავარაუდოდ, „ოთხკუთხა“ სისტემის ნაშთი უნდა იყოს, ხოლო არჩიბულში – საშუალო აწეულობის. ა ბგერა, რომელიც სხვა ლეზგიურ ენებში უკანა რიგისა და ხშირად საშუალო აწეულობის ბგერაა, წახურში შუა რიგისა და დაბალი აწეულობის ხმოვანს წარმოადგენს, რომელიც ჰქმნის „სამკუთხედის ქვევით მიმართულ წვერს“. სქემატურად წახური ენის ვოკალური სისტემა შეიძლება ასეთი სახით წარმოვადგინოთ:



გ ბგერა ხშირად უმახვლო პოზიციაში მყოფი ი ხმოვნისაგან არის მიღებული. შეინიშნება მონაცვლეობაც მათ შორის, მაგ., ჯე // ჯე „კურდღელი“, გინე // გენე „პური“ ... თავის მხრივ, აუსლაუტში ხშირად ხდება გ-ს ნაწილობრივი რედუქცია, ხოლო სწრაფი მეტყველებისას იგი ზოგჯერ სრულად ამოიღება.

როგორც აღინიშნა, გ-ს გარდა ყველა მარტივ ხმოვანს მოეპოვება გრძელი ვარიანტი, მაგ., ბისი „კატა“, ბელთაურ „კულები“, ვურზი „ნაწლავები“, რტალეს „დაბნევა“, გაურას „ჯდომა“ ... გრძელი ხმოვნების წარმოქმნის ტენდენცია დღესაც საგრძნობია წახურში. სწრაფი მეტყველებისას შეინიშნება ინტერვოკალური გ, დ და ჟ თანხმოვნების ამოვარდნა და, ამის შედეგად, გრძელი ხმოვნების წარმოქმნა. ხმოვანთა სიგრძე წახურში შეიძლება მორფოლოგიური ფუნქციის მატარებელი იყოს. გრძელი ხმოვნები უპირისპირდება მარტივს და ასრულებს რაიმე სიტყვაწარმოებით ფუნქციას, მაგ., აქლა „ქვემოთ“ – აქლ (ტოპონიმი), დალა „მალა“ – დალ (ტოპ.)...

ფარინგალიზაციის პროცესი წახურში მკვლევართა მიერ ხშირად განხილული იყო როგორც ხმოვნის სეგმენტური თვისება: ასე, მაგალითად, ბ. თალიბოვი წახურში ოთხ გლოტალიზებულს (resp. ფარინგალიზებულს) იმოწმებს (ა<sup>0</sup>, ო<sup>0</sup>, უ<sup>0</sup>, ი<sup>0</sup> – თალიბოვი 1955: 29), ხოლო ევგ. ჯეირანიშვილი – ექვს (ა<sup>0</sup>, ო<sup>0</sup>, უ<sup>0</sup>, ე<sup>0</sup>, ი<sup>0</sup>, გ<sup>0</sup> – ჯეირანიშვილი 1959: 339-359). ამის მიუხედავად, ფარინგალიზაცია წახურში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღნიშნული, პროსოდის თვისება უნდა იყოს – იგი ვრცელდება მარცვალზე ან იმ მარცვალთა თანმიმდევრობაზე, რომლებიც არ შეიცავენ ამა თუ იმ წინა რიგის მხოვანს (კიბრიკი და სხვ. 1999: 19).

#### 4. 6. 1. საერთოლგეიური ვოკალიზმის ტრანსფორმაცია წახურში

პროცესი	კომენტარი
*ა > ა	როგორც წესი, *ა წახურში უცვლელადაა შემონახულია, მათ შორის
*{w}ა > ო	ფარინგალიზებულ სიტყვებში. C <sup>w</sup> ა (ა ბგერა ლაბიალიზებული თანხმოვნის შემდეგ) რუთულურში გვაძლევს C <sup>a</sup> -ს (ა ბგერა დელაბიალიზებული თანხმოვნის შემდეგ), თუმცა *C <sup>w</sup> ა > C <sup>o</sup> პროცესიც დასტურდება. იშვიათად გვხვდება *ა ბგერის სხვა რეფლექსებიც.
*ე > ე, ი	*ე ბგერა წახურში ორი ძირითადი რეფლექსითაა წარმოდგენილი (ე, ი).
*{w}ე > ო{ <sup>c</sup> }	თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად *wე > ო პროცესი დასტურდება, ამასთან, ხმოვნის ლაბიალიზაციასთან ერთად ვითარდება ფარინგალიზაციის

პროცესი (მეორადი ფარინგალიზაცია). იშვიათად სხვა რეფლექსებიც მოგვეპოვება.

**\*ი > ი, ე**

**\*ი** წახურში იმავე ორი ძირითადი რეფლექსითაა წარმოდგენილი (**ი, ე**), რაც **\*ე**, თუმცა **\*ი > ე** პროცესიც დასტურდება, ხოლო იშვიათად – სხვა რეფლექსები. ლაბიალიზებული თანხმოვნების დელაბიალიზაციის შედეგად **\*ი**, როგორც წესი, არ განიცდის ცვლილებას, თუმცა **ჟ**-ს გვერდით **\*ი** შეიძლება მოგვეცეს **უ** ან **ო**.

**\*უ > უ, გ**

**\*უ** ბგერა წახურში ორი ძირითადი რეფლექსითაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, **უ** შემონახულია ძირითად უკანა წარმოების და ლაბიალურ თანხმოვნებთან, ხოლო წინა წარმოების თანხმოვნებთან **გ** დასტურდება. **ფ** სონანტის, შიშინა თანხმოვნების შემდეგ და ფარინგალიზებულ სიტყვებში **\*უ** განიცდის პალატალიზაციას (**\*უ > ი**). იშვიათად სხვა რეფლექსებიც გვხვდება.

#### 4. 6. 2. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

##### 4. 6. 2. 1. ხმოვანთა ლაბიალიზაცია

ხმოვანთა ლაბიალიზაცია წახურში ხდება თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად და ლაბიალური და ლაბიალიზებული თანხმოვნების გვერდით. ამასთან, წახურში დასტურდება როგორც პროგრესული, ისე რეგრესული ასიმილაცია. **\*ა** ბგერა ლაბიალიზაციის შედეგად წახურში გვაძლევს **ო**-ს (იშვიათად – **უ**-ს), მაგ.:

**ლო** (< **\*ღა**) „სახელი“, შდრ. ლეზგ. **ტაარ**: თაბ. **ჩგურ**: აღ. **თაურ**: რუთ. **ღურ**: ბუდ. **თურ**: არჩ. **წო**: ხინ. **წუ**: უდ. **წი** „id“...

**სოს** (< **\*სა**) „პატარძალი“, შდრ. ლეზგ. **საას**: თაბ. **შაუშა**: აღ. **სუს**: რუთ. **სუს**: კრიწ. **სგს**: ბუდ. **სუზ**: ხინ. **წგ-ნას** „id“;

**ჟოქ** (< **\*ჟაქ**) „ლორი“, შდრ. ლეზგ. **ჟაქ**: აღ. **ჟაკ**: ბუდ. **ჟაქ**: არჩ. **ბოტბ**: უდ. **ბოყ** „id“...

**\*ე** ბგერა თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად ან **ჟ**-ს მოშლისას ასევე გვაძლევს **ო**-ს, მაგ.:

**ოკ** (< **\*ჟეკ**) „ბალახი“, შდრ. ლეზგ. **ვეყ** (იარკ. **ვჰყ**): თაბ. **უკ**: აღ. **ჟუყ**: რუთ. **უყ**: უდ. **ო** „id“

**ყოდ** (< **\*ყოდ**) „ორი“, შდრ. ლეზგ. **ყოდ**: თაბ. **ყაუბ**: აღ. **ჟოდ**: რუთ. **ყოდ**: კრიწ. **ყად**: ბუდ. **ყად**: უდ. **პა** (< **\*ყა**): ხინ. **კუ**: არჩ. **ყა**- „id“...

წახურში აღინიშნება **ი** ბგერის ლაბიალიზაციაც ლაბიალური ან ლაბიალიზებული თანხმოვნების გვერდით. აქ, როგორც წესი, დასტურდება რეგრესული ლაბიალიზაცია, მაგ.:

**სუჟა** // **სგჟა** (< **\*სიჟა**) „მთა“, შდრ. ლეზგ. **სუჟა**: თაბ. **სიჟა**: აღ., რუთ. **სუჟა** „id“;

**ქუმა** (< **\*ქიმა**) „კვამლი“, შდრ. ლეზგ. **გუმ**: თაბ., აღ. **ქუმ**: რუთ. **წუმ**: კრიწ. **ფირმი**: ბუდ. **წიმ**: ხინ. **წიმი** „id“: არჩ. **გუნ** „მტკერი“;

**ფოსა** (< **\*ფისა**) „წისქვილი“, შდრ. ლეზგ. **რელა**: თაბ. **რანინ**: აღ. **პრჰ**: რუთ. **რის**: ხინ. **ზოს**: არჩ.

ლუხათ „id“...

**4. 6. 2. 2. ხმოვანთა დელაბიალიზაცია**

წახურში დასტურდება უ ბგერის დელაბიალიზაცია. როგორც ჩანს, უ შემონახულია ძირითად უკანა წარმოების თანხმონებთან, ლაბიალურებთან და ლაბიალი ზებულებთან, ხოლო წინა წარმოების თანხმონებთან უ კარგავს ლაბიალი ზებულობას და გვადლევის გ-ს, მაგ.:

ზგ (< \*ზუ) „მე“, შდრ. ლეზგ. ზუნ: თაბ. უზუ // იზუ: აღ. ზუნ: არჩ. ზონ: უდ. ზუ „id“;  
დიწღლ (< \*დიწულ) „ათი“, შდრ. ლეზგ. წულ (ახტ. წედ): თაბ. დიწურ: აღ. იწულ „id“...

**4. 6. 2. 3. ხმოვანთა პალატალიზაცია**

პალატალიზაციას წახურში, როგორც წესი, უ ხმოვანი განიცდის და ეს ხშირად ფარინგალიზაციას უკავშირდება. ფარინგალიზებულ სიტყვებსა და ფარინგალური არტიკულაციის მოშლის შედეგად უ ბგერა რეგულარულად განიცდის პალატალიზაციას და ი, ა, ო, უ ბგერებში გადადის, მაგ.:

ყიფე (< \*ყიუფე) „კურდღელი“, შდრ. ლეზგ. ყურ: თაბ. ლურ: აღ. ჭურ: რუთ. ღირ: კრიწ., ბუდ. ყურ: ხინ. კიზ: უდ. ლუ „id“;

იფ (< \*იუფ) „ნაცარი“, შდრ. ლეზგ. რუჯ: თაბ. რუჯუ // რუყ: აღ. რუჯ: რუთ. რიჯ (იხრ. რჯ): კრიწ. რჯ: ბუდ. რეჯ: ხინ. ზჯ: არჩ. დიყ: უდ. იფ „id“;

იღ (< \*იუღ) „ხილი“, შდრ. ლეზგ. მუღ: აღ. მუჭ „id“...

ამას გარდა, უ ბგერის პალატალიზაცია წახურში ხდება სხვა პოზიციებში, მაგ.:

ხაჴ (< \*ხუ) „დაღლი“, შდრ. თაბ. ხუ: აღ. ლუდ: კრიწ. ხაორ: ბუდ. ხორ: უდ. ხა „id“;

იმი (< \*იუმი) „გოგონა“, შდრ. ლეზგ. რუმ (ახტ. რუმ): თაბ. რიმი: აღ. რუმ: რუთ. რუმ: კრიწ. რიმი: ბუდ. რიყ: ხინ. რიმი „id“...

წახურში იშვიათად დასტურდება ა ბგერის პალატალიზაცია. იგი, როგორც წესი, გვადლევის ან ე-ს, ანდა ი-ს, მაგ.:

ჭირიდ (< \*ჭირიდ) „მზე“, შდრ. ლეზგ. რად: თაბ. რიდ: აღ. რად: რუთ. ჭირიდ: კრიწ., ბუდ. ჭირად: ხინ. გნყ: არჩ. ბარჯ: უდ. კავკ.-ალბ. ბედ „id“...

ა-ს პალატალიზაცია წახურში ზოგჯერ ფარინგალიზაციის მოშლას უკავშირდება, მაგ.:

ყეჭ (< \*ყაჭ) „მარილი“, შდრ. ლეზგ. ყელ: თაბ. ყილ: აღ. ყალ: რუთ. ყალ: კრიწ., ბუდ. ყელ: ხინ. ყა: უდ. ელ (< \*ყელ) „id“...


**4. 7. არჩიბული ენის ვოკალიზმი.** არჩიბულ ენაში 11 ხმოვანი დასტურდება, ესენია: ხუთი მარტივი ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ), მათი გრძელი კორელატები (ა, ე, ი, ო, უ) და ე. წ. ირაციონალური (გ). ფონემებად არჩიბულში მხოლოდ მარტივი ხმოვნები და ე. წ. ირაციონალური გვევლინება.

	წინა რიგის	შუა რიგის	უკანა რიგის
--	------------	-----------	-------------

	მარტივი	გრძელი	მარტივი	გრძელი	მარტივი	გრძელი
ვიწრო	ი	(ი)			უ	(უ)
საშუალო	ე	(ე)	ჯ		ო	(ო)
ღია			ა	(ა)		

არჩიბული ენის ხმოვნები არტიკულაციის თავისებურებათა მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ლეზგიური ენების ხმოვნებისაგან. წინა რიგის ხმოვნებს (ე, ი) არჩიბულში აქვთ უფრო უკანა ლოკალიზაცია, ხოლო უკანა რიგის ხმოვნები, პირიქით, უფრო წინ იწარმოებიან. ამის გამო, სხვა ლეზგიურ ენებში გავრცელებული თანხმოვანთა პალატალიზაცია და ველარიზაცია, რომელიც წინა და უკანა რიგის ხმოვნების გავლენით ვითარდება, არჩიბულისათვის არ არის დამახასიათებელი. ა ბგერა, რომელიც სხვა ლეზგიურ ენებში უკანა რიგის ბგერაა, არჩიბულში შუა რიგის ხმოვანს წარმოადგენს.

ამრიგად, სხვა ლეზგიური ენებისაგან განსხვავებით, რომელთა ვოკალური სისტემები „მართლკუთხედს“ ჰქმნიან, არჩიბული ხმოვნები შეიძლება ე. წ. სამკუთხედში მოთავსდეს, რომლის „ცენტრში“ დასტურდება „ნეიტრალური“ – საშუალო აწეულობისა და შუა რიგის ბგერა. სქემატურად არჩიბული ენის ვოკალური სისტემა შეიძლება ასეთი სახით წარმოვადგინოთ:



ამის მიუხედავად, გარკვეული ფონეტიკური პროცესები არჩიბულში მეტყველებს იმის შესახებ, რომ მისთვის სხვა ლეზგიური ენებისათვის დამახასიათებელი სისტემა უნდა ყოფილიყო ამოსავალი, ხოლო მისი ტრანსფორმაცია ხუნძური ენის გავლენას უნდა მივაწეროთ; ასე, მაგალითად, საყურადღებოა ა-სა და ე-ს მონაცვლეობა აბსოლუტივისა და ერგატივის ფორმებში, მაგ.:

- საფ (აბს.) – სუფი (ერგ.) „ღანძილი“;
- ნატ (აბს.) – ნეტერი (ერგ.) „წილი“;
- ნაყ (აბს.) – ნეყი (ერგ.) „მიწა“;
- ბაკ (აბს.) – ბეკერი (ერგ.) „ვერძი“;
- ნატ (აბს.) – ნეტ’ი (ერგ.) „რძე“...

საფიქრებელია, რომ აქ უნდა იყოს არჩიბულში აწ დაკარგული \*ჰ ბგერის პოზიციური რეფლექსები (კიბრიკი და სხვ. 1977: I-220), რაც სხვა ლეზგიურ ენათა ჩვენებით მყარდება, რომლებშიც ამ მაგალითებში წინა რიგის ხმოვნები დასტურდება, შდრ.:

- „წილი“ – ლეზგ. ნეტ: თაბ. ნიტ: აღ. ნეტ: რუთ. ნატ, ნეტ;
- „რძე“ – ლეზგ. ნექ: თაბ. ნიქ: აღ. ნექ: რუთ. ნჰქ, ნექ და სხვა.

ასევე, აღსანიშნავია ა > ი პროცესი, რომელიც რედუპლიცირებულ სახელებში დასტურდება (მაგ., ყარყი „მინდორი“, სარსი „ქვიშა“), რაც ა < \*ჟ > ი პროცესის შედეგი უნდა იყოს (კიბრიკი და სხვ. 1977: I-220).

არჩიულში დასტურდება ო > უ და ე > ი პროცესები (შუა აწეულობის მსოვნების გადასვლა მაღალი აწეულობის ხმოვნებში), რაც ასევე დამახასიათებელია „მართლკუთხა“ ვოკალური სისტემის მქონე ლეზგიური ენებისათვის (მაგ., ლეზგიური, ხინალუღური და სხვა).

**4. 7. 0. 1. გრძელი ხმოვნები:** ყველა მარტივ ხმოვანს არჩიულში (გ-ს გარდა) მოეპოვება გრძელი კორელატი. გრძელი ხმოვნები ხარისხით არ განსხვავდება შესაბამისი მარტივი ხმოვნებისაგან, თუ, ზოგიერთ შემთხვევაში, მათ მცირე დიფთონგიზაციას არ მივირებთ მხედველობაში. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ გრძელი ხმოვნების სიგრძე არჩიულში საშუალოდ დაახლ. 1,5-ჯერ აღემატება მარტივი ხმოვნების სიგრძეს (კიბრიკი და სხვ. 1977: I-214). სიგრძე არჩიულში ხშირად ექსპრესიულობის ნიშანია – ის ხაზს უსვამს რაოდენობრივ ან ხირისხიბრივ შეფასებას ზედსართავებსა და ზმნისართებში, მაგ., მუში „კარგი“, ცნუთ „გემრიელი“, ტინნა „ცოტა“...

დასტურდება განსაზღვრებით ნაწილაკში -ჟნ და ახლავს -უ ნაწილაკს, მაგ., ცოქუნუთ „ყოველი გაკეთებული“; სოლუ ნოწუ „მელიაც, ფრინველიც“...

დაშორების თუ სხვა მნიშვნელობას აძლიერებს, მაგ., თენა „იქ (შორს)“; ჰოროქ „ძველის-ძველად“; ქენისი „იქ (ქვევით)“...

გრძელი ხმოვნები აგრეთვე დასტურდება ზმნურ ფორმებში, ბოლოკიდურ ვრში და ვტუ ელემენტებში, მაგ., ცანხარში „იბრძვის“; გუქორში „იქავებს“; აქდატუ „არ წავა“; ლჷუნნეტუ „არ გაიქცევა“...

თუ გამოვრიცხავთ გრძელი ხმოვნების გამოყენების აღნიშნულ კანონზომიერ შემთხვევებს, დაგვრჩება შეზღუდული რაოდენობის ლექსემები, ძირითადად – ზმნები, რომლებშიც გრძელი ხმოვანი მოიპოვება, მაგ.: ცაწას „გაძლია“; ძანას „ბარვა“; ძანას „განიავება“; ბაზუს „მეტყველება“; ცაჭვტუ „ცარიელი“; კანრეთუთ „სველი“; ჟანეთუთ „მსგავსი“; დაზი „საზღვარი“...

**4. 7. 0. 2. ნაზალიზებული ხმოვნები:** არჩიულში ნაზალიზებული ხმოვნები პოზიციურია. ისინი ან ლაბიალიზებული კომპლექსების წინ გვხვდება, რომელიც ნაზალური თანხმოვნებისა და ბილაბიალური სონანტისაგან შედგება, ან ნაზალური თანხმოვნის წინ, რომელსაც ჟ მოსდევს, მაგ.:

ცეშჷარ > ცეწჷარ „ტირის“, ცუშმუნ ჷართი > ცუშმუნ ჷართი „ძმის თეფში“...

ასევე ხმოვნის ნაზალიზაცია ხდება ნ თანხმოვნის წინ, მის მარცვალში, მაგ., ცანნს „ჩხუბი“, თუნნგ „თითისტარი“...

**4. 7. 1. საერთოლეზგიური ვოკალიზმის ტრანსფორმაცია არჩიულში**

პროცესი	კომენტარი
*ა > ა	*ა არჩიულში უცვლელადაა შემონახული, თუ რამდენიმე გამონაკლისს არ ჩავთვლით. *ა ბგერა არ განიცდის ცვლილებას ლაბიალიზებული თანხმოვნების
*{w}ა > ა	

დელაბიალიზაციის შედეგად. იშვიათად სხვა რეფლექსები დასტურდება.

**\*ე > ა** \*ე ბგერა არჩიულში ასევე ა რეფლექსს გვაძლევს. იშვიათად სხვა რეფლექსებიც დასტურდება. ე შემონახულია ფარინგალიზებულ სიტყვებში (ა-სთან და სხვა რეფლექსებთან ერთად) და ლაბიალიზებული თანხმოვნის შემდეგ.

**\*ი > ი, ა, ო** \*ი არჩიულში ხშირად უცვლელადაა შემონახული, თუმცა სხვა რეფლექსებიც დასტურდება (ა, ო). ლაბიალიზებული თანხმოვნების შემდეგ (როდესაც თანხმოვანი ინარჩუნებს ლაბიალიზებულობას) \*ი არ განიცდის ცვლილებებს, ხოლო მისი დელაბიალიზაციის შემთხვევაში \*ი გადადის ო ბგერაში.

**\*უ > უ, ო** \*უ ბგერა არჩიულში ორი ძირითადი რეფლექსითაა წარმოდგენილი (უ, ო). ზოგჯერ სხვა რეფლექსებიც დასტურდება.

#### 4. 7. 2. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

##### 4. 7. 2. 1. ხმოვანთა რედუქცია

თუ სიტყვაში მახვილი მოუდის მესამე მარცვალს, მაშინ საერთო წესის მიხედვით ხდება წინამავალი ხმოვნის რედუქცია (ნასესხებ ლექსიკაში რედუქციის მაგივრად ხდება მახვილის გადატანა მესამე მარცვლიდან მეორე მარცვალზე). ამ წესის ჩაწერა შეიძლება შემდეგი ფორმულით: CV(C)CVCV > CV(C)CCV. გვაქვს გრამატიკულ ფორმათა ორი ტიპი, რომლებშიც ეს წესი მოქმედებს:

1. კლას-პრეფიქსიანი ორმარცვლიანი ზმნური ფორმები, რომლებშიც მახვილი ფიქსირდება მეორე მარცვალზე, მაგ.:

[დ-ქერა-ს] დექერას > დქერას „წაყვანა“, შდრ. ქერას (IV კლ.);

[დ-შუბუ-ს] დეშუბუს > დშუბუს „აღება“, შდრ. შუბუს (IV კლ.);

[ბ-ჩერა-ს] ბეჩერას > ბჩერას „შეწვა“, შდრ. ჩერას (IV კლ.)...

2. ამ ჯგუფში შედის ორმარცვლიანი ზმნური და სახელური ფორმები, რომლებშიც მახვილი გადადის სუფიქსზე, მაგ.:

კენწოლ-ა > კენწლ-ა (ერგ.), შდრ. კენწოლ (აბს.) „ლეკვი“;

მეთოლ-ა > მეთლ-ა (ერგ.), შდრ. მეთოლ (აბს.) „ციკანი“;

ხეთონ-ა > ხეთნ-ა (ერგ.), შდრ. ხეთონ (აბს.) „ლობე“...

რედუქცია შესაძლებელია მახვილის შემდეგაც. მახვილის მომდევნო პოზიციაში, თუმცა არა ბოლო მარცვალში არჩიული იგუებს უ, ო და ე ხმოვნებს, ხოლო ა და ი ხმოვნები განიცდის რედუქციას და გადადის ე. წ. ირაციონალურში (ე), მაგ.:

და'რწან „წარბი“ – და'რწემულ „წარბები“;

ბაზა'ლლით „ბაზარში“ – ბაზა'ლლეთის „ბაზრიდან“ ...

უ ბგერაც ფაქულტატურად გვაძლევს გ-ს, როდესაც იმყოფება აპიკალურ ან ბაგისმიერ თანხმოვნებს შორის, მაგ.:

ყებუნა – ყებუნა „შეარჭო რა“;

მისგინნუმუნ – მისგინნუმუნ „ლარიბთან“ ...

ამას გარდა, არჩიბული ენა ვერ იგუებს ჰიატუსს. მორფემათა გასაყარზე ორი ხმოვნის თავმოყრისას ერთ-ერთი ამოიღება. თუ ერთად იყრის თავს მახვილიანი და უმახვილო, ამოიღება უმახვილო, ხოლო თუ იყრის თავს ორი უმახვილო ხმოვანი, მაშინ ამოღებულ იქნება უფრო ვიწრო, ანუ მათალი აწეულობის, მაგ.:

ყან „ოცი“ < ყა-ან;

ხიბინ „ოცდაათი“ < ხიბი'-ან;

მგლ'ენ „რვა“ < მგლ'ე'-ან...

დახურულ მარცვალში ხდება გრძელი ხმოვნების რედუქცია (გამარტივება). როდესაც ღია მარცვალში დადსტურებული გრძელი ხმოვანი რაიმე მიზეზით აღმოჩნდება დახურულ მარცვალში, იგი გამარტივდება, მაგ.:

ღანას „ბარვა“ – დარხ'ურ „ბარავს“;

ცაწას „ავსება“ – დარწ'ურ „ავსება“ ...

#### 4. 7. 2. 2. ხმოვანთა კვეცა

არჩიბულში ხდება უ და გ ხმოვნების კვეცა. ხშირად იკვეცება სხვა ხმოვანიც, რომელიც ჯერ გვაძლევს ე. წ. ნეიტრალურ ბგერას (გ), ხოლო შემდეგ ამოიღება (კიბრიკი და სხვ. 1977: I-286), მაგ.:

მარხუ „ძირი“ – მარხ<sup>o</sup>-ღუ (მრ. რიცხვი);

ჰა<sup>o</sup>თგრა „მდინარე“ – ჰა<sup>o</sup>თგლლი (ერგ.) < ჰა<sup>o</sup>თგრგლი; ჰა<sup>o</sup>თგრმულ (მრ. რ.) < ჰა<sup>o</sup>თგრგმულ;

ნაკგნა „გასაღები“ – ნაკგნნი (ერგ.) < ნაკგნნი; ნაკგმმულ (მრ. რ.) < ნაკგნგმულ;

შა<sup>o</sup>იტგლა „მდინარე“ – შა<sup>o</sup>იტგლლი (ერგ.) < შა<sup>o</sup>იტგლგლი; შა<sup>o</sup>იტგლლუ (მრ. რ.) < შა<sup>o</sup>იტგლგლუ...

#### 4. 7. 2. 3. ხმოვანთა ასიმილაცია

არჩიბულში ასიმილაცია, როგორც წესი, ხდება სონანტების დ-სა და ჟ-ს გავლენით. დ სონანტი იწვევს ხმოვნის პალატალიზაციას, ხოლო ჟ – ლაბიალიზაციას. დასტურდება როგორც რეგრესული, ისე პროგრესული ასიმილაცია. რეგრესული ასიმილაციას დროს ხდება შემდეგი სახის ფონეტიკური ცვლილებები:

აღ > ეგ;

აჟ > ოჟ.

აღ და აჟ დიფთონგები შემონახულია მხოლოდ სიტყვის აბსოლუტურ აუსლაუტში და ნასესხებ სიტყვებში, ხოლო სხვა პოზიციებში ეს დიფთონგები ზემოთ ნაჩვენებ ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის (ამას გარდა, არჩიბულში დასტურდება ნეიტრალური ბგერის ასიმილაცია სონანტების წინ: გგ > ეგ; გჟ > ოჟ), მაგ.:

წა „თხა“ – წეითაღ (ერგ.);

ცასას „წაღება“ – ცოჟსას „წაღება“ (I კლ.)...



თავის მხრივ, **ოჭ** დიფთონგი განიცდის სრულ ასიმილაციას და **უ** ბგერაში გადადის, თუმცა **აჭ**-საგან მიღებული **ოჭ** არ განიცდის სრულ ასიმილაციას, მაგ.:

**ოჭლ'მუს** „გამოტანა“ > **ცულ'მუს**; **ოჭჭმუს** „გაღვიძება“ > **ცუჭმუს**...

პროგრესული ასიმილაცია დასტურდება **ჭ**-ს შემდეგ ან ლაბიალიზებული კონსონანტის შემდეგ:

**ჭო** > **უ**; **ჭგ** > **უ**; **ც<sup>ო</sup>ო** > **ცუ**; **ც<sup>გ</sup>გ** > **ცუ**.

**ჭოქას** > **ცუქას** „წვა“; **ჭეთმა** > **ცუთმა** „შენთან“; **შოიტარ** > **შოგტარ** > **შუტარ** „სტვენა“...

**4. 8. კრიწული ენის ვოკალიზმი.** კრიწულ ენაში ცხრა ხმოვან ფონემას ითვლიან (**ა, ო, უ, გ, ვ, ე, ი, ო, უ**). ამათგან, **ო** ბგერის სტატუსი როგორც ფონემის გარკვეულ ეჭვს იწვევს. ეს ბგერა კრიწულში იშვიათად დასტურდება და ისიც, როგორც წესი, აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სიტყვებში. ამას გარდა, **ო** ხშირად **ე**-საგან არის მიღებული ლაბიალიზაციის შედეგად. დანარჩენი უმლაუტიანი ხმოვნებიც ან აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სიტყვებში გვხვდება, ანდა ფონეტიკური პროცესების შედეგად არიან წარმოქმნილი: **ვ** ან **ე**-საგან არის მითებული, ანდა **ა** ბგერისაგან პალატალიზაციის შედეგად. **უ** მიღებულია ან **ი** ბგერების ლაბიალიზაციის შედეგად, ანდა **უ** ბგერის პალატალიზაციის შედეგად. **გ** და **ო** ბგერებიც მეორეული ჩანს. **გ** ი-საგან უნდა იყოს მიღებული, ხოლო **ო** – უ-საგან. **ო** აგრეთვე **ა** და **ვ** ბგერების ლაბიალიზაციის შედეგად არის მიღებული. გაგრძელებულია ხმოვანთა რედუქცია, რომლის შედეგად სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში შეიძლება მივიღოთ თანხმოვანთკომპლექსები, მაგ., **ქსუნტ** (< **ქუსუნტ**) “ქვერცხი”.

აწეულობა	წინა რიგის		უკანა რიგის	
	არალაბიალიზებული	ლაბიალიზებული	არალაბიალიზებული	ლაბიალიზებული
მაღალი	<b>ი</b>	<b>უ</b>	<b>გ</b>	<b>უ</b>
საშუალო	<b>ე</b>	<b>ო</b>		<b>ო</b>
დაბალი	<b>ვ</b>		<b>ა</b>	

შენიშვნა: **გ, უ** და **ო** მხოლოდ დახურულ მარცვალში გვხვდება; **ა** და **ე** ბგერების პოზიცია სიტყვის აბსოლუტურ დასაწყისსა და ბოლოში არ ჩანს მყარი.

კრიწული ენის ვოკალიზმი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



**ე** ბგერა **ვ**-ს პოზიციურ ვარიანტად გვევლინება. იგი, როგორც წესი, შიშინა თანხმოვნების, ემფატიკური ლარინგალებისა და **დ**-ს შემდეგ დასტურდება (ანუ, იმ თანხმოვნების შემდეგ, რომელთაც ამა თუ იმ ფორმის

პალატალიზაცია ასასიათებს).

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უმლაუტიანი ხმოვნები კრიწულში არ არის პერიფერიული, როგორც ეს არის სხვა ლეზგიურ ენებში, არამედ შედარებით უკან გამოითქმის.

#### 4. 8. 1. საერთოლეზგიური ვოკალიზმის ტრანსფორმაცია კრიწულში

პროცესი	კომენტარი
*ა > ა, ა *{w}ა > უ {>გ} *ა{w} > ო *{e}ა > ა, ა, ე, ი, ე	*ა კრიწულში ძირითადად შემონახულია, თუმცა იგი ლაბიალიზებული თანხმოვნის დელაბიალიზაციის შედეგად და ლაბიალური თანხმოვნების გვერდით განიცდის ლაბიალიზაციას (რეგრესული ლაბიალიზაციის დროს, როგორც წესი, *ა > ო, ხოლო პროგრესული ლაბიალიზაციის დროს – *ა > უ). პროგრესული ლაბიალიზაციის შედეგად მიღებული უ შემდგომ, ხშირად, გ ბგერას გვაძლევს. კრიწულში ერთმარცვლიან სიტყვათა დახურულ მარცვალში შეინიშნება *ა > ა პროცესი. ამას გარდა, ფარინგალიზაციის მოშლის შედეგად ხდება მეორადი პალატალიზაცია (*ა > ა, *ა > ე, *ა > ი), თუმცა არაპალატალიზებული რეფლექსების დასტურდება (ა, ე). კრიწულში იშვიათად დასტურდება *ა ბგერის სხვა რეფლექსებიც.
*ე > ე *{w}ე > ა	*ე ბგერა კრიწულში, ძირითადად, უცვლელადაა შემონახული. ლაბიალიზებული თანხმოვნების დელაბიალიზაციის შედეგად *ე > ა პროცესი დასტურდება.
*ი > ი	*ი კრიწულში, როგორც წესი, არ განიცდის ცვლილებას. იშვიათად სხვა რეფლექსებიც დასტურდება.
*უ > უ, ე	*უ ბგერა კრიწულში ორი ძირითადი რეფლექსითაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, უ შემონახულია ძირითად უკანა წარმოებისა და ლაბიალურ თანხმოვნებთან, ხოლო წინა წარმოების თანხმოვნებთან გ დასტურდება. იშვიათად სხვა რეფლექსებიც გვხვდება.

#### 4. 8. 2. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

##### 4. 8. 2. 1. ხმოვანთა ლაბიალიზაცია

ხმოვანთა ლაბიალიზაცია კრიწულ ენაში ხდება როგორც ბაგისმიერ და ლაბიალიზებულ თანხმოვანთა გვერდით, ისე თანხმოვანთა დელაბიალიზაციას უკავშირდება. \*ა რეგრესული ლაბიალიზაციის შედეგად

კრიწულში გვადლევს ო-ს, ხოლო პროგრესული ლაბიალიზაციის დროს – \*ა > უ, მაგ.: მობ (< \*მასჴ) „სიმღერა“, შდრ. ლეზგ. მასჴ: თაბ. მავჴ: რუთ. მასჴ: უდ. მალ „id“;

ნაყჴ // ნრყ (< \*ნაყჴ) „მიწა“, „ნიადაგი“, შდრ. ლეზგ. ნაყჴ: თაბ. ნაყჴ „სამარე“: აღ., რუთ., წახ., არჩ. ნაყჴ „id“;

ოკ // აკჴ „ნავახი“, შდრ. ლეზგ. აკჴ: თაბ. აკ: წახ. აკჴ „id“;

ტულ (< \*ტჴალ) „ჯოხი“, „ფიხი“, შდრ. ლეზგ. ტჴალ: რუთ. ტატალ: წახ. ტატა „id“;

კულ (< \*კჴალ) „სახლი“, შდრ. ლეზგ. კჴალ „id“...

კრიწულში ლაბიალიზებული თანხმოვნების შემდეგ, რომელიც სინქრონიულ დონეზე ხშირად გამარტივებულია, დასტურდება გ ბგერა. ის უ-საგან უნდა იყოს მიღებული, მაგ.: თგრ (< \*თჴარ) „სახელი“, შდრ. ლეზგ. ტჴარ: თაბ. ჩგურ: აღ. თჴურ: რუთ. დურ: წახ. დო: ბუდ. თურ: ხინ. წუ: არჩ. წო: უდ. წი „id“;

სგს (< \*სჴას) „პატარძალი“, შდრ. ლეზგ. სჴას: თაბ. შჴეშ: აღ., რუთ. სუს: წახ. სოს: ბუდ. სუზ: ხინ. წგ-ნას „id“...

#### 4. 8. 2. 2. ხმოვანთა დელაბიალიზაცია

კრიწულში დასტურდება უ ბგერის დელაბიალიზაცია. როგორც ჩანს, უ შემონახულია ძირითად უკანა წარმოების, ლაბიალურ და ლაბიალიზებულ თანხმოვნებთან, ხოლო წინა წარმოების თანხმოვნებთან უ კარგავს ლაბიალიზებულობას, წინ გადაიწევს და გვადლევს გ-ს, მაგ.:

ზენ (< \*ზუნ) „მე“, შდრ. ლეზგ. ზუნ: თაბ. უზუ // იზუ: აღ. ზუნ: არჩ. ზონ: უდ. ზუ „id“;

დიწდ (< \*დიწულ) „ათი“, შდრ. ლეზგ. წულ (ახტ. წედ): თაბ. დიწურ: აღ. იწულ „id“...

#### 4. 8. 2. 3. ხმოვანთა პალატალიზაცია

კრიწულში ერთმარცვლიან სიტყვათა დახურულ მარცვალში შეინიშნება ა ბგერის პალატალიზაცია. ამის შედეგად ა ასევე დაბალი აწეულობის, ოღონდ წინა რიგის ხმოვანში გადადის (ა > ა), ხოლო დანარჩენ ლეზგიურ ენებში ა შემონახულია, მაგ.:

ვზ (< \*ვან) „მთვარე“, შდრ. ლეზგ. ვარზ: თაბ. ვარძ: აღ., რუთ., წახ., ბუდ. ვან: ხინ. ვაწ: არჩ. ბაც „id“;

რჳქ (< \*რაქ) „კარი“, შდრ. ლეზგ. რაქ: თაბ. რაქინ: აღ. რაქ: რუთ. რაქ: წახ. აქა: არჩ. დალზ „id“...

ჯეკურ თქმაში ა > ა პროცესი არ დასტურდება.

ხმოვანთა პალატალიზაციის პროცესი კრიწულში ხშირად ფარინგალიზაციის პროცესს უნდა უკავშირდებოდეს. ასეთ შემთხვევაში, ა ბგერა ა-ს გარდა ხშირად გვადლევს ე-სა და ი-ს, მაგ.:

რის (< \*რან) „გზა“, შდრ. რუთ. რაზ: წახ. დაზ: უდ. დაყ „id“;

ყელ (< \*ყალ) „მარილი“, შდრ. რუთ. ყალ...

4. 9. ბუღუხური ენის ვოკალიზმი. ბუღუხურ ენაში ათ ხმოვან ფონემას იმოწმებენ (ა, ო, უ, გ, ჯ, ა, ე, ი, ო, უ). სამეცნიერო ლიტერატურაში ეჭვი გამოითქვა ჯ ბგერის სტატუსთან დაკავშირებით. ეს ბგერა (უ. მეილანოვას დახასიათებით, მოკლე დახურული ა ბგერა), უ. მეილანოვას აზრით, ოდენ ა ბგერის ვარიანტია. თავის მხრივ, ა ბგერა ბუღუხურში, როგორც უ. მეილანოვა მიიჩნევს, ლეზგიურ ა ბგერას უახლოვდება, რომლის

არტიკულაცია მ-სთან შედარებით უკანაა გადაწეული და უფრო ღიაა (მეილანოვა 1984: 183). ი. დეშერიევისა და ს. კოდასოვის აზრითაც, ა ბგერას ბუღუხურში უკანა რიგის ხმოვნია, რაც საყოველთაოდ არ არის გაზიარებული.

უ. მეილანოვას მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ა და ჯ პოზიციურად განაწილებულია (თუმცა – არა ყოველთვის). უვეულარულ და ლარინგალურ თანხმოვნებთან დასტურდება მხოლოდ ა ბგერა.

აწეულობა	წინა რიგის		უკანა რიგის	
	არალაბიალი ზებული	ლაბიალი ზებული	არალაბიალი ზებული	ლაბიალი ზებული
მაღალი	ი	უ	ე	უ
საშუალო	ე	ო	ჟ	ო
დაბალი	ჰ		ა	

სხვაგვარად ბუღუხური ენის ვოკალური სისტემა შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



ჰ ფონემა შეიძლება რეალიზებული იყოს როგორც ჰ და როგორც ჟ. ამასთან, მეორე ვარიანტი ჭარბობს.

ბუღუხურ ენას არ მოეპოვება გრძელი ან ნახალიზებული ხმოვნები, თუმცა იშვიათად დასტურდება ხმოვანთა სიგრძე, რომელიც ბუღუხურში მხოლოდ ექსპრესიის გამომხატველია. მარგალთა მიჯნაზე ან აუსლაუტში შეინიშნება ხმოვანთა ნახალიზაცია, რომელიც გამოწვეულია ნ ბგერის დაკარგვით, თუმცა ეს მოვლენა ახლა იჩენს თავს და, როგორც უ. მეილანოვა 1984 წელს აღნიშნავს, მხოლოდ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა მეტყველებსათვის არის დამახინჯებული (მეილანოვა 1984: 184).

ბუღუხურში შეინიშნება წინა რიგის ხმოვანთა ფარინგალიზაცია უვეულარულ და ფარინგალიზებულ თანხმოვანთა გვერდით: ი > ი<sup>ფ</sup>; ე > ე<sup>ფ</sup>; ჰ > ა<sup>ფ</sup>; ო > ო<sup>ფ</sup>; უ > უ<sup>ფ</sup>, თუმცა ფარინგალიზაციის პროცესს ბუღუხურში არ მოეპოვება სისტემური ხასიათი და, შესაბამისად, არც ფარინგალიზებულ ბგერებს ფონემური სტატუსი მოეპოვებათ.

#### 4. 9. 1. საერთოლექსიური ვოკალიზმის ტრანსფორმაცია ბუღუხურში

პროცესი

კომენტარი

\*ა > ა

\*ა ბუღუხურში ძირითადად უცვლელადაა შემონახული, თუმცა ისტორიული

\*{**W**}**ა** > უ ლაბიალიზებული თანხმონის (ან კომპლექსის) დელაბიალიზაციის შედეგად  
 \***ა**{**W**} > **ო** (ბუღუხურში ლაბიალიზებული თანხმონები მთლიანად გამარტივდა) განიცდის  
 \*{**ე**}**ა** > **ე, ი** ლაბიალიზაციას. რეგრესული ლაბიალიზაციის დროს, როგორც წესი, \***აW** > **ო**, ხოლო  
 პროგრესული ლაბიალიზაციის დროს – \***აა** > უ. ამას გარდა, \***ა** ბგერა განიცდის  
 მეორად პალატალიზაციას ფარინგალიზაციის მოშლის შედეგად. \***ა** ბგერა ამ  
 პროცესის შედეგად გვაძლევს ე-სა ან ი-ს. ბუღუხურში იშვიათად დასტურდება \***ა**  
 ბგერის სხვა რეფლექსებიც.

\***ე** > **ე** \***ე** ბგერა ბუღუხურში, როგორც წესი, არ განიცდის ცვლილებებს. იშვიათად \***ე**  
 > **ა** ან სხვა რეფლექსები დასტურდება.

\***ი** > **ი** \***ი** ბუღუხურში, ძირითადად, უცვლელადაა შემონახული. დელაბიალიზებული  
 თანხმონებისა და ჟ-ს შემდეგ დასტურდება \***Wi** > უ, თუმცა, როგორც წესი, \***ი**  
 დელაბიალიზებული თანხმონების შემდეგაც არ განიცდის ცვლილებას. იშვიათად  
 სხვა რეფლექსებიც გვხვდება.

\***უ** > უ \***უ** ბგერა ბუღუხურში, როგორც წესი, უცვლელადაა შემონახული. იშვიათად  
 სხვა რეფლექსებიც დასტურდება.

#### 4. 9. 2. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

##### 4. 9. 2. 1. ხმოვანთა ლაბიალიზაცია

ხმოვანთა ლაბიალიზაცია ბუღუხურ ენაში თანხმოვანთა დელაბიალიზაციასთან არის დაკავშირებული.  
 ამასთან, აღსანიშნავია, რომ თანხმოვანთა დელაბიალიზაცია ბუღუხურში დასრულებული ფონეტიკური  
 პროცესია, ანუ ბუღუხურში ლაბიალიზებული თანხმონები უდიურისა და კავკასიის ალბანურის მსგავსად  
 გამარტივდა (**C<sup>W</sup>** > **C**). თანხმონის დელაბიალიზაციის შედეგად ხდება ხმოვნის ლაბიალიზაცია. ეს შეიძლება  
 იყოს როგორც წინამავალი ხმოვანი, ისე მომდევნო ხმოვანი. რეგრესული ლაბიალიზაციის დროს, როგორც წესი,  
 \***ა** > **ო**, ხოლო პროგრესული ლაბიალიზაციის დროს – \***ა** > უ.

რეგრესული ლაბიალიზაცია: **ნობ** < \***ნახ<sup>W</sup>** „პურის გული“, შდრ. ლეზგ. **ნაღ<sup>W</sup>** „id“;

**დოკ** < \***დაკ<sup>W</sup>** „ნაჯახი“, შდრ. ლეზგ. **დაკ<sup>W</sup>**: თაბ. **დაკ**: წახ. **დაკ<sup>W</sup>** „id“

**ნოყ** < \***ნაყ<sup>W</sup>** „მიწა“, შდრ. ლეზგ. **ნაყ<sup>W</sup>**: თაბ. **ნაყ<sup>W</sup>** „სამარე“: აღ., რუთ., წახ., არჩ. **ნაყ<sup>W</sup>** „id“...

პროგრესული ლაბიალიზაცია: **თურ** < **ტურ** < **ტ<sup>W</sup>არ** „სახელი“, შდრ. ლეზგ. **ტ<sup>W</sup>არ** „id“;

**კულ** (< \***კ<sup>W</sup>ალ**) „სახლი“, შდრ. ლეზგ. **კ<sup>W</sup>ალ** „id“...

**ვურ** < \***ვ<sup>W</sup>არ** „სიცილი“, შდრ. ლეზგ. **ვ<sup>W</sup>ერ** „id“;

**ტუტ** < \***ტ<sup>W</sup>ატ** „ბუზი“, შდრ. ლეზგ. **ტ<sup>W</sup>ეტ** „id“...

ბუღურენაში იშვიათად დასტურდება ი თანხმონის ლაბიალიზაცია ( $\{ \mathfrak{P} \} \text{ი} > \mathfrak{U}$ ).

#### 4. 9. 2. 2. ხმოვანთა პალატალიზაცია

ხმოვანთა პალატალიზაციის პროცესი ბუღურენაში ფარინგალიზაციის პროცესს უკავშირდება. ა ბგერა ამ პროცესის შედეგად გვაძლევს ე-სა და ი-ს, მაგ.:


რის (< \*რან<sup>წ</sup>) „გზა“, შდრ. რუთ. რან<sup>წ</sup>: წან. ძან<sup>წ</sup>: უდ. ძან „id“;

ყელ (< \*ყ<sup>წ</sup>ელ) „მარილი“, შდრ. რუთ. ყ<sup>წ</sup>ელ...

4. 10. ხინალურული ენის ვოკალიზმი. ხინალურ ენაში ცხრა ხმოვან ფონემაზე მიგვითითებენ (ა, ო, უ, გ, ჰ, ე, ი, თ, ჟ).

აწეულობა	წინა რიგის		უკანა რიგის	
	არალაბიალი ზებული	ლაბიალი ზებული	არალაბიალი ზებული	ლაბიალი ზებული
მაღალი	ი	ჟ	ე	უ
საშუალო	ე	თ		ო
დაბალი	ჰ		ა	

სხვაგვარად, ხინალურული ენის ხმოვანთა სისტემა შეიძლება ამ სქემის სახით წარმოვადგინოთ:



ხინალურ ენაში გრძელი (ჰ, ე, ი, თ, ჟ) და ნაზალიზებული ხმოვნები (ან, ენ, ინ, ონ, უნ, ზნ) მოგვეპოვება. დასტურდება ასევე როგორც აღმაავალი (ჟა, ჟე, ჟი), ისე დაღმაავალი დიფთონგები (აე, ოე, უე). ი. დეშერიევის აზრით, ნაზალიზებული ბგერები და დაღმაავალი დიფთონგები ფონემებია (დეშერიევი 1959: 11), თუმცა ისინი, როგორც ჩანს, პოზიციურად შეპირობებულ ხმოვანთა ჯგუფს წარმოადგენენ.

ხმოვნების ნაზალიზაცია ხინალურში ხდება ნ ბგერის წინ, რომელიც, როგორც წესი, სუსტდება და იკარგება, მაგ., კაჭენ „ქვა“, უნგ „გული“, ინკ „თოკი“, გნქა „მდინარე“, ონდ „თხი“...

ხინალურში ნაზალიზაციის გამომწვევი ნ თანხმოვანი, როდესაც მას მოსდევს ან ველარული ხმოვანი, ანდა უველარული თანხმოვანი, ზოგჯერ შემონახულია, თუმცა შესუსტებულია, მაგ., ანქ „ფეხი“, ინკ „ძვალი“, ენგ „ყველი“, ტენგ „წვეთი“, გნყ „ძზე“...

ხინალურში ყველა ხმოვანს ჟ-სა და ე-ს გარდა მოეპოვება გრძელი ვარიანტები. როგორც წესი, ხმოვანთა სიგრძე ხინალურსა გამოწვეულია ფონეტიკური პროცესებით (ხმოვანთა შერწყმა, თანხმონის

დაკარგვით გამოწვეული საკომპენსაციო სიგრძე). თუმცა ასეთი შემთხვევების გამორიცხვის შემდეგ, გვრჩება ლექსემათა მცირე რაოდენობა, რომლებშიც ესა თუ ის გრძელი ხმოვანი დასტურდება (პ, ჟ, ბ, რ, უ), მაგ., **სარგხ** „ზეგ“, **მარგხ** „მაზეგ“, **ჟგი ცულოზ** „საღეჭი კბილი“... ამგვარ ლექსემებში სიგრძის გაჩენა გარკვევას მოითხოვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია პოზიციურად შეპირობებულ ფარინგალიზებულ ხმოვანთა (ი°, ა°, უ°) არსებობის შესახებ ხინალულურში (განიევა 2002: 471). ეს ხმოვნები ფარინგალურ თანხმოვანთა გვერდით გვხვდება, მაგ., **ჭილლე** „ხერხი“, **ჭირს** „რისხვა“, „გალიზიანება“, **რუჭ** „სული“...

#### 4. 10. 1. საერთოლუზგიური ვოკალიზმის ტრანსფორმაცია ხინალულურში

პროცესი	კომენტარი
*ა > ა	*ა ხინალულურში ძირითადად უცვლელადაა შემონახული, თუმცა აბსოლუტურ აუსლაუტში იგი გვაძლევს ა-სა ან ი-ს. პალატალიზაცია ზოგჯერ სხვა პოზიციებშიც დასტურდება. თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად *ა ხშირად გვაძლევს უ-ს და მეორად რეფლექსად – გ-ს, თუმცა *ა > ა პროცესიც დასტურდება. ხინალულურში იშვიათად გვხვდება *ა ბგერის სხვა რეფლექსებიც.
*{ }ა > ა, ი	
*{w}ა > უ, გ	
*ე > ი	*ე ბგერა ხინალულურში, როგორც წესი, გვაძლევს ი-ს. ლაბიალიზებული თანხმოვნების დელაბიალიზაციის შედეგად *ე გადადის უ ბგერაში. იშვიათად სხვა რეფლექსები დასტურდება.
*ი > ი	*ი ხინალულურში, ძირითადად, უცვლელადაა შემონახული. ლაბიალიზებული თანხმოვნების დელაბიალიზაციის შედეგად დასტურდება *ი > უ, თუმცა ხშირად *ი > ი. ამას გარდა, შეინიშნება *ი > გ პროცესიც, ხოლო იშვიათად – სხვა რეფლექსებიც გვხვდება.
*უ > უ, ი, გ, ა, ა, ა	*უ ბგერა ხინალულურში სხვადასხვა რეფლექსებითაა წარმოდგენილი (უ, ი, გ, ა, ა). ზოგჯერ სხვა რეფლექსებიც დასტურდება.

#### 4. 10. 2. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

##### 4. 10. 2. 1. ხმოვანთა ლაბიალიზაცია

ხმოვანთა ლაბიალიზაცია ხინალულურ ენაში თანხმოვანთა დელაბიალიზაციას უკავშირდება. თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად ხდება მოძვენო ხმოვნის ლაბიალიზაცია. \*ა ბგერა ლაბიალიზაციის შედეგად

გვაძლევს უ-ს, მაგ.:

**წუ** (< \*წ<sup>ა</sup>არ) „სახელი“, შდრ. ლეზგ. **ტ<sup>ა</sup>არ**: თაბ. **ჩ<sup>ა</sup>ურ**: აღ. **თ<sup>ა</sup>ურ**: რუთ. **ღურ**: წახ. **ღო**: ბუდ. **თურ**: არჩ. წო: უდ. წი „id“...

\*ე ბგერა თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად ასევე გვაძლევს უ-ს, მაგ.:

**კუ** (< \*კ<sup>ა</sup>ე) „ორი“, შდრ. ლეზგ. **ყ<sup>ა</sup>ედ**: თაბ. **ყ<sup>ა</sup>უბ**: აღ. **ჭ<sup>ა</sup>უდ**: რუთ. **ყ<sup>ა</sup>ზდ**: წახ. **ყოდ**: კრიწ. **ყ<sup>ა</sup>ად**: ბუდ. **ყად**: უდ. **პა<sup>ა</sup>** (< \*ყ<sup>ა</sup>ა): არჩ. ყვე- „id“;

#### 4. 10. 2. 2. ხმოვანთა დელაბიალიზაცია

ხინალულურში შეინიშნება უ ბგერის დელაბიალიზაცია. როგორც ჩანს, უ შემონახულია ძირითად უკანა წარმოების თანხმოვნებთან, ხოლო წინა წარმოების თანხმოვნებთან უ კარგავს ლაბიალიზებულობას, წინ გადაიწევის და გვაძლევს გ-ს, მაგ.:

**ზე** (< \*ზე) „მე“, შდრ. ლეზგ. **ზუნ** (სამ., ყუბ. **ზუნ**): თაბ. **უზუ** // **იზუ**: აღ. **ზუნ**: რუთ., წახ. **ზე**: კრიწ., ბუდ. **ზუნ**: არჩ. **ზონ**: უდ. **ზე** „id“;

**ჟე** (< \*ჟე) „შენ“, შდრ. ლეზგ. **ჟუნ**: თაბ. **უჟუ** // **იჟუ**: აღ. **ჟუნ**: რუთ., წახ. **ჟე**: კრიწ., ბუდ. **ჟუნ**: არჩ. **უნ**: უდ. **უნ** „id“...

#### 4. 10. 2. 3. ხმოვანთა პალატალიზაცია

ხინალულურში სიტყვის აბსოლუტურ აუსლაუტში შეინიშნება ა ბგერის პალატალიზაცია. ამის შედეგად ა ასევე დაბალი აწეულობის, ოღონდ წინა რიგის ხმოვანში გადადის (ა > ა), ხოლო დანარჩენ ლეზგიურ ენებში ა შემონახულია, მაგ.:

**ჭა** (< \*ჭა) „ცეცხლი“, შდრ. ლეზგ., თაბ., აღ., რუთ. **წა**: წახ., კრიწ., ბუდ. **წა**: არჩ. **ოც** „id“;

**მა** (< \*მა) „შაშხი“, შდრ. ლეზგ. **მაყ**: აღ. **მაჟ**: რუთ., წახ., კრიწ., ბუდ. **მაყ** „id“;

**ჯიგა** (< \*ჯიგა) „აღილი“, შდრ. ლეზგ. **ჩ(ი)ქა**: რუთ., წახ. **ჯიგა**: კრიწ. **ჯიქა**: ბუდ. **ჯიგა**: უდ. **გა** „id“...

ფარინგალური არტიკულაციის მოშლის შედეგად უ ბგერა ხშირად განიცდის პალატალიზაციას და ი და ა ბგერებში გადადის, მაგ.:

**კიზ** (< \*კა<sup>ა</sup>-ზა) „კურდღელი“, შდრ. ლეზგ. **ყურ**: თაბ. **ღურ**: აღ. **ჭურ**: რუთ. **რიჰ** (იხრ. **რჰ**): წახ. **ყ<sup>ა</sup>იდე**: კრიწ., ბუდ. **ყურ**: უდ. **ღ<sup>ა</sup>უ** „id“...

**4. 11. უდიური ენის ვოკალიზმი.** ვართაშნულ კილოში დასტურდება 8 ძირითადი (ა, ე, ი, ო, უ, ა, ო, უ) და ერთი ფაკულტატური ხმოვანი (გ), ხოლო ნიჯურში გ ხმოვანს მოეპოვება ფონემის სტატუსი.

უდიურს არ მოეპოვება გრძელი და ნაზალიზებული ხმოვანი ფონემები, რომელიც სხვა დალეზნურ ენებშია გავრცელებული. გრძელი ხმოვანი უდიურში შეიძლება ან მორფემათა გასაყარზე შეგვხვდეს, ანდა ერთი ბგერის მიერ მეორეს ასიმილაციით იყოს მიღებული, მაგ., **მა** “საღაც” + ა (კითხვ. ნაწილაკი) – **მა?** (**მა-ა?**) “სად?” **სა** “ერთი” + ო (მასუბსტანტ. სუფიქსი) – **სო** (**სო-ო**) “ერთი”; **ქალა** “დიდი” + ო (მასუბსტანტ.



სუფიქსი) – ქალრ (ქალო-ო) “დიდი”; პა° “ორი” + ო “ბალახი” – პრ° (პო-ო) “ორი ღერი ბალახი”...

უდიურში ხმოვნები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

მარტივი ხმოვნები (ა, ე, ი, ო, უ);


პალატალიზებული (უმლაუტიანი) ხმოვნები (ჰ, ტ, ჭ).

ამას გარდა, შეიძლება გამოვყოთ ე. წ. ირაციონალური გ.

ხმოვანთა კლასიფიკაცია უდიურში შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

აწეულობა	წინა რიგის		უკანა რიგის	
	არალაბიალიზებული	ლაბიალიზებული	არალაბიალიზებული	ლაბიალიზებული
მაღალი	ი	უ	[გ]	უ
საშუალო	ე	ტ		ო
დაბალი	ჰ		ა	

სხვაგვარად, უდიური ენის ხმოვანთა სისტემა შეიძლება ამ სქემის სახით წარმოვადგინოთ:



#### 4. 11. 0. 1. მარტივი ხმოვნები

როგორც ზემოთ აღინიშნა, უდიურში დასტურდება ხუთი მარტივი ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ). მათი წარმოთქმა ისეთივეა, როგორც, მაგალითად, ქართულში. ყველა მათგანი ნებისმიერ პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს, მაგ., ამა/ამა “მაგრამ”; აშ “საქმე”; არ “მსხალი”; ალა “მალა”, “ზემოთ”; მავ “სარი”; ბაბა (ვართ.), ბავა (ნიჯ.) “მამა”; ხა “მატყლი”; მა° “ტვინი”; ბაჰან “ზურგი”; ბაჰანა “მერცხალი”...

ემ° “ვამლი”; ელ “მარილი”; ეყ “ხორცი”; მეჰ “მატლი”, “ჭია”; ველ “თხა”; ხე “წყალი”; მე “ეს”; ენე “უკვე”; ელელ “ცხვარი”; ელემ “ვირი”; ეველ “საყდარი, ეკლესია”; ერეყ “თხილი”...

ვიჩი “ძმა”; იხ “მეხსიერება”; იყ “ნაცარი”; იჟ° “თოვლი”; ინ “რწყილი”; ინი “ახალი”; ჩილ “მძივი”; იჩ “თვითონ”; იჩი “თავისი”; ირიზ “ბილიკი”...

ო “ბალახი”; ოხ “სავარცხელი”; ოყ “ძირი”, ფსკერი”; გონ “ფერი”; თოგ “ფასი”; კოჯ (ვართ.), ქოყ (ნიჯ.) “სახლი”; ხოდ “ხე”; ხო “ცვარი”; ხო “ცური”; ბოყო “ცომი”...

უნ (ვართ.), პუნ (ნიჯ.) “შენ”; უჰ “მდინარე”; უჰ° “ექესი”; უპ “გული”; უჰ° “კაკალი”; მუჰ “ფრჩხილი”; მუჰ° “მხიარული”; ჭუმ “სარეველა”; მურ “ღერძი”; ზე “მე”...

#### 4. 11. 0. 2. პალატალიზებული (უმლაუტიანი) ხმოვნები

უდიურ ენას სამი უმლაუტიანი ხმოვანი (პ, ო, უ) მოეპოვება. ეს ხმოვნები გვხვდება ყველანაირ პოზიციაში. პალატალიზებული ხმოვნები დასტურდება ძირითადად ნასესხებ (როგორც წესი – აზერბაიჯანულიდან) სიტყვებში, თუმცა ეს ხმოვნები საკუთარ ლექსიკაშიც აღინიშნება, მაგ., **პვპრპმ** “თუ”, “თუკი”; **პზ** “სოფელი”; **პელ** “ბავშვი”; **ქპლპზ** “ქალაღი”; **პრქპლ** “ხვაღი”; **ღპლ** “მამიღა”...

**რვღლ** “გვარი”, “გენი”, “წარმოშობა”; **რპპვ** “ძარღვი”; **რქქუზ** “ტყუპი”; **გრღლ** “ბევრი”; **გრპმპ** “კამეჩი”; **გრგ** “ცა”...

**უთუ** “უთო”; **უსუნ** “მალე”; **ურუმურუმ** “ბინდ-ბუნღი”; **პრუგ** “ჭერამი”; **გურჯი** “ქართვეღი”...

აღსანიშნავია, რომ ნიჯურში პ ბგერა უფრო ხშირად გვხვდება ღ ხოგჯერ ვართამუნულში მარტივ ა ბგერას შეესატყვისება, მაგ., **პმ** (ნიჯ.) – **ამ** (ვართ.) “საქმე”. ო და უ ბგერები კი ნიჯურში, პირიქით, განიცდის გამარტივებას, ანუ კარგავს უმლაუტობას და ე (< ო) და ი (< უ) ბგერებში გადაღის, მაგ., **გრღლ** (ვართ.) – **გელუ** (ნიჯ.) “ბევრი”; **პრუგ** (ვართ.) – **პრიგ** (ნიჯ.) “ჭერამი”... პალატალიზების დაკარგვის პროცესი ამჟამად ვართამუნულ კილოშიცაა ხელშესახება; ამის გამო შეინიშნება მარტივ ღ და პალატალიზებულ ბგერათა ხშირი მონაცვლეობა, მაგ., **პელ** – **აელ** “ბავშვი”; **გრპმპ** – **გრპმი** “კამეჩი” და ა.შ.

ეგვ. ჯეირანიშვილის აზრით, პალატალიზებული ხმოვნები უდიურში ფონემის სტატუსით არ არიან აღჭურვილნი (ჯეირანიშვილი 1971: 11). შეუძლებელია დავეთანხმოთ აღნიშნულ მოსაზრებას – მიუხედავად იმისა, რომ პალატალიზებული ხმოვნების წარმოქმნა უდიურში უცხოენოვანი გავლენის შედეგი უნდა იყოს, მაინც მივიჩნევთ, რომ სინქრონულ დონეზე პალატალიზებული ხმოვნები ფონემებს წარმოადგენენ. ამის შესახებ შემდეგი ფაქტები მეტყველებს:

ეს ბგერები არტიკულაციურად წმინდა ხმოვნებს წარმოადგენენ;

პალატალიზებული ხმოვნები არ არიან პოზიციურად შეპირობებულნი – ისინი ყველანაირ პოზიციაში გვხვდება (ანლაუტში, ინლაუტსა თუ აუსლაუტში);

აღსანიშნავია მათი სიჭარბე უდიური ენის თანამედროვე ლექსიკურ ფონღში;

ღღეს უდიურში პალატალიზებულ ხმოვნებს მოეპოვებათ მნიშვნელობის განმასხვავებელი (დისტინქციური) ფუნქცია, მაგ.:

**ბალა** “შვიღი”, “ბოკვერი”, “ბარტყი” – **ბპლ** “თავსატყხი”, “პრობლემა”;

**ღუღუნ** “კოყრი”, “სიმსივნე”, “გამაგრება” – **ღუგუნ** “კვანღი”;

**ქალა** “ღიღი”, “უფროსი” – **ქპლ** “თავის ქალა”, “კეფა”;

**ქალამ** “ქალამანი” – **ქპლამ** “კომბოსღო”;

**ქურ** “ღრღო”, “ქვაბული” – **ქურ** “ცელქი”, “შეუპოვარი”;

**ჩაფ** “ღაღრთქლიღი”, “სოკოთი ღაღადებული” – **ჩაფ** “ელამი”...

#### 4. 11. 0. 3. გ ბგერა

გ ბგერა დასტურდება უდიური ენის ორსავე კილოში, თუმცა ფონემის სტატუსი მას მხოლოდ ნიჯურ დიალექტში მოეპოვება. ეს ბგერა ჩვეულებრივ გვხვდება ნასესხებ სიტყვებში (ძირითადად – აზერბაიჯანულიდან), თუმცა ნიჯურ კილოში იგი საკუთარ მასალაშიც დასტურდება (მათ შორის – მორფოლოგიურ ელემენტებშიც), მაგ., ქაღუზ “ქალალი”; ვუგუ “ქსოვილი”; ვუგულ “ოქრო”; ჰავუგულ “ჭკუა”, “გონება”...

ნიჯურში გ ხმოვანი უფრო გავრცელებულია. ნიჯურში დადასტურებული გ ხმოვანი ვართაშნულში ხშირად შეესატყვისება სრულ (მარტივ) ხმოვანს (უ, ი ან ე ბგერებს). ამ ბგერათშესატყვისობათა შემთხვევაში, გ ნიჯურში რელექციის შედეგად უნდა იყოს მიღებული, მაგ., ალუნ (ვართ.) – ალუნ (ნიჯ.) “ხემო”; ესბესუნ (ვართ.) – ესბესუნ (ნიჯ.) “ხვნა”; აკამინ (ვართ.) – აქამუნ (ნიჯ.) “ნახვამლის”...

#### 4. 11. 0. 4. ღიფთონგები

უდიურში დასტურდება აღმავალი და დაღმავალი ღიფთონგები: და, ძა, დე, დი, დო, დუ; ად, აძ, ედ, იდ, ოდ, უდ. აღმავალი ღიფთონგები (და, ძა, დე, დი, დო, დუ) უფრო ხშირად ნასესხებ სიტყვებში გვხვდება, თუმცა საკუთარ ლექსიკაშიც მოიპოვება, მაგ., დან “ჩვენ”; დაც “გზა”; დუნა “სიზე”; დეთიმ “ობოლი”; დიგ “მტკაველი”; დოლდამ “ამხანაგი”, “მეგობარი”; დორდან “საბანი”, “თავშესაფარი”; დუ “რბილი”; დუმბურ “მუშტი”...

დაღმავალი ღიფთონგები (ად, აძ, ედ, იდ, ოდ, უდ), როგორც წესი, ვითარდება მორფემათა მიჯნაზე, მაგ., ბანქსა-ად “იყო”, იარსება; ბენე-ად “გააკეთა” (ადრე, წინარეწარსულში); ბუზუ-ად “ვიყავი” (-ად ნამყოს მაწარმოებელია); ნანა-ად (გენიტივი)...

ხშირად დაღმავალ ღიფთონგებად ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტები გვევლინება: ად, ედ, ოდ, უდ; მაგ., ჩურ-ად “ძროხისა”; მენ-ად “ნამგლისა”; გან-ედ “ადგილისა”; ვინ-ედ “ძმისა”; ვინიმლ-ოდ “ძმებისა”; ხორხ-ოდ “ძაღლისა”...

უდიურში ფუძისეული დაღმავალი ღიფთონგებიც გვხვდება, მაგ., ვუდ “ცხრა”; ბუდ “სავსე”; ჯად “ღია”; ადთ “სიტყვა”; ყედრი “სხვა”...

იდ ღიფთონგი ვართაშნულში თითქმის არ მოიპოვება, ხოლო ნიჯურ კილოში იგი ხშირად გვხვდება, მაგ., ბაქაინი “რომ არსებულიყო”; “რომ ყოფილიყო”, “რომ გამხდარიყო”; ბიინი “რომ გაეკეთებინა”... იდ ღიფთონგი ნიჯურში კონტრაფაქტივისა და იი (შედეგობითი) პერფექტის (-იოდ) მაწარმოებლად გვევლინება.

ვართაშნულთან შედარებით ნიჯურში უფრო გავრცელებულია როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი ღიფთონგები. ეს გამოწვეულია იმით, რომ სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტსა და აუსლაუტში ნიჯურში ხმოვანთან ვითარდება დ. ნიჯური აგრეთვე ვერ ეგუება ჰიატუსს. ასეთ შემთხვევაში ინტერვოკალურ პოზიციაში ვითარდება დ ბგერა; შდრ.:

ვართ. ეე “ხორცი”; ტაღა-მაღა “იქით-აქეთ”; ხა-ენ “ძაღლი”.

ნიჯ. დეჟუ “id”; თაღა-მაღა “id”; ხა-ედ-ენ “id”...

#### 4. 11. 1. ე.წ. ფარინგალიზებულ ხმოვანთა საკითხი

უდიური ენის მეცნიერული შესწავლის პირველი ცდებიდან (XIX ს.-ის მეორე ნახევარი) მოყოლებული

თითქმის ყველა სპეციალისტი, მარტივი და პალატალიზებული ხმოვნების გარდა, უდიურში ფარინგალიზებულ ხმოვნებსაც აღნიშნავს. უდიურში სამ ასეთ ხმოვანს (ა°, ო°, უ°) იმოწმებს ამ ენის პირველი მკვლევარი ა. შიფერი. იგივე სურათი გვხვდება ა. დირის ნაშრომებში უდიურის შესახებ. ეს სამი ხმოვანი ასევე წარმოდგენილია უდიურ ზღაპარში “რუსტამ”, ხოლო “უდიური ოთხთავის” ტექსტში უკვე ხუთი ფარინგალიზებული ხმოვანი გვაქვს (ა°, ე°, ი°, ო°, უ°); ასეთივე ვითარება დასტურდება უდიურ საანბანო წიგნშიც (“სამჯი ღას”). ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ ასევე ხუთი ფარინგალიზებული ხმოვანი (ა°, ე°, ი°, ო°, უ°) მოგვეპოვება. ვ. გუკასიანი კი ნიჯის დიალექტში მათ რიცხვს 2°-ს უმატებს. ფარინგალიზებულ ხმოვნებს უდიურ მასალაში ა. ჰარიის, ვ. შულცე და სხვა მკვლევრებიც აღნიშნავენ.

საპირისპირო მოსაზრება ს. კოდასოვმა გამოთქვა. მკვლევარმა, უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის შესწავლის შემდეგ მიიჩნია, რომ უდიურში ფარინგალიზაცია პროსოდის თვისებას წარმოადგენს და მთელ სიტყვაზე ვრცელდება. ს. კოდასოვის აზრით, ფარინგალიზაციის პიკი მოდის პირველ ხმოვანზე, ხოლო თუ სიტყვაში გვხვდება შიშინა ან უვულარული თანხმოვანი, მაშინ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი მას მოუღის<sup>70</sup> (კიბრიკი და სხვ. 1990: 347).

ჩვენი დაკვირვებით, ეს მოსაზრება გასაზიარებელია. იმის შესახებ, რომ უდიურში ფარინგალიზაცია მთელ სიტყვაზე ვრცელდება, იმ სპეციალისტთა ჩანაწერებიც მეტყველებს, რომლებიც უდიურ ენაში ფარინგალიზებული ხმოვნების ფონემურობას ვარაუდობდნენ: დიდა იმ ორ ან მეტმარცვლიან ლექსემათა რიცხვი, სადაც, მკვლევართა ჩანაწერების მიხედვით, ყველა ხმოვანი ფარინგალიზებულია. ნშირია შემთხვევები, როდესაც სპეციალისტთა ჩანაწერებში ფარინგალიზებული ხმოვნები აღნიშნულია ისეთ სიტყვაწარმოებით ელემენტებსა თუ აფიქსებში, ცალკე აღებულს რომ ფარინგალიზაცია არ ახასიათებს, მაგ., აქ-ეწ „შეჯიბრება ცხენებით“, „ლოლი“; ავ-ეწ „ჩხუბი“, „ბროლი“; ალ-ეწ „ახვევა“, „გადახლართვა“; ბავ-ეწ „დაფშენა“, „დაფხენა“; ებ-ეწ „კერვა“; დლ-ეწ „გავლება“; ფა-ეწ „მოხარშვა (ორთქლზე)“; ფალ-ეწ „ტრიალი“, „მოპარვა“; ფაფ-ეწ „ტყუილის გამოამკარავება“; ფუ-ეწ „გამარცვა“, „ჩამოხევა“, „დაფშენა“... -ეს მარტივმაწარმოებლიანი მასდარის (მასდარი ი) მაწარმოებელი აფიქსია და მას ფარინგალიზაცია არ ახასიათებს, შდრ. ბაქ-ეწ „ყოფა“, „არსებობა“, „გახდობა“, „შეძლება“; ბ-ეწ „კეთება“...

ფაყთ-ი° „მოხარშული“; ფაწ-ი° „მოურჩენელი“; ბეწ-ი° „გასიებული“; ბიღ-ი° (ვართ.)// ბეღ-ღ° (ნიჯ.) „მძიმე“; უღ-ალ „მსმელი“; დღ-ალ „აწეწილი“... -ი და -ალ მიძლეობის მაწარმოებელი აფიქსებია, შდრ. ბაქ-ი „მყოფი“, „არსებული“... ბ-ი „ნაკეთები“; ბ-ალ „მკეთებელი“; უქ-ალ „მჭამელი“ და ა.შ.

ი°ჟ „თოვლი“ (ნიჯ.: ღ°ჟ „id“); > ი°ჟ-ენ „თოვლიანი“, „ზამთარი“;<sup>71</sup> ექ-ენ „მხედარი“, შდრ. ექ „ცხენი“; ქაშ „ჭუჭყი“ > ქაშ-ენ „ჭუჭყიანი“... -ენ ამ სიტყვებში დერივაციულ სუფიქსს წარმოადგენს, რომელიც წარმოშობით ერგატივ-ინსტრუმენტალისის ფორმანტია, შდრ. უს-ენ „წელიწადი“, ტამ-ენ „გემრიელი“...

აღლ-მ-ა° „ბროწეულის“ (აღლ-მნა°-ხოლ „ბროწეულის ხე“); უყნა° „კაკლის“ (უყნა°-ხოლ „კაკლის ხე“)... -ა (< -აჲ) გენიტივის ფორმანტია.

<sup>70</sup> თუ სიტყვაში დასახელებულ თანხმოვანთან ორი ან მეტი გვხვდება, მაშინ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი პირველ მათგანზე მოდის.

<sup>71</sup> ვლ. ფანჩვიძე, ევგ. ჯეირანიშვილი; ვ. გუკასიანთან არის: ი°ჟ; ღ°ჟ; ი°ჟ-ენ (გუკასიანი 1974: 129).

მუყა-ლ<sup>ა</sup> „რქიანი“, შდრ. მუყა<sup>ა</sup> „რქა“; დაწყ-ლ<sup>ა</sup> „მოთენთილი“... -ლ<sup>ა</sup> ზედსართვი სახელების მაწარმოებელია.<sup>72</sup>

ფარინგალიზებულ და მარტივ ვარიანტთა მონაცვლეობა აფიქსებსა და სიტყვაწარმოებით ელემენტებში იმაზე მიგვითითებს, რომ უდიურში ფარინგალიზაცია პროსოდის თვისებას წარმოადგენს. აფიქსები ზუსტად ის ერთეულებია, რომლებიც მორფოლოგიურად დაკავშირებულია ფუძესთან და საფიქრებელია, რომ ფარინგალიზაციას ამ ელემენტებში განსაზღვრავს სხვა ერთეული (ანუ ფუძე).

საყურადღებოა, რომ უდიურში მკვლევრების ჩანაწერებში ვერ დავადასტურეთ ისეთი აფიქსი, რომელშიც სტაბილურად ფარინგალიზებული ხმოვანი იყოს წარმოდგენილი (როგორც აღინიშნა, გვაქვს მარტივი და ფარინგალიზებული ხმოვნების მონაცვლეობის შემთხვევები). ეს, ბუნებრივია, არ მეტყველებს ფარინგალიზებულ ხმოვანთა ფონემურობის სასარგებლოდ. აღნიშნული ვითარება უნდა იყოს გამოწვეული იმით, რომ უდიურში ფარინგალიზაციის მაქსიმუმი, როგორც უკვე ითქვა, სიტყვაში საწყის ხმოვანსა, ანდა საწყის უვულარულ ან შიშინა თანხმოვანს მოუდის, ხოლო, თავის მხრივ, პრეფიქსაცია უდიურ ენაში თითქმის მოშლილია (რელიქტის სახით მხოლოდ მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების ერთ-ერთ ჯგუფშიღაა შემორჩენილი).

#### 4. 11. 2. საერთოლენგვიური ვოკალიზმის ტრანსფორმაცია უდიურში

პროცესი	კომენტარი
*ა > ა, ე	*ა უდიურში ხშირად უცვლელადაა შემონახული, თუმცა სხვა რეფლექსებიც დასტურდება. ისტორიული ლაბიალიზებული თანხმოვნების შემდეგ, რომელიც უდიურში მთლიანად გამარტივდა, სხვადასხვა რეფლექსები დასტურდება (უ, ო, ი, ე). დასტურდება ა ბგერის პალატალიზაცია (ა > ე).
*ე > ე, ი, ა, უ	*ე ბგერა უდიურში, როგორც წესი, გვაძლევს სხვადასხვა რეფლექსს (ე, ა, უ, ი). იშვიათად სხვა რეფლექსებიც დასტურდება.
*ი > ი	*ი უდიურში ხშირად უცვლელადაა შემონახული, თუმცა სხვა რეფლექსებიც დასტურდება. ლაბიალიზებული თანხმოვნების დელაბიალიზაციის შედეგად *wi გადადის უ ბგერაში, თუმცა იშვიათად ო ბგერასაც გვაძლევს.
*უ > უ, ი, გ, ა, ა, ა	*უ ბგერა უდიურში სხვადასხვა რეფლექსებითაა წარმოდგენილი (უ, ა, ი).

<sup>72</sup> ამ სახის მაგალითთა მოყვანა კიდევ შეიძლება (წარმოდგენილი მოსაზრების ვრცელი დასაბუთებისათვის იხ. ლოლუა 2011: 102-116).

ზოგჯერ სხვა რეფლექსებიც დასტურდება.

#### 4. 11. 3. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

##### 4. 11. 3. 1. სმოგანთა ლაბიალიზაცია

პალატალიზაციის გარდა უდიურ ენაში სხვა პროცესიც დასტურდება, რომლის შედეგად პალატალიზებული ხმოვნები წარმოიქმნება. წინა რიგის ხმოვნები (ე, ი) ლაბიალიზაციის შედეგად გადადის ო-სა და უ-ში. ეს პროცესი განსაკუთრებით ვართაშნულშია საგრძნობი, შდრ.:<sup>73</sup>

ვართაშნული	ნიჯური
გოლო “ბევრი”	გელო
ჰაქუმ “ექიმი”	ჰაქიმ
სუფტინ “პირველი”	სიფთინ
პრუგ “ჭერამი”...	პრიგ

##### 4. 11. 3. 2. სმოგანთა პალატალიზაცია

სმოგანთა პალატალიზაცია უფრო მეტად ახასიათებს ნიჯურ კილოს (განსაკუთრებით ა ხმოვნის პალატალიზაცია). ხშირია შემთხვევები, როდესაც ვართაშნულ კილოში დადასტურებულ მარტივ სმოგანს ნიჯურში პალატალიზებული სმოგანი შეესატყვისება, შდრ.:

ვართაშნული	ნიჯური
ჰარსა “ყოველი”	ჰარსა
აშ “საქმე”	აშ
კაშა “თითი”	ქაშა
ტომ “გარეთ”	ჩომ
უსინ “მალე”, “ჩქარა”...	უსინ

##### 4. 11. 3. 3. სმოგანთა ჰარმონია

სმოგანთა ჰარმონია ძალზე გავრცელებულია თურქულ ენებში და, მათ შორის – აზერბაიჯანულ ენაშიც, რომელიც, თავის მხრივ, გამოირჩევა ძლიერი გავლენით უდიურზე. სინგარმონიზმის მოვლენა ძირითადად

<sup>73</sup> ვლ. ფანჩვიძის აზრით, აქ, პირიქით, პალატალიზებული ხმოვნების გამარტივებასთან უნდა გვეკონდეს საქმე (ფანჩვიძე 1974: 17-18). შეუძლებელია დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას; მაგ., უეჭველია, რომ ფორმა ჰაქიმ “ექიმი” ნიჯურში პირველადი სახითაა შენარჩუნებული, ხოლო ვართაშნული ჰაქუმ – ფონეტიკური ცვლილების (ლაბიალიზაციის) შედეგადაა მიღებული, შდრ. არაბ.: كح (ჰაქიმ).

აზერბაიჯანული ენიდან ნასესხებ ლექსებში დასტურდება, მაგ., **პვარამ** “თუ”, “თუკი”; **ურუმურუმ** “ბინდ-ბუნდი”...

#### 4. 11. 3. 4. ხმოვანთა რედუქცია (შეკუმშვა)

რედუქცია უდიურში დაკავშირებულია მახვილთან. მახვილი, როგორც წესი, ფიქსირებულია ბოლო მარცვალზე, თუმცა ზოგჯერ თავიკილურ მარცვალსაც მოუდის. თუ სიტყვა სამ ან მეტმარცვლიანია, ასეთ შემთხვევაში, ორი მახვილი დასტურდება: ძირითადი (ბოლო მარცვალზე) და თანამახვილი (თავიკილურ მარცვალზე). რედუქცია მოსდის მახვილის წინა ხმოვანს.

ფუძის შიგნით რედუქცია (ფუძის კუმშვა) გავრცელებული მოვლენაა უდიურში. როგორც წესი, იკუმშება ე და უ ხმოვნები, მაგ., **აღ'ლუხ** < **აღელუხ** “ბავშვები” (**აღელ** “ბავშვი”); **ჟოღ'ლა** < **ჟოღულა** (**ჟოღულ** “ზაფხული”); **ჯომ'უნ** (ნიჯ.) < **ჯომუნუნ** “ჯარის” (**ჯომუნ** “ჯარი”)...

რედუქცია სისტემატურად დასტურდება ზმნის ფორმებში: მასდარის მაწარმოებლის (-ეს) ე ხმოვანი ხშირად იკუმშება მასზე დაყრდნობით ნაწარმოებ მასდარი II-ს, აწმეოსა და ნამყო-უწყვეტელის (იმპერფექტი) ფორმებში, მაგ.:

**უქ'სუნ** < **უქესუნ** “ჭამა”; **ულ'სუნ** < **ულესუნ** “სმა”...

**უნ-ე-ქ'ს** < **უნ-ე-ქეს** “ჭამს”; **უნ-ე-ღ'ს** < **უნ-ე-ღეს** “სვამს”...

**უნ-ე-ქ'სად** < **უნ-ე-ქესად** “ჭამდა”; **უნ-ე-ღ'სად** < **უნ-ე-ღესად** “სვამდა”...

რედუქცია სისტემატურად ხდება მრავლობითი რიცხვის წარმოებისას, ირიბ ბრუნვათა ფორმებში, მაგ.:

სახ. **გურატუხ** “პერანგები”; **ვიჩიმუხ** “ძმები”; **ჰასოუხ** “ლრუბლები”;

ერგ. **გურატ'ლონ** < **გურატულონ** < \***გურატუხენ**; **ვიჩიმ'ლონ** < **ვიჩიმულონ** < \***ვიჩიმუხენ**; **ჰასო'ლონ** < **ჰასოულონ** < \***ჰასოუხენ**;

ნათ. **გურატ'ლო[ღ]** < **გურატულო[ღ]** < \***გურატუხაი**; **ვიჩიმ'ლო[ღ]** < **ვიჩიმულო[ღ]** < \***ვიჩიმუხაი**; **ჰასო'ლო[ღ]** < **ჰასოულო[ღ]** < \***ჰასოუხაი**;

მიც. **გურატ'ლო[ხ]** < **გურატულო[ხ]** < \***გურატუხახ**; **ვიჩიმ'ლო[ხ]** < **ვიჩიმულო[ხ]** < \***ვიჩიმუხახ**; **ჰასო'ლო[ხ]** < **ჰასოულო[ხ]** < \***ჰასოუხახ**...

#### 4. 11. 3. 5. ხმოვანთა შეკვეცა

ხმოვანთა შეკვეცა ძირითადად დაკავშირებულია მორფოლოგიურ მოვლენებთან. ვართაშნულ კილოში, როდესაც ერთმანეთს ხვდება ორი ხმოვანი – ფუძისეული და ფორმანტისეული, როგორც წესი, ერთ-ერთი ამოიღება, მაგ.:

**ფაშნა** “გოგრა” – **ფაშნ'ინ** “გოგრისა” (GEN);

**თარნა** “თონე” – **თარნ'ინ** “თონისა” (GEN)...

ხმოვნის შეკვეცა აგრეთვე გავრცელებულია კომპოზიტების წარმოებისას, მაგ.:

**ქალ-ნანა** < **ქალა-ნანა** “დიდედა”; **ქალ-ბაბა** < **ქალა-ბაბა** “ბაბუა”...

ერთმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებში ხმოვანი არ იკვეცება. ნიჯურში ერთმარცვლიანი სახელის ფუძისა და ფორმანტს შორის ჩნდება ხმოვანთგასაყარი **ჲ**, შდრ.:

<b>ვართაშნული</b>	<b>ნიჯური</b>
სახ. <b>ხა</b>	<b>ხა</b>
ერგ. <b>ხა-ენ</b>	<b>ხა-ჲ-ენ</b>
მრ. <b>ხა-ურუხ</b>	<b>ხა-ჲ-ოხ</b>

#### 4. 11. 3. 6. ხმოვანთა ასიმილაცია

უღიურში შეინიშნება ხმოვანთა სრული ან ნაწილობრივი ასიმილაცია. დასტურდება როგორც რეგრესული, ისე პროგრესული ასიმილაცია.

ხშირია ბაგისმიერი ხმოვნების (**ო, უ**) მიერ **ა** და **ე** ხმოვნების რეგრესული ასიმილირება, მაგ.:

**ქალა-ო > ქალო-ო > ქალო** “დიდი” (+ NA); **სა-ო > საო-ო > სა** “ერთი” (+ NA);

**მენო > მონო** “ეს” (+ NA); **შენო > შონო** “ის” (+ NA)...

ნიჯურში დასტურდება **ე** ხმოვნის ასიმილაცია მომდევნო **ჲ** ბგერასთან. ეს პროცესი ვითარდება, როდესაც **-თე** უარყოფით კლიტიკას მოსდევს **-ჲან** – ი პირის ნიშანი მრავლობითში, მაგ.:

**თე-ჲან-ბაქე > თი-ჲან-ბაქე** “არ ვიყავით”;

**თე-ჲან-ჰაჰო > თი-ჲან-ჰაჰო** “არ ვიყიდი”...

პროგრესული ასიმილაცია უღიურში ჩვეულებრივ მრავლობითი რიცხვის წარმოებისას დასტურდება ირიბ ბრუნვათა ფორმანტებში (**უ...ა//უ...ე > უ...ო**). ხშირია შემთხვევები, როდესაც ასიმილაციის გამომწვევი **უ** ბგერა რელუცირებულია:

სახ. **ფულმუხ** “თვალები”; **ადმარუხ** “ადამიანები”...

ერგ. **ფულმულონ** < \***ფულმუხენ**; **ადმარ’ლონ** < \***ადმარუხენ**;

მიც. **ფულმულ[ხ]** < \***ფულმუხ[ხ]**; **ადმარ’ლო[ხ]** < \***ადმარუხ[ხ]**...

უღიურ ენაში ასევე გავრცელებულია **ჰ...ა > ჰ...ჰ** პროგრესული ასიმილაცია:

**ხინარ-ა** “ქალიშვილს” (DAT) > **ხინარ-ჰ...**

#### 4. 11. 3. 7. ხმოვანთა შერწყმა

უღიურში **ი+ა ა+ი** შერწყმის შედეგად ჩვენ ზოგჯერ ვიღებთ **ე** ბგერას, მაგ.:

სახ. **ვიჩი** “ძმა”;

ნათ. **ვიჩი-ად > ვიჩედ**;

მიც. **ვიჩი-ა[ხ] > ვიჩე[ხ]**...

#### 4. 11. 3. 8. ხმოვანთა მონაცვლეობა

აღსანიშნავია **ო//უ-სა** და **ე//ი-ს** ხშირი მონაცვლეობა. ეს ხმოვნები ერთსა და იმავე სიტყვაში მოქმედობს მიხედვით ერთმანეთს ენაცვლება, მაგ.:



ომა – უმა “მარწვი”; შოტო – შოტუ “მას”; ეშყარ – იშყარ “მამაკაცი”, “ვაჟკაცი”...

ამ ხმოვანთა მონაცვლეობა უდიური ენის კილოებს შორისაც დასტურდება: ნიჯურს ახასიათებს ფარტო (ო, ე), ხოლო ვართაშნულს – ვიწრო ხმოვნები (უ, ი), შდრ.:

<b>ვართაშნული</b>	<b>ნიჯური</b>
კუა “სახლს”	ქოდა
ხაურუხ “ძაღლები”	ხაოს
ჯუღაბ “პასუხი”	ჯოღაბ
იშყარ “მამაკაცი”	ეშყარ
იღარუხ “სიცხე”	ელარუხ

#### 4. 11. 3. 9. ღიფთონგიზაცია

ღ შეიძლება გაჩნდეს როგორც ანლაუტში (პრეთეზა), ისე ინლაუტსა (ეპენტეზა) და აუსლაუტში (ეპითეზა). ღიფთონგიზაციის პროცესი განსაკუთრებით ნიჯური კილოსათვისაა დამახასიათებელი, ხოლო ვართაშნულში ამ პროცესს ეპიზოდური ხასიათი აქვს.

ნიჯურში, ვართაშნული დიალექტისაგან განსხვავებით, ზოგჯერ სიტყვას აბსოლუტურ ანლაუტში ხმოვნის წინ მოუდის **ღ**, მაგ., **ღეჟა** “ხორცი”, შდრ. ვართ. ეჟ “id”...

ნიჯურ კილოში ასევე ხშირია ეპენტეზა. ვართაშნულში გავრცელებულია ხიატუსი, ხოლო ნიჯურში, ასეთ შემთხვევაში, – ინტერვოკალურ პოზიციაში **ღ** ბგერა ვითარდება, შდრ.:

<b>ვართაშნული</b>	<b>ნიჯური</b>
შუე “ღათვი”	შუეღ
ხაღურუხ “ძაღლები”	ხაოს, ხაღურუხ
მა “საღ?”	მაღა
ბიღას “საღამო”	ბიღას
კუა “სახლში”	ქოდა

ეპითეზაც ასევე ოდენ ნიჯური კილოსათვისაა დამახასიათებელი: ხმოვანფუძიან სახელებს ნიჯურში ხშირად მოუდის **ღ** ბგერა, შდრ.:

<b>ვართაშნული</b>	<b>ნიჯური</b>
ჰასო “ღრუბელი”	ასოღ
ლაშკო “ქორწილი”	ლაშქოღ
ოყალო “ღაბალი”	ოჯალოღ
ტაღა-მაღა “იქეთ-აქეთ”	თაღაღ-მაღაღ

#### 4. 11. 3. 10. ხმოვანთა ასპირაციული შემართვა (პრეთეზა)

ეს მოვლენა განსაკუთრებით ნიჯური კილოსათვისაა დამახასიათებელი. ხშირია შემთხვევები, როდესაც აბსოლუტურ ანლაუტში ხმოვნის წინ (ძირითადად **ა** და **ე** ხმოვნების წინ) ჩნდება ლარინგალური **ჰ** ბგერა, შდრ.:

<b>ვართაშნული</b>	<b>ნიჯური</b>
არი “მოსული”	ჰარი
აყეს “აღება”, “აყვანა”, “ყიღვა”	ჰაჟაეს/ჰეხ <sup>ე</sup> თაეს
აღზეს “ადგომა”	ჰადზეს
ისუს “იესო”	ჰისუს
ემა? “რამდენი”	ჰემა?
ეკა “რა?”	ჰიქჷ

რამდენიმე ლექსემის შემთხვევაში საპირისპირო ვითარებაა, როდესაც ასპირირებული (ფშვინვიერი) შემართვა ვართაშნული დიალექტის ფორმებში გვაქვს, ხოლო – ნიჯურში იგი არ დასტურდება, შდრ.:

<b>ვართაშნული</b>	<b>ნიჯური</b>
ჰასო “ღრუბელი”	ასოღ
ჰაჩარ “გასაღები”	აჩარ
ჰაზრეილ “აზრაილი” (სიკვილის ანგელოზი)...	აზრეილ

#### 4. 11. 3. 11. ელიზია-კონტამინაცია

უდიურ ენაში დასტურდება ელიზია-კონტამინაციის შემთხვევები (გამოთქმის დაწყვილებულ წევრთა იმგვარი შერწყმა, ინკორპორაცია, რომლის შედეგად ხდება წინამავალი წევრის ბოლოკიდური მარცვლის ან მომდევნო წევრის თავკიდური მარცვლის ამოვლება), მაგ.:

**ქა-ქალა** (ნიჯ.) < **ქალა-ქალა** (შდრ. ვართ.: **ქალ-ქალა**); “დიდი-დიდი”, “დიდრონი”, “მსხვილი” (**ქალა** “დიდი”); **საღ** < **საკი** < **სა-კიწი** “ცოტა”, “მცირეოდენად”, “ცოტაოდენად” (**სა** “ერთი” + **კიწი** “ცოტა”, “მცირე”); **ზუზ** < **ზუზუ** < **ზუ-ბუზუ** “მე ვარ” (**ზუ** “მე” + **ბუზუ** “ვარ”; **ბუ** “ყოფნა”, “ქონა”, “ყოლა”)...

#### 4. 12. კავკასიის ალბანური ენის ვოკალიზმი. კავკასიის ალბანურში ათი ხმოვანი ბგერა დასტურდება<sup>74</sup>. ეს

<sup>74</sup> კავკასიის ალბანურ ხელნაწერებსა თუ ეპიგრაფიკულ მასალაში ხმოვნების აღნიშვნელი 6 ნიშანი გვქონდა (a, e, i, o, E, A), ხუთი ხმოვანიც დიგრაფებით გადმოცემოდა (ow, Aw, ·a, ·e, ·i). ამათგან, ხუთი ნიშანი მარტივ ხმოვნებს აღნიშნავს \_ a (ა), e (ე), i (ი), o (ო) და ow (უ), ხუთიც – ფარინგალიზებულს: ·a (ა<sup>წ</sup>), ·e (ე<sup>წ</sup>), ·i (ი<sup>წ</sup>), A (ო<sup>წ</sup>) და Aw (უ<sup>წ</sup>). E გრაფემა ეღ დიფთონგის გადმოსაცემად გამოიყენებოდა. ამას გარდა, E ნიშანი ბერძნულიდან ან ბერძნულის მეშვეობით ნასესხებ სიტყვებში ი-ს შეესატყვისება, მაგ., alElowya (ალელუა) – ბერძნ. ἄλληλων „ალილოა“; amEn (ამენ) – ἄμην „ამინ“ და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, ამ ნიშნის ფონემური ღირებულება უნდა განისაზღვროს როგორც ე ბგერა. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, E ნიშანი, ეღ დიფთონგის გარდა, გრძელი ე ხმოვნის აღნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რასაც ვერ გავიზიარებთ. სქემატურად, კავკასიის ალბანურ ანბანში დადასტურებული ხმოვნების აღნიშვნელი ასო-ნიშნები შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

მარტივი	a ა	e ე	i ი	o ო	ow უ	E ე
ფარინგალიზებული	·a ა <sup>წ</sup>	·e ე <sup>წ</sup>	·i ი <sup>წ</sup>	A ო <sup>წ</sup>	Aw უ <sup>წ</sup>	

ხმოვნები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

მარტივი ხმოვნები (ა, ე, ი, ო, უ);

ფარინგალიზებული ხმოვნები (ა<sup>◌</sup>, ე<sup>◌</sup>, ი<sup>◌</sup>, ო<sup>◌</sup>, უ<sup>◌</sup>).

კავკასიის ალბანურს არ მოეპოვება გრძელი, პალატალიზებული ან ნაზალიზებული ხმოვანი ფონემები, რომელიც სხვა დადესტურ ენებშია გავრცელებული. ასევე, კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემაში არ დასტურდება ე. წ. ირაციონალური (გ). გრძელი ხმოვანი კავკასიის ალბანურში შეიძლება მხოლოდ მორფემათა გასაყარზე შეგვხვდეს (მაგ., ხო-ომ “ხუთჯერ”), თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც კი, როგორც წესი, ხდება შეკვეცა, მაგ., ლე “მამამ” (< ლე-ე); ნე “ლეღამ” (< ნე-ე); ელი(ა) “ელიას” (< ელი(ა)ა-ა); იშუ “კაცს” (< იშუ-უ), ხიშუ “ქალს” (< ხიშუ-უ), ნაიშუ “მსახურს” (< ნაიშუ-უ)...

უნდა აღინიშნოს, რომ ი. გიპერტისა და ვ. შუღლეს აზრით, კავკასიის ალბანურში პალატალიზებული უ ბგერა დასტურდება და, ამას გარდა, ისინი ამ ენის ფონოლოგიურ სისტემაში ლაბიალიზებულ ჯ ბგერასაც აღნიშნავენ (გიპერტი და სხვ. 2008: II-11-12). ორივე შემთხვევაში, პატივცემულ მკვლევართა მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ.

კავკასიის ალბანური ენის ხმოვანთა სისტემა ასეთი სახით წარმოგვიდგება:

	წინა რიგის		უკანა რიგის			
	მარტივი	ფარინგ.	არალაბიალიზებული		ლაბიალიზებული	
			მარტივი	ფარინგ.	მარტივი	ფარინგ.
ვიწრო	ი	ი <sup>◌</sup>			უ	უ <sup>◌</sup>
საშუალო	ე	ე <sup>◌</sup>			ო	ო <sup>◌</sup>
ღია			ა	ა <sup>◌</sup>		

კავკასიის ალბანურში, ჩვენი აზრით, მხოლოდ მარტივ ხმოვნებს მოეპოვებოდათ ფონემის სტატუსი. ფარინგალიზებული ხმოვნების საკითხი კი – გარკვევას მოითხოვს. ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში, ისევე როგორც უღიურში, შეიძლება იყოს პროსოდიის თვისება.

**4. 12. 0. 1. მარტივი ხმოვნები:**

როგორც აღინიშნა, კავკასიის ალბანურში ხუთი მარტივი ხმოვანი დასტურდება: a (ა), e (ე), i (ი), o (ო) და ow (უ). მათი რაობა ჯერ კიდევ სინური პალიმფსესტების აღმოჩენამდე იყო ცნობილი (ა. აბრამიანი, გ. კლი-მოვი, ს. მურავიოვი და სხვა). ხუთივე მარტივი ხმოვანი კავკასიის ალბანურში არ არის პოზიციურად შეპირობებული – ხუთივე თანაბრად გვხვდება ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში, მაგ.:

აშ “საქმე”, შდრ. უდ. აშ “id”; აფხ “სამყარო”, შდრ. უდ. აფხ “სოფელი”; ახწიბაჲ // ახსიბაჲ “აღდგომა” (შდრ. ძვ. ქართ. აღსება, უდ. ახწიმა // ახსიბაჲ “id”); აშაღ “დეღამიწის ზედაირი”, შდრ. უდ. ოჩაღ “id”; აშარკეტ “მოწაფე”; აბაზაკ “ავაზაკი”; ავაზან “აბაზანა”; ქალაქ “ქალაქი”, ძანძამაკ “წინწილა”...

ენე “აქ”; ეთე “მანღ”; ეშემ “ნისლი”; ეკლეხი “ეკლეხია”; ენელ “სხვა”, შდრ. უდ. ენეხ “id”; ხე

“წყალი”, შდრ. უდ. ხე “id”; თე “არა” (უარყოფის ნაწილაკი), შდრ. უდ. თე “id”; ჯეჯვერ “ტუჩი”, შდრ. უდ. ჯეჯვერ “id”; ჰელ “სული”, შდრ. უდ. ელ “id”...

იჩ “თვითონ”, შდრ. უდ. იჩ “id”; იპესუნ “ყოფა”, “ქმნა”, “სმენა”; იშა “ახლოს”, შდრ. უდ. იშა “id”; ვინი “ძმა”, შდრ. უდ. ვინი “id”; იშუ “კაცი”; პილინძ სპილენძი, “ბრინჯაო”; წი “სახელი”, შდრ. უდ. წი “id”...

ოტან “რჯული”, “ჩვეულება”, “ლოცვა”; კოჯ “სახლი”, შდრ. უდ. კოჯ (კართ.), ქოჟ (ნიჯ.); ხოდ “ხე”, შდრ. უდ. ხოდ “id”; ჯუმოს “წისკვილი”, შდრ. უდ. ჟომოს “id”; უსბო “ქმარი”...

უნ “და”; ულ “მგელი”, შდრ. უდ. ულ “id”; უყა “ქვეშ”, შდრ. უდ. ოყა “id”; უსბო “ქმარი”; უსი “ადრე”; უსენ “წელიწადი”, შდრ. უდ. უსენ “id”; ურბათ “პარასკევი”; ტურ “მდინარე” ზუ “მე”, შდრ. უდ. ზუ “id”...

#### 4. 12. 0. 2. ფარინგალიზებული ხმოვნები:

ფარინგალიზებულ ხმოვანთა არსებობა კავკასიის ალბანურში ჯერ კიდევ აკ. შანიძემ ივარაუდა. ეს მოსაზრება გაიზიარეს გ. კლიმოვმა, ვ. გუკასიანმა და ს. მურავიოვმა. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში სპეციფიკური ფარინგალური თანხმონით არის გამოწვეული, ხოლო ანბანში : ასო-ნიშნით აღინიშნება (გიპერტი და სხვ. 2008: იი-14).

აღსანიშნავია, რომ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში, ვიღებთ უჩვეულო ვითარებას: უნდა დავუშვათ, რომ : გრაფემა კავკასიის ალბანურში სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში ქმნიდა ლეზიური და სხვა დაღესტნური ენებისათვის როგორც სინქრონიულ (ხინალულურს თუ არ ჩავთვლით), ისე, საფიქრებელია, დიაქრონიულ დონეზეც არაღამახსიათებელ თანხმონთან კომპლექსებს. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ თვით კავკასიის ალბანურისათვისაც კი არ იყო დამახასიათებელი თანხმონთა კომპლექსები სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში – ნიშნის გარდა, ვერც ერთი სხვა თანხმონი ვერ ქმნიდა მათ, მაგ., *ḱāban* (კ[ა]ბან) “უღაბნო”, შდრ. უდ. *ყაგან/ყაბან* “მინდორი”, “ღია სივრცე”; *hēg* (ბ[ე]გ) “მზე”, შდრ. უდ. ბე<sup>დ</sup> “id”; *pa* (პ[ა]) “ორი”, შდრ. უდ. პა<sup>დ</sup> “id”. ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ უდიურ ენაში ანოლოგიურ ლექსემებში ამდგვარი კომპლექსები არ დასტურდება. კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში დადასტურებული : ნიშნის კომბინაცია მარტივ ხმოვანთან უდიურში ისეთ მარტივ ხმოვანს შეესატყვისება, რომელსაც სიტყვაში ფარინგალიზაციის მაქსიმუმი მოუღის ან უშუალოდ მოსდევს მას. ეს გვაგვარაულებინებს, რომ : ნიშანს კავკასიის ალბანურში, როდესაც იგი ხმოვნის წინ გვევლინებოდა, არ ჰქონდა სეგმენტური გამოხატულება. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ნიშანი მხოლოდ მომდევნო ხმოვნის ფარინგალიზებულობაზე მიგვიითითებდა.

ნიშანი პოზიციურად შეზღუდულია – ის ა, ე და ი ხმოვნების წინ გვხვდება, ო-სა და უ-ს წინ თითქმის არ მოგვეპოვება, ხოლო ო-სა და უ-ს წინ საერთოდ არ გვხვდება, რაც ასევე გაუგებარია, თუ ამ ასო-ბგერას თანხმონად მივიჩნევთ.

ეს ვითარება, ჩვენი აზრით, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ო<sup>დ</sup> და უ<sup>დ</sup> ფარინგალიზებულ ბგერებს A და AW<sup>75</sup> ნიშნები აღნიშნავდა. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ უდიურში ამ ასო-ნიშნებს, როგორც წესი, შეე-

<sup>75</sup> მარტივი უ ბგერა ასევე ო + უ პრინციპითაა გადმოცემული: ow.

სატყვისება ფარინგალიზებული ო და უ ბგერები, შდრ.:

კავკ. ალბანური	უდიური
tAxan (თო <sup>ან</sup> ) „ლელვის ხე“	თოხ <sup>ან</sup> „id“
tA (ტო <sup>ე</sup> ) „მხარე“	ტოლ <sup>ე</sup> „id“
Awq (უ <sup>ვ</sup> ) „ექვსი“	უვ <sup>ე</sup> „id“
vAwǵ (ვუ <sup>ლ</sup> ) „შვიდი“	ვულ <sup>ე</sup> „id“
mAwǵ (მუ <sup>ლ</sup> ) „რვა“	მულ <sup>ე</sup> „id“
Aw(ყუ <sup>ე</sup> ) „შიში“	ყ <sup>ი</sup> (ვართ.)//ჯ <sup>ე</sup> (ნიჯ.) „id“

უნდა აღინიშნოს, რომ A და AW ასო-ბგერები უდიურში შეიძლება სხვა კორესპონდენციებით იყოს წარმოდგენილი: A ასო-ნიშანს ზოგჯერ არაფარინგალიზებული ო ბგერა შეესატყვისება, მაგ., A(ყო<sup>ე</sup>) „ოცი“ – უდ. ყო „id“... AW ღიგრაფს კი უდიურში შეიძლება შეესატყვისებოდეს როგორც არაფარინგალიზებული უ, ასევე ფარინგალიზებული ი<sup>ე</sup> ბგერა (ნიუ. ჯ<sup>ე</sup>), მაგ., hAwk (ჰუ<sup>ე</sup>) „გული“ – უდ. უკ „id“; AW(ყუ<sup>ე</sup>) „შიში“ – უდ. ყ<sup>ი</sup> (ვართ.)//ჯ<sup>ე</sup> (ნიჯ.) „id“...

ი. გიპერტიისა და ვ. შულცეს აზრით, A ნიშანი ლაბიალიზებულ ა<sup>ე</sup> ბგერას, ხოლო AW ასო-ბგერა – პალატალიზებულ ჟ ბგერას გადმოსცემს. უნდა აღინიშნოს, რომ არ გვაქვს არავითარი საფუძველი, რომ ეს ასო-ნიშნები ა<sup>ე</sup> და ჟ ბგერებზე მივიჩნიოთ. A ნიშანს უდიურში ა ბგერა არ შეესატყვისება, ხოლო AW ღიგრაფის ერთ-ერთი შესაძლო შესატყვისი ი<sup>ე</sup>//ჯ<sup>ე</sup> – უ ბგერისა და ე. წ. ირაციონალურის ხშირი მონაცვლეობით უნდა აიხსნას და არა პალატალიზებული ჟ ბგერის არსებობით კავკასიის ალბანურში. ამასთან ერთად, ლაბიალიზებული და პალატალიზებული ხმოვნები, ი. გიპერტიისა და ვ. შულცეს აზრით, თითო-თითო წევრითაა წარმოდგენილი და ვერ ქმნის მწყობრ სისტემას.

ფარინგალიზებული ხმოვნები კი, პირიქით, ალბანურში მწყობრი სახით გვხვდება – ა<sup>ე</sup>, ი<sup>ე</sup> და ე<sup>ე</sup> ბგერები, როგორც აღინიშნა, ღიგრაფებითაა გადმოცემული:

კავკ. ალბანური	უდიური
vAn (ვა <sup>ნ</sup> ) „თქვენ“	ვა <sup>ნ</sup> „id“
Ḳavan (კა <sup>ვან</sup> ) „უღაბნო“	ყ <sup>ავან</sup> „მინდორი“
bneǵ (ბე <sup>ნ</sup> ) „მზე“	ბელ <sup>ე</sup> „id“
bnefi (ბე <sup>ნ</sup> ფი) „თქვენი“	ენ <sup>ფი</sup> „id“
Ḳimowx (ი <sup>მუხ</sup> ) „ყურები“	იმ <sup>უხ</sup> „id“

გრაფიკული კომბინაციები ·A (·{<sup>ე</sup>ო<sup>ე</sup>) და ·AW (·{<sup>ე</sup>უ<sup>ე</sup>), როგორც აღინიშნა, სინურ პალიმფესტებში არ

გვხვდება, რაც ასევე ადასტურებს A და Aw ასო-ბგერების ფარინგალიზებულობას<sup>76</sup>.

საყურადღებოა A და Aw ხმოვანთა მონაცვლეობის შემთხვევები ლიგრაფებით გადმოცემულ სხვა ფარინგალიზებულ ბგერებთან, რითაც აგრეთვე დასტურდება, რომ საქმე გვაქვს არა ლაბიალიზებულ ან პალატალიზებულ ხმოვნებთან, არამედ ფარინგალიზებული რიგის ხმოვნებთან, მაგ., pA (პა°) „ორი“ (შდრ. უდ. პა° „id“) – pAmown (პო°შუნ < პო°-ომ-უნ < პა°-ომ-უნ) „ისევ“, „სხვა“ (ზედმიწ. „მეორეჯერ“)...

კავკასიის ალბანურში ფარინგალიზებული ხმოვნები, ძირითადად, ანლაუტში (პირველ მარცვალში) გვხვდება<sup>77</sup>, ხოლო იშვიათად ისინი ორ და მეტმარცვლიან სიტყვათა ინლაუტსა და აუსლაუტშიც შეიმჩნევა (თუმცა, ეჭვი გვეპარება, რომ კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში ფარინგალიზაცია ყოველთვის ადეკვატურად იყო ასახული), მაგ., ი°შუნ „ყურები“, შდრ. უდ. ი°შუნ „id“; უ°ვ „ექვსი“, შდრ. უდ. უ°ვ „id“; უ°ზ „მეფე“; ო°ზალ „ჩიტი“; ბ°დ „მზე“, შდრ. უდ. ბ°დ „id“; ბ°ფი „თქვენი“, შდრ. უდ. ე°ფი „id“; თო°ზან „ლეღვის ხე“, შდრ. უდ. თო°ზან „id“; კა°ვან „უდაბნო“, შდრ. უდ. ყ°ვან „მინდორი“; ჰო°დახუნ „სარწმუნოება“, „სარწმუნო“; პა° „ორი“, შდრ. უდ. პა° „id“; პო°შუნ „ისევ“, „სხვა“; ვუ°დ, შდრ. უდ. ვუ°დ „id“; მუ°დ „რვა“, შდრ. უდ. მუ°დ „id“; ყო° „ოცი“, შდრ. უდ. ყო „id“; ჰუ°კ „გული“, შდრ. უდ. უკ „id“; ყუ° „შიში“, შდრ. უდ. ყი (ვართ.)//ვ°გ (ნიჯ.) „id“; ტო° „მხარე“, შდრ. უდ. ტოლ° „id“; ვუ°ორ „ზოგნი“, „სხვები“...

#### 4. 12. 1. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

კავკასიის ალბანური ენის შესწავლის დღევანდელი დონე არ გვაძლევს საშუალებას, რომ მასში მომხდარი ფონეტიკური პროცესები, მათ შორის – ხმოვანთა სისტემაში, დამაკმაყოფილებლად აღვწეროთ. თუმცა, ამის მიუხედავად, შეინიშნება რამდენიმე გავრცელებული პროცესი:

##### 4. 12. 1. 1. ხმოვანთა ასიმილაცია

კავკასიის ალბანურში შეინიშნება ხმოვანთა სრული ან ნაწილობრივი ასიმილაცია. დასტურდება როგორც რეგრესული, ისე პროგრესული ასიმილაცია. სრული ასიმილაცია, როგორც წესი, კონტაქტურია, ხოლო ნაწილობრივი – დისტანციური.

ხშირია ბაგისმიერი ხმოვნების (ო, უ) მიერ ა და ე ხმოვნების რეგრესული ასიმილირება. როგორც წესი, ამას მოსდევს მიღებული გრძელი ხმოვნის გამარტივება, მაგ.: სომ < სო-ომ < სა-ომ “ერთხელ”; პო°შუნ < პო°-ომ-უნ < პა°-ომ-უნ „ისევ“, „სხვა“ (ზედმიწ. „მეორეჯერ“);

პროგრესული ასიმილაცია კავკასიის ალბანურში მრავლობითი რიცხვის წარმოებისას სისტემატურად

<sup>76</sup> თუ გავიზიარებთ ი. გიპერტიას და ვ. შულცეს მოსაზრებას, რომლის თანახმად A და Aw ნიშნები ა° და უ° ბგერებს გადმოსცემენ, ხოლო ნიშანი \_ სპეციფიკური ფარინგალური თანხმოვნის აღმნიშვნელია, მაშინ გაუგებარია, თუ რით არის განპირობებული ეს პოზიციური შეზღუდვა; რატომ არ გვხვდება ეს თანხმოვანი ა° და უ° ხმოვნების წინ?

<sup>77</sup> აღსანიშნავია, რომ უდიდესი ფარინგალიზაციის პიკი პირველ მარცვალს მოუდის, ხოლო იმ სიტყვებში, სადაც შიშინა ან უკუღარული თანხმოვანი მოგვეპოვება \_ პირველ მათგანს. ეს გვაფიქრებინებს, რომ კავკასიის ალბანურში ფარინგალიზაცია შეიძლება პროსოდიის თვისება იყოს.

დასტურდება ირიბ ბრუნვათა ფორმანტებში (უ...ა//უ...ე > უ...ო). ხშირია შემთხვევები, როდესაც ასიმილაციის გამომწვევი უ ბგერა რელუცირებულია, მაგ.:

ანგელოს-ულ-ონ “ანგელოზებმა” < \*ანგელოს-ულ-ენ, ფარისა-ულ-ონ “ფარისეველებმა” < \*ფარისა-ულ-ენ, ზადოკა-ულ-ონ “სადუკეველებმა” < \*ზადოკა-ულ-ენ, ვაჩარ-ულ-ონ “იუდეველების” < \*ვაჩარ-ულ-ად, სამარა-ულ-ონ “სამარიტელების” < \*ვაჩარ-ულ-ად, მარლავენ-ულ-ონ “მოციქულების” < \*მარლავენ-ულ-ად, ანგელოს-ულ-ო “ანგელოზებს” < \*ანგელოს-ულ-ა, აშარკეტ-ულ-ო “მოწაფეებს” < \*აშარკეტ-ულ-ა, ტურ-დ-ონოც “მდინარეთაგან” < \*ტურ-ულ-ახოც; დე-რ-დ-ონ “მამებს” < \*დე-რ-ულ-ახ; ღი-რ-დ-ონ “ღლეების” < \*ღი-რ-ულ-ად...

ასევე დასტურდება ი/ე გავლენით ა > ე როგორც პროგრესული, ისე რეგრესული ასიმილაცია, მაგ.:

ვიჩი-მ-ე “ძმას” < ვიჩი-მ-ა (ორივე ფორმა დასტურდება); იჩ-ემ “თავისი” < იჩ-ამ (ორივე ფორმა დასტურდება)...

#### 4. 12. 1. 2. ხმოვანთა რელუქცია (შეკუმშვა)

რელუქცია გავრცელებული მოვლენაა კავკასიის ალბანურში. რელუქცია ხშირად ხდება მრავლობითი რიცხვის წარმოებისას, ირიბ ბრუნვათა ფორმებში, მაგ.:

ტურ-დ-ონოც “მდინარეთაგან” < ტურ-ულ-ონოც; დე-რ-დ-ონ “მამებს” < დე-რ-ულ-ონ; ღი-რ-დ-ონ “ღლეების” < ღი-რ-ულ-ონ...

#### 4. 12. 1. 3. ხმოვანთა შეკვეცა

ხმოვანთა შეკვეცა კავკასიის ალბანურში ძირითადად დაკავშირებულია მორფოლოგიურ მოვლენებთან. როდესაც ერთმანეთს ხვდება ორი ერთნაირი ხმოვანი – ფუძისეული და ფორმანტისეული, როგორც წესი, ერთ-ერთი ამოიღება, ანუ მორფემათა გასაყარზე მიღებული გრძელი ხმოვნის გამარტივებას, მაგ.:

დე “მამამ”, “მამას” (< დე-ე); ნე “დედამ”, “დედას” (< ნე-ე); წე “ცეცხლს” (წე-ე); ელი(მ)ა “ელიას” (< ელი(მ)ა-ა); წა “ზღვას”, “ტბას” (< წა-ა; დასრულება წა-მ-ა); იშუ “კაცს” (< იშუ-უ), ხიშუ “ქალს” (< ხიშუ-უ), ნაიშუ “მსახურს” (< ნაიშუ-უ)...

იშვიათად კი – ხდება ფუძის ბოლოკიდური (განსხვავებული) თანხმოვნის ამოღება, მაგ.:

დე “ღღეს” (< დე-ე; აბს. დი; დასტურდება ასევე დი-მ-ა).

#### 4. 12. 1. 4. დიფთონგიზაცია

დიფთონგიზაცია კავკასიის ალბანურში გავრცელებული პროცესია. ის ასევე ძირითადად დაკავშირებულია მორფოლოგიურ მოვლენებთან – იგი, როგორც წესი, ვითარდება ინლაუტში (ეპენტოეზა), ინტერვოკალურ პოზიციაში მორფემათა გასაყარზე, მაგ.:

ვიჩი-მ-ე „ძმამ“, „ძმას“, ვიჩი-მ-ემ „ძმის“, ვიჩი-მ-ა „ძმას“ (აბს. ვიჩი); წა-მ-ა „ზღვას“, „ტბას“ (აბს. წა); შა-მ-ე „ქალიშვილმა“ (აბს. შა); დი-მ-ა „ღღეს“ (აბს. დი); ეკლესი-(მ)-ა „ეკლესიას“ და სხვ.

## II თავი

### ვოკალური სისტემა: ხმოვანთა შესატყვისობანი

#### 1. ხმოვანთა შესატყვისობანი ნახურ ენებში

##### 1. 1. ხმოვანთა სისტემა ნახურ ფუძეენაში

როგორც სპეციალური ლიტერატურიდან არის ცნობილი, ნახურ ენებში ხმოვანთა სიგრძეს ფონემური



ღირებულება არ უნდა ჰქონოდა, ე. ი. გრძელი ხმოვნები ნახურ ფუძეენაში ფონემებს არ წარმოადგენდნენ [იმნაიშვილი 1978: 170]. ლიფთონგები **დე** და **ჟო**, რომლებიც თანამედროვე ჩეჩნურ-ინგუშურ ენაკილოებშია წარმოდგენილი, როგორც ზოგადად ყველა ლიფთონგი, მეორეულია. მათი შესატყვისები ბაცბური ენის ხმოვანთა სისტემაში **ე** და **ო** ხმოვნებია. მაშასადამე, ნახურ ფუძეენაში ხმოვანთა სისტემა ბევრად უფრო მარტივი უნდა ყოფილიყო, ვიდრეც თანამედროვე ჩეჩნური ენის უმეტეს დიალექტსა და ინგუშურ ენაში გვაქვს.

ხმოვანთა შედარებით მარტივი სისტემა ნახურ ენა-დიალექტებს შორის წარმოდგენილია ჩეჩნური ენის ჭებერლოურ დიალექტსა და ბაცბურ ენაში. გარდა ამისა, ხმოვანთა უფრო მარტივი სისტემა ჭებერლოურში ორ და მეტმარცვლიან სიტყვათა პირველ მარცვალში რომ დასტურდება, მომდინარეობს ა, ა, ი, უ ხმოვნებისაგან. ეს ხმოვნები საერთოა ყველა ნახური ენისათვის.

ზოგადად, ნახური ფუძეენისათვის სისტორიულ-შედარებითი ანალიზის, აგრეთვე, შინაგანი რეკონსტრუქციის საშუალებით გამოიყოფა შემდეგი ხუთი მარტივი ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ. ეს ხმოვნები ემთხვევა თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემას. მარტივ ხმოვანთა დისტრიბუცია ნახურ ფუძეენაშიც თავისუფალი იყო. გარდა ამისა, ნახურ ენებში გამოირიცხულია ერთი მორფემის ფარგლებში ხმოვანთა კომპლექსები.

ბევრათშესატყვისობანი ნახურ ენებში შესწავლილი აქვთ ა. სომერფელტს [სომერფელტი 1933: 395-397; 1934: 178-210; 1935: 115-143], ი. დეშერიევს [დეშერიევი 1963: 337-370], დ. იმნაიშვილს [იმნაიშვილი 1978: 161-172], მ. ჩუხუას [ჩუხუა 2008]... ზოგიერთ ცნობას ბევრათშესატყვისობების შესახებ ნახურ ენებში ვხვდებით, აგრეთვე, გ. კლიმოვისა და მ. ხალილოვის ნაშრომში [კლიმოვი, ხალილოვი 2003].

როგორც ზემოთ ითქვა, ნახურ ენათა ვოკალური სისტემის შედარებითი ანალიზით ღვინდება, რომ თანამედროვე ნახური ენებისათვის საერთოა შემდეგი ხმოვნები: ა, ა, ი, უ. გარდა ამისა, ბაცბურ ენაში დასტურდება მარტივი, სადა ე და ო ხმოვნებიც. სავარაუდოდ, ნახურ ფუძეენაში აღსადგენია მარტივი \*ა, \*ე, \*ი, \*ო, \*უ ხმოვნები. ამ ხმოვანთაგან ბაცბურ მარტივ ე და ო ხმოვნებს ჩეჩნურ-ინგუშურში შეესატყვისება **დე** (**დე**) და **ჟო** (**ჟო**) ლიფთონგები. ლიფთონგები რომ მეორეულია, ენათმეცნიერებაში სადავო და საკამათო არ არის. მაშასადამე, ე და ო ხმოვნები ნახურ ენათა დიფერენციაციის საწყის ეტაპზე ჩეჩნურ-ინგუშურშიც არის სავარაუდებელი, რა თქმა უნდა, ამ ხმოვანთა ლიფთონგიზაციამდე პერიოდში.

სადა ხმოვანთა გვერდით, როგორც ზემოთ ითქვა, ნახური ენებისათვის საერთოა, აგრეთვე, გრძელი ა [ა] ხმოვანიც. ნახური და დალესტნური ენების ცნობილი სპეციალისტის დ. იმნაიშვილის მოსაზრებით, ნახურ ენებში ხმოვანთა სიგრძე თავდაპირველად იყო არაფონემური [იმნაიშვილი 1978: 170], ე. ი. ნახურ ფუძეენაში

სავარაუდოდ არსებული გრძელი ხმოვნები ფონემებს არ წარმოადგენდნენ. როგორც ჩანს, ფონემის ფუნქცია, ფონემური ღირებულება ამ ხმოვნებმა ნახური ფუძეების დაშლის შემდეგ შეიძინეს.

პრანახური ენისათვის აღდგენილი ხმოვანთა სისტემა შემდეგნაირად დახასიათდება:

	წინა რიგი	შუა რიგი	უკანა რიგი
ენის აწეულობა			
მაღალი აწეულობის	*ი		*უ
საშუალო აწეულობის	*ე		*ო
დაბალი აწეულობის		*ა	

აღსანიშნავია, რომ მ. ჩუხუას ა ხმოვანი უკანა წარმოებისად მიაჩნია, მის მიერ მოცემულ რეკონსტრუირებულ ხმოვანთა სისტემის ტაბულაში შუა წარმოების ხმოვანი არა გვაქვს არც ნახურ და არც ქართველურ ენებში [ჩუხუა 2008: 31-32].

მაშასადამე, პრანახურ ენაში ხმოვანთა სისტემა მარტივი იყო, ხმოვანთა სისტემა ჩეჩნურ და ინგუშურ ენებშიგართულდა ნახური ფუძეების დაშლის შემდეგ.

თანამედროვე ნახურ ენებში გარჩეულია შემდეგი ხმოვნები:

ბაცბური: ა, ა, ე, ი, ო, უ

ინგუშური: ა, ე, ი, ო, უ, გ, ა, ა, ა

ჩეჩნური: ა, ა, ა, ა, ე, ე, ი, ი, ო, ო, ო, ო, უ, უ, უ, უ

ჩამოთვლილის გარდა, ჩეჩნურში გარჩეულია დიფთონგთა გარკვეული რაოდენობა, მარტივ და გრძელ ხმოვანთა ნახალური ვარიანტები (იხ. ზემოთ, ფონეტიკური პროცესები).

დ. იმნაიშვილის აზრით, ნახურ ენებში ხმოვანთა სისტემის ცვლილებების მიზეზი მახვილი უნდა ყოფილიყო. კერძოდ, მეორე მარცვლის უმახვილო ხმოვნებმა გამარტივებისაკენ სწრაფვა დაიწყო - ე და უ დიფთონგები გადაიქცნენ ე და ო მონოფთონგებად. მოსალოდნელი იყო სხვაგვარი რეფლექსებიც, ასე, მაგალითად, უო გადასულიყო უ-ში ან ა-ში, ხოლო ე-ს მოეცა ი და ა (შედარებისათვის - უო < უა, ხოლო ე < და, ე. ი. მომხდარიყო აღნიშნული დიფთონგთა დაშლა შემადგენელ ნაწილებად). მეორე მარცვლის მახვილიანი უო და ე დიფთონგები თანამედროვე ჩეჩნურში ცვლილებებს არ განიცდიან, რაც ნათლად ჩანს რუსულიდან ნასესხებ ლექსიკაში. შდრ., ფალქჟონიქ „პოლკოვნიკი“, ბარგჟოლ-ამ „ბორკილ(ებ)ი“, ავსდერ (//ეფსირ//ეფსარ - დაალ.

ვარიანტები) [იმნაიშვილი 1978: 170].

იმავე მკვლევრის აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ე და ო ხმოვნების წარმოშობა, ფონეტიკური პროცესების საფუძველზე, დაკავშირებული იყოს ი და ა ხმოვნებთან. შდრ., მაგალითად, ჭებერლოური არშენ < არშინ „არშინი“ (ნასესხობა რუსულიდან), ოღომ (< აღომ < აღამ) „აღამიანი, ხალხი“, ტოღომ (< ტაღომ < ტაღამ) „წვეთი“ [იმნაიშვილი 1978: 170]. გასაგებია, რომ დასახელებულ ბოლო ორ მაგალითში ბაგისმიერი მ-ს გავლენით წინა ა გაღაბილდა და ო მოგვცა, თავის მხრივ ამ სახეცვლილმა ხმოვანმაც დაიმსგავსა წინამარცვლის ა და ორივე მარცვალში ხმოვანთა ცვლილებები მოხდა. ამ რიგის მაგალითს წარმოადგენს ნახურ ენაკილოებში, მაგალითად, ჩენური სალიტერატურო ენის ლოღამ // ღჷოღამ „ღერო“, შდრ.: ინგუშური ღაღამ, ახიური ღად, ხილდხაროული ღოღომ, ითუმყალური და მაისთური ღოღუმ, ჭებერლოური ღაღუმ[ალიროვი1975: 74]. მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლება, თუნდაც იგივე ტაღამ და ტოღომ სიტყვა პარალელურად იხმარება ქისტურში. მაგრამ არშინსიტყვისაგან არშენ-ის მიღება საეჭვო ჩანს, ხომ არა გვაქვს აქ ე-ს ნაცვლად დე დიფთონგი?

ჷო დიფთონგის წარმოშობის ერთ-ერთ გზას მეტათეზისი უნდა წარმოადგენდეს, ეს არის ის შემთხვევა, როცა ხდება ბგერის გადასმა სიტყვის შიგნით (შდრ., კვლა < კლვა-საგან...). აღნიშნული პროცესი ჩენურ-ინგუშურ ენათა განვითარების ადრეულ ეტაპზეა სავარაუდებელი. ამ რიგის ნიმუშად გამოდგება „გულის“ აღნიშნული ლექსემა ღჷოგ, რომლის შესატყვისებაც თითქმის ყველა იბერიულ-კავკასიური ენის მასალაზე დადგენილია. ნახურ ენებში, კერძოდ, ჩენურ-ინგუშურში იგი მიღებული ჩანს შემდეგნაირად: ღჷოგ < ღჷაგ < დაგჷ, ბაცბურ ღოკ ფორმაში კი გამარტივებულია ჷო დიფთონგი (ჷო > ო). აღნიშნულ ფონეტიკურ პროცესს სხვაგვარად ხსნის დ. იმნაიშვილი[იხ. დ. იმნაიშვილი 1978: 170].

არსებობს დიფთონგთა წარმოშობის სხვა გზა თუ გზები, ასე, მაგალითად, უ და ი ხმოვანთა კონტაქტური ასიმილაცია ა ხმოვანთან ან მის გრძელ ვარიანტთან. შდრ.:

უ+ა > ჷა > ჷო;

ო+ა > და > დე...

ასევე, პირიქითაც

ა+უ > აჷ > ოჷ > ჷო;

ა+ი > ად > ედ > დე...

ნახურ ენებში უმარცვლო ჷ და დ ბგერათა წარმოშობის საკითხი ნახურ ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ სათანადოდ დასაბუთებული არ არის.

მამასადამე, ნახურ ფუძეენაში ხმოვანთა სისტემა მარტივი იყო, მარტივი სისტემისაგან განვითარდა შედარებით რთული სისტემა. მარტივი ხმოვანთა სისტემისაგან რთული სისტემის განვითარება ფაქტს წარმოადგენს აფხაზურ-ადიღურ ენებში, სადაც ყველაზე მარტივი ხმოვანთა სისტემა გვქონდა [ლომთათიძე 1976], დალესტურ ენათაგან, მაგალითად, ხუნძურში, სადაც ხუთი ხმოვანია წარმოდგენილი და სადაც ამ ხუთ ხმოვანსაც არ თვლიან ძველისძველად: „ე და ო მეორეული უნდა იყოს. გვრჩება ა, ი, უ ; ასეთი ვოკალიზმი აფხაზურ-ადიღურ ენათა სადა ვოკალიზმს ეტოლება“ [ჩიქობავა 1979: 49]. იგივე სამწევრა ხმოვანთა სისტემაა სავარაუდებელი ნახური ფუძეენის უფრო ადრეულ ეტაპზე.

როგორც ზემოთ ითქვა, ნახურ ფუძეენაში ივარაუდება ხუთი მარტივი ხმოვანი (\*ა, \*ე,\*ი, \*ო, \*უ). ამ ხმოვანთა რეკონსტრუქცია ეკუთვნის ნახურ ენათაცნობილ მკვლევრებს ი. ლეშერიევს [ლეშერიევი 1963], დ. იმნაიშვილს [იმნაიშვილი 1978], ამ ბოლო წლებში - მ. ჩუხუას. ნახური ენა-კილოების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე „საერთონახური \*ა, \*ე,\*ი, \*ო, \*უ ხმოვანთა მარტივი სისტემა რეკონსტრუირდება ნახურ ენებს შორის ფიქსირებულ ბერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულის საფუძველზე“, - წერს მ. ჩუხუა და იძლევა სქემას, რომელიც აქვე მოგვყავს [ჩუხუა 2008: 32]:

საერთონახური	ჩეჩნური	ინგუშური	ბაცბური
*ა	ა/ა/ა/ა	ა/ა/ა/ო/ოა	ა/ა/უ
*ე	ე/ე/ე/ე	ე/ე/ა	ე/ე
*ი	ი/ი	ი/ე/ა	ი/ი
*ო	ო/ო/ო/უო/უო	ო/ე < ო/უო	ო/ო/უ
*უ	უ/უ/უ/უ	უ/ი < *უ	უ/უ

როგორც მოცემული სქემიდან ჩანს, ნახურ ენებში წარმოდგენილია იდენტური და არაიდენტური ხმოვანთშესატყვისობანი.

## 1. 2. ხმოვანთა შესატყვისობანი ნახურ ენებში

ხმოვანთა შესატყვისობათა დასადგენად მონობილი საილუსტრაციო მასალა აღებულია არსებული სპეციალური ლიტერატურიდან. გამოყენებულია, აგრეთვე, ჩეჩნური, ინგუშური დაბაცბური ორ ან

მეტენოვანი[მაგ., ბაცბურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონის პირველი და მეორე ტომები, თბილისი, 2012 და 2013 წწ.] ლექსიკონები, ბ. კომრისა და მ. ხალილოვის „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ენებისა და დიალექტების ლექსიკონი“ (ლაიფციგი-მაჰაჩყალა, 2-10). გათვალისწინებულია ის მასალაც, რომელიც ჩვენ მიერ წლების განმავლობაში არის მოპოვებული ჩეჩნეთში.

ამოსავალ \*ა ხმოვანს, როგორც ეს ზემოთ ცხრილშია მოცემული, ჩეჩნურში შეესატყვისება ა/ა/ა/ა, ინგუშურში - ა/ა/ა/ო/ოა, ხოლო ბაცბურში - ა/ა ხმოვნები. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები.

**1. 1. 2. 1. ამოსავალი \*ა ხმოვნის შესატყვისობანი:**

ა) ფონემათიგივეობანი (ილენტური შესატყვისობანი):

**ჩეჩნური ა ინგუშური ა ბაცბური ა**

2. ჩეჩნ. მალხ:ინგ. მალხ: ბაცბ. მათხ „მზე“
3. ჩეჩნ. მაჟ : ინგ. მაჟ : ბაცბ. მაჯ „წვერი“ (თმა)
4. ჩეჩნ. ცჰაა' : ინგ. ცჰაა' : ბაცბ. ცჰაა „ერთი“
5. ჩეჩნ. მადრა, მარ: ინგ. მარ : ბაცბ. მარ „ქმარი“
6. ჩეჩნ. ლახქა : ინგ. ლახქა : ბაცბ. ლახკ „თავი“
7. ჩეჩნ. სად:ინგ. სად : ბაცბ. საგ „ირემი“
8. ჩეჩნ. ჰაჟუ, ჰაჟუ [ალირ. 1975: 143], ჰაგა, ჰაგ (დიალ. ვარ.) : ინგ. ჰაჟა : ბაცბ. ჰაკ „შუბლი“
9. ჩეჩნ. ყაჟ, ყაგ „ისლი“ : ინგ.ყაჟ, ყაჯ „ისლი“ : ბაცბ.ყაკ „ურო“ (ბალახი)
- 10.ჩეჩნ. ფჰარს:ინგ. ფჰარს:ბაცბ. ფჰარს „მკლავი“
11. ჩეჩნ. მაცალლა : ინგ. მაცალლა: ბაცბ. მაწოლ „შიმშილი“
- 12.ჩეჩნ. 'აგ : ინგ. 'აგ : ბაცბ. 'აბიკ „კოვზი“
- 13.ჩეჩნ. ბაგა [კომრი და ხალილოვი 2010: 197 - ბაგა] : ინგ. ბაგე : ბაცბ. ბაკ [კომრი და ხალილოვი 2010: 197; სხვა გამოცემებში - ჭოჭ] „პირი“
- 14.ჩეჩნ. ტამ : ინგ. ტყამ : ბაცბ. პ 'ა<sup>5</sup> (<ტამ) „ფრთა“
- 15.ჩეჩნ. წასთა : ინგ. წასთა : ბაცბ. წასთ „სპილენძი“
- 16.ჩეჩნ. მახ : ინგ. მახ : ბაცბ. მახ „ფასი“
- 17.ჩეჩნ. მაცა : ინგ. მაცა : ბაცბ. მაცა<sup>5</sup> „როლის“
- 18.ჩეჩნ. 'ად : ინგ. 'ად : ბაცბ. ატყ „მშვილდი“
- 19.ჩეჩნ. ლაზარ : ინგ. ლაზარ : ბაცბ. ლაწარ „ტკივილი, დაავადება, სნეულება“

- 20.ჩენნ. ხა<sup>ა</sup> : ინგ. ხა<sup>ა</sup> : ბაცბ. ხა<sup>ა</sup> „ცოდნა“
- 21.ჩენნ. ხაზ<sup>ა</sup> : ინგ. ხაზა : ბაცბ. ხაწა<sup>ა</sup> „სმენა, გაგონება“
- 22.ჩენნ. ლათთა<sup>ა</sup> : ინგ. ლათთა : ბაცბ. ლათთა<sup>ა</sup> „ღვომა“
- 23.ჩენნ. ლას<sup>ა</sup> : ინგ. ლასა : ბაცბ. ლას<sup>ა</sup> „ძებნა“
- 24.ჩენნ. დალ<sup>ა</sup> : ინგ. დალა : ბაცბ. დალ<sup>ა</sup> „გაქცევა“
- 25.ჩენნ. მალ<sup>ა</sup> : ინგ. მალა : ბაცბ. მალ<sup>ა</sup> „დალევა“
- 26.ჩენნ. დათთა<sup>ა</sup> : ინგ. დათთა : ბაცბ. დათთა<sup>ა</sup> „შეწვა“
- 27.ჩენნ. ვარზ<sup>ა</sup> : ინგ. ვარზა : ბაცბ. ვარწა<sup>ა</sup> „მონრაკვა, მონაღვა“
- 28.ჩენნ. დალ<sup>ა</sup> : ინგ. დალა : ბაცბ. დალ<sup>ა</sup> „მიცემა“
- 29.ჩენნ. ახქა<sup>ა</sup> : ინგ. ახქა : ბაცბ. ახკა<sup>ა</sup> „დაბარვა“
- 30.ჩენნ. დ-ასთა<sup>ა</sup> : ინგ. დ-ასთა : ბაცბ. დ-ასთა<sup>ა</sup> „გახსნა“
- 31.ჩენნ. ლათჟ<sup>ა</sup> „ანთება“ : ინგ. ლათა-დ-დე „ანთება“ : ბაცბ. (წე) ლათ-დ-ა<sup>ა</sup> „(ცეცხლის) ანთება“
- 32.ჩენნ. ბ'არგ/ბ'არგ (ზოგ დიალექტში, მაგ., ბარის კილოში, '-სთან მეზობლობაში ა>ა) : ინგ. ბ'არგ : ბაცბ. ბ'არგ „თვალი“ ...

CV და VC სტრუქტურის ერთმარცვლიანი სტრუქტურის სახელებში:

33. ჩენნ. შა : ინგ. შა : ბაცბ. ფშა „ყინული“
34. ჩენნ. ჩა : ინგ. ჩა : ბაცბ. ჩა „ღათვი“
35. ჩენნ. სა : ინგ. სა : ბაცბ. სა „სული“
36. ჩენნ. 'ა : ინგ. 'ა : ბაცბ. 'ა „ზამთარი“
37. ჩენნ. კა : ინგ. კა : ბაცბ. კავ „ხორბალი“
38. ჩენნ. ხა : ინგ. ხა : ბაცბ. ხა „თედო; ბარკალი“
39. ჩენნ. ახ : ინგ. ახ : ბაცბ. ახ „ნახევარი“
40. ჩენნ. ას(ა) : ინგ. აზ (<ას) : ბაცბ. ას „მე“ (ერგატივში)
41. ჩენნ. აჰა(ა) : ინგ. ('ა < ჰა < აჰა) : ბაცბ. აჰა, აჰო „შენ“ (ერგატივში)...

ილენტური შესატყვისობების მცირერიცხოვანი მაგალითებია, აგრეთვე:

ჩენური ა	ინგუშური ა	ბაბური ა
მხა	მხა	მხ „ნესი“ (შღ., ქართული მახათი)
ღ-შან	ღ-შა	ღ-შან „პარსვა“
ღ-შან	ღ-შა	ღ-შან „ცხოვრება“, „გამორთმევა“ (მრავალგ. ა.ს.)
ჰაშა	ჰაშა	ჰაშ „სტუმარი“ ...

აღსანიშნავია, რომ მოცემულ ბაბურ მაგალითებში ხმოვნის სიგრძე არ არის დაფიქსირებული ა. სომერფელტის ნაშრომში [სომერფელტი 1934, 194].

**ამოსავალი \*ა ხმოვნის შესატყვისობანი (არაიდენტური შესატყვისობანი):**

ჩენური ა	ინგუშური ა	ბაბური უ
----------	------------	----------

ჩენ. კან : ინგ. კან : ბაბ. კუ<sup>ნ</sup> (<კან; კუ<sup>ნ</sup> - ავტ. კოლ., 2013), (კუ<sup>ნ</sup> - ქადაგიძე 1983), „თეთრი“

შესატყვისობა მეორეულია, ბაბურ ფორმაში უ ხმოვანი ფონეტიკურ ნიადაგზე ჩანს გაჩენილი - მომდინარეობს ა-საგან, რომელიც დაცულია ჩენურ-ინგუშურში. ზოგადი დასკვნის მიუხედავად, ასახსნელია ა > უ პროცესი, საძიებელია ანალოგიური მაგალითები.

ჩენური ა	ინგუშური ე	ბაბური ა
----------	------------	----------

ფახ, ფეხქ/ფეხქ (ღაღ. ვარ.) ფეხქ/ფეხქ ფჰაბთ „ფილტვი“

მარა მერაუ მარლ' „ცხვირი“

და დე ლე (<და?) „ან“ (კავშირი). აღნიშნული

კავშირი ნასესხებად ითვლება სპარსულიდან, დასტურდება დაღესტნის რიგ ენაში.

ამოსავალი ჩანს ჩენური ბარის კოლოს (იგივე საღ. ენის) ფორმა. ინგუშური და ჩენური ენის ღაღ. ვარიანტების ფორმები ფეხქ/ფეხქ მიღებულია ფახიგ-ისაგან, საღაც -იგ დაბოლოება ღეტერმინანტი სუფიქსი ჩანს (შღ. ჩენური წიგ, ინგ. აშქ, ბაბ. 'აბჰკ, 'აბქ „რკინა“ და მისთ.). ბაბური ფჰაბთ უნდა მომდინარეობდეს ფჰაბთი-საგან, ჰა განვითარებული ჩანს; ფუძე იგივე უნდა იყოს, რაც ჩენურშია. საკვლევი ხ/თ მონაცვლეობის საფუძველი.

ჩენური ა	ინგუური ა	ბატური ა
ფჰაგალ	ფჰაგალ	ფხაკალ „კურდელი“
ღ	ღ	ღად „მაძა“
მ'არა	მ'არა	მ'ადრ [კომრი 2010: 209]//მ'ადრ [ქადაგიძე 1983]
„ფრჩხილი“, „ბრჭყალი“ ...		
ლწცა <sup>ნ</sup>	ლწცა	ლწცა <sup>ნ</sup> „ლაჭერა“

ჩენური ღ ფორმისათვის ამოსავალია ბატურის ჩვენება. თუმცა **ღად (< ღადა)** სიტყვაში ბატურშიც მოკვეცილია ბოლოკიდური ხმოვანი ა (რეღუპლიცირებული ფორმა). ჩენურ-ინგუურში პროცესი უფრო შორს არის წასული - მთლიანად მოკვეცილია ბოლო მარცვალი, რის საკომპენსაციოდც წინა ხმოვანი არის დაგრძელებული (საკომპენსაციო დაგრძელება). ფჰაგალ/ფჰაგალ/ფხაკალ ლექსემაში გამოსაყოფია -გალ/-კალ სეგმენტი (შდრ. ჩენურ-ინგუური **ცჰტრგალ** და ბატურ **ცოკალ** „მელა“). მაშასადამე, ფჰაგ < ფხაკ-ისაგან, ფუჩენაში სავარაუდოა \*ა ხმოვანი.

ჩენურ-ინგუური ა	ბატური ე
აღხ	აეთხ „ექესი“
მაღა <sup>ნ</sup> /მაღა	მელ'ა <sup>ნ</sup> „დალევა“
ვაფ/ვეფ	ვე [კომრი 2010, 118]//ვაფ „ჩვენ“...

საერთო ნახური \*ა ხმოვანი ჩენურ-ინგუურშია წარმოდგენილი. **ვაფ > ვეფ > ვე** მიღებულია კონტაქტური ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციითა და, ბოლო შემთხვევაში, ლიფთონგის გამარტივებით. სავარაუდოდ, იმავე პროცესის შედეგად, მაგრამ პროგრესული ასიმილაციით, ჩანს მიღებული ბატური **აეთხ < \*ათხ**. რაც შეეხება **მაღა<sup>ნ</sup>/მაღა** და **მელ'ა<sup>ნ</sup>** ფორმებს, აქ შესატყვისობასთან არცა გვაქვს საქმე, რადგან ბატური სიტყვა წარმოადგენს სრული ასპექტის ფორმას, შდრ. უსრული ასპექტის ფორმა **მაღა'ა<sup>ნ</sup>**.

ცალკეულ შემთხვევებში ვლინდება სხვა სახის ხმოვანთშესატყვისობანიც. ასეთია, მაგალითად:

ჩენური ა/ჟო	ინგუური ო	ბატური ა
ტყა/ტყ'ჟო	ტყო	ტყა (ქადაგიძე 1983)/ტყო (კომრი 2010, 605) „ოცი“
ბაღდა	ბორდ	ბატრ „ტუჩი“



ვაშა	ვოშა	ვამ/ვამშ „ძმა“
კამდარ	კომდარ	კამარ „ქავილი“
ლამა	ლომმა	ლამ „ზეგ“
კალღ	კოლღ	კალტ „ნაჭო“
შად	შოდ	შატ „ფიწალი“
ღ-ახქ-ღ-ღელღა	ღ-ოხქ-ღ-ღელღა	ღ-ახკ-ღ-ღელ' „დამპალი“ ...

<b>ჩენურე პ</b>	<b>ინგუშური ოა</b>	<b>ბაცბური პ</b>
ჳანა	ჳონა	ჳან <sup>ნ</sup> „ხვალ“, ჳანო „ხვალე“
ლამი	ლოამი	ლამ „კიბე“
ტარა	ტოარა	ტარო „სილა“, „ნები“
კაჳა	კოაჳუკ	კ'ჳკ [კომრი 2010: 213] // კ'აკ (ქადაგიძე) „ქუსლი“ ...

ამ რიგის შესატყვისობათა მაგალითები ნშირია ჩენურსა და ინგუშურ ენებში:

ჩ. კაკ - ინგ. კოაკ - ბაც. კ'ოკ „ორმო“; ჩ.-ბ. ლამ - ინგ. ლოამ „მთა“; ჩენ. ბარზ - ინგ. ბოარზ „ბორცი“; ჩენ. ბამბა - ინგ. ბოამბი „ბამბა“; ჩენ. ბაღღ - ინგ. ბოაღღ „აღღუბალი“; ჩენ. დაღღუ - ინგ. დოაღღუ „ტაფა“; ჩენ. ქანა - ინგ. ქონა „პეშვი“; ჩენ. საღღარ - ინგ. სოაღღარ „კვერნა“; ჩენ. დაღ - ინგ. დოაღ „გადასახალი“, ჩენ. აზ - ინგ. ოაზ „ბგერა, ხმა“ ...

ზოგი სიტყვის შესატყვისი ბაცბურ ენაში გამოსავლენია.

<b>ჩენურე პ</b>	<b>ინგუშური პ</b>	<b>ბაცბური ა/ჳ</b>
ჭარა	ჭყარა	ჭარ, ჭარე „თევზი“

ინგუშური ფორმა მიღებულია ჭარა-საგან, ა ხმოვნის პალატალიზაცია გამოწვეულია ჩანს პალატალურ ჭ-სთან მეზობლობის გამო. ყ ბგერა განვითარებულია. ამდენად ცვლილება გამოწვეულია ფონეტიკურ საფუძველზე და შესატყვისობასთან არ გვაქვს საქმე.

მოვიყვანოთ მაგალითები, როცა ნახური ფუძეების \*ა ხმოვანს ჩენურში და იშვიათად ინგუშურშიც შეესატყვისება უმლაუტიანი ა (ჳ), ხოლო ინგუშურსა და ბაცბურში გვაქვს მარტივი ა:

<b>ჩენურე პ</b>	<b>ინგუშური ა/ჳ</b>	<b>ბაცბური ა</b>
-----------------	---------------------	------------------

ვპლ	ვალ	ვადლ „ფაშატი“ (< ქართ. ვრდალი)
ნ'ანა	ნ'ანა	ნ'ან „ჭია“
‘პრუა	‘პრუა	‘არჭი <sup>ნ</sup> (‘პრჭი <sup>ნ</sup> ) „შავი“
ყაჰა	ყაჰა	ყაჰე <sup>ნ</sup> (ყაჰე <sup>ნ</sup> ) „მწარე“
პითუ	პითა	ატტის „მარჯვენა, მარჯვნივ“...
პრრუ	პრდა	არლის „მარჯვენა, მარჯვნივ“...

აღნიშნული რიგის მაგალითებში ჩეჩნურში განზოგადებულია ან მეორე საბრუნებელი ფუძე, ან პირველი მარცვლის ფუძისეული ხმოვანი დარბილებულია მეორე მარცვლის ხმოვნის გავლენით. შდრ., აგრეთვე, თაღს „ხურჯინი“ და თაღს (შატოურ-ითუმყალური), ნარს „კიტრი“ და ნარს (იქვე). ივარაუდება, რომ ბრუნებისას ხდება შემდეგი სახის პროცესი:

სახ. თაღს

ნათ. თაღს-ან (< თაღს-ინ) და ა. შ.

ყველა ზემოთ დასახელებული მაგალითში ხმოვანთა ცვლილებები არ სცილდება ფონეტიკური ცვლილებების ფარგლებს. ზოგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული ანალოგიაც. გარდა ამისა, არ არის აღნუსხული ჩეჩნური ენის მდიდარი დიალექტური ლექსიკური მასალა, ეს მაშინ, როცა ბოლო წლებში გამოქვეყნებული ინგუშური და ბაცური ტექსტები და ლექსიკონები ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვაგვარ დაწერილობას გვიჩვენებენ. ბაცური და ინგუშური კი დიალექტების მიხედვით არ დიფერენცირდებიან.

მოგვყავს ორიოდე მაგალითიც, სადაც ხმოვანთა ცვლილებები ფონეტიკური ცვლილებების ფარგლებს არ სცილდება. შდრ.:

ჩეჩნ. ტად, ინგ. ტნ, ბაცბ. ტივ „ხიდი“. ი/ნ-სთვის ამოსავალი ჩანს ა, რომელიც ჩეჩნურში დასტურდება. ტად/ტნ/ტივ ფუძეთა მიმართებას ქართულ ტივ-თან ამჟამად ღიად ვტოვებთ. ასევე, შდრ.: ჩეჩნ. მა'ა, ინგ. მუ', ბაცბ. მ'პრ „რქა“, სადაც ინგუშურში უ < ა-საგან ლაბიალურ მ-სთან მეზობლობაში, ბაცურში კი იმავე მ-ს მომდევნო თანხმოვანი ' (აინი) განვითარებულია.

მამასადამე, ნახური ფუძეების \*ა ხმოვანს თანამედროვე ნახურ ენებში ჩვენი მასალების მიხედვით, შეესატყვისება:

ჩეჩნური	ა	ა	ა	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ
ინგუშური	ა	ა	ო	ა	ჰ	ჰ	ოა	ჰ
ბაცური	ა	ე	ა	ა	ჰ	ა	ა(ჰ)	ა(ჰ)

ზემოთ გაანალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნახური ფუძეების \*ა/\*ჲ ხმოვნები თანამედროვე ნახურ ენებში რეფლექსებს იძლევიან. ყველა რეფლექსი მეორეულია, ნახურ ენათა დიფერენციაციის შემდგომი პერიოდისა.

**42. 2. 2. ამოსავალი \*ი ხმოვნის შესატყვისობანი**

**43.**

როგორც შესატყვისობათა ცხრილშია ნაჩვენები, ნახური ფუძეების \*ი-ს შესატყვისება: ჩენჩ. ი/რ : ინგ. ი/რ/ა : ბაცბ. ი/ა/ე. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები.

ფონემათიგივიობანი:

ჩენჩური ი	ინგუშური ი	ბაცბური ი
44. თხი(რ)	თხირ	თხირ „ნამი“
45. ვირ	ვირ	ვირ „ვირი“
46. ფჰიდ	ფჰიდ	ფჰიტ „ბაყაყი“
47. ჟიმ	ჟიმ	ჟი <sup>ნ</sup> „თირკმელი“
48. ღიგ	ღიგ	ღიკ „ცული“
49. ხინჟა	ხინჟა	ხინჭ „წილი“
50. ნითთ	ნითთ	ნიტტ „ჭინჭარი“
51. ში <sup>ნ</sup>	ში <sup>ნ</sup>	ში „ორი“
52. შინარა	შინარ	შინა „სამშაბათი“
53. ირა	ირა	‘ირუ <sup>ნ</sup> „ბასრი“
54. დ-ილა <sup>ნ</sup>	დ-ილა	დ-ილ-დ-ა <sup>ნ</sup> „დაბანა“
55. დ-ილა <sup>ნ</sup>	დ-ილა	დ-ილა <sup>ნ</sup> „დადბა“
56. დ-იჟა <sup>ნ</sup>	დ-იჟა	დ-იჟა <sup>ნ</sup> „დაწოლა“
57. ფხი <sup>ნ</sup>	ფხი <sup>ნ</sup>	ფხი <sup>ნ</sup> „ხუთი“
58. დ-ი <sup>ნ</sup>	დ-ი <sup>ნ</sup>	დ-‘იგ <sup>ნ</sup> „ოთხი“
59. ითთ	ითთ	იტტ „ათი“



წარმოშობის საკითხი.

ნათელია, რომ ფუძეების ი სმოვნის რეფლექსები ნახურში მცირერიცხოვანია. რომ შევავჯამოთ, მივიღებთ შემდეგი სახის სქემას:

ჩენური	ი	ი (<ა)	ი	ი
ინგუშური	ი	ი (<ა)	ი	ა
ბაცური	ი	ა/ე (<ა)	ი/იგ/იფ	ი/ე

63.

64. 2. 3. ამოსავალი \*უ სმოვნის ფონმათიგივეობანი

65.

ფუძეების \*უ სმოვნის ფარდი თანამედროვე ჩენურში არის უ, უ, უ, უ, ინგუშურში - უ/ი/ა, ბაცურში კი - უ (ოფ).

ილენტური შესატყვისობანი:

ჩენური უ	ინგუშური უ	ბაცური უ
66. მუჰ	მუჰ	მუჰ „ქერი“
67. ყუ	ყუჰ	ყუ(ვ) „ქურდი“
68. ‘უ	‘უ	‘უჰ „მწყემსი“
69. კურ	კურ	კურ „ბოლი“
70. ჰჰუნ	ჰჰუ	ჰჰუნ <sup>ნ</sup> „ტყე“
71. ჰჰუნ <sup>ნ</sup>	ჰჰუ	ჰჰუნ <sup>ნ</sup> „რა“
72. ბუთთ	ბუთთ	ბუთთ „თვე, მთვარე“
73. ღუჰა	ღუჰა	ღუჰ „ბევერი“
74. ღუჰ	ღუჰ	ღუჰ „უღელი“
75. შურა	შურა	შურ „რძე“
76. ფჰჰუ	ფჰჰუ (ქოფაკი)	ფჰჰუ „ძალი“
77. სთუ	უსთ(უ)	ფსთუ „ხარი“...

საინტერესოა, რომ მუჰ ლექსემას, მაგალითად, ხვარშიულში [ლომთაძე 1998 : 190], შეესაბამება მავა

იმავე მნიშვნელობით, იგივე სიტყვა ჩანს ქართული მანა-ც (ხორბლის ერთგვარი ჯიში). ორივე ამ ფორმის პირველ მარცვლში ა ხმოვანია წარმოდგენილი. ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, ზემოთ ჩამოთვლილ ჩეჩნურ სიტყვათა ნაწილში მრავლობითის წარმოებისას უ რომ ა-ში გადადის. შდრ.: მხ. მუჟ, მრ. მჟჟ-ამ (< მჟჟ-იშ); მხ. კურ, მრ. კარ-რ-ამ (< კარ-ნ-ამ); მხ. ჰუნ, მრ. ჰან-ნ-ამ, მხ. ლუყ, მრ. ლაყ-ყ-ამ (< ლაყ-ნ-ამ)... აქედან გამომდინარე, შეიძლება უ ნახურ ფუძეენაშიც გვიანდელად ვივარაუდოთ. ანალოგიურად დადგება საკითხი ი ხმოვანთან მიმართებითაც, რამდენადაც ზოგ ლექსემაში მისი გადასვლა ა-ში ასეთი ეჭვის საფუძველს იძლევა.

\*უ ხმოვანი არაიდენტურ რეფლექსებსაც იძლევა. ამის მაგალითები მცირერიცხოვანია, მეორეულია, ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი. შდრ.:

- ჩ. ღ-უტყა, ინ. დ-იტყა, ბ. დ-უტყი<sup>ნ</sup> „თხელი“;
- ჩ. დ-უსთა<sup>ნ</sup>, ინ. დ-ისთა. ბ. დ-უსთა<sup>ნ</sup> „(გ)აზომვა“;
- ჩ. დ-უნა<sup>ნ</sup>, ინ. დ-უვზა, ბ. დ-ოფზა<sup>ნ</sup> „ჩაცმა“;
- ჩ. ჰუმა, ინ. ჰამა, ბ. ვუმ (\*ჰუმა) „რაიმე“ (ნივთი, საგანი)...

განვიხილავთ ისეთ შესატყვისობებს, სადაც ჩეჩნურში პალატალიზებული მარტივი ან გრძელი უ ხმოვანი გვაქვს, ხოლო ინგუშურსა და ბაცბურში მათ ნაცვლად უმეტესად არაპალატალიზებული ხმოვნებია. შდრ.:

- ჩ. ღურა, ინ. დირა, ბ. ღურინ „მლაშე“;
  - ჩ. მუსთა, ინგ. მისთა, ბ. მუსტინ „მუავე“;
  - ჩ. დუჰა, ინ. დუჰა, ბ. დოჰა (< დუჰა) „სახე“...
- ან კიდევ:
- ჩ. ბჷსა, ინ. ბნსა, ბ. ბუდსა „ლაძე“;
  - ჩ. ჴრდე, ინ. ნრდე, ბ. ჴრდნა „ლილა“
  - ჩ. სჷრდე, ინ. სადრდე, ბ. ფსარლო „საღამო“

\*უ ხმოვნის ყველა რეფლექსი ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი და მათი მეორეულობა ეჭვს არ იწვევს.

\*უ ხმოვნის რეფლექსები სქემატურად ასე გამოიხატება:

ჩეჩნური	უ	უ	ჴ	ჴ (<უ)	ჴ
ინგუშური	უ	ი (<ა)	უვ	ი (<უ)	ი
ბაცბური	უ	უ	ოფ	უ	უ

78. 2. 4. ამოსავალი \*ე ხმოვნის შესატყვისობანი

79.

რამდენადაც სადა ე ხმოვანი ჩეჩნურ-ინგუშურ ენებში მხოლოდ პოზიციურია, შესადარებელ ნიმუშად პირველ ადგილზე მოგვეყავს მაგალითები ბაცბურიდან.

სადა ე ხმოვანი, მაგალითად, ჩეჩნურში, ყველა პოზიციაში, მეორეულია. შდრ.: ესქარ (<ასქერ) „ჯარი, არძია“ (ნასესხები თურქული ენებიდან), ბერგ (<ბარიგ) „ფლოქვი“ (შდრ., ჭებერლოური ბარიგ); სახ. კანთ „ბიჭი, ვაჟი“, ნათ. კენტ-ან<sup>ნ</sup> (<კანთ-ინ); საზან<sup>ნ</sup> „გაგონება“, აწმყო: ხეზ-ა (<\*საზ-ე), სადაც აწმყოს მაწარმოებელია ე, რომელიც ბოლოკიდურ პოზიციაში იცვლება, მაგრამ ცვლილებამდე იმსგავსებს ფუძისეულ ა ხმოვანს. მეორეულია მისი გრძელი ვარიანტი ე-ც. შდრ.: ეს „ხბო“ < \*ს-ი (შდრ. ინგ. ‘ასა, ბაცბ. ას, ახიური ‘ესა, ჭებ. ას, ითუმ. ‘ას...); კჷლან „რბილი“ (<კჷლან) და ა. შ. ნათქვამი ეხება ინგუშურ ენასაც.

მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

ბაცბური ე	ჩეჩნური დე/დე/ა	ინგუშური ი/ე/დე
80. წე	წდე	წი „ცეცხლი“, „სახელი“
81. ლე	ლდე	ლი/ლე „ლე“
82. ხე <sup>ნ</sup>	ხდე <sup>ნ</sup>	ხი „ხე, ძორი“
83. ყე <sup>ნ</sup>	ყდე <sup>ნ</sup>	ყი „ლარიბი“
84. ‘ე <sup>ნ</sup>	‘დე <sup>ნ</sup>	‘ი „ჩრდილი“
85. თხე	თხა/თხე (დიალ. ვარ.)	თხა „მატყელი“
86. ჟე	ჟა, ჯე	ჯა „ფარა“ (ცხვრისა)
87. ჰე <sup>ნ</sup>	ჰი <sup>ნ</sup>	ჰი/ჰე „სხვა“... (იმნაიშვილი 1978, 163)

ასევე:

88. ხერხ	ხდეხ	ხიხ „ხერხი“
89. ფეჩ	ფდეჩ	ფიჩ „ლუმელი“
90. ბე <sup>ნ</sup>	ბდე <sup>ნ</sup>	ბი „ბუდე“

ჩეჩნურ-ინგუშური თხა, ჯა/ჟა ფორმები განზოგადებულ მეორე საბრუნებელ ფუძედ მიაჩნია დ. იმნაიშვილს, რომლის ნაშრომიდანაც არის მოხმობილი ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვები.

მოვიყვანოთ სხვა მაგალითებიც:

91. ლელ	ლდელ	ლილ „ტანი“
---------	------	------------

92. გერწ	გერზ	გერზ „იარალი“
93. ლესტან <sup>ნ</sup>	ლესთან <sup>ნ</sup>	ლესთან „გასივება“
94. მელ’	მელ	მელ „რამდენი“
95. ვეხკლან <sup>ნ</sup>	ვეხქურ	ვეხქურ „აღულება“
96. პენტორ	პენდა	პენდა „ნეკნი“
97. წეგენ	წენ	წენ „წითელი“
98. ჟერ	ჟერურ	ჟერურ „განათხოვარი“
99. დ-ეგან <sup>ნ</sup>	დე <sup>ნ</sup>	დე „ლაკვლა“
100. დ-ეგან <sup>ნ</sup>	დ-ენგან <sup>ნ</sup>	დ-ენგან „გაყოფა“
101. ეცან	ენცან <sup>ნ</sup>	ენცან „ყიღვა“
102. დ-ენგან <sup>ნ</sup>	დ-ენგან <sup>ნ</sup>	დ-ენგან „თხოვნა“
103. დ-ენგან <sup>ნ</sup>	დ-ენგან <sup>ნ</sup>	დ-ენგან „სწავლა“
104. თეგან <sup>ნ</sup>	თენგან <sup>ნ</sup>	თენგან „ნდობა“
105. ვეთან <sup>ნ</sup>	ვენთან <sup>ნ</sup>	ვენთან „მიხვედრა“
106. დ-ენგან <sup>ნ</sup>	დ-ენგან <sup>ნ</sup>	დ-ენგან „სიყვარული, ყვარება; ნდობა“

საინტერესოა, რომ ინგუშურ ფუძეებში დიფთონგების ნაცვლად მარტივი ხმოვნები აქვს დაფიქსირებული ა. სომერფელტს. ასე, მაგალითად: დელ, ხენ/ხინ/ხი, ლელარ, ლეგარ და ა. შ. (ლათინური ტრანსლიტერაციით: bien – bhen – be; diegh – deg – de; xien – xen/xin/xi; lielar – lelar – lelar...).

ასეთია \*ე ხმოვნის რეფლექსები თანამედროვე ნახურ ენებში.

## 2. 5. ამოსავალი \*ო ხმოვნის შესატყვისობანი

### 107.

ფუძეების \*ო ხმოვნის რეფლექსებს თანამედროვე ნახურ ენებში წარმოადგენენ: ბაცურში ო, ჩენურში უო/უო, ინგუშურში ო/ე < ოა/უო (იხ. ზემოთ). მოვიყვანოთ საათანადო მაგალითები:

<b>ბაცური ო</b>	<b>ჩენურ-ინგუშური უო</b>
108. მოტტ	მ-ჟოთთ „ენა“



109. ღომ ღუმ „სიტყვა“
110. ბოს ბუმ „ფერი“
111. ვორ'ლ' ვუმორჰ „შვილი“
112. ვო ვუმ „სამი“
113. ქოთინ გუმთა „ვიწრო“
114. ოთან ჰუმთა (ჩენ.), უმთა (ინგ.) „გაჩერება“
115. ბოთხ ბუმლხ „მუშაობა“
116. მოხქ მუმხქ „ქვეყანა“
117. ვოჰ ვუმ „ვაჟიშვილი“
118. დოჰ დუმ „ქალიშვილი“
119. ბ'ორწ ბუმრხ „მგელი“
120. ბ'ოკ ბუმკ „კაცი“
121. ქორთ ქუმრთა „თავი“
122. ზოქ ზ'უმქ „ნისკარტი“
123. ქოკ ქუმკ „ფეხი“
124. ღოკ ღუმკ „გული“
125. მოწ მუმწ „თაფლი“
126. ნოტყ ნუმტყა (ჩენ.), ნუმტ (ინგ.) „ჩირქი“
127. ფჰორ ფჰუმორ „ვანშამი“
128. სო სუმ „მე“
129. ჰო ჰუმ „შენ“...

ასევე:

**ბაცბ. ო : ჩენ.-ინგ. ურ**

130. ქოთამ ქუმრთამ „ქათამი“
131. ცოკალ ცჰუმრგალ „მელა“
132. თოლამ თუმრლამ „გამარჯვება“
133. ყონრ ყუმონა „ახალგაზრდა“

134. ოლ                    დჟოლ „თივა“...

როგორც საანალიზო მაგალითებიდან ჩანს, ბაცბურ მარტივ, სადა ე, ო ხმოვნებს ჩენურ-ინგუშურში შესაბამისად შეესატყვისება დიფთონგები დე/დჟ და /ჟრ. პირიქითაც, აღნიშნულ დიფთონგებს ბაცბურში ე, ო ხმოვნები შეესატყვისება. მაშასადამე:

ბაცბური	ე	ო
ჩენურ- ინგუშური	დე/დჟ	ჟო/ჟრ

ასეთია ძირითადი ხმოვანთშესატყვისობანი ნახურ ენებში, სქემატურად კი იგი ასეთ სახეს მიიღებს:

საერთო ნახური	ჩენური	ინგუშური	ბაცბური	ჩენურ- ინგუშური
*ა	ა/ა/ა/ა	ა/ა/ა/ო/ოა	ა/ა	-
*ი	ი/ი(<ა)/ი	ი/ი(<ა)/ი/ა	ი/ე/ე(<ა)/ი/ი/იფ	-
*უ	უ/უ/უ/უ	უ/ი(<ა)/ი(<უ)/ი/უ/უფ	უ/ოფ	-
*ე	-	-	ე	დე/დჟ
*ო	-	-	ო	ჟო/ჟრ

ყოველივე ზემოთ ნათქვამი რომ შევაჯამოთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხმოვანთა რთული სისტემით თანამედროვე ნახურ ენათაგან გამოირჩევა ჩენური ენა, ბაცბურთან შედარებით რთული ხმოვანთა სისტემა აქვს ინგუშურსაც. ბაცბური ენის ხმოვანთა სისტემა მაქსიმალურად ახლოს დგას ნახური ფუძეენის (პრანახურის) ვითარებასთან. ასევე მარტივია, აგრეთვე, ჩენური ენის ჭებერლოური დიალექტის ხმოვანთა სისტემაც.

ნახურ ენათა ხმოვნების დღევანდელი რთული სისტემა პრანახური მარტივი სისტემის გართულების შედეგს წარმოადგენს. ნახურ ფუძეენაში (პრანახურში) უნდა ყოფილიყო სულ სამი ხმოვანი - ა, ი, უ. სავარაუდოდ - ა (გრძელი ა) ხმოვანიც. ნახურში ჩამოყალიბებულ ფონეტიკურ კანონზომიერებათა შესაბამისად ნახურ ენებში წარმოიშვა როგორც პალატალური და ლაბიალური ხმოვნები, ისე პალატალიზებული, ლაბიალიზებული და ნაზალიზებული ხმოვნებიც. სავარაუდოდ, ოდინდელმა მახვილმა ნახურ ენებში დაკარგა

თავისი ფუნქცია (უნდა ჰქონდეს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია), მანვილის დაკარგვამ კი გამოიწვია გრძელი ხმოვნების გაჩენა. ნახურში გრძელი ხმოვნების გაჩენის სხვა გზებიც არსებობს. ასეთია, მაგალითად, ხმოვანთა შერწყმა, ინტონაცია - ხმოვანთა დაგრძელება ამა თუ იმ სიტყვაზე მსმენელთა ყურადღების გასამახვილებლად და სხ. გრძელმა ხმოვნებმა კი თანდათან შეიძინეს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია და ფონემებად ჩამოყალიბდნენ.

## **2. ხმოვანთა შესატყვისობანი დაღუსტნურ ენებში**

### **2. 1. ხმოვანთა შესატყვისობანი ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში**

#### **2. 1. 1. ზოგადი მიმოხილვა**

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში კანონზომიერი და რეგულარული ფონემათშესატყვისობანი დასტურდება როგორც ხმოვნებში, ისე თანხმოვნებში. ამასთანავე, ამავე სახის ფონემათფარდობებმა შეიძლება თავი იჩინონ საკვლევ ენათა ცალკეულ დიალექტებში, რაც მეტად მნიშვნელოვანია ფონემათშესატყვისობათა ჩამოყალიბებისა და ბგერათცვლილებათა თვალსაზრისით. ხმოვანთა სისტემის ქმნალობისა და შემდგომი ევოლუციისათვის

თვალის მისაღწევად მეტად ფასეულია დიალექტური მონაცემები, რომლებსაც უდამწერლობო ენათა პირობებში განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვოკალიზმის (resp. კონსონანტიზმის) ისტორიულად არსებული მოდელის რეკონსტრუქციისათვის.

ვოკალიზმის კვლევას ისტორიულ-შედარებითი ასპექტით არცთუ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ზოგი მკვლევრის ცალკეულ მოსაზრებებს [ერკერტი 1895 : 200; ტრუბეცკო 1987 : 291 ...] თუ არ გავითვალისწინებთ, თავდაპირველად ხმოვანთა შესატყვისობის ძირითადი ფორმულები ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა შორის დადგენილ იქნა XX ს.-ის 50-იანი წლების დასაწყისში თბილისელ ლინგვისტთა მიერ [გუდავა და სხვ. 1952 : 34], რომელთაგან ზოგმა თავისი კვლევის შედეგები ცალკე სტატიების სახითაც გამოაქვეყნა [ლომთაძე 1956 : 81-88; ცერცვაძე 1958 : 253; 1965 : 31...]. ე. ბოკარევა სცადა დაეგინა ხმოვანთა შესატყვისობანი აღმოსავლურ-კავკასიურ ენებში, მაგრამ მის ნაშრომებში [ბოკარევი 1961; 1981] ვხვდებით მარტოოდენ დაღესტნურ ენათა მასალის ანალიზსა და შესატყვისობათა ფორმულების დადგენის ცდას. მისმა კვლევა-ძიებამ ამ კუთხით დიდი შედეგი ვერ მოიტანა [იხ. ლომთაძე 1994 : 288-316]. დილოური ენების ხმოვანთა სისტემაზე ნაყოფიერად მუშაობდა ე. ლომთაძე, რომელმაც ხანგრძლივი მუშაობის შედეგები გააერთიანა ვრცელ მონოგრაფიაში [ლომთაძე 1994]. საერთო-დაღესტნური ვოკალური სისტემის რეკონსტრუქციას ეხება ავტორთა კოლექტივი [ჰასანოვა და სხვ. 1971 : 21-28]. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ხმოვანთა ევოლუციის, მის საფუძველზე მიღებულ შესატყვისობათა და არქეტიპთა შესახებ სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა [არდოტელი 2009 : 44-61]. ეს განსაკუთრებით ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ვოკალიზმზე ითქმის, რომლის ისტორია სათანადოდ გამოკვლეული არ არის.

## 2. 1. 2. \*ა ხმოვნის შესატყვისობანი

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ისტორიული \*ა საკვლევ ენებში არაერთგვაროვნად არის წარმოდგენილი. ერთი რიგის მაგალითებში ხუნძურ ა-ს ანდიურში კანონზომიერად ო შესატყვისება, დანარჩენ ანდიურ ენებში კი მას ნულვანი რეფლექსაცია მოეპოვება [ერკერტი 1895 : 200; ლომთაძე 1955 : 26-27; შდრ. დეშვილ 1971 : 25-26]. რაც შეეხება დილოურ ენებს, ბეჟიტურში არქეტიპი ძირითადად დაცულია (ა>რ), ხოლო დანარჩენ ენებში \*ა-ს, ზანურის ანალოგიურად, ველარიზაცია განუცდია და ო-ს სახით არის წარმოდგენილი. ამ ენათა

სპეციალისტები თანხმდებიან, რომ ასეთ შემთხვევაში ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ქრონოლოგიურ დონეზე ა არის ამოსავალი [გუდავა და სხვ. 1952 : 34; ლომთაძე 1956 : 26; 1994 : 235-236; ცერცვაძე 1958 : 253; 1965 : 31; არლოტელი 2009 : 44-53; შლდ. ბოკარევი 1959 : 252]. ა-ს პირველადობა მტკიცდება სხვა დადგენილ ენათა მონაცემების გათვალისწინებითაც, რაც სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ აღინიშნება [ცერცვაძე 1980 : 228-230; ლომთაძე 1994 : 238-244...].

ყველა საკვლევი ენის მონაცემების გათვალისწინებით, \*ა-ს შესატყვისობის ფორმულა ასე გამოიხატება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	ლიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ა	ა	ო	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ო	ო	ო	ა/რ

ამ შესატყვისობის საილუსტრაციოდ შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი მაგალითები:

1. ხუნძ. სანი, შანი, სონო,<sup>78</sup> სინი (დიალ. ვარ.) ~ ანდ. სონ : ბოთლ. : ლოდ. : ტინდ. : კარ. სანი : ჭამ. სან : ახვ. შანი ~ საკ. ლიდ. ზინ : ჰინ. ზენუ : ხვარ. ზან (ინხ. ზონ) : ბეჟ. სინო (<\*სონი) „კოწახური“.
2. ხუნძ. ანწ- (<\*ნაწა)<sup>79</sup> ~ ანდ. პოწო- : ბოთლ. : ლოდ. : ბაგვ. : ტინდ. : კარ. ჰაწა- : ჭამ. აწა- : ახვ. აჭა ~ საკ. ლიდ. ოწი- : ჰინ. ოწე- : ხვარ. უწა- (ინხ. ოწო) : ბეჟ. აწო- (ჰუნხ. ოწჷ) „ათი“.
3. ხუნძ. ბაწ (<\*ბაწა) ~ ანდ. ბოწო : ბოთლ. : ლოდ. : ჭამ. ბაწა : ახვ. ბაჭა ~ საკ. ლიდ. ბოწი : ჰინ. ბოწე : ხვარ. ბოწა (ინხ. ბოწო) : ბეჟ. ბაწო (ჰუნხ. ბოწჷ) „მგელი“.
4. ხუნძ. რაკ (<\*რაკჷა)<sup>80</sup> ~ ანდ. როკჷო : ბოთლ. : ლოდ... რაკჷა ~ საკ. ლიდ. როკუ (<\*როკჷი)<sup>81</sup> ჰინ. როკ(ჷ)ე : ხვარ. ლოკჷა (ინხ. ლოკჷო) : ბეჟ. რაკო (ჰუნხ. როკუ<\*როკო<\*როკჷ)<sup>82</sup> „გული“.
5. ხუნძ. ლაბ-გო ~ ანდ. ლობ-გუ : ბოთლ. ჰაბუ-და : ლოდ. : ჭამ. ლაბუ-და : ტინდ. : ბაგვ. : კარ. ლაბ-და : ახვ.

<sup>78</sup> ხუნძ. ა > ო პროცესი რეალიზებულია ინტერკონსონანტურ პოზიციაში, თუმცა უმახვილო ხმოვანს მოუდის. შემდეგ კი აუსლაუტში ასიმილაციით მახვილიანი ი > ო [შლდ. გუდავა 1980 : 202]. რაც შეეხება სინი ფორმას, იგი აუსლაუტის მახვილიანი ხმოვანით გამოწვეული ასიმილაციის შედეგია: სან > სინი.

<sup>79</sup> შლდ. გუდავა 1980 : 209.

<sup>80</sup> ა ხმოვნის მოკვეციის შემდეგ ბოლოკილური ჯ სონანტი დაკარგულია.

<sup>81</sup> ინხ. იმნაიშვილი 1956 : 245.

<sup>82</sup> ასიმილაციით არის მიღებული [შლდ. ლომთაძე 1994 : 247].

ლ'აბ-და-ბე ~ საკ. დიდ. : ჰინ. ლ'ონო : ხვარ. ლ'ონა (ინხ. ჰონო) : ბეჟ. ლ'ანა (ჰუნზ. ლ'ონა) „სამი“.

6. ხუნძ. ანტი-გო (<ანტი-გო) ~ ანდ. ჰოტიუ-გუ : ბოთლ. : ლოდ. : ჭამ. : კარ. : ჰატიუ-და : ბაგვ. ჰატიუ-რა : ტინ. ჰატიუ-და : ახვ. ატიუ-და-ბე ~ დიდ. : ჰინ. ცოლ'-ნო : ხვარშ. ცოლ'-ა (ინხ. ცოლ') : ბეჟ. ცალ'-ნა (ჰუნზ. ოლ'-ნო) „შვილი“.

7. ხუნძ. ჰარაც ~ ანდ. ორსი : ბოთლ. : ლოდ. არსი : ჭამ. : ტინდ. ასი : ბაგვ. ას : კარ. ცარსე : ახვ. აჩი ~ ხვარშ. ოს „ვერცხლი“.

8. ხუნძ. მატო ~ ანდ. მოტო : ბოთლ. : კარ. მატოუ : ჭამ. მატო : ახვ. მიტოე (<\*მატოე) ~ საკ. დიდ. : ჰინ. მოლ'უ : ხვარ. მულ'უ (<\*მოლ'უ, შდრ. ინხ. მოლ'უ) : ბეჟ. : მალ'ო (ჰუნზ. მოლ'უ <\*მოლ'ო) „ძილი“, „სიზ-მარი“<sup>83</sup>.

9. ხუნძ. ნაწა (<ნაწა) ~ ანდ. ნოწა : ბოთლ. : ახვ. ნაწა : ლოდ. : ტინდ. ნაცაი : ბაგვ. : ჭამ. ნაწა : კარ. ნაწაე ~ დიდ. ნოცი : ჰინ. ნოცი : ხვარშ. ნოცი : ბეჟ. ნაცი (ჰუნზ. ნ ოცა) „ტილი“.

10. ხუნძ. მაჭ ~ ანდ. მოყ'ო : ბოთლ. მალა : ლოდ. : ბაგვ. : კარ. მაჭა : ჭამ. მა : ტინდ. მანდი : ახვ. მაყა ~ დიდ. : ჰინ. მოყ'უ : ხვარშ. მოყუ : ბეჟ. მაყო (ჰუნზ. მოყუ) „ცრემლი“.

11. ხუნძ. -ა ~ ანდ. -ო : ბოთლ. : ლოდ. : ტინდ. : ბაგვ. : ახვ. -ა ~ დიდ. : ჰინ. : ხვარშ. -ო : ბეჟ. -ა „ბრძანებითი კილოს საწარმოებელი სუფიქსი“.

12. ხუნძ. ჩამჩან ~ ანდ. ჩომ : ბოთლ. : ლოდ. : ბაგვ. ჩამუ : ჭამ. შან : ტინდ. ჩჷანა : კარ. ჩამ : ახვ. ჩამა ~ დიდ. : ხვარშ. შომო : ჰინ. სომო (<\*შომო) : ბეჟ. ლასო „რამდენი?“

13. ხუნძ. ჰაწო ~ ჭამ. ჰაწა : ბაგვ. ჰაწაუ : ტინდ. ლ'აცაი : ახვ. აწაი ~ დიდ. ნოციუ : ხვარშ. დოციუ : ბეჟ. დანჩო (ჰუნზ. დანციუ) „ნერწყვი“.

14. ხუნძ. ახ ~ ანდ. ოხი : ბოთლ. : ტინდ. ახი : ჭამ. ახ : კარ. ახე : ბაგვ. აჰ : ახვ. აჷი ~ დიდ. ახი : ხვარშ. ოჰ „ბალი“ : ბეჟ. აჰ „ბალი...“

ა>ო პროცესი ხდება ანდიურსა და დიდოურ ენათა ერთ წყებაში (ბეჟიტურის გამოკლებით), სპორადულად ხუნძურშიც შეიმჩნევა [ლომთაძე 1994]. ზემოდასახელებულ ენებში ამოსავალი ა-ს ტემბრის ცვლა დაკავშირებული ჩანს მისი არტიკულაციის უკან გადაწევისასთან. ა>ო გარდაქმნა იოლად განხორციელებოდა, რადგანაც ამ ქრონოლოგიური დონით ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებულ პროცესს აწეულობისა და ლოკალური რიგის სიანლოვე უწყობდა ხელს.

<sup>83</sup> ამავე წარმომავლობის ლექსემები იძებნება ნახურ ენებში [ბურჭულაძე 1988 : 350-355].

საკვლევ ენათა სინამდვილეში, როგორც წესი, დასტურდება ისეთი მაგალითები, რომლებშიც ა:ო შესატყვისობის ფორმულა ზოგ ენაში დარღვეულია, მაგ.:

1. ხუნდ. ცა ~ ანდ. სოლ : ბოთლ. : ტინდ. : ბაგვ. სალუ : ჭამ. სალუ : კარ. სალი : ახვ. ჩალო ~ ხვარშ. სელ (<\*სოლ) : ბეჟ. სილა (<\*სალა) „კბილი“.

2. ხუნდ. უას (<\*უასა) ~ ანდ. უომო : ბოთლ.: ლოდ. : ბაგვ. : კარ. : ახვ. უაშა : ჭამ. : ტინდ. უაჰა ~ დიდ. : ჰინ.უჟი (<ოჟი) : ხვარშ.უჟა : ბეჟ. ოჟე (<\*აჟე) „ვაჟი“, „ბიჭი“.

3. ხუნდ. იჭ- (<\*იჭი- <\*იჭუი- <\*აჭუი-) ~ ანდ. ჰოჭო- : ბოთლ.: ლოდ. ჰაჭა- : ბაგვ.: ტინდ.: კარ. ჰაჭუა- : ახვ. ობჭა- (<\*აბჭუა-, შდრ. რატლ. აბჭუა) ~ საკ. დიდ.: ჰინ. ოჭი- : ხვარ. უჭი- (<\*ოჭი-,<sup>7</sup> შდრ. ინხ. ოჭე) : ბეჟ. აჭე- (ჰუნზ. უჭი- <\*ოჭუე-) „ცხრა“.

4. ხუნდ. მატო ~ ანდ. მოტო : ბოთლ.: კარ. მატოუ : ჭამ. მატო : ახვ. მიტე (<\*მატე) ~ საკ. დიდ.: ჰინ. მოლ'უ : ხვარ. მულ'უ <\*მოლ'უ (შდრ. ინხ. მოლ'უ) : ბეჟ.: მალ'ო (ჰუნზ. მ'ოლ'უ <\*მ'ოლ'ო) „ძილი“, „სიზმარი“.

5. ხუნდ. ხაალათაბ ~ ანდ. ბენაულა (<\*ბენაოლა) : ჭამ. ბენაილაბ (<\*ბენაალაბ) : ბაგვ. : კარ. ბენაელაბ (<\*ბენაალაბ) : ახვ. ბენადაბე ~ დიდ. ბენორა : ჰინ. ბონორე : ხვარშ. ეხოლა : ბეჟ. ბინალო „გრძელი“.

6. ხუნდ. რაკ ~ ანდ. როჯი : ბოთლ. : ჭამ. : ბაგვ. რეჰინ (<\*რავინ) : ახვ. რაჟე ~ დიდ. როს : ჰინ. : ხვარშ. ლახ (<\*ლოხ) : ბეჟ. რეხ (\* <რახ) „კვალი“.

7. ხუნდ. ლალკ ~ ანდ. ლ'ოლ : ბოთლ. ლ'აკი : ლოდ. : ჭამ. : ახვ. ლალი : ბაგვ. ჰალ : კარ. ლ'ალდა ~ დიდ. როლე (\* <როლე) : ჰინ. : ხვარშ. ლულე (<\*ლოლე) : ბეჟ. ლ'ონჰ (<\*ლ'ანჰ) „ფეხის კვალი“.

8. ხუნდ. წან<sup>84</sup> ~ ანდ.წონ<sup>5</sup> (რიკვ.) (<წონ, შდრ. ლალ. წონ) : ბოთლ.: ბაგვ.: კარ. წანი (<\*წანი, შდრ. ახვ. წანი) ~ საკ. დიდ. ციო (<\*ციოი <\*ცინი) : ჰინ. ჩიო (<\*ჩიოი <\*ჩინი) : ხვარ. ცი<sup>6</sup>ო (<\*ციოი <\* <\*ციონი) : ბეჟ. ცა<sup>5</sup> <\*ცან (ჰუნზ. ც'ო) „მარილი“...

ზემომოყვანილი შესატყვისობის ფორმულის გვერდით დასტურდება ისეთი ფორმულაც, რომელშიც ხუნძურ-ანდიური ქვეჯგუფები იმავე ვითარებას გვიჩვენებენ, ხოლო დიდოურ ენათა ქვეჯგუფი მნიშვნელოვანი ცვლილებით არის წარმოდგენილი. კერძოდ, ო-ს ნაცვლად საკუთრივ დიდოურ ენაში ი გვხვდება, ჰინუხურში – ე,

<sup>84</sup> ტ. გულავა არქეტიპად \*წან ფორმას ვარაუდობს [1979 : 158] და მას ქართველურ ენათა ძამ-/ჯომ- ფუძეებთან აკავშირებს [გულავა 1954 : 705]. ყ. მიქაილოვი არქეტიპად აღადგენს \*ძამ ოდენობას და მას ქართველურ ენათა მონაცემს ძმ-არ- ფუძეს უკავშირებს [მიქაილოვი 1988 : 143-144].

ხვარშიულში – ა (საკ. ხვარშ.). რაც შეეხება ბეჟიტურ ენას, ა-ს საკორელაციო ოდენობად წარმოჩნდება: საკ. ბეჟ. ო (<ა), ჰუნზ. (<ა). საგულისხმოა, რომ ჰუნზიტურში ამოსავალი \*ა ნაწილობრივ არის გადაწეული ო-სკენ და, ბეჟიტურისაგან განსხვავებით, მისი უკან გადაწევის ხარისხი ნაკლებია. ეს შესატყვისობა გასდევს საკვლევ ენათა მთელ სისტემას და ყოველგვარ პოზიციში იჩენს თავს. თავად შესატყვისობის ფორმულა ასე გამოიხატება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	ლიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ა	ა	ჳ	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ი	ე	ა/ო	ო/ჳ

ამ შესატყვისობის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1. ხუნძ. ანწ- (<\*ნაწა)<sup>85</sup> ~ ანდ. ჰოწო-: ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: ტინდ.: კარ. ჰაწა-: ჭამ. აწა-: ახვ. აჭა ~ საკ. ლიდ. ოწი-: ჰინ. ოწე-: ხვარ. უწა- (ინხ. ოწო): ბეჟ. აწო- (ჰუნზ. ოწჳ) „ათი“.

2. ხუნძ. ბაწ (<\*ბაწა) ~ ანდ. ბოწო : ბოთლ.: ლოდ.: ჭამ. ბაწა : ახვ. ბაჭა ~ საკ. ლიდ. ბოწი : ჰინ. ბოწე : ხვარ. ბოწა (ინხ. ბოწო) : ბეჟ. ბაწო (ჰუნზ. ბოწჳ) „მგელი“.

3. ხუნძ. სანი, შანი, სონო,<sup>86</sup> სინი (დიალ. ვარ.) ~ ანდ. სონ: ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: კარ. სანი: ჭამ. სან: ახვ. შა-ნი ~ საკ. ლიდ. შინ : ჰინ. ზენუ : ხვარ. ზან (ინხ. ზონ): ბეჟ. სინო (<\*სონი) „კოწახური“.

4. ხუნძ. რაკ (<\*რაკჳ) ~ ანდ. როკჳო : ბოთლ. : ლოდ... რაკჳა ~ საკ. ლიდ. როკუ (<\*როკჳი):<sup>87</sup> ჰინ. როკ(ჳ)ე : ხვარ. ლოკჳა (ინხ. ლოკჳო) : ბეჟ. რაკო (ჰუნზ. როკუ<\*როკო<\*როკჳ)<sup>88</sup> „გული“.

ზემოაღნიშნული შესატყვისობა ხშირად ირღვევა კომბინატორული ფონეტიკური პროცესის ჩარევის შედეგად. კერძოდ, ზოგ მაგალითში ანდ. ო-ს შესატყვისად ხუნძურში ე/ო ხმოვნებს ვპოვებთ. ამგვარ შემთხვევებში, როგორც გარკვეულია, ისტორიული \*ა დაცულია „ირიბ ბრუნვათა“ ფუძესა და მრავლობთ რიცხვში [ცერცვაძე 1965 : 30]. \*ა>ო/ე ბეგრატცვლილების ნამდვილი მიზეზი ხშირად დაჩრდილულია და

<sup>85</sup> შდრ. გუდავა 1980 : 209.

<sup>86</sup> ხუნძ. ა > ო პროცესი რეალიზებულია ინტერკონსონანტურ პოზიციასში, თუმცა უმასხვილო ხმოვანს მოუდის. შემდეგ კი აუსლაუტში ასიმილაციით მასხვილიანი ი > ო [შდრ. გუდავა 1980 : 202]. რაც შეეხება სინი ფორმას, იგი აუსლაუტის მასხვილიანი ხმოვ-ნით გამოწვეული ასიმილაციის შედეგია: სან > სინი.

<sup>87</sup> იხ. იმნაიშვილი 1956 : 245.

<sup>88</sup> ასიმილაციით არის მიღებული [შდრ. ლომთაძე 1994 : 247].



სპონტანური ფონეტიკური პროცესის სტატუსი აქვს შეძენილი. ამგვარ ტრანსფორმაციას, როგორც წესი, უმასვილო ხმოვანი უნდა დამორჩილებოდა. საილუსტრაციო მაგალითები:

ხუნდ. ჭებტ < \*ჭატ (შდრ. ნათ. ჭოტ-ოლ < ჭატ-ო-ლ) ~ ანდ. ჭონნი: ბოთლ.: ბაგვ. ჭანტ : ლოდ.: ახვ. ჭანტი : ტინდ. ჭანდი ~ საკ. დიდ. ჭიქი : ჰინ. ჭიქი (< \*ჭექი) : ხვარ. ჭიქი < \*ჭაქი (ინხ. ჭიქე < \*ჭოქე) : ბეჟ.: წიქე (< \*წოქე)<sup>89</sup> „რწყილი“.

ხუნდ. ჰობო<sup>90</sup> (< \*ჰაბო, შდრ. ჰაბი-ჰან „მეწისქვილე“) ~ ანდ. იხობ : ბოთლ.: ჭამ. ხუბაბუ : ლოდ.: ტინდ.: ახვ. ხუბაბ ~ საკ. დიდ. აღ'ურ (< \*აღურ, შდრ. ასახ. აჰურ „id.“): ჰინ. ლემერ .: ხვარ. ლობოლ (ინხ. ლაბალ): ბეჟ. ჰა-ბო ~ (ჰუნზ. ჰობურ)<sup>91</sup> `წისქვილი“.

ხუნდ. ქექე (< \*ქაქა, შდრ. ნათ. ქოქ-ოლ < \*ქაქ-ოლ) ~ ანდ. ქოქა<sup>92</sup>: ბოთლ.: კარ.: ახვ. ქაქა : ლოდ.: ბაგვ.: ქაქა : ჭამ. ჩაჩა ~ საკ. დიდ. ქიქი : ხვარ. ქაქა (ინხ. ქოქო) „ძუძუ“.

ხუნდ. ცერ < \*ცარ (შდრ. ზაქ. შან „id.“ ნათ. ცარ-ა-ლ) ~ ანდ. სორი : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ. სარი : ჭამ. სა: ბაგვ. სარ : კარ. სარე : ახვ. შარი ~ საკ. დიდ. ზირუ : ჰინ. ზერუ : ხვარ. ზარუ (ინხ. ზორ) : ბეჟ. სორა (ჰუნზ. სა) „მელა“...

ამ რიგის ფონემათშესატყვისობათა დარღვევის შემთხვევები, რომლებსაც კომბინაციური ფონეტიკური მოვლენები აპირობებენ, უცხო არ არის ანდიურ და დიდურ ენათა სინამდვილისთვისაც, მაგ.:

ხუნდ. წარ ~ ანდ. წერ (< \*წარი): ბოთლ.: ჭამ.: კარ.: ახვ. წერი (< \*წარი): ბაგვ. წერ (< \*წარი)<sup>93</sup> ~ საკ. დიდ. ცი : ჰინ. ცე : ხვარ. ცა<sup>6</sup> (ინხ. ცო): ბეჟ. ცა<sup>6</sup> (ხაშ. ცარო, ჰუნზ. ცორუ)<sup>94</sup> „სახელი“.

<sup>89</sup> წინა მარცვლითი ხმოვნის ტრანსფორმაცია უკანამავალი ხმოვნის ასიმილაციით ჩანს გამოწვეული [შდრ. ლომთაძე 1998 : 226; 1956 : 87]. საკუთრივ ხვარშიული სათვის რეკონსტრუირებული ფორმა (\*ჭაქი) უნდა იყოს შეთვისებული ქართული ენის მთის დიალექტებში (შდრ. ხევს. ჭავი) იმ დროს, როცა ა > ი ჯერ კიდევ არ იყო რეალიზებული [არლოტელი 1997 : 102].

<sup>90</sup> ჰობო მიღებული უნდა იყოს ასიმილაციით [ცერცვაძე 1958 : 255]. ტინდიური ენის აქნადურ კილოკავში აუსლაუტის ო > უ, მაგრამ წინამავალი ა არ იცვალა [გულავა 1953 : 366]. შენიშნულია, რომ ხუნძურში ბაგისმიერ ხმოვანთა მეზობლად ა > ო [ბოკარევი 1981 : 35].

<sup>91</sup> უცნაურობას ამჟღავნებენ ბეჟიტურში თავჩენილი ფორმები, რომლებიც ა:ო შესატყვისობის წევრებს ეტოლებიან [ლომთაძე 1994 : 253].

<sup>92</sup> რედუპლიცირებული ანდ. ქოქა სიტყვის აუსლაუტში გაუგებარია, რატომ არ მოხდა ა>ო? სავარაუდოა, უმასვილო ა > ო, ხოლო მასვილიანი ა შენარჩუნდა.

<sup>93</sup> ილ. ცერცვაძე ა > ი გარდაქმნას ი-ს რედუპციით ხსნის [ცერცვაძე 1959 : 221], რაც, ჩანს, მასიმილირებულ გავლენასაც გულისხმობს.

<sup>94</sup> ბეჟიტური ენა თავისებურებას ავლენს [ლომთაძე 1994 : 256], ხოლო საკ. დიდურში ი < ე, შესატყვისობის ფორმულიდან

ხუნდ. ნისო < ნისა (შდრ. მრ. ნისა-ბი) ~ ანდ. ისო : ბოთლ.: ჭამ. ი<sup>ნ</sup>სა : ლოდ.: ტინდ. ინსა : ბაგვ. მესა : ახვ. იმა ~ საკ. დიდ. იზუ : ჰინ. იჟუ : ბეჟ. ო<sup>ნ</sup>ზო < \*ნოზო (ჰუნზ. ჰჟუ)<sup>95</sup> „მოხდელი ყველი“.

ხუნდ. ცო (<\*ცა, შდრ. ცა-და-ვ „ერთად“) ~ ანდ. ცებ (<\*ცაბ), სები (<\*საბი): ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: კარ. ცებ (<\*ცაბ): ახვ. ჩებე (<\*ჩაბე) ~ საკ. დიდ. სის : ჰინ. ჰეს : ხვარ. ჰას (ინხ. ჰოს): ჰეჟ. ჰონ<sup>ს</sup> (ჰუნზ. ჰჰ<sup>ს</sup>) „ერთი“.

ხუნდ. წან ~ ანდ.წონ<sup>ს</sup> (რიკვ.) (<წონ, შდრ. ლალ. წონ): ბოთლ.: ბაგვ.: კარ. წან<sup>ი</sup> (<\*წანი, შდრ. ახვ. წანი) ~ საკ. დიდ. ციფო (<\*ციფი<\*ციფნი) : ჰინ. ჩიფო (<\*ჩიფი<\*ჩიფნი) : ხვარ. ცი<sup>ფ</sup>ო (<\*ციფი<\* <\*ციფნი) : ბეჟ. ცა<sup>ფ</sup> <\*ცან (ჰუნზ. ცრ) „მარილი“.

ანდ. ჰეკა (<\*ჰეკო)<sup>20</sup> : ბოთლ. : ლოდ. : ჭამ. : ტინდ. : ბაგვ. : კარ. ჰეკა : ახვ. ეკა ~ დიდ. ჟეკა (<ჟეკა) : ჰინ. რეკა : ხვარშ. ჟიკა (ინხ. ჰიკა) : ბეჟ. სუკო (ჰუნზ. სუკა) „კაცი“.

ხუნდ. შაზუ (ანდალ.), შაჟო (ბათლ.) ~ ანდ. : ბოთლ. : ლოდ. ანზი : ჭამ. : ტინდ. : ბაგვ. აზ : კარ. შანზი : ახვ. ანჟი ~ დიდ. ისი : ჰინ. იშე : ხვარშ. იშა (საკ. ხვარშ.), იშო (ინხ.) : ბეჟ. ოზ (საკ. ბეჟ.), ჰ<sup>ზ</sup> (ჰუნზ.) „თოვლი“...

როგორც წინა პარაგრაფებში გვაქვს გარკვეული, ორივე ზემოწარმოდგენილი შესატყვისობისათვის საერთო ამოსავალს ა წარმოადგენს. სხვაობა მათ შორის შეპირობებულია იმით, რომ პირველ, ნაკლებად სახეცვლილ შემთხვევაში ამოსავალია მახვილიანი ა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – უმახვილო ა. რაც შეეხება სხვა რიგის ტრანსფორმაციებს, აქ, როგორც წესი, ბევრათა კოარტიკულაციით გამოწვეულ პოზიციურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე.

გარდა ისტორიული \*ა-ს ზემოგანხილული შემთხვევებისა, დასტურდება ფონემათიგივეობით წარმოდგენილი სხვა რიგის მაგალითები, რომელთა სტრუქტურაში ა-ს ამგვარი სტაბილურობის მიზეზი

---

გამომდინარე, მართებული არ უნდა იყოს [შდრ. იმნაიშვილი 1963 : 41].

<sup>95</sup> ეს მაგალითი გამორჩეულია იმით, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში აუსლაუტის ხმოვანი გვიჩვენებს კანონზომიერ შესატყვისობას, ხოლო დილოურში – ისტორიული ინტერკონსონანტური ხმოვანი. უნდა ვიფიქროთ, რომ საწყის საფეხურზე კანონზომიერი მიმართება ორივე ხმოვანს ახასიათებდა – ა-ს გადასვლა ე/ი ხმოვნებში კომბინაციური ფონეტიკური პროცესების ჩარევით ჩანს შეპირობებული.

<sup>20</sup> თუ ო>ა უკუპროცესი არ განხორციელებულა, ეს მაგალითი საინტერესო იქნება უცვლელი ა-ს მიმართების თვალსაზრისით დილოურ ენათა მონაცემებთან.

სპეციალურ ლიტერატურაში აუხსნელია [ცერცვაძე 1958 : 253; ლომთაძე 1978 : 256...]<sup>96</sup>. მართალია, არსებობს ამოსავალი \*ა-ს ორი სახეობის დაშვების ცდა [ბოკარევი 1961 : 79-80; 1981 : 35; ნიკოლაევი 1978], მაგრამ ამგვარი ასხნა ბოლომდე თანამიმდევრული არ ჩანს.

ილენტურხმონიანი ფონემათშესატყვისობის საილუსტრაციო მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ:

1. ხუნძ. შანსი „თოვლის ნამქერი“ ~ ანდ. ასორ : ბოთლ. : ლოდ. : ჭამ. : ტინდ. : ბავგ. : კარ. ასა : ახვ. აშა ~ ლიდ. აზ-ტა : ბეჟ. აზო (ჰუნზ. აზა) „ჭირხლი“.

2. ხუნძ. რაჟი ~ ანდ. : ბოთლ. : ლოდ. : ტინდ. რაჟი ~ საკ. ლიდ. : ხვარშ. რაჟი.<sup>97</sup> : ბეჟ. ნაჟი (საკ. ბეჟ.), ნიჟი < \*ნაჟი (ჰუნზ.) „ნიორი“.

3. ხუნძ. შადალ- (შდრ. ბაცბ. ჰად „id.“) ~ ანდ. ჰონუ<sup>98</sup> : ბოთლ. : ლოდ. : ჭამ. : ტინდ. ჰანი : ბავგ. ჰან : კარ. ჰანე ახვ. ჰანდე ~ ლიდ. : ჰინ. ათა : ხვარშ. ანთა : ბეჟ. ანდე (ჰუნზ. ანდე) „ტვინი“.

4. ხუნძ. რატა „ცხოველის წინა ფეხი“ ~ ანდ. : კარ. : ახვ. რეტა : ბოთლ. რეტა : ლოდ. ლელა : ჭამ. დელა ~ საკ. ლიდ. რეტა : ხვარ. ლეტა (საკ. ხვარ.), ლიტა (ინხ.), ბეჟ. დიტა, ჰუნზ. რეტა („სახელო“) „ხელის მტევანი“.

5. ანდ. : ბოთლ. : ახვ. ტუქა : ლოდ. : ტინდ. ტუქა : კარ. ტუქა ~ საკ. ლიდ. : ჰინ. : ხვარ. ტექა : ჰუნზ. ტიგა „ვატი“.

6. ხუნძ. ლელო < \*ლუადი (შდრ. ნათ. ლად-ი-ლ) ~ ანდ. ლანი (< \*ლუანი) : ბოთლ. : ლოდ. : ტინდ. ლანი (< \*ლუანი) : ჭამ. ლან (< \*ლუან) : ბავგ. ლანდე (< \*ლუანდე) : კარ. ლანდე (< \*ლუანდე) : ახვ. ლანდი (< \*ლუანდი) ~ საკ. ლიდ. ლუადი : ჰინ. ლუადე : ხვარ. ლადა < \*ლუადე (საკ. ხვარ.), ლანდე < \*ლუანდე (ინხ.) : ბეჟ. ლანდე < \*ლუადე (საკ. ბეჟ.), ლანდე < ლუანდე (ჰუნზ.) „ყვავი“.

7. ხუნძ. წაჟა ~ ანდ. წაჟ : ბოთლ. : ჭამ. : კარ. წაჟ : ტინდ. ცაჟა : ბავგ. წაჟა : ახვ. წაჟი ~ საკ. ლიდ. : ჰინ. ცა : ხვარ. ცა (საკ. ხვარ.), ცა<sup>9</sup> (ინხ.) : ბეჟ. ცა<sup>9</sup> (საკ. ბეჟ.), ცა (ჰუნზ.) „ვარსკვლავი“.

---

<sup>96</sup> მართალია, აფსოლუტური ბერათიგიეობის დროს ნასესხობათა გამორიცხვა სეუძლებელია [ბურჭულაძე 2000 : 241], მაგრამ შერეულ (ილენტურ და არაილენტურ) ფონემათშესატყვისობათა პირობებში და თანაც მრავალ მაგალითში ხელშესახებად თავჩენილი ფონემათმომართების უგულებელყოფა პრობლემისათვის გვერდის ავლას ნიშნავს [ცერცვაძე 1965 : 32].

<sup>97</sup> შეიძლება საკუთრივ დილოურში ეს სახელი ნასესხობაც იყოს, თუმცა ბეჟიტური ფორმა ამის თქმის საფუძველს ნაკლებად იძლევა.

<sup>98</sup> მართალია, ანდიური ენა ა : ო შესატყვისობას ეკედლება, მაგრამ დილოური ენები ფონემათიგიეობით არიან წარმოდგენილი, რაც მეტად საყურადღებოა ამ შესატყვისობათა გაიგივებისათვის.

8. ხუნდ. კაარა ~ ანდ. : კარ. : ახვ. კაარა : ლოდ. კაარა : ჭამ. წაარა : ბავვ. ჭაარა ~ ბეჟ. ქელო (<\*ქალო) „კოლო“...

დასტურდება ერთი წყება მაგალითებისა, რომლებიც, მართალია, ამ შესატყვისობას მისდევენ, მაგრამ ზოგ საანალიზო ენაში მისგან გადახრას გვიჩვენებენ, მაგ.:

ხუნდ. ბატი-უ-ლ ~ ანდ. ბატი-უ : ბითლ. : ლოდ. ბატი-უ : კარ. ბატი „შუაში“ ~ საკ. ლიდ. : ჰინ. როლ'ო : ხვარ. ლოლ'ა : ბეჟ. როლი<sup>99</sup> „ნახევარი“, „შუა“.

ხუნდ. წე ( <\*წან ) ~ ანდ. წაიდა : ბოთლ. წინალი : ჭამ. წინალ' : ტინდ. ცენალ'<sup>100</sup> : ახვ. წონოლი ~ ლიდ. ჩანიდა : ჰინ. : ხვარშ. : ბეჟ. ცან „თხა“.

ხუნდ. წაგ ~ ანდ. ხოგი (ლალ. ჰაგი) : ბოთლ. წაგი : ლოდ. : ტინდ. ჩაგი : ჭამ. ჩად : ბავვ. ხად : ახვ. შაგი ~ ლიდ. შაგ : ჰინ. : ხვარშ. შოგ : ბეჟ. შაგ (ჰუნზ.შოგ) „ქვაბი“...

ამ რიგის მაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საანალიზო ხმოვნის ცვლილებას მახვილთან კავშირი არ უნდა ჰქონოდა. ამოსავალი უმახვილო ა-ც (ხუნდ. შადალ- ~ ლიდ. : ჰინ. ათა : ხვარშ. ათა : ბეჟ. ანდ, ჰუნზ. ანდ „ტვინი“) შეიძლება უცვლელი დარჩეს. კერძოდ, მახვილიანი და უმახვილო ა ერთნაირად შეცვლილა, მაგ.: მახვილიანი ა: ხუნდ. რატა „ცხოველის წინა ფეხი“, ხუნდ. ღადო (<\*ღადი) „ყვავი“...; უმახვილო ა: შანს „თოვლის ნამქერი“, რაჟრ „ნიორი“ და მისთ.

ისმის კითხვა: რით უნდა იყოს შეპირობებული საკუთრივ ანდიურსა და დილოურ ენებში შანსი („თოვლის ნამქერი“) ტიპის მაგალითების ამოსავალი ა-ს უცვლელობა?

ამ მაგალითებიდან ზოგი ნასესხობა ჩანს („ნიორი“, „ყვავი“), ზოგიც – ხმაბაძვითი სახელი („ყვავი“<sup>101</sup>), რომლებშიც ისტორიული ა შეიძლება თავისებურად რეალიზდებოდეს და გადახრას გვიჩვენებდეს

<sup>99</sup> მართალია, ანდიური ენა ა : ა შესატყვისობას ეკედლება, მაგრამ დილოური ენები ფონემათივიკებით არიან წარმოდგენილი, რაც მეტად თავისებურ გამოვლინებასთან გვაქვს საქმე. უნდა ვივარაუდოთ, რომ დილოურ ენებში (განსაკუთრებით, ბეჟიტურში) ა > ო გვიანდელი პროცესია. ა>ო პროცესი არც ხუნძურისთვის არის უცხო: სანი > სონო „კოწახური“...

<sup>100</sup> ანდიურ ენათა მონაცემები ა-ს ნაცვლად ი, ე, ო ხმოვნებს გვიჩვენებენ, რაც არაკანონზომიერია და კომბინატორული პროცესის ჩარევის შედეგი ჩანს.

<sup>101</sup> „ყვავის“ აღმნიშვნელ სახელში შეიძლება ე იყოს ამოსავალი [იხ. ცერცვაძე 1980 : 230].

ფონემათშესატყვისობათა კანონზომიერებიდან<sup>102</sup>. მიუხედავად ამისა, გვრჩება მაგალითები, რომლებშიც ამოსავალი ა-ს უცვლელი სათანადო ასსნას ითხოვს. აღსანიშნავია, რომ ამგვარ მაგალითებში ა>ა ფონემათიგივეობა უპირატესად S-C პოზიციაში გვხვდება, თუმცა მარტოდენ ფონოლოგიური პოზიციით ეს ვერ აიხსნება. მასთან, არაიშვიათად ა>ო ბგერათცვლილება, თავად ანდიური ენის დიალექტ-თქმათა მიხედვით, რყევას განიცდის, მაგ.: ხუნდ. ხ აგ ~ ანდ. ხოგი (ლალ. ჰაგი) „ქვაბი“...

ვფიქრობთ, რომ ა>ა შესატყვისობა წყვილბაგისმიერი ჟ სონანტის მომდევნო პოზიციაში ჩანს რეალიზებული. ამ მოსაზრების საფუძვლიანობას განამტკიცებს ის გარემოება, რომ , ჟ სონანტისა და ო ბაგისმიერი ხმოვნის კოარტიკულაციიდან გამომდინარე, ა>ო სპონტანური პროცესი ნაკლებად განხორციელდებოდა. რჩება ზოგი მაგალითი, რომელთაც დამატებითი ანალიზი სჭირდება.

სიმპტომატურია, რომ ზოგჯერ ხუნდ. ა : ანდ. ო შესატყვისობა ფონემათიგივეობით არის წარმოდგენილი, თუმცა დილოურ ენებში სათანადო კანონზომიერი რეფლექსები მოგვეპოვება, მაგ.: ხუნდ. ბატო-უ-ლ' ~ ანდ. ბატო-უ : ბითლ.: ლოდ. ბატო-უ : კარ. ბატოი „შუაში“ ~ საკ. დიდ.: ჰინ. როლ'ო : ხვარ. ლოლ'ა : ბეჟ. როლი<sup>103</sup> „ნახევარი“, „შუა“; ხუნდ. ~ ანდ. წა : ბითლ. : ჭამ. : ბაგვ. : კარ. წად : ლოდ. წადი : ტინდ. წა : ახვ. ჭარი ~ დიდ. წი : ჰინ. ჭე : ხვარშ. წა (საკ. ხვარშ.), წო (ინს.) : ბეჟ. წო (საკ. ბეჟ.), წა (ჰუნშ.) „ცეცხლი“...

ზემოწარმოდგენილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ ხუნდ. ა : ანდ. ო ფონემათიგივეობა ფაქტია მაშინ, როცა ს.-ხუნდ.-ანდ. ა : ს.-დიდ. ა დილოურ ენათა მიხედვით დიფერენცირებულია: ა) ხუნდ. ა : ს.-ანდ. ა : დიდ. : ჰინ. : ხვარშ. ო : ბეჟ. ა: ბ) ხუნდ. ა : ს.-ანდ. ა : დიდ. ო : ჰინ. ე : ხვარშ. ა/ო : ბეჟ. ო/ა.

დილოურ ენათა მონაცემების სხვადასხვაობა, როგორც ირკვევა, მეორეულია და ა-ს არაერთგვაროვანი რეფლექსაცია ამ ენათა ქრონოლოგიურ დონეზე განხორციელებული პროცესების შედეგი ჩანს. სხვა მონათესავე ენათა მონაცემებთან შედარება ნათელყოფს, რომ ამ შესატყვისობის რეფლექსები მიახლოებით ერთნაირია. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამოსავალი ა-ს რეფლექსთა ნაირგვარობა ხუნდურ-ანდიურ-დილოურ ენათა სინამდვილეში მომხდარი სპონტანური (resp. კომბინატორული) ფონეტიკური პროცესებით უნდა იყოს შეპირობებული.

<sup>102</sup> ყურადღებას იქცევს სპარსულიდან შეთვისებული ჰაზარ „1000“, რომელიც ანდიურ ენაში კანონზომიერ შესატყვისობას (ოზირუ) გვიჩვენებს. ეს ნასესხობა, ზოგადად არსებული წესით, ხუნდურ-ანდიურ ენათა ერთიანობის დროინდელი უნდა იყოს, თუმცა შემდგომად შეიძლება განვითარებულიყო არსებული ბგერათცვლილების ინერციით.

<sup>103</sup> მართალია, ანდიური ენა ა : ო შესატყვისობას ეკვლება, მაგრამ დილოური ენები ფონემათიგივეობით არიან წარმოდგენილი, რაც მეტად თავისებურ გამოვლინებასთან გვაქვს საქმე. უნდა ვივარაუდოთ, რომ დილოურ ენებში (განსაკუთრებით, ბეჟიტურში) ა > ო გვიანდელი პროცესია.

### 2. 1. 3. \*ე ხმოვნის შესატყვისობანი

სპეციალურ ლიტერატურაში ე : ი შესატყვისობისა და მის შემადგენელ კომპონენტთა შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ე. ლომთაძის თეორიის მიხედვით, პირველი რიგის ი : ე შესატყვისობა მისი შებრუნებული ე : ი შესატყვისობის ორგანული ნაწილი და თანამოზიარეა [ლომთაძე 1994 : 285-286]. ე. ბოკარევი ამ საკითხზე მსჯელობისას მერყეობს და ამოსავალ ოდენობად წინა წარმოების ერთ-ერთ (ი resp. ე) ხმოვანს ვარაუდობს. იგი, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა სათანადო მონაცემების სიჭრელიდან გამომდინარე, ამ პრობლემური შესატყვისობის საკითხს ღიად ტოვებს [ბოკარევი 1959 : 254-255]. დ. იმნაიშვილი ორივე (ი : ე, ე : ი) შესატყვისობის საერთო საგარეულო ამოსავლად ე ხმოვნის რეკონსტრუქციას ახდენს [იმნაიშვილი 1963 : 41].

ჩვენი მოსაზრებით, ე:ი შესატყვისობისათვის ხუნძურ-ანდიურ-დილოური ფუძეების ქრონოლოგიურ ღონეზე რეკონსტრუირდება უკანა წარმოების, საშუალო აწეულობის ე, ხოლო ი:ე შესატყვისობისათვის—ამავე ლოკალური რიგის, მაღალი აწეულობის ი (ინ. პროცესები 2. 3.).

ისტორიული \*ე ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში ღიდ რყევას განიცდის და სხვადასხვაგვარი რეფლექსებით არის წარმოდგენილი. გარდა პალატალიზაციის საფუძველზე ი-დ ტრანსფორმაციისა, იგი ველარიზაციასაც განიცდის და ზოგ ენაში გარდაიქმნება ა, ო, უ სახესხვაობებად, რომლებიც ჩვეულებრივ კომბინაციური ფონეტიკური პროცესების შედეგად არის წარმოქმნილი. თვალშისაცემია განსაკუთრებით ე:ი ურთიერთმონაცვლეობა, რომელიც ენათა მიხედვით არაკანონზომიერად იცვლება.

დასტურდება ერთი წყება მაგალითებისა, რომლებშიც ამოსავალი \*ე ხუნძურსა და ანდიურ ენებში ა, ო, უ სახესხვაობებით (ხუნძ. \*ე>ო, ანდ. \*ე>ი) გვევლინება. საანალიზო შესატყვისობის რეფლექსთა ამგვარი ვარიაციულობა, როგორც წესი, კომბინაციური ფონეტიკური პროცესების საფუძველზე არის მიღებული, რაც რეალიზებულია ქვემოწარმოდგენილი ლექსემათა („გველი“, „ენა“, „4“, „სვარცხელი“...) სტრუქტურაში.

რაც შეეხება დილოურ ენებს, ძირეული ე მონაცვლეობს (ხვარშ. ინხ. ღიად., ბეჟ.) ამავე რიგის, მაღალი აწეულობის ი-სთან, რაც მკაცრად არის კანონიზებული.

შესატყვისობის ფორმულა, რომლის საფუძველზედაც ხდება \*ე ხმოვნის რეკონსტრუქცია, ასე გამოიყურება:

*	სუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავ.	კარ.	ახვ.	ლდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ე	ა	ე/ი	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე/ი	ე/ი

საილუსტრაციო მაგალითები:

1. სუნდ. რატა (\* <რეტა-ასიმილაციით) „ცხოველის წინა ფეხი“ ~ ანდ. : კარ.: ახვ. რეტა : ბოთლ. რეტა : ლოდ. ლელა : ჭამ. დელა ~ საკ. ლდ. რეტა : ხვარშ. ლეტა (საკ. ხვარშ.), ლიტა (ინხ.), ბეჟ. დიტა, ჰუნზ. რეტა („სახელო“) „ხელის მტევანი“.

2. სუნდ. ბეტაჟ ~ ბოთლ. ბოტაჟ <\*ბეტაჟ (შდრ. ტინდ. : ბავ. ბეტაჟ) : კარ. ბეტაჟ : ახვ. ბეტაჟაბე ~ ჰინ. ბეტაჟ : ხვარშ. ბეტაჟ : ბეჟ. ბოტაჟო (<\*ბეტაჟო-ასიმილაციით) „ბრძა“.

3. მაწა (<\*მეწა) ~ ანდ. : ბოთლ. : ლოდ. : ახვ. მიწა <\*მეწა (ასიმილაციით) : ლოდ. : ტინდ. მიტა : ჭამ. მიწი ~ ლდ. : ჰინ. : ხვარშ. მეც (საკ. ხვარშ.) : მიც (ინხ.) : ბეჟ. მიც (ჰუნზ. მეც) „ენა“.

4. ანდ. ბეხელა : ჭამ. ბეხილაბ : ბავ. : კარ. ბეხელაბ : ახვ. ბეხადაბე ~ ლდ. ბეხორა : ჰინ. ბოხორე (<\*ბეხორე-ასიმილაციით) : ხვარშ. ეხოლა : ბეჟ. ბიხალო „გრძელი“.

5. სუნდ. წელეკუ ~ ანდ. წეკირ : ბოთლ. : ლოდ. წეკირ : ჭამ. წეჭი : ტინდ. ცეკერ : ბავ. წეკერ : კარ. წეკერ : ახვ. ჭეკე ~ ლდ. ცეკი : ჰინ. ცეკე : ხვარშ. ჩიკი (ინხ. ჩიკე) : ბეჟ. ჩიკე/ჩიკე „თიკანი“.

6. ანდ. ჰეკა : ბოთლ. : ლოდ. : ჭამ. : ტინდ. : ბავ. : კარ. ჰეკაჟა : ახვ. ეკაჟა : ლდ. ჟეკუ : ჰინ. რეკაჟე : ხვარშ. ჰიკაჟა : ბეჟ. სუკო „კაცი“.

7. ანდ. : ბოთლ. ბეჟუნ : ახვ. მეჟუ ~ ლდ. მეშ : ბეჟ. მჟშ „ცოცხი“...

საკვლეკ ენებში დასტურდება ზემოთ გაანალიზებული შესატყვისობის რეინტერპრეტირებული სახესხვაობა, რომლის საილუსტრაციო მაგალითებში ამოსავალი \*ე წარმოდგენილია ზუსტი დისტრიბუციის გარეშე და ანდიურ ენათა ერთ წყებაში (ანდ., ჭამ., ავგ., კარ...) ხშირად მონაცვლეობს იმავე რიგის ი ხმოვანთან. გარდა ამ სახეცვლილებისა, იგი ხუნძურსა და ზოგ ანდიურ ენაში ა, ო, უ ხმოვნების სახითაც გვხვდება, მაგ.: სუნდ. ლუნ (შდრ. ანდ. დენ/დინ) „მე“, სუნდ. ბოროზ (\* <ბეროზ-ასიმილაციით) „გველი“, სიბილ (\* <სებილ-ასიმილაციით) : ანდ. : ლოდ. : ბავ. ისიბ (\* <ისებ-ასიმილაციით) „გვერდი“, „ნეკნი“ და ა. შ.

მაშასადამე, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ხუნძურ-ანდიურ ენათა სინამდვილეში ამგვარი ფონემური სახესხვაობები და დარღვევები შესადარებელ ენობრივ ეკვივალენტებში კომბინაციური ფონეტიკური პროცესების საფუძველზე არის წარმოქმნილი.

რაც შეეხება \*ე-ს შესატყვისებს ღილოურ ენებში, აქ ამ ხმოვნის რეფლექსაცია შედარებით ნათლად და ერთგვაროვნად არის წარმოდგენილი: საკ. ღილ. : ჰინ. ი : ხვარშ. ე/ი : ბეჟ. ე.

ზემომოყვანილი ზოგადი მიმოხილვის საფუძველზე, საბოლოოდ ძირეული \*ე-ს შესატყვისობის ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ე	ე	ე/ი	ე/ი	ე/ი	ე/ი	ე/ი	ე/ი	ე/ი	ე/ი	ი	ი	ე/ი	ე

საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

ხუნდ. ნიბილ (<\*ნებილ) ~ ანდ. : ღოდ. : ბაგვ. ისიბ<\*ისებ (ასიმილაციით) : ჭამ. ესიბ(<\*ესებ) : ტინდ. ესება : კარ. ესებო : ახვ. ეშებ ~ ღიდ. : ჰინ. ჟიბრა : ხვარშ. ეშბლა : ბეჟ. შებლო (ჰუნზ. შებლე) „გვერდი“, „ნეკნი“.

ხუნდ. ყელ ~ ანდ. ყენ : ბოთლ. ყინდა : ჭამ. ყუნნა : ტინდ. ყენა : კარ. ყინი (<\*ყენი, შდრ. რაჩ. ყენი) : ახვ. ყენდა ~ ღიდ. ვილო : ჰინ. ვეშუ : ხვარშ. ვოდ <\*ვუედ (შდრ. ხვან. ვუოდ) „კედელი“.

ხუნდ. შერ ~ ანდ. იჩნი : ბოთლ. იჩნა : ღოდ. იჩუ : ჭამ. ეშ : ტინ. ეჩი : ბაგვ. შერ : კარ. : ახვ. შერე ~ ღიდ. ჰენშე (<\*ჰენიშე) : ჰინ. იში : ხვარ. ჰიონშე (ინზ. ე<sup>ნ</sup>შ, ი<sup>ნ</sup>შ) : ბეჟ. ე<sup>ნ</sup>შ „ვაშლი“.

ხუნდ. ბოროზ (<\*ბოროჟა <\*ბეროჟა) ~ ანდ. ბერჩა : ბოთლ. : ღოდ. : კარ. ბერჟა : ტინ. : ბაგვ. ბეჟა (<\*ბერჟა) : ჭამ. ბერჩა : ახვ. ბეჟა ~ საკ. ღიდ. ბიქორი : ჰინ. ბუქორე (<\*ბიქორე) : ხვარ. ბეროლა (ინზ. ბექელ) : ბეჟ. ბექელა (ჰუნზ. ბეგალა) „გველი“.

ხუნდ. ბესაიზე ~ ანდ. ბეშაღუ : ბესაღლუ : ჭამ. ისაილა (<\*ესაილა-ასიმილაციით) : კარ. ქერშაა<sup>ლ</sup>ა ~ ღიდ. რიშა : ხვარშ. ნეშა : ბეჟ. ბესალ „ქსოვა“.

ხუნდ. ბერე ~ ღიდ. : ჰინ. მეში : ხვარშ. მიში (ინზ. მიშე) : ბეჟ. ბიშე „ბბო“...

გარდა ზემოწარმოდგენილი არგუმენტებისა, აღსანიშნავია, რომ ე ფართოდ გავრცელებული ფონემაა საკვლევ ენებში. იგი დასტურდება როგორც ძირეულ მასალაში, ისე მორფოლოგიურ ინვენტარში – აფიქსთა შედგენილობაში, რაც მის მკვიდრ პოზიციაზე მიგვანიშნებს. მისი ფონეტიკურად არამდგრადი ბუნება შეპირობებული ჩანს მისივე ნიშან-თვისებებითაც და ფონოლოგიური გარემოცვითაც, რაც იწვევს სხვადასხვაგვარ ტრანსფორმაციას. ირკვევა, რომ თავისუფალი დისტრიბუციის მქონე ე, რომელსაც საკვლევ



ენათა ფონოლოგიურ სისტემაში საკმაოდ მყარი ადგილი უჭირავს, ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო ხუნძურ-ანდიურ-დილოური ფუძეენისთვის.

#### 2. 1. 4. \*ი სმოვნის შესატყვისობანი

ფუძეენისეული ი-ს ევოლუციისა და სპონტანური ფონეტიკური გარდაქმნების შესახებ დაწვრილებითი ანალიზი მოცემული გვაქვს წინა პარაგრაფში, ფონეტიკურ ცვლილებებზე მსჯელობისას. ამჯერად გაკვრით შევეხებით ამოსავალი \*ი-ს ტრანსფორმაციას საკვლევ ენებში. კერძოდ, \*ი-ს რეფლექსაცია ხუნძურ-ანდიურ ენებში არაერთგვაროვანია, ვინაიდან, ცალკეული გარდაქმნებიც (ხუნძ. ი>ა, ხვარშ. ი>ო...) რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ანდიურ ენათა ერთ წყებაში იგი ძალიან ხშირად მონაცვლეობს არტიკულაციური ნიშან-თვისებებით მის ახლომდგომ ე-სთან. ირკვევა, რომ ამოსავალი \*ი ამჟღავნებს გაფართოების ტენდენციას ისევე, როგორც ისტორიული ე ავლენს დავიწროების მიდრეკილებას. დავიწროება-გაფართოების პროცესები ურთიერთგადაჯაჭვულია და სავარაუდოდ მათი რელატიური ქრონოლოგია – განსხვავებული.

ამოსავალი \*ა დილოურ ენათა სინამდვილეშიც თვალსაჩინოდ არის შეცვლილი, თუმცა ბეჟიტურ ენასა და ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში არქეტიპები დაცულია. დილოურ ენათაგან გარდამავალ რგოლად გვევლინება საკუთრივ ხვარშიული დიალექტის თქმებში, რომელშიც ამჟამად ორივე ფონემა (ამოსავალიც და მეორეულიც) თანაარსებობს.

\*ი-ს შესატყვისობის ფორმულა ასე გამოიხატება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავშ.	კარ.	ახვ.	დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ი	ი	ი/ე	ი/ე	ი/ე	ი/ე	ი/ე	ი/ე	ი/ე	ი/ე	ე	ე	ი/ე	ი

საილუსტრაციო მასალა:

1. ხუნძ. ლბინ/-მ ~ ანდ. ლბენ : ბოთლ.: ლოდ.:ახვ. ლბენი : ჭამ. ლბინ, ლბინ : ტინდ. ლბენე : ბავშ. ლბინ : კარ. ლბინ ~ დიდ. ლბი : ჰინ. ლბე : ხვარშ. ლა (საკ. ხვარშ.), ლო (ინხ.) : ბეჟ. ლბი (საკ. ბეჟ.), ლბ<sup>5</sup> (ჰუნხ.)

„წყალი“.

2. ხუნდ. ინა („შენაკალი“) ~ ანდ. ინხი : ბოთლ. : ლოდ. ინხი : ბაგვ. ინა : კარ. ენჰე : ახვ. ინჰე (სამხრ. ერხა) „ნაკალი“, „რუ“ ~ საკ. ლიდ. იპ>უ : ჰინ. იხუ : ხვარ. ინჰუ (ინხ. ენჰუ) : ბეჟ. ენჰუ (ჰუნზ. ენჰუ)<sup>104</sup> „მდინარე“.

3. ხუნდ. იცა ~ ანდ. : ბოთლ. ინცაი : ჭამ. ინცჷ : ტინდ. ჰინცაი : ბაგვ. ინსა : კარ. ინცაე : ახვ. იცაი ~ ბეჟ. სილო „წყარო“, „ჭა“.

4. ხუნდ. ცაიმ ~ ანდ. საიმ : ბოთლ. : ლოდ. : ტინდ. : ახვ. საიმი : ჭამ. : ბაგვ. საიმ ~ საკ. ლიდ. სემი : ჰინ. სემე : ხვარ. სემი (ინხ. სიმე) : ბეჟ. სიმო (ჰუნზ. სიმ) „ნალველა“ > „ბრაზი“.

5. ხუნდ. ჰებუ (<\*ჰიბუ, შდრ. ჭადაქ. ჰიბურ) ~ ანდ. : ტინდ. ჰიმიუ : ჭამ. : ახვ. ჰიმი ~ საკ. ლიდ. : ჰინ. ემუ : ხვარ. ემიუ (ინხ. ემიუ) : ბეჟ. ემიო (<\*ციმიო)<sup>105</sup> „საღვისი“.

6. ხუნდ. მიტი- ~ ანდ. ბეტი, რიკ. ბიტიტიგუ, ბეტიტიგუ : ბოთლ. : ლოდ. : ბაგვ. : ტინდ. : კარ. : ახვ. ბიტი-<sup>106</sup> ~ საკ. ლიდ. ბილ' - (<ბელ' -): ჰინ. ბელ' -: ხვარ. ბალ' (ინხ. ბალ') : ბეჟ. ბელ' - (ჰუნზ. ბელ' -) „რვა“.

7. ხუნდ. ცი ~ ანდ. სედი : ბოთლ. : ბაგვ. : კარ. სი<sup>ნ</sup> : ლოდ. სიპი<sup>ნ</sup> : ჭამ. სეპი<sup>ნ</sup> <სიპი (შდრ. ჰიპ, სინი) : თინდ. სი<sup>ნ</sup> : ახვ. შინ ~ ლიდ. ზედი : ჰინ. : ხვარშ. ზე : ბეჟ. სი<sup>ნ</sup> (ჰუნზ. სე) „ლათვი“.

8. ხუნდ. ნილ' ~ ანდ. ილ'ი-ლ : ბოთლ. ილ'ე : ჭამ. : კარ. : ახვ. ილ'ი ~ ლიდ. : ჰინ. ელი : ხვარშ. ილა (ინხ. ილო) : ბეჟ. ილე „ჩვენ“.

9. ხუნდ. მიჭა ~ ანდ. : კარ. : ახვ. მიჭა : ლოდ. ტინდ. მიჩა : ბაგვ. მიჭა : ჭამ. მიწაჷ ~ ლიდ. : ჰინ. მეჩა : ხვარშ. მიჩ : ბეჟ. მიც, მიჩ „ჭინჭარი“.

10. ხუნდ. ნისო ~ ანდ. ისო : ბოთლ. ინსა : ლოდ. : ტინდ. ინსა : ჭამ. : ბაგვ. ისა : კარ. ესუ : ახვ. იშა ~ ლიდ. იშუ : ჰინ. იჟუ : ბეჟ. იშო (ჰუნზ. ენჰუ) „ხაჭო“, „მოხდელი ყველი“, „ყველი“.

11. ანდ. სიბირუ : ბოთლ. ცაიბარუ : ჭამ. ცაიბ : ტინდ. ცაიბარა : კარ. ცაიბერო : ახვ. ცაიბერა ~ ლიდ. სეპი ჰინ. სემე : ხვარშ. სემი (ინხ. სიმე) : ბეჟ. სიბორუა (ჰუნზ. სემარ) „შემოდგომა“.

12. ანდ. : ბოთლ. : ლოდ. : ტინდ. : კარ. : ახვ. რიტი : ბაგვ. რიტი ~ ლიდ. რელ' : ხვარშ. ლილ' „ხორცი“.

13. ანდ. ნიჩო : ბოთლ. : ლოდ. : ტინდ. : კარ. : ახვ. ნიჩა ~ ლიდ. : ჰინ. ნეშუ : ხვარშ. ნიშე : ბეჟ. მიშუ „ნამგალი“.

<sup>104</sup> ამ სახელის შესახებ ვრცლად იხ. ბურჭულაძე 1991 : 21-26.

<sup>105</sup> იხ. ლომთაძე 1994 : 287.

<sup>106</sup> ე > ი აუსლაუტის ი-სთან ასიმილაციით [შდრ. გუდავა 1980 : 209].

14. ჭამ. : ბავ. : კარ. : აზვ. ტილი ~ დიდ. : ჰინ. ლ'ელი : ხვარშ. ლ'ილი (ინხ. ლ'ილე) : ბეჟ. ლ'ილე „ბატკანი“.

დამწმენდილი მაგალითები, როგორც ვხედავთ, შესატყვისობის საკმაოდ მწყობრსა და თანამიმდევრულ სისტემას მისდევენ, რაც ერთხელ კიდევ თვალნათლივ წარმოაჩენს ი-ს ფუძეენისეულობას. ცხადია, ცალკეული დარღვევები და ცდომილებანი, როგორც სხვა ფონემათა შესატყვისობებისასა გვაქვს, აქაც იჩენს თავს. ყოველ დარღვევას თავისი მიზეზი აქვს, რაც ჩვეულებრივ კომბინატორული ფონეტიკური პროცესების შემოქმედებით აიხსნება, მაგ.: ბეჟ. ოზო < \*ინზო < \*ნიზო < \*ნიზა, ჰუნზ. ჯზუ < \*ონზუ < \*ნოზო < \*ნოზა (შდრ. ხუნდ. ნისო < \*ნისა) „ხაჭო“, „მონდილი ყველი“; ბეჟ. ოზო < \*ინტო (ასიმილაციით) „ფსკერი“, ჭამ. სეპინ < \*სიპი (შდრ. ჰიპ. სინი „id.“) „დათვი“, ხვარშ. ლ'ა < \*ლ'ი (საკ. ხვარშ.), ლ'ო < \*ლ'ე (ინხ.) „წყალი“, ხუნდ. ჭებუ < \*ჭიბუ (შდრ. ჭადაქ. ჭიბურ „id.“) „სადგისი“ და ა. შ.

ხანდახან დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მთლად ნათელი არ არის ბგერათცვლილების მოტივაცია – თავდაპირველი მიზეზი გაუჩინარებულია. კერძოდ, ქვემოთ წარმოდგენილ შემთხვევაში ცხად არ არის, თუ რატომ გვაქვს საკუთრივ დიდოურსა (იზუ „მონდილი ყველი“) და ჰინუხურში (იჟუ „id.“) ი მაშინ, როცა წესით კანონზომიერ რეფლექსად ე უნდა გვქონოდა. საერთოდ არ შეცვლილა ამოსავალი \*ი, თუ ეს ი მეორეულია? ანდა: ბეჟიტურში რატომ მონდა \*ი > ე (ბეჟ. ცემო < \*ციმო „სადგისი“), როცა კანონზომიერებით ე უნდა შემონახულიყო? ერთი სიტყვით, ამგვარ შემთხვევათა სათანადოდ ასახსნელად და ოდესღაც მოქმედი სპონტანური ფონეტიკური პროცესების შემაპირობებელი ტენდენციების გამოსავლენად უდამწერლობო ენების პირობებში კვლევა საგრძნობლად გაძნელებულია.

გარდა შემომოყვანილი შემთხვევებისა, შეინიშნება სხვადასხვა ტიპის დარღვევები, რომელთა აღწერას და დაწვრილებითი ანალიზი ჩვენი თემის მიზანდასახულობას სცილდება. აქ მოვიყვანთ მარტოოდენ ორიოდე მაგალითს, რომლებიც ცხადყოფენ ამგვარ დარღვევათა სპეციფიკას, მაგ.:

ხუნდ. ტინო ~ ანდ. ჰინტუ : ლოდ. ჰინლუ : ბავ. : ჭამ. ჰილუ : ტინდ. ჰინლუ : აზვ. მიტო ~ დიდ. იტოუ : ჰინ. იტოა : ხვარშ. ინტოუ (საკ. ხვარშ.), ეტოუ (ინხ.) : ბეჟ. ოზო (ჰუნზ. ჯტოუ) „ფსკერი“.

ხუნდ. ნიხა ~ ანდ. : ბოთლ. : ლოდ. : ჭამ. : ტინდ. : ბავ. ნიხა : აზვ. ნიჯა ~ დიდ. ნიხა (<ქიდ. ნეხა) : ხვარშ. ნიხა : ბეჟ. ოზნ (ჰუნზ. ოპ) „შვრია“, „ქერი“.

პირველ მაგალითში, გარდა მეტათეზისის საფუძველზე განვითარებული (ხუნდ. ტინო < \*ნიტო) ანლაუტში ფშვინვიერი შემართვისა (ანდ. ჰინტუ < \*ინტუ < \*ნიტუ), ხმოვნებიც და თანხმოვნებიც კანონზომიერად შეესატყვისებთან ერთმანეთს. უცნაურობას იჩენს ამოსავალი ხმოვანი ხვარშიულსა და ბეჟიტურ ენებში,

რომლებშიც ეკვივალენტური ნაზალიზებული ხმოვნის სახით არის თავჩენილი. ნაზალიზაცია, როგორც წესი, აქაც მეორეულია და წარმოქმნილია წინამავალი ნ-ს ტრანსპონიციისა და დასუსტების შედეგად, მაგ.: ხვარშ. ი<sup>ნ</sup>ტოუ < \*ნიტუ (საკ. ხვარშ.), ე<sup>ნ</sup>ტოუ < \*ნეტუ (ინხ.) „ფსკერი“.

რაც შეეხება მეორე მაგალითს, იგი შეიძლება საკუთრივ დილოურ და ხვარშიულ ენებში ანდიურ ენათა ნასესხობაც იყოს, თუმცა დილოური ენის ქილიროულ კილოკავში საკუთრივ ამ ენათა მონაცემი ჩანს. ბეჟიტურ ენაში კანონზომიერი ი-ს შესატყვისად ნაზალიზებული ო<sup>ნ</sup> გვხვდება, რაც დარღვევად მიიჩნევა. თუ გავითვალისწინებთ სხვა შესადარებელ ენათა მონაცემებს, აუსლაუტის უმახვილო არელუცირებული უნდა იყოს. სწორედ ამ ა-ს ასიმილაციური გავლენით მომხდარა ი-ს ო-დ გარდაქმნა: ო<sup>ნ</sup>ხ < \*ნოხ < \*ნიხა (საკ. ბეჟ.), ოჰ < \*ო<sup>ნ</sup>ჰ < \*ნოხ < \*ნოხა (ჰუნზ.) „შვრია“, „ქერი“ და მისთ.

მამასადამე, ირკვევა, რომ ამჟამად საკვლევ ენათა სინამდვილეში ღრმად ფესვგადგმული და ფართოდ გავრცელებული ი ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო ხუნძურ-ანდიურ-დილოური ფუძეენისთვისაც. მოყოლებული ამ ენათა დაშლისა და ცალკეულ ერთეულებად გარდაქმნის პროცესში ამოსავალი ი-ს ევოლუციისათვის თვალის მიდევნება ხერხდება როგორ ენათა, ისე კილო-თქმათა მონაცემების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაიშვიათად თავჩენილი გრძელი ნ და ნაძალიზებული ო<sup>ნ</sup> მიღებულია სათანადო სადა ი-ს პოზიციური ცვლილების საფუძველზე.

## 2. 1. 5. \*უ-ს შესატყვისობანი

უკანა რიგის ლაბიალური უ-ს შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა: ერთნი მას სხვადასხვა კომბინაციური ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებულად მიიჩნევენ და მეორეულ ხმოვანდ თვლიან [იმნაიშვილი 1963 : 41; ლომთაძე 1994 : 295...], სხვანი კი ვარაუდობენ უ-ს არსებობას საერთო-დაღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე [ბოკარევი 1959 : 253-254; 1981 : 34-35; იბრაჰიმოვი და სხვ. 1971 : 28; ჩიქობავა 1979 : 49; აკიევი 1982 : 110-111...].

ჩვენ ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში მხარი დაუჭირეთ პირველ მოსაზრებას, რომელიც უ-ს მეორეულად მიიჩნევს და ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში მის არსებობას საეჭვოს ხდის [არდოტელი 2009 : 61].

დამატებითი ენობრივი მასალის მოძიებისა და სიღრმისეული ანალიზის შემდეგ ძირეულ ლექსიკაში ზოგი ფუძე გვაფიქრებინებს, რომ უ შესაძლებელია საკვლევ ენათა ერთიანობისთვის არსებულიყო. კერძოდ,

„კვამლი“, ოთხი“, „ხუთი“, „არწივი“, „შეშა“ და მისთ. სახელთა ფუძისეულ თუ აფიქსისეულ მორფემებში თავჩენილი უ კვლევის ამ ეტაპზე შესაძლებლად გვესახება ამოსავლად მივიჩნით. მართალია, ე. ლომთაძე „ოთხის“ აღმნიშვნელ სახელში უ-ს რეკონსტრუქციას ცდილობს, თუმცა ამ შემთხვევაში აღრეულია ფუძისეული და აფიქსისეული მასალა. მართალია, ამოსავალი ფუძისეული ყ-ს შემდეგ საკუთრივ დილოური ენის საპალურ დიალექტში გამოვლინდება სონანტი ჟ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი უ ჟი კომპლექსისაგან არის წარმომდგარი (ხანდახან პირიქითაც ხდება). თანაც, აქ საქმე ეხება არა ფუძისეულ უ-ს, არამედ ოდინდელი პრეფიქსის უ-ს, რომელიც დისიმილაციურად შეიძლება ო-დაც გარდაიქმნას [ინ. გუდავა 1980 : 205-206], მაგ.: ხუნდ. უნყ-გო (<\*უნყ-გო) ~ ანდ. ბოყ'-გუ : ბოთლ. ბულუ-და : ლოდ. ბუყუ-და : ჭამ. ბოყუ-და (დისიმილაცია, შდრ. ლოდ. ბუყუდა) : ბაგვ. ბოყუ-რა : ტინდ. ბუყო-და : კარ. ბოყუ (<\*ბოყუ-დისიმილაცია) : ახვ. ბოყ'-და-ბე (<\*ბუყ'-და-ბე-დისიმილაცია) ~ ლოდ. უყყუენ-ნ : ჰინ. უყი-ნო : ხვარშ. უწყი-ნ (<\*უნყი-ნ) : ბეჟ. ტწყრ-ნა <\*ნწყრ-ნა <\*უნყრ-ნა (ჰუნზ. ოყენ-ნ <\*უყენ) „ოთხი“.

შესატყვისობის ფორმულა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებლად გვესახება უ-ს რეკონსტრუქცია ფუძეენაში, ფონემათიკივებით არის წარმოდგენილი:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	ლოდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ/ო

საილუსტრაციო მასალა:

1. ხუნდ. კაუდ, კაუ ~ ანდ. კაუოდ, კაოდ : კარ. : ახვ. კაუინ : ტინდ. კაუინ ~ ლოდ. : ხვარშ. გუტ : ჰინ. ქუტი : ბეჟ. გოტ „კვამლი“<sup>107</sup>.

2. ხუნდ. რუტი ~ ანდ. რუტიუ : ლოდ. : ჭამ. : ახვ. რუტიი : ტინდ. რუტია : ბაგვ. რუტი : კარ. რუტე ~ ლოდ. რუტიუ<sup>108</sup> : ჰინ. როტიი : ხვარშ. რილ'ო <\*რულ'ო (ინს. რუტიო/რუტეო) : ბეჟ. დ-/რუტიო (ჰუნზ. რუტიუ) „ულელი“.

3. ხუნდ. ტაურუ ~ ანდ. ტაური ; ბოთლ. ტაუდი : ლოდ. ტაუდუ : ჭამ. ტაოდ : ბაგვ. ტაორ : კარ. ტაედა : ახვ.

<sup>107</sup> შდრ. ნახ. კურ „id.“, აგრეთვე, ძვ. ქართ. კუამ-ლ.

<sup>108</sup> ტ. გუდავას სამართლიანი მოსაზრებით, დილოურ ენებში ეს სახელი ანდიური ენებიდან არის შეთვისებული [გუდავა 1979 : 190], თუმცა საკუთრივ ხვარშიულში (რილ'ო „id.“) კანონზომიერი შესატყვისობა (ხუნდ.-ანდ. ტა : ლოდ. ლ) მოეპოვება.

ტედო (<\*ტედო) ~ დიდ. ღ'ულ : ხვარშ. ლურ „ქვა“, „კლდე“.

4. ხუნდ. ბურთინა ~ ბოთლ. : ლოდ. : კარ. ბურთინა : ჭამ. ბოთუ<sup>6</sup> : ახვ. მუთინა ~ დიდ. ბუთინ : ხვარშ. ბუთნუ : ბეჟ. ბურთინა<sup>109</sup> „ქენა“, „ნაბაღ“.

5. ხუნდ. ქეთუ ~ ანდ. : ლოდ. გელუ : ჭამ. ჭეტა <\*ჭეტუ (შდრ. ლიდ. ჯედუ) : ტინდ. გილუ : ბაგვ. ქითუ : ახვ. ქეთუ ~ დიდ. : ჰინ. კეტუ : ხვარშ. კიტუ : ბეჟ. გელო (<\*გილუ) „კატა“.

6. ხუნდ. წუმ < წუმ ~ ანდ. წუმ<sup>6</sup> ~ <\*წუმნი (შდრ. კარ. წუმნი „არწივები“): ახვ. წუმნი, წუმნი (ცეპ.) (<\*წუმნი), წუმნი (ტლან.) ~ საკ. დიდ. ცე < ცე : ჰინ. ცოდ : ხვარ. ცე (<ცე<sup>6</sup> <\*ცენ, შდრ. ინხ. ცე<sup>6</sup> <\*ცენ „id.“): ბეჟ. ცუპა (<\*ცუ<sup>6</sup>პა <\*ცუნა, შდრ. ხაშ. ცუ<sup>6</sup>პო <\*ცუნო) „არწივი“.

7. ხუნდ. ჭებუ (<\*ჭებუ, შდრ. ჭადაქ. ჭიბურ) ~ ანდ. : ტინდ. : კარ. ჰიმუ : ჭამ. : ახვ. ჰიმი <\*ჰიმუ - ასიმილაციით) ~ საკ. დიდ. : ჰინ. ცემუ : ხვარ. ციმუ (ინხ. ცემუ) : ბეჟ. ცემო (<\*ციმო)<sup>110</sup> შდრ. ჩენ. დუ, ინგ. დუკ „id.“) „სადგისი“.

8. ანდ. : ლოდ. : ჭამ. ღ'ული : ბოთლ. : ჰულდი : ტინდ. ღ'უდი/ღ'უნნი : ბაგვ. ჰურ : კარ. : ახვ. ღ'ულა : დიდ. ხვარშ. ლულა : ბეჟ. ჰულო, ჰუნლუ „შემა“...

როგორც ცნობილია, ისტორიულად ჯ სონანტი უ ხმოვანთან იმყოფებოდა დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში [გუდავა 1964 : 29; ფენრიხი 1971 : 143-158]. თუ გავითვალისწინებთ ჯ სონანტის დისტრიბუციას, მაშინ ეს მოსაზრება მართებულად უნდა მივიჩნიოთ [არლოტელი 1997 : 43-49].

ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისით, ყურადღების იქცევს ისეთი მაგალითები, რომლებშიც ფუძეენისეული ჯ, ფონოლოგიური პოზიციისა და მიხედვით, უ ალოფონად რეალიზდება. სწორედ ამგვარი უ-ს არსებობის გარეული საკვლევი ენათა ერთიანობის ხანისათვის სავსებით რეალურია, მაგ.:

ხუნდ. ყუარაღა, ყურაბ (ზაქ.) ~ ბოთლ. ბეყუ : ლოდ. ყუარა : ჭამ. ყურაბ : კარ. ყორაბ : ახვ. ყუარაღა ~ ჰინ. ვუსსუ : ხვარშ. ვოსსუ : ბეჟ. ვუსსუ „ვიწრო“.

ხუნდ. წუმ! „გამოწურე!“ (შდრ. წუმნიზე „წურვა“) ~ ანდ. წუმრუ : ბოთლ. წუმრუნ : ლოდ. ცურდი : ჭამ. წუმდილა : ტინდ. ცუმდლა : ახვ. წუმრურულ ა „წურვა“.

მაშასადამე, საკვლევი ენათა ამოსავალ ვოკალურ სისტემაში დანამდვილებით რეკონსტრუირდება სამი ხმოვანი: ა, ე, ი. გარდა ამისა, ერთგვარი ალბათობით შეიძლება აღვადგინოთ უ-ც, რომელიც, მართალია, ხშირად წარმოქმნილია სხვადასხვა კომპლექსებისაგან და ხმოვნებისაგან, მაგრამ ზემოდასახელებულსა და ზოგ სხვა

<sup>109</sup> ბეჟიტურში ეს სახელი შეიძლება ხუნდურიდან იყოს ნასესხები.

<sup>110</sup> ინ. ლომთაძე 1994 : 287.

მაგალითშიც მისი არქეტიპულობა ხელშესახება.

## 2. 2. ხმოვანთა შესატყვისობანი ლაკურ-დარგუულ ენებში

### 2. 2. 1. ხმოვანთა შესატყვისობანი დარგუული ენის დიალექტებს შორის

დარგუული ენის ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია აისახება მის დიალექტებს შორის ხმოვანთა შესატყვისობებში. ხმოვანთა შესატყვისობები მეტნაკლებად დაწვრილებითაა აღწერილი ს. აბულაევის, შ. გაფრინდაშვილის, ა. მაჰომეტოვის, ა. აკიევის შრომებში. დაკვირვების საგანი უპირატესად განდა შესატყვისობები ი და უ ხმოვნებსა და აგრეთვე ა და უ ხმოვნებს შორის. საილუსტრაციო მაგალითები:

ი | | უ:

ზემო ხაიდაყ. ნითბი	წუდახ. ნუთბი „წარბები“
ქვემო ხაიდაყ. ნირღბი	ურახ. ნურღბი „ცრემლები“
ხაიდაყ. ირიგ	წუდახ. ურიგ „შარშან“

ა და უ ხმოვნებს შორის შესატყვისობა თავს იჩენს აბლაუტის სახით არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ახუშურ დიალექტში [აბულაევი 1954 : 37-39; გაფრინდაშვილი 1966 : 173-175]:

ვალი „სახლი“	ვულ-რი „სახლები“
ბად „მთვარე“	ბუძ-რი „მთვარეები“ და სხვა.

სინქრონიული თვალსაზრისით, ეს მოვლენა არ წარმოადგენს ბგერათშესატყვისობის მაგალითს. როგორც აღნიშნავენ, იგი ისტორიულად კანონზომიერი ფონეტიკური პროცესის ნიადაგზე წარმოიშვა და ამჟამად გარდაქმნა ფონეტიკურ მონაცვლეობად, რომელმაც დარგუული ენაის ზმნურ ფორმებში ასპექტის გამოხატვისას ნაწილობრივ ფუნქციური დატვირთვაც შეიძინა [აკიევი 1977 : 88]:

ა | | უ:

ბაჩი (სრული) || ბუჩი (უსრული) „პონა“; ბალი (სრული) || ბული (უსრული) „ჭრა“;

ა || ი

ბაყი (სრული) || ბიყი (უსრული) „გაგონება“; ჩიბაყი (სრული) || ჩიბიყი (უსრული) „წველა“;

ო || უ:

ბიბჭი (სრული) || ბუბჭი (უსრული); ბიბნი (სრული) || ბუბნი (უსრული) „ღანაწვერება“;

წ || ჭ:

ბეჭი (სრული) || ბუჭი (უსრული) „გაგლება“ და სხვ.

ღარგუელი ენის დიალექტებს შორის ამჟამად დადგენილია ბევრათმესატყვისობათა შემდეგი სახეები:

1. ახუმ., კუბარ., წულახარ., მეკეგ. ე ~ ურახ. ი:

ბეწ	ბიწ „მგელი“
ბეკ	ბიკ „თავი“
ზე	ზი „მარილი“
შე	ში „სოფელი“
ავლე	ავლი „მაღლა“...

ე ~ ი ხმოვანთა მესატყვისობანი დასტურდება ხაიდაყურსა და კუბარურს შორისაც:

ხაიდაყ.	ნეგ	კუბარ.	ნიგ „რძე“
„	მეჭ	„	მინ „რკინა“
„	ბაკეს	„	ბაკის „მოსვლა“
„	ვაკილე	„	ვაკილი „მოსვლა“ და სხვ.

2. კუბარ. ა ~ ურახ. უ:

კუბარ.	ცაბ	ურახ.	ძუბრი „ცა“
„	ღაც	„	ღურაც    ღურად „კავი“
„	მხ	„	მურა „თივა“

(ღაც, მხ სიტყვებში ა ხმოვნის სიგრძე გამოწვეულია რ თანხმოვნის ჩაგარდნით)...

3.	კუბარ. ი ჩიბტუ	ურახ. ა: გათა „კატა“
----	-------------------	-------------------------



	პილა	ჭალა „უკან“
4.	პინტა კუბარ. ა ბაჭნა	ჭატა „ბაყაყი“... ურახ. ი: დიჭანა „საილუმლო“
	ჩნლ	ჩირალ „ლამპარი“...

5. კუბარ. უ ურახ. ა:  
ჭუნწა ჭვანწა „სიყრუე“  
მუჭურ მაჭურ „გიჟი“...

6. ხაიდაყ. ი ურახ. უ:  
ირჭამალ ურჭიმალ „ცხრა“  
რირსი რურსი „ქალიშვილი“  
ღაჟნა რუჟნა „მონუცი ქალი“  
ირიგ ურიც „შარშან“...

იგივე შესატყვისობა არსებობს ხაიდაყურს და წუღახარულს, ყაიტაგურსა და ურახულს შორის და, აგრეთვე, ურახულსა და მეკეგურს შორის: იკვის – უკეს „ლაპარაკი“, ბირის – ბურეს „ყოფნა“, ვირას – ვურეს „შეძლება“ და სხვ.

## 2. 2. 2. ხმოვანთა შესატყვისობანი ლაკური ენის დიალექტებს შორის

ლაკური ენის ბალხარულ დიალექტში გვხვდება ე, ო ფონემები, რომლებიც შეესატყვისებიან სხვა დიალექტთა ა, უ ხმოვნებს განსაზღვრულ ფონეტიკურ პირობებში. ე გვევლინება ხოლმე სადა ა-ს მონაცვლედ და ზოგჯერ იგი ი ხმოვნის შესატყვისადაც დასტურდება. ეგევე ე ბალხარულ დიალექტში ჩნდება სხვა დიალექტთა ყ თანხმოვნის მონაცვლედ, მაგ, ბაღს. ბაენ „მორთვა“, შღრ.ლიტ. ბაყინ; ლაენ „დახურვა“, შღრ. ლიტ. ლაყინ... ო ხმოვანიც არც თუ იშვიათად უ და ყ ბგერათა მონაცვლედ გვევლინება ბალხარულ დიალექტში. წარმოვადგენთ შესატყვისობათა ზოგიერთ დამახასიათებელ ნიმუშს ბალხარულსა და ლუმუქურ დიალექტებს შორის:

**ბალხარული**

**ლუმუქური**

ენი	„ღღე“	ყინი
მოელჩინ	„ოთხჯერ“	მუყილჩინ
ღონ	„ღამაღვა“	ღუყან
ბუთოზა	„ზანღუკი“	ბუთოყყა
ონჩა	„ხბო“	ყუნჩა და ა. შ.

[საიდაყოვი 1966; მურყელინსკი 1971 : 17].

ვიხლიურ დიალექტში გვხვდება უმლაუტირებული უ სადა უ-ს მონაცვლედ. დასტურდება აგრეთვე შესატყვისობანი: ი || ა, ა || ჰ, უ || უ, ი || ე.

ღუმუქური დიალექტის ი ხმოვანს ბალხარულში ე შესატყვისება:

<b>ბალხარ.</b>	<b>ღუმუქ.</b>	
რერშუნაკ	რირშუნაკ	„მაწონი“
ღექჸუ	გიქჸუ	იქ“
ღეჩა	გიჩა	„იქინდ“
ღერა	ღირა	„ნღომა“

ღუმუქურ ა ხმოვანს ბალხარულში ჰ შესატყვისება:

<b>ბალხარ.</b>	<b>ღუმუქ.</b>	
ბათხუნ	ბათხუნ	„გაქრობა“
ბარჩაღღაღ	ბარჩაღღაღ	„მაღღობა“
ბაღვი	ბაღულ	„თეკვი“

ღუმუქურ ყ თანხმოვანს ბალხარულში შესატყვისება ა (მაგარშემართვიანი ცა):

<b>ბალხარ.</b>	<b>ღუმუქ.</b>	
აფა	ყაფა	„ქელი“
არყი	ყარყი	„ტაღანი“
აჟა	ყაჟა	„ნაცარქათამა“

ღუმუქური უ ბალხარულში იძღვევა ო და ი ხმოვნებს:

<b>ბალხარ.</b>	<b>ღუმუქ.</b>	
მოცან	ბუცან	„თიბვა“
ნოღა	ნუღა	„ფიწალი“

ბონბოტი	ბუნბუტი	„კოური“
ჩინტლუ	ჩუნტლუ	„მეჭეჭი“

### 2. 2. 3. ხმოვანთა შესატყვისობანი დარგუულსა და ლაკურს შორის

ლაკურ-დარგუულ ენებში ხმოვანთა შესატყვისობებს ეხება ა. აკიევის ნაშრომი [აკიევი 1982 : 91-94]. დადგენილია შემდეგი სახის კორესპონდენციები:

1. დარგ.	ე    ი	– ლაკ.	ა:
„	მეზ    მეძ	– „	მაზ „ენა“
„	დერნა    დირნა	– „	თარნ „ჯოხი“
„	ნეგ    ნიგ	– „	ნან „რბილობი“
„	ნერლ    ნირლ	– „	ნაყ „ცრემლი“
„	ბეკ    ბიკ	– „	ბაკ „თავი“
„	ბეწ    ბიწ	– „	ბარწ „მგელი“ და სხვა მრავალი
2. დარგ.	ა	– ლაკ.	ი:
„	ვაძა    ვაზა	– „	ნიწ „თაფლი“
„	კანტ	– „	ჭინტ „წვეთი“
„	კაზ	– „	კიზ „აბრეშუმი“
„	გათა	– „	ჩითუ „კატა“
„	ჩატა	– „	ჩიტუ „მერცხალი“
„	ბათეს	– „	ბითან „დატოვება“
3. დარგ.	ა	– ლაკ.	უ:
„	შალი	– „	ჩულ „გვერდი“
„	ხარ	– „	ხუ „კალთა“
„	ჭალა	– „	კუნუ „წილი“
„	ვაშეს	– „	ბუნუ „მოსვლა“ და სხვ.
4. დარგ.	უ	– ლაკ.	ა:

” ქულესა	– ”	ქანიშ „სამაჯური“
” ლუღემ	– ”	თათა „მამა“
” ნუნულ	– ”	შარ „ცოლი“, „ქალი“
” ზუბ	– ”	საბ „ცა“ და სხვა.
<b>5. დარგ. ი</b>	<b>– ლაკ. უ:</b>	
” ჩინა	– ”	ჩუნ „საით“
” კიპა	– ”	კუპა „ქერის ალო“
” გიღარი	– ”	ქუნუქ „კერცხი“
” ჩინტ	– ”	ჩუნტ „მეჭეჭი“
” ქიპა	– ”	ქუ „კერძი“
” ჩინწ	– ”	ჩუნწ „ჩინახვი“
” ჭი	– ”	ჭულე „ძაფი“
” ბიწეს	– ”	ბუწინ „აესება“
” ბიკეს	– ”	ბუკვინ „არჩევა“
” ძი    ზი	– ”	წუ „მარლი“
” თექუ    თიქუ	– ”	თიქი „ჩორი“ და სხვა.
<b>6. დარგ. უ</b>	<b>– ლაკ. ი:</b>	
” ლუღეკ    ლულიკ	– ”	თილიკ „ღვიძლი“
” მუწურ	– ”	ჭირი „წვერი“
” შულერქ	– ”	შირა „ჭია (მუცლის)“
” კუწულ	– ”	კიჭალა „კოვზი“
” ლიშეს	– ”	ლიშინ „დაღება“...

ლაკურ-დარგული ერთობის დონეზე ფარინგალიზებულ ხმოვანთა სისტემის წარმოქმნის შემდეგ გაჩნდა შესაბამისი ბგერათშესატყვისობაც:

<b>7. დარგ. ა</b>	<b>– ლაკ. ა:</b>	
” ყაპა	– ”	ყაფა „ქული“

„ ყაშა	– „	ყაშა „ნაცარქათამა
„ შან	– „	შარ „ბელურა“ ...
8. დარგ. ა	– ლაკ.	ა:
„ ლაჟი	– „	ლაჟინ „ლოყა“
„ ჰაბ	– „	ჰავ „საფლავი“
„ ვა	– „	ვა „ფიცი“
„ ფარ-ფარ	– „	ფარ-ფარ და სხვა მავალი.
9. დარგ. ა	– ლაკ.	ი:
„ ყაჟა	– „	ვიჩი „ნამცხვარი“
„ ვანტა	– „	ვინვა „კეფა“
„ ჭანკი	– „	ჭინჭუ „ქსოვილის ნაჭერი“
„ ზავ-ზავ	– „	ზივ-ზივ „ბზუილი“ და სხვა ძირეული და ნასესხები სიტყვები.

დარგულის ხმოვანთა შესატყვისობები, ლაკურ ენასთან შედარებით, ზუსტად ასახვენ ამ ენის ძლიერ და ღრმა დიალექტურ დიფერენციაციას.

## 2. 3. ხმოვანთა შესატყვისობანი ლეზგიურ ენებში

### 2. 3. 1. \*ა ხმოვნის შესატყვისობანი

საერთოლეზგიურ \*ა ბგერას ლეზგიურ ენებში, როგორც წესი, შეესატყვისება ასევე ა ფონემამ. ა ხმოვანი მახვილის ქვეშ ლეზგიურ ენებში არ განიცდის ცვლილებებს, ხოლო უმახვილო პოზიციებში შეიძლება მოგვცეს გ. ამას გარდა, ზოგიერთ ენაში შეინიშნება \*ა ბგერის ლაბიალიზაცია ლაბიალიზებულ, ლაბიალურ თანხმოვნებთან და, განსაკუთრებით, ლაბიალიზებულ თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად, პალატალიზაცია შიშინებს და დ-სთან. \*ა ბგერა პალატალიზაციას განიცდის ფარინგალიზაციის ან მისი მოშლის შედეგადც.

\*ა ბგერა ლეზგიურ ენაში ჩვეულებრივ იდენტური რეფლექსებითაა წარმოდგენილი: კრიწულში ა ერთმარცვლიან სიტყვათა ინტერკონსონანტურ პოზიციაში რეგულარულად გვამღევს ჰ-ს, ხინალულურში კი ა გვამღევს ჰ-ს ერთმარცვლიან სიტყვათა აუსლაუტში (ღია მარცვალში). ლაბიალური თანხმოვნების შემდეგ კავკასიის ალბანურსა და უდიურში ხშირია \*ა > უ. კრიწულში შეინიშნება \*ა > ო პროცესი ლაბიალური და ლაბიალიზებული თანხმოვნების გვერდით, ხოლო წახურში ეს პროცესი ლაბიალური სონანტის შემდეგ ვითარდება. ამას გარდა, \*ა > ო პროცესი დასტურდება კრიწულსა და ბულუხურში წინამავალი თანხმოვნის დელაბიალიზაციის შედეგად.

ს.-ლეზგ.	ლეზგ.	თაბ.	ჯღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არჩ.	კავკ.-ალბ.	უღ.
*ა	ა	ა	ა	ა	ა	ა, ა	ა	ა, ა	ა	ა	ა

ლეზგ. (ყველა დიალექტში) სა; თაბ. სა-ბ, ღიუბ. სა-ჟ; აღ., ფიტ., ბურკ. სა-დ; ბურშ. სა-რ; ფიტ. სა; წახ., გილმ. სა; არჩ. ოს, სჟედ-ტუ; კრიწ. სა-დ; ბუღ. სა-დ; ხინ. სა; კავკ.-ალბ. სა; უღ. სა „ერთი“; სხვ. დაღ.: ხუნდ. ცო და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 69; გიგინიევილი 1977: 89; ჩკელი: 323 (ს.-ლეზგ. \*სა)]. არჩიბული რეფლექსი ო, სავარაუდოდ, ხუნძური ენის გავლენით უნდა აიხსნას, ხოლო კრიწულში ა, როგორც აღინიშნა, ერთმარცვლიან სიტყვათა ინტერკონსონანტურ პოზიციაში რეგულარულად გვამღევს ჰ-ს.

ლუზგ. ზა; ბურმ. ზა-; რუთ. ზა; წახ. ზა-; არჩ. ზა- კრიწ. ზა; ბულ. ზა; ხინ. ზა, ას (მიც.); კავკ.-ალბ. ზა-; უდ. ზა- „მე“ (მიც.); იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 228; გიგინეიშვილი 1977: 70; ჩკელ: 1084 (ს.-ლუზგ. \*ზა-)].

ლუზგ. ირ. ფუძე ჟა-; თაბ. ნათ. დაჟ; ბურმ. ირ. ფუძე ჟა-, ნათ. დაჟ; რუთ. ჟა; წახ. ირ. ფუძე ჟა-; არჩ. ირ. ფუძე ჟა-; კრიწ. ჟა-; ბულ. ჟა; კავკ.-ალბ. ვა-; უდ. ვა- „შენ“ (მიც.); იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 72; ჩკელ: 1014 (ს.-ლუზგ. \*ჟა-)].

ლუზგ. ჟარზ; თაბ. ჟაზ; აღ. ჟაზ; რუთ. ჟაზ; წახ. ჟაზ; კრიწ. ვაზ; ბულ. ვაზ; არჩ. ბა; ხინ. ვაწ; კავკ.-ალბ. ბუზე „მთვარე“, „თვე“.

ლუზგ. აწუზ, აწუნა; თაბ. ა-ღ-წუზ; აღ. აწას; რუთ. ტერმ. აქწერ; წახ. გ.აწას; არჩ. ა-ბ-წას; კრიწ. მაწა-დ „სავსე“; ბულ. სარწარ, სტბწვჯი (კაუზ. სერწი); კავკ.-ალბ. ბა (< \*ბაწ); უდ. ბუე (< \*ბუწ) „სავსე“; სხვ. დალ.: ხუნდ. წე-ზე, ლაკ. -უწი-ნ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 82; ლექსიკა 1971: 255; გიგინეიშვილი 1977: 100; ჩკელ: 526 (ს.-ლუზგ. \*ჰაწ „ავსება“, „გავსება“)].

ლუზგ. ჟიშ; თაბ. ჟარჟ; დიუბ. ჟარჟა; აღ. ბარშ; ბურმ. ჟარშ; რუთ. ჟაშ; გილმ. ჟაშ, -ენ; არჩ. ბაშა-; კავკ.-ალბ. ბაჭ; უდ. ბაწ „ასი“; სხვ. დალ.: ლაკ. თურშ, ახვ. ბეშანო და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 51; ჩკელ: 588 (ს.-ლუზგ. \*ჟაწმ-)].

ლუზგ. აქაწაზ, აქაუნა; თაბ. ა-ღ-გუზ „ძებნა“; აღ. აგ წას; ბურმ. აგ წას // უგას „ძებნა“; რუთ. ა-ჟ-გ წას, მრ. ა-დ-გ წეს; წახ. ჰაგ წას, ჰა-ჟ-გუ „ჩვენება“; არჩ. ბ-აქუს, ბ-არქურ; კავკ.-ალბ. აკესუნ; უდ. აქსუნ „ნახვა“; სხვ. დალ.: ლაკ. ქაწაქაწან „ნახვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 65; ლექსიკა 1971: 243; გიგინეიშვილი 1977: 78; ჩკელ: 255 (ს.-ლუზგ. \*ცაქაწა)].

თაბ., ყანდ. მარცაი; დიუბ. მარძი; აღ. მართაე-ფ; ხნუხ. მჭთ-დღ „გამჭირვალე“ (წყალზე ითქმის); ?წახ. მაწთაგ-ნ; არჩ. მარწ (მდრ. მარწა-ას „გაწმენდა“); კავკ.-ალბ. მუწურ „სუფთა“, „წმინდა“; უდ. აცარ (< \*მაწარ), მაცაი „თეთრი“; სხვ. დალ.: ხუნდ. ბა-წა-ად; ანდ. ბერ-წა-ომ; ახვ. მა-წა-დაბე; ბავგ. ბა-წ-არ-აბ; ტინდ. ბა-ცა-ად-აბ; ბეუ. დან-ც-ოლო; ლაკ. მარწ-, მარცა-; დარგ. უმუ-ზ-ი „სუფთა“, „წმინდა“; მდრ. აგრეთვე: დიდ. ბო-ც-ა-ში „გაწმენდილი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 71; ლექსიკა 1971: 227; გიგინეიშვილი 1977: 107 (ს.-დალ.: \*ბა-წა-ად); ჩკელ: 552 (ს.-ლუზგ. \*მარწაგ- „სუფთა“)].

ლუზგ. აწუზ, აწუნა; თაბ. ა-ღ-წუზ; აღ. აწას; რუთ. ტერმ. აქწერ; წახ. გ.აწას; არჩ. ა-ბ-წას; კრიწ. მაწა-დ „სავსე“; ბულ. სარწარ, სტბწვჯი (კაუზ. სერწი); კავკ.-ალბ. ბა (< \*ბაწ); უდ. ბუე (< \*ბუწ) „სავსე“; სხვ. დალ.: ხუნდ. წე-ზე, ლაკ. -უწი-ნ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 82; ლექსიკა 1971: 255; გიგინეიშვილი 1977: 100; ჩკელ: 526 (ს.-ლუზგ. \*ჰაწ „ავსება“, „გავსება“)].

ლუზგ. ცაჲ; თაბ. ძაჲ, ზაჲ; აღ. ძაჲ, ზაჲ; კრიწ. ზოვ; ბუდ. ზევ; ხინ. ძო; კავკ.-ალბ. ჩუღუ „ცა“.

ლაბიალიზებული თანხმონის დელაბიალიზაციის შედეგად მომდევნო ა ხშირად გვაძლბს უ-სა ან ო-ს; ლაბიალიზაცია ლეზგიურ ენებში ლაბიალურსა და ლაბიალიზებულ თანხმონებთანაც დასტურდება, თუმცა მას, ამ შემთხვევაში რეგულარული ხასიათი არა აქვს. ლეზგიურ ენაში ა ბგერა შემონახულია როგორც ლაბიალიზებული თანხმონის შემდეგ, ისე ლაბიალიზაციის დაკარგვის შემთხვევაში. თაბასარანულში, ადულურში, რუთულურში, ბუდუხურსა და ხინალულურში ორივე შემთხვევაში თანხმონის დელაბიალიზაცია მომხდარია, ხოლო ა ბგერა უ-შია გადასული.

ს.-ლუზგ.	ლუზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	კავკ.-ალბ.	უდ.
*ა	ა	უ	უ, ა	უ	ა, ო	გ, უ	უ	უ (ა, გ)	ა (ო)	? (ო)	უ (ო)

ლუზგ. ტჷარ, -წი // -უნი; ხლუტ. თაჷარ; თაბ. ჩაურ, -ნუ; დიუბ. ძურ, ი; აღ. თურ, -ი; რუთ. ღურ IV; წახ., გილმ. დო, -ფენ IV; არჩ. წორ, მრ. -ომ IV; კრიწ. თერ, -ა IV; ბუდ. თურ IV; კავკ.-ალბ. წი; უდ. ცი „სახელი“; სხვ. დაღ.: ხუნდ. წარ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 87; ლექსიკა 1971: 142; გიგინეიშვილი 1977: 68, 106; თალიბოვი 1980: 264, 297; ჩკელ: 1098 (ს.-ლუზგ. \*წაჷერ)]. უდიურსა და კავკასიის ალბანურში პალატალიზაციის მიზეზი ნათელი არ არის.

ლუზგ. სჷას; თაბ. შუშა; აღ. სუს; რუთ. სუს; წახ. სოს; კრიწ. სგს; ბუდ. სუხ; ?ხინ. წგ-ნას „პატარძალი“; იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1981: 87].

იმ სიტყვებში, რომლებშიც საერთოლუზგიურ ღონეზე დასტურდება ფარინგალიზაცია, ა ბგერა სხვა რეფლექსებითაა წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში, ხშირია ა ბგერის პალატალიზაცია და წინა რიგის ხმონებში გადასვლა:



ს.-ლუზ.	ლუზ.	თაბ.	ჯ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არჩ.	კავკ.-ალბ.	უღ.
*ა	ე	ა, ა	ა, ა	ა	ა	ა, ა, ე, ი	ე, ი	ო	ა	ა	ა, ო

ლუზ. რეჟ, რეჟი; ნუტ. რაჟ; მრ. რეჟერ; ხლუტ. რაჟ, -ი; თაბ. რაჟ, -უ; დიუბ. რაჟა; აღ., ბურმ., თფიდ. რაჟ, -უ; ბურკ. რეჟა; რუთ. რაჟ, რეჟგ- III; წახ. მაჟ, მაჟგნ III; არჩ. დეჟ, ლოკ. დეჟუ III; კავკ.-ალბ. ლაჟ; უღ. მაჟ „გზა“; სხვ. დალ.: დარგ. დაჟ „ბილიკი“ და სხვ.. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 20; ლექსიკა 1971: 142; გიგინეიშვილი 1977: 109; თალიბოვი 1980: 264; ჩკელ: 604 (ს.-ლუზ. \*რჟჟ)].

ლუზ. ქჟნ, ირ. ფუძე ქჟე-; თაბ. ურჟუ; ბურმ. რჟუნ; რუთ.(III) ჟჟ; წახ. შუ; არჩ. ჟჟენ; კრიწ. ჟჟინ, ირ. ფუძე ჟჟ; ბუღ. ჟჟინ; კავკ.-ალბ. ვაჟნ, მიც. \*ვაჟ-; უღ. ვაჟნ „თქვენ“; სხვ. დალ. (ხუნდ. ნუჟ, ლაკ. ზუ და სხვ.). იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 79; ბოკარევი 1961: 66; თალიბოვი 1960: 301; გიგინეიშვილი 1977: 114; ჩკელ: 1087 (ს.-ლუზ. \*ჯჟ[ე]-ნ, \*ჯჟა)]. რეფლექსაციის გარკვეული ცვლილებები წარმოდგენილ ორ მაგალითში გამოწვეულია ლაბიალიზებული თანხმონის გავლენით.

ლუზ. დარღალ; თაბ. დარხლა; აღ. ჟარხა „შორს“; რუთ. ხერგ-ღე „id“; არჩ. ახ; კავკ.-ალბ. ახი; უღ. ახნილ „შორეული“; სხვ. დალ.: ლაკ. არხა-სა „შორეული“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1975: 106; ჩკელ: 269 (ს.-ლუზ. \*ჟარხა(ღლ)]. აქ, ჩვენი აზრით, ფარინგალიზაციის მეორადი პროცესი უნდა გვექნდეს, რომელიც საერთოლუზიურიდან არ მომდინარეობს.

ლუზ. ექჟ, -ჟნი; თაბ. აქჟ, -ნუ; აღ. ზაქჟ, ადი; ფიბ. ექჟ; ბურმ., ბურკ., თფიდ. ცქჟ; რუთ. მაქჟ, -ა- IV; არჩ. აქჟონ IV (მდრ. აქჟუ-ქეს – თაბ. აქჟუ ნუზ გათენება); კავკ.-ალბ. ქაენ; უღ. ქაა „განთიადი“; სამურულ ენებში, როგორც ჩანს, მოხდა მეტათეზა. ლუზიურში, საფიქრებელია, \*ა > ე განვითარდა ფარინგალური თანხმონის დაკარგვის შედეგად. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 63; ლექსიკა 1971: 199; გიგინეიშვილი 1977: 80; ჩკელ: 703 (ს.-ლუზ. \*ცაქჟა „სინათლე“)].

ლუზ. ყელ, -ე; თაბ. ყილ, -უ (-ა-); აღ. ყაღ, -ა; თფიდ. ყაღ; ბურმ., ბურკ. ყელ; რუთ. ყაღ, ყილი- // ყილირ- III; წახ. ყეჟ, -ან III; კრიწ. ყელ, ყილ IV; ბუღ. ყელ III; კავკ.-ალბ. ელ (< ელენ-ბიფესუნ „დამარილება“, „შემარილება“); უღ. ელ „მარილი“; სხვ. დალ.: ბეჟ. ნ-იყ-არო „მწარე“, დარგ. ყუდეუ-სი „მწარე“ და სხვ.. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 103; თალიბოვი 1980: 267, 307; ჩკელ: 912 (ს.-ლუზ. \*ყაღ „მარილი“, \*ყა-ყაღ- „მწარე“)].

საერთოლესიური \*ა ბგერა კიდევ ერთი ფორმულის მიხედვით აღდგება:

ს.-ლესი.	ლესი.	თბ.	აღ.	რესი.	წახ.	კრის.	ბესი.	ხინ.	არჩ.	კავკ.-აღბ.	ესი.
*ა	ა	ი, ე	ე	ე, ა	ა	ა	ა	–	ა	ე	ე

თბ. ნიჟკ, -ესი; აღ. ემკ; ბესი. ნიკ; რესი. ნაყ IV; წახ. ნაკ, ნიკენ IV; არჩ. ნაბკ, ნიბკი (შესი. მიკირ „მილში“, „სიხმარში“); კრის. ნეყირ IV; ბესი. ნეყირ; კავკ.-აღბ. ნეპ; ესი. ნეფა „სიხმარი“; სესი. დად.: ხუნდ. მატბუ და სესი. იხ. აგრესიე: [ლესიკა 1971: 148; გიგინეიშვილი 1977: 135; თალიბოვი 1980: 272; ჩკესი: 620 (ს.-ლესი. \*ნაჟტ)]. ე ბგერა ამ მაგალითში საერთოლესიური \*ა ბგერისაგან ესიდა მომდინარესიბეს, შესი. [ჩკესი: 620]. პალატალიზაციის მიხეზი ნათესი არ არის.

ლესი. რად, რაჟინი; თბ. რიდ, -დი; აღ. რად, -ესი; რესი. ჟირიდ, -რიდი- III; წახ. ჟირედ // ჟერედ, -რედ III; არჩ. ბარჟ, ბერჟე III; კრის. ჟირად III; კავკ.-აღბ. ბედ; ესი. ბედ „მხე“; სესი. დად.: ხუნდ. ბაჟ და სესი. იხ. აგრესიე: [ტრესიკი 1930: 82; დიუმეზილი 1933: 20; ლესიკა 1971: 184; გიგინეიშვილი 1977: 75; ჩკესი: 1051 (ს.-ლესი. \*ჟირაჟ)]. ე ბგერა ამ მაგალითში საერთოლესიური \*ა ბგერისაგან ესიდა მომდინარესიბეს, შესი. [ჩკესი: 1051]. პალატალიზაცია ფარინგალიზაციით არის გამოწვეესი.

ლესი. დად, ცბი; ხლესი. დად, დიცბი; თბ. შიდ, შითჟ; დიესი. შად, შითბი; აღ. სედ, სითბა; ფიბ. სიდ, სითბი-; ბესი. შეერ, შეირი-; რესი. სჟდ, სიდი- IV; წახ. სჟან, სინენ IV; არჩ. ლჟან, ლჟენე IV; კრის. სჟდ, სიჟ IV; ბესი. სჟდ, სიდი- IV; კავკ.-აღბ. ხე; ესი. ხე „წყალი“ (შესი. ხენე „წყლიანი“); სესი. დად.: ლაკ. შინ, ხუნდ. ლჟიმ და სესი. იხ. აგრესიე: [ტრესიკი 1922: 122; ლესიკა 1971: 181; გიგინეიშვილი 1977: 128; თალიბოვი 1980: 278–279; ჩკესი: 1061 (ს.-ლესი. \*ლჟან)]. ე ბგერა ამ მაგალითში საერთოლესიური \*ა ბგერისაგან ესიდა მომდინარესიბეს, შესი. [ჩკესი: 1061]. პალატალიზაციას წინაველარესი ს ბგერა იწვეესი.

ლესი. წად, წესი (ხლესი. დეწე); თბ. წა, წი; აღ. წა, წი; ბესი. წა, ბესი. წა; ფიბ. წად; რესი. წად, წე IV; იხრ. წა; ხნოვ. წა; წახ. წა, -დენ, IV; არჩ. იწ, ლოკ. წერე-ჟ IV; კრის. წა, წერ IV; ბესი. წე, -დიდი- IV; კავკ.-აღბ. წე; ესი. ა-რესი „ცეცხლი“ (\*წა-რესი – Pl. Tantum); სესი. დად.: ხუნდ. წა, ლაკ. წესი და სესი. იხ. აგრესიე: [ტრესიკი 1930: 83; ლესიკა 1971: 193; გიგინეიშვილი 1977: 100; თალიბოვი 1980: 296; ჩკესი: 354 (ს.-

ლუზგ. \*წაი). ე ბგერა ამ მაგალითში საერთოლუზგიური \*ა ბგერისაგან მომდინარეობს, თუმცა შესაძლებელია, ლუპლუტური ფორმის არსებობა დაუშვავთ უკვე წინარე-ენაში, იხ. ლუზგ., თაბ., აღ., რუთ., კრიწ.

ლუზგ. ძალ „სუნთქვა“, „სურნელი“; ხლუტ. ილ; თაბ. ელ, -ნუ „სუნთქვა“; აღ., ბურშ. ელ „სუნთქვა“; რუთ. ილ, -ი- IV „სურნელი“; მიშლ. ეჭა, -ინ IV „სურნელი“; არჩ. ჰილ IV „სუნთქვა“; კრიწ. ზალ IV „სუნთქვა“; ბუდ. ზალ „სუნთქვა“; კაკკ.-აღბ. ჰელ; უდ. ელ-მუხ „სული“, „საფშვინველი“ (Pl. Tantum); სხვ. დაღ.: ხუნდ. ჰალი „დეღილი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 191; ჩკელ: 485 (ს.-ლუზგ. \*ჰელა, -ჰ IV)]. ე ბგერა ამ ფორმაში საერთოლუზგიური \*ა-საგან უნდა მომდინარეობდეს, შდრ. [ჩკელ: 485]. პალატალიზაცია, როგორც ჩანს, ფარინგალიზაციის მოშლას უკავშირდება

### 2. 3. 2. \*ე ხმოვნის შესატყვისობანი

ლუზგიურ ენებში ე ბგერა მახვილის ქვეშ, როგორც წესი, შემონახულია. თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად იგი ხშირად გადადის უ-სა ან ო-ში. გავრცელებულია ე ბგერის მონაცვლეობა ი და ა ბგერებთან.

ს.-ლუზგ.	ლუზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	კაკკ.-აღბ.	უდ.
*ე	ე	ი	ე	ე/ი	ე/ი	ე	ე	ი	ა	ე	ე

კაკკ.-აღბ. მუხ; უდ. მუხ „ენა“ ლუზგ. მეზ, მეცაი; თაბ. მელძ; დიუბ. მიღძი; აღ. მეზ, -ურა; რუთ. მიზ, -ი- III; წახ. მიზ, -ენ III; არჩ. მაც III; კრიწ. მეზ, მიზ // -ილ III; ბუდ. მეზ III; სხვ. დაღ.: ხუნდ. მაწ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 85; ბოკარევი 1961: 59; ლექსიკა 1971: 127; გიგინეიშვილი 1977: 70, 84; თალიბოვი 1980: 293; ჩკელ: 802 (ს.-ლუზგ. \*მელცა)]. უ ბგერა მუხ ფორმაში საერთოლუზგიური \*ე ბგერისაგან მომდინარეობს. ლაბიალიზაცია განვითარდა ლაბიალური თანხმოვნის (მ) გავლენით.

საერთოლუზგიური \*ე ბგერა დელაბიალიზებული თანხმოვანის შემდეგ შემდეგი რეფლექსებითაა წარმოდგენილი:

ს.-ლუზგ.	ლუზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არჩ.	კავკ.-აღბ.	უღ.
*ე	ე	უ, უ	უ, უ, ი	უ, გ, პ	ო	ა	ა	უ	ე, ი	უ	უ

კავკ.-აღბ. პა; უღ. ფა<sup>ა</sup> (< \*ე<sup>ა</sup>ა) „ორი“ლუზგ. ვა<sup>ა</sup>ე-ღ; თაბ. ე<sup>ა</sup>უ-ბ; ღიუბ. ე<sup>ა</sup>უ-ჟ; აღ., ფიბ. ე<sup>ა</sup>უ-ღ; ბურშ. ე<sup>ა</sup>უ-რ; ბურკ. ცაღ; თფიღ. ცუ-ღ; რუთ. ვა<sup>ა</sup>ა-ღ; გიღბ. ე<sup>ა</sup>ო-ლღ; არჩ. ვა<sup>ა</sup>ე; კრიწ. ვა<sup>ა</sup>ა-ღ; ბუღ. ყა-ბ; სხვ. დაღ.: ხუნდ. კი-გო და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1960: 302; ლექსიკა 1971: 232; გიგინეიშვილი 1977: 137; ჩკელ: 924 (ს.-ლუზგ. \*ვა<sup>ა</sup>ა)].

### 2. 3. 3. \*ი ხმოვნის შესატყვისობანი

მახვილიან მარცვალში ი ბგერა არ განიცდის ცვლილებებს. ლაბიალიზებული თანხმოვნის დელაბიალიზაციის შედეგად ი ხშირად გვადლებს უ-სა ან ო-ს. თავის მხრივ, ი საერთოლუზგიური \*უ ბგერის პალატალიზაციის შედეგად არის მიღებული.

ს.-ლუზგ.	ლუზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არჩ.	კავკ.-აღბ.	უღ.
*ი	ი	ი	ი	ე/ი	ე/ი	ი	ი	ი	ი	ი	ი, ე

პი; უღ. ფუ „სისხლი“, შღრ. გიღბ. ე-ბი, -ინ III; არჩ. ბი III; სხვ. დაღ.: ხუნდ. ბი და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა. 1971: 114; ჩკელ: 879 (ს.-ლუზგ. \*ფუიღ)].

ბეზი; უღ. ბეზი „მე“ (ნათ.)ლუზგ. ზი(ნ); თაბ. დიზ; ბურშ. დაზ; რუთ. იზ-ღ; წახ. დიზ-გ; არჩ. -ის, ჟ-ის, დ-ის, ბ-ის. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 228; გიგინეიშვილი 1977: 70; ჩკელ: 1084 (ს.-ლუზგ. \*-იზ)]. კავკასიის ალბანურსა და უდიურში მოხდა მეტათეზა. ბე- გაქვავებული კლას-კატეგორიის ნიშანია.

ბეში, უღ. ბეში „ჩვენი“ (ნათ.)ლუზგ. ჩი(ნ); თაბ. იჩ; აღ. იჩ; შინ. იშ-ღ; წახ. დიშ- „ჩვენ“ (ექსკლ.). იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკო 1930: 79; ბოკარევი 1961: 66; გიგინეიშვილი 1977: 114; ჩკელ: 1089 (ს.-ლუზგ. \*იჯ)]. კავკასიის ალბანურსა და უდიურში მოხდა მეტათეზა. ბე- გაქვავებული კლას-კატეგორიის ნიშანია.

საერთოლექსიური \*ი ბგერა ლაბიალური, ლაბიალიზებული და დელაბიალიზებული თანხმოვნების შემდეგ ხშირად უ რეფლექსითაა წარმოდგენილი:

ბეჭი; უდ. ეჭი „თქვენ“ (ნათ.), შდრ. თაბ. იჩ; ბურშ. იჩ; რუთ. (III) უშ-დგ; წახ. ჟუშ-; არჩ. ჟიშ; იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკო 1930: 79; ბოკარევი 1961: 66; თალიბოვი 1960: 301; გიგინეიშვილი 1977: 114; ჩკელ: 1087 (ს.-ლუზ. \*-იჯ)]. კავკასიის ალბანურსა და უდიურში მოხდა მეტათეზა. ბე- გაქვავებული კლას-კატეგორიის ნიშანია.

იჩ; უდ. იჩ „თვითონ“, შდრ. ლუზ. ჟუჟ; თაბ. ჟოჟ; რუთ. ჟუჯ I, რიჯ II, მიც. ჯუ-ს I, ჯი-ს II; წახ. ჟუჯ I, დიჯ II, ნათ. ჯუ-ნა I, ჯე-ნა II; არჩ. ინჟ, ერგ. ჟუ I, ჟე II; კრიწ. იჯ II; სხვ. დალ.: ანდ. ჟი- და სხვ. შდრ. აგრეთვე: ლუზ. ჟიჩ, მრ. ჩებ; თაბ. უჩ, ნათ. ჩან, მრ. ჩიბ; ბურშ. იჩ, ერგ. ჩე, მრ. ჩაჟ; წახ. ნათ. ჩი-ნა III, ჩი-ნ IV; სხვ. დალ.: დარგ. მრ. ერგ. ჩუ-ლი, მიც. ჩუ-ს და სხვ. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 114; თალიბოვი 1980: 299; ჩკელ: 347 (ს.-ლუზ. \*ცოჟ (უ-იჟ I, რ-იჟ II), ირ. ფუძე \*ჟი- I, \*ჟე- II \*ცინ; (\*ჟ-იჩ, \*დ-იჩ), ირ. ფუძე \*ჩი- „თვითონ“ (IIIIV)].

ბიჭ; უდ. ბიჭ (< \*ბიყჟ) „ოთხი“ ლუზ. ყუ-დ; თაბ. დუყუ-ბ; ად. დყუ-დ; რუთ. დუყუ-დ; გილმ. დოყუ-დლ; არჩ. ებყ; კრიწ. დუყუ-დ; ბუდ. დუყუ-ბ; სხვ. დალ.: ლაკ. მუყ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 64; ლექსიკა 1971: 233; გიგინეიშვილი 1977: 135; ჩკელ: 489 (ს.-ლუზ. \*დუჟყ)].

ვიჩი; უდ. ვიჩი „ძმა“, შდრ. თაბ. ჩი, -ჩი; ად. ჩუ, -ჩუ; ბურკ. ჩუ; ბურშ. ჩიუ; ფიტ. ქუ; რუთ. შუ, მრ. -ბ; წახ. ჩოჟ // ჩოჯ, -ჯ; არჩ. უშ-დუ, მრ. ოშობ; კრიწ. შიდ, მრ. შიდიმბი; ბუდ. შიდ, ში-; კავკასიის ალბანურსა და უდიურში დადასტურებული ფორმა ყველაზე არქაულია, შდრ. სხვ. დალ.: ხუნდ. ვ-აც, დარგ. უში „ძმა“ და სხვ. შდრ. აგრეთვე უდ. ხუნ-ჩი „და“. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკო 1930: 86; ლექსიკა 1971: 128; გიგინეიშვილი 1977: 95; ჩკელ: 669 (ს.-ლუზ. \*ჩიჯ (< \*\*ჟა-ჩიჯ)].

ფარინგალიზებული ი ბგერის ბგერათშესატყვისობანი არ განსხვავდება მარტივი ი ბგერის ბგერათშესატყვისობათაგან:

ი, „ყური“, იშუხ „ყურები“; უდ. ი-მ-უხ „ყური“ (Pl. Tantum) ლუზ. დაბ, დაფუ; თაბ. იბ, -უ (-ა-); დიუბ. იჟ; ად. დაბურ; ფიტ. იბურ; ბურშ. იჟურ; ბურკ. იჟურ; რუთ. უბურ, უბრუ- IV; არჩ. ოდ, მრ. -ომ IV; კრიწ. იბრ, -ვ IV; ბუდ. იბირ IV (ზოგიერთ ენაში Pl. Tantum); სხვ. დალ.: ხუნდ. შინ „ყური“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 126; გიგინეიშვილი 1977: 116; თალიბოვი 1980: 274; ჩკელ: 240 (ს.-ლუზ. \*ცაბა)].

იშა; უდ. ნიჯ. იშა // გშა „ახლოს“, „ახლოს მყოფი“, „ახლობელი“, შდრ. თაბ. იშ, -ი (-ა) „ადგილი“; ლიუბ., ულძ. დიშ; ბურმ. ისჟ „ადგილი“; ფიტ. უს; იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 119; ჩკელ: 683 (ს.-ლეზგ. \*დისჟ, -ა „ადგილი“)].

### 2. 3. 4. \*ო სმოვნის შესატყვისობანი

ეს ბგერა დასტურდება არჩიბულ, წახურ, კრიწულ, ბუღუხურ, ხინალულურ, უდიურ ენებსა და რუთულური ენის ბორჩულ დიალექტში. ლეზგიურ ენებში ო ბგერა მეორეული ჩანს და, როგორც წესი, თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად არის წარმოქმნილი ( $C^wV > C\text{ო}$ ). ო ბგერა განსაკუთრებით ხშირად გვხვდება იმ ენებში, რომლებშიც ლაბიალიზებული თანხმოვნები (ან კომპლექსები) გამარტივდა (ბუღუხური, უდიური, კავკასიის ალბანური). არჩიბულ ენაში ო ბგერა ხშირად ა-საგან არის მიღებული ჟ-ს გავლენით, მაგ., ყადყის (II კლ.), ყაყის (IV კლ.), ყოჯყის (< ყაჯყის) „მოცდა“...

### 2. 3. 5. \*უ სმოვნის შესატყვისობანი

საერთოლეზგიური \*უ თითქმის არ განიცდის ცვლილებებს. როგორც აღინიშნა, უ ლეზგიურ ენებში ხშირადაა მიღებული თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად. საერთოლეზგიური \*უ ბგერის შესატყვისი:

ს.-ლეზგ.	ლეზგ.	თაბ.	ად.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არჩ.	კავკ.-ალბ.	უდ.
*უ	უ	უ	უ	უ, გ	უ, გ	უ, გ	უ	უ, გ, ი, ა, ვ	უ, ო	უ	უ, ო

ბულ; უდ. ბულ „თავი“ ლეზგ. ყილ, -ი; თაბ. კულ; ად. კილ, -ი; რუთ. ჰუყულ, -ი- III (< \*ჰუყ-ულ); წახ. ჟუყულ, -კლენ III; არჩ. ტილ-ლიტ „თავქვეშ“; კრიწ. ყელ, ყალი III; ბუღ. ყელ III; სხვ. დალ.: ხუნდ. ბეტერ, ლაკ. ბაკ და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1980: 268, 284 (არჩ.-ის გარეშე); ლექსიკა 1971: 107 (არჩ.-ით: ქარტი); გიგინეიშვილი 1977: 69; ჩკელ: 1041 (ს.-ლეზგ. \*ჟოტულ)].

**ფულ**; უდ. **ფულ** „თვალი“ ლეზგ. **ჭილ**, -ი; ხლუტ. **ულ**; თაბ., დიუბ. **ულ**, -ი; აღ., ფიტ., ბურკ. **ულ**, -ი; ბურშ. **ილ**; რუთ. **ულ**, -ი-, მრ. **-აბტრ III**; წახ. **ულ**, -ენ III; არჩ. **ლ-ურ**, მრ. **-უმ III** (**ურ** – \*მრ. რიცხვის მაწარმოებელი); კრიწ. **ჭულ**, -ი III; ბუდ. **ჭულ III**; სხვ. დალ.: დარგ. **ჭული**, ხუნდ. **ბერ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 53; ლექსიკა 1971: 106; გიგინეიშვილი 1977: 69; თალიბოვი 1980: 268; ჩკელ: 250 (ს.-ლეზგ. \***ც<sup>ა</sup>ილ**)].

**ქულ**; უდ. **ქულ** „ხელი“ ლეზგ. **ქულ**, -უნი „მაჯა“, „მტევანი“; თაბ. **ქულ-ერ** „ვაზი“; ბურკ. **ქულ**, -უ „ტოტი“; რუთ. **ქულ-ჭ** IV „დაყვი“; არჩ. **ქულ**, **ქურა**, მრ. **ქურღულ IV**; სხვ. დალ.: ხუნდ. **ქაერ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეტკოი 1930: 86; ლექსიკა 1971: 124; გიგინეიშვილი 1977: 69, 80; თალიბოვი 1980: 288; ჩკელ: 707 (ს.-ლეზგ. \***ქ<sup>ა</sup>ილ**)].

**თურ**; უდ. **თურ** „ფეხი“ ლეზგ. **ფეთურ**; ხლუტ. **ათურ**; თაბ. **ათურ**; კრიწ. **ფეთერ IV**; ბუდ. **ფოთურ IV**; „ბარკალი“. ევგ. ჯეირანიშვილი უდიურ სიტყვას უკავშირებს ქართულ მასალას [ჯეირანიშვილი 1952]. შდრ. დარგ. **ურღურ** „ბარკალი“. იხ. აგრეთვე: [საადიევი 1969: 118; საიდაკოვი 1973: 29; ჩკელ: 674 (ს.-ლეზგ. \***ათურ**)].

**ულ**; უდ. **ულ** „მგელი“, შდრ. რუთ. **უბულ**, **უბლი-**, მრ. **უბლ<sup>ა</sup> III**; წახ. **უმულ**; არჩ. **ამ**, მრ. **უთ III**; კრიწ. **ებ**; III; ბუდ. **ებ III**; იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 239 (ს.-ლეზგ. \***ც<sup>ა</sup>ამ**)].

**შუმ**, უდ. **შუმ** „პური“ ლეზგ., ხლუტ. **სამ**, -უნი; თაბ., დიუბ. **შუმ**; ფიტ., ბურკ. **სუმ**; ბურშ. **სუმ**; რუთ. **სუმ**, -ა- IV; მიშლ. **სომ**, -ან IV; არჩ. **სუმ IV**; კრიწ. **სუმ IV**; ბუდ. **სუმ**; სხვ. დალ.: ხუნდ. **სუმ**, წუდახ. **სუმა** „ნამჯა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933, 50; ბოკარევი 1961: 59; ლექსიკა 1971: 176; გიგინეიშვილი 1977: 71; თალიბოვი 1980: 271; ჩკელ: 764 (ს.-ლეზგ. \***ს<sup>ა</sup>უმ** „ნამჯა“)].

**ზე**; უდ. **ზე** „მე“ ლეზგ. **ზუნ**; თაბ. **უზე**; ბურშ. **ზუნ**; რუთ. **ზე**; წახ. **ზე**; არჩ. **ზონ**; კრიწ. **ზუნ**; ბუდ. **ზუნ**; ხინ. **ზ<sup>ა</sup>**; სხვ. დალ.: ხუნდ. **ღუნ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 228; გიგინეიშვილი 1977: 70; ჩკელ: 1084 (ს.-ლეზგ. \***ზონ**)].

**ვენ**; უდ. ვართ.-ზინ. **უნ** „შენ“ ლეზგ. **ჟუნ**; თაბ. **უჟუ**; ბურშ. **ჟუნ**; რუთ. **ჟე**; წახ. **ჟუ**; არჩ. **უნ**; კრიწ. **ჟუნ**; ბუდ. **ჟუნ**; სხვ. დალ.: ხუნდ. **მუნ** < \***ჟუნ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 72; ჩკელ: 1014 (ს.-ლეზგ. \***ჟონ**)].

**ჟან**, მიც. **ჟა** „ჩვენ“ ლეზგ. **ჩუნ**, ირ. ფუძე **ჩა**; თაბ. **ურუ**; აღ. **ჩინ**; შინ. **ჟი**; წახ. **ში**; კრიწ. **ჟინ**, ირ. ფუძე **ჟ<sup>ა</sup>**; ბუდ. **ჟინ** „ჩვენ“ (ექსკლ.) სხვ. დალ.: ხუნდ. **ნიჟ**, ლაკ. **ჟუ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეტკოი 1930: 79; ბოკარევი 1961: 66; გიგინეიშვილი 1977: 114; ჩკელ: 1089 (ს.-ლეზგ. \***ჯინ**, \***ჯა**)], შდრ. აგრეთვე: უდ. **იან**, მიც. **ია** „ჩვენ“ (საერთოლეზგიური ინკლუზივისაგან მომდინარეობს). ა ბეგრას სიტყვაში **ჟან** მონათესავე ენებში

შეესატყვისება სხვა ბგერები, რაც, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ ა ბგერა ამ შემთხვევაში არ მომდინარეობს საერთოლუზგიური \*ა ბგერისაგან, არამედ \*უ ბგერას უნდა უკავშირდებოდეს, ხოლო ა, როგორც ჩანს, ირიბი ფუძის (მიცემითს ემთხვევა) ფორმასთან ანალოგიით არის მიღებული. ი კორესპონდენცია, რომელიც ამ შემთხვევაში ლუზგიურ ენებშია გავრცელებული, ალვეოლარული თანხმოვნის გვერდით განვითარებული \*უ ბგერის პალატალიზაციის შედეგი უნდა იყოს, შდრ. [ჩკელ: 1089].

იმ სიტყვებში, რომლებშიც საერთოლუზგიურ ღონეზე დასტურდება ფარინგალიზაცია, უ ბგერა სხვა რეფლექსებითაა წარმოლენილი. ასეთ შემთხვევაში, ხშირია უ ბგერის პალატალიზაცია და წინა რიგის ხმოვნებში გადასვლა:

ს.-ლუზგ.	ლუზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არჩ.	კავკ.-აღბ.	უღ.
*უ	უ	უ, უ	უ, უ	უ, ი	ი, გ, ო	უ, ი	უ, ი	ი	ი, უ, ო, ა	უ	უ, ი

უწ; უღ. უწ „ექსი“ლუზგ. რუგუ-ღ; ნუბ. რუფუ-ღ; თაბ. მირნ-უ-ბ; აღ., ფიბ., ბურკ. მერნ-ღ; ბურშ. მერ-ში-რ; რუთ. რინ-ღ-ღ; წახ. მინ-ღ-ღღ; არჩ. დილ, დილიბტუ; კრიწ. რგნ-ღ-ღ; ბუღ. რგნ-ღ-ღ; სხვ. დაღ.: ლაკ. რან-ღ, ხუნდ. ანღ-ღ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 192–193; ჩკელ: 219 (ს.-ლუზგ. \*რილ'ღ)].

ვუღ; უღ. ვუღ „შვიდი“ლუზგ. ირი-ღ; ყანდ. ურფუ-ბ; დიუბ. ურგუ-უ; აღ., ფიბ., ბურკ. მერი-ღ; ბურშ. მერი-რ; რუთ. მიუღ-ღ; გილმ. მიფ-ღღღ; არჩ. უილ; კრიწ. მიფ-ღ; ბუღ. მიფ-ღ; სხვ. დაღ.: ხუნდ. ანტ-ღ, ლაკ. არულ-ღ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 197; ჩკელ: 247 (ს.-ლუზგ. \*უირლ'ღ-)].

მუღ; უღ. მუღ „რვა“ლუზგ. მუჟუ-ღ; თაბ. მირჟი-ბ; დიუბ. მიჟუ-უ; აღ., ბურკ. მუა-ღ; ბურშ. მუა-რ; ფიბ. მუფი-ღ; რუთ. მუფ-ღ; წახ. მოლი-ღღღ; არჩ. მელ'ე; კრიწ. მიფი-ღ; ბუღ. მუფ-ღ; სხვ. დაღ.: ხუნდ. მიტ-გო და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 197; ლექსიკა 1971: 236; გიგინეიშვილი 1977: 86; ჩკელ: 315 (ს.-ლუზგ. \*მენლ'ღ)].

ვუ; უღ. ვუ „ცხრა“ლუზგ. კუ-ღ; ყურად. ჭუ-ღ; თაბ. ურჭუ-ბ; დიუბ. ჭურჭუ-უ; აღ. მარჭუ-ღ; ბურშ. მერჭუ-რ; ფიბ. მერჭუ-ღ; ბურკ. მერჭუ-ღ; რუთ. ჭუჭუ-ღ; წახ. მიჭუ-ღღღ; არჩ. უჭ; კრიწ. მიჭი-ღ; ბუღ. უჭი-ბ; სხვ. დაღ.: ხუნდ. იჭ-ღ, ლაკ. ურჭ-ღ და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 51; ჩკელ: 208 (ს.-ლუზგ. \*უ[ი]ლჭ'ღ-)].



ჰუკ; უდ. უჰ // უჰ „გული“ ლეზგ. რიკ, -ი; თაბ. დუკჲ, კჲა; აღ. ირკჲ, -ურა; ბურკ. ირკჲ; ბურშ., ფიტ. დირკჲ; რუთ. დიკ, -ი- IV; წახ. დიკ, -ენ IV; არჩ. იკჲ IV; კრიწ. დიკ, -ი // -ა IV; ბუდ. დგკ IV; სხვ. დალ.: ხუნბ. რაკ, დარგ. ურკი და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 86; დიუმეზილი 1933: 16; ლექსიკა 1971: 124; გიგინეიშვილი 1977: 82; თალიბოვი 1980: 289; ჩკელ: 678 (ს.-ლეზგ. \*დირკჲ)].

ბუნა; ნიჯ. ბილ // ბელ „შუა წელი“ ლეზგ. დუყ, ჴა „შუაწელი“, „წელი“; თაბ. დუჴჲ, -დ (-ა) „წელი“; ყანდ. დიყ „ზურგი“; დიუბ. დიყი „წელი“; აღ. იყ „შუაწელი“; ბურშ. დიყ „ზურგი“; თფილ. დყ „ზურგი“; ფიტ. დიყ „შუაწელი“; ბურკ. დყ „შუაწელი“; რუთ. დგჴ IV „ზურგი“; წახ. დგჴ, -ან IV „ზურგი“; არჩ. ილ-და (<\*იყ-და) „შუაში“; კრიწ. დიყ, -ი IV „წელი“, „ზურგი“; ბუდ. დიყ-იჴ IV „ზურგი“; სხვ. დალ.: ახვ. რაჴჲა-ლი „ზურგი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 126; თალიბოვი 1980: 307; ჩკელ: 577 (ს.-ლეზგ. \*დუჴჲ)].

### 3. ნახურ და დაღესტნურ ენათა ამოსავალი ვოკალური სისტემა

#### 3.1. \*ა ხმოვნის შესატყვისობანი

ნახურ და დაღესტნურ ენებში ხმოვანთა შორის კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობანი დღემდე დაუდგენელია. მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ცალკეულ ენათა ჯგუფებისა თუ ქვეჯგუფების ხმოვანთა სისტემის შესახებ თითო-ორი გამოკვლევა, მაგრამ მთლიანობაში და სიღრმისეულად საკვლევ ენათა ვოკალური სისტემის საკითხები ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით შეუსწავლელია.

ცალკეულ მკვლევართა კერძო მოსაზრებებს [ერკერტი 1895 : 200; ტრუბეცკოი 1987 : 291 ...] თუ არ მივიღებთ მხედველობაში, თავდაპირველად ხმოვანთა შესატყვისობის ფორმულები დადგენილ იქნა ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა შორის [გულავა და სხვ. 1952 : 34; ლომთაძე 1956 : 81-88; ცერცვაძე 1958 : 253; 1965 : 31...]. ე. ბოკარევა სცადა დაედგინა ხმოვანთა შესატყვისობანი აღმოსავლურ-კავკასიურ ენებში, მაგრამ მის ნაშრომებში [ბოკარევი 1961; 1981] ვხვდებით მარტოოდენ დაღესტნურ ენათა მასალის ანალიზსა და შესატყვისობათა ფორმულების დადგენის ცდას. მისმა კვლევა-ძიებამ ამ კუთხით დიდი შედეგი ვერ მოიტანა [იხ. ლომთაძე 1994 : 288-316]. დილოური ენების ხმოვანთა სისტემაზე ნაყოფიერად მუშაობდა ე. ლომთაძე, რომელმაც ხანგრძლივი კვლევის შედეგები გააერთიანა ვრცელ მონოგრაფიაში [ლომთაძე 1994]. საერთოდ დაღესტნური ვოკალური სისტემის რეკონსტრუქციის ცდა წარმოადგინა ავტორთა კოლექტივმა [ჰასანოვა და სხვ. 1971 : 21-28]. ლაკურ-დარგოული ენების ხმოვანთა სისტემას ეხება ა. აკიევის ნაშრომი [აკიევი 1982].

ნახური ენების ხმოვანთა შესატყვისობებისა და ხმოვანთა ცვლის ზოგი საკითხი განხილულია ა. სომერფელტის შრომებში [სომერფელტი 1933 : 1934]. დ. იმნაიშვილის სამართლიანი შენიშვნით, ა. სომერფელტის ნაშრომებში გვხვდება ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები [იმნაიშვილი 1962 : 1977].

ნახური ენების ხმოვანთა ფონეტიკური პროცესები და კორესპონდენციები სხვადასხვა ასპექტით განხილული აქვთ დ. იმნაიშვილს [იმნაიშვილი 1977], რ. გაგუას [გაგუა 1956], ი. ლეშერიევს [ლეშერიევი 1960; 1963], ი. არსახანოვს [არსახანოვი 1981], ა. მაჰომედოვს [მაჰომედოვი 1974], რ. სალამოვას [სალამოვა 1992], მ. ჩუხუას [ჩუხუა 2007; 2009], ა. თიმაეკს [თიმაევი 2011] და სხვ.

წინამდებარე თავის მიზანდასახულებას წარმოადგენს: ა) გამოარკვიოს დაღესტნურ ენათა ამოსავალი \*ა-ს

მიმართებისა და რელატიური ქრონოლოგიის საკითხი ნახურ ენათა სათანადო ხმოვანთან და დაადგინოს ცალკეულ ქვეჯგუფებში დღემდე რეკონსტრუირებული ორი ა-ს (ნახ. ა : ჰ; დად. ა : ჰ) პოსტულირების შესაძლებლობა; ბ) მოგვცეს სისტემური ანალიზი ა-ს შესატყვისობებისა და წარმოადგინოს კორესპონდენციათა სათანადო ფორმულები.

დასტურდება სიტყვა-ფორმათა ისეთი ჯგუფი, რომელშიც, ერთი მხრივ, ნახურ ენათა, ხოლო, მეორე მხრივ, ხუნძურისა და სხვა ანდიურ ენათა ამოსავალ ა-ს ანდიურ ენაში ო შეესატყვისება, დიდიერ ენებში კი ა/რ (ბეჟ.), ო (სხვა დიდ. ენები) ეკვივალენტები მოეპოვება. ლაკურ-დარგულ და ლეზგიურ ენათა სინამდვილეში \*ა-ს დიდი რყევა ახასიათებს – რეალიზებულია როგორც პალატალიზაციის, ისე ველარიზაციის შეუზღუდავი და რეგულარული პროცესები.

ამოსავალი \*ა-ს შესატყვისობის ფორმულა, ყველა ენის მონაცემთა გათვალისწინებით, ასე გამოიხატება:

*	ჩქ.	ხუნძ.	ანდ.	ახვ.	დიდ.	ხვარ.	ბეჟ.	ლაკ.	დარგ.	ლეზგ.	არჩ.	თაბ.	უდ.
ა	ა	ა	ო	ა	ო	ო	ა/რ	ა	ა/ე	ე/ი	ი	უ	უ/ი

1) ჩქნ.-ინგ. მეზა (<\*მაზა) : ბაცბ. მაჴ ~ ხუნძ. ნაჴა ~ ანდ. ნოჴი : ახვ. ნაჴი ~ საკ. დიდ. ნოცი : პინ. ნოცე : ხვარ. ნუცა (<\*ნოცა, შდრ. ინხ. ნოცი) : ბეჟ. ნაცო (ჰუნხ. ნო ცა) ~ ლაკ. ნაჴ : დარგ. ნეზ/ნიდ (დიალ. ვარ.) ~ ლეზგ. ნეთ : არჩ. ნაჴ (შდრ. ლაკ. "იდ.") : უდ. ნეჴ „ტილი“.

2) ჩქნ. ბორზ (<\*ერგ.ბარზო<ბარზოჴო...): ბაცბ. ბჴარჴ ~ ხუნძ. ბაჴ (<\*ბაჴა) ~ ანდ. ბოჴო : ახვ. ბაჴა ~ საკ. დიდ. ბოჴი : ხვარ. ბოჴა (ინხ. ბოჴო): ბეჟ. ბაჴო (ჰუნხ. ბოჴა) ~ ლაკ. ბარჴ : დარგ. ბიჴ/< ბეჴ ~ უდ. ულ „მგელი“.

3) ჩქნ.-ინგ. ბჴარგ : ბაცბ. ბჴარგ ~ ხუნძ. ბერ (<ბარა<ბჴარა, შდრ. ბალაპიზე „ცკერა“-ი. ცერცვაძე 1958 : 255) ~ ანდ. ჰარკუც : კარ. ჰარკა ~ დიდ. ოზური (<ოზორი) : ხვარშ. ეზალ (ინხ. ეზოლ) : ბეჟ. ჰაჴრე ~ ლაკ. და (მრ.დარ-უ) : დარგ. ჰაჴული (<ჰაალი) ~ ლეზგ. ვილ : თაბ. ულ : უდ. ფულ „თვალი“.

4) ჩქნ.-ინგ. ვოგ : ბაცბ. ვო (<ირ. ფ. ვა-) ~ ხუნძ. ლაბ-გო (ანჴ. თაბ-გუ, ანდალ. ჰაბ-გუ) ~ ანდ.

ლ'ობ-გუ: ახვ. ლ'აბ-და-ბე ~ საკ. ღიდ.: ჰინ. ლ'ონ-ნო: ხვარ. ლ'ონ-ნა (ინხ. ჰ<sub>3</sub>-ნო) : ბეჟ. ლ'ან-ნა (ჰუნზ. ლ'ონ-ნა) ~ ლაკ. შან-ბა : დარგ. ჰაბ-ბალ ~ არჩ. ლ'ებ : თაბ. შუბ-უ : უდ. ხიბ "სამი".

5) ჩენჩ. ვარ ~ ხუნძ. ანტე-გო (<\*ანტე-გო) ~ ანდ. ჰოტე-გუ : ახვ. ატე-და-ბე ~ საკ. ღიდ.: ცოლ'-ნო : ხვარ. ცოლ'-ა (ინხ. ცოლ') : ბეჟ. ცალ'-ნა (ჰუნზ. ოლ'-ნუ) ~ ლაკ. არულბა : დარგ. ვერჰალ (<უსიშ. დარალ) ~ ლეზგ. ირიდ (<ერიდ) : არჩ. ვილ' : თაბ. ურგუბ : უდ. ვუჟლ „შვიდი“.

6) ჩენჩ.-ინგ. გაზა : ბაცბ. გაზა ~ ხუნძ. წაე (<წაან, შდრ. მრ. წან-ი) ~ ანდ. წაიდა (<წაოდა) : ახვ. წანოლ'ი ~ ჩანადა : ხვარშ. ცან : ბეჟ. შამი (ჰუნზ. შომე) ~ დარგ. შაჟა/ შეჟა/ იჩა (ღაილ. ვარ.) ~ ლეზგ. წეჰ : არჩ. წა „თხა“.

7) ჩენჩ. აჩა ~ ხუნძ. შარაც ~ ანდ. ორსი : ახვ. აჩი ~ ხვარშ. ოს ~ ლაკ. არცუ : დარგ. არც/ანს (ღაილ. ვარ.) ~ ლეზგ. შარს : არჩ. არსი : თაბ. არს : უდ. გუმიუშ“ 1. „გერცხლი, 2. „ფული“.

8) ჩენჩ. ტე <\*ტა (შდრ. ინგ. ტა “id.”) ~ ხუნძ. -ტა, ტად (ჰიდ.) ~ ანდ. ჰიტა, ახვ. ტადო ~ ღიდ.: ხვარშ. : - ტაო : ბეჟ. -ტა „-ზე, ზედ“.

ერთი წყების მაგალითებში ა:ო შესატყვისობის დარღვევა შეპირობებულია კომბინაციურად, მაგ.: ჩენჩ. ტოჰ (<\*ტაჰ) : ბაც. ტოჰ (<\*ტაჰ) ~ ხუნძ. ას ~ ანდ. ტომო : ღოდ. ტაშა... ~ საკ. ღიდ.: ჰინ. უჟი (<\*ოჟი) : ხვარ. უჟა (<\*ოჟა) : ბეჟ. ცრჟო (<\*აჟე, შდრ. ტლად. ოჟე) ~ ლაკ. არს : დარგ. ურში (<\*რუში) „ვაჟი“; ჩენჩ.-ინგ. დოგ (<\*დტაგ<\* დაგტ - ასიმილაცია) ~ ხუნძ. რაკ (<\*რაკტა) ანდ. როკტო : ახვ.: რაკტა... ~ საკ. ღიდ. როკუ: ხვარ. ლოკტა: ბეჟ. რაკო ~ ლაკ. დაკ: დარგ. ურკი (<\*რაკ...ი) ~ ლეზგ. რიკ: არჩ. იკ...: უდ. უკ: კავკ. ალბ. ჰუკ (<\*რაკ...) „გული“; ჩენჩ.-ინგ. ცერგ : ბაცბ. ცარკ ~ ხუნძ. ცა ~ ანდ. სოლ : ახვ. ჩილო (<ჩალო) ~ ხვარშ. სელ : ბეჟ. სილა ~ დარგ. ცულა ~ ლეზგ. სას (<სალ) : თაბ. სარს/სელეგ (ღაილ. ვარ.) ; უდ. ულუხ „კბილი“...

ამ რიგის შესატყვისობაშიც საერთო ამოსავალს ა წარმოადგენს, რომლის შესატყვისობა არაიშვიათად ირღვევა ნახურშიც და დაღესტნურ ენებშიც. კერძოდ, ნახურ ენებში, ანდიურსა და ღილოურ ენათა მეტ წილში, ქართველურ ენათა ანალოგიურად, ამოსავალი ა ბაგისმიერ ო ხმოვანში გადასულა: ა:ო. ენათა მიხედვით ა-მ შეიძლება პოზიციურად სხვაგვარი ტრანსფორმაციაც (ა>ე,ა>ი...) განიცადოს. კერძოდ, ჩენჩური ენის ჭებერლოურ დიალექტში, რომელშიც ყველაზე კარგად არის დაცული არქეტიპები, ბილაბიალური

მ-ს წინ ა>ო [იმნაიშვილი 1977], მაგ.: ჭებ. ცოდომ <ცადომ <ცადამ „ადამიანი“, ჭებ. ტოდომ <ტადომ <ტადამ „წვეთი“...; ხუნდ. ზობ <ზაბ (ასიმილაცია) „ცა“, ხუნდ. მოწო <მაწოჲ (ასიმილაცია, შდრ. ლაკ. ბარზ „id.“) „მოვარე“ და სხვ. მისთ.

დასტურდება ხმოვანთა ისეთი შესატყვისობაც, რომელიც ნახურსა და ხუნდურ-ანდიურ ენებში უცვლელად იმეორებს ხემოვანხილულ ა:ო შესატყვისობის რეფლექსებს, ლაკურ-დარგოულსა და ლეზგიურ ენებში მეტწილად ამოსავალ რეფლექსს ინარჩუნებს, ხოლო დილოურ ენებში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციით არის წარმოდგენილი. ხანდახან ნახურ ენებში ა>ე, რაც ძირითადი ტენდენციის-პალატალიზაციის გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს.

შესატყვისობის ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

*	ჩერ.	ხუნდ.	ანდ.	ახვ.	დიდ.	ხვარ.	ბეჟ.	ლაკ.	დარგ.	ლეზგ.	აჩჩ.	თაბ.	უდ.
ა	ა/ე	ა	ო	ა	ი	ა/ო	ო/ა	ა	ა	ა	ა	ა	ა

- 1) ჩერ. ცჰაჲ : ინგ. ცაჰ ~ ხუნდ. ცო (<\*ცა, შდრ. ცა-დაჲ „ერთად“)<sup>111</sup> ~ ანდ. სებ (<\*საბ) : ახვ. ჩე-ბე ~ დიდ. სის : ხვარ. ჰას : ბეჟ. ჰონს ~ ლაკ. : დარგ. ცა ~ ლეზგ. სად : საბ : უდ. სა „ერთი“.
- 2) ჩერ. წე ~ ხუნდ. წა ~ ანდ. წა (?): ახვ. ჭარი ~ დიდ. წი : ჰინ. ჭე : ხვარ. წა : ბეჟ. წო ~ დარგ. წა : ხინ. ჭა „ცეცხლი“.
- 3) ჩერჩნ.-ინგ. ითთ (<\*ითთა, შდრ. ცჰა-ითთა „თერთმეტი“) ~ ხუნდ. ანწ- (<\*ნაწა-) ~ ანდ. ჰოწო- : ახვ. აჭა ~ საკ. დიდ. ოწი- : ჰინ. ოწე- : ხვარ. უწა- (ინხ. ოწო) : ბეჟ. აწო- (ჰუნხ. ო წა-) ~ ლაკ.\*აწა-ბა : დარგ. ვეწალ ~ თაბ. დიწუბ (<\*დიწაბ) : უდ. ვიწ (<\*ვიწა) „ათი“.

არაიშვიათად ეს შესატყვისობა დარღვეულია ერთი რიგის მაგალითებში, რომლებიც ანდიურ ო-ს შესატყვისად ხუნდურში ე/ო ხმოვნებს გვიჩვენებენ. გარკვეულია, რომ ამგვარ შემთხვევებში ისტორიული ა მეტწილად დაცულია „ირიბ ბრუნვებსა“ და მრავლობით რიცხვში [ცერცვაძე 1965: 30]. ააე/ო ბგერათცვლილების მიზეზი ხშირად დაჩრდილულია და სპონტანური ფონეტიკური პროცესის სახით არის

<sup>111</sup> შდრ. გულაგა 1980 : 202.

წარმოდგენილი, მაგ.:

1) ხუნძ. ქექე (<\*ქაქა, შდრ. ნათ. ქოქ-ოლ<\*ქაქ-ოლ) ~ ანდ. ქოქა : ბოთლ.: კარ.: ახვ. ქაქა : ლოდ.: ბაგვ.: ა ა: ჭამ. ჩჩა ~ საკ. დიდ. ქიქი : ხვარ. ქაქა (ინხ. ქოქო) „ძუძუ“.

2) ჩენხ. ჰჰადრ : ინგ. ჰჰადრა ~ ხუნძ. ჰობო (<\*ჰაბო, შდრ. ჰაბი-ჰან „მეწისქვილე“) ~ ანდ. იხობ : ბოთლ.: ჭამ. ხუბუ : ლოდ.: ტინდ.: ახვ. ხუბა ~ საკ. დიდ. ალ'ურ (<\*ალტურ, შდრ. ასახ. ალტურ „იდ“.): ჰინ. ლემერ .: ხვარ. დობოლ (ინხ. ღაბალ): ბეჟ. ჰაბო“ (ჰუნხ. ჰობურ) ლაკ. ჰარავალ : დარგ. ურხაბ „წისქვილი“...

თუ შევედარებთ პირველად განხილულ შესატყვისობის ფორმულას მეორისას, პოზიციურად შეპირობებული ბგერათცვლილებების გაუთვალისწინებლად, აღმოჩნდება, რომ ნახურ და ხუნძურ-ანდიურ ენებში ორივე შესატყვისობა ერთგვაროვანია: ანდ. თ: ხუნძ., ბოთლ., ლოდ... ა. რაც შეეხება დიდურ და ლეზგიურ ენებს, ამ ენათა სინამდვილეში მეორე შესატყვისობა მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველისაგან.

ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა ამ ორი შესატყვისობის გაერთმნიშვნელობა და ერთ საერთო არქეტიპზე დაყვანა?

სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: ერთნი ვარაუდობენ, რომ პირველი რიგის (ა:თ) შესატყვისობაში საერთო ამოსავალი თ ხმოვანია, ხოლო მეორე რიგის შესატყვისობაში კი — ე. წ. ირაციონალური (ჰუნზიბური ჟ ტიპის) ხმოვანი [ბოკარევი 1959 : 253, 256; დეშილ 1971 : 26; ნიკოლაევი 1978...];<sup>112</sup> სხვანი ფიქრობენ, რომ ორივე ზემოგანხილული შესატყვისობა წარმოქმნილია თავდაპირველად ა ხმოვნისგან [ლომთაძე 1955 : 26-27; 1994, 257; ბურჭულაძე 2000 : 243]. ხუნძურ-ანდიურ ენათა მასალაზე დაყრდნობით, არსებითად ამავე აზრს ადგას ილ. ცერცვაძე [1958 : 253; 1965 : 31], თუმცა იგი უპასუხოდ ტოვებს ისეთ გამონაკლის მაგალითებს, როგორიცაა „ცეცხლი“, „ყვავი“, „ვარსკვლავი“..., რომლებიც ბგერათიგივეობით (ა:ა) სასიათღებიან [1965 : 32].

<sup>112</sup> ს. ნიკოლაევის მოსაზრებას ვეცნობით მ. ალექსეევის ნაშრომის მიხედვით [ალექსეევი 1988 : 11].

როგორც უკვე ვთქვით, სავსებით გასაზიარებელია ა:ო შესატყვისობის გენეზისი: \*ა>ო. ამოსავალი ა დაცულია ნახურში, ხუნძურ-ანდიურსა (საკ. ანდიურის გამოკლებით) და ბეჟიტური ენის საკ. ბეჟიტურ დიალექტში. ამ რიგის შესატყვისობა ყველა პოზიციაში დასტურდება: ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლა-უტში. იგი გამსჭვალავს როგორც ძირეულ ლექსიკურ ფონდს, ისე გრამატიკულ ინვენტარს და მახვილის მქონებლობა-უქონლობით არ ჩანს შეპირობებული. მასთან, ა:ო შესატყვისობას მეტი ხვედრითი წონა აქვს და სხვა დაღესტნურ (ლაკურ-დარგუულ, ლეზგიურ) ენათა ჩვენებაც ა-ს პირველადობას უჭერს მხარს. ზოგიერთ ენაში ისტორიული ა სახეცვლილია, მაგრამ ხერხდება მისი რეკონსტრუირება [ლომთაძე 1994 : 238-245].

ე. ლომთაძე კითხვას სვამს: „ჩვენთვის ჯერჯერობით გაურკვეველია მიზეზი იმისა, თუ რატომ არ გადავიდა ა:ო შესატყვისობის ბეჟ. ა კომპონენტიც ო-ში... ისევე, როგორც ა: ო შესატყვისობის ამოსავალი \*ა გადავიდა ბეჟიტურში?“ [1978 : 262].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ა:ო შესატყვისობის გენეზისის გარკვევა შინაგანი რეკონსტრუქციის გზითაც შეიძლება, ვინაიდან დილოურ ენებში შემონახულია ამოსავალი ა. იგულისხმება, რომ საერთო-დილოურში ჩქნ. ~ ხუნძ. ~ ბოთლ.: ლოდ... ა ~ ანდ. ო შესატყვისობის ეკვივალენტად ა გვექნა, რომელიც, ფუძეენის შიგანი დიფერენციაციის შედეგად, ყველგან გადავიდა ო-ში, გარდა საკუთრივ ბეჟიტური დიალექტისა. ა>ო სპონტანური ცვლილება დილოური ენებისათვის უნდა დაწყებულიყო ამოსავალ დიალექტთა ერთიანობის ხანაში ა-ს დავიწროებისა და, შესაბამისად, უკან გადაწევის ტენდენციის მოქმედებით, რომელსაც დასაბამი უნდა დასდებოდა ენობრივი ქმედების ქვეცნობიერ სფეროში [სოსიური 1977 : 392, 379-399]. ეს პროცესი საბოლოოდ ო-ს რეალიზაციით დამთავრებულა.<sup>113</sup>

მასასაღამე, არსებითად სწორად ინტერპრეტირებული შესატყვისობა (შესაბამისად, ა>ო პროცესი) დილოური ფუძეენის დიფერენციაციის დროინდელი მოვლენაა და არა ხუნძურ-ანდიურისგან დილოური

---

<sup>113</sup> დილოურ ენებში ა უკანა წარმოების ჩანს, რასაც გარკვეულწილად ა > ო პროცესი უნდა გაეიოლებინა [ლომთაძე 1994 : 144-146].

ქვეჯგუფის ენათა გამოყოფასთან დაკავშირებული ფაქტი [შდრ. ლომთაძე 1994 : 257].<sup>114</sup>

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზემოსხენებული ორი შესატყვისობის ურთიერთმიმართების კონცეფცია. ერთი და იმავე წინარეფონემიდან იღენტურ ფონოლოგიურ გარემოცვაში ორი განსხვავებული შესატყვისობის ჩამოყალიბების თვალსაზრისის წამოყენება მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. ერთი შესატყვისობიდან, ტრანსფორმაციის გზით, მეორე შესატყვისობის წარმოქმნა ასწნადი უნდა იყოს [შდრ. ლომთაძე 1994 : 257].<sup>115</sup>

ისეთ ვითარებაში, როცა ორივე სახის შესატყვისობისათვის ხუნძურ-ანდიურ ენათა (და არა მართლ მათი) მონაცემები უფრო მეტად ა-ს პოსტულირებას უჭერს მხარს, დიდოურ ენათა დიფერენცირებული შესატყვისობის გენეზისის გასარკვევად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორი გარემოება: ა) ფონოლოგიური პოზიცია და ბ) პროსოდის (resp. მახვილის) თავისებურება.

მართალია, პირველი (ა:ო) შესატყვისობა პოზიციურად თავისუფალია, მაგრამ იგი მეტწილად ანლაუტსა (ისტორიულ ინლაუტსა) და ინლაუტში გვხვდება, ხოლო მეორე რიგის შესატყვისობისათვის უფრო ბუნებრივია აუსლაუტი, თუმცა იგი სპორადულად ინლაუტშიც შეინიშნება. ამ კუთხით ბევრის მოქმედია ის ფაქტი, რომ ორივე შესატყვისობის შემცველი ფუძეები მეორე შესატყვისობას ჩვეულებრივ აუსლაუტში გვიჩვენებენ, მაგ.: ჩენ. ბარზუო ~ ხუნძ. ბაწ (<\*ბაწა) ~ ანდ. ბოწო (<\*ბაწა): ახვ. ბაჭა ~ საკ. დიდ. ბოწი : ჰინ. ბოწე : ხვარ. ბოწა : ინხ. ბოწო : ბეჟ. ბაწო : ჰუნზ. ბაწო „მგელი“...<sup>116</sup>

საფიქრებელია, რომ ამოსავალი ა-ს სხვადასხვაგვარი რეფლექსაციისათვის ეს არ უნდა ყოფილიყო უმთავრესი მიზეზი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრონოლოგიურად ამ რეფლექსთა ურთიერთდაცილება

<sup>114</sup> უნდა გავიზიაროთ ავტორის დებულება იმის შესახებ, რომ ბეჟ. დიალექტის ზოგ მაგალითში („ნაჯახი“, „ოთხი“) ა > ო [ლომთაძე 1994 : 244-246]. ხუნძ. ჰაშ-ტი ~ ანდ. ანჟი-დი : ბავ. ანჟი-თი : ახვ. ანჟი-თე („ნაჯახი“) სახელში იგივე ფუძეა, რაც ბეჟ. ონგ (შდრ. საკ. ხვარ. ჟუნჟ, ჩენ. დიგ „id.“) სახელში [დიუმეზილი 1933 : 19; ბურჭულაძე 1986 : 20]. ბეჟიტურში ამავე მნიშვნელობით დასტურდება ყაყა (ხუნძ. ზ, შ: ბეჟ. ყ, ჟ), რომელშიც უნდა იყოს \*ა დაცული. რაც შეეხება `ოთხს`, მასში ჩვეულებრივ აღადგენენ ო/უ ხმოვნებს [გულავა 1980 : 106; აკიევი 1982 : 110], რაც ნაკლებსარწმუნოა.

<sup>115</sup> ე. ლომთაძის შეხედულებით, ა:ო შესატყვისობისაგან ი:ეა/ო:ო შესატყვისობა ტრანსფორმაციის საფუძველზე წარმოიქმნა [ლომთაძე 1994 : 257].

ჩვენი აზრით, ჰუნზ. \*ა > ა პროცესი \*ა > ო პროცესის თანადროული ჩანს, ოღონდ მახვილით (და, შესაძლოა, პოზიციითაც) განსხვავებული. საულისხმოა, რომ \*ა > ო პროცესი ადილურ ენებში პოზიციურად აისხნება: \*ა - გ > ა - გ [შენგელია 1983 : 658].

<sup>116</sup> ასევეა ზოგ სხვა სახელშიც: „გული“, „ათი“ და მისი.



ინტენსიური მახვილით არის გამოწვეული. კერძოდ, ამოსავალმა მახვილიანმა ა-მ მოგვცა ა:ო შესატყვისობა, ხოლო უმახვილო ა ხმოვანმა კი — ი:ე/ა/ო/ო/ზ.

ზემომოყვანილი მოსაზრება ე. ლომთაძეს გამოთქმული აქვს ბეჟ. ო : ჰუნზ. ჰ ხმოვანთა შესატყვისობის წარმოშობაზე მსჯელობისას [ლომთაძე 1978 : 260]. ეს მართებული დებულება შეიძლება განვავრცოთ მთლიანად დიდოურ ენებზე და დავასკვნათ: საკ. დიდ. ი : ჰინ. ე : ხვარ. ა/ო : ბეჟ. ო /ზ ჩამოყალიბებული ჩანს უმახვილო პოზიციაში, რომელშიც ა ხმოვანს ცვლილების მეტი შესაძლებლობა მოუპოვებოდა.

ისმის კითხვა: როგორ აიხსნება ა-ს ტრანსფორმაცია ერთმარცვლიან მარტივ ფუძეებში, რომლებშიც ანალოგიური შესატყვისობა დასტურდება?

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ამჟამინდელი ერთმარცვლიანი სიტყვები ისტორიულად ორი მარცვლის შემცველი უნდა ყოფილიყო [ცერცვაძე 1959 : 219-221; ლომთაძე 1978 : 259], მაგ.: ხუნძ. წა (<\*წარი, შდრ. ახვ. ჭარი „id.“) ~ საკ. დიდ. წი (<\*წირი) „ცეცხლი“; ხუნძ. წარ (<\*წარი, შდრ. კარ., ახვ. წერი „id.“) ~ საკ. დიდ. ცი (<\*ცირი, შდრ. ბეჟ. ცარი „id.“) „სახელი“ და ა. შ.

უმახვილო პოზიციაში წარმოქმნილი მეორე რიგის შესატყვისობაში სპონტანური ფონეტიკური ცვლილებანი თითოეულ დიდოურ ენას დამოუკიდებლად უნდა განეცადა. ისტორიული \*ა ასე უნდა შეცვლილიყო: საკ. დიდ. ა>ე>ი,<sup>117</sup> ჰინ. ა>ე, ხვარ. \*ა (საკ. ხვარ.), ა>ო (ინხ.), ბეჟ. ა>ო (საკ. ბეჟ.), ა>ა (ჰუნზ.) [შდრ. ლომთაძე 1956 : 82].

ზემოვანხილულ შესატყვისობათა გარდა, გამოიყოფა ერთი ჯგუფის სახელები, რომელთა ფუძისეული თუ აფიქსისეული ა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში არ იცვლება. ბგერათიგივეობით წარმოდგენილი ამ რიგის მაგალითები და მათი მიმართება ზემონაჩვენებ შესატყვისობასთან სპეციალურ ლიტერატურაში

---

<sup>117</sup> ამ პროცესის ყოველი საფეხური გამჭვირვალედ დაჩნდება „ორის“ აღმნიშვნელ სახელში, რაც სავსებით სამართლიანად, ფარინგალიზებულ თანხმოვანთა ზეგავლენას მიეწერება [იმნაიშვილი 1963 : 31]. მიუხედავად ამისა, ეს პროცესი ყველა დიდოურ ენასა და ყოველ ფონოლოგიურ პოზიციაში არ უნდა ყოფილიყო ე. წ. ფარინგალიზებულ თანხმოვანთა მეზობლობით გამოწვეული, რაც სპეციალურ ლიტერატურაში სწორად არის აღნიშნული [ბურჭულაძე 2000 : 245].

რამი აუხსენელია [ცერცვაძე 1958 : 253; ლომთაძე 1978 : 256...],<sup>118</sup> თუ მხედველობაში არ მივიღებთ ა-ს ორი (წინა და უკანა რიგის) სახეობის დაშვების შესაძლებლობას [ბოკარევი 1961 ; 79-80; 1981 : 35; ნიკოლაევი 1978]. ამგვარ სახელებს განეკუთვნება:

1. ხუნდ. წაჟა ~ ანდ. წაა : ბოთლ.: ჭამ.: კარ. წაა : ტინდ. ცაარა : ბავგ. წაჟარა : ახვ. წაარი ~ საკ. დიდ.: ჰინ. ცა : ხვარ. ცა (საკ. ხვარ.), ცა<sup>ნ</sup> (ინხ.) : ბეჟ. ცა<sup>ნ</sup> (საკ. ბეჟ.), ცა (ჰუნზ.) „ვარსკვლავი“.

2. ხუნდ. ლელო <\*ლჟალი (შდრ. ნათ. ლად-ი-ლ) ~ ანდ. ლანი (<\*ლჟანი) : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ. ლანი (<\*ლჟანი) : ჭამ. ლან (<\*ლჟან) : ბავგ. ლანდჟ (<\*ლჟანდჟ) : კარ. ლანდე (<\*ლჟანდე) : ახვ. ლანდი ~ საკ. დიდ. ლ'ჟალი : ჰინ. ლჟალე : ხვარ. ლალა <\*ლჟალე (საკ. ხვარ.), ლ'ანდე <\*ლ'ჟანდე (ინხ.) : ბეჟ. ლდე <\*ლჟალე (საკ. ბეჟ.), ლ'ანდე < ლჟანდე (ჰუნზ.) „ყვავი“.

3. ხუნდ. რაჟი ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ტინდ. რაჟი ~ საკ. დიდ.: ხვარ. რაჟი : ბეჟ. ნაჟი (საკ. ბეჟ.), ნიჟი <\*ნაჟი (ჰუნზ.) „ნიორი“.

4. ანდ.: ბოთლ.: ახვ. ტუქა : ლოდ.: ტინდ. ტუქა : კარ. ტუქჟა ~ საკ. დიდ.: ჰინ.: ხვარ. ტექა : ჰუნზ. ტიგა „ვაცი“.

5. ხუნდ. რატა „ცხოველის წინა ფეხი“ ~ ანდ.: კარ.: ახვ. რეტ'ა : ბოთლ. რელა : ლოდ. ლელა : ჭამ. დელა ~ საკ. დიდ. რეტა : ხვარ. ლეტა (საკ. ხვარ.), ლიტა (ინხ.), ბეჟ. დიტა („სახელო“) „ხელი“, „ხელის მტევანი“.

ამ მაგალითებიდან ზოგი ნასესხობა ჩანს („ნიორი“), ზოგიც ხმაბადვითი სახელი („ყვავი“),<sup>119</sup> რომლებშიც ა, ბუნებრივია, კანონზომიერი შესატყვისობიდან გადახრას გვიჩვენებს.<sup>120</sup> ძალიან ხშირად ა:ა ბგერათიგვივობას S — C პოზიციაში ვხვდებით, მაგრამ ფონოლოგიური გარემოცვით ეს ვერ აიხსნება,

<sup>118</sup> მართალია, აბსოლუტური ბგერათიგვივობის დროს ნასესხობათა გამორიცხვა შეუძლებელია [ბურჭულაძე 2000 : 241], მაგრამ შერეულ (იდეენტურ და არაიდეენტურ) ბგერათშესატყვისობათა პირობებში და თანაც მრავალ მაგალითში ხელშესახებად თავჩენილი ბგერათმიმართების უგულბებლყოფა პრობლემისათვის გვერდის ავლას ნიშნავს [ცერცვაძე 1965 : 32].

<sup>119</sup> „ყვავის“ აღმნიშვნელ ლექსემაში ამოსავალი შეიძლება ე იყოს [ინ. ცერცვაძე 1980 : 230].

<sup>120</sup> საყურადღებო ფაქტია, რომ სპარსულიდან შეთვისებული ჰაზარ „1000“ ანდიურში კანონზომიერი შესატყვისობით (ოზირუ) გვიდასტურდება [გულაფა 1980 : 213], რაც ნასესხობის ფუძეენაში არსებობით უნდა აიხსნას.

რადგანაც ანდ. ჰეკა (<\*ჰეკაჰა, შდრ. ბაგვ., კარ. ჰეკაჰა „კაცი“) დილოურ ენებში წესისდა მიხედვით (ა:ი:ა/ო:ო/ნ) იცვლება. ვფიქრობთ, თითოეულ მაგალითს ცალ-ცალკე გამოწვლილვითი ანალიზი სჭირდება, რაც აქ შეუძლებელია. კვლევის ამ ეტაპზე დადესტნური ფუძემენისათვის შეიძლება ორი თვალსაზრისის წამოყენება: 1) ა:ა ბგერათიგვეობა ჟ წყვილბაგისმიერი სონანტის მომდევნოდ მახვილიან პოზიციაში უნდა იყოს რეალიზებული. ჟ სონანტისა და ო ბაგისმიერი ხმოვნის კოარტიკულაციიდან გამომდინარე, ო>ა ნაკლებად განხორციელდებოდა. სავარაუდოა, სადაც ჟ-# პოზიციაში ა:ო ფაქტია, იქ მახვილის გადაწევისა და, ხშირ შემთხვევაში, ჟ ლაბიალური ელემენტის დაკარგვასთან უნდა გვქონდეს საქმე; 2) თავდაპირველად უნდა არსებულიყო ორი სახის ამოსავალი ა, რომელთაგან პირველი \*ა (პირობითი აღნიშვნით ა<sub>1</sub>) უკანა წარმოების იყო და შედეგად მოგვცა ა:ო შესატყვისობა. ა:ა ბგერათიგვეობაში შემონახული ა, რომლის პროტოტიპი ა<sub>2</sub> შუა (resp. წინა) რიგის ხმოვანი უნდა ყოფილიყო [სოსიური 1977, 408; ტრუბეცკოი 1960, 108-116; ბოკარევი 1981, 34, 36].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ა-ს არაერთგვაროვანი რეფლექსაცია ნახურ ენებშიც იჩენს თავს, თუმცა ა-ს ამგვარი ცვლილებები ამ ენებში პოზიციურად აიხსნება. კვლევის ამ ეტაპზე გრძელი ხმოვნის პოსტულირებას წინააღმდეგობა ხვდება, ვინაიდან, დ. იმნაიშვილის თვალსაზრისით, „...დასაწყისში ხმოვანთა სიგრძე ნახურ ენებში არაფონემატური იყო“ [იმნაიშვილი 1977, 47-50, 170]. ამანაც შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ისტორიულად უნდა გვქონოდა ერთი ა ხმოვანი. მისი რეალიზაცია, ფონოლოგიური პოზიციისდა მიხედვით, განსხვავებული უნდა ყოფილიყო [ტრუბეცკოი 1960, 108 -116; ]. მას შემდეგ კი, რაც ხმოვანთა სიგრძე ფონოლოგიურად რელევანტური გახდა, ორი სახის ა (ა, ა) ჩამოყალიბდა. სავარაუდოა, რომ ქრონოლოგიურად ეს თან სდევდა ნახურ ენათა დიფერენციაციის პროცესს.

რაც შეეხება დილოურ ენათა მონაცემების სხვადასხვაობას, როგორც ირკვევა, მეორეულია და ა-ს არაერთგვაროვანი რეფლექსაცია ამ ენათა ქრონოლოგიურ ღონეზე განხორციელებული პროცესების შედეგი უნდა იყოს. სხვა მონათესავე ენათა მონაცემებთან შედარება ნათელყოფს, რომ ამ შესატყვისობის რეფლექსები მიახლოებით ერთნაირია. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამოსავალი ა-ს რეფლექსთა ნაირგვარობა ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა სინამდვილეში მომხდარი სპონტანური (resp. კომბინატორული) ფონეტიკური პროცესებით უნდა იყოს შეპირობებული.

### 3. 2. \*ი ხმოვნის შესატყვისობანი

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო-ნასურ-დალესტნური \*ი, ამავე ქრონოლოგიური დონის \*ა-სთან შედარებით, ნაკლებად არის სახეცვლილი, თუმცა დილოურ ენებსა და, განსაკუთრებით, ლეზგიურ ენებში როგორც პოზიციური, ისე სპონტანური ცვლილებები განუცდია. კერძოდ, დილოურ ენათა სინამდვილეში იგი წარმოდგენილია შემდეგი რეფლექსებით: დიდ. : ჰინ. : ინხ. დიალ. ე (<\*ი). საკუთრივ დილოურში, განსაკუთრებით მასვილიან პოზიციაში, არაიშვიათად შემონახულია არქექტიპები. ლაკურ-დარგუულ ენებში, როგორც წესი, ამოსავალი \*ი დაცულია. რაც შეეხება ლეზგიურ ენებს, ამ ენებში \*ი ძირითადად ამოსავალ ვითარებას გვიჩვენებს, თუმცა პოზიციურად ხშირად იცვლება. უდიურში ხანდახან \*ი>ე. ამის გარდა, ანდიურ ენებში ამოსავალი \*ი-ს რეფლექსები არაიშვიათად ე-ს სახით არის წარმოდგენილი.

ამრიგად, საერთო-ნასურ-დალესტნური \*ი-ს შესატყვისობის ფორმულა შეიძლება ასე გამოიხატოს:

*	ჩქრ.	ხუნდ.	ანდ.	ახვ.	დიდ.	ხვარ.	ბეჟ.	ლაკ.	დარგ.	ლეზგ.	არჩ.	თაბ.	უდ.
ი	ი	ი	ი/ე	ი/ე	ი/ე	ი/ე	ი	ი	ი	ი	ი	ი	ი/ე

მოვიყვანოთ სულ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითს:

1) ჩქრ.-ინგ. ხიღ : ბაცბ. ხი ~ ხუნდ. ლზინ/-მ ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ახვ. ლზენი : ჭამ.ლზინ, ლზნ : ტინდ. ლზნ : ბავგ. ლზენ : კარ. ლზენ, ლზიმ ~ დიდ. ლი : ჰინ. ლე : ხვარშ. ლა (საკ. ხვარშ.), ლო (ინხ.) : ბეჟ. ლი (საკ. ბეჟ.), ლგ<sup>6</sup> (ჰუნზ.) ~ დარგ. შინ/ჰინ : ლაკ. შინ ~ არჩ. ლზან (<\*ლზინ) : თაბ. შარ (ჩრდ.) <შიდ (სამხრ.) : უდ. ხე „წყალი“.

2) ჩქრ.-ინგ. ნითთ : ბაცბ. ნიტტ ~ ხუნდ. მიჭა ~ ანდ. : კარ. : ახვ. მიჭა : ლოდ. ტინდ. მიჩა : ბავგ. მიჭა : ჭამ. მიწა ~ დიდ. : ჰინ. მეჩა : ხვარშ. მიჩ : ბეჟ. მიც, მიჩ ~ დარგ. მიზ/ნიზ, მიცაი (დიალ. ვარ.) : ლაკ. მიჭ, მეჭ (დიალ. ვარ.) ~ თაბ. მაჩ (\*<მეჩ\* <\*მიჩ) : უდ. მეჭ (\*<მიჭ, შდრ. ხინ. მეჩ „id.“) „ჭინჭარი“.

3) ბაცბ. დითხ ~ ანდ. : ბოთლ. : ლოდ. : ტინდ. : კარ. : ახვ. რიტჰი : ბავგ. რიტჰი ~ დიდ. რელ : ხვარშ. ლილ ~ ლაკ. დიკ : დარგ. დიგ, დიგ (დიალ. ვარ.) ~ ლეზგ. დაქ : არჩ. ატი (<\*ეტი<\*იტი, შდრ. თაბ. დიტი „id.“) : უდ. დეყ „ხორცი“.

4) ჩენ. ვაშა (<\*ვაში) ~ ხუნდ. ჟაცაი (კუს.) ~ ანდ. ჟოცი : ახვ. ჟაცაი ~ დიდ. ესსიჟ : ხვარშ. ის (<\*ისი) : ბეჟ. ისი („და“) ~ ლაკ. უსაუ (<\*უსაი-ასიმინაციით) : დარგ. აცაი ~ კავკ. ალბ. : უდ. ვიჩი : თაბ. ჩი : კრიწ. შიდ „ძმა“...

როგორც შესატყვისობათა მეტ წილში, აქაც შეინიშნება ცალკეული დარღვევები, რომლებიც გამოწვეულია კომბინაციური ფონეტიკური პროცესების ჩარევით და, შესაძარბელ ენათა მიხედვით, მეტნაკლებად განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს, მაგ.:

1) ჩენ. ჩა (<\*ჩე<\*ჩი?) ~ ხუნდ. ცი ~ ანდ.სედი : ბოთლ. : ბაგვ. : კარ. სი<sup>6</sup> : ლოდ. სიჰი<sup>6</sup> : ჭამ. სეჰი<sup>6</sup> <სიჰი (შდრ. ჰიჰ. სინი) : ტინდ. სჲ<sup>6</sup> : ახვ. შინ ~ დიდ. ზედ : ჰინ. : ხვარშ. ზე : ბეჟ. სი<sup>6</sup> (ჰუნზ. სე) ~ ლაკ. ცუშა : დარგ. სიქა ~ ლეზგ. სევ : რუთ. სი : უდ. შუჟე „ლათვი“.

2) ჩენ.-ინგ. წი : ბაცბ. წიგ ~ ხუნდ. ბი ~ ანდ. : ახვ. ჰინი ~ დიდ. იდო : ხვარშ. იყჟა : ბეჟ. ჰი<sup>6</sup> (\*<ჰინ) ~ დარგ. ბი ~ ლეზგ. ვი : არჩ. ბი : თაბ. იქი : უდ. ჰი „სისხლი“...

პირველ მაგალითში არ ჩანს მიზეზი, თუ რატომ მოხდა \*ი-ს პოზიციური დავიწროება იმიტომ, რომ ამოსავალი ფუძე თავდაპირველი სახით არ შემონახულა. ამ მხრივ ლაკური და უდიური მონაცემებიც უცნაურობას ავლენენ: \*ი>უ პროცესისთვის, რაც ლაბიალიზაციას გულისხმობს, სათანადო ფონოლოგიური პირობები ამ ფუძეში არ გვაქვს. რაც შეეხება მეორე ლექსემას, ნახურ ენათა იდენტური შესატყვისობა სავსებით კანონზომიერია, თუმცა შესაძლოა ნახურ ენათა მონაცემი სხვა ფუძეც იყოს.

როგორც ცნობილია, წინა რიგის, მაღალი აწეულობის ი მკვიდრად ფესვგადგმულია საკვლევ ენათა სინამდვილეში, იგი ფუნქციონირებს სიტყვის ყოველგვარ ფონოლოგიურ პოზიციაში, დასტურდება ძირეულ ლექსიკაში და ავლენს კანონზომიერ შესატყვისობებს, რაც გვაძლევს საფუძველს მისი არსებობა დავუშვათ ნახურ-დაღესტურ ენათა ერთიანობის ხანაში.

### 3. 3. \*უ ხმოვნის შესატყვისობანი

გარკვეული ალბათობით შეიძლება აღდგენილ იქნეს საერთო-ნახურ-დალესტნური \*უ, რომელიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგ დალესტნურ ენაში (ბეჟ., არჩ., უდ.) მის გაფართოებასა და კომბინატორულ ცვლილებებს, უპირატესად ფონემათიგვიგობით არის წარმოდგენილი. ყურადღებას იქცევს დარგულის ზოგი შესატყვისი, რომლებშიც თავჩენილი ა მიღებული ჩანს გაფართოების საფუძველზე და ლატენტურ საფეხურად იგულისხმება ო: \*უ>ო>ა.

შესატყვისობის საერთო სავარაუდო ფორმულა, რომლის საფუძველზედაც ხდება \*უ-ს პოსტულირება ნახურ-დალესტნურ ფუძეენაში, ასეთ სახეს მიიღებს:

*	ჩქრ.	ხუნძ.	ანდ.	ახვ.	დიდ.	ხვარ.	ბეჟ.	ლაკ.	დარგ.	ლეზგ.	არჩ.	თაბ.	უდ.
უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ/ო	უ	ა/უ	უ	უ/ო	უ	უ/ო

1) ჩქნ. : ინგ. : ბაცბ. კურ ~ ხუნძ. კაუდ, კაუ ~ ანდ. კაუოდ, კაოდ : კარ. : ახვ. კაჟინ : ტინდ. კაუნდ ~ დიდ. : ხვარშ. გუტ : ჰინ. ქუტი : ბეჟ გოტ ~ დარგ. ქავ, გავ, კავ : ლაკ. პურკუ ~ ლეზგ. გუმ : თაბ. : ად. ქუმ : რუთ. ნუმ : უდ. კუდჟნ : წახ. ქუმა „კვამლი“, შდრ. ქართ. კუამლ- : მეგრ. კუმა „id.“.

2) ჩქნ. დ-იყ ~ ხუნძ. უნყ-გო ~ ანდ. ბოყო-გუ (<\*ბოყჟე-გუ) : ბოთლ. ბულუ-და : ლოდ. ბულუ-და : ჭამ. ბოყუ-და (ლიდ.ბულუდა) : ბავ. ბოყუ-რა : ტინდ. ბულ-და : კარ. ბოყუ : ახვ. ბოყო-და-ბე ~ დიდ. უყყჟე-ნ : ჰინ. უყი-ნო : ხვარშ. უნყი-ნ (<\*უნყი-ნ) : ბეჟ. რწყრ-ნ <\*ნწყრ-ნა (ჰუნხ. ოყე-ნ) ~ ლაკ. მუყჟა : დარგ. ალალ <ულალ (ჰაიდ.) ~ ლეზგ. ყუდ <\*უყუდ (შდრ. კრიწ. დუყუდ „id.“) : თაბ. დუყუგ : ბუდ. დუყურ „ოთხი“.

3) ბაცბ. კუდტ(\*<კიტუ) ~ ხუნძ. ქეთუ ~ ანდ. : ლოდ. გელუ : ჭამ. ჭეტა <\*ჭეტუ (შდრ. ლოდ. ჯედუ) : ტინდ. გილუ : ბავ. ქითუ : ახვ. ქეთუ ~ დიდ. : ჰინ. კეტუ : ხვარშ. კიტუ : ბეჟ. გელო (<\*გიდუ) ~ ლაკ. ჩჩითუ : დარგ. ქათუ ~ არჩ. : თაბ. გათუ „კატა“.

4) ჩქნ.-ინგ. მუჟ ~ ხუნძ. ოჟ (<\*უჟ) ~ ახვ. უნჟა ~ დარგ. მუჟი ~ ლეზგ. : თაბ. მუხ : უდ. მუ „ქერი“.

5) ჩქნ. : ინგ. : ბაცბ. დუყ ~ ხუნძ. რუტი ~ ანდ. რუტიჟ : ლოდ. : ჭამ. : ახვ. რუტიჟ : ტინდ. რუტიჟა : ბავ. რუტიჟ : კარ. რუტიჟე ~ ხვარშ. რილ'ო : ბეჟ. დ/რუტიჟო (ჰუნხ.რუტიჟე) ~ ლაკ. რუკ : დარგ. დუკ ~ არჩ. ოტიჟ : უდ. ოყ „უღელი“.

6) ჩვენ. ტულგ ~ ხუნდ. ტურუ ~ ანდ. ტური ; ბოთლ. ტუდი : ლოდ. ტულუ : ჭამ. ტოდ : ბავკ. ტორ : ~ ლიდ. ლულ : ხვარშ. ლურ ~ დარგ. ლურ ~ რუთ. ყულ „ქვა“, „კლდე“...

ისტორიულად ე. წ. ნახევარხმოვანი ჭ, რომელიც კლასის ექსპონენტის ფუნქციასაც ასრულებდა, სონანტს წარმოადგენდა და მას ალოფონად უ მოეპოვებოდა. სწორედ ამ უ-ს არსებობა უნდა ვივარაუდოთ ნახურ-დაღესტნურ ენათა ქრონოლოგიურ დონეზე. იგი ინტერკონსონანტურ პოზიციაში რეალიზდებოდა უ-დ, ხოლო ხმოვანთა მეზობლად გვევლინებოდა როგორც ჭ, მაგ. :

ხუნდ. ყურაბ (ზაქ.) ~ ბოთლ. ბეყუ : ჭამ. ყურაბ : კარ. ყორაბ : ახვ. ყაჟარადა (sic!) ~ პინ. ვუსსუ : ხვარშ. ვოსსუ : ბეჟ. ვუსსუ „ვიწრო“.

ხუნდ. წაჟიზე (შდრ. წუი! — გამოწურე!) ~ ანდ. წურუ : ბოთლ. წურუნ : ლოდ. ცაურდი : ჭამ. წაუდილა : ტინდ. ცაუილა „წურვა“ და მისთ.

ამრიგად, ნახურ-დაღესტნურ ფუძეენაში რეკონსტრუირდება სამი ხმოვანი: ა, ი, უ. სპეციალური ლიტერატურისა და დამატებითი ლინგვისტური მასალის ანალიზით ირკვევა, რომ საკვლევ ენათა ერთიანობის ხანისათვის ორი ა-ს (ნახ. ა—ჰ, ლოდ. ა—ჰ) აღდგენის პრობლემა სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ხერხდება თეორიულად ნავარაუდები ხმოვანთა ამ კორელატების გაერთმნიშვნელობა და საერთო არქეტაპებზე დაყვანა. ო გვიან ჩამოყალიბებული ხმოვანი ჩანს. მოგვიანებით წარმოქმნილი უნდა იყოს ე-ც, რომელიც შეიძლება აღდგენილ იქნეს ცალკეულ ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში, მაგრამ მის პოსტულირებას საერთო-ნახურ-დაღესტნურ ენაში წინააღმდეგობა ხვდება (ეს საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს). რაც შეეხება ხმოვანთა სხვა სერიებს (გრძელი, ნანალიზებული, ფარინგალიზებული, პალატალიზებული...), მათი აღდგენა ნახურ-დაღესტნურ ფუძეენაში ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

## III თავი

### მასვილი

#### 1. მასვილის დეფინიცია და სახეები

მასვილს სხვადასხვაგვარად განმარტავენ [ახვლედიანი 1966 : 126; ეშს 1972 : 95...]. მასვილი არის ამა თუ იმ ხმოვნის არტიკულაციის თავისებურება, რომელიც მჟღავნდება ტონურობით, დინამიკურობითა და გრძლიობით. ცალკეული მარცვლის, სიტყვისა თუ ფრაზის წარმოთქმისას ინტონაციურ ელფერს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი მეტყველებას უფრო ერთიანს ხდის და მას თავისებურ ტკბილხმოვნობას აძლევს .

ჩვეულებრივ ღვაას იწვევს ის გარემოება, რომ „ენაში არ გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ დინამიკური ანდა ტონური მასვილი, არამედ ჭარბობს ერთ-ერთი მათგანისათვის დამახასიათებელი მომენტები“ [ჩიქობავა 1952 : 160]. მართალია, მიუთითებენ პოლონური ენის მუსიკალური მასვილის „სიწმინდეზე“, მაგრამ „...ბგერათრადნობითი მასვილი წმინდა სახით ჯერჯერობით არც ერთ ენაში არ არის წარმოდგენილი, ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ კვანტიტატიურ მასვილზე ჩვეულებრივ არ საუბრობენ“ [ზინდერი 1979 : 262].

ამრიგად, ლინგვისტური მასვილის ძირითადი ნაირსახეობებიდან (დინამიკური, ტონური) წმინდა სახით არც ერთი მათგანი არ მოგვეპოვება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ სახეობას, რომელიც მეტი სიმკვეთრითა და ღომინანტობით გამოირჩევა.

#### 3. 1. მასვილი ნახურ ენებში

##### 3. 1. 1. მასვილის ბუნება და ადგილი

მასვილის პრობლემა ნახურ ენებში თითქმის შეუსწავლელია. მასვილის შესახებ მწირი ცნობები მოიპოვება დ. იმნაიშვილისა (იმნაიშვილი 1977) და რ. გაგუას ნაშრომებში (გაგუა 1983). დ. იმნაიშვილის ნაშრომთან შედარებით რ. გაგუას ნაშრომი სიასლით თითქმის არ გამოირჩევა, თანაც რ. გაგუას ნაშრომში საკითხთან დაკავშირებული საილუსტრაციო მასალაც უფრო ნაკლებად არის მოხმობილი.

აღსანიშნავია, რომ მასვილის შესახებ არ მსჯელობენ ნახურ ენათა ისეთი ცნობილი მკვლევარები, როგორებიც არიან ი. ლეშერიევი, ნ. იაკოვლევი, ი. არსახანოვი, ი. ალიროევი, კ. ჭრელაშვილი, ა. თიმაევი და



სხვები. მახვილის შესახებ არაფერია ნათქვამი უახლეს გამოკვლევებში, რომლებიც ნახური ენებისადმი მიძღვნილი.

ზემოთ დასახელებული ლიტერატურის მიხედვით, ნახურ ენებში გვაქვს სუსტი ლინამიკური მახვილი. მისი ადგილი, დ. იმნაიშვილის ნაშრომის მიხედვით, ჩეჩნურსა და ინგუშურში უფრო ფიქსირებულია, ვიდრე წოვათუშურში. გარდა ამისა, მახვილიანი ხმოვანი ბაცბურში (წოვათუშურში), ჩეჩნურ-ინგუშურ მახვილიან ხმოვნებთან შედარებით, უფრო გამოკვეთილია. ნათელი არ არის, თუ რას ნიშნავს „უფრო ფიქსირებულია“ ან „უფრო გამოკვეთილია“. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ნახურ ენათაგან ბაცბურში გრძელი ხმოვნები, გრძელი ა-ს (ა) გარდა, არა გვაქვს, ხოლო ჩეჩნურ-ინგუშურში ხუთივე სადა ხმოვანს ან დიფთონგს ეძებნება გრძელი კორელატები. ჩვენი აზრით, ჩეჩნურ-ინგუშურში გრძელი ხმოვნების არსებობით არის მახვილის საკითხი დაჩრდილული, აღნიშნული ფაქტის გამო მახვილი სათანადო ყურადღების გარეშე არის დაჩრდილილი.

ჩეჩნურსა და ინგუშურში ორ და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილი მოუძის პირველი მარცვლის ხმოვანს, ასე, მაგალითად:

სახ. დაბმა „ფქვილი“	დაბლა „ფურირემი“	აბლვანჩ „შოშია“
ნათ. ლებმ-ა <sup>ნ</sup>	ლებლ-ა <sup>ნ</sup>	აბლვანჩ-ა <sup>ნ</sup>
მიც. ლებმ-ა-ნა	ლებლ-ა-ნა	აბლვანჩ-ა-ნა
ერგ. ლებმ-ჟრ	ლებლ-ჟრ	აბლვანჩ-ჟრ...
ძრ. რ. ლებმ-ან-აშ	ლებლ-რ...	

ან კიდევ სახელები ფუძისეული გრძელი ხმოვნებით:

სახ. ჭანბრა „თევზი“	ქჟრბრთამ „ქათამი“
ნათ. ჭენბრ-ა <sup>ნ</sup>	ქჟრბრთამ-ა <sup>ნ</sup>
მიც. ჭენბრ-ა-ნა	ქჟრბრთამ-ა-ნა
ერგ. ჭენბრ-ჟრ	ქჟრბრთამ-ჟრ...
ძრ. ჭენბრ-რ	ქჟრბრთამ-აშ

მოვიყვანოთ სხვა მაგალითებიც:

სახ.	ნათ.	მიც.	ერგ.
ჰაბვა „ღორი“	ჰაბვ-ი <sup>ნ</sup>	ჰაბვ-ი-ნა	ჰაბვ-ჟრ...
ქჟრბრთა „თავი“	ქრბრთ-ა <sup>ნ</sup>	ქრბრთ-ა-ნა	ქრბრთ-ჟრ...
ზარზარ „ბულბული“	ზარზარ-ა <sup>ნ</sup>	ზარზარ-ა-ნა	ზარზარ-ჟრ...

ლობხანიგ „დაბლი“	ლობხა-ჩუ <sup>6</sup>	ლობხა-ჩუნ-ნა	ლობხა-ჩუ <sup>რ</sup> ...
ღიტქანიგ „კარგი“	ღიტქა-ჩუნ	ღიტქა-ჩუნ-ნა	ღიტქა-ჩუ <sup>რ</sup> ...
ინფინ.	აწმყო	ნამყო უახ.	ნამყო განსაზღ. ნამყო განუსაზღ.
სატც-ან <sup>6</sup> „გაჩერება“	სოტც-უ	სეტც-ი	სეტც-ი-რა სეტც-ნა (<სეტც-ი-ნა)
პბლ-ან <sup>6</sup> „თქმა“	რბლ-უ	ნბლ-ი	ნბლ-ი-რა პბლლა (<პლ-ნა<ნლ-ი-ნა)
ღიტგ-ან <sup>6</sup> „წაყვანა“	ღუბგ-უ	ღიტგ-ი	ღიტგ-ი-რა ღიტგ-ი-ნა...

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ნახურ ენებში ინტენსიური, არაფიქსირებული მახვილის არსებობის ფაქტად მიჩნეულია ერთადერთი მაგალითი, ერთი მხრივ, ჩეჩნურ-ინგუშურში და, მეორე მხრივ, ბაცბურში. შღრ.: კანათ „ვაჟი, ბიჭი“ (ჩეჩნური ენის ჭებერლოური დიალექტი), კანთ (<კანათ) (ჩეჩნური ენის ბარის კილო, იგივე სალიტ. ენა) და კანთ (ბაცბური). ამ განსხვავების მიზეზად სახელდება მახვილი: ჩეჩნურ-ინგუშურში მახვილი იყო პირველ მარცვალზე, ბაცბურში - მეორე მარცვალზე.

ჩვენი მხრივ დავამატებლთ ორიოდ მაგალითსაც. შღრ.:

ფალას (დიალ ვარ.) - ფალს „ფარდაგი“

ირაზ (დიალ. ვარ.) - ირს „ბელი“

მახვილთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევენ ნასესხები სიტყვებიც. ასე, მაგალითად, ზოგ ნასესხებ სიტყვაში მახვილიანი მარცვლის მომდევნო მარცვლებში არსებული ა, ი, უ ჩეჩნური ენის ბარის დიალექტში რელუცირდება. შღრ.:

ჩაბმლა (< ჩამდან) (შღრ., რუსული чeмoдaн);

ფეტშქჟ (< ფატშიქ) (შღრ., რუსული ящик)...

შღრ. აღმოსავლური ენებიდან ნასესხებ სიტყვები:

ლუბდალჟ (<ლუდალჟ) „საზიდარი, ოთხთვალა“; ლუბრჟ (<ლურუჟ) „ჭოკი“; კაბრხ „წულა, ჩუსტი“...

ამ მაგალითებში მახვილის ზემოქმედებით ხმოვანთა რელუქცია ხდება.

ხმოვანთა რელუქციას ადგილი აქვს სიტყვაწარმოებაშიც. მაგალითად, -იგ სუფიქსიან არსებით სახელთა ბრუნებისას იკარგება აღნიშნული სუფიქსის ხმოვანითი ნაწილი. შღრ., ჩეჩნური:

სახ. ციც-იგ „კატა“

ნათ. ცის-ქ-ან (დიალ. ვარ.) (<ციცქან<ციცგან<ციც-იგ-ან)

სახ. ბუფ-იგ „პური“; ღეჩ-იგ „შეშა“

ნათ. ბაფ-ქ-ან (<ბაფ-გ-ან<ბაფ-იგ-ან); ღეჩ-ან...

ამავე რიგისაა: წიგ „რკინა“ (ნათ. შგან); ჟიჟიგ „ხორცი“ (ნათ. ჟიჟგან ღთაღ. ვარ.)...

საფიქრებელია, რომ საანალიზო მაგალითებში ი-ს რელექცია გამოწვეული იყოს მახვილით, რომელიც ოლესლაც ფლექსიის ხმოვანზე მოდიოდა (იმნაიშვილი 1977 : 19). აღნიშნული მოსაზრება მტკიცდება ბაცბური ენის მონაცემებით, სადაც ანალოგიურ შემთხვევებში მახვილი მოუღის ფლექსიის ხმოვანს და კუმშავს წინა მარცვალს. ამის მაგალითებია:

სახ. გაბგა<sup>5</sup> „კვერცხი“ ბადღერ „ბავშვი“

ნათ. გაგნე<sup>6</sup> (<გაგანენ) ბადრე<sup>6</sup> (<ბადერენ)

სახ. გაგნი<sup>6</sup> (<გაგანი<sup>6</sup>) (მრ. რ.) ბადრი<sup>6</sup> (<ბადერი<sup>6</sup>) (მრ. რ.)...

ასეთია მახვილთან დაკავშირებული ზოგადი სურათი ნახურ ენებში. მახვილის პრობლემის დამუშავება აღნიშნულ ენებში საწყის ეტაპზეა და ამ მიმართულებით კვლევა მომავალში, ალბათ, არაერთ საინტერესო მომენტს გამოავლენს.

### 3. 2. მახვილი ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში

#### 3. 2. 1. მახვილის ბუნება და ადგილი

ჩვენს ხელთ არსებული სათანადო ემპირიული მასალის ანალიზი და სპეციალური ლიტერატურის განხილვა გვარწმუნებს, რომ ამჟამად ხუნძურ-ანდიურ ენებში სიტყვათმახვილი მეტწილად სუსტი დინამიკურია.<sup>121</sup> მასთან, ძირითადად არაფიქსირებულია და ზოგ ენაში დისტინქციური ფუნქციის მქონეც არის. კერძოდ, ხუნძურში მას აქვს სემანტიკური ფუნქცია,<sup>122</sup> მაგ.: რაჭრ „ალაფი“ – რაჭი „სიტყვა“, მჭრულ „მთები“ – მუჭრულ „მთების“ და სხვ. მისთ.

ხუნძურ ენაში, ანდიურ-დილოური ენებისაგან განსხვავებით, მახვილი მნიშვნელოვანწილად ძლიერია [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 24], რაც ისტორიული სინამდვილის ამსახველი ჩანს. სიტყვათმახვილის მიხედვით,

<sup>121</sup> ცალკეულ ენებში (მაგ., ანდიურში) იმდენად სუსტია, რომ ზოგი მკვლევარი სიტყვათმახვილის არსებობას ანდიურ-დილოურ ენებში საერთოდ უარყოფს და გამოყოფს მარცვლის ტონს [კიბრიკი, კოძასოვი 1990 : 321-331]. ანდიური მახვილი, სისუსტის გამო, ხშირად ითქვიფება ფრაზის მახვილში [ცერცვაძე 1965 : 26]. სიტყვათმახვილის გარეშე ენა არ არსებობს [ახვლედიანი 1999 : 138], ამიტომ ვერ გავიზიარებთ თვალსაზრისს ოდენ ტონური მახვილის არსებობის შესახებ (ამ საკითხს ექსპერიმენტულად შესწავლა სჭირდება).

<sup>122</sup> ხუნძურის გარდა, მახვილი ფონოლოგიურად რელევანტურია ბოთლიხურში, ჭამალურში, ჰინუხურში, ტინდიურსა და ლოღობერიულში [გუდავა 1953 : 336; 1963 : 18; 1971 : 10; საიღვა 1973 : 39; მაპომეღვა 1981 : 103].

ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან სხვა ენებიც. საგულისხმო ჩვენებას გვაწვდის ჭამალური ენა, რომელშიც ძლიერი და სუსტი მახვილის დაპირისპირება რელევანტურია [მაჰომელოვა 1981 : 103]. ჩვენი ვარაუდით, ეს უნდა ასახავდეს მახვილის დასუსტების გარდამავალ საფეხურს, როცა ხდება არქაულის შენარჩუნება და მის გვერდით ახალი მოვლენის გაჩენა. გარდა ამისა, დასტურდება მუდმივადგილიანი და ცვლადდგილიანი მახვილი, რაც ამ ენათა მახვილის ზოგადი ნიშანია.

დიდოურ ენებშიც თავისი რომელობით სუსტი დინამიკური, არაფიქსირებული სიტყვათმახვილი გვხვდება [შდრ. ვან ლენ ბერგი 1994 : 363]. იგი ლისტინიკური ფუნქციას მოკლებულია, თუმცა ინხოყვარულ და საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტებში მიკვლეულია ცალკეული ფაქტები მისი ფონოლოგიზაციისა [ლომთაძე 1984 : 135].

ხუნძურ ენაში მახვილის ადგილი განისაზღვრება თავიდან პირველი ან მეორე მარცვლით [მიქაილოვი 1958 : 144; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 25; დე 2000: 438], თუმცა მიუთითებენ მესამე და მეოთხე მარცვლის მახვილზედაც [ისაყოვი 1981 : 87], მაგ.: ჰაბილარო „არ გააკეთებ“, შექერილარო „არ გავიქცევი“... ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ტ. გუდავას ერთ-ერთ სტატიაში [გუდავა 1967 : 134-137] დამოწმებული ჭირკეული თქმის ფორმები, რომლებშიც მახვილის გადაწევის შემთხვევები თვალნათლივ წარმოჩნდება, მაგ.: ყრტულუბ „მჭრელი“, შდრ. ყოტულარებ „არამჭრელი“, ყრტილუბ „საჭრელი“, შდრ. ყოტილარო „არ გაჭრის“ და მისთ.

ანდიურ-დიდოურ ენებში მახვილის ადგილი ფიქსირებული არ არის – იგი შეიძლება ეცემოდეს ნებისმიერ მარცვალს სხვადასხვა სილაბური სტრუქტურის ლექსემებსა და გრამატიკულ ფორმებში. მასთან, სიტყვათმახვილის ადგილი ერთგვარად სიტყვის სემანტიკით და ფორმითაც ჩანს შეპირობებული [იმნაიშვილი 1963 : 22; მაღიევა 1965 : 33; გუდავა 1971 : 10-11; მაჰომელოვა 1981 : 104].<sup>123</sup> ვფიქრობთ, რეალურ ვითარებას ვერ ასახავს გ. მაღიევას მოსაზრება კონტექსტისდა მიხედვით მახვილის ადგილის გადანაცვლების შესახებ ბეჟიტურში [მაღიევა 1965 : 33]. ავტორი შესაბამის ფორმათა არაზუსტ ფიქსაციას ახდენს (არის აქრჭარ – უნდა იყოს ა' ქიჭარ),<sup>124</sup> რასაც იგი მცდარ განზოგადებამდე მიჰყავს.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: ამ მხრივ, ისტორიულად რა ვითარება უნდა ყოფილიყო?

მახვილის ადგილის თვალსაზრისით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ მოდიფიკაციებს, ანდიურ-დიდოური ენები არსებითად ისტორიულ ვითარებას ასახავენ. ხუნძურში მახვილის მიდრეკილება – დამკვიდრდეს თავიდან ორი მარცვლის ფარგლებში – ინოვაციად უნდა იქნეს მიჩნეული ისევე, როგორც ანდიურ-დიდოურ

<sup>123</sup> არა მარტო სხვადასხვა ენები, არამედ ერთი ენის დიალექტები, თქმები და იდოლოქტიც კი (sic!) განსხვავებულად წარმოგვიდგენენ მახვილის ადგილს [გუდავა 1953 : 335], რასაც ექსპერიმენტულად შესწავლა სჭირდება.

<sup>124</sup> იხ. ხალილოვი 1995 : 52.

ენებში სუსტი მახვილი.

შ. მიქაილოვის მტკიცებით, თავდაპირველად ხუნძურში მახვილის ლოკალიზაცია მომხდარა თავმარცვალზე, ხოლო მოგვიანებით, მორფონოლოგიური პროცესების შედეგად, მახვილს გადაუწვია მეორე მარცვალზე [მიქაილოვი 1958 : 123], რისი გაზიარებაც ჭირს [იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 28].

მართალია, ისტორიულად უნდა ყოფილიყო ორმარცვლიან სახელთა ერთი წყება, რომლებსაც ინტენსიური მახვილი პირველ მარცვალზე მოუდიოდა, რასაც უნდა გამოეწვია უკანამავალი მარცვლის მოკვეცა, მაგ.: ცერ < \*ცერი (შდრ. ბოთლ., ლოდ., ტინდ. სარი ~ საკ. დიდ. ზერუ) „მელა“, წარ < \*წარი (შდრ. ბოთლ., კარ., ახვ. წერი ~ ბეჟ. ცარო) „სახელი“... მიუხედავად ამისა, უნდა გვქონოდა მეორე მარცვალმახვილიანი სახელებიც, რომელთაგან ზოგს იმთავითვე მეორე მარცვალზე ეცემოდა მახვილი (ბეტერ „თავი“, ჰოწარ „თაფლი“...), ხოლო ზოგმა კი მოგვიანებით მიიღო იგი [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 28].

დღესდღეობით ანდიურ-დიდურ ენათა მეტ წილში შეინიშნება ტენდენცია მახვილის ლოკალიზაციისა პირველ ან მეორე მარცვალზე, რომლებიც უპირატესად დახურულია [ცერცვაძე 1965 : 26; გუდავა 1986 : 173; ხალილოვი 1995 : 394; დე 2000 : 349, 392]. ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ ხუნძურში ხსენებული პროცესი ძირითადად დასრულებულია, თუმცა შეიმჩნევა მესამე და, იშვიათად, მეოთხე მარცვალმახვილიანი მაგალითებიც [ისაყოვი 1981 : 87].

### 3. 2. 2. თანამახვილი

დიდურ და ლოდობერიულ ენებში მიუთითებენ თანამახვილის არსებობაზე [საილოვა 1973 : 37; ლომთაძე 1984 : 81-83]. თანამახვილი ლოდობერიულ ენაში სამ- და მეტმარცვლიან სახელებს მრავლობითობის წარმოებისას მოუდის. ძირითადი მახვილი ეცემა მისთვის ჩვეულ მეორე მარცვალს, ხოლო თანამახვილი (სუსტად გამოხატული) კი მოეპოვება აფიქსისეულ ხმოვანს, მაგ.: ლაღჭა „მოზვერი“ – მრ. ლაღჭა-ბე, ჟოჭუნამა „პაპა“ – მრ. ჟოჭუნამა-ბე და სხვ.

დიდურ ენებშიც ლოდობერიულის ანალოგიური ვითარება გვაქვს იმ განსხვავებით, რომ ძირითადი მახვილი თავმარცვალს მოუდის, ხოლო თანამახვილი – ბოლოდან პირველ ან მეორე მარცვლის ხმოვანს, მაგ.: საკ. დიდ სემორა-ბი „ნუნები“, ბაზარდორ „ბაზარში“ (მიმართულება); ხვარ. წალიდა-ჰა „კითხულობს“, ჟუალარ „ვაჟიშვილთან“ და სხვ. მისთ.

ე. ლომთაძე ვარაუდობს, რომ ბოლოკიდური მარცვლის თანამახვილი ისტორიულად მეორე მარცვლის

კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რაც არსებითად სწორია. ამ მხრივ გადახრას გვიჩვენებენ კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი კომპონენტები ინარჩუნებენ ძირითად მახვილს [ლომთაძე 1984 : 83], მაგ.: ჰუნზ. შუგოსერიდო „ცხენი“ (შდრ. ბეჟ. შუგოშოჟუბ „id.“, შუგო 1. „ცხენი“; 2. „ჭაკი“; შოჟუბ < სოჟუბ „ცხენი“).<sup>125</sup>

ტ. გუდავას მახვილგონივრული დაკვირვებით, ხუნძურში ფუძეგაორმაგებულ ხმაბადვით (resp. პიქტორულ) ზმნებს მახვილი თავმარცვალზე მოუდით, თუმცა ანალოგიური სტრუქტურის სხვა ზმნებს მახვილი თავიდან მეორე მარცვალზე აქვთ [გუდავა 1967 : 546], მაგ.: ბაბაზე „ენაბლუობა“, „ენისკიდება“ – ბაბაზე „ხშირად დარტყმა“...

ივარაუდება, რომ თავდაპირველად თითოეულ კომპონენტს თავ-თავისი მახვილი მოეპოვებოდა, მაგრამ მოგვიანებით, ორივე კომპონენტის ერთ მთლიან ოდენობად აღქმის შემდეგ, თანამახვილი პირველ შემთხვევაში თავმარცვალზე დამკვიდრებულა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – მომდევნოზე. ამის ნათელ ილუსტრაციად შეიძლება ჩაითვალოს კაუზატიური ზმნები, რომლებიც აგრეთვე კომპოზიტური აგებულებისანი (ძირითადი ზმნა+ჰაბიზე „კეთება“) არიან. მახვილი მათ ან ძირითადი ზმნის თავმარცვალზე დაესმის (ყოტიზაბიზე „გაჭრევენება“, „ლაჩხევენება“), ანდა მეორე კომპონენტის თავმარცვალზე (ყოტიზაბიზე „id.“).<sup>126</sup>

ზემომოყვანილი მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ხუნძური ენის დიალექტებში მახვილი ადგილის მიხედვით რყევას განიცდის.<sup>127</sup> ეს კი გვაფიქრებინებს, რომ რთული ფუძეების შემცველი ზმნებიც და სახელებიც თანამახვილის მქონენი არიან. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ისეთი ფუძეგაორმაგებული ზედსართავი სახელები, რომელთა უშუალოდ შემადგენელ კომპონენტებს თავ-თავისი მახვილი (პირველს – ძირითადი, მეორეს – თანამახვილი) აქვთ [ისაყოვი 1981 : 95], მაგ.: ბერცი-ბერცინალ „ლამაზ-ლამაზები“, კუდრ-კუდრდალ „დიდ-დიდები“ და მისთ.

### 3. 2. 3. მახვილის მოქმედებით გამოწვეული ფონეტიკური ცვლილებები

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა დიფერენციაციის წინა პერიოდის მახვილი რომ ინტენსიური იყო, ამას ცხადს ხდის ხმოვანთა რელექციის ხელშესახები ფაქტები.

<sup>125</sup> მ. ხალილოვის ლექსიკონში, რომელშიც მახვილი ყველა სიტყვა-ფორმას დაესმის, ამგვარ კომპოზიტებში თანამახვილი აღნიშნული არ არის, მაგ.: შუგოშოჟუბა 1. „ზეითად“ (ძვ. ქართ. „მეკედრ“). შეუძლებელია, ამ ხუთმარცვიან სახელს თანამახვილი არ ახლდეს [ხალილოვი 1995 : 287], შდრ. ბეჟ. ჰალყალუ „შესახებ“ [მაღიევა 1965 : 33].

<sup>126</sup> ხუნძურ-რუსულ ლექსიკონში მახვილი თავკიდურ მარცვალზეა დასმული [საილოვი 1967 : 289].

<sup>127</sup> ი. ისაყოვი [ისაყოვი 1981 : 89] და მ. საილოვი [საილოვი 1967 : 43], რომელთათვისაც ხუნძური მშობლიური ენაა, მახვილს ზოგჯერ სხვადასხვა ადგილას სვამენ, მაგ.: ბაჭარბაყულ ზედმიწ. „წითელმზიანი“ (შდრ. ბაჭარბაყ „ნათელი მზე“)...

ხუნძურში დასტურდება ფუძისეული ხმოვნის რელექცია, რაც წინამავალ მასვილს უნდა გამოეწვია, მაგ.: ნ'ეს-გო < \*ნ'ესა-გო (შდრ. ანდ. ბემონუ-გუ) „ასი“, უნყო < უნყ-გო < \*უნყო-გო < \*ბუყო-გო (შდრ. ანდ. ბო'ყო-გუ) „ოთხი“, ყუნყრა < \*ყუნყრა (შდრ. ლოდ. ყურყამა) „წერო“, მრტო-გო < \*მრტოი-გო (შდრ. ანდ. ბეტოი-გუ) „რვა“ და სხვ.

რიგ შემთხვევაში კლასის პრეფიქსული ექსპონენტების მოშლა უნდა უკავშირდებოდეს მათი ფუძესთან დამაკავშირებელი ხმოვნის რელექციას, რასაც, ჩანს, მისი უკანამავალი მარცვლის მასვილი იწვევდა [შდრ. აკი ე-ვი 1982 : 103], მაგ.: ხუნძ. ვუეზე < \*ბუე-ე-ზე < \*ბი-ვუე-ე-ზე (შდრ. ხვარ. ბი-ხუ-ა-და „id.“) „დაკვლა“, ხუნძ. წუნა < \*ბწუნა < \*ბე-წუნა (შდრ. ახვ. ბე-ჭარი „id.“) „ავსო“...

ანალოგიურ შემთხვევებში, ხმოვნის რელექციის შემდეგ, უნდა მომხდარიყო კლასის ნიშნისეული თუ ფუძისეული თანხმოვნების თავმოყრა, რაც, როგორც ცნობილია, ამ ენათა კომბინატორიკით არაბუნებრივია. ამის გათვალისწინებით, არაბუნებრივი კომპლექსის გამარტივება სავსებით კანონზომიერია.

გარდა ამისა, ინტენსიური მასვილის გამოძახილი ჩანს ის ფაქტიც, რომ მასვილიანი და მისი წინამავალი ე, ო ხმოვნები დავიწროებას არ ემორჩილებიან. როგორც ცნობილია, მასვილიანი ხმოვნის მოძღვენო პოზიციაში ე და ო არ შეინიშნება, არამედ ორივე მათგანი ყოველგვარ მარცვალში (ლიამიც და დახურულშიც) განიცდის დავიწროებას: ე>ი, ო>უ [გუღავა 1967 : 136]. საილუსტრაციო მაგალითები:

ჭირკვეული	ხუნძახური	ლექსიკური მნიშვნელობა
ე	ი	
ყრტულუბ	ყრტილი(ბ)	„საჭრელი“
უტცასაჟე	უტცასაი	„ძმას“
რხაცერ	რხაცირ	„კიტრი“
რუჰელ	რუჰილ	„სუნთქვა“
ო	უ	
მამო	მამუ	„ცრემლი“
ტინო	ტინუ	„ფსკერი“

გაზარგო	გაზარგუ	„შურდული“
მდლოჰალ	მდლჰალ	„მეზობელი“...

ყოველივე ეს მიუთითებს:

ა) ხუნძურსა და მის ახლომონათესავე ენებში მახვილიანი და მის წინ მდგომი უმახვილო ხმოვნები მეტი მდგრადობით გამოირჩევიან, რაც ხუნძური მახვილის სიძლიერეს ცხადყოფს და ეს გარემოება ფონემათშესატყვისობათა ანალიზისას აუცილებლად გასათვალისწინებელია;

ბ) შუა რიგის ხმოვნები ამჟღავნებენ დავიწროების ტენდენციას (ე>ი, ო>უ), რაც გაიაზრება ამ ხმოვანთა მაგისტრალური ხაზის – დავიწროების კერძო გამოვლინებად.

ე. ლომთაძის მართებული შეხედულებით, ხვარშიულსა და ბეჟიტურ ენებში ი-სა და ა-ს ნაწილობრივი რედუქცია (ი>გ, ა>ჰ) ინტენსიური მახვილის ზემოქმედებით არის გამოწვეული [ლომთაძე 1984 : 112].

გავრცელებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ინფინიტივის ფორმებს სუფიქსზე მოუდის მახვილი. აქედან გამომდინარე, კაუზატიურ ინფინიტივებში რედუქციას იწვევს სუფიქსისეული -ა (<\*აღ) [იმნაიშვილი 1963 : 22; ლომთაძე 1984 : 34...].

ჩვენი დაკვირვებით, ორმარცვლიან ინფინიტივის ფორმებს მახვილი თავმარცვალზე მოუდის, რასაც ექსპერიმენტი ადასტურებს, მაგ.: საკ. დიდ. ცან-ა „წერა“, ნებ-ა „მოსვლა“, ქეც-ა „წოლა“ და მისთ. საგულისხმოა, რომ მ. ხალილოვიც ბეჟიტურ ენაში რეგულარულად წინამავალ მარცვალზე სვამს მახვილს [ხალილოვი 1995 : 99, 115...], მაგ.: დქ-აღ „ვარდნა“, ზუკ-აღ „ცემა“...

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ კაუზატიურ ინფინიტივებში ხმოვანთა რედუქციას სწორედ წინამავალი ინტენსიური მახვილი იწვევდა [შდრ. იმნაიშვილი 1963 : 25; ლომთაძე 1984 : 92; ბურჭულაძე 1998 : 96-97], მაგ.: საკ. დიდ. ბაწრ-ა (<\*ბაწერ-ა) „შეჭმევა“, ხეცრ-ა (<\*ხეცერ-ა) „გაშვებინება“, ბეგირ-ა (<\*ბეგერ-ა) „გაგზავნინება“ და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჟამად მახვილი ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში არის სუსტი დინამიკური, მაგრამ ისტორიულად იგი ინტენსიური და, ამასთანავე, არაფიქსირებული უნდა ყოფილიყო. ამისი ნათელი ილუსტრაციაა ხმოვანთა ა:ო შესატყვისობა, მახვილიან ან მახვილისწინა პოზიციაში ხმოვანთა უცვლელობა და რედუქციული პროცესები.

საყურადღებოა, რომ ენათა ერთ წყებაში მახვილს დისტინქციური ფუნქცია მოეპოვება.

მახვილის ადგილი ენათა მიხედვით იცვლება, რადგან იგი არაფიქსირებულია. ხუნძურში მისი დამკვიდრება



თავმარცვალსა და მის მომღვენო მარცვალზე ძირითადად დასრულებულია, თუმცა თავიდან მესამე და, სპორა-  
ლულად, მეოთხე მარცვლის მახვილიც შეიმჩნევა. არსებითად ამგვარსავე ტენდენციებს ამჟღავნებს ანდიურ-  
დილოურ ენათა მახვილიც.

### 3. 3. მახვილი ლაკურ-დარგუულ ენებში

#### 3. 3. 1. მახვილის საკითხისათვის ლაკურში

პ. უსლარის მონოგრაფიაში მახვილის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „მახვილი სიტყვებში ყოველთვის მკა-  
ფიო არ არის და ხშირად იცვლება იმისდა მიხედვით თუ როგორ არის მომართული მეტყველება“ [უსლარი  
1990 : 4].

მახვილის გარკვეული ადგილის შესახებ ლაკურ მეტყველებაში ცნობებს გვაძლევს ლ. ჟირკოვიც. იგი  
წერს: „ლაკურ ენაში მახვილი შეიძლება სუსტად მივიჩნიოთ, მაგრამ ყველა ფორმაში მას სავსებით განსა-  
ზღვრული ადგილი უჭირავს და წარმოთქმისას ლაკებს შეუძლიათ იგი გამოკვეთონ და გააძლიერონ“ [ჟირკოვი  
1955 : 15].

ლაკურ ლექსემათა სტრუქტურულ თავისებურებებთან დკავშირებით მახვილის საკითხს ეხება ს. ხაიდა-  
ყოვიც, თუმცა მის ნაშრომში ლაკური მახვილის საკითხების ყოველმხრივი გაშუქება არ არის წარმოდგენილი  
[ხაიდაყოვი 1961 : 157-158]. მახვილის დაწვრილებითი აღწერა-დახასიათება პირველად წარმოადგინა თავის ნა-  
შრომში პ. მურყელინსკიმ [მურყელინსკი 1971, გვ. 53-56]. შედარებითი ანალიზი ლაკურ-დარგუული მახვილი-  
სა მოგვცა ა. აკიევა [აკიევი 1982 : 97-103].

პ. უსლარს ლაკურ სიტყვებში მახვილი არც აღუნიშნავს მისი სისუსტის გამო, თუმცა მის მიერ აღწერილ  
ყველა დანარჩენ ენაში მახვილს სათანადო ყურადღება ექცევა.

ლაკური მახვილის ამჟამინდელი მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება დავახასიათოთ მისი შემ-  
დეგი თავისებურებების მიხედვით:

ა) მახვილი, როგორც წესი, ეცემა მარცვალზე, რომლის შემადგენლობაშიც ფუნქციონირებს გრძელი ხმო-  
ვანი, სიტყვაში მისი პოზიციისაგან დამოუკიდებლად.

ბ) მახვილი მოუდის აგრეთვე მარცვალს, რომელიც დიფთონგის შემცველია.

თუ სახელი ან ზმნა გრძელ ხმოვანს არ შეიცავს, მაშინ ლაკურ სახელთა დიდი ნაწილი ნომინატივის ფორ-

მაში, აგრეთვე ზმნური ფორმები ამჟამად მახვილთან მიმართებით ნეიტრალურად წარმოგვიდგებიან: ბაკუ „ბორცვი“, ჩარუ „ქვა“, ლაყა „მუცელი“; ქულუ „კუჭი“, ბადაქუ „ფაშვი“, ჭიმუჭალი „პეპელა“, სირსილიუ „ულვაში“, ყაყარი „ხორხი“, ჩინა „დაწერე“, ჰაჭლაჭი „დალიეთ“, ჩინლაჩი „დაწერეთ“ და სხვა. თუმცა იგი მაინც გამოხატულია, ძლიერ სუსტად, ბოლოდან მეორე მარცვალზე ორ და სამმარცვლიან სიტყვებში.

იგივე სახელები ავლენენ შედარებით ინტენსიურ მახვილს ზოგიერთი ბრუნვის ფორმაში (მაგ., მხოლ. და მრავლ. რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში): ბაკულ || ბაკურდალ, ჩარილ || ჩათაალ, ლაყამულ || ლაყარდილ, ბადაქულ || ბადაქურთაალ, ყაყართულ || ყაყართაალ.

მახვილის გადანაცვლება მარცვლის მეორე ბოლოდან წინამავალზე ან მომდევნოზე უშუალოდ არის დაკავშირებული ამ ენაში გრძელი ხმოვნების ფორმირებასთან. იქ, სადაც ხმოვნის სიგრძე არ ვლინდება დახურული მარცვლის გამო, ეს გარემოება აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. შესაძლოა ეს ხელს უწყობდეს იმ საკითხის გამორკვევას, თუ რატომ ხდება მახვილი აქ ლინამიკური. ასე, მაგალითად, უარყოფით ზმნაში ბავაზარ „არ არის“ მახვილი გადანაცვლებულია ბოლოდან პირველ მარცვალზე, თუმცა ხმოვნის სიგრძე გამოხატული არ არის. ამავე დროს იგი წარმოადგენს მარცვალს ხმოვნის პოტენციალური სიგრძით. როგორც აღინიშნა, ლაკური ენის სახელთა უმეტესობა ნომინატივის ფორმაში მახვილთან მიმართებით ნეიტრალურად წარმოგვიდგება. თუმცა ნაკლებად, მაგრამ დასტურდება სახელებიც ინტენსიური მახვილით, რომელიც ეცემა ასევე ბოლოდან მეორე მარცვალზე: ბარზუ „არწივი“, ბარჩი „ირემი“, ბარხუ „ჯიხვი“, დასუ გამყიდველი“ და სხვა. მაგრამ მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ასეთ სიტყვათა დიდ ნაწილში მახვილი გადაიწევს ხოლმე ბოლოდან პირველ მარცვალზე: ბარზუ („არწივი“), მაგრამ ბარზული || ბარზულთ „არწივები“. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისტორიულად ფორმანტი შეიცავდა ხმოვან კომპონენტსაც \*-ულთ (შდრ. დარგ. -ულთი: დადრა „ჭიქა“. და-დრა-ულთი → დადარულთი, ჩაღირა „ბაწარი“: ჩაღირა-ულთი ← ჩაღირულთი და სხვა), რომელიც წინამავალ ხმოვანთან შერწყმით ხელს უწყობდა მისი სიგრძის ფორმირებას: \*ბარზუ + ულთ → \*ბარზულთ (დახურული მარცვალი), ხოლო ნათ. ბრ. ფორმებში ბარზულ და ბარზულთრალ ← \*ბარზუ + ულთ-რ-ალ; შდრ. აგრეთვე: ნაი „მტრედი“, მრ. რ. ნაირუ, მაგრამ ნაირულთ || ნაირულთ ← \*ნაირულთ ← \*ნაირუ + ულთ. ნათქვამი ეხება მრავლობითი რიცხვის სხვა ფორმანტებსაც, რომლებიც მახვილის გადანაცვლებას უწყობენ ხელს: ზუნთაუ „მთა“, ნათ. ბრ. ზუნთულ, მაგრამ მრ. რ. ზუნთაურდუ „მთები“ ← \*ზუნთაურდუ ← \*ზუნთუ + ურდუ, ხოლო ნათ. ბრ. ზუნთურდალ ← \*ზუნთაურდალ ← \*ზუნთუ-ურდულ (ურუ + დუ → -ურდუ → რდუ, შდრ. დარგ. -ურთი) [იხ. აკიევი 1982 : 98].

მსგავსი ვითარებაა ფორმებში ჩავათუ „საიდან?“ → \*ჩა-ათუ → ჩათუ, ჩა + ბურუ „არის“ → ჩარუ „საიდან

ხართ?“ და უჩად „ამბობდა რა“ + ბურუ „არის“ → \*უჩაურუ → უჩარუ → ჩარუ „ვამბობთ“, თუმცა არსებობს მე-სამე ფორმაც, რომელშიც ორივე ხმოვანი უკიდურესად რელუცირებულია და ნომინატივში ნეიტრალური ჩანს მახვილთან მიმართებით. ეს არის ჩარუ „ქვა“. ნათესაობით ბრუნვაში, აგრეთვე მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში ეს სიტყვა ინტენსიურ მახვილს იძენს: ჩარულ: ჩართუ || ჩართალ.

მახვილის ინდენტური მდგომარეობაა წარმოდგენილი აგრეთვე ორ და სამმარცვლიან ზმნებში, თუ, რა თქმა უნდა, მათ შემადგენლობაში არ არის დიფთონგური წარმონაქმნი ან გრძელი ხმოვანი: ლასუნ „აღება“, ღუქან „ჭამა“, თაირიჰინ „გახსნა“ და სხვა. მაგრამ თირიჰაჰან (დიურატ. ფორმა) „გახსნა“ ანდა თანალ ლასან „იგი იღებს“, თანილ ღუქან „იგი ჭამს“, თანალ თაირიჰან „იგი ხსნის“, ნა ლასან || ლასან „მე ავიღე“, თანალ ლარსრივ? „მან აიღო?“ და სხვა.

როგორც წესი, დიდი ნაწილი საერთო ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის ლექსემებისა წარმოადგენდა ერთ- და ორმარცვლიან ფუძეებს, რომელთა შემადგენლობაშიც ფუნქციონირებდნენ გრამატიკულ კლასთა ექსპონენტები. ეს კლასოვანი მარცვალი მახვილიანი აღმოჩნდებოდა ხოლმე: ათან || ბ-ათან || დ-ათან „დაპობა“ და სხვა. თუმცა დრო-კილოთა ზმნური ფორმების წარმოებისას ფუძეები ფართოვდებოდნენ და მახვილი თავის პოზიციას ინარჩუნებდა ანდა ანალოგიის მიხედვით გადაინაცვლებდა ხოლმე ბოლოდან მეორე მარცვალზე: ა-ვ-თაუნნი || ბ-ა-ვ-თაუნნი და ა. შ.

-სა სუფიქსის მეშვეობით ზედსართავთა წარმოებისას ხდება მახვილის გადაინაცვლება, რაც განაპირობებს მხოვნის სიგრძის ფორმირებას: ვაჰვი („ყვითელი“) + ხ-უს „გამხდარი“ → \*ვაჰვიუს → ვაჰვისა → ვაჰვისა „ყვითელი“.

ხსენებული მდგომარეობა ვრცელდება ზმნურ ფორმებზეც, რომელთა შემადგენლობაშიც ამჟამად მოქმედებენ გრამატიკულ კლასთა ექსპონენტები: -უ-რ-ჟ-ვ-ზუნუ || ბუ-რ-ჟ-ვ(-ა)-ზუნუ || დ-ჟ-რ-ჟ-რ-ზუნუ „შეკერარა“ და სხვა.

გარკვეულ პირობებში მახვილი გადადის სიტყვაწარმოებით სუფიქსებზე:

შალმაჰ „ტყუილი“	შალმაჰ-ჩრ	„მატყუარა“
ვათაა „სახლი“	ვათალუ-ჭან	„სახლთან“
თა „იგი“	თან-აჰ	„მასთან“
ვინსაა „კარგი“	ვინ-მან	„ის ვინც კარგია“

მახვილი მუდამ დაისმის ხოლმე შემდეგ სიტყვაწარმოებით სუფიქსებზე:

-ჩი: ვაალა „კალა“ – ვაალა-ჩრ „მკალავი“, მაშა „ვაჭრობა“ – მაშა-ჩრ „ვაჭარი“:

- ქარ: აყლუ „ჭკუა“ – აყლუ-ქარ „ჭკვიანი“, სანათ „ხელობა“ – სანათ-ქარ „ხელოსანი“;
- უ: ჩიჩინ „წერა“, ჩიჩ-უ „მწერალი“, ჰაჭან „სმა“, ჰაჭ-უ „მსმელი“, „ლოთი“;
- ალა: უჩინ „თქმა“, უჩა-ლს „თქმულება“.
- შავუ: ვინშავუ „გამოჯანმრთელება“, არხ-შავუ „მოცილება“;
- მა: არხსა „შორი“, არხ-მს „ის, ვინც შორს არის“, ლაქსა „ახლო“, ლან-მა „ის, ვინც ახლოს არის“;
- ალუ: მავ „უკან“, მავ-ალუ „უკანა ნაწილი“;

მახვილიანია აგრეთვე სიტყვათა ცვალებების გამომხატველი შემდეგი სუფიქსები:

- ხ ბუნ: თანახ ბუნ „მას“, ღუშინხ ბუნ „ქალიშვილს“;
- ვუნ: ვათლუ-ვუნ „ოთახში“, თანა-ვუნ „მასში“;
- შალ: ორჭაშალ „ბავშვთან“;
- დინ: თანადინ „მასზე“;
- ჭან: თანა-ჭან მასთან“;
- წუნ: თანა-წუნ „მასთან ერთად“;

მახვილი ეცემა ბრუნვის სუფიქსებზე, რომლებიც ქმნიან ღია მარცვალს. მაგალითად:

- ჭა: თანა-ჭა „მასთან“, ჭირა-ჭა „კედელთან“;
- შა: თანა-შა „მისგან“;
- ვა: ვათლუ-ვა „სახლიდან“;

მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი -ივ სუფიქსიც ასევე მახვილიანია: შარაში „წყარო“, შარაშირვ „წყაროები“, ვვატი „ქორწილი“, ვვატრვ „ქორწილები“;

ასეთივე ვითარებაა თხრობითი კილოს გამომხატველ -არა ფორმანტშიც:

- |                |                            |
|----------------|----------------------------|
| უჭან „მოსვლა“  | უჩარა „მოვლივარ“           |
| ლასუნ „ალება“  | ლასარა „ვილებ“             |
| აჩვინ „წასვლა“ | აჩვარა „მივლივარ“ და სხვა. |

ბრძანებითი კილოს -ა, -ი, -უ ფორმატივებზეც: ჩიჩინ „წერა“, ჩიჩ-ა „დაწერე“, ლასუნ „ალება“, ლას-ი „აი-ლე“, შანან „ძილი“, შანან-ი „დაიძინე“ და სხვა.

მიმლეობათა და ზედსართავთა ბოლოკიდურ ღია მარცვალზე: ჩიჩლარ „ურჯ მწერალი ბიჭი“, შანაშირ ღუშ

„მძინარე ქალიშვილი“, ლავ ხაულუ „გრძელი გზა“, კალ ჩალარ „თეთრი ქალაქი“ და სხვა.

განმეორებითი მოქმედების გამომხატველ ზმნურ ფორმებში:

ჩინჩინ „დაწერა“, ჩინჩინ „წერა“, უჭან „მოსვლა“, უჭავან (განმეორ. ფორმა);

ზმნისართთა ბოლოკიდურ მარცვალზე: ქუნა (ქუნ-მს, ქუნ-ნა): თა ქუნა „როგორც ის“, ჰანთა ქუნმა „როგორც დღე“, შარსა ქუნნა „როგორც ქალი“...

აბსოლუტივის -ნა ფორმატივზე, რომელიც გამოსატავს მოქმედების განგრძობითობას, მაგალითად, ქვანაძნა „ჭამდა-რა“, ზანაძნა „მიმოდიოდა-რა“, ლევჩუნა ლავგუნნი „სირბილით წავიდა“..

ყველა ღიფთონგზე: ქვანაძნა „ჭამა-ჭამით“, ჩარდა „ქვაზე“, ჰუზუდ „ბანაობით“, ხაუდსა „კარგი“, დაზულსა „საწყალი“, ავლდა „ცუდი“, ჰარაზუ „მეწისქვილე“...

მახვილი ეცემა აგრეთვე ღია ან დახურულ მარცვალზე, რომელიც შეიცავს გემინირებულ (ინტენსიურ) ან ლაბიალიზებულ თანხმოვანს, მაგალითად, შაიკვან „ჯდომა“, ხაუერი „აღვირი“, შავატი „ტალღა“, ქვანი „ძუკნა ძალი“, შადლმავ „ტყუილი“, ხარდან „ტარება“, ხაულუ „გზა“, ხაღცი „ნაკაწრი“, თანდა „ლაქა“, კვარა „ქურა“ და სხვ.

### 3. 3. 2. მახვილი დარგუულში

პ. უსლარის მონოგრაფიაში "Хюркилинский язык" არც ერთი სიტყვა მახვილით აღნიშნული არ არის, თუმცა სხვა ენათა კვლევის დროს (ავხაზური, ჩეჩნური, ხუნძური...) პ. უსლარს მახვილი მხედველობიდან არ გამორჩენია. ეს გამოწვეულია მახვილის სისუსტით დარგუულ ენაში. მახვილის სისუსტეზე მიუთითებენ ს. აბდულაევი, ა. მაჰმეტოვი, ა. აკიევი...

მიუხედავად თავისი სისუსტისა, მახვილი სიტყვაში მაინც შეიგძნობა. ახუშურ-ურახულ დიალექტებში იგი სიტყვებს ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის: ურში „ვაჟიშვილი“, რურსი „ქალიშვილი“, ვარჰი „ნაბადი“, ბუცეს „ჭერა“, ღუცეს „გასვლა“, ანკი „ხორბალი“, ჭანკი „ნაჭერი“, ავსე „მალღი“, წასესე „ლონიერი“ და ა. შ. თუ სიტყვის შიგნით გვაქვს გრძელი ხმოვნები ან ღიფთონგები, მაშინ მახვილი, როგორც წესი, მათზე ინაცვლებს.

იგივე პოზიციური ხასიათი აქვს მახვილს წუდახარულში, მაგრამ ახუშურ და ურახულ დიალექტებთან შედარებით იგი უფრო მეტი ინტენსიურობით გამოირჩევა: ანჭი „ხორბალი“, მაცაა „ცხვარი“, ურჩი „ცხენი“, ავლე „მალღა“, ავლე „კარგად“, ბელჭვიზ „წერა“, ვაჭვიზ „მოსვლა“. თუ სიტყვაში ღიფთონგი წარმოიქმნება ან

მას მიერთვის გრძელხმონიანი სუფიქსი, მაშინ მახვილი ასეთ მარცვლებზე ეცემა: ვაკა „მოსული“, ბანა „გამგები“, ღალა „სიმღერა“, ლუკავან „ის, ვინც წერს“, წულჯურ „წუღახარი“ და წულჯრან „წუღახარელი“ და ა. შ. მახვილი ნარჩუნდება ბოლოდან მეორე მარცვალზე როგორც სახელთა ბრუნების, ისე ზმნის უღვლილების დროს: ქათა „კატა“ – ნათ. ქათალა, ვაცა „თავი“ – ნათ. ვაცალა; ახუშურში: ნუ ლაყეული სადრა → ნუ ლაყეული „მე მივდივარ“, ჰუ ლაყეული „შენ მიღხარ“ და ა. შ.

კუბაჩურშიც მახვილი ეცემა ბოლოდან მეორე მარცვალზე: თაფე „ფესხაქმელი“, მაცა „ცხვარი“, დპრა „ნაჯახი“, ტაბაკ „ტაბაგი“, კულგან „ქამარი“, ვანხე || ვანხლა „სიარული“, ქაბრლჷნე „კითხვა“ და ა. შ. თუ სიტყვაში წარმოდგენილია გრძელი ხმოვნები, მაშინ მარცვალთა რაოდენობის მიუხედავად, მახვილი ამ გრძელ-ხმოვნიან მარცვალზე ეცემა: მჭჷალ „ლოქი“, ბჷყად „მე გავაკეთე“, ბჷყად „მან გააკეთა“... სახელებსა და ზმნებში, რომელთაც გრძელი ხმოვნები არ მოეძევათ, მახვილი მეორე მარცვლიდან ინაცვლებს დიფთონგზე: იღ უბკად „იგი კვდება“, ბანიდ „შევისწავლე“ – შღრ. ბანიდ „შეისწავლა მან“, მუწჷდ „წვერი“ და ა. შ.

ღარგუული მახვილის დამახასიათებელ თავისებურებად მიიჩნევა ის, რომ იგი აკუსტიკურად სუსტადაა გამოხატული, თითქმის შეუმჩნეველია; ახუშურ და ურახულ დიალექტებში კი, როგორც აღნიშნავენ სპეციალურ ლიტერატურაში, ზოგჯერ ძნელდება კიდევ დადგენა თუ რომელ მარცვალზე დაისმის მახვილი. ს. აბდულაევის თქმით, ურახულ დიალექტში მახვილის ადგილის განსაზღვრა გაძნელებულია იმ ვითარების გამოც, რომ ამ დიალექტში უხვადაა გრძელი ხმოვნები. რაც შეეხება ახუშურ დიალექტს, სხვადასხვა სოფლების თქმებში განსხვავებულია მახვილის მოქმედებაც [აბდულაევი 1954 :61]. სხვაგვარი ვითარება შეინიშნება მეკეგისა და წუღახარის ჯგუფის დიალექტებში. მეკეგის ჯგუფში მახვილი უფრო მკაფიოდ არის გამოხატული, ვიდრე ახუშურ-ურახული ჯგუფის დიალექტებში, თუმცა მას ამ ჯგუფშიც არ მოეპოვება არც სიტყვაწარმოებითი, არც სიტყვაგვარების ფუნქციები. ამ დიალექტებში მახვილი თითქმის ყოველთვის დაისმის სიტყვის დასაწყისიდან მეორე მარცვალზე.

წუღახარულ დიალექტში მახვილი მკაფიოდ არის გამოხატული და აქ იგი გარკვეულ როლსაც კი ასრულებს სიტყვაწარმოებისა და სიტყვაგვარების დროს. წუღახარული ტიპის დიალექტებში ყოველთვის პირველ მარცვალზე არ დაისმის, როგორც ეს ხდება ახუშურ-ურახულ ჯგუფში და არც მეორეზე სიტყვის დასაწყისიდან, როგორც მეკეგური ჯგუფის დიალექტებში, არამედ იგი დაისმის ხოლმე მარცვლებზე; მახვილმა შეიძლება გადაინაცვლოს ერთი მარცვლიდან მეორეზე. შესაბამისად სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობისა.

წარმოვადგენთ ცნობილ მაგალითებს [აბდულაევი 1954 : 62], მახვილის ადგილის მიხედვით, დიალექტებში არსებული განსხვავებებისა:

<b>ახუმ.</b>		<b>მულის თქმა</b>
თავრა	„ჩანთა“	თავრს
ბაკურ	„იცოლა“	ბაკურ
ჭრჩი	„ცხენი“	ურჩრ
ჭრში	„ვაჟიშვილი“	ურში
რურსი	„ქალიშვილი“	რურს
ვარჯი	„ნაბაღი“	ვარჯ
ჭნრა	„მე ზობელი“	უნრს
თაბთარ	„წიგნი“	თაბთარ და სხვა.

<b>ურახ.</b>	<b>ქვემო მულებკის თქმა</b>	
ბრლეუნ	„დაწერა“	ბილეუნ
ბაკურ	„შეიტყო“	ბაკურ
ბურიბ	„თქვა“	ბურიბდა სხვა

ახუმურ-ურახული ჯგუფისა და მეკეგური ჯგუფის დიალექტებში მახვილს მუდმივი ადგილი აქვს: ახუმურ-ურახულში პირველ მარცვალზე, ხოლო მეკეგურში – მეორეზე, უმნიშვნელო გადახრებით.

წულახარული ჯგუფის დიალექტებში მახვილის გადანაცვლება იწვევს ხოლმე სიტყვის მნიშვნელობის ცვლასაც, რასაც სხვა დიალექტებში ვერ ვხედავთ. მაგალითები:

საბუჯუნ	„წინ წაიწია“	– საბუჯუნ	„გამოიქცა“
ვანჯიბ	„მოვიდა“	– ვანჯიბ	„მოსული“
ჭაქაქა	„არ მტყვარს“	– ჭაქაქა	„საძულველი“
ჩებბათიზ	„აგდება“	– ჩებბათიზ	„ზედ დატოვება“
ბაკრი	„ჩირქგროვა“	– ბაკრი	„ამოსვლა“
დასნი	„წიბო“	– დასნი	„დაწებება“

აღსანიშნავია, რომ დარგუულ ენაში მახვილი ყველა სიტყვაში არ გვხვდება. დამხმარე სიტყვებში მახვი-

ლი არ დაისმის. უმასვილო სიტყვებთან ერთად დარგულ ენაში ხშირად შეიძლება შეგვხვდეს ორმასვილიანი რთული სიტყვებიც, მაგალითად: თამანბიუბ „დასრულება“ ერთმასვილიანია, ხოლო ამავე სიტყვის უარყოფით და კითხვით ფორმებში ორი მასვილია: თამანპებიუბ „არ დამთავრა“, თამანბარბუ? „დამთავრა?“

ეს თითქმის ყველა დიალექტისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, მათ შორის წუდახარულისთვისაც. როგორც უკვე აღინიშნა, წუდახარულში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მასვილი ყოველთვის პირველ მარცვალზე ეცემა. არც სიტყვაწარმოების და არც სიტყვათცვლილების დროს იგი ადგილს არ იცვლის:

ღქღემ „მამა“, ღქღემლა „მამის“, ღქღემლემ „მამობა“, ღქღემუნი „მამები“.

აჰლი „მალა“, აჰსი „მალაი“, აჰდემ „სიმალა“.

ვაკიბ „მოვიდა“, ვაკიბსი „მოსული“, ვაკილი „მოვიდა-რა“, ვაკნი „მოსვლა“.

შეიძლება ითქვას, რომ ახუშურ დიალექტში მასვილი ასრულებს ფრაზაში სიტყვის გამომცალკეების ფუნქციასაც. იგი ლოგიკური მასვილის დანიშნულებითაც გვხვდება.

ზმნის უარყოფით და აკრძალვით ფორმებში მასვილი ყოველთვის ეცემა უარყოფის ან კითხვის გამომხატველ ფორმანტებზე [აბდულაევი 1954 : 64].

### 3. 4. მასვილი ლეზგიურ ენებში

#### 3. 4. 1. მასვილის ბუნება და ადგილი

ლეზგიურ ენებში დასტურდება როგორც ფიქსირებული დინამიკური სიტყვათმასვილი, ისე არაფიქსირებული.<sup>128</sup> მასვილი ჩვეულებრივ ძლიერად (ინტენსიურად) წარმოგვიდგება. იგი ხშირად წინამავალი ხმონის რელექციისა (მაგ., ლეზგ. სას „ებილი“ – სსა (ერგ.); თაბ. მურსულ „მაფი“ – მურსლარ (მრ. რ.); აღ. ცარშინლ „იდაყვი“ – ცარშლარ და სხვ. მისთ.) და სხვა ფონეტიკური პროცესების მიზეზი ხდება.

ლეზგიურ ენაში სიტყვათმასვილი ფიქსირებულია: ორ ან მეტმარცვლიან სიტყვებში მასვილი ჩვეულებრივ მეორე მარცვალს მოუდის, თუმცა გვაქვს აფიქსთა მთელი წყება (-დი, -და, -ბურ, -ნა, -რა, -და, -ნი, -ლა, -ლაჰ, ლაჰდი, -ლაჰ, -ტა, -ჟალ, -ნუნ, -უნ), რომელიც ყოველთვის უმასვილოა, მათ შორის – როდესაც

<sup>128</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში თაბასარანულში (დიუბეკის თქმაში), რულულურში (ლეჩეკის თქმაში), წახურში, კრიწულში (საკ. კრიწ.), ბულუხურსა და უდიურში (ნიჯურ კილოში) ტონური მასვილის არსებობას აღნიშნავენ, ამათგან, წახურში (გილმეწურის გამოკლებით [კიბრიკი, კოძასოვი, სტაროსტინი 1978: 24]), კრიწულში (საკ. კრიწ.), ბულუხურსა და უდიურში (ნიჯურ დიალექტში) მხოლოდ ტონური მასვილი ივარაუდება [კიბრიკი, კოძასოვი 1990: 337, 343-347].



ისინი სიტყვაში მეორე მარცვლად წარმოგვიდგება [ჭირკოვი 1940; თალიბოვი 1966: 546-548; მეილანოვა 1967: V-529-530]. მახვილი ლეზგიურ ენაში ძლიერია – ის ხშირად ხდება რელექციისა და ხმოვანთა მონაცვლეობის მიზეზი. ხმოვანთა რელექცია ლეზგიურში ვითარდება როგორც მახვილის წინა, ისე მახვილის მომდევნო პოზიციაში. რელექციის შედეგად ხმოვანი ხშირად მხოლოდ სუსტდება, ხოლო ზოგჯერ – მთლიანად ამოიღება. რელექციის შედეგად მახვილის წინა პოზიციაში შეიძლება წარმოიქმნას ლეზგიურ ენათათვის არადამახასიათებელი თანხმოვანთა კომპლექსები სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში, მაგ., ქარ “საქმე” > ქრ-არ “საქმეები”; ქარჩ “რქა” > ქრჩ-არ “რქები”... იმის მიუხედავად, რომ მახვილი ლეზგიურ ენაში, როგორც აღინიშნა, ფიქსირებულია, გვხვდება სიტყვები, რომლებშიც მახვილი დისტინქციური ფუნქციით არის აღჭურვილი, მაგ., ვალუნ „ჩვენება“ – ვალუნ „აურზაურის ატეხვა“; ვალარ „წვიმა“ – ვალარ „გვერდები“ [მეილანოვი, შეიხოვი 1998: 19]...

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, თაბასარანულს სუსტი და არაფიქსირებული დინამიკური სიტყვათმახვილი ახასიათებს [ხანმაგომელოვი 1967: 547-548; 1998: V-31-32; მაჰომეტოვი 1965: 33-41; ალექსეევი, შიხალიევა 2003: 30-31], თუმცა მახვილთან დაკავშირებული რელექციის შემთხვევები იმაზე მიგვითითებს, რომ თაბასარანული მახვილი ინტენსიურად უნდა იყოს გამოხატული გარკვეულ პოზიციებში მაინც. სახელებში მახვილი ჩვეულებრივ ბოლო მარცვალს მოუდის (თუ იგი დახურულია), თუმცა სხვაგანაც დასტურდება. ორ და სამარცვლიან უპრევერბო ზმნურ ფორმებში მახვილი ფიქსირებულია მეორე მარცვალზე. ორმარცვლიან პრევერბიან ზმნურ ფორმებში მახვილი პირველ მარცვალს მოუდის, ხოლო პრევერბიან სამარცვლიან ზმნურ ფორმებში – ბოლო მარცვალს. გვხვდება მახვილის თვალსაზრისით მინიმალური წყვილებიც, მაგ., უბჩიუზ „შერკმა“ – უბჩიუზ „ცემა“... თაბასარანული მახვილი მოძრავია. იგი ხშირად აფიქსებსა და სიტყვაწარმოებით ელემენტებზე გადაიწევის. მახვილის გადატანისას ხშირია წინამავალი ხმოვნის რელექცია, მაგ., მურსულ „დაფი“ – მურსლარ (მრ. რ.)... დასტურდება მახვილის მომდევნო ხმოვნის რელექციაც, მაგ., ძამ „ეკალი“, კანტ „ტუჩი“, დის „წელიწადი“, რიდ „მზე“, შდრ. დიუბეკის თქმაში: ძამა, კანტა, დიზი, რიდი...

აღუღურ ენაშიც სიტყვათმახვილი სუსტი დინამიკურია. იგი, როგორც წესი, მეორე მარცვალს მოუდის [მაჰომეტოვი 1967: 564; 1970: 20-22; ალექსეევი, სულეიმანოვი 1998: V-45]. სიტყვაწარმოებისას ან სიტყვაწვლილებისას მახვილი არ იცვლის თავის პოზიციას. გამონაკლისია ერთმარცვლიანი სიტყვები და პრევერბიანი და უარყოფითი ზმნური ფორმები, რომლებშიც მახვილი პირველ მარცვალს (პრევერბსა და უარყოფის ელემენტს) მოუდის. ზოგიერთ ორმარცვლიანი სიტყვის მახვილიც სიტყვაწვლილებისას გადადის

აფიქსზე, თუმცა ასეთ შემთხვევაში ხდება წინამავალი ხმოვნის რელექცია (მაგ., ცარშნილ „ილაყვი“ – ცარშლარ (მრ. რ.)...), რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მახვილი ალულოურ ენაში გარკვეულ პოზიციებში ინტენსიური უნდა იყოს.

რუთულურ ენაში სიტყვათმახვილს სხვადასხვაგვარად ახასიათებენ: ზოგიერთი მკვლევრის აზრით, რუთულურში ოდენ ტონური (მუსიკალური) მახვილი დასტურდება [კიბრიკი, კოძასოვი 1990: 343] ან ტონური მახვილი თანამდევ დინამიკურ მახვილთან [ჯეირანიშვილი 1964; ჯეირანიშვილი 1967: 581], ანდა სუსტი დინამიკური მახვილი, რომელიც ტონურ მახვილში გადადის [იბრაჰიმოვი 1978: 41]. სხვა შეხედულებით კი, რუთულურს მოეპოვება ძლიერი დინამიკური მახვილი [ჯეირანიშვილი 1984: 94]. ეს უკანასკნელი მოსაზრება, ჩვენი აზრით, მართებული უნდა იყოს. ამის შესახებ მეტყველებს: მახვილიანი ხმოვნის მეზობლობაში უმახვილო ხმოვნის ნაწილობრივი ან სრული რელექცია, მაგ., ტემლად < \*ტემლად „ყურძენი“ (ნათ.), შდრ. ტემგლ (სახ.); თლა < თგლ „ძალი“; ხლუქ < \*ხგლქ „სახელო“, შდრ. ხგლ „ხელი“...

წინამავალი მახვილიანი ხმოვნის გავლენით იკვეცება სიტყვის ბოლოკიდური ხმოვანი, მაგ., კატ < \*კატჷ „ქათამი“, შდრ. წახ. კატჷ „id“; წაჷ < \*წაჷჷ „თხა“, შდრ. წახ. წაჷჷ „id“...

გვერდიგვერდ მოქცეულ ხმოვანთაგან უმახვილოს დასუსტება და ნახევარხმოვნად გარდაქმნა ხდება, მაგ., აზარად, ეზარად (რუთ. დიალ.) < აზარაი (მუხრეკ.)...

რუთულურში სიტყვათმახვილი თავისუფალია, მოძრავი. იგი სიტყვებს ძირითადად ბოლოდან მეორე ან ბოლოკიდურ მარცვლებზე მოუდის, თუმცა სხვა ლოკალიზაციაც დასაშვებია, მაგ., პირველ მარცვალზე.

წახური მახვილის შემთხვევაშიც თავს იჩენს აზრთა სხვადასხვაობა: ა. ღირის ცნობით, მახვილი თითქოს უნდა მოუდიოდეს სიტყვის პირველ მარცვალს, თუმცა თვითონვე დაეჭვებით დასძენს: თანაშემწესო ვერაფრით ვერ გამოვაკეთებინე მახვილიანი მარცვალი [ღირი 1913: 4-5; 107]. ბ. თალიბოვი აღნიშნავს: წახური მახვილის საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი; წინასწარი მონაცემებით კი შეიძლება იმის კონსტატაცია, რომ ამ ენისათვის დამახასიათებელია ძლიერი მახვილი; იგი უპირატესად მოუდის სიტყვის დასაწყისიდან მეორე მარცვალს ... მაგრამ მახვილი შეიძლება ჰქონდეს პირველ მარცვალსაც ... შეიძლება მესამე მარცვალსაც და ა. შ. მრავალმარცვლიან სიტყვებში მთავარ მახვილთან ერთად შეიძლება იყოს თანამახვილი [თალიბოვი 1967: 593]. ი. იბრაჰიმოვის აზრით კი, მახვილი ძირითადად ფიქსირებულია სიტყვის დასაწყისიდან მეორე მარცვალზე [იბრაჰიმოვი 1968; 1990: 52]. ა. კიბრიკი და ს. კოძასოვი კი საერთოდ სიტყვათმახვილის არსებობას წახურში უარყოფენ და მარცვლის ტონალურ სისტემას ვარაუდობენ [კიბრიკი, კოძასოვი 1990: 344]. ევგ. ჯეირანიშვილის მოსაზრებით, წახურს ინტენსიური დინამიკური მახვილი ახასიათებს, რომელიც სიტყვაში არ

არის მყარად ლოკალიზებული. ის, როგორც წესი, მოუღის ბოლოში ან ბოლოდან მეორე მარცვალს [ჯეირანიშვილი 1984: 67-69]. ეს მოსაზრება გასაზიარებელი ჩანს; ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ მახვილიანი ხმოვანი იწვევს მეზობლად მდგომი უმახვილო ხმოვნის დასუსტებას, ანდა ფუძის შიდა ხმოვნის რელექციას თუ ბოლოკილური ხმოვნის კვეცას, მაგ., უბ (წახ. დიალ.) < უბა, შღრ. უბა (მიქიქ.) „უბანი“; შინ (წახ. დიალ.) < შინა, შღრ. შინა (მიქიქ.) „ოფლი“...მახვილიანი ხმოვანი ზოგჯერ გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს (თარღლ „თარიღ“, ზმინ „ამინ!“, კჭბა „ნემსი“, შწმილ „შამილი“, იჩრ „და“, ადამჩრ „ადამიანი“...).

კრიწულ ენაში სიტყვათმახვილი ინტენსიურია და არაფიქსირებული. ნაცვალსახელებში, რაოდენობით რიცხვით სახელებში, ზმნისართებსა და ზმნურ ფორმებში მახვილი პირველ მარცვალს მოუღის, ზედსართავსა და არსებით სახელებში – მეორე მარცვალს, ხოლო აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სახელებსა და მასდარის ფორმებში მახვილი ბოლო მარცვალს მოუღის. ბრუნვისა და მრავლობითის მაწარმოებელი ინვენტარი შეიძლება მახვილიანი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ერთმარცვლიან სიტყვას დაერთვის. რთულ სუფიქსებში მახვილი პირველ კომპონენტს მოუღის. სიტყვაგვარებისას ხშირია უმახვილო ხმოვნის რელექცია. ზმნის უარყოფით ფორმებში (მაწარმოებელ ფორმანტებში) გვხვდება თანამახვილი [საადიევი 1967: 629; V-1998: 83].

ბულუხურში სიტყვათმახვილი ინტენსიურია. საგრძნობია მახვილის პირველ ან მეორე მარცვალზე დამკვიდრების ტენდენცია [შეიხოვი 1998: V-91-92; 2001: 230], შღრ. [დეშერიევი 1967: 645]. ამას გარდა, შეინიშნება შემდეგი კანონზომიერებანი: მახვილი ყოველთვის მოუღის ზოგიერთ სიტყვაწარმოებით ელემენტს (-ლუ, -სუზ და ა. შ.); მასდარის მაწარმოებელს; აწმყოს, მყოფადის, ნამყო ზოგადის და მათგან ნაწარმოებ ფორმებში, ბრძანებითსა და პროპიბიტივში მახვილი ყოველთვის პირველ მარცვალს მოუღის [მეილანოვა 1984: 187-188]. ბულუხურში მახვილს მოეპოვება მორფოლოგიური ფუნქცია: იგი განასხვავებს აწმყო ზოგადს აუცილებლობითი ფორმისაგან, მაგ., ჩაგარი „მიღის“ (აწმყ.) – ჩაგარი „უნდა წავიდეს (აუცილებლად)“... [შეიხოვი 1998: V-91-92; 2001: 230; მეილანოვა 1984: 188].

ხინალულური ენა არაფიქსირებული ინტენსიური დინამიკური სიტყვათმახვილით ხასიათდება. არანაწარმოებ სიტყვებში მახვილი ფუძის ბოლო მარცვალს მოუღის. რთულ ზმნებში მახვილი ჩვეულებრივ პირველ მარცვალზეა ფიქსირებული. პირველ მარცვალზე მახვილი მოუღის აგრეთვე ზოგიერთ არსებით სახელსა და ზმნისართს. ხინალულურში ზედსართავის -ლუ // -ლი, -სუზ ღერივაციული ელემენტები და სხვა ზოგიერთი ცალკეული ხმოვნისაგან შემდგარი სუფიქსები ყოველთვის მახვილიანია. ზმნის უარყოფით ფორმებში მახვილი

ყოველთვის უარყოფის ელემენტს მოუღის [კობრიკი და სხვ. 1972: 30-32; ალექსევი 1998: V-154; განიევა 2002: 472-473], შღრ. [ღეშერიევი 1967: 661].

არჩიბულში გვაქვს საკმაოდ ძლიერი მოძრავი დინამიკური სიტყვათმასვილი, რომელიც გარკვეულ პირობებში მეზობელ ხმოვნებში იწვევს სხვადასხვა სახის ცვლილებებს. ის შეიძლება შეგვხვდეს როგორც ფუძისეულ (ბომრ „კაცი“, მარხელა „თოვლი“...), ისე ფორმანტისეულ ხმოვნებზე (ნიშ-ი „ცხენებმა“, კასა-ა „დანამ“...). მასვილიანი ხმოვანი ზოგჯერ გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს (ღრზურ „დიდი“, ნრშ „ცხენი“) [კასაძე 1979: 15]. არჩიბული მასვილი ჩვეულებრივ შემოსაზღვრულია პირველი ორი მარცვლით [ხაიდაკოვი 1967: 609; კობრიკი და სხვ. 1977: 249; კობრიკი 1998: V-73; კობრიკი 2001: 115], რაც ხუნძურისა და ლაკური ენების გავლენას უნდა მივაწეროთ.

უდიურში დასტურდება ინტენსიური დინამიკური სიტყვათმასვილი, რომელიც ჩვეულებრივ ბოლო მარცვალს მოუღის [ფანჩვიძე, ჯეირანიშვილი 1967: 677], თუმცა თავკიღური ფიქსაციაც არაიშვიათია (კომპოზიტებში; თუ სიტყვა იწყება ტე „ის“, მე „ეს“ ან და ელემენტებით, მაგ., მეთარ „ასე“, „ასევე“, „ამრიგად“; ტესაპათ „აქვე“). უდიურ ენაში თანამასვილზეც მიუთითებენ [ჯეირანიშვილი 1998: 454; თალიბოვი 2005: 181]. ასეთ შემთხვევაში, ძირითადი მასვილი ბოლო მარცვალს მოუღის, ხოლო თანამასვილი – პირველს. მასვილი უდიურ ენაში სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესებს იწვევს: რელექციას, მაგ., იჩღრნ < იჩღღრნ „თვითონ“ (ერგ.); აღღღ < აღღღღ „ბავშვები“, შღრ. აღღღ „ბავშვი“; ჟოღღღ < ჟოღღღღ „ზაფხული“ (მიც.), შღრ. ჟოღღღღ (სახ.); აშნებს < აშნებეს „მუშაობს“, შღრ. აშნებს „მუშაობა“... დიფთონგების წარმოქმნას, მაგ., ნანად < ნანაი „ღელისა“; მდა < მია „აქ“...

### 3. 4. 2. მასვილის მოქმედებით გამოწვეული ფონეტიკური ცვლილებები

მასვილი ლეზგიურ ენებში ხშირად ხდება სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების მიზეზი. მათ რიცხვშია: ხმოვანთა რელექცია, ხმოვანთა კვეცა, დიფთონგიზაცია (გარკვეულ პოზიციებში).

ხმოვანთა რელექცია ლეზგიურში ხდება როგორც მასვილის წინა, ისე მასვილის მომღვენო პოზიციაში. ხმოვანი რელექციის შეღეგად ხშირად მხოლოდ სუსტდება, ხოლო ზოგჯერ – მთლიანად ამოიღება. მასვილის წინა პოზიციაში რელექციის შეღეგად შეიძლება წარმოქმნას ლეზგიურ ენათათვის არადამახასიათებელი თანხმოვანთა კომპლექსები სიტყვის აბსოლუტურ ანღაუტში, მაგ.:

ქარ „საქმე“ > ქრ-არ „საქმეები“; ქარჩ „რქა“ > ქრჩ-არ „რქები“...

თაბასარანულში ხმოვანთა რელექცია ხდება მახვილის წინა პოზიციაში. ხმოვანი რელექციის შედეგად ხშირად მხოლოდ სუსტდება, ხოლო ზოგჯერ – მთლიანად ამოიღება. ხმოვნის შესუსტების შედეგად წარმოიქმნება მოკლე (რელუცირებული) ხმოვნები. ხმოვნის შესუსტება მახვილის მოძრაობასთან არის დაკავშირებული. ხმოვნის შესუსტება, როგორც წესი, ხდება აფიქსის დართვისას და მასზე მახვილის გადატანისას, მაგ.:

ჩრდ. ხალ „სახლი“, „ოთახი“ – ხ<sup>ლ</sup>არ (მრ. რ.), ხ<sup>ლ</sup>ურ (ერგ.), ხ<sup>ლ</sup>ან (ნათ.), ხ<sup>ლ</sup>აზ (მიც.)...

ხმოვანთა სრული ან ნაწილობრივი რელექცია შეიძლება მოხდეს ერთ ლექსემაში და ერთნაირ ფონეტიკურ პირობებში, მაგ.:

ჭიქა „წიწილა“ – ჭქარ (მრ. რ.), ჭქელი (ერგ.)...

ხმოვნის სრული ამოღება ხდება ძირითადად ორ და მეტმარცვლიან სიტყვებში, თუმცა, იშვიათად, ერთმარცვლიან სიტყვებშიც დასტურდება, მაგ., ხანაღის თქმაში:

ვაულგან „ლოცვა“ – ვაულგანარ (მრ. რიცხვი), ვაულგან (ერგ.);

წიმიცა „ჭიანჭველა“ – წიმიცარ (მრ. რ.), წიმიცარუ (ერგ.);

გელეგ „ზაქი“ – გელეგარ (მრ. რ.), გელეგ (ერგ.);

ჭ<sup>ო</sup>უმ<sup>უ</sup>ჭ<sup>ო</sup> „შტო“, „განაყარი“ – ჭ<sup>ო</sup>უმ<sup>უ</sup>ჭ<sup>ო</sup>არ (მრ. რ.), ჭ<sup>ო</sup>უმ<sup>უ</sup>ჭ<sup>ო</sup>ინ (ერგ.);

ვაურბან (კაცის საკ. სახელი) – ვაურბანუ (ერგ.);

ჭიქა „წიწილა“ – ჭქარ (მრ. რ.), ჭქელი (ერგ.);

შდრ. აგრეთვე, ხივის თქმაში:

ქარქ „თათი“ – ქარქარ (მრ. რ.), ქარქაუ (ერგ.)...

დიუბეკის თქმაში ხშირად გვხვდება ორ ან მეტმარცვლიანი სიტყვები ბოლოკიდური ხმოვნით, რომლებშიც მახვილი პირველ მარცვალს მოუდის. როგორც წესი, თაბასარანული ენის სხვა თქმებში ბოლოკიდური ხმოვანი ამოღებული, მაგ.:

დიუბეკის თქმა

ხანაღის თქმა

ძაძა „ეკალი“, „ასკილი“

ძაძ

კანტა „ტუჩი“

კანტ

დიზი „წელიწადი“

დიზ

რიდი „მზე“	რიდ
მუჭბ <sup>ო</sup> უ „კუთხე“	მუჭბ <sup>ო</sup>
უჟ <sup>ო</sup> უ „პირი“	უშ <sup>ო</sup>
ჭ <sup>ო</sup> ურღუ „კოშკი“	ჭ <sup>ო</sup> ურღ
წიმიცი „ჭიანჭველა“	წიმიწი
ძიმიძი „თუთა“	ძიმიძ
ხუთჟუ „მსხალი“	ხურ (ხივ. ხუთ)
სიფი „საცერი“	ხივ. სეფ
ბიტი „გველი“	ხივ. ბეტ
ლიკი „ფილთვები“	ხივ. ლეკ
მილძი „ენა“	ხივ. მელძ

ხმოვანთა რედუქცია ალულორში არ არის ისეთი გავრცელებული პროცესი როგორც ლეზგიურსა და თაბასარანულში. ხმოვანთა რედუქცია ალულორ ენაში მხოლოდ ზოგიერთი აფიქსის დართვისას ხდება. ხმოვანი რედუქციის შედეგად, როგორც წესი, მხოლოდ სუსტდება, ხოლო ზოგჯერ – მთლიანად ამოიღება.

ხმოვნის შესუსტების შედეგად წარმოიქმნება მოკლე (რედუცირებული) ხმოვნები. რედუცირებულ ხმოვანს არა აქვს მყარი პოზიცია, მოკლე ხმოვნის წარმოქმნა მახვილის მოძრაობასთან არის დაკავშირებული. ხმოვნის შესუსტება ალულორში ხდება აფიქსის დართვისას და მასზე მახვილის გადატანისას, მაგ.:

ხ<sup>~</sup>ედ „წყალი“ – ხ<sup>~</sup>თარ (მრ. რიცხვი), ხ<sup>~</sup>თი (ერგ., მხ. რ.), ხ<sup>~</sup>თინ (ნათ.), ხ<sup>~</sup>თის (მიც.)...

ხმოვნის სრული ამოღება დასტურდება ზმნის უარყოფითი ფორმების წარმოებისას, მაგ.:

წართქმითი ფორმა	უარყოფითი ფორმა
ვაჩუჭას „დაწყება“	ვაჩღუჭას
ვაჩარხ <sup>~</sup> ას „მიღწევა“	ვაჩღარხ <sup>~</sup> ას
ვაჩიხ <sup>~</sup> ას „ასროლა“	ვაჩღიხ <sup>~</sup> ას
ქიჩიკას „დამარხვა“	ქიჩღკას
ქიჩაღურქას „ცოტათი მოღუნვა“	ქიჩღაღურქას

ჰაჩარხანას „შეხვედრა“

ჰაჩარხანას

ქაჩაძის „გაცემა“

ქაჩაძის

რუთულურში შემდეგი მახვილთან დაკავშირებული შემდეგი ფონეტიკური პროცესები დასტურდება:

მახვილიანი ხმოვნის მეზობლობაში უმახვილო ხმოვნის ნაწილობრივი ან სრული რელექცია, მაგ., ტემლად < \*ტემლად „ყურძენი“ (ნათ.), შდრ. ტემელ (სახ.); თლა < თელს „ძალი“; ხლექ < \*ხელექ „სახელი“, შდრ. ხელ „ხელი“...

წინამავალი მახვილიანი ხმოვნის გავლენით იკვეცება სიტყვის ბოლოკიდური ხმოვანი, მაგ., კატ < \*კატს „ქათამი“, შდრ. წახ. კატე „id“; წაჰ < \*წაჰს „თხა“, შდრ. წახ. წაჰს „id“...

გვერდიგვერდ მოქცეულ ხმოვანთაგან უმახვილოს დასუსტება და ნახევარხმოვნად გარდაქმნა ხდება, მაგ., აზარად, ეზარად (რუთ. დიალ.) < აზარაი (მუხრეკ.)...

წახურშიც მახვილიანი ხმოვანი იწვევს მეზობლად მდგომი უმახვილო ხმოვნის დასუსტებას, ანდა ფუძის შიდა ხმოვნის რელექციას თუ ბოლოკიდური ხმოვნის კვეცას, მაგ., უბ (წახ. დიალ.) < უბა, შდრ. უბს (მიქიქ.) „უბანი“; შინ (წახ. დიალ.) < შინა, შდრ. შინს (მიქიქ.) „ოფლი“...

არჩიულში თუ სიტყვაში მახვილი მოუღის მესამე მარცვალს, მაშინ საერთო წესის მიხედვით ხდება წინამავალი ხმოვნის რელექცია (ნასესხებ ლექსიკაში რელექციის მაგივრად ხდება მახვილის გადატანა მესამე მარცვლიდან მეორე მარცვალზე). ამ წესის ჩაწერა შეიძლება შემდეგი ფორმულით: CV(C)CVCV > CV(C)CCV. გვაქვს გრამატიკულ ფორმათა ორი ტიპი, რომლებშიც ეს წესი მოქმედებს:

1. კლას-პრეფიქსიანი ორმარცვლიანი ზმნური ფორმები, რომლებშიც მახვილი ფიქსირდება მეორე მარცვალზე, მაგ.:

[ღ-ქერა-ს] ღექერას > ღექრას „წაყვანა“, შდრ. ქერას (IV კლ.);

[ღ-შოუბუ-ს] ღეშოუბუს > ღეშობუს „აღება“, შდრ. შოუბუს (IV კლ.);

[ბ-ჩერა-ს] ბეჩერას > ბეჩრას „შეწვა“, შდრ. ჩერას (IV კლ.)...

2. ამ ჯგუფში შედის ორმარცვლიანი ზმნური და სახელური ფორმები, რომლებშიც მახვილი გადადის სუფიქსზე, მაგ.:

კენწოლ-ა > კენწლ-ა (ერგ.), შდრ. კენწოლ (აბს.) „ლეკვი“;

მეთოლ-ა > მეთლ-ა (ერგ.), შდრ. მეთოლ (აბს.) „ციკანი“;

ხეთონ-ა > ხეთნ-ა (ერგ.), შდრ. ხეთონ (აბს.) „ლობე“...

რელექცია შესაძლებელია მახვილის შემდეგაც. მახვილის მომდევნო პოზიციაში, თუმცა არა ბოლო მარცვალში არჩიბული იგუებს უ, ო და ე ხმოვნებს, ხოლო ა და ი ხმოვნები განიცდის რელექციას და გადადის ე. წ. ირაციონალურში (გ), მაგ.:

ღარწან „წარბი“ – ღარწმულ „წარბები“;

ბაზლლით „ბაზარში“ – ბაზლლუთის „ბაზრიდან“...

უდიურშიც რელექცია დაკავშირებულია მახვილთან. მახვილი, როგორც წესი, ფიქსირებულია ბოლო მარცვალზე, თუმცა ზოგჯერ თავიკიდურ მარცვალსაც მოუდის. თუ სიტყვა სამ ან მეტმარცვლიანია, ასეთ შემთხვევაში, ორი მახვილი დასტურდება: ძირითადი (ბოლო მარცვალზე) და თანამახვილი (თავიკიდურ მარცვალზე). რელექცია მოსდის მახვილის წინა ხმოვანს.

ფუძის შიგნით რელექცია (ფუძის კუმშვა) გავრცელებული მოვლენაა უდიურში. როგორც წესი, იკუმშება ე და უ ხმოვნები, მაგ., ად'ლუხ < ადელუხ “ბავშვები” (ადელ “ბავშვი”); ჟოლ'ლს < ჟოლულს (ჟოლულ “ზაფხული”); კომ'ნუნ (ნივ.) < კომუნუნ “ჯარის” (კომუნ “ჯარი”)...

რელექცია სისტემატურად დასტურდება ზმნის ფორმებში: მასდარის მაწარმოებლის (-ეს) ე ხმოვანი ხშირად იკუმშება მასზე დაყრდნობით ნაწარმოებ მასდარი II-ს, აწმეოსა და ნამეო-უწყვეტელის (იმპერფექტი) ფორმებში, მაგ.:

უქ'სუნ < უქესუნ “ჭამა”; ულ'სუნ < ულესუნ “სმა”...

უ-ნე-ქ'სს < უ-ნე-ქესს “ჭამს”; უ-ნე-ლ'სს < უ-ნე-ლესს “სვამს”...

უ-ნე-ქ'სად < უ-ნე-ქესად “ჭამდა”; უ-ნე-ლ'სად < უ-ნე-ლესად “სვამდა”...

რელექცია სისტემატურად ხდება მრავლობითი რიცხვის წარმოებისას, ირიბ ბრუნვათა ფორმებში, მაგ.:

სას. გურატ'უნს “პერანგები”; ვიჩიმ'უნს “ძმები”; ჰასო'უნს “ღრუბლები”;

ერგ. გურატ'ლრნ < გურატულრნ; ვიჩიმ'ლრნ < ვიჩიმულრნ; ჰასო'ლრნ < ჰასოულრნ;

ნათ. გურატ'ლრ[დ] < გურატულრ[დ]; ვიჩიმ'ლრ[დ] < ვიჩიმულრ[დ]; ჰასო'ლრ[დ] < ჰასოულრ[დ];

მიც. გურატ'ლრ[ხ] < გურატულრ[ხ]; ვიჩიმ'ლრ[ხ] < ვიჩიმულრ[ხ]; ჰასო'ლრ[ხ] < ჰასოულრ[ხ]...

ამას გარდა, უდიურში დასტურდება დიფთონგების წარმოქმნა მახვილის გავლენით, მაგ., ნანად < ნანაი „ლეღისა“; მდა < მია „აქ“...



### 3. 4. 3. ძირითადი დასკვნები

შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჟამად სიტყვათმასხვილი ლეზგიურ ენებში მეტწილად არის ინტენსიური დინამიკური. იმ ენებშიც კი, რომლებშიც სუსტ მახვილზე მიგვივითებენ (თაბასარანული, ალუღური, რუთულური, წახური), თუ უმახვილო მეზობელი ხმოვნების რედუქციის საკმაოდ ხშირ შემთხვევებს გავითვალისწინებთ, სულ მცირე გარკვეულ პოზიციებში უნდა ვივარაუდოდ ინტენსიური მახვილის არსებობა. ამრიგად, ინტენსიური მახვილი საერთოლეზგიურ ისტორიულ ვითარებას უნდა ასახავდეს. ამისი დამატებითი ილუსტრაციაა ხმოვანთა ზოგიერთი შესატყვისობა (მაგ., უ : ჯ), ლიფთონგიზაცია (გარკვეულ პოზიციებში) და რედუქციული პროცესები.

მახვილის ადგილი ენათა მიხედვით ძირითადად არაფიქსირებულია (ლეზგიურისა და ალუღურის გამოკლებით, ყველა დანარჩენ ლეზგიურ ენაში მახვილი არაფიქსირებულად უნდა მივიჩნიოთ), რაც ასევე ამოსავალ მდგომარეობას უნდა ასახავდეს.

ზოგიერთ ლეზგიურ ენაში მახვილის მიდრეკილება – დამკვიდრდეს თავიდან ორი მარცვლის ფარგლებში (არჩიული, ბუღუხური) ან თავიდან მეორე მარცვალზე (ლეზგიური, ალუღური, წახური) – ინოვაციად უნდა იქნეს მიჩნეული ისევე, როგორც როგორც საწინააღმდეგო მიდრეკილება ბოლო მარცვალზე (უდიური, თაბასარანული) ან ბოლოდან ორი მარცვლის ფარგლებში (რუთულური) დამკვიდრებისაკენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანული ენის გავლენით უნდა აიხსნას. ხინალუღურსა და კრიწულში ორივე ტენდენცია შეინიშნება. საყურადღებოა, რომ ენათა ერთ წყებაში (ლეზგიური, თაბასარანული, ბუღუხური) მახვილს დისტინქციური ფუნქციაც მოეპოვება.

### 3. 5. მახვილი ნახურ და დალესტნურ ენებში

#### 3. 5. 1. მახვილის ბუნება და ადგილი

ჩვენს ხელთ არსებული სათანადო ემპირიული მასალის ანალიზი და სპეციალური ლიტერატურის განხილვა გვარწმუნებს, რომ ამჟამად ნახურ-დალესტნურ ენებში დასტურდება როგორც სუსტი დინამიკური, ისე ინტენსიური დინამიკური სიტყვათმასხვილი. ამასთან, იგი ძირითადად არაფიქსირებულია და ზოგიერთ ენაში -

დისტინქციური ფუნქციის მქონე არის.<sup>129</sup>

მასვილის პრობლემა ნახურ ენებში თითქმის შეუსწავლელია. მასვილის შესახებ მწირი ცნობები მოიპოვება დ. იმნაიშვილისა [იმნაიშვილი 1977] და რ. გაგუას ნაშრომებში [გაგუა 1983]. ზემოთ დასახელებული ლიტერატურის მიხედვით, ნახურ ენებში გვაქვს სუსტი დინამიკური მასვილი. მასვილიანი ხმოვანი ბაცბურში (წოვათუშურში), ჩეჩნურ და ინგუშურ მასვილიან ხმოვნებთან შედარებით, უფრო გამოკვეთილია.<sup>130</sup>

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ნახურ ენებში ინტენსიური, არაფიქსირებული მასვილის არსებობის ფაქტად მიჩნეულია ერთადერთი მაგალითი, ერთი მხრივ, ჩეჩნურსა და ინგუშურში და, მეორე მხრივ, ბაცბურში. შდრ.: კანათ „ვაჟი, ბიჭი“ (ჭებერლ.), კანთ (<კანათ) (ჩეჩნ. ბარის კილო) და კანთ (ბაცბური). ამ განსხვავების მიზეზად სახელდება მასვილი: ჩეჩნურსა და ინგუშურში მასვილი იყო პირველ მარცვალზე, ბაცბურში - მეორე მარცვალზე. ამას შეიძლება შემდეგი მაგალითები დაემატოს: ფალას (დიალ. ვარ.) - ფალას „ფარდაგი“; ირას (დიალ. ვარ.) - ირას „ბედი“.

მასვილიან დაკავშირებით ყურადღებას იქცევენ ნასესხები სიტყვებიც. ასე, მაგალითად, ზოგ ნასესხებ სიტყვაში მასვილიანი მარცვლის მომდევნო მარცვლებში არსებული ა, ი, უ ჩეჩნური ენის ბარის დიალექტში რედუცირდება. შდრ. ჩამდა (< ჩამდან) (შდრ., რუს. чeмoдaн); აქშქან (< აქშიქ) (შდრ., რუს. ящик)... შდრ. აგრეთვე აღმოსავლური ენებიდან ნასესხებ სიტყვები: ლქალაჯ (<ლქალაჯ) „საზიდარი“, „ოთხთვალა“; ლქრუჯ (<ლქრუჯ) „ჭოკი“; კარხ „წულა, ჩუსტი“...

ხმოვანთა რედუქციას ადგილი აქვს სიტყვაწარმოებაშიც. მაგალითად, -იგ სუფიქსიან არსებით სახელთა ბრუნებისას იკარგება აღნიშნული სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი. შდრ. ჩეჩნური: სახ. ციც-იგ „კატა“, ნათ. ცის-ქ-ან (დიალ. ვარ.) (<ციცქან<ციცგან<ციც-იგ-ან); სახ. ბჸე-იგ „პური“, ნათ. ბჸე-ქ-ან (<ბჸე-გ-ან<ბჸე-იგ-ან); ღეჩ-იგ „შეშა“, ღეჩ-ან... ამავე რიგისა: ჟიგ „რკინა“ – ნათ. ჰგან; ჟიჟე „ხორცი“ – ნათ. ჟიჟან (დიალ. ვარ.)...

საფიქრებელია, რომ საანალიზო მაგალითებში ი-ს რედუქცია გამოწვეული იყოს მასვილით, რომელიც ოდესღაც ფლექსიის ხმოვანზე მოდიოდა [იმნაიშვილი 1977: 19]. აღნიშნული მოსაზრება მტკიცდება ბაცბური

<sup>129</sup> მასვილს ფონოლოგიური დანიშნულება აქვს ხუნძურში, ბოთლისურში, ჭამალურში, პინუსურში, ტინდიურსა და ლოლბერიულში, ლეზგიურში, თაბასარანულსა და ბულუსურში [გულაგა 1953: 336; 1963, 18; 1971: 10; საილოვა 1973: 39; მაჰომედოვა 1981: 103; ხანმაგომელოვი 1967: 547-548; 1998: V-31; მეილანოვა 1984: 188; მეილანოვი, შეიხოვი 1998: 19].

<sup>130</sup> ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ თანამედროვე ნახურ ენათაგან ბაცბურში გრძელი ხმოვნები, გრძელი ა-ს (ა) გარდა, არ გვაქვს, ხოლო ჩეჩნურსა და ინგუშურში ხუთივე სადა ხმოვანს ან დიფთონგს ეძებნება გრძელი კორელატები. შესაძლებელია, ჩეჩნურ-ინგუშურში გრძელი ხმოვნების არსებობით მასვილი იყოს დაჩრდილული.

ენის მონაცემებით, სადაც ანალოგიურ შემთხვევებში მახვილი მოუღის ფლექსიის ხმოვანს და კუმშავს წინა მარცვალს. ამის მაგალითებია: სახ. გაგან<sup>5</sup> „კვერცხი“, ნათ. გაგან<sup>6</sup> (<გაგანენ), სახ. გაგანი (<გაგანი) (მრ. რ.); ბაღერ „ბავშვი“, ბაღერ<sup>6</sup> (<ბაღერენ), ბაღერი (<ბაღერი) (მრ. რ.)...

მახვილთან დაკავშირებული რელექციის შემთხვევები იმაზე მიგვითითებს, რომ მახვილი ნახურ ენებში, სულ მცირე, გარკვეულ პოზიციებში ინტენსიურად უნდა იყოს გამოხატული. ინტენსიური მახვილი ისტორიულ ვითარებასაც უნდა ასახავდეს.

ხუნძურ ენაში მახვილი მნიშვნელოვანწილად ძლიერია [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 24], რაც ისტორიული სინამდვილის გამოძახილი ჩანს. სიტყვათმახვილის მიხედვით, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან სხვა ენებიც. საგულისხმო ჩვენებას გვაწვდის ჭამალური ენა, რომელშიც ძლიერი და სუსტი მახვილის დაპირისპირება რელევანტურია [მაჰომელოვა 1981: 103]. ეს, ჩვენი ვარაუდით, უნდა ასახავდეს მახვილის დასუსტების გარდამავალ საფეხურს, როცა ხდება არქაულის შენარჩუნება და მის გვერდით ახალი მოვლენის ფორმირება.

დილოურ ენებში თავისი რომელიაობით სუსტი დინამიკური,<sup>131</sup> არაფიქსირებული სიტყვათმახვილი გვხვდება [შდრ. ვან დენ ბერგი 1994: 363]. იგი დისტინქციურ ფუნქციას მოკლებულია, თუმცა ინსოციალურ და საკ. ბეჟიტურ დიალექტებში მიკვლეულია ცალკეული ფაქტები მისი ფონოლოგიზაციისა [ლომთაძე 1984: 135].

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა დიფერენციაციის წინა პერიოდის მახვილი რომ ინტენსიური იყო, ამას ცხადს ხდის ხმოვანთა რელექციის ხელშეშეხები ფაქტები, მაგ.:

ხუნძურში დასტურდება ფუძისეული ხმოვნის რელექცია, რაც წინამავალ მახვილს უნდა გამოეწვია, მაგ.: ნჟს-გო < \*ნჟსა-გო (შდრ. ანდ. ბემონუ-გუ) “ასი”, ყუნყრა < \*ყუნყრა (შდრ. ლოდ. ყურყამა) “წერო” და სხვ.

რიგ შემთხვევაში კლასის პრეფიქსული ექსპონენტების მოშლა უნდა უკავშირდებოდეს მათი ფუძესთან დამაკავშირებელი ხმოვნის რელექციას, რასაც, ჩანს, მისი უკანამავალი მარცვლის მახვილი იწვევდა [შდრ. აკიევი 1982: 103], მაგ.: ხუნდ. წუნა < \*ბწუნა < \*ბე-წუნა (შდრ. ახვ. ბე-ჭარი “id.”) “ავსო”... ანალოგიურ შემთხვევებში, ხმოვნის რელექციის შემდეგ, უნდა მომხდარიყო კლასის ნიშნისეული თუ ფუძისეული თანხმონების თავმოყრა, რაც, როგორც ცნობილია, ამ ენათა კომბინატორიკით აკრძალულია. ამის გათვალისწინებით, არაბუნებრივი კომპლექსის გამარტივება სავსებით კანონზომიერია.

ე. ლომთაძის მართებული შეხედულებით, ხვარშიულსა და ბეჟიტურ ენებში ი-სა და ა-ს ნაწილობრივი რე-

<sup>131</sup> ცალკეულ ანდიურ-დილოურ ენებში (მაგ., ანდიურში) მახვილი იმდენად სუსტია, რომ ზოგი მკვლევარი სიტყვათმახვილის არსებობას ანდიურ-დილოურ ენებში საერთოდ უარყოფს და გამოყოფს მარცვლის ტონს [კიბრიკი, კოძასოვი 1990: 321-331]. ანდიური მახვილი, სისუსტის გამო, ხშირად ითქვიფება ფრაზის მახვილში [ცერცვაძე 1965: 26]. სიტყვათმახვილის გარეშე ენა არ არსებობს [ახვლედიანი 1999: 138], ამიტომ ვერ გავიზიარებთ თვალსაზრისს ოდენ ტონური მახვილის არსებობის შესახებ (ამ საკითხს ექსპერიმენტულად შესწავლა სჭირდება).

ლექცია (ი>გ, ა>წ) ინტენსიური მახვილის ზემოქმედებით არის გამოწვეული [ლომთაძე 1984: 112].

გავრცელებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ინფინიტივის ფორმებს სუფიქსზე მოუღის მახვილი. აქედან გამომდინარე, კაუზატიურ ინფინიტივებში რელექციას იწვევს სუფიქსისეული -ა (<\*-აღ) [იმნაიშვილი 1963: 22; ლომთაძე 1984: 34...].

ლაკურ ენაში მახვილი ღინამიკურია; იგი შეიძლება სუსტად მივიჩნიოთ, მაგრამ ყველა ფორმაში მას სავსებით განსაზღვრული ადგილი უჭირავს [ჟირკოვი 1955: 15]. დარგულში მახვილი შეუდარებელი სუსტია, თითქმის შეუმჩნეველი; ასუშურ და ურახულ დიალექტებში კი, როგორც აღნიშნავენ სპეციალურ ლიტერატურაში, ზოგჯერ ძნელდება კიდევ დადგენა თუ რომელ მარცვალზე დაისმის მახვილი. ს. აბდულაევის თქმით, ურახულ დიალექტში მახვილის ადგილის განსაზღვრა გაძნელებულია იმ ვითარების გამოც, რომ ამ დიალექტში უხვადაა გრძელი ხმოვნები. რაც შეეხება ასუშურ დიალექტს, სხვადასხვა სოფლების თქმებში განსხვავებულია მახვილის მოქმედებაც [აბდულაევი 1954: 61]. სხვაგვარი ვითარება შეინიშნება მეკეგისა და წულახარის ჯგუფის დიალექტებში. მეკეგის ჯგუფში მახვილი უფრო მკაფიოდ არის გამოატული, ვიდრე ასუშურ-ურახული ჯგუფის დიალექტებში, თუმცა მას ამ ჯგუფშიც არ მოეპოვება არც სიტყვაწარმოებითი, არც სიტყვაცვალების ფუნქციები, ხოლო წულახარულ დიალექტში მახვილი მკაფიოდ არის გამოხატული და აქ იგი გარკვეულ როლსაც კი ასრულებს სიტყვაწარმოებისა და სიტყვაცვალების დროს.

ამჟამად მახვილი ლეზგიურ ენებში მეტწილად არის ინტენსიური ღინამიკური. იგი ხშირად წინამავალი ან მომდევნო ხმოვნის რელექციისა (მაგ., ლეზგ. სას „კბილი“ – სსა (ერგ.); თაბ. მურსულ „დაფი“ – მურსლარ (მრ. რ.); აღ. ცარშინლ „დაყვი“ – ცარშლარ და სხვ. მისთ.) და სხვა ფონეტიკური პროცესების მიზეზი ხდება. იმ ენებშიც კი, რომლებშიც სუსტ მახვილზე მიგვითითებენ (თაბასარანული, აღულური, რუთულური, წახური),<sup>132</sup> თუ უმახვილო მეზობელი ხმოვნების რელექციის საკმაოდ ხშირ შემთხვევებს გავითვალისწინებთ, სულ მცირე გარკვეულ პოზიციებში უნდა ვივარაუდოდ ინტენსიური მახვილის არსებობა. ამრიგად, ინტენსიური მახვილი საერთოლეზგიურ ისტორიულ ვითარებას უნდა ასახავდეს. ამას ადასტურებს ხმოვანთა ზოგიერთი შესატყვისობა (მაგ., უ : გ), დიფთონგიზაცია და რელექციული პროცესები.

მახვილი ნახურ ენებში ჩვეულებრივ პირველ მარცვალზეა ფიქსირებული. განსაკუთრებით მკაცრად ეს წესი დაცულია ჩეჩნურსა და ინგუშურში. მახვილის ადგილი, დ. იმნაიშვილის მიხედვით, ჩეჩნურსა და

<sup>132</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში თაბასარანულში (დიუბეკის თქმაში), რულულურში (ლუჩეკის თქმაში), წახურში, კრიწულში (საკ. კრიწ.), ბულუხურსა და უდიურში (ნიჯურ კილოში) ტონური მახვილის არსებობას აღნიშნავენ, ამათგან, წახურში (გილმეწურის გამოკლებით [კიბრიკი, კოძასოვი, სტაროსტინი 1978: 24]), კრიწულში (საკ. კრიწ.), ბულუხურსა და უდიურში (ნიჯურ დიალექტში) მხოლოდ ტონური მახვილი ივარაუდება [კიბრიკი, კოძასოვი 1990: 337, 343-347].

ინგუშურში „უფრო ფიქსირებულია“, ვიდრე წოვათუშურში [იმნაიშვილი 1977]; მაგ., ღამა „ფქვილი“; ღალა „ფურირემი“; ალჰანჩ „შოშია“ და ა. შ.

ხუნძურ ენაში მახვილის ადგილი თავიდან პირველი ან მეორე მარცვლით შემოიფარგლება [მიქაილოვი 1958: 144; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 25; დე 2000: 438], თუმცა მიუთითებენ მესამე და მეოთხე მარცვლის მახვილზედაც [ისაყოვი 1981: 87]. ანდიურ-დილოურ ენებში მახვილის ადგილი ფიქსირებული არ არის – იგი შეიძლება ეცემოდეს ნებისმიერ მარცვალს სხვადასხვა სილაბური სტრუქტურის ლექსემებსა და გრამატიკულ ფორმებში. მასთან, სიტყვათმახვილის ადგილი ერთგვარად სიტყვის სემანტიკით და ფორმითაც ჩანს შეპირობებული [იმნაიშვილი 1963: 22; მაღიევა 1965: 33; გუდავა 1971: 10-11; მაჰმედოვა 1981: 104].<sup>133</sup>

შ. მიქაილოვის მტკიცებით, თავდაპირველად ხუნძურში მახვილის ლოკალიზაცია მომხდარა თავმარცვალზე, ხოლო მოგვიანებით, მორფონოლოგიური პროცესების შედეგად, მახვილს გადაუწვია მეორე მარცვალზე [მიქაილოვი 1958: 123], რისი გაზიარებაც ჭირს [იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 28].

მართალია, ისტორიულად უნდა ყოფილიყო ორმარცვლიან სახელთა ერთი წყება, რომლებსაც ინტენსიური მახვილი პირველ მარცვალზე მოუდიოდა, რასაც უნდა გამოეწვია უკანამავალი მარცვლის მოკვეცა, მაგ.: ცქრ < \*ცქრი (შდრ. ბოთლ., ლოდ., ტინდ. სარი ~ საკ. დიდ. ზერუ) “მელა”, წარ < \*წარი (შდრ. ბოთლ., კარ., ახვ. წაერი ~ ბეჟ. ცარო) “სახელი”... მიუხედავად ამისა, უნდა გვკონოდა მეორე მარცვალმახვილიანი სახელებიც, რომელთაგან ზოგს იმთავითვე მეორე მარცვალზე ეცემოდა მახვილი (ბეტქრ “თავი”...), ხოლო ზოგმა კი მოგვიანებით მიიღო იგი [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 28].

დღესდღეობით ანდიურ-დილოურ ენათა მეტწილში შეინიშნება ტენდენცია მახვილის ლოკალიზაციისა პირველ ან მეორე მარცვალზე, რომლებიც უპირატესად დახურულია [ცერცვაძე 1965: 26; გუდავა 1986: 173; ხალილოვი 1995: 394; დე 2000: 349, 392]. ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ ხუნძურში ხსენებული პროცესი ძირითადად დასრულებულია, თუმცა შეიმჩნევა მესამე და, იშვიათად, მეოთხე მარცვალმახვილიანი მაგალითებიც [ისაყოვი 1981: 87].

მახვილის ადგილის თვალსაზრისით არაფიქსირებული მახვილი არსებითად ისტორიულ ვითარებას უნდა ასახავდეს. ხუნძური მახვილის მიდრეკილება – დამკვიდრდეს თავიდან ორი მარცვლის ფარგლებში – ინოვაციად უნდა იქნეს მიჩნეული ისევე, როგორც სუსტი მახვილი ანდიურ-დილოურ ენებში.

---

<sup>133</sup> არა მარტო სხვადასხვა ენები, არამედ ერთი ენის დიალექტები, თქმები და იდეოლექტიც კი (sic!) განსხვავებულად წარმოგვიდგენენ მახვილის ადგილს [გუდავა 1953: 335], რასაც ექსპერიმენტულად შესწავლა სჭირდება.

ლაკურში მახვილის ადგილი განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით: 1) მარცვლის დახურულობა, 2) გრძელი ხმოვნის არსებობა, დიფთონგის მქონებლობა. ლაკურისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, აფიქსალურ მორფემებზე მახვილის გადაწევის ტენდენცია: როდესაც სიტყვას დაერთვის აფიქსი (ბრუნვის ნიშანი, ღერივატი, ზმნური სუფიქსი...), მახვილი ამ აფიქსებზე გადაინაცვლებს ხოლმე. ეს ტენდენცია ლაკურ ენას აახლოებს ხუნძურთან და აშორებს დარგუული ენის ვითარებას. დარგუულში მახვილი უპირატესად ფიქსირებულია. სიტყვებში იგი დაისმის ხოლმე ბოლოდან მეორე მარცვალზე, ამასთან, მახვილი ნარჩუნდება ბოლოდან მეორე მარცვალზე როგორც სახელთა ბრუნების, ისე ზმნის უღვლილების დროს: ქათა „კატა“ – ნათ. ქათალა, ვაცა „თავი“ – ნათ. ვაცალა; ახუშურში: ნუ ლავყული სადრა → ნუ ლავყული „მე მივიღვარ“, ჰუ ლავყული „შენ მიდიხარ“ და ა. შ.

სხვა დარგუული დიალექტებისაგან განსხვავებით წუდახარული ტიპის დიალექტებში მახვილი მოძრავია – მან შეიძლება გადაინაცვლოს ერთი მარცვლიდან მეორეზე. ამას გარდა, წუდახარული ჯგუფის დიალექტებში მახვილის გადაინაცვლება იწვევს ხოლმე სიტყვის მნიშვნელობის ცვლასაც, რასაც სხვა დიალექტებში ვერ ვხვდებით. მაგ.: საბუჯუნ „წინ წაიწია“ – საბუჯუნ „გამოიქცა“; ვაჭიბ „მოვიდა“ – ვაჭიბ „მოსული“ და ა. შ.

მახვილის ადგილი ლეზგიურ ენათა მიხედვით ძირითადად არაფიქსირებულია (ლეზგიურისა და აღულურის გამოკლებით, ყველა დანარჩენ ლეზგიურ ენაში მახვილი არაფიქსირებულად უნდა მივიჩნიოთ), რაც ასევე საერთოლეზგიურ ამოსავალ მდგომარეობას უნდა ასახავდეს.

ზოგიერთ ლეზგიურ ენაში მახვილის მიდრეკილება – დამკვიდრდეს თავიდან ორი მარცვლის ფარგლებში (არჩიბული, ბულუხური) ან თავიდან მეორე მარცვალზე (ლეზგიური, აღულური, წახური) – ინოვაციად უნდა იქნეს მიჩნეული ისევე, როგორც როგორც საწინააღმდეგო მიდრეკილება ბოლო მარცვალზე (უდიური, თაბასარანული) ან ბოლოდან ორი მარცვლის ფარგლებში (რეთულური) დამკვიდრებისაქენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანული ენის გავლენით უნდა აიხსნას. ხინალულურსა და კრიწულში ორივე ტენდენცია შეინიშნება. საყურადღებოა, რომ ენათა ერთ წყებაში მახვილს დისტინქტური ფუნქცია მოეპოვება.

ლეზგიურ ენაში მახვილი ფიქსირებულია: ორ ან მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილი ჩვეულებრივ მეორე მარცვალს მოედის, თუმცა გვაქვს აფიქსთა მთელი წყება (-დი, -და, -ბურ, -ნა, -რა, -და, -ნი, -ლა, -ლაჰ, ლავდი, -ლაჰ, -ტა, -ჟალ, -ნუნ, -უნ), რომელიც ყოველთვის უმახვილოა, მათ შორის – როდესაც ისინი სიტყვაში მეორე მარცვლად წარმოგვიდგება [ჟირკოვი 1940; თალიბოვი 1966: 546-548; მელიანოვა 1967: V-529-530]. მახვილი ლეზგიურ ენაში ძლიერია – ის ხშირად ხდება რედუქციისა და ხმოვანთა მონაცვლეობის მიზეზი. ხმოვანთა რედუქცია ლეზგიურში ვითარდება როგორც მახვილის წინა, ისე მახვილის მომდევნო პოზიციაში.

რედუქციის შედეგად ხმოვანი ხშირად მხოლოდ სუსტდება, ხოლო ზოგჯერ – მთლიანად ამოიღება. რედუქციის შედეგად მახვილის წინა პოზიციაში შეიძლება წარმოიქმნას ლეზგიურ ენათათვის არაღამასასიათებელი თანხმოვანთა კომპლექსები სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში, მაგ., ქარ “საქმე” > ქრ-არ “საქმეები”; ქარჩ “რქა” > ქრჩ-არ “რქები”... იმის მიუხედავად, რომ მახვილი ლეზგიურ ენაში, როგორც აღინიშნა, ფიქსირებულია, გვხვდება სიტყვები, რომლებშიც მახვილი დისტინქციური ფუნქციით არის აღჭურვილი, მაგ., ჯალუნ „ჩვენება“ – ჯალუნ „აურზაურის ატეხვა“; ჯალარ „წვიმა“ – ჯალარ „გვერდები“ [მეილანოვი, შეიხოვი 1998: 19]...

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, თაბასარანულს სუსტი და არაფიქსირებული დინამიკური მახვილი ახასიათებს [ხანმაგომელოვი 1967: 547-548; 1998: V-31-32; მაჰომეტოვი 1965: 33-41; ალექსეევი, შიხალიევა 2003: 30-31], თუმცა მახვილთან დაკავშირებული რედუქციის შემთხვევები იმაზე მიგვიჩვენებს, რომ თაბასარანული მახვილი ინტენსიურად უნდა იყოს გამოხატული გარკვეულ პოზიციებში მაინც. სახელებში მახვილი ჩვეულებრივ ბოლო მარცვალს მოუდის (თუ იგი დახურულია), თუმცა სხვაგანაც დასტურდება. ორ და სამმარცვლიან უპრევერბო ზმნურ ფორმებში მახვილი ფიქსირებულია მეორე მარცვალზე. ორმარცვლიან პრევერბიან ზმნურ ფორმებში მახვილი პირველ მარცვალს მოუდის, ხოლო პრევერბიან სამმარცვლიან ზმნურ ფორმებში – ბოლო მარცვალს. გვხვდება მახვილის თვალსაზრისით მინიმალური წყვილებიც, მაგ., უბჩოუხ „შერჯმა“ – უბჩოუხ „ცემა“... თაბასარანული მახვილი მოძრავია. იგი ხშირად აფიქსებსა და სიტყვაწარმოებით ელემენტებზე გადაიწევს. მახვილის გადატანისას ხშირია წინამავალი ხმოვნის რედუქცია, მაგ., მურსულ „მაფი“ – მურსლარ (მრ. რ.)... დასტურდება მახვილის მოძვენო ხმოვნის რედუქციაც, მაგ., ძამ „ეკალი“, კანტ „ტუჩი“, დის „წელიწადი“, რიდ „მზე“, შდრ. დიუბეკის თქმაში: ძამა, კანტა, დიზი, რიდი...

აღუღურ ენაშიც მახვილი სუსტი დინამიკურია. იგი, როგორც წესი, მეორე მარცვალს მოუდის [მაჰომეტოვი 1967: 564; 1970: 20-22; ალექსეევი, სულეიმანოვი 1998: V-45]. სიტყვაწარმოებისას ან სიტყვაწვლილებისას მახვილი არ იცვლის თავის პოზიციას. გამონაკლისია ერთმარცვლიანი სიტყვები და პრევერბიანი და უარყოფითი ზმნური ფორმები, რომლებშიც მახვილი პირველ მარცვალს (პრევერბსა და უარყოფის ელემენტს) მოუდის. ზოგიერთ ორმარცვლიანი სიტყვის მახვილიც სიტყვაწვლილებისას გადადის აფიქსზე, თუმცა ასეთ შემთხვევაში ხდება წინამავალი ხმოვნის რედუქცია (მაგ., ცარშიდ „ილავი“ – ცარშლარ (მრ. რ.)...), რაც იმაზე მიგვიჩვენებს, რომ მახვილი აღუღურ ენაში გარკვეულ პოზიციებში ინტენსიური უნდა იყოს.

რეთულურ ენაში მახვილს სხვადასხვაგვარად ახასიათებენ: ზოგიერთი მკვლევრის აზრით, რეთულურში ოდენ ტონური (მუსიკალური) მახვილი დასტურდება [კიბრიკი, კოძასოვი 1990: 343] ან ტონური მახვილი თანამდევი დინამიკური მახვილთან [ჯეირანიშვილი 1964; ჯეირანიშვილი 1967: 581], ანდა სუსტი დინამიკური მახვილი, რომელიც ტონურ მახვილში გადადის [იბრაჰიმოვი 1978: 41]. სხვა შეხედულებით კი, რეთულურს მოეპოვება ძლიერი დინამიკური მახვილი [ჯეირანიშვილი 1984: 94]. ეს უკანასკნელი მოსაზრება, ჩვენი აზრით, მართებული უნდა იყოს. ამის შესახებ მეტყველებს: მახვილიანი ხმოვნის მეზობლობაში უმახვილო ხმოვნის ნაწილობრივი ან სრული რედუქცია, მაგ., ტემლად < \*ტემგლად „ეურძენი“ (ნათ.), შდრ. ტემგლ (სახ.); თლა < თელს „დალი“; ხლუქ < \*ხლუქქ „სახელო“, შდრ. ხელ „ხელი“...

წინამავალი მახვილიანი ხმოვნის გავლენით იკვეცება სიტყვის ბოლოკიდური ხმოვანი, მაგ., კატ < \*კატს „ქათამი“, შდრ. წახ. კატე „id“; წაჰ < \*წაჰს „თხა“, შდრ. წახ. წაჰს „id“...

გვერდიგვერდ მოქცეულ ხმოვანთაგან უმახვილოს დასუსტება და ნახევარხმოვნად გარდაქმნა ხდება, მაგ., ააზარად, დეზარად (რეთ. დიალ.) < ააზარაი (მუხრეკ.)...

რეთულურში მახვილი თავისუფალია, მოძრავი. იგი სიტყვებს ძირითადად ბოლოდან მეორე ან ბოლოკიდურ მარცვლებზე მოუდის, თუმცა სხვა ლოკალიზაციაც დასაშვებია, მაგ., პირველ მარცვალზე.

წახური მახვილის შემთხვევაშიც თავს იჩენს აზრთა სხვადასხვაობა: ა. ღირის ცნობით, მახვილი თითქოს უნდა მოუდიოდეს სიტყვის პირველ მარცვალს, თუმცა თვითონვე დაეჭვებით დასძენს: თანაშემწესო ვერაფრით ვერ გამოვაკვეთებინე მახვილიანი მარცვალი [ღირი 1913: 4-5; 107]. ბ. თალიბოვი აღნიშნავს: წახური მახვილის საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი; წინასწარი მონაცემებით კი შეიძლება იმის კონსტანტაცია, რომ ამ ენისათვის დამახასიათებელია ძლიერი მახვილი; იგი უპირატესად მოუდის სიტყვის დასაწყისიდან მეორე მარცვალს ... მაგრამ მახვილი შეიძლება ჰქონდეს პირველ მარცვალსაც ... შეიძლება მესამე მარცვალსაც და ა. შ. მრავალმარცვლიან სიტყვებში მთავარ მახვილთან ერთად შეიძლება იყოს თანამახვილი [თალიბოვი 1967: 593]. ი. იბრაჰიმოვის აზრით კი, მახვილი ძირითადად ფიქსირებულია სიტყვის დასაწყისიდან მეორე მარცვალზე [იბრაჰიმოვი 1968; 1990: 52]. ა. კიბრიკი და ს. კოძასოვი კი საერთოდ სიტყვათმახვილის არსებობას წახურში უარყოფენ და მარცვლის ტონალურ სისუბტემას ვარაუდობენ [კიბრიკი, კოძასოვი 1990: 344]. ევგ. ჯეირანიშვილის მოსაზრებით, წახურს ინტენსიური დინამიკური მახვილი ახასიათებს, რომელიც სიტყვაში არ არის მყარად ლოკალიზებული. ის, როგორც წესი, მოუდის ბოლოში ან ბოლოდან მეორე მარცვალს [ჯეირანიშვილი 1984: 67-69]. ეს მოსაზრება გასაზიარებელი ჩანს; ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ მახვილიანი ხმოვანი იწვევს მეზობლად მდგომი უმახვილო ხმოვნის დასუსტებას, ანდა ფუძის შიდა ხმოვნის



რელექციას თუ ბოლოიდური ხმოვნის კვეცას, მაგ., უბ (წახ. ღილ.) < უბა, შღრ. უბა (მიქიქ.) „უბანი“; შინ (წახ. ღილ.) < შინა, შღრ. შინა (მიქიქ.) „ოფლი“...მახვილიანი ხმოვანი ზოგჯერ გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს (თარღლ „თარიღი“, ჰმინ „ამინ!“, კეზა „ნემსი“, შამილ „შამილი“, იჩნ „ღა“, ადამჩნ „ადამიანი“...).

კრიწულ ენაში მახვილი ინტენსიურია და არაფიქსირებული. ნაცვალსახელებში, რაოდენობით რიცხვით სახელებში, ზმნისართებსა და ზმნურ ფორმებში მახვილი პირველ მარცვალს მოუღის, ზედსართავსა და არსებით სახელებში – მეორე მარცვალს, ხოლო აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სახელებსა და მასდარის ფორმებში მახვილი ბოლო მარცვალს მოუღის. ბრუნვისა და მრავლობითის მაწარმოებელი ინვენტარი შეიძლება მახვილიანი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ერთმარცვლიან სიტყვას დაერთვის. რთულ სუფიქსებში მახვილი პირველ კომპონენტს მოუღის. სიტყვაცვლილებისას ზმირია უმახვილო ხმოვნის რელექცია. ზმნის უარყოფით ფორმებში (მაწარმოებელ ფორმანტებში) გვხვდება თანამახვილი [საღიევი 1967: 629; V-1998: 83].

ბუღუხურში მახვილი ინტენსიურია. საგრძნობია მახვილის პირველ ან მეორე მარცვალზე დამკვიდრების ტენდენცია [შეიხოვი 1998: V-91-92; 2001: 230], შღრ. [ღუშერიევი 1967: 645]. ამას გარდა, შეინიშნება შემდეგი კანონზომიერებანი: მახვილი ყოველთვის მოუღის ზოგიერთ სიტყვაწარმოებით ელემენტს (-ღუ, -სუზ და ა. შ.); მასდარის მაწარმოებელს; აწმყოს, მყოფადის, ნამყო ზოგადის და მათგან ნაწარმოებ ფორმებში, ბრძანებითსა და პროკიბიტევიში მახვილი ყოველთვის პირველ მარცვალს მოუღის [მეილანოვა 1984: 187-188]. ბუღუხურში მახვილს მოეპოვება მორფოლოგიური ფუნქცია: იგი განასხვავებს აწმყო ზოგადს აუცილებლობითი ფორმისაგან, მაგ., ჩაგარი „მიღის“ (აწმყ.) – ჩაგარი „უნდა წავიღეს (აუცილებლად)“... [შეიხოვი 1998: V-91-92; 2001: 230; მეილანოვა 1984: 188].

ხინალულური ენა არაფიქსირებული ინტენსიური დინამიკური მახვილით ხასიათდება. არანაწარმოებ სიტყვებში მახვილი ფუძის ბოლო მარცვალს მოუღის. რთულ ზმნებში მახვილი ჩვეულებრივ პირველ მარცვალზეა ფიქსირებული. პირველ მარცვალზე მახვილი მოუღის აგრეთვე ზოგიერთ არსებით სახელსა და ზმნისართს. ხინალულურში ზედსართავის -ღუ // -ღი, -სუზ დერივაციული ელემენტები და სხვა ზოგიერთი ცალკეული ხმოვნისაგან შემდგარი სუფიქსები ყოველთვის მახვილიანია. ზმნის უარყოფით ფორმებში მახვილი ყოველთვის უარყოფის ელემენტს მოუღის [კიბრიკი და სხვ. 1972: 30-32; ალექსეევი 1998: V-154; განიევა 2002: 472-473], შღრ. [ღუშერიევი 1967: 661].

არჩიბულში გვაქვს საკმაოდ ძლიერი მოძრავი დინამიკური მახვილი, რომელიც გარკვეულ პირობებში მეზობელ ხმოვნებში იწვევს სხვადასხვა სახის ცვლილებებს. ის შეიძლება შეგვხვდეს როგორც ფუძისეულ

(ბოშორ „კაცი“, მარხვლა „თოვლი“...), ისე ფორმანტისეულ ხმოვნებზე (ნიშ-ი „ცხენებმა“, კასა-ა „ღანამ“...). მახვილიანი ხმოვანი ზოგჯერ გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს (ღრზურ „ღიღი“, ნრშ „ცხენი“...) [კახაძე 1979: 15]. არჩიბული მახვილი ჩვეულებრივ შემოსაზღვრულია პირველი ორი მარცვლით [ხაიდაკოვი 1967: 609; კიბრიკი და სხვ. 1977: 249; კიბრიკი 1998: V-73; კიბრიკი 2001: 115], რაც ხუნძურისა და ლაკური ენების გავლენას უნდა მივაწეროთ.

უდიურში დასტურდება ინტენსიური დინამიკური მახვილი, რომელიც ჩვეულებრივ ბოლო მარცვალს მოუდის [ფანჩვიძე, ჯეირანიშვილი 1967: 677], თუმცა თავიკიდური ფიქსაციაც არაიშვიათია (კომპოზიტებში; თუ სიტყვა იწყება ტე „ის“, მე „ეს“ ან ლა ელემენტებით, მაგ., მეთარ „ასე“, „ასევე“, „ამრიგად“; ტესაჰათ „აქვე“). უდიურ ენაში თანამახვილზეც მიუთითებენ [ჯეირანიშვილი 1998: 454; თალიბოვი 2005: 181]. ასეთ შემთხვევაში, ძირითადი მახვილი ბოლო მარცვალს მოუდის, ხოლო თანამახვილი – პირველს. მახვილი უდიურ ენაში სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესებს იწვევს: რელექციას, მაგ., იჩლრნ < იჩულრნ „თვითონ“ (ერგ.); ჰლრუს < ჰელრუს „ბავშვები“, შღრ. ჰღელ „ბავშვი“; ჟოღლს < ჟოღულს „ზაფხული“ (მიც.), შღრ. ჟოღლს (სახ.); აშნებს < აშნებეს „მუშაობს“, შღრ. აშბეს „მუშაობა“... დიფთონგების წარმოქმნას, მაგ., ნანად < ნანაი „ღეღისა“; მდა < მია „აქ“...

### 3. 5. 2. თანამახვილი

დილოურ, ლოღობერიულ, წახურ, კრიწულ და უდიურ ენებში მიუთითებენ თანამახვილის არსებობაზე [სა-ილოვა 1973: 37; ლომთაძე 1984: 81-83; საადიევი 1967: 629; V-1998: 83; თალიბოვი 2005: 181]. თანამახვილი ლოღობერიულ ენაში სამ და მეტმარცვლიან სახელებს მრავლობითობის წარმოებისას მოუდის. ძირითადი მახვილი ეცემა მისთვის ჩვეულ მეორე მარცვალს, ხოლო თანამახვილი (სუსტად გამოხატული) კი მოეპოვება აფიქსისეულ ხმოვანს, მაგ.: ლადჭა „მოზვერი“ – მრ. ლადჭა-ბე... დილოურ ენებშიც ანალოგიური ვითარება გვაქვს იმ განსხვავებით, რომ ძირითადი მახვილი თავმარცვალს მოუდის, ხოლო თანამახვილი – ბოლოდან პირველ ან მეორე მარცვლის ხმოვანს, მაგ.: საკ. დიდ სემორა-ბი “ნუნები”; ხვარ. წაღლიდა-ჰა “კითხულობს”, უჟა-ღაღ “ვაჟიშვილთან” და სხვ. მისთ.

ე. ლომთაძე ვარაუდობს, რომ ბოლოკიდური მარცვლის თანამახვილი ისტორიულად მეორე მარცვლის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რაც არსებითად სწორია. ამ მხრივ გადახრას გვიჩვენებენ კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი კომპონენტები ინარჩუნებენ ძირითად მახვილს [ლომთაძე 1984: 83].

### 3. 5. 3. ძირითადი დასკვნები

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჟამად ნახურ-დაღესტნურ ენებში გვხვდება უპირატესად სუსტი დინამიკური მახვილი (თუმცა ლეზგიურ ენებში მეტ-ნაკლებად ძლიერი მახვილიც შეინიშნება), მაგრამ ისტორიულად ინტენსიური და, ამასთანავე, არაფიქსირებული მახვილი უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ამისი ნათელი ილუსტრაციაა ხმოვანთა ზოგიერთი შესატყვისობა (მაგ., ა : ო ხუნძურ-ანდიურ-დიღორ ენებში ან უ : გ ლეზგიურ ენებში), რელექციული პროცესები და დიფთონგიზაციის მოვლენები (გარკვეულ პოზიციებში).

საყურადღებოა, რომ ენათა ერთ წყებაში მახვილს დისტინქტური ფუნქცია მოეპოვება.

საკვლევ ენათა მიხედვით, მახვილს ადგილი ძირითადად არაფიქსირებულია, რაც ამოსავალ მდგომარეობას უნდა ასახავდეს.